

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი

**იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეშვიდე
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**

12 ივნისი, 2019, გორი, საქართველო
სამეცნიერო კონფერენციის მასალები



GORI STATE TEACHING UNIVERSITY

Faculty of Humanities

Educational Scientific Center of the Georgian Language and Literature

The Seventh International Scientific Conference

Dedicated to Iakob Gogebashvili

June 12, 2019, Gori, Georgia

ARTICLES OF THE CONFERENCE

წინამდებარე კრებული მოიცავს 2019 წლის 12 ივნისს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მიერ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან ერთად ჩატარებული იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებს.

საორგანიზაციო კომიტეტი:

- **ალექსანდრე მღებრიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარე
- **გიორგი სოსიაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **გიორგი ხორბალაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **იოსებ ალიმბარაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ლევან მიდოდაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ანა იმნაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი

პროგრამული კომიტეტი:

- **ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარე
- **გიორგი გოგოლაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, კომიტეტის წევრი
- **ავთანდილ არაბული**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აკადემიკოსი, კომიტეტის წევრი
- **ვაჟა შენგელია**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, წევრ-კორესპონდენტი, კომიტეტის წევრი
- **თამარ გოგოლაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **მანანა მიქაძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **მამია ფაღავა**, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **როინ ჭიკაძე**, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **სოსო სიგუა**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ქეთევან ჭკუასელი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **თეიმურაზ დოიაშვილი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, კომიტეტის წევრი
- **ლევან ბრეგაძე**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ფილოლოგიის დოქტორი, კომიტეტის წევრი
- **რეუვენ ენოხი**, არიელის უნივერსიტეტი (ისრაელი), პროფესორი, კომიტეტის წევრი

სარედაქციო კოლეგია:

- **ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- **გიორგი გოგოლაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
- **ავთანდილ არაბული**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აკადემიკოსი
- **თამარ გოგოლაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- **რეუვენ ენოხი**, არიელის უნივერსიტეტი (ისრაელი), პროფესორი

The presented collection covers the articles of the Seventh International Scientific Conference Dedicated to Iakob Gogebashvili held by the Educational-Scientific Center of the Georgian Language and Literature with Faculty of Humanities on June 12, 2019 at Gori State Teaching University.

ORGANIZATION COMMITTEE:

- **Aleksandre Mghebrishvili**, Rector Gori State Teaching University, Professor, Head of Committee
- **Giorgi Sosiashvili**, Gori State Teaching University, Deputy Rector, Professor, Member of Committee
- **Giorgi Khorbaladze**, Gori State Teaching University, Head of Administration, Associate Professor, Member of Committee
- **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University, Head of the Educational Scientific Centre of Georgian Language and Literature, Professor, Member of Committee
- **Ioseb Alimbarashvili**, Gori State Teaching University, Dean of Faculty of Humanities, Associate Professor, Member of Committee
- **Levan Midodashvili**, Gori State Teaching University, Head of Quality Assurance Service, Professor, Member of Committee
- **Ana Imnadze**, Gori State Teaching University, Head of International and Public Relations Service, Associate Professor, Member of Committee

PROGRAME COMMITTEE:

- **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University, Professor, Head of Committee
- **Giorgi Gogolashvili**, Gori State Teaching University, Invited Specialist, Doctor of Philology, Member of Committee
- **Avtandil Arabuli**, Georgian National Academy of Sciences, Academician, Member of Committee
- **Vazha Shengelia**, Georgian National Academy of Sciences, Corresponding Member, Member of Committee
- **Tamar Gogoladze**, Gori State Teaching University, Professor, Member of Committee
- **Manana Mikadze**, Akaki Tsereteli State University, Professor, Member of Committee
- **Mamia Paghava**, Batumi Shota Rustaveli State University, Professor, Member of Committee
- **Roin Chikadze**, Iakob Gogebashvili Telavi State University, Associate Professor, Member of Committee
- **Soso Sigua**, Gori State Teaching University, Associate Professor, Member of Committee
- **Ketevan Chkuaseli**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor, Member of Committee
- **Teimuraz Doiashvili**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Doctor of Philology, Member of Committee
- **Levan Bregadze**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Doctor of Philology, Member of Committee
- **Reuven Enokh**, Ariel University (Israel), Professor, Member of Committee

EDITORIAL BOARD:

- **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University, Professor
- **Giorgi Gogolashvili**, Gori State Teaching University, Invited Specialist, Doctor of Philology
- **Avtandil Arabuli**, Georgian National Academy of Sciences, Academician
- **Tamar Gogoladze**, Gori State Teaching University, Professor
- **Reuven Enokh**, Ariel University (Israel), Professor

ISBN 978-9941-8-3395-3

შინაარსი CONTENTS

ენათმეცნიერება Linguistics

თეა ბურჭულაძე - ქვერთა მართებული თანამიმდევრობისათვის წინადადებაში – 7
Tea Burchuladze - ON A CORRECT WORD ORDER IN A SENTENCE – 7

ქეთევან მარგიანი - სვანური ონომასტიკის კავასიური ასპექტები – 10
Ketevan Margiani - CAUCASIAN ASPECTS OF SVANIAN ONOMASTICS – 10

ლელა მახვილაძე - მორფოსემანტიკური მოტივაცია კომპლექსურ სიტყვებში – 13
Lela Makhviladze - MORPHOSEMANTIC MOTIVATION IN COMPLEX WORDS – 13

ნათელა მელიქიძე - ეპითეტური სახელები და კვაზიონიმები – 19
Natela Melikidze - THE NAMES WITH EPITHETS AND QUAZONYMS – 19

ომარ მემიშიში - ფორმალური მეტყველების ნაწილები სარფულში – I – 22
Omar Memishishi - UNCHANGEABLE PARTS OF SPEECH IN SARPI DIALECT – I – 22

ნიკოლოზ ოთინაშვილი - ისტორიული წყაროები და მათი მნიშვნელობა დიალექტოლოგიური და ენობრივი მასალისათვის – 27
Nikoloz Otinashvili - HISTORICAL SOURCES AND THEIR MEANING DIALECTICAL AND LINGUISTIC MATERIAL – 27

ნატო შავრეშიანი, მედეა საღლიანი - ვითარების ზმნისართისათვის ჩოლურ მეტყველებაში (სვანურის დიალექტებთან მიმართებით) – 29
Nato Shavreshiani, Medea Saghlani - TOWARDS ADVERBIAL MODIFIER IN CHOLUR SPEECH (IN RELATION TO SVAN DIALECTS) – 29

ქეთევან შარიკაძე - ოტია იოსელიანის პუბლიცისტური წერილების თავისებურებანი – 35
Ketevan Sharikadze - LANGUAGE OF PUBLICISM OF OTIA IOSELIANI – 35

სოფიკო ჭაავა - აფხაზეთის ენობრივი სიტუაცია 1926-1927 წლებში (საარქივო მასალების მიხედვით) – 38
Sophiko Tchaava - LANGUAGE SITUATION OF 1926-1927 IN ABKHAZIA (ACCORDING TO THE ARCHIVES MATERIALS) – 38

ლიტერატურათმცოდნეობა Literature Studies

ლევან ბებურიშვილი - სიკვდილის კონცეპტი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში – 45
Levan Beburishvili - THE CONCEPT OF DEATH IN VAZHA PSHAVELA'S LITERARY WRITINGS – 45

მაია ბოლაშვილი, მაია მელანაშვილი - მხატვრული ტექსტის სათაური და მისი ტრანსფორმაცია თარგმანში (დ. ჰ. ლორენსის ნოველის "The prime rose path"-ის მაგალითზე) – 53
Maia Bolashvili, Maia Melanashvili - TITLE OF FICTION AND ITS TRANSFORMATION IN TRANSLATION (ACCORDING TO D. H. LAWRENCE'S SHORT STORY "THE PRIME ROSE PATH") – 53

ლევან ბრეგაძე - ლიტერატურის თეორიის უცნობი სახელმძღვანელო – 56
Levan Bregadze - THE UNKNOWN MANUAL OF THE THEORY OF LITERATURE – 56

თამარ გოგოლაძე - ქართული საბავშვო ლიტერატურული ტექსტების პარალელები (ი. გოგებაშვილი/გ. შატბერაშვილი) – 61
Tamar Gogoladze - PARALLELS OF GEORGIAN CHILDREN'S LITERARY TEXTS (I. GOGEBASHVILI/G. SHATBERASHVILI) – 61

თეიმურაზ დოიაშვილი - „ქართლის ბედის“ საბჭოური პარადიგმა და გალაკტიონი – 64
Teimuraz Doiashvili - THE SOVIET PARADIGM OF „THE FATE OF KARTLI“ AND GALAKTION TABIDZE – 64

- თამარ ვეფხვაძე - „ადამიანი მასზე მეტია, ვიდრე ჰგონია“ - ბიბლიური პარადიგმა ოთარ ჭილაძის პოემაში „ადამიანი გაზეთის სვეტში“ – 73
Tamar Vepkhvadze - OTAR CHILADZE “A MAN IN THE NEWSPAPER COLUMN” – 73
- ანა იმნაძე - „თბილისის ომი“ XX საუკუნის 90-იანი წლების ბელეტრისტიკის მაგალითზე – 77
Ana Imnadze – “TBILISI WAR” ON THE EXAMPLE OF THE LITERATURE OF THE 90S, XX CENTURY – 77
- ვახტანგ ინაური - აბსურდიზმი რეზო ჭეიშვილის რომანში „ცისფერი მთები“ – 82
Vakhtang Inauri - NONSENSE IN REZO CHEISHVILI NOVEL “BLUE MOUNTAINS” – 82
- თამაზ ლაცაბიძე - იტრიის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი - ქართლის ჩხეიძეთა საძვალე – 85
Tamaz Latsabidze - ITRIA MONASTERY OF THE ASSUMPTION - THE CRYPT OF KARTLI'S CHKHEIDZES – 85
- მაია მელანაშვილი - ქართული პიკარესკას სტილისტური და ენობრივი თავისებურებები – 94
Maia Melanashvili - STYLISTIC AND LINGUISTIC PECULIARITIES OF GEORGIAN PICARESQUE – 94
- ციალა მესხია, ირმა სორდია - ენა-ბუღბუღ, გულ-ვარდიანი პოეტი (აკაკი წერეთლის პოეზიის ესთეტიკა) – 100
Tsiala Meskhia, Irma Sordia - NIGHTINGALE'S TONGUE, A HEART-ROSED POET (AESTHETIC OF AKAKI TSERETELI'S POETRY) – 100
- საბა მეტრეველი - იაკობ გოგებაშვილისა და დუტუ მეგრელის პოლემიკის პერიპეტეები – 105
Saba Metreveli – PERIPETEIA OF POLEMICS BETWEEN IAKOB GOGEBASHVILI AND DUTU MEGRELI – 105
- მურად მთვარელიძე - „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ერის ყოფა-ცხოვრებაში - ერთი ლიტერატურული ტექსტის მიხედვით – 110
Murad Mtvarelidze - “THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN” IN THE LIFE OF THE GEORGIAN NATION ACCORDING TO ONE LITERARY TEXT – 110
- თამარ სიდამონიძე - სიახლეები ქართულ ტექსტოლოგიაში – 113
Tamar Sidamonidz - NOVELTIES IN GEORGIAN TEXTOLOGY – 113
- ნათია სიხარულიძე - გალაკტიონ ტაბიძე და უკრაინული მწერლობა (ორი ეტიუდი ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობიდან) – 116
Natia Sikharulidze - GALAKTION TABIDZE AND UKRAINIAN LITERATURE (TWO STUDIES FROM THE GEORGIAN-UKRAINIAN LITERATURE RELATIONS) – 116
- ლუარა სორდია - ნიკო სამადაშვილის მსოფლმხედველობის ერთი ასპექტი. ბუდა საკია-მუნის ციკლი – 123
Luara Sordia - ONE OF ASPECTS OF OUTLOOK OF NIKO SAMADASHVILI. BUDDHA SHAKYAMUNI'S CYCLE – 123
- ეკატერინე ფანგანი - მოქალაქის კონცეპტი - ტექსტი „აველუმი“ – 128
Ekaterine Pangani - THE CITIZEN'S CONCEPT - TEXT “AVELUMI” – 128
- იოსებ ჭუმბურიძე - ილია ანუ დიდი ანალოგისი – 132
Ioseb Chumburidze - ILIA OR GREAT ANALOG – 132
- შორენა შავრეშიანი - ისტორიული პასაჟი პოსტმოდერნისტულ ტექსტში (დათო ტურაშვილის „გურჯი ხათუნის“ მიხედვით) – 135
Shorena Shavreshiani - HISTORICAL PASSAGE IN POSTMODERN TEXT (ACCORDING TO “GURJI KHATUN” BY DATO TURASHVILI) – 135
- მარინე ცერცვაძე - კიდევ ერთხელ ქართული ასომთავრული დამწერლობის ქრისტიანობამდელი წარმოშობის შესახებ – 141
Marine Tsertsvadze - ONCE AGAIN ABOUT THE PRE-CHRISTIAN ORIGIN OF THE GEORGIAN ASOMTAVRULI SCRIPT – 141
- გიორგი ხორბალაძე - მწერლის შემოქმედებითი ბუზაობის ინდივიდუალური მანერისა და მხატვრული სტილის თავისებურებანი (გ. სოსიაშვილის „წითელი უდაბნო“) – 143
Giorgi Khorbaladze - PECULIARITIES OF INDIVIDUAL MANNER AND ARTISTIC STYLE OF WRITER'S CREATIVE WORK (G. SOSIASHVILI'S „RED DESERT“) – 143

პედაგოგიკა Pedagogics

ციური ბაქრაძე - სწავლების ინკლუზიური მიდგომის საფუძვლები – 147

Tsiuli Bakradze - THE INCLUSIVE APPROACH TO TEACHING AND LEARNING – 147

რუსუდან გოგოხია - უცხოური ენის სწავლების მოტივაციებისათვის – 152

Rusudan Gogokhia - FOR THE MOTIVATION TO TEACH A FOREIGN LANGUAGE – 152

ნინო დავითაშვილი - მოსწავლეების მოტივაცია უცხო ენის სწავლებისას – 159

Nino Davitashvili - STUDENTS' MOTIVATION IN FOREIGN LANGUAGE TEACHING – 159

თამილა კეკოშვილი - კვლევაზე დაფუძნებული სწავლება ბიოლოგიაში – 163

Tamila Kekoshvili - RESEARCH BASED TEACHING IN BIOLOGY – 163

მარიამ მახათაძე - ზეპირმეტყველების სირთულეები ინგლისურ ენაში და მოსწავლეთა სამეტყველო უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მეთოდები – 166

Mariam Makhatadze - DIFFICULTIES OF ORAL SPEECH IN THE ENGLISH LANGUAGE AND THE METHODS TO IMPROVE PUPILS' SPEAKING SKILLS – 166

ნინო ოკროპირიძე - წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული სირთულეები დაწყებით კლასებში და მათი დაძლევის გზები – 169

Nino Okropiridze - DIFFICULTIES CONNECTED WITH THE TEXT UNDERSTANDING AND ANALYSING IN PRIMARY CLASSES AND THEIR SOLUTION WAYS – 169

პაატა ქურდაძე, თამარ რემიშვილი - პიროვნების ფორმირებაზე მოქმედ ფაქტორთა ანალიზი თანამედროვე ქართულ სოციალურ რეალობაში – 173

Paata Kurdadze, Tamar Remishvili - ANALYSIS OF FACTORS INFLUENCING ON FORMATION OF PERSONALITY IN MODERN GEORGIAN SOCIAL ENVIRONMENT – 173

პაატა ქურდაძე - ნებისყოფისა და თავისუფალი ნების როლი პიროვნების ფორმირებაში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით – 179

Paata Kurdadze - THE ROLE OF WILLPOWER AND FREE WILL IN THE FORMATION OF PERSONALITY ACCORDING TO SHOTA RUSTAVELI'S "KNIGHT IN THE PANTHER SKIN" – 179

დავით ჩოჩიშვილი - ისტორიის სამოდულო გაკვეთილის დაგეგმვა და შეფასების ანალიზი – 185

Davit Chochishvili - ANALYSIS OF PLANNING AND EVALUATION OF MODEL LESSON IN HISTORY – 185

ენათმეცნიერება Linguistics

თეა ზურჭულაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

წევრთა მართებული თანამიმდევრობისათვის წინადადებაში

სიტყვათგანლაგება ერთი იმ საზომთაგანია, რომელიც საფუძვლად უდევს ენათა დაყოფას გარკვეულ ტიპებად. კერძოდ, გამოიყოფა: 1. ენები, რომლებსაც ახასიათებს თავისუფალი სიტყვათგანლაგება და 2. ენები, რომლებსაც ახასიათებს განსაზღვრული სიტყვათგანლაგება. ცნებები **თავისუფალი, განსაზღვრული** შეფარდებითი მნიშვნელობით არის გამოყენებული, რადგან პრაქტიკულად არ არსებობს ისეთი ენა, რომელშიც სიტყვათგანლაგება აბსოლუტურად თავისუფალი იყოს (აფრიდონიძე 1986 : 3).

სიტყვათგანლაგების სიმყარე-თავისუფლების შეფარდება გულისხმობს მისი ფუნქციების – გრამატიკულისა და სტილისტიკურის – შეფარდებას შესაბამისად. სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ინტონაცია და ადგილმდებარეობა სინტაქსურ საშუალებად ითვლება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ფორმის ფუნქციას ასრულებენ. მაგრამ ყველა იმ შემთხვევაში, როცა სიტყვათგანლაგება გრამატიკულ ფუნქციას ასრულებს, იგი მკაცრად განსაზღვრული უნდა იყოს. გრამატიკულ ფუნქციაში, როგორც წესი, ივარაუდება წინადადების წევრთა განმასხვავებელი ფუნქცია. „თავისუფალი რიგის“ შემთხვევაში კი იგი დაცლილია აღნიშნული ფუნქციისაგან. ასეთ შემთხვევაში რიგს აფიქსები ენაცვლება. სამაგიეროდ, საკომუნიკაციო ფუნქციის შენარჩუნებასთან ერთად იგი იძენს სტილისტიკურ ფუნქციას, რის გამოც სიტყვათგანლაგება არსებითად სტილისტიკის შესასწავლ საგნად იქცევა. ცხადია, არ გამოირიცხება სიტყვათა ჩვეულებრივი განლაგება ზოგიერთ გამოთქმა-კონსტრუქციაში, მაგრამ იგი არ განსაზღვრავს სიტყვათა გრამატიკულ როლს, ვინაიდან ყოველთვის შეიძლება მის ნაცვლად სხვა განლაგება გამოვიყენოთ (აფრიდონიძე 1986 : 3).

იმ ენებში, რომელთა წინადადების წევრების თანამიმდევრობა გრამატიკულად არ არის განსაზღვრული, ანუ სინტაქსური კონსტრუქციით არ არის მკაცრად შეპირობებული, წევრთა ასეთ თუ ისეთ განლაგებას, ჩვეულებისამებრ, სტილისტიკური ფუნქცია ეკისრება. ამდენად, მიიჩნევენ, რომ ეს საკითხი ქართულში ძირითადად სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება. თუმცა იგივე სტილისტიკური ვარიანტულობა წევრთა განლაგების სფეროში თავისთავად წამოსწევს საკითხს სტილისტიკურად ნეიტრალური კონტექსტების ამ თვალსაზრისით შეფასების შესახებ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ არ იარსებებს რაღაც ამოსავალი (ნეიტრალური) მდგომარეობა წინადადების წევრთა თანამიმდევრობის თვალსაზრისით, მაშინ ვერც სტილისტიკურად განსაზღვრულ (მარკირებულ) სიტყვათგანლაგებას შევაფასებთ (არაბული 2004 :179) .

რამდენადაც სიტყვათგანლაგების საკითხი თანამედროვე ქართულში უშუალოდ უკავშირდება ენის ნორმისა და სტილისტიკის საკითხს, ბუნებრივია, ამ პრობლემის აქტუალობა პრაქტიკული თვალსაზრისით, რაც არაერთგზის აღნიშნულა კიდეც პრესასა და სამეცნიერო ლიტერატურაში.

მოულოდნელი არც ისაა, რომ ენობრივ საკითხთა მსჯელობაში მეცნიერთა გვერდით სხვადასხვა დროს მონაწილეობა მიუღიათ მწერლებსაც. საკმარისია დავასახელოთ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი... საგულისხმო აზრი საკითხის გარშემო გამოიკვეთა ჯერ კიდეც მე-19 საუკუნეში აკაკი წერეთელსა და იაკობ გოგებაშვილს შორის გამართულ ცნობილ პოლემიკაში. უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი ორივე მოპაექრეს იმთავითვე ლოგიკურ და ესთეტიკურ (და არა გრამატიკულ) სიბრტყეზე ესახებოდა. ამას მოწმობს ხშირი გამოყენება სიტყვებისა **კეთილხმოვანება, აზრი**, რომლებიც მიჩნეულია სიტყვათა წყობის სხვადასხვაგვარად გამართვის საშუალებად. კერძოდ, **კეთილხმოვანებაში** აკაკი გულისხმობს წინადადების დამთავრებას შემასმენლით, როგორც ქართული ენის თვისებას. იაკობ გოგებაშვილისათვის კი ამ აზრის სისწორეს მხოლოდ შეფარდებითი მნიშვნელობა აქვს. შემასმენლის ბოლოკიდურად დასმა მისთვის სამართლიანი მხოლოდ მოკლე ფრაზებშია, ვრცელ წინადადებებში კი,

მისი დაკვირვებით, შემასმენელს შუა ადგილი უჭირავს, რაც ქართული ენის ღირსებად აქვს მიჩნეული. ყოველივე ზემოთქული კი თავისთავად მიუთითებს წინადადების წევრთა განლაგების საკითხების შესახებ იმთავითვე განსჯასა და ფიქრზე. ის დღესაც აქტუალურია და ხშირად ენობრივი თვალსაზრისით არაერთ პრობლემას ვაწყდებით ხოლმე.

მაინც რა განსაზღვრავს გარკვეული წევრის ადგილს სინტაქსურ კონსტრუქციაში? როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ამას რამდენიმე ფაქტორი იწვევს: 1. წინადადების წევრის განსაზღვრული როლი (წონა) კონსტრუქციაში; 2. სინტაქსურ წყვილთა ბუნებრივი თანამიმდევრობა; 3. წინადადების რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა; 4. კონკრეტული სტილისტიკური ამოცანა (ნეიტრალური თუ მარკირებული). აქედან გამომდინარე, წინადადების წევრთა განლაგებას ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორები განსაზღვრავს და მათი გათვალისწინება ფრაზის აგებაზე მუშაობისას აუცილებელი პირობაა (არაბული 2004 : 179).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წინადადების წევრთა განლაგება თვით რაიმე კონკრეტული სტილისტიკური დატვირთვის პირობებში არ უნდა არღვევდეს სალიტერატურო ქართული მეტყველების ბუნებრიობას. წევრთა განლაგება არ უნდა ქმნიდეს ორაზროვნების, სიტყვათა არასწორი დაწყვილების შესაძლებლობას. სწორედ ამ თვალსაზრისით ყოველდღიურად კვლავ ვაწყდებით თანამედროვე ქართული ჟურნალ-გაზეთების ენასა თუ ჟურნალისტთა, პოლიტიკოსთა და საჯარო მოხელეთა ზეპირმეტყველებაში უზუსტობებს წინადადების აგების თვალსაზრისით:

„ყველა საქართველოს მოქალაქე ვალდებულია დაემორჩილოს ამ კანონს“; „ყველა პარლამენტის წევრი აღირიცხება, თუ რამდენად რეგულარულად ესწრება სხდომებს“; „ყველა საქართველოს მოქალაქე ვალდებულია დაიცვას თავისი უფლებები“; „ყველა პარლამენტის წევრი ჩართულია ამ კანონის დახვეწასა და შემუშავებაში“; „უკვე მეორე დღეა მიმდინარეობს საერთაშორისო ევროპის თასი“; „უკვე დაეხმარა ოც ტრეფიკინგის მსხვერპლს“; გახსნილია ერთ-ერთი ტექნიკის მაღაზია“; „ბარსელონაში მიტოვებული ინსტიტუტიდან 79 საქართველოს მოქალაქე გაასახლეს, 28 დააპატიმრეს“; „საქართველოს ნებისმიერი პარლამენტის წარმომადგენელი ოთხი წლით აირჩევა“; „ყველა თაობის წარმომადგენელი ამაზე თანხმდება // თაობის ყველა წარმომადგენელი ამაზე თანხმდება“;

მსგავსი მაგალითების დაძებნა, სამწუხაროდ, დღეს არ ჭირს. პრესა და ტელევიზია სტილის თვალსაზრისით დახვეწილი მეტყველების ნიმუშს უნდა წარმოგვიდგენდეს, ამდენად მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვათგანლაგების საკითხს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასმული საკითხი ახალი არაა და ადრეულ პერიოდშიც სამეცნიერო ლიტერატურაში დაეთმო ყურადღება ამგვარ შეცდომებს, აღნიშნულია თუმცა დღეს კვლავ იჩინა თავი ამ პრობლემამ და ახალი თავისებურებებიც გამოიკვეთა.

საკითხი მწვავედ დგას განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთ საზღვრულთან ორი ან მეტი მსაზღვრელია დაკავშირებული. მაგალითად, **ორი ოქროს მედალი და ოქროს ორი მედალი; ახალი ვერცხლის კოვზი და ვერცხლის ახალი კოვზი...** სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ როდესაც ორ არაერთგვარ მსაზღვრელთან ერთ-ერთი არის რიცხვითი სახელი, მეორე კი ზედსართავი სახელი ან მართული მსაზღვრელი, რიცხვითი სახელი პირველ ადგილზე ისმის – თუ ის შესიტყვება, რომელსაც ეს მსაზღვრელი დაერთვის, არ გამოხატავს კუთვნილებას (ორი კარგი წიგნი...). ხოლო თუ კუთვნილებას გამოხატავს, მაშინ რიცხვითი სახელით გადმოცემული განსაზღვრება მეორე ადგილზე დაისმის – მეგობრის ორი წიგნი, სახლის ორი ფანჯარა... (ლეჟავა 1980: 318) მოყვანილ წინადადებაში „ბარსელონაში მიტოვებული ინსტიტუტიდან 79 საქართველოს მოქალაქე გაასახლეს, 28 დააპატიმრეს“ ისე გამოდის, თითქოს საქართველო 79 იყოს. აქ კუთვნილებას არაა გამოხატული და ამიტომ რიცხვითი სახელი მეორე ადგილზე უნდა დაისვას. ანალოგიური იქნება ვითარება ამ წინადადებაში „უკვე დაეხმარა ოც ტრეფიკინგის მსხვერპლს“. ამ სიტყვათგანლაგებით გამოდის, რომ ტრეფიკინგია ოცი და არა მსხვერპლი. წევრთა ამგვარი განლაგება სწორედ აზრობრივ ბუნდოვანებასა და შეუსაბამობას ქმნის. „გახსნილია ერთ-ერთი ტექნიკის მაღაზია“ – აქაც ერთ-ერთია არა ტექნიკის მაღაზია, არამედ ტექნიკის ერთ-ერთი მაღაზიაა გახსნილი. ყოველივე ეს, ცხადია, აზრობრივ ბუნდოვანებას და ორაზროვნებას ქმნის.

ზოგადად, კუთვნილების ნიუანსების მქონე შესიტყვებები არაა მყარი, ითიშება და ახალი მსაზღვრელი მეორე ადგილზე ჩაისმის: „მცირე როლი არ შეუსრულებია ამ საქმეში **ყოფილ საქართველოს პრეზიდენტს!**“; როგორია პასუხისმგებლობა **ყოფილ თბილისის მერის?!“**... დასახელებულ წინადადებებში ისე ჩანს, რომ საქართველოა ყოფილი, ან თბილისია ყოფილი. ცხადია, წინადადებები ასე უნდა გასწორდეს: მცირე როლი არ შეუსრულებია ამ საქმეში **საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს!**; როგორია პასუხისმგებლობა **თბილისის ყოფილი მერის?!“**...

აღარაფერს ვამბობთ ისეთ გავრცელებულ ფრაზებზე, რომლებშიც აზრი ბუნდოვანია და შეუსაბამო: **„ყველა საქართველოს მოქალაქე ვალდებულია დაემორჩილოს ამ კანონს“; „ყველა პარლამენტის წევრი აღირიცხება, თუ რამდენად რეგულარულად ესწრება სხდომებს“; „ყველა საქართველოს მოქალაქე ვალდებულია დაიცვას თავისი უფლებები“; „ყველა პარლამენტის წევრი ჩართულია ამ კანონის დახვეწასა**

და შემუშავებაში“; მოყვანილ წინადადებებში ისე ჩანს, რომ საქართველო ბევრია (ყველა საქართველო...) და პარლამენტიც რამდენიმე გვექონია (ყველა პარლამენტის წევრი)...

რაც შეეხება ამგვარ კონსტრუქციას – „ახალი განათლების პროგრამა და მიზნები“, აქ ორგვარი გაგებაა შესაძლებელი: განათლებაა ახალი თუ პროგრამა და მიზნები? ეს ფრაზა სლოგანად იყო გამოყენებული განათლებისა და მეცნიერების მინისტრის საჯარო გამოსვლისას, როცა საზოგადოებას ახალ პერსპექტივები აცნობდა (ბანერზე ეწერა კიდევ დიდი ასოებით). ცხადია, ასეთი შინაარსი შეცდომა ვერ იქნება, ანუ **ახალი განათლება** სტილურად შეუფერებელი სიტყვათშეთანხმება არაა, რადგან შესაძლოა იგულისხმებოდეს როგორც **ახალი განათლების** პროგრამა და მიზნები, ასევე განათლების **ახალ პროგრამასა და მიზნებზე** მსჯელობაა ლოგიკური. ხშირია შემდეგი სახის აზრობრივად საორჭოფო კონსტრუქციებიც – ყველა თაობის წარმომადგენელი ამაზე თანხმდება. ეს ისეთი ფრაზაა, რომელშიც შესაძლოა ორგვარი შინაარსი ჩანდეს – ყველა თაობის წარმომადგენელი ამაზე თანხმდება // თაობის ყველა წარმომადგენელი ამაზე თანხმდება; ორგვარ გაგებას კი მას სძენს შესაძლებელი გააზრება: ყველა თაობის წარმომადგენელი იგულისხმება თუ ერთი კონკრეტული თაობის ყველა წარმომადგენელი. ასეთ კონსტრუქციებში აქცენტი უნდა გამახვილდეს ზუსტ მისამართ წევრზე (ყველა თაობას წარმომადგენელს ვგულისხმობთ თუ თაობის ყველა წარმომადგენელს).

მოხმობილი მასალა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში სიტყვათგანლაგებაში სიტყვის ადგილი წინადადებაში წყვეტს კავშირს სხვა წევრებთან. ამიტომ ორაზროვნების ასაცილებლად ფრაზის აგებისას ყურადღება სხვა გრამატიკულ საკითხებთან ერთად სტილისტიკურ შეწყობასაც უნდა მიექცეს.

ლიტერატურა:

არაბული 2004 – ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი
აფრიდონიძე 1986 – შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბილისი
ლეჟავა 1980 – ლ. ლეჟავა, სტილისტიკური შეცდომები წინადადებაში სიტყვათგანლაგებისას თანამედროვე ქართული ენის პრესაში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მესამე, თბილისი

Tea Burchuladze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics

ON A CORRECT WORD ORDER IN A SENTENCE RESUME

The order of the sentence members should not violate the naturalness of the literary Georgian speech under any specific stylistic circumstances. The order of the members should not provide the possibility of ambiguity, incorrect pairing of words. We often encounter the inaccuracies in the language of modern Georgian magazines and newspapers or the speech of journalists, politicians and public officials, e.g. „*kvela sakartvelos mokalake valdebulia daemorchilos am kanons*“; „*yvela parlamentis wevri agiricxeba, Tu ramdenad regularulad eswreba sxdoms*“; „*ukve meore dgea mimdinareobs saertashoriso evropis tasi*“; „*ukve daexmara oc trefikingis msxverpls*“; „*gaxsnilia ert-erti teknikis magazia*“; „*barselonashi mitovebuli institutidan 79 sakartvelos mokalake gaasaxles, 28 daapatimres*“; „*sakartvelos nebismieri parlamentis warmomadgeneli otxi wlit aircheva*“. In these forms, the meaning is violated, because with such a wording it seems as if there are a number of Georgias, the parliaments, the Europe is international and not and the European cup, etc.

The material has reveals that in many cases the position of a word in a sentence breaks the connection with the other members. Therefore, in order to avoid ambiguity, when constructing a phrase, attention should be paid to stylistic correctness along with.

სვანური ონომასტიკის კავკასიური ასპექტები

ონომასტიკა მეცნიერების ის უბანია, სადაც ერთიანდება ინტერესები ლინგვისტა, ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა, გამომდინარე ზოგადად საკუთარ სახელთა სრულიად სხვადასხვა ასპექტით (ლინგვისტური, ქრონოლოგიური, სოციალური, სტილისტიკურ-ესთეტიკური, ექსტრალინგვისტური...) კვლევა-ძიების შესაძლებლობებიდან. საერთო კავკასიურ კონტექსტში უაღრესად საინტერესოა სვანური ონომასტიკა, რომელშიც პარალელები, გავლენები, ნასესხობანი შეინიშნება ისეთ დარგებში, როგორიცაა **ანთროპონიმია (გვარ-სახელთა სისტემა), ტოპონიმია, ბოტანონიმია, ზოონიმია, მითონიმია...** ქართულ-მეგრულთან მიმართებით სვანური ანთროპონიმია, განსაკუთრებით გასული საუკუნეებისა, ხასიათდება -ხან, -ყან, -ბი, -მირზა/მერზა... ფორმანტიანი საკუთარი სახელების სიმრავლით; ამ ტიპის სახელებია: ადიმხან, მელეხან, სიდიხან, აშტერხან, მისირხან, სირმახან, რადიმხან, ჯამირხან/ჯამერხან, ვარახან, რისიმხან, სალდათხან, ჰემლეხან, სერეხან, დაურხან, დიგორხან, ინგლისხან, ერქახან, თათარხან, ძუბუმხან... მეზალჲ, მერზაბეგ, შეხზა, აყზა, შემზა, ბეხმერზა, ბექმერზა, შემზა, ათმერზა, ბიმურზა, მამურზა... ასლჲმბი, ბექერბი, ბათერბი, ქელეჩბი, ყარჲმბი, ყვლეჩბე, შერგმბე, მერჲთბი, თაუბი, ქეჩერბი, კადერბი, მარჲთბი, ქაჲშუბი... მურზაყან, თათარყან, ბაბიყან, გუჲაყან...

საანალიზო მასალა ამოკრებილია სვანური პროზაული ტექსტებიდან, X-XVIII საუკუნეების სვანეთის წერილობითი ძეგლებიდან, სვანური ენის ქრესტომათიიდან, ადრეული პერიოდის საეკლესიო დავთრებიდან, სამეცნიერო ექსპედიციებისა და სხვა მუშაობის დროს ასაკოვან ინფორმატორთაგან საგანგებოდ ჩაწერილი მასალებიდან... ირკვევა, რომ ამ ტიპის საკუთარი სახელები განსაკუთრებული სიხშირით არის დამახასიათებელი ბალსქვემო სვანეთის მთავარ დადემქელიანთა გენეალოგიებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ სვანურ ანთროპონიმიაში ამგვარი სახელები მრავლდება სწორედ ისტორიულ არენაზე (XV ს.) დადემქელიანთა გამოჩენის პარალელურად. მთავარ დადემქელიანთა შესახებ ხალხში სხვადასხვა ლეგენდა-გადმოცემა, ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა ვარაუდი, დოკუმენტებში კი რამდენიმე გენეალოგია არსებობს, შედგენილი სრულიად სხვადასხვა პირთა მიერ. მათ შორის უზუსტესად მიიჩნევენ პეტრე უსლარისეულ გენეალოგიას. ბალსქვემო სვანეთის მეზატონე დადემქელიანები XV ს. საუკუნის მიწურულამდე არ ჩანან ისტორიულ არენაზე. ლეგენდის თანახმად დადემქელიანები ჩრდილო კავკასიიდან მოსულებად ითვლებიან. გაურკვეველია და დაუდგენელი გვარის ეტიმოლოგიაც. გადმოცემით ეცერში პირველად მოსული მომხიბვლელი სილამაზისა და აღწაგობის ვაჟკაცის, დადემქელიანთა უშუალო წინაპრის პირველი ნათქვამიდან „დამდან გელან“, რაც მის ენაზე ნიშნავდა „მოვედი ამ მთებიდან“, ეცერელებმა აწარმოეს მისი გვარი, დადემქელიანი ფორმით (ე. გაბლიანი, 1925, გვ. 60-61); უფრო დამაჯერებელია ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ დადემქელიანი ეპონიმიური გვარსახელი უნდა იყოს – ნაწარმოები კომპოზიტური ანთროპონიმისგან – დადიშგელა (გ. გასვიანი, 1991, გვ. 144). ისტორიიდან და დადემქელიანთა გენეალოგიური ტაბულებიდან ცნობილია საბატონო სვანეთის მთავრის – ციოყ დადემქელიანის დედა – დიგორხანი, ფაქტიური მმართველი თავისი შვილის სამთავროსი. 1832 წლის ზამთარში დიგორხანი გადავიდა კავკასიის ქედზე ყაზარდოში და ნალჩიკში მყოფ გენერალ გორიხვოსტოვს განუცხადა შვილის – ციოყის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის სურვილი. იქვე მძევლად ჩააბარა ციოყის შვილი ბექერბი, თვითონ როზრენთან გაემგზავრა ტფილისში და მოაწერა ხელი რუსეთთან შეერთებაზე. 1843 წელს ეცერის მთავარი თათარხანი დაეცა დადემქელიანთა სასახლეს. დიგორხანი გადმოხტა ციხიდან და ტრაგიკულად განუტევა სული; „სვანეთის დედოფალი – მდინარეების ბახსანის, ყუბანის, დაღისა და ენგურის ზემო დინებათა მზრძანებელი“ – ასეთი იყო ტიტული დიგორხან დადემქელიანისა (ე. გაბლიანი, 1925, 72); ცნობები არსებობს ასევე სხვა მანდილოსნების შესახებაც. სალდათხანი – თენგიზ დადემქელიანის და – 1860 წელს ბაქსანში ცოლად გაჰყოლია თავად ადინგერ ურუსბეის და ქრისტეს რჯულზე მოუნათლავს ქმარი და ოთხი შვილი. ამ დროისთვის ეს იყო ერთადერთი ქრისტიანი ოჯახი მთელ ბაქსანში (ბ. ნიჟარაძე, 1962, გვ. 167);

ცნობილია, რომ XIII საუკუნის სვანეთის სულთა მატიაწეებს ზუსტი ანალოგი საქართველოს სხვა კუთხეებში არ ეძებნება (ე. თაყაიშვილი, პ. ინგოროყვა). ჩვენ გვაქვს გერგეტის ტაძრის სულთა მატიაწე, სინას მთის სულთა მატიაწე... სვანეთის სულთა მატიაწე ყველაზე ახლოს დგას ტბეთის სულთა მატიაწესთან...

ეს მატრიანეები მდიდარი ონომასტიკური მასალის შემცველია. მართალია, „მატიანე სვანეთისა კრებისა“-ში და XV საუკუნეზე ადრინდელ ძეგლებში გვარი დადემქელიანი არ დასტურდება, მაგრამ მამაკაცის სახელად ხშირად გვხვდება დადიშგელა. მეშვიდე მატრიანეს მიხედვით ეცერის მკვიდრნი სხვა მრავალ შემომწირველთა შორის არიან დადიშგელა წარეველიანი და დადიშგელა აშტიანი. საინტერესოა ასევე მსგავსება გვარსახელებისა – დადიანი-დადემქელიანი; ორივეში უნდა გამოიყოფოდეს ძირეული დად ელემენტი; ისტორიულ არენაზე სწორედ, დადემქელიანთა გამოჩენის პარალელურად სვანეთის წერილობით ძეგლებში ჩნდება -ხან, -ყან, -ბი, -მირზა/მგრზა ფორმანტიანი საკუთარი სახელები: თათარყან, ყანგეზ, თემირყან, მგრზაბეგ, ყელგზბი,თაუბი, შინხსანუყ, მწათუყ, მალყარუყ ... ანთროპონიმთა სესხება, შეთვისება ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ხალხისა და ნებისმიერი ენისათვის. ონომასტიკური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მირზა, ხან, ბეგ... წოდებათა და ტიტულთა საკუთარ სახელად ან მის კომპონენტად გამოყენება არის მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ანთროპონიმის ერთ-ერთი თავისებურება (მ. ჯიქია), თუმცა სვანურში ქართულ-მეგრულთან შედარებით -ხან, -ყან, -ბი... ლექსემებით მარკირებულ საკუთარ სახელთა ფართოდ გავრცელება, როგორც ეს X-XVIII საუკუნეების სვანეთის წერილობით ძეგლებზე დაკვირვების საფუძველზე შეიძლება ითქვას, განაპირობა ჩრდილო კავკასიის ენებთან – ადიღურ-ყაბარდოულთან, ყარაჩაულთან და ბალყარულთან მეზობლობამ, უშუალო კონტაქტმა, სოციალ-ეკონომიური, სამეურნეო, კულტურული და სხვა სახის კონტაქტებმა. შევნიშნავთ, რომ

-უყვ/უყ/ყვა ტიპის სახელები - დუდარუყტ, ლეფსუყტ, მამსრუყტ, ხანთუყტ, მწითუყტ, თანდუყტ, შტოგვარი თანდუყარ, ნამსრუყტ, იელბერდუყტ, მალყარუყტ, ყაფსუყტ, გეყვა... უფრო ხშირია წერილობით ძეგლებში, ზღაპრებსა და ლეგენდა-გადმოცემებში, ვიდრე თანამედროვე სვანურ ანთროპონიმიაში:

ყაფსუყ გოშთელან, ჳევს ლგფჳშვიდი ყაფსუყელა...

„ხევში ქებული ყაფსუყ გოშთელიანი“ (სვან. პოეზ. 1939, გვ. 160).

ოჲ, საბრალე ჯარაშდუყი, ქავ ჯიშგვინჳნ აშდარხანი...

„ოი, საბრალე ჯარაშდუყ, რომ გეთხოვა აშდარხანი (სვან. პოეზ. გვ. 160).

სვანურში გვხვდება ჩერქეზული წარმომავლობის გვარებიც, რომლებიც -ყვა, -ყა (უდრის ქართ. „ძე, შვილი“) სუფიქსიანად აღიქმება, როგორც მთლიანი საკუთარი სახელი და დაირთავს შტო-გვარების მაწარმოებელს: გენჯაყვაშა შავჳღლ „გენჯაყვანთ შავაილი“ (ჩანტლაძე, 1967, გვ. 297). ირკვევა ასევე, რომ გვარი პირველი სვანურ ანთროპონიმიაში შემოსულია ადიღური (ჩერქეზული) ენიდან სპარსულ-არაბული წარმოშობის ფირ-ველჳ ანთროპონიმის სესხების გზით. თურქულ ენაში ფირ-ველჳ ნიშნავს „მოხუცი მართველი“, იგულისხმება ვილაიეთის ან სხვა ადმინისტრაციული დანაყოფის გამგებელი. თურქულიდან ადიღურის მეშვეობით შემოდწეული ანთროპონიმი ფირ-ველჳ რიცხვით სახელთან პირველი გაიგივებულა და ამ შინაარსისავე სვანურ გვარად დამკვიდრებულა (ბედოშვილი, 1997, გვ. 12). ამ დებულების სისწორეზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტიც, რომ დღეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი და დიდი სვანური გვარი პირველი არ გვხვდება X-XVIII საუკუნეების სვანეთის არცერთ წერილობით ძეგლში. უცხოენოვან ანთროპოფორმანტთა გამოყენების კუთხით საინტერესოა წერილობით ძეგლებში წარმოდგენილი შემდეგი პარალელური ფორმები: თათარ/თათარყან, თემურ/თემურყან, რჳდიმ/რჳდიმხან, სოფილ/სოფილხან, ბათერ/ბათერბი, მუსა/მუსაბი...

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სვანურ ონომასტიკონში უკვე იკვეთება ტენდენცია ამ ტიპის ანთროპონიმთა მკვეთრი შემცირებისა, შეიძლება ითქვას, გაქრობისაც კი, წინა საუკუნეების მონაცემებთან შედარებით.

განსაკუთრებით საინტერესო პარალელები იკვეთება ტოპონიკაში, თუმცა ამ კუთხით დღემდე არსებულ შეხედულებათა შორის მრავლადაა სადაო საკითხები, გაუზიარებელი თემები, პასუხგაუცემელი კითხვები. ისტორიოგრაფიაში არსებობს აზრი ჩრდილოეთ კავკასიაში – თერგისა და ყუბანის სათავეებში სვანთა განსახლების შესახებ, რასაც ადასტურებს ტოპონიმოკური მასალა (ლ. ლავროვი, ა. რობაქიძე); ლავროვი გამოთქვამს მოსაზრებას ბაქსანსა და ყუბანში არსებული სოფლების – **უშველანის, ხუმარის, ლაკუმტის** – სახელწოდებათა სვანურ წარმოშობაზე შესაბამისად **სვანეთის ტოპონიმებისა – უშგული, ცხუმარი და ლაშხეთი** (ლავროვი, სვანთა განსახლება ჩრდილოეთ კავკასიაში XIX საუკუნემდე, 1956, გვ. 78-82); ისტორიკოსთა ცნობით, ბალყარეთსა და ყარაჩაში ფიქსირებულია 40-ზე მეტი სვანური წარმოშობის გვარი (თ. მიბჩუანი, მეგობრობის სათავეებთან, თბ. 1986 წ.); კავკასიონის ქედს გადაღმა და გადმოღმა ნათესაობის განცდა დღემდე არსებობს შემდეგი გვარის წარმომადგენელთა შორის: ავალიანი – დინაევი; მიბჩუანი – მამჩუევი; გუჯეჯიანი – შახმურზაევი/ატმურზაევი, შდრ. სვანური შტოგვარები: შეხმურზაშა, ათმურზაშა; ფანგანი – პანგანოვი; ჯაჳკლიანი – ჳოტჳკაევი; ყაბარდო-ბალყარეთში თავს სვანური წარმოშობისად თვლიან: შუანოვები, სონ/სონოვები, მეჩიევი შდრ. სვან მეჩი „მხცოვანი, მოხუცი“; ამ გვართა შორის ნათესაობის განცდა, მიმოსვლა, ჳირსა და ლხინში გვერდში

დადგომა ერთგვარ ტრადიციად კი იყო ქცეული. ცოცხალ მაგალითად სახელდება მულახელი გუჯეჯიანების მიერ ჩეგემელი შახმურზაელების ქორწილში დაპატიჟების ფაქტი 1969 წლის შემოდგომაზე; ასევე კოდორისხეობელი ჯაჭვლიანებისა და ყარაჩაელი ჯუჭყაელების განსაკუთრებული ნათესაური ურთიერთკავშირი და გვარის ყრილობაზე მოწვევა დალის ხეობაში 1990 წელს (აფხაზეთის კონფლიქტამდე). საუკუნეების განმავლობაში სვანეთსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის ხშირი იყო ორმხრივი მიგრაციული პროცესები; ინტენსიური ურთიერთობების შედეგად სვანები და ჩრდილოკავკასიელები კარგად იცნობდნენ ერთმანეთის წეს-ჩვეულებებს და მიუხედავად იმისა, რომ „ბევრ ასპექტში რადიკალური სხვაობა იყო (ძირითადად რელიგიური ფაქტორიდან გამომდინარე), ისინი პატივს სცემდნენ ერთმანეთის ცხოვრების წესს, რაც ყველაზე კარგად სტუმარმასპინძლობის ტრადიციაში ჩანდა“ (ხ. იოსელიანი).

საერთოკავკასიურ კონტექსტში ყურადღება მიიქცია სვანურმა ზოონიმებმა **ყარჩაჲ, ჟეგმაჲ, ბახსნაჲ...** რომლებშიც სახელდების მოტივაციას, შეიძლება ითქვას, მათი გეოგრაფიული (ჩრდილოკავკასიური) წარმომავლობა განაპირობებს; მულახელი და კოდორისხეობელი ინფორმატორების განმარტებით ამ სახელებს არქმევდნენ ყაბარდო-ბალყარეთიდან – ბახსანიდან და ჟეგმიდან გადმოყვანილ განსაკუთრებულად კარგი ჯიშის ხარებს, ყარჩაჲ-ს კი ყარაჩა-ჩერქეზეთიდან გადმოყვანილს. ონომასტიკაში მიღებული ტერმინოლოგიის შესაბამისად ყარჩაჲ, ჟეგმაჲ, ბახსნაჲ... შეიძლება მივიჩნიოთ ტოპონიმურ ზოონიმებად; (სქემა: ტოპონიმი > ზოონიმი, რაც არც ისე ხშირია ონომასტიკაში); ინფორმატორებმა იქვე გულისტკივილი გამოთქვეს ბოლო პერიოდში ჩრდილოკავკასიელ უახლოეს მეზობლებთან სოციალური ურთიერთობების რღვევის, ამ ერთგვარ ტრადიციად ქცეული ჩვეულების მოშლის, განსაკუთრებულად ჯიშის ხარებისა და შესაბამისად ყარჩაჲ, ჟეგმაჲ, ბახსნაჲ... ტიპის ზოონიმთა თანდათანობით გაქრობის გამო.

ეთნოლინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური კუთხით სვანური ონომასტიკის შესწავლით უადრესად საინტერესო პარალელები იკვეთება ასევე **ბოტანონიმების, სვანური ლეგენდების, თქმულებების, ზღაპრების პერსონაჟთა სახელებისა და მითონიმების** კავკასიურ სივრცეში შედარებითი ანალიზისას.

ლიტერატურა:

- ბედოშვილი** 1997 – გ. ბედოშვილი, რიცხვითი სახელების შესახებ ქართულ ანთროპონიმიაში, რესპ. დიალექტ. სამეცნ. სესიის თეზისები, თბ.
- გაბლიანი** 1925 – ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფილისი.
- გასვიანი** 1991 – გ. გასვიანი, ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან.
- ნიჟარაძე** 1962 – ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე.
- სვანეთის წერილობითი ძეგლები**, ტ. I თბ. 1986 წ. ტ. II, თბ. 1988 წ.
- სვანური პოეზია**, თბ. 1939 წ.
- სვანური ენის ქრესტომათია**, თბ. 1978 წ.
- ჭუმბურიძე** 1992 – ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბილისი.
- ჩანტლაძე** 1967 – ი. ჩანტლაძე, შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება და ბრუნება სვანურში, მაცნე, თბილისი.
- ჯიქია** 1973 – მ. ჯიქია, თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში, აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. III. თბილისი.
- Робакидзе А.** Сванети, Тбилиси, 1984.
- Лавров Л. И.** Расселение сванов на Северном Кавказе до XIX века, КСИЭ, Ч. М. – Л. 1950.

Ketevan Margiani
Sokhumi State University
CAUCASIAN ASPECTS OF SVANIAN ONOMASTICS
RESUME

Onomastics is the field of science which unifies in itself the interests of linguists, historians, ethnographers. In the general Caucasian context Svanian Onomastics is extremely interesting, where parallels, impacts, borrowed words are reflected in fields such as anthroponymy (the study of personal names and surnames), toponymy, zoonymy, mythonymy... Svanian anthroponymy is characterized by variety of personal names with formants: –khan, –kan, –bi... such as: Daurkhan, Digorkhan, Bimurza, Taubi, Kelechbi, Murzakan, Tatarkan... as given in Svanian literary monuments of X-XVIII centuries, was conditioned by neighbouring and direct contact with north caucasian languages –

Adigian-Kabardian, Karachian and Balkarian, social-economic, cultural and other type of contacts. It should be noted that compared to the data of the previous centuries, there is a growing tendency to radically reduce this type of anthroponyms in contemporary Svanian onomastics, and these anthroponyms might even vanish completely.

Especially interesting parallels have been revealed in toponymics. Some scientists entertain a hypothesis that is a rather widely held opinion in historiography that the headwater/source of the rivers of Tergi and Kuban has been populated by Svanian people, which is further confirmed by toponymic materials (L. Lavrov, A. Robakidze); Lavrov offers an opinion on Svanian origin of the names of the villages Ushkviani, Khumari and Lakushti located in Baksan and Kuban, having had in mind similar sounding Svanian toponymies - Ushguli, Tskhumari and Lashkheti (Lavrov, Svanian Settlement/Colonies in North Caucasus before XIX century); The feeling of being related in kinship is still maintained in the representatives of the both sides of the Caucasus range, the surnames speak for themselves: Avaliani – Dinaevi; Mibchiani – Mamchuevi; Gujeiani – Shakhmurzaevi/Atmurzaevi; let's compare them to Svanian branch-surnames: Shekhmurzasha, Atmurzasha; Pangani-Panganovi; Jatchviani – Chotchaevi. The surnames residing in Kabard-Balkania believe in their svanian origin, such as: Shuanovi, Son/Sonovi, Mechievi (in Svanian language the word 'Mechi' means an old person), According to a cherished tradition these surnames maintained the feeling of kinship by visiting each other, by being together in times of trouble and happiness. The monument contains luxuriant onomastic material, archaic anthroponomical forms presented in it are especially interesting, surnames that have subsequently become extinct nowadays (Hirekiani, Pokheliani, Abugiani, Amnasariani, Itanoziani, Manashiani, Bobchiani, Palgariani, Gajaniani, Kikediani, Tbeliani, Msaviani, Chishiliani, Khachiliani, Robagiani, Chkhumpkhe, Goshuanipkhe, Beutmanipkhe)... The monument though does not always exactly and elaborately expresses specifics of pronunciation and difficulties related to transcription of Svanian language. "Annals of Suaneti Gathering" dated the second half of XIII century is multilaterally interesting and important written treasure not only just for Svaneti but for the history of whole Georgia. This valuable monument handwritten by Demetre Ghogheliani which is priceless from the linguoculturological point of view and which has no exact analogue in any other region of Georgia, Ekvtime Takaishvili designated as "Annals of Souls of Suaneti" and Pavle Ingorokva - "Annals of Suaneti Gathering".

ლელა მახვილაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მორფოსემანტიკური მოტივაცია კომპლექსურ სიტყვებში

წინამდებარე ნაშრომში განხილული ლინგვისტური პრობლემა ეყრდნობა ფერდინანდ დე სოსიურის მიერ შემოთავაზებულ დიქტომიას - ენობრივი ნიშნის არბიტრარულობა / კონვენციონალურობა vs. მოტივაცია / მოტივირებულობა - რომელიც, თუმცა ენის შესწავლის უძველესი დროიდან მოდის, დღესაც დისკუსიის საგნად რჩება.

1. მოტივირებულობა/მოტივაცია. მოტივაციის ტიპები

როდესაც სიტყვაწარმოებაში საუბრობენ მოტივირებულობა/მოტივაციაზე¹, არ გულისხმობენ მონომორფმატულ (მარტივ) სიტყვებს, რადგან მორფემის ფონემურ სტრუქტურასა და გამოხატულ შინაარსს შორის „არ არის ექსპლიციტური ურთიერთკავშირი“ (Naumann 2000: 36), მაგ., Wand 'კედელი', Uhr 'საათი', heute 'დღეს'. კომპლექსური სიტყვების (სიტყვაწარმოებითი პროდუქტების) მნიშვნელობა, პირველადი მარტივი სიტყვებისაგან განსხვავებით, შეიძლება იყოს მოტივირებული, შდრ., Wanduhr 'კედლის საათი', Uhrchen 'პატარა ზომის საათი'. ფ. დე სოსიური განასხვავებს არამოტივირებულ „სრულად ნებისმიერ“ („შეთანხმების“ საფუძველზე მიღებულ) და „შედარებით მოტივირებულ“ ნიშნებს: „მხოლოდ ნიშნების ერთი ნაწილია სრულად ნებისმიერი; [...] ნიშანი შეიძლება იყოს შედარებით

¹ ტერმინი მოტივირებულობა/მოტივაცია ლინგვისტურ სემიოტიკაში ანუ ენობრივი ნიშნის თეორიაში შემოტანილია ფერდინანდ დე სოსიურის მიერ.

მოტივირებული“¹(de Saussure 1931/2001: 156). სოსიური ლაპარაკობს შედარებით მოტივირებულობაზე, რადგან თვლის, რომ მოტივაცია არასოდეს არის სრულყოფილი, არა მარტო იმიტომ, რომ მოტივირებული ნიშნის შემადგენელი ელემენტები თვითონ ნებისმიერია (შდრ. herz და -lich სიტყვაში: herzlich), არამედ კომპლექსური სიტყვის მნიშვნელობა/ღირებულება არ უტოლდება მისი შემადგენლებისას, შდრ., Schäfer არ უტოლდება Schaf- (Schäf-) + -er (იქვე: 157). შემეცნება ეფუძნება ენობრივი ნიშნის, ერთი მხრივ, არბიტრარულობას (ნებისმიერობას), და მეორე მხრივ, მოტივირებულობა/მოტივაციას. თანამედროვე მოსაზრებების მიხედვით „მოტივაციის ურთიერთმიმართებებს“ გამოკვეთენ ენობრივი სისტემის სხვადასხვა (ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ) დონეზე, ასევე ტექსტში (შდრ. Wurzel 1984; Eichinger 2000: 41).

სიტყვაწარმოებაში უმეტესად განასხვავებენ მოტივაციის სამ ტიპს: ფონეტიკურ-ფონემურ, მორფოსემანტიკურ და ფიგურულ მოტივაციას. მორფოსემანტიკური ან მორფოლოგიურ-სემანტიკური მოტივაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზოგადად მოტივაციის პრობლემატიკისათვის, შდრ. ტერმინოლოგია: „მორფოსემანტიკური გამჭვირვალობა“ („morphosemantische Transparenz“, Wurzel 1984: 204), „მორფოლოგიურ-სემანტიკური მოტივაცია“ („morphologisch-semantische Motivation“, Fleischer 1976: 13-14) ან „მორფოსემანტიკური მოტივაცია“ („morphosemantische Motivation“, Fleischer/Barz 1995: 15-16; 2012: 44 და შემდ.; Oksaar: 1993; Barz 2009: 634; Altmann 2011: 19-20).

კვლევის მიზანია მორფოსემანტიკური მოტივაციის არსისა და მოტივირებულობის ფორმების შესწავლა გერმანულ ენაში; სიტყვაწარმოებითი ანალიზის საფუძველზე კომპლექსური სიტყვების მორფოსემანტიკური მოტივაციის (გამჭვირვალობის) დადგენა და დიფერენცია, რაც ნიშნავს: სიტყვაწარმოებითი პროდუქტების მნიშვნელობის გახსნის/გაგების ხარისხის დადგენა მათი მოტივაციური მნიშვნელობიდან და მოტივირებულობის ხარისხის განსაზღვრა თანამედროვე გერმანული ენაში. კვლევა ეფუძნება ცნობილ გერმანულ ენათმეცნიერთა ნაშრომებს და ლექსიკოგრაფიულ წყაროებს, ისევე როგორც საკუთარი კვლევის შედეგებს.

მოტივირებულია ისეთი კომპლექსური სიტყვა, რომლის ერთი შემადგენელი ელემენტი /კონსტიტუენტი მაინც გვხვდება დამოუკიდებლად როგორც მარტივი სიტყვა, ან გვხვდება სხვა სტრუქტურაში იმავე მნიშვნელობით. მნიშვნელობის „გაგების წინაპირობად მიიღება სიტყვების სტრუქტურული და მორფოლოგიური გამჭვირვალობა“, რომელიც „ამოსავალ ერთეულებთან კავშირზე მიუთითებს და ამით მნიშვნელობის ინტერპრეტაციისათვის მინიშნებას გაძლევს“, აღნიშნავს ბარცი (Barz 2009: 635).

წიგნში Metzler Lexikon Sprache (2010) ვკითხულობთ: „მოტივირებულობა (ასევე: მოტივაცია, გამჭვირვალობა) არის სიტყვაწარმოებითი პროდუქტის მნიშვნელობის გახსნის (გაგების) ხარისხი მისი შემადგენელი სეგმენტების მნიშვნელობების საფუძველზე: თუ ვიცით კონსტიტუენტების მნიშვნელობა, ვიცით ასევე სიტყვაწარმოებითი პროდუქტისაც“, შდრ., ე.წ. Frege-Prinzip (ასევე: კომპოზიციურობის პრინციპი)² („Motiviertheit“, W. Eins, წიგნში: Glück 2010: 444).

კომპლექსური სიტყვების სრულყოფილი ანალიზი სინქრონიულ დონეზე და შესაბამისად მორფემული შემადგენლობის აღწერა ხშირად სირთულეებს უკავშირდება. სირთულეები მაშინ იჩენს თავს, როდესაც სიტყვის მნიშვნელობის გაგება (დეკოდირება) მისი შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობების საფუძველზე მხოლოდ ნაწილობრივ არის შესაძლებელი (Handtuch), ან უკვე შეუძლებელია (Ohrfeige). ნაწილობრივ მოტივირებული სიტყვების უმეტესობა უნიკალური მორფემებით შედგენილი სტრუქტურებია (Himbeere, Demut, Leichnam). სრული იდიომატიზაციის შეთხვევებში კომპლექსური სიტყვების ფორმობრივი სტრუქტურის მიუხედავად, მოტივირებულობა ისეა გაბუნდოვნებული, რომ სემანტიკური კავშირი ცალკეულ სეგმენტებსა და სიტყვის საერთო მნიშვნელობას შორის აღარ შეიმჩნევა (შდრ. Lohde 2006: 29; Eichinger 2000: 144).

2. რას გულისხმობს ტერმინი მორფოსემანტიკური მოტივაცია?

მორფოსემანტიკური მოტივაციის ქვეშ იგულისხმება „ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის გახსნის (გაგების) ხარისხი მათი მოტივაციური მნიშვნელობიდან, ეს გულისხმობს, ბინარული სიტყვაწარმოებითი პროდუქტების შემთხვევაში უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების (უშ) რიგითობისა და მათი მნიშვნელობის, ასევე კონსტიტუენტებს შორის არსებული სემანტიკური

¹ „Nur ein Teil der Zeichen ist völlig beliebig; [. . .] das Zeichen kann relativ motiviert sein“ (Saussure 1931/2001: 156, შდრ. გერმანული გამოცემა).

² გერმანული ლოგიკოსის გ. ფრეგეს (G. Frege) სახელით ცნობილი სემანტიკური პრინციპი, რომლის თანახმად კომპლექსური სიტყვის/გამოთქმის მნიშვნელობა მიიღება თავისი შემადგენელი სეგმენტების მნიშვნელობათა კომბინაციისა და მათი შეკავშირების სახის საფუძველზე (H. Günther, წიგნში: Glück 1993: 195).

ურთიერთმიმართების საფუძველზე“ (Barz/Schröder/Hämmer/Poethe 2007: 13), მაგ., Mondlicht: mond + licht, Gemüsesuppe: gemüse + suppe; არაბინარული სიტყვების (სეკუნდარული სიმპლექსები) მნიშვნელობა კი განისაზღვრება „ბაზისსა და პროდუქტს შორის არსებული მიმართების“ მიხედვით (იქვე), მაგ., Besuch (< besuchen). როდესაც თანამედროვე ენაში ასეთი ურთიერთმიმართება გამჭვირვალეა, და შესაბამისად, კომპლექსური სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრა მისი შემადგენელი ერთეულების საფუძველზეა შესაძლებელი, გვაქვს მორფოსემანტიკური მოტივაცია (შდრ. Barz 2009: 634). როგორც წესი, სრულად მოტივირებულია ოკაზიონალური სიტყვები მათი წარმოქმნის მომენტში. უზუალური სიტყვების უმეტესობა კი სრულად ან ნაწილობრივ არის მოტივირებული.

კომპლექსური სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას, მოტივაციურ მნიშვნელობასა და სიტყვაწარმოებით მნიშვნელობას შორის არსებობს ურთიერთკავშირი/-დამოკიდებულება, თუმცა არ არის იდენტურობა. ლექსიკური მნიშვნელობისა და მოტივაციური მნიშვნელობის საფუძველზე შესაძლებელია მოტივაციურობის ხარისხის დადგენა. მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს სიტყვის Hundeleine ლექსიკური მნიშვნელობა: 'Leine, an der man einen Hund führt' (Duden 2001: 807) და მისი მოტივაციური მნიშვნელობა: 'Leine für einen Hund'; ასევე სიტყვის Kopftuch ლექსიკური მნიშვნელობა: 'Tuch, das um den Kopf gebunden getragen wird' (Duden 2001: 947) და მისი მოტივაციური მნიშვნელობა: 'Tuch für den Kopf'. მეორე მხრივ, შევადაროთ: სიტყვის Sprechstunde ლექსიკური მნიშვნელობა: 'Zeit, in der jmd. für Gespräche zur Verfügung steht, oder in der ein Arzt o.Ä. zur Konsultation aufgesucht werden kann u. in der er Behandlungen vornimmt' იქვე: 1493) და მისივე მოტივაციური მნიშვნელობა: 'Stunde, in der etwas besprochen wird/werden kann' (Barz/Schröder/Hämmer/Poethe 2007: 128). რაც უფრო მსგავსია სიტყვის ლექსიკური და მოტივაციური მნიშვნელობა, მით უფრო მეტია მოტივაციის ხარისხი. როგორც ანალიზიდან ჩანს, Hundeleine და Kopftuch უფრო მოტივირებულია, ვიდრე Sprechstunde.

როდესაც რთული სიტყვა მორფოლოგიურად და სემანტიკურად გამჭვირვალე და სრულად მოტივირებულია, მისი სემანტიკური ანალიზი განხორციელდება არანაკლებ ორი კონსტიტუენტის, შესაბამისად დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი სიტყვის მნიშვნელობის საფუძველზე, ნაწარმოები სიტყვის შემთხვევაში კი ერთი შესაბამისი დამოუკიდებელი ლექსემისა და სიტყვაწარმოებელი აფიქსის საშუალებით. ველმანი (Wellmann 1998: 411) საუბრობს კომპლექსური სიტყვის ფორმოზოგი და შინაარსოზოგი ანალიზის პრინციპზე, რომელიც რამდენიმე სვლისგან შედგება. ამ პრინციპის თანახმად, ანალიზი იწყება უშუალო შემადგენელი ერთეულების დადგენით (კონსტიტუენტების სტრუქტურული ანალიზი). ამოსავალი პირობის მიხედვით, საანალიზო სიტყვაში ყოველთვის გამოწვევრდება ორი ძირითადი უშუალო შემადგენელი (ბინარული სტრუქტურა). მეორე მნიშვნელოვანი პრინციპის თანახმად, არანაკლებ ერთი შემადგენელი ელემენტი (კონსტიტუენტი) უნდა იყოს დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული, ლექსემა. „გამჭვირვალე“ რთული სიტყვის შემთხვევაში გამოწვევრდება ორი დამოუკიდებელი ლექსემის შესაბამისი ერთეული, ნაწარმოებ სიტყვებში კი - ერთი. სეგმენტირებისას ველმანი მესამე მნიშვნელოვან პირობად ასახელებს ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობას.

არის შემთხვევები, როდესაც კომპლექსური სიტყვის შემადგენელი სეგმენტების მნიშვნელობების ცოდნა არ არის საკმარისი სიტყვის მნიშვნელობის გაგებისთვის. მაგალითად, ჰერინგერი (H. J. Heringer: 1984) წარმოადგენს სიტყვის Fischfrau თორმეტ ვარიანტს, თუ როგორ შეიძლება მოხდეს მისი მნიშვნელობის გახსნა, შდრ., Fischfrau შეიძლება გაიგებოდეს როგორც, მაგ.: 'Frau und Fisch' (= Nixe, მით. ნიმფა, ალი [ქალთევზა]); 'Frau, die Fische verkauft' ('ქალი, რომელიც თევზს ყიდის'; 'Frau, die im Sternbild der Fische geboren ist' ('თევზების თანავარსკვლავედის ნიშნით დაბადებული ქალი', და სხვ. (Wellmann 1998: 418-419). ასეთი „კონტექსტური“ თუ „ტექსტური სიტყვების“ ანალიზი ხდება კონტექსტიდან გამომდინარე და, შესაბამისად, წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტიკის საკითხს (H. Weinrich). მსგავსი შემთხვევაა, მაგ., Holzkiste: (1) 'ხის ყუთი'; (2) 'ყუთი, რომელშიც შემას ინახავენ', და სხვ., შდრ. ასევე Chefsekretärin, სადაც დგინდება სიტყვის ორი განსხვავებული მოტივაციური სტრუქტურა: (1) Die Sekretärin des Chefs; (2) Die Sekretärin ist der Chef (Oksaar 1993: 207).

ენობრივი განვითარების პროცესში შესაძლებელია ზოგიერთმა სიტყვამ სხვადასხვა მიზეზით დაკარგოს თავისი თავდაპირველი სემანტიკური გამჭვირვალობა და კომპლექსური სიტყვის მნიშვნელობის გაგება უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების მნიშვნელობების საფუძველზე სინქრონიულ დონეზე შეუძლებელი გახდეს. ენათმეცნიერებაში ეს ტენდენცია ცნობილია ენობრივი მოვლენების: დემოტივაციის, დესემანტიზაციისა, იდიომატიზაციის სახელით (იხ. Machwiladse: 2016).

3. მოტივირებულობა/მოტივაციის ხარისხი. მოტივირებულობა - იდიომატურობა

კომპლექსური სიტყვები, რომლებშიც სინქრონიული თვალთახედვით ორივე მორფემა მოტივირებულია, განიხილება როგორც სრულად მოტივირებული სიტყვები, მაგალითად: Gemüsesuppe, Hofhund, mehrstimmig, musikalisch და სხვ. Gemüsesuppe მოტივირებულია ერთეულებით: 'Gemüse' და

‘Suppe’, Hofhund: Hof და Hund, mehrstimmig: mehrere Stimme და –ig, musikalisch: Musik + -(al)isch. სემანტიკურად გამჭვირვალე სტრუქტურებია ასევე: Wohnzimmer, Strohstuhl, Uhrkette, Kopftuch, Hundeleine, alltäglich. „ეს რელატიური მოტივაცია თუ მოტივირებულობა არ არის აბსოლუტური მახასიათებელი, არამედ ის აღნიშნავს კონტინუუმის ერთ ბოლოს, რომლის მეორე ბოლოსთან გვაქვს სრული იდიომატიზაცია“, წერს აიხინგერი (Eichinger 2000: 144). შესაბამისად განიხილავს სრულად მოტივირებულ კომპლექსურ სიტყვებს, რომლებშიც - რამდენადაც ეს შესაძლებელია - სიტყვის მნიშვნელობა მთლიანად მისი შემადგენელი სემანტების მნიშვნელობათა ჯამით მიიღება; ამის საპირისპიროდ კი განიხილება სრულად იდიომატიზებული სიტყვები, რომლებშიც თუმცა ფორმოზოგრაფიულ სტრუქტურებს ვხედავთ, მაგრამ ელემენტებს უკვე აღარ აქვთ „აზრობრივი კავშირი ამ სიტყვების ჩვეულებრივ მნიშვნელობასთან“ (Eichinger 2000: 144).

სრულად მოტივირებული და დემოტივირებული/იდიომატიზებული სიტყვები არ არიან მკვეთრად გამოჩენილი. ამ ორ პოლუსს შორის არის ე.წ. „ფართო შუალედური/გარდამავალი ზონა“ (Holst 1974: 66), სადაც „მოტივირებულობის ხარისხის“ („Grade der Motiviertheit“, Schippan 2002: 101) საფუძველზე შეიძლება კომპლექსური სიტყვის ადგილის განსაზღვრა. გავრცელებულია სამსაფეხურიანი სკალა შემდეგი კლასებით: „სრულად მოტივირებული“ ან „გამჭვირვალე“ („vollmotiviert“ oder „durchsichtig“), „ნახევრად მოტივირებული“ / „ნაწილობრივ მოტივირებული“, ან „ნაწილობრივ გამჭვირვალე“ („halbmotiviert“ / „teilmotiviert“, oder „z. T. durchsichtig“), „დემოტივირებული“ (ასევე: „არამოტივირებული, გაუმჭვირვალე“) ან „იდიომატიზებული“ „demotiviert“ („nicht-, unmotiviert“, „undurchsichtig“) oder „idiomatisiert“ (შდრ.: Holst 1974: 72-74; Fleischer/Barz, 1995: 18, 2012: 45; Lohde 2006: 28-29; Altmann, 2011: 19-20), Käge (1980: 12-13), შდრ. Saussure 1931/2001: 156 და შემდ.).

ნაწილობრივ/ნახევრად მოტივირებული სიტყვები ისეთი სტრუქტურებია, რომელთა ერთი უშუალო შემადგენელი დღეს სემანტიკურად გაუმჭვირვალე უნიკალური მორფემაა, როგორიცაა: Himbeere, Maultier, Maulesel, Unflat. მაგალითად, Himbeere ‘ჟოლო’ (საშ.ზგ. hintber, ძვ.ზგ. hintperi, ძვ.ზგ. hinta ‘დედალი ირემი, შველი’, Duden 2007: 338) მოტივირებულია მხოლოდ მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტის მიხედვით (შდრ. Beere ‘კენკრა’), სიტყვის პირველი კონსტიტუენტი დღეს სემანტიკურად გაუმჭვირვალე ელემენტია. სიტყვები: Maultier ‘ჯორი’ (საშ.ზგ., ძვ.ზგ. mül ‘Maultier’ ‘ჯორი’) და Maulesel ‘ჯორცხენა’ (ძვ.ზგ. mül ‘Maulesel’, იქვე: 515) მოტივირებულია Tier ‘ცხოველი’ და Esel ‘ვირი’ მიხედვით, რადგან მას შემდეგ, რაც ენის მატარებელისათვის მარტივი სიტყვა გაუგებარი გახდა, განმარტების მიზნით ახსნეს იმავე მნიშვნელობის სიტყვებით. Unflat ‘საზიზღარი, გულისამრევი ჭუჭყი’ (საშ.ზგ. unvlāt ‘ჭუჭყი, უსუფთაობა’) ნაწარმოებია უარყოფითი პრეფიქსით და არსებითი სახელით საშ.ზგ. vlāt, ძვ.ზგ. flāt ‘სისუფთავე, სილამაზე’ (იქვე: 880), რომელიც თანამედროვე გერმანულ ენაში სემანტიკურად გაუმჭვირვალე ელემენტია, რადგან შესაბამისი თავისუფალი მორფემა დღეს ენაში აღარ ფუნქციონირებს. სიტყვა მოტივირებულია მხოლოდ პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტით un- უარყოფის გამომხატველი პრეფიქსით.

ნაწილობრივ მოტივირებული (ნაწილობრივ გამჭვირვალე) სიტყვების მეორე ჯგუფში ერთიანდებიან ისეთი სტრუქტურები, სადაც ერთი კონსტიტუენტი თავისუფლად ფუნქციონირებად სიტყვას მხოლოდ ფორმოზოგრაფიულად შეესაბამება, მაგრამ არა სემანტიკურად, მაგ., სიტყვები: Handtuch ‘ხელსახოცი’ (რომლითაც არა მარტო ხელებს, არამედ სახესაც ვიწმინდავთ), Sattler ‘სარაჯი’ (ამზადებს არა მხოლოდ უნაგირს, არამედ ტყავის ქამრებსა და ჩანთებს), Tischler ‘დურგალი’ (ამზადებს არა მხოლოდ მაგიდებს, არამედ სხვა საგნებსაც), Geizkragen ‘მუნწი’, Großvater ‘პაპა’ და სხვ.

სრულად დემოტივირებული/იდიომატიზებული სიტყვებია, მაგალითად: Hochzeit, Zeitschrift, Schriftsteller, Löwenzahn, Maultasche, Grundstock, behaupten. იდიომატიზაცია დიაქრონიული პროცესია. კვლევამ გვიჩვენა, რომ ენობრივი პროცესი უკავშირდება სხვადასხვა მიზეზს. ამ მოვლენით კომპლექსური სიტყვის სემანტები კარგავენ სემანტიკურ კავშირს მარტივ სიტყვასთან, შესაბამისად თავისუფალ მორფემასთან. თუმცა მნიშვნელობის მქონე თავისუფალი მორფემა ჯერ კიდევ გვხვდება ენაში, ცალკეულ სტრუქტურაში კი შესაბამისი სემანტი სემანტიკურად გაუმჭვირვალეა (იხ. ვრცლად: Machwiladse: 2016). ასეთი სიტყვები თავისი ფორმალური კომპლექსურობის მიუხედავად სინქრონიული თვალთახედვით არამოტივირებულია.

ფლაიმერი (Fleischer 1976: 13) მოტივაციასა და იდიომატიზაციას შორის პოლარულობის საილუსტრაციოდ გვთავაზობს შემდეგ ნომინალურ სიტყვათა რიგებს, სადაც გარკვევით ჩანს მოტივირებულობის ხარისხის თანდათანობით შემცირება, შესაბამისად იდიომატიზაციის ხარისხის გაძლიერება, შდრ.:

Diskussionsbeitrag (სრულად მოტივირებული) – Morgenhimmel – Jahresdurchschnitt – Nachtarbeit – Großstadt (ნაწილობრივ მოტივირებული სტრუქტურები კლებადი ტენდენციით) – Augenblick (დემოტივირებული) ¹ (შდრ. ასევე: Naumann 2000: 37).

საინტერესოა ასევე ლოდეს (Lohde 2006: 28) მიერ წარმოდგენილი სიტყვათა რიგები მოტივირებულობის ხარისხის კლებით და შესაბამისი კომენტარებით, შდრ.:

Reitpferd – Flusspferd – Schaukelpferd – Steckenpferd;

Ohrring – Ohrmuschel – Ohrenschmaus – Ohrfeige;

Steinchen – Frühchen – Veilchen – Flittchen

წარმოდგენილი სიტყვებიდან სრულად მოტივირებულია Reitpferd ('ცხენი საჯირითოდ, საჭენებლად'), Ohrring ('საყურე' = რგოლი ყურისთვის), Steinchen ('პატარა ქვა, კენჭი'), რადგან კომპლექსური სიტყვის მნიშვნელობა გარკვევით შეიძლება გაიხსნას მისი შემადგენელი ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობის საფუძველზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოტივირებულია ისეთი სიტყვა, რომლის პარაფრაზირება არის შესაძლებელი. ნაწილობრივ მოტივირებულ სტრუქტურებში, როგორიცაა: Schaukelpferd ('ბავშვის სათამაშო ცხენი, რომელიც ირწყვავ'), Ohrenschmaus ('ისეთი რამ, რაც სასიამოვნო მოსასმენია'), Frühchen ('ადრე დაბადებული ბავშვი'), მხოლოდ ერთი კომპონენტია მეტ-ნაკლებად მოტივირებული. იდიომატიზებულ სიტყვებში გვაქვს სრული დემოტივაცია, სემანტიკური კავშირი სიტყვის მნიშვნელობასა და მისი შემადგენელი კონსტიტუენტების მნიშვნელობებთან საერთოდ აღარ შეიმჩნევა, შდრ.: Steckenpferd ('საქმიანობა ან თემა, რითაც ადამიანი სიამოვნებით არის დაკავებული'), Ohrfeige ('სილა, ლოყაზე ხელის გარტყმა'), Flittchen (მსუბუქი ყოფაცქევის ქალი') (იქვე: 29).

როგორც წარმოდგენილი ნიმუშების ანალიზიდან ცხადი ხდება, სამსაფეხურიანი სკალა ზუსტად ვერ ასახავს კომპლექსური სიტყვების მოტივირებულობის ხარისხს, განსაკუთრებით ეს ეხება ნახევრადმოტივირებულ სიტყვებს. ბარცი საუბრობს დემოტივირებული სიტყვების ორ ტიპზე: ისეთ კომპლექსურ სიტყვებზე, რომელთა ერთი უშუალო შემადგენელი ე.წ. უნიკალური მორფემა (Himbeere) და ისეთ სიტყვებზე, რომელთა ერთი კონსტიტუენტი თავისუფლად ფუნქციონირებად სიტყვას მხოლოდ ფორმოზომიერად, მაგრამ არა სემანტიკურად შეესაბამება (Schierling, Zeitung) (Fleischer/Barz 2012: 46).

ცნებების დემოტივაცია, იდიომატიზაცია, ლექსიკალიზაცია გამიჯვნა სპეციალურ ლიტერატურაში ცალსახა არ არის. მაგალითად, ლექსიკალიზაცია ლიპკას (Lipka 1977: 155; 1981: 120) განმარტებით არის მოვლენა, რომლის დროსაც კომპლექსური ლექსემების ხშირი ხმარების გამო ჩნდება ტენდენცია, რომ ასეთი შედგენილი სიტყვა გახდეს ერთი (მთელი) ლექსიკური ერთეული თავისი სპეციფიკური შინაარსით. ლექსიკალიზაციით შედგენილი სიტყვის სინტაგმატური ხასიათი მეტ-ნაკლებად იკარგება. იდიომატიზაციისა და დემოტივაციის მოვლენებს ლიპკა განიხილავს როგორც ლექსიკალიზაციის ასპექტებს.

გუენტერი (H. Günther "Lexikalisierung", წიგნში: Glück 1993, 363-364) კომპლექსურ სიტყვებში განასხვავებს შემდეგ ტიპებს: (1) უშუალო სიტყვებს (შედგენილი სიტყვები ან ფრაზეოლოგიზმები, რომელთა ანალიზი შესაძლებელია უნარჩუნოდ); (2) იდიომატიზებულ სიტყვებს (რომლებშიც კომპლექსური სიტყვის კონსტიტუენტების მნიშვნელობების ჯამი არ გვაძლევს სიტყვის მნიშვნელობას, მაგ. Handschuh - kein Schuh); (3) დემოტივირებულ სიტყვებს, (სიტყვები, რომლებიც სემანტიკურად და სინტაქსურად განუსაზღვრელ, მაგრამ სტრუქტურირებად უშუალო შემადგენელ ელემენტს შეიცავენ, Himbeere); (4) ისეთ კომპლექსურ სიტყვებს, რომლებიც ერთდროულად იდიომატიზებული და დემოტივირებულია, მაგ., Schornstein და befehlen (მაგალითები ავტორისაა) (შდრ. ასევე W. Eins წიგნში: Glück 2010: 398).

როგორც ზემოთ აღინიშნა, სეკუნდარული სიმპლექსების (არაბინარული სიტყვები) მნიშვნელობა განისაზღვრება ბაზისსა და პროდუქტს შორის არსებული მიმართების საფუძველზე. გერმანულ ენაში კონვერსიით ხდება არსებითი სახელების, ზედსართავი სახელების, ზმნების, ზმნიზედების წარმოება. შესაბამისად, კონვერსიის პროდუქტის ლექსიკური მნიშვნელობა მორფოსემანტიკურად მოტივირებულია კონვერსიის ბაზისის მნიშვნელობის მიხედვით (Fleischer/Barz 2012: 88), შდრ. Neu > der neue Schüler > der Neue, gut > der/die/das Gute, grün > grünen; reif > reifen.

4. დასკვნა

ამდენად, ნაშრომში შესწავლილია მორფოსემანტიკური მოტივაციის (გამჭვირვალობის) არსი და განხილულია მოტივირებულობა/მოტივაციის ფორმები გერმანულ ენაში. სრულად მოტივირებულ (მორფოლოგიურად და სემანტიკურად გამჭვირვალე) სტრუქტურებში ლექსიკური მნიშვნელობა ორივე უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტს აქვს შენარჩუნებული. საანალიზო სიტყვების მოტივირებულობის

¹ ავტორები ფლაიშერი და ბარცი საუბრობენ „მორფოსემანტიკურ მოტივაციაზე“ / „morphosemantische Motivation“ (Fleischer/Barz 1995: 15).

ხარისხი დადგინდა ლექსიკური მნიშვნელობისა და მოტივაციური მნიშვნელობის ურთიერთიმართების საფუძველზე. ნაშრომში განხილულია ისეთი შემთხვევები, როდესაც სინქრონიულ დონეზე სიტყვის სემანტიკური ანალიზი მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული, კომპოზიციურობის პრინციპის საფუძველზე ვერ ხერხდება. ნახევრად/ნაწილობრივ მოტივირებულობის შემთხვევები განხილულია ორი ტიპის სტრუქტურების მაგალითზე: სიტყვები, რომელთა ერთი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი უნიკალური ფსევდომორფემაა, და ისეთი სიტყვები, რომლებშიც ერთი კონსტიტუენტი თავისუფლად ფუნქციონირებად ლექსემას შეესაბამება მხოლოდ ფორმოზრივად, მაგრამ არა სემანტიკურად. განხილულია სრული დემოტივაციის/იდიომატიზაციის შემთხვევებიც. ასეთ სტრუქტურებში სემენტების მნიშვნელობასა და სიტყვის საერთო მნიშვნელობას შორის აღარ შეიმჩნევა სემანტიკური კავშირი.

ლიტერატურა:

1. Altmann, H. (2011): *Prüfungswissen Wortbildung* (3., durchges. Aufl.). Vandenhoeck & Ruprecht: Göttingen.
2. Barz, I. (2009): Die Wortbildung. In: Duden (Hrsg.), *Duden. Die Grammatik. Unentbehrlich für richtiges Deutsch*. 8., überarb. Aufl., Bd. 4. Dudenverlag: Mannheim et al. S. 634-762.
3. Barz, I./ Schröder, M./ Hämmer, K. / Poethe, H. (2007): *Wortbildung - praktisch und integrativ. Ein Arbeitsbuch* (4., überarb. Aufl.). Lang: Frankfurt a. M.
4. Duden (2001). *Duden: Deutsches Universalwörterbuch* (4., neu bearb. und erw. Aufl.), Dudenverlag: Mannheim, et al.
5. Duden (2007): *Das Herkunftswörterbuch. Etymologie der deutschen Sprache*. 4., neu bearb. Auflage. Hrsg. von der Dudenredaktion. B.7. Dudenverlag. Mannheim, Zürich.
6. Eichinger, L. M. (2000): *Deutsche Wortbildung. Eine Einführung*. Gunter Narr Verlag: Tübingen.
7. Fleischer W. (1976): *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache*. 4., durchges. Aufl. VEB Bibliographisches Institut: Leipzig.
8. Fleischer, W. / Barz, I. (1995): *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache*. Unter Mitarbeit von M. Schröder. 2., Aufl. Max Niemeyer: Tübingen.
9. Fleischer, W. / Barz, I. (2012): *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache*. 4. Aufl.; völlig neu bearb. von Irmhild Barz unter Mitarbeit von M. Schröder. De Gruyter: Berlin.
10. Glück, H. (Hrsg.) (1993): *Metzler Lexikon Sprache*. J.B. Metzler: Stuttgart et al.
11. Glück, H. (Hrsg.) (2010): *Metzler Lexikon Sprache*. (4., akt. und überarb. Aufl.). J.B. Metzler: Stuttgart et al.
12. Holst, F. (1974): *Untersuchungen zur Wortbildungstheorie mit besonderer Berücksichtigung der Adjektive auf -gerecht im heutigen Deutsch* (Unveröffentlichte Dissertation). Universität Hamburg, Zentrum für Sprachwissenschaft.
13. Käge, O. (1980): *Motivation: Probleme des persuasiven Sprachgebrauchs der Metapher und des Wortspiels*. Kümmerle: Göppingen.
14. Lipka, L. (1977): Lexikalisierung, Idiomatisierung und Hypostasierung als Probleme einer synchronischen Wortbildungslehre. In: Brekle, H. E. / Kastovsky, D. (Hrsg.), *Perspektiven der Wortbildungsforschung*. Bouvier: Bonn. S. 155-764.
15. Lipka, L. (1981): Zur Lexikalisierung im Deutschen und Englischen. In: Lipka, L. / Günther, H. (Hrsg.), *Wortbildung* (S. 119-132). Wissenschaftliche Buchgesellschaft: Darmstadt.
16. Lohde, M. (2006): *Wortbildung des modernen Deutschen. Ein Lehr- und Übungsbuch*. Tübingen: Gunter Narr.
17. Machwiladse, L. (2016): Demotivation, Desemantisierung, Idiomatisierung in der deutschen Wortbildung. In: Colliander, P. / Drumbl, H. / Höhmann, D. / Ivanenko, S. / Knorr, D. / Moraldo, S. (Hrsg.) *Linguistische Grundlagen für den Sprachunterricht*. Bd. 5. Konferenzbeiträge IDT 2013. ISBN, University Press: Bozen-Bolzano. S. 175-189.
18. Naumann B. (2000): *Einführung in die Wortbildungslehre des Deutschen*. 3. neubearb. Aufl. Max Niemeyer: Tübingen.
19. Oksaar, E. (1993): Zur Interpretationsstruktur deutscher Komposita. In: Heringer, H.J. / Stötzel, G.S. (Hrsg.) *Sprachgeschichte und Sprachkritik*. Festschrift für P. von Polenz zum 65. Geburtstag. Walter de Gruyter: Berlin, et al. S. 204-218.
20. Schippan, Th. (2002): *Lexikologie der deutschen Gegenwartssprache*. (2.Aufl.). Niemeyer: Tübingen.
21. Saussure, F. de (1931/2001): *Grundfragen der allgemeinen Sprachwissenschaft*. (Bally, C. / Sechehaye, A. Hrsg., Lommel H., Übers., 3. Aufl.). de Gruyter: Berlin, et al.
22. Wellmann, H. (1998): Die Wortbildung. In *Duden*: Bd. 4. *Grammatik der deutschen Gegenwartssprache* (6., neu bearb. Aufl.). Dudenverlag: Mannheim. S. 408-557.
23. Wurzel, W. U. (1984): Zur Dialektik im Sprachsystem. Widerspruch - Motiviertheit - Sprachveränderung. *Info DaF. Informationen Deutsch als Fremdsprache*, 21, 202-211.

Lela Makhviladze
Gori State Teaching University
MORPHOSEMANTIC MOTIVATION IN COMPLEX WORDS
RESUME

The work deals with essence of morphosemantic motivation (transparency) and discusses the forms of motivation in German. In fully motivated (morphologically and semantically transparent) structures, the lexical meaning is retained by both immediate constituents (Wohnzimmer, Hundeleine). Cases of semi / partial motivated words are discussed in the example of two types of structures: words in which one constituent is a cranberry-morpheme (Unflat, Maultier), and words in which one constituent corresponds to a free functioning lexeme only formally but not semantically (Geizkragen). In the work forms of complete demotivation / idiomatization are also discussed (Hochzeit, Ohrfeige).

ნათელა მელიქიძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეპითეტური სახელები და კვაზიონიმები

1. მეტსახელებისაგან ცალკე ჯგუფს ქმნის **ეპითეტური სახელები**, რომლებსაც მეცნიერთა ერთი ნაწილი „ეპითეტური მეტსახელები“ უწოდებს. „ონომასტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში მეტსახელად განიხილავენ ორკომპონენტიან ანთროპონიმულ ფორმულასაც, რომელშიც ერთ-ერთი კომპონენტი სახელსადები პიროვნების საკუთარი სახელია, ხოლო მეორე გრამატიკულად წარმოადგენს მსაზღვრელ სიტყვას, ეპითეტს, რომელიც შეიცავს ამ პიროვნების დახასიათებას რაიმე ნიშნით და, მაშასადამე, წარმოაჩენს სახელმდების ნეიტრალურ პოზიციასაც და ემოციურ-შეფასებით დამოკიდებულებასაც, კერძოდ, მოწიწება-პატივისცემას (იშვიათად), ირონიას - მსუბუქ გაკენწვლას, დაცინვა-გაკიცხვასაც და სიძულვილსაც კი“ (ცხადაია, 2005: 156). „ზუსტი ტერმინის უქონლობის გამო ორკომპონენტიან სახელდებასაც შეიძლება მეტსახელი, ოღონდ ეპითეტური მეტსახელი ვუწოდოთ, - წერს პ. ცხადაია და აზუსტებს: მეტსახელურ შინაარსს შეიცავს მხოლოდ მსაზღვრელი კომპონენტი, ძირითადი კომპონენტი კი პირსახელია“. მეცნიერი ეპითეტის ერთ-ერთ დანიშნულებად ერთნაირი სახელების მქონე პირთა, ანუ სეხნიების, ერთმანეთისაგან გარჩევას მიიჩნევს (ცხადაია, 2005: 157). ამისი მაგალითია სოფელ ანდრიაწმინდაში (ახალციხის მუნიციპალიტეტი) დაფიქსირებული „ჩიტრვასო“ - სხვა ვასოებისაგან გასარჩევად შერქმეული სახელი.

ქ. გოდერძიშვილი მიჯნავს ეპითეტურ სახელს მეტსახელისაგან. მისი აზრით, თუ გავაცნობიერებთ ტერმინის „ეპითეტური სახელები“ კომპონენტებს, ეპითეტი ერთვის პირის ნამდვილ სახელს და არა მეტსახელს, მაგრამ რადგან თვით ეპითეტი იქცევა დამხმარე საინდენტიფიკაციო საშუალებად, ონიმად, ბუნებრივია, სწორედ ეპითეტს აღიქვამენ მეტსახელად, ეპითეტური საკუთარ სახელს კი მეტსახელიან სახელად, სიმარტივისათვის მეტსახელად (გოდერძიშვილი, 2012: 393). მართლაც, **ქოჩო ნუგზარას, ოსტატი გოგას, ტარიელ ექიმის, ლია მასწავლებლის, ჟუკა დირექტორის, ცაცვი ნაზოს, წუწკი ტასოს, გელო ილუშას...** შემთხვევაში სახელდების კომპონენტებს შორის არც პირველია მეტსახელი და არც - მეორე.

ეპითეტური სახელები, მეტსახელების მსგავსად, ინფორმაციული სახელებია, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტად სემანტიკაგამჭვირვალე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში დადასტურებული ეპითეტური სახელები მიგვანიშნებს დენოტატის:

ა) ხასიათს/ქცევას: **შიტლიკინე თალიკო, გიჟი ესმა, ქოსა მიტო, მაჩვი დათიკო, ყვინჩიპეტე, მგელი რეზო, ფათა ლევანა, პირღია სერგო, კალია ჟორა, მათრახა მარუსა, ბატია ელე, კუსკუსა ლენა;**

ბ) გარეგნობას: **წერო ვანო, რიჟა ვახო, თუჯი კაკო, ხარი გოგია, კუნთო მერაბა, აყირო აბე, ჩანგა რობიზონა, ცხვირა ლეილა, ქურთო შალიკო, ქაჩლი კაკო, ყარა მიშა;**

გ) ფიზიკურ ნაკლს: **კოჭლი სარიდანა, ტაკვი პალე, ტარუკა დათიკო, ბლუ გიგო, ბრმა იაგორა, ყრუ ვანო;**

დ) საქმიანობას: **ფოშტი კოლა, ოსტატი გოგა, რეზო ბუღალტერი, მზია დამლაგებელი;**
ე) წარმომავლობას/სადაურობას: **სომხი გოგია, რუსი ნინა;**
ვ) წინაპრის ზედმეტ სახელს, რომელთანაც მიმართებით წარმოჩნდება დენოტატი: **ქოჩო ნუგზარა, თოხლო მიშა, ბაბლე თამარა, მარფა ნანო, ჩიჩიკა რეზო, ბაჩიას სოსო, უჭმელას ვასო, ქვაბთიხევის ნინა.**

II. მეტსახელებისაგან განსხვავდება **კვაზიონიმებიც** („ვითომ ონიმი“), „ისეთი სიტყვები და შესიტყვებები, რომელთა ონიმობას განაპირობებს მხოლოდ ფუნქცია“. ამ საკითხს ეხება ქ. გოდერძიშვილი ქართული მწერლობის პერსონაჟთა საკუთარი სახელების სისტემური შესწავლისას (1990 წ. დისეტაცია). მანამდე ქართულ ანთროპონიმიაში ამ ტიპის აღმნიშვნელობისათვის საგანგებო ყურადღება არავის მიუქცევია. კვაზისახელები „ერთი მხრივ, ასრულებენ ანთროპონიმის ფუნქციას, აღნიშნავენ გარკვეულ პირს (სამისამართო ფუნქცია), მეორე მხრივ, მათი ანთროპონიმობა მოჩვენებითია, რასაც ტერმინის კომპონენტად წარმოდგენილი კვაზი (კვაზი = ვითომ) ადასტურებს“ (გოდერძიშვილი, 2012: 280).

იმას, რასაც ქ. გოდერძიშვილი კვაზიონიმებს უწოდებს, რუსი მეცნიერები სხვადასხვა ტერმინით გამოხატავენ: „საკუთარ სახელთა ეკვივალენტები“ (ტაიჩი), „საკუთარ სახელთა პერიფრასტული შემცველები“ (მაკაროვა), „საკუთარ სახელთა კონტექსტუალური ეკვივალენტები“ (ველმეშევა) (გოდერძიშვილი, 2012: 286).

იმოწმებს რა ლუის მორგანს, რომელიც ასეთ სახელებს „საკუთრივ აპელატივებად“ მოიხსენიებს: „სახელები, წარმოდგენილი აპელატივთა შეუცვლელი ფორმით“ (მორგანი, 1934: 47), ქ. გოდერძიშვილი ფიქრობს, რომ კვაზიონიმი რქმევის თავდაპირველი ვარიანტი იყო, რომელიც ან აღწევდა საკუთრივ ანთროპონიმამდე, ან რჩებოდა წინა ეტაპზე (კვაზიონიმი > მეტსახელი > საკუთრივ ანთროპონიმი).

რა განაპირობებს კვაზიონიმთა ცალკე ჯგუფად გამოყოფას, მეტსახელებისაგან განცალკევებას? ქ. გოდერძიშვილი აღნიშნავს, რომ კვაზიონიმთა მეტსახელებად მიჩნევას ხელს უშლის მათივე ფორმა: „მეტსახელი ონიმია, მაგრამ ზედმეტი, კვაზიონიმები კი არ წარმოადგენენ ტიპურ სახელებს მათი არაანთროპონიმული ფორმის გამო, მათს ანთროპონიმობას განსაზღვრავს მხოლოდ სახელდების ფუნქცია, რაც მათ არ აქცევს ანთროპონიმულ მოდელად, მაგრამ აქცევს დენოტატის მარკირების ერთ-ერთ საშუალებად - კვაზი სახე ლად“ (გოდერძიშვილი, 2012: 288).

კვაზიონიმებით მდიდარია ქართული მწერლობა. ქ. გოდერძიშვილი ასახელებს უამრავ მაგალითს, როგორც ძველი, ისე უახლესი ლიტერატურიდან: **კაცი ერთი სპარსი, ჯოჯიკის ცოლი, დედაკაცი სიძვისაი, წიწოლას დედა, ხვარაზმშას ძე, ოთარაანთ ქვრივი, განდეგილი, თავსაფრიანი დედაკაცი, ცოცხალი ენციკლოპედია; კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა და ა.შ.**

ქ. გოდერძიშვილის მიერ რეალურ ყოფაში დადასტურებული კვაზიონიმებია: **ბელლის თავვი (პატარა ტანის კაცი), აფთიაქის გველი, სტამბოლის კაჟი, მიწის დრელე, უსუნო ყვავილი, ორჯერ გიჟი, კეთილი დევი...**

კვაზიონიმები საზოგადო სახელთაგან იმით გამოირჩევა, რომ „სახელდების ფუნქციითაა დატვირთული“. ჯიბის საათი მსაზღვრელ-საზღვრულია, რომელიც საათის გარკვეულ სახეობას აღნიშნავს (შდრ. კედლის საათი, მაჯის საათი), მაგრამ როცა ის კონკრეტულ ადამიანს მიემართება და მიგვანიშნებს - თითქმის ჯიბეში ჩაგეტევო, - კვაზიონიმთა ჯგუფში გადადის. ასპინძის მუნიციპალიტეტში დაფიქსირებული **ჯიბის საათი** გარეგნობის გამომხატველი კვაზიონიმია.

საქართველოს მთიანი რეგიონების, სამეგრელოსა და აფხაზეთის მსგავსად, მესხეთშიც გავრცელებული სახელთა ტაბუ ოჯახის წევრების მიმართ (**ქალი, ჩემი მული, ჩემი მაზლი, ჩემი მოხუცი...**¹) სხვა არაფერია, თუ არა კვაზიონიმები, რომელსაც დეპენდენტი საკუთრივ ანთროპონიმის ნაცვლად იყენებს. გარდა ამისა, ანთროპონიმს ენაცვლება კვაზიონიმებად გამოყენებული მიმართვის ფორმაც (**ქალო, ჩემო მულო, ჩემო მაზლო, ვარდო...**). ასპინძის მუნიციპალიტეტში მოპოვებული მასალიდან:

1) გარეგნობის გამომხატველი კვაზიონიმებია: **ნამყენი ჭიანჭველა** (დიდთავა), **გაწუწული ვირთხა** (გამხდარი, წვრილი, გამწლეული), **ბეხეხი ქალი** (ზორბა, ტლანქი), **შავი ბიჭი, შავი ქალი (მეტისმეტად შავი), ბელადი (სტალინივით დიდ უღვაშებს ატარებდა), რიჟა კაცი (ქერა); კვირტი გორგალი** (დაბალი და მსუქანი. შდრ. კვირტა - გურ. ქიზიყ. დაბალი ტანის კაცი; პატარა ტანის ჩასკვნილი ადამიანი (ლლონტი, 1984: 288); გადატ. იტყვიან ადამიანზე, რომელიც უშნოდ ჩასუქებულა (ბერიძე, 1981: 72).

2) შინაგანი ბუნების მიმანიშნებელია: **ციცხვი ნატეხი** (ჯიუტი);

3) საქმიანობის გამომხატველი კვაზიონიმია: **უსტა პაპა** (ოსტატი).

¹ რძალი ოჯახის უფროსების სახელს არ ახსენებდა. მუღს „ქალოს“ ან „ჩემო მუღოს“ ეძახდა, მაზლს „ჩემო მაზლოთი“ მიმართავდა. ხანდაზმული ცოლი ქმარს გარდაცვალების შემდეგაც სახელით არ მოიხსენიებდა, „ჩემი მოხუციო“, - იტყოდა.

4) თითქმის ყველა სოფელში დაგვისახელეს „კუთვნილებითი მიმართების გამომხატველი“ კვაზიონიმები, რომელშიც „ფუნქციონირებს საკუთარი სახელი, მაგრამ არა მოცემული პერსონაჟის სახელი (ჩვენს შემთხვევაში - დენოტატის), არამედ იმისი, ვისთან მიმართებითაც არის წარმოდგენილი“ (გოდერძიშვილი, 2012: 306). ახალციხეში პატარა გოგო „თონას დედას“ ეძახდა მეზობელს, ასეც მიმართავდა პირად საუბარშიც. გ. ხორნაული გუდამაყარში ადასტურებს ოჯახის დედისადმი დავაჟკაცებული შვილის სახელით მიმართვას: სოფ. მაქართაში ვასიკო წიკლაურის დედას, მაშოს, ყველა ეძახდა „ვასიკას დედას“, განსაკუთრებით, ვასიკას თანატოლი ახალგაზრდები (ხორნაული, 2003: 228). სატელევიზიო გადაცემაში მსახიობ დოდო (დავით) აბაშიძის შვილმა, პროფესორმა ზაზა აბაშიძემ, განაცხადა, ახლაც ყველა დოდოს ბიჭს მეძახისო. მ. კემულარიას პირის სახელთან ერთად ნაწარმოებ ტოპონიმებში დასახელებული აქვს „მექოს ცოლის ჩამონაჭერი“; ინფორმატორის განმარტებით, მაროს, მექო მაისურაძის ცოლს, სოფელში სეხნიებისაგან გამოსარჩევად მექოს ცოლს ეძახდნენ (კემულარია, 2007: 79). ასპინძის მუნიციპალიტეტში აღნიშნული ტიპის კვაზიონიმებია: სამსონიენტ ბიჭი, ღიტო ქალი (ზველი), ილოს გოგო, კუჭუნთ ობოლი, წუწკ ტასოს თორუნი, მურემას ბიჭი, ბეხეხი ქალის გოგო, მიტო ბიჭი, ბაბლე ქალი, გოგიას ბიჭი, ყაყაჩოს ასული, კაკაჩა ქალი (აწყვიტა), ჭაჭოს ბიჭი, ათამიშას რძალი, ხოსროს შვილიშვილი, შაკიტოს მამა, ზურას ლედი, ქურთოს შვილიშვილი, ჟუკას სიძე, ხრიას ქალი, ოქოს ქალი, ფაცას ბიჭი, ცრუს ქალი, ჰასანას ქალი, ნარიმანას შვილიშვილი (ტოლოში), გელი რეზოს შვილიშვილი, ყოჩოს შვილი, ტობულას შვილი (სარო), თომას სიძე, ნუშას რძალი, ციურას გოგო, სოსოს შვილი (ჭობარეთი), მექოთ მახინჯი (ხიზაბავრა).

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ (XVI ს.) ხარკის გადამხდელთა ნაწილი დაფიქსირებულია პაპისახელობით: ზოსიმას შვილიშვილი (ჯიქია, 1941: 135), მანდოს შვილიშვილი (იქვე, 183), ნოდარას შვილიშვილი (გვ. 178), ძამაგულის შვილიშვილი (გვ. 176), ღვინიას შვილიშვილი, აზარაის შვილიშვილი (გვ. 133), როსებას შვილიშვილი (გვ. 185), შავგურაზის შვილიშვილი (გვ. 133)... ესაა ოფიციალურ დოკუმენტში პიროვნებათა მარკირების საშუალება, რაც უდავოდ კვაზიონიმებია.

ლიტერატურა:

- ბერიძე, 1981 - გ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1981.
- გოდერძიშვილი, 1990 - ქ. გოდერძიშვილი, პირის საკუთარი სახელი ქართულ მხატვრულ თხზულებებში (V ს-დან XX ს-ის 30-იან წლებამდე), დისერტაცია, 1990.
- გოდერძიშვილი, 2012 - ქ. გოდერძიშვილი, ქართველური ანთროპონიმის ძირითადი საკითხები, თბილისი, 2012.
- კემულარია, 2007 - მ. კემულარია, სინონიმურ ტოპონიმთა მოტივაციის საკითხისათვის, ქართველური ონომასტიკა, III, 2007.
- ღლონტი, 1984 - ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.
- ცხადაია, 2005 - პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, თბილისი, 2005.
- ხორნაული, 2003 - გ. ხორნაული, ქართული ონომასტიკა, 2003.
- ჯიქია, 1941 - ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თარგმანი, თბილისი, 1941.
- Morgan, 1934 - Morgan Люис, Древнее общество, 1934.

Natela Melikidze

Samtskhe-Javakheti State University

THE NAMES WITH EPITHETS AND QUAZONYMS RESUME

The names with epithets create another group, which are called epithetian nicknames by some linguists. K. Goderdzishvili prefers to merge the name with epithet from nicknames considering that if we recognize the components of the term “names with epithets”, an epithet adds to the real name of a person and not to a nickname, but as the epithet itself becomes an auxiliary identifying instrument, naturally, the epithet is recognized as a nickname and not as the proper name with the epithet. It is a simple way. The names with epithets evidenced in Aspindza municipality show the qualities of denotata: a) temper, habits (*shitlikine taliko, mgeli rezo, fata levana, matrakha marusa*). b) appearance (*wero vano, tija vaso, khari gogia*); c) physical defects (*kochli saridana, takvi paavle, blu gigo, brma iagora*); d) job (*poshti kola, ostati goga*); e) origin (*somkhi kola, rusi nina...*); f) a nickname of a parent/ancestor/any relative in relation with whom the denotata is perceived (*bachias soso, qvabtikhevis nina...*).

While studying the proper names of the Georgian literature personages, K. Goderdzishvili (Dissertation, 1990) marked out some names which she called quazionyms (“improvised names”) which means “such words and word combinations which are onyms only by their function.” Earlier that no attention paid to the connotations of such type in Georgian anthroponymy. Quazionyms “from one hand function as anthroponyms denoting a certain person (addressing function) and on the other hand their anthroponymy is not real which is shown by the component of the term “quazi”(K. Goderdzishvili).

Quazionyms are distinguished from the common names by their function of naming: e.g. **Jibis saaTi – a watch, a pocket watch** - is a pair where we have an attribute and a main word, denoting a kind of watch (a watch or a pocket watch - comp. with a clock). But when this word relates to a person it hints that this person is physically so small that can be placed in a pocket like a watch, it goes to the group of quazionyms. Such pair is fixed in the speech of Aspindza municipality inhabitants as a quazionym pointing to a person's appearance.

In Aspindza municipality we met such quazionyms as: 1. denoting appearance (**namKeni yianyvela – namkheni chianchvela – a small man with a large head**); **gawuwuli virTxa – a wet rat – thin, ugly looking**); 2. denoting character, temper (**cicxvi natexi - cickhvi natekhi – stubborn**); 3. denoting a job (**usta papa – usta papa (old master hand)**); 4. We heard the quazionyms denoting “parental relations, belongings” almost in every village of Aspindza such as: **ilos gogo, kuchount oboli, samsonient bichi, kakacha qali, tomas sidze, meqot makhindgi**.

ომარ მეშიშიში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფორმალური მეტყველების ნაწილები სარგულში – I

ერთი მხრივ, ზმნიზება ფორმალური მეტყველების ნაწილია და გააჩნია მთელი რიგი მორფოლოგიური მახასიათებლები (შანიძე, 1953: შალამბერიძე, 1959: 43), მეორე მხრივ, ზმნიზება ზმნის ატრიბუტივია, რომელსაც ბრუნვით ფორმებიც გააჩნია და ის უნდა გაერთიანდეს სახელების კლასში (გაბუნია, 1993:67). თუმცა ზმნიზება, როგორც ბრუნვის პარადიგმიდან გამოსული სახელი, სინტაქსური კვალიფიკაციის საგანი შეიძლება იყოს (უთურგაძე, 1986:117).

ზმნიზებების ანალიზი ემყარება სტრუქტურას, შინაარსს და ფუნქციას. სტრუქტურულად ზმნიზებები იყოფა ორ კლასად: ძირეული და წარმოქმნილი. ძირეული ზმნიზებები უძველეს ლექსიკურ ფონდს ეკუთვნის და აშკარაა მისი კავშირი ნაცვალსახელურ ძირებთან, ზმნისწინებსა და თანდებულთან.

პირველადი ზმნიზებების შედარებით მცირე რაოდენობითაა, წარმოქმნილი უფრო მრავალფეროვანია და იწარმოება სუფიქსებით, ბრუნვის ნიშნებითა და კომპოზიციით (მარი, 1910:39, ლომია, 2006:).

სარგის მეტყველებაში ძირეული, პირველი ადგილის ზმნიზებები წარმოდგენილია ორი ძირითადი ჯგუფით: 1. ზმნიზებები, რომელთა ძირეული მასალა საზიარო აქვთ თანდებულებთან და ზმნისწინებთან (მარტიროსოვი, 1946:155). 2. ხმოვანსართული ზმნიზებები (ფოჩხუა, 1958:80-84).

პირველი ჯგუფის მარტივი ზმნიზება **ჟინ** „ზევით“ ქართული -ზე ელემენტის (ზმნიზებებში ზედა, ზევით, ზე თანდებული) შესატყვისია:

ჭურუნი -თი გზას **ჟინ** დენ (ჩიქოვაძე, 1929:5) ფურნეც გზის ზემოთ არის; **ჟინ** გზას კულანი გეხენ (კარტოზია, I:62) ზევით გზაზე გოგო ზის; **ჟინ** დოდანი ვარ გემოთუნ (სარგ., 2015:623) ზედ საბანი არ მახურავს; ქიბოლი დო ბერე მუმი ცხენის ჟინ გეხეტეს (კაკაბაძე, 2018:25) ქმარი და მისი შვილი ცხენზე იჯდნენ.

მარტივი ზმნისწინებია **თუდე** „ქვევით, ქვემოთ, ქვეშ“:

თუდე ვა გეხთუ (კარტოზია, I, 22) ქვევით არ ჩავიდა;

თუდე გოლი გედგიტუ (კაკაბაძე, 2018:121) ქვემოთ ტბა იდგა; მზოლაში **თუდე** არ ოხოი ტეენ (ნარაკიძე, 2015:146) ზღვის ქვეშ ერთი სახლი ყოფილა; თუდე ქოდოდვი (ჩიქობავა, I:9) ქვევით დადევ; კას თუდე მინ (კარტოზია, I:34) კლდის ქვეშ დევს.

მარტივი ზმნიზედაა **მენდრა** „შორს“: მენდრა ქდომენ მოფთი (კარტოზია, I:65) შორი სოფლიდან მოვედი; პაპულიმუშიშენ **მენდრა** ტუ (ლექსიკონი, 515) ბაბუამისისგან შორს იყო; მენდრა იგზალეს (კარტოზია, I:28) შორს წავიდნენ.

ხმოვანსართულ ზმნიზედებს საერთო ძირი აკავშირებთ ჩვენებით ნაცვალსახელებთან: აქ „აქ“, ექ „იქ“, აშო „ასე“, „აქეთ“ ეშო „ისე, იქეთ“. აქ, ექ ზმნიზედებში გამოყოფენ ძირეულ ქ მორფემას (ჩიქობავა, 1939:194, თოფურია, 1941:194), ხოლო ა პრეფიქსი პირველ პირთან საგნის სიახლოვის გამომხატველია, ე კი გამომხატავს მესამე პირთან სიახლოვეს (კიზირია, 1982: 233).

აქ ჩოხანიში ოხორი რენ (კარტოზია, I:69) აქ მწყემსის სახლია; **აქ** თოფუი ვა რენ-მა (ასათიანი, 1974:29) **აქ** თაფლი არ არისო; სივთე **აქ** ქდოი რტერენ (ჩიქ. I:29) წინათ აქ სოფელი ყოფილა; აქ დოლოვობლათ-მა აქ ჩავყაროთო (სარგ. 665) ექ დოტკობუ (ჩიქ. I:31) იქ დაიმალა; ექ ვანალუ (კარტოზია, I:90) იქ ვერ მივიდა; ექ ქომეოკი ეშელი (ასათიანი, 28) იქ დავაბი ვირი; ექ კოჩი დიჭვენმა (ნარაკიძე, 145) იქ კაცი დაიწვებაო.

მეტყველებაში დასტურდება ქ-გ ფონეტიკური პროცესიც: **ეგ** ვა ძეხტა (სარგ. მეტყ.) იქ არ ახვიდე; **აგ**-თი ვარ ტუ (სარგ. მეტყ.) აქაც არ იყო.

აშო „ასე, აქეთ“, **ეშო** „ისე, იქეთ“ ზმნიზედებისათვის პირველადია ადგილის გამომხატვა, ხოლო მეორეული – ვითარებითის მნიშვნელობისა:

აშო მუჭო იყვენ (ჩიქ. I:12) ასე როგორ იქნება; **აშო** იდია დო დოხთოი ქომეგაგენ-მა (კარტოზია, I:10) ასე წადიო და ექიმი შეგხვდებო; **აშო** ბელას ქოდოლოლუ (ნარაკიძე, 140) ასე შარში გაეხვა (ჩავარდა); ჩქინ **ეშო** ადეთი მიღუნან (კაკაბაძე, 99) ჩვენ ისე ადათი გვაქვს; **ეშო** დოთქვაფუ (კარტოზია, 90) ისე ათქმევინა ეშო თქვეს (ჩიქ. I:22) ისე თქვეს.

შ. ლომაიას დაკვირვებით, უწყებული ზმნიზედები ადგილის ფუნქციით იშვიათად დასტურდება.

მეგრულსა და ლაზურში ზმნიზედის წარმოქმნა ხდება სხვადასხვა საშუალებებით: წარმომქმნელი სუფიქსებით, ბრუნვის ნიშნებით, კომპოზიციით. სარგულში წარმოქმნილი სუფიქსებია: **ლე, დო, დონ.** მეტყველებაში ხშირია ფორმები, რომლებშიც ერთდროულად წარმოდგენილია **ლე, დონ, დო** და ელემენტები სხვადასხვა მიმდევრობით (ლ/მ. გრამ., 2015:697). ერთი მხრივ, გვაქვს **ჟილე** „ზემოთ, ზევით“, **ჟილენდო/ჟილენდონ** „ზემო, ზემოდან, ზემოთკენ“ და მეორე მხრივ, **ჟინდოლე, ჟინდოლენ** „ზემოთ, ზემოდან“ ზმნიზედები.

მციაჲ **ჟილე** ელახთა-ში... (ჩიქ. 114) ცოტა ზევით რომ ახვალ...; **ჟილე-წალე** მოთ გულუ (კაკაბაძე, 1991) ზევით-ქვევით რატომ დადიხარ; წოხლე ქდოი **ჟილე ტერენ** (სარგ. მეტყ.) ძველად სოფელი ზემოთ ყოფილა.

ჟილენდო ელახთუ (ჩიქ. 127) ზევითკენ წავიდა; ბაბა-მუში **ჟილენდონ** ნოტკობუტუ (ჩიქ. 76) მამამისი ზემოდან უთვალთვალედა, ჟინდოლენ ასტომეტეს (კაკაბაძე, 123) ზემოდან ესროდნენ.

გალე „გარეთ“, **გალენდო/გალენდონ** „გარედან ზმნიზედებში გამოყოფენ გ მორფემას, ქართული გ-ს (გარეთ) ძირეული მორფემის შესატყვისის (გაბუნია, 1993:77).

გალენდო მსიჯი გოკინს (ჩიქ., 115) გარედან სურო ახვევია, ხელები **გალე** ქაგამახთუ (სარგ. 629) გახარებული გარეთ გამოვიდა; **გალე** ვა გეხეტან (ასათიანი, 61) გარეთ არ ისხდნენ; **გალენდო** ვოწკეტი (კარტოზია, 122) გარედან ვუყურებდი.

სარგულში **მელე** „გაღმა“, **მოლე** „გამოღმა“ ზმნიზედებში **მე** და **მო** იქეთა და აქეთა მიმართულების ზმნისწინებია.

ღალიშ **მელე** – სარგულეფე, **მოლე** – მაკრიალურეფე (ჩიქ. III:262) ღელის გაღმასარგელები, ღელის გამოღმა-მაკრიალელები; **მელე** დო **მოლეთი** ნათესავეფე მიყოონან (სარგ. მეტყ.) გაღმა და გამოღმაც ნათესავები გვყავს.

მეტყველებაში გვაქვს **დო** ელემენტით გართულებული ფორმებიც: **მელენდო** „გაღმა, გაღმით, გაღმიდან“, **მოლენდო** „გამოღმა, გამოღმით, გამოღმიდან“:

ჟინ **მელენდო** სირთი გოლაძინ (ლექსიკონი, 404) ზევით გაღმა გორაკი ძევს; **მოლენდო** დიდო მეივეფე რენ (სარგ. მეტყ.) გამოღმა ბევრი ხილია.

ლე და **დო/დონ** სუფიქსებით წარმოდგენილია **თუდელე, თუდენდო/თუდენდონ** „ქვემოთ, ქვემოდან“, ზმნიზედებიც:

კუი დოგინთხორუს ნეკნაშ თუდელე (კარტოზია, I:56) ორმო გაგითხარეს კარს ქვემოთ; თილქიქ **თუდენდო** ნთხორუ (ჩიქ. 36) მელამ ქვემოდან თხარა; **თუდენდონ** ქეშახთი (სარგ. მეტყ.) ქვემოდან ამოდი.

დასტურდება წალე/წალენდო „ქვემოთ, ქვემოდან“ ზმნიზედები:

ხოჯაქ ჭურუნი **წალენდო** გოქთუ (ჩიქ.6) ხოჯამ ფურნე ქვემოთკენ შეაბრუნა; ეძლუდი დოყვი დო გზაშ **წალე** ისთოლია (ასათიანი, 208) სიკეთე ქენი და გზის ქვემოთ ისროლეო.

მეტყველებაში ხმოვანსართული ზმნიზედებსაც ერთვის **ლე** და **დო(ნ)** სუფიქსები:

ექოლე მენდაწკედუ (კარტოზია, 112) იქეთ **გადახედა**; **ექოლე** იქთუ, **აქოლე** იქთუ (კარტოზია, 34) იქეთ იტრიალა, აქეთ იტრიალა; **აქოლენდო** გოჭკიდო იკითხი (ჩიქობავა, 122) აქედან დაიწყე და იკითხე; **ექოლენდონ** დიდო კოჩი მულუნ (სარგ. მეტყ.) იქიდან ბევრი ადამიანი მოდის.

სუფიქსური ზმნიზედები იწარმოება -ხ/ხე ელემენტებით: **დოლოხე**, **დოლოხენდო(ნ)** „შიგნით, შიგნიდან“. გამოიყოფა **დოლო**, რომელიც დასტურდება მიმართულების გამომხატველ ზმნისწინებში (გარედან შიგნით), ზემოდან, ქვემოთ (მემიშიში, 2014:8).

კოლი გულუნ ყონაში **დოლოხე** (ჩიქ. III:261) კალია დადის ყანის შიგნით; კულანი ქონაშქვეს ოხოში **დოლოხე** (კარტოზია, 67) გოგო დატოვეს სახლის შიგნით; ნეკნა **დოლოხენდო** გუინწვენ (სარგ. მეტყ.) კარი შიგნიდან იღება; **დოლოხენდონ** არ სესი შიგნუ... (ჩიქობავა, 47) შიგნიდან ერთი ხმა გაიგონა.

ოკვაჩხე/ოკვაჩხენდონ „უკან, უკნიდან“.

მანთი **ოკაჩხე** გეგათხოზეფ-მა (ჩიქოვანი, 6) მეც უკან გამოგვიდებო; **ოკაჩხენდო** გაათხოზუ (ჩიქოვანი, 6) უკნიდან გამოვიდა.

ოკვაჩხეს ზოგჯერ დროის ზმნიზედის გამოხატვა შეუძლია: **ოკვაჩხე** მანთი ქომოულუ (სარგ. მეტყ.) შემდეგ მეც მოვალ.

წოხლე, **წოხლენდო(ნ)** „წინ, წინიდან“:

წოხლე მოწიფხერი ხჩე ცხენი დგიტუ (კარტოზია, 59) წინ შეკაზმული თეთრი ცხენი იდგა; **წოხლენდო** კაი იძირეტუ (წინიდან კარგად ჩანდა).

წოხლეს დროის გაგებაც აქვს: **წოხლე** ბერეფექ დიდო ვისთერტით (სარგ. მეტყ.) წინათ, ადრე ბავშვები ბევრს ვთამაშობდით.

სარფულში წარმოქმნილი ზმნიზედა ჩანს **მეკა** „იქეთ“, **მოკა** „აქეთ“, რომლებიც შეესატყვისება ქართულ გადა- გადმო- დაბრკოლების გადალახვის ზმნისწინებს: ნოდის ართიკათის მეკა-მოკა გაბირტუს (სარგ. მეტყ.) ნადში ერთმანეთს იქეთ და აქეთ ეშაირებოდნენ.

ხოლოს „ახლოს“ „ენაცვლება ნასესხები სიტყვები ძანი „ახლოს, გვერდით“, ძაქინი „ახლოს“, რომლებიც ადგილს ზმნიზედით გამოიყენება მიცემითი და მიმართებითი ბრუნვის ფორმებით: ოხოში ძანის ბაგენი დგიტუ (სარგ. მეტყ.) სახლთან ახლოს ნალია იდგა. ძაქინიშა ნა მეხთუ, ექ მითი ვა რტუ (სარგ. მეტყ.) ახლოს რომ მივიდა, იქ არავინ იყო.

სარფის თქმაში **შქა** „შუა, წელი“ ზმნიზედა უფრო მეტად მეორე ფუნქციით (წელი) გამოიყენება, შუას მნიშვნელობით დასტურდება: ოხორ-შქა-გური „სახლის შუა გული; მაჟურანი – შქაში ოდა (ჩიქ. 147) მეორე შუა (შუის) ოთახი.

დამორებით ბრუნვაში დასმული ზმნიზედები გამოხატავენ მნიშვნელობას „საიდან“: ჟინშენ/ჟილეწენ/ჟინდოლეშენ „ზემოდან, თუდეშენ „ქვემოდან“, დოლოხეშენ „შიგნიდან“, წოხლეშენ „წინასწარ“, მენდრაშენ „შორიდან“.

მიმართებითი ბრუნვის ფორმებით გამოხატული ზმნიზედები: ჟინშა „ზემომდე“, ჟილეშა „ზევით“, წალეშა „ქვემომდე“, ძანიშა „ახლომდე“.

მეტყველებაში აფიქსური და ბრუნვის ნიშნით წარმოქმნილი ზმნიზედების გარდა გვხვდება კომპოზიციით მიღებული ზმნიზედები: ჟილე-ჟილე „ზევით-ზევით“, წალე-წალე „ქვევით-ქვევით“, თუდე-თუდე „ქვეშ-ქვეშ“, დოლოხე-დოლოხე „შიგნით-შიგნით“, გალე-გაღე „გარეთ-გარეთ“ მენდრა-მენდრა „შორს-შორს“, აშო-აშო „ასე-ასე“ წოხლე-წოხლე „წინ-წინ“ და მისთ.

დასტურდება ნაირფუძიანი შეერთებით მიღებული ზმნიზედები: ჟინ-თუდე „ზევით-ქვევით“, აშო-ემო „ასე-ისე“, ჟილე-წალე „ზევით-ქვევით, ექოლე-აქოლე „იქეთ-აქეთ“, მელე-მოლე „გაღმა გამოღმა“, ექ-აქ „იქ-აქ“ და სხვ.

გაორკეცებული ზმნიზედების პირველი კომპონენტის თავკიდური თანხმომავანი მეორე კომპონენტში სხვა თანხმომავნითაა შეცვლილი და მნიშვნელობის არმქონე სიტყვაა: წალე-მაღე „ქვევით-მევით“, თუდე-მუდე „ქვემოთ-მემოთ“, ჟილე-მილე „ზევით-მევით“, დოლოხე-მოლოხე „შიგნით-მიგნით“, გალე-მაღე „გარეთ-მარეთ“.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რედუპლიკაციის დროს შეერთება უკავშიროა (თოფურია, 1959:296, სანიკიძე, 1977:48), თუმცა არაიშვიათად გვხვდება დო კავშირით შეერთებული ზმნიზედები (ლომაია, 2006:67): მელე დო მოლე „გაღმა და გამოღმა“, ჟილე დო წალე „ზევით და ქვევით“, ექ დო აქ „იქ და აქ“, ექოლე დო აქოლე „იქეთ და აქეთ“.

ადგილის ზმნიზედის ფუნქციით გამოიყენება სახელის გაორკეცებით მიღებული ფორმები: ღალი-ღალი „ღელე-ღელე“, დალი-დალი „ტყე-ტყე“, მხოლა-მხოლა „ზღვა-ზღვა“.

ზმნიზედების სისტემური ანალიზის საფუძველზე დროის ზმნიზედები დაკავშირებულია დრო და სივრცესთან. დროის ზმნიზედები მრავალფეროვანია როგორც შინაარსობრივად, ასევე სტრუქტურულად. შინაარსობრივად დროის ზმნიზედები ასე დაჯგუფდეს: დროის კონკრეტული მონაკვეთის ზმნიზედები და დროის მიმართებითი ზმნიზედები (ლ/მ გრამ. 2015:709).

სარფულში „გუმინ“ მნიშვნელობით გამოიყენება **ლომან** ზმნიზედა, რომლის მეგრული შესატყვისი ღუმა „წუხელ“ მნიშვნელობისაა.

ლომან ოხოს ფხეტი-ში (ჩიქობავა, III:475) გუმინ შინ (სახლში) რომ ვიჯექი; ღომან დიდო ყინი. ტუ (სარგ. მეტყ.) გუმინ ძალიან სიცივე იყო.

არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ ამოსავალი მნიშვნელობა „წუხელ ღამე“ იყო ლაზურშიც, თუმცა შემდგომ გადააზრიანდა „წინა დღის“ მნიშვნელობით და შესაბამისად „წუხელ“ სემანტიკის გადმოსაცემად ლაზურში გაჩნდა ღომამჯი ზმნიზედა: ღომამჯი ჯუმალეფე ჩქიმი მზოღამა იდერეტეს „წუხელ ჩემი ძმები (სათევზაოდ) ზღვაზე წასულიყვნენ (ჩიქობავა, 2008:204).

ლაზურში ანალოგიურად სარფის თქმაშიც დასტურდება: ჭუმანი „დილას“, ჭუმენ „ხვალ“. ან და ენ დეტერმინანტი სუფიქსებით გარჩეულია ორი მნიშვნელობა: ჭუმანი „დილას“ აღნიშნავს, ხოლო ჭუმენ „ხვალს“, თუმცა გადააზრება მეორეულია (ჩიქობავა, 2008:202).

ჭუმენ თიკანი სქანი ქოჭოხათ (ჩიქ. 402) ხვალ შენი ბატკანი შევჭამოთ; ჭუმანი გზას ქოგედგითეს (კარტოზია, 35) დილას გზას დაადგენ.

„ზეგ“ ზმნიზედა მეგრულსა და ლაზურში სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებითაა წარმოდგენილი. სარფულში გენდღანე სახით რეალიზდება: გენდღანე ქომოვულე (სარგ. მეტყ.) ზეგ მოვალ.

ქართული „წელს“ მნიშვნელობით სარფულში გამოიყენება **ნწი** და კომპოზიტური წარმოების **ანწი-ამწი**. სახელური ფუძე გვაქვს **გოწოს** „შარშან“ ფორმაში მომავალი წლის აღსანიშნავად დასტურდება **წანაშე** „გაისად“, **გენწანაშე** გაისის შემდგომი წელია. გე და გო ელემენტებით აღინიშნება. დღე-ღამის და წლიური ციკლების მონაკვეთი და მეგრულ-ლაზურის საერთო ენობრივი მონაკვეთია.

მეტყველებაში გვაქვს: მარტივფუძიანი, პრეფიქსური ან პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების ფუძეებიანი, მასდარული ფუძეებით.

„დღეს“ მნიშვნელობით ანდღას-ამდღა; „ღამის მნიშვნელობით სერი.

დღა ფუძისაგან ნაწარმოებია მდღურა/მდღუა „წელან“.

„შუადღეს, შუადღეზე“ სარფულში პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების ფორმა შეესატყვისება: ონდღერი/ონდღერის.

რთულფუძიანი დროის აღმნიშვნელი ზმნიზედები კომპოზიტებით წარმოგვიდგება: **ემორას** ზოპონქი (კაკაბაძე, 117) იმ დროს იტყვი რომ; **ემახთის** მუთუ ვარ თქუ (სარგ. მეტყ.) იმ დროს არაფერი თქვა, **ემსერის** მითი ვარ მოხთუ (სარგ. მეტყ. იმ ღამეს არავინ არ მოსულა.

ოკულე, ეკულე, უკულე „შემდეგ, მერე“ ოკულე ჭიტა ფენჯირემენ და მუში ქომორუ (ასათიანი, 39) მერე პატარა ფანჯრიდან მისი და დაინახა. **ეკულე** ბადიქ უწვეენქი (კაკაბაძე, 39) შემდეგ მოხუცს უთქვამ რომ.

ოკვაჩხე „უკან, მერე“, ოკვაჩხე ხჩინიქთი ქომულუ გჰარი (სარგ. მეტყ.) მერე დედაბერმაც მოიტანა საჭმელი.

სარფულში ვლინდება ზმნიზედები მიმართულებითის ფორმით: **ჭუმანიშა**, „დილამდე“, **ონდღეიშაქის** „შუადღემდის“, **ლიმჯიშა** „სადამომდე“, **აწიშა** „აქამდე“, სერიშა „ღამემდე“.

კომპოზიტური წარმოების მოდელებია: **ანდღა-ჭუმენ** „დღეს-ხვალ“. **სერ-ნდღალერი** „დღედაღამე“, **ტოცხერი, ტოქსერი** წინა დღეებში. **ამჭუმანი** „ამ დილას“, „ემსერის“ იმდემეს.

ვითარების ზმნიზედების ნიმუში იქნება: მუჭო/მუჭოში „როგორ“ მუჭო, მუჭოში რე (სარგ. მეტყ.) როგორ ხარ.

კომპოზიტური წარმოების: **პიჯამათი** „პირადმა“, **პინჭკუპა** „პირდაღმა“.

ფუძეგაორკეცებული: **მანი-მანი**. „ჩქარ-ჩქარა“ **ორდო-ორდო** „მალ-მალე“.

მეტყველებაში რეალიზდება მიმდებარე და მასდარული ფუძეების რედუქციკაციით მიღებული ვითარების ზმნიზედები: **ბანდალერ-ბანდალერი** „ბარბაც-ბარბაცით“, **ობახუ-ობახუთუნ** „ცემა-ცემით“ მგარინერ-მგარინერი „ტირილ-ტირილით“.

ზომა-ოდენობის ზმნიზედთაგან სარფის მეტყველებაში ვადასტურებთ: **გვერდი** და **გვერდახა** „ნახევარი“; **დიდო** „ბევრი, ბლომად“ მნიშვნელობას გამოხატავს, მცირე „მცირე, ცოტა“

მიზეზისა და მიზნის ზმნიზედები გადმოიცემა ამუშენი, ემუშენი (ამისთვის, იმისთვის) ფორმით.

კითხვითი ფორმები ზმნიზედის ყველა სემანტიკურ ჯგუფს მოეპოვება: მუნდეს, „როდის“, მუნდესა, „როდემდე“ მუვახთის „რა დროს“, მუჭოში „როგორ, როგორი, ნაკოს „რამდენს“ და მისთ.

ლიტერატურა:

1. შანიძე, 1953: ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები.
2. გაბუნია, 1993: კ. გაბუნია, ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში.
3. მარი, 1910: Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка.
4. ლომაია, 2006: შ. ლომაია, ადგილისა და დროის ზმნისართები მეგრულ-ლაზურში.
5. მარტიროსოვი, 1946: ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შემადგენლობა და მათი ფუნქციები, იკე, ტ. 4.
6. ფოჩხუა, 1958: ბ. ფოჩხუა, ხმოვანსართული ზმნისართები ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. 1.
7. ჩიქობავა, 1939: არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თსუ შრ. ტ. X.
8. თოფურია, 1941: ვ. თოფურია, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში, მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, 1-2.
9. კიზირია, 1982: ა. კიზირია, მარტივი წინადადების აგებულებისათვის ქართველურ ენებში.
10. ლ/მ გრამ., 2015: ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I, მორფოლოგია.
11. ჩიქობავა, 2008: არნ. ჩიქობავა, ტომი III.
12. სანიკიძე, 1977: ლ. სანიკიძე, რედუპლიკაცია სვანურსა და ზანურში.
13. თოფურია, 1948: ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, VI, კომპოზიტები, მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ. 26-ე სამეცნიერო სესიის თეზისები.
14. შალამბერიძე, 1959: გ. შალამბერიძე, ზმნისართი ძველ ქართულ ენაში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. I.
15. უთურგაიძე, 1986: თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი.
16. მემიშიში, 2014: ო. მემიშიში, ზმნიზედა ლაზურსა და მეგრულში, ლაზურისა და მეგრულის გრამატიკის საკითხები, II.

წყაროები:

1. ჩიქ. 1929: არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, I.
2. კარტ. I: გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, I. 1972.
3. სარგ.: სარფი, 2015, ავტორები: მ. ჩოხარაძე, მ. ფაღავა, ლ. თანდილავა, ო. მემიშიში.
4. კაკაბაძე, : ნ. კაკაბაძე, ლაზური ტექსტები, 2018.
5. ნარაკიძე, ც. ნარაკიძე, ლაზური ტექსტები, 2015.
6. ლექსიკონი: ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, 2013.
7. ასათ.: ი. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები 1974.
8. ჩიქ. III: არნ. ჩიქობავა, 2008, ტ. III.
9. სარგ. მეტყ.: სარფის მეტყველება.

Omar Memishishi

Batumi Shota Rustaveli State University

UNCHANGEABLE PARTS OF SPEECH IN SARPI DIALECT – I RESUME

The primary and root adverbs in Sarpi speech are represented in two basic groups: 1) The adverbs the root material of which is common with postpositions and preverbs; 2) vowel-added adverbs

The primary verbs are presented in relatively small quantities, but they are more diverse and produced by suffixes, signs of case and composition.

ისტორიული წყაროები და მათი მნიშვნელობა დიალექტოლოგიური და ენობრივი მასალისათვის

შესავალი

ქართული ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც საქართველოს ეთნოგრაფიულ კუთხეებშია შექმნილი, ძვირფასი წყაროა საუკუნეების განმავლობაში ენის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ტოპონიმიკის, დიალექტოლოგიის და სხვა სფეროების სკრუპულოზური კვლევისათვის. საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხეები არის ძირითადი წყარო დიალექტოლოგიური მოვლენებისათვის, აქ არსებული ლექსიკური ერთეულების წარმოშობისა და მათი მნიშვნელობის გაგებისათვის.

წყაროებში მოცემული მასალა ლექსიკურ-გრამატიკული მოვლენები დღესაც დასტურდება დიალექტებში. ეს მასალები ასახავენ როგორც დიალექტურ, ისე საერთო სახალხო ენის მოვლენებს.

ჩვენს სინამდვილეში დიალექტურმა მოვლენებმა სწორედ ფუძე ენასთან სიახლოვე სიშორის გამო შეინარჩუნა არქაულობა, აქ ძირითადად იგულისხმება ფუძეების ერთიანობა, მათი სემანტიკა. სამაგიეროდ ქართულმა, როგორც საბაზისო დიალექტმა, მისმა ფორმებმა ძლიერი გავლენა იქონიეს ლიტერატურული ენის გრამატიკულ წყობაში.

ძირითადი ნაწილი

ტექსტებში გვხვდება ლოკალური ხასიათის ცვლილებები, გეოგრაფიული არეალის შესაფერისი ლექსიკურ-გრამატიკული ნიშნები, რომლებიც პერიფერიებში დასტურდება დღესაც. სწორედ დიალექტებმა გაამდიდრა ენის ლექსიკა და ამისი მაგალითები გვაქვს ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში. ძველში უცხო გარემოდან შემოსული სიტყვათა დამკვიდრების გზა და დრო, დიალექტური და ახლად წარმოქმნილი ლექსიკური ერთეულების გამიჯვნა ძველი ქართული ლექსიკის შესწავლის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

ის ფორმები, რომლებიც დღეს გვაქვს, თანდათან დაიხვეწა, სრულყოფა ხდებოდა საუკუნეების განმავლობაში და საფუძველს უმზადებდა სალიტერატურო ენის ნორმებს. მეორე მხრივ წარმომავლობა უნდა დაიძებნოს სიტყვისა, რომელიც შეიძლება იყოს დიალექტური ან ნასესხები სხვა ენიდან. ამავე დროს ადგილი უნდა მიეჩინოს წერილობით ძეგლებში ფიქსირებულ რიგ სიტყვათა ცვლილების ფაქტს, ფონეტიკურ მოვლენას, გრამატიკულ ფორმას, რომელიც გვიჩვენებს ენის საერთო შესაძლებლობებს, ენის ზრდის წყაროებს. ბუნებრივია ეს წყაროები ყველა არ იქნება ლიტერატურული.

მრავალრიცხოვანი დოკუმენტაცია სრულ წარმოდგენას გვიქმნის ენის ისტორიის თანამიმდევრულად განვითარებისათვის, მაგრამ ყველა საბუთი გულდასმით უნდა შემოწმდეს, გაანალიზდეს. მათი შესწავლით ირკვევა, რომელი სოციალური ჯგუფი იყენებდა ამა თუ იმ გრაფიკას, როგორ ვლინდებოდა ორენოვნების პროცესში სხვადასხვა ხასიათის მოვლენები, კალკები, ბარბარიზმები.

მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიაწეში „მეგლი ერისთავთა“, გვხვდება ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ნორმიდან არის გადასული, მაგალითად: პატივოსანი, სძე, ყანი, ზროხა და სხვა.

არის შემთხვევები, როცა ვ-ნი იკარგება ო-ნის შემდეგ ხმოვნის წინ: იპოებოდა, პოეს, პოონ და სხვა.

ჰ - იხმარება ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: ჰომი, სამაგიეროდ არ იწერება სიტყვაში (ჰ)ასაკი.

გვხვდება ი-ნის დასუსტება „ი“ - იოტად და ყოველთვის ა-ნის შემდეგ: დააჰყრა, შთაჰთრივეს, დაჰვიწყიან, დაჰმალნეს, დაჰდვა, დაჰტევდა...

ტექსტში გვხვდება როგორც დაქარაგმებული ისე დაუქარაგმებელი სიტყვები: წმიდისა, ღუთისა, ა~ -დ (არამედ), ალ~ -ფი (ალაფი).

აღმოსავლეთ საქართველოს ხელნაწერი ძეგლებიდან ასევე უნიკალური წყაროა „გერგეტის სულთა მატიაწე“, რომელიც გადაწერილია მეთხუთმეტე საუკუნეში და შესრულებულია ნუსხური და მხედრული გრაფიკით.

დოკუმენტი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ავსებს „მეგლი ერისთავთაში“ გამოტოვებული ერისთავებისა და მეფეების სიას (მესხია შ., 1954).

ენობრივი მოვლენებიდან მატიაწე თითქმის ანალოგიურია „მეგლი ერისთავთასი“, მაგრამ აქ თავს იჩენს როგორც ქართლიზმები, ისე მოხეური კილოს თავისებურებანი. როგორც ქართლურში, ისე

მოხეურში ჩანს კ-ხარი ბგერა. ეს ბგერა უფრო დაცულია არაგვისა და ქსნის ხეობათა ზემო წელის მეტყველებაში და ძველი ტრადიციით მომდინარეობს, ძეგლშიც ბუნებრივია დაცულია.

ღ (იოტა) მატიაწეში ყველა პოზიციაში გვხვდება, მაგრამ უფრო ჰ და ს ფონემების პოზიციის ნაირსახეობას წარმოადგენს (შარაშიძე ქ., 1954).

შუა საუკუნეებისა და გვიანფეოდალური საქართველოს სულიერი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლია XII-XVII საუკუნეების ტბეთის ეპარქიაში შექმნილია სულთა მოსახსენებელი ვრცელი ტექსტი, რომელიც დიდი ქართული კულტურის გაგრძელებას წარმოადგენს. ძეგლი მრავალმხრივ არის საინტერესო, მაგრამ პირველ რიგში ენათმეცნიერული პოზიციებიდან უნდა განვიხილოთ.

ძეგლისეული ონომასტიკონის გაცნობა იმის ნათელ სურათს გვიხატავს, თუ რა საგრძნობლად იცვლება საუკუნეების განმავლობაში ანთროპონიმიული სიტყვათა მარაგი ენისა. ძველი საკუთარი სახელები დღეს გამქრალია, ამათი ნიმუშებია ქალთა სახელებიდან: ანათა, ბორენა, დუდი, ესნა, სადმანი, ჩხუტუნია, ცვარი, ცხორემა, ხუაშაქი. მამაკაცთა სახელებიდან: ბახატა, გოშნა, ვაზინა, ვერმა, კობახთა, კოლბინა, კერნა, მისა, მახნია, მამესწარა, მშუიდა, ნებიერი, სამანია, სანადირა, სულა, ქება, ხინკლა, ჯალაბა (ენუქიძე თ., 1977).

საგვარო სახელთა ჩვეულებრივი დაბოლოებანია ყველაზე მეტი ძე-ზე, შემდეგ ეთ-სა და შვილზე. ასევე გვხვდება -ურ-ი, -ელ-ი, -ულ-ი, ფხე, ნა, ია, ტი, ში, აყი.

ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტი ყველა შემთხვევაში ს-ს ინარჩუნებს (ფუძეთანხმოვნიან სახელთაგან ნაწარმოები გვარებისა): კეტისძე, ჯარდენისძე, ლომთათისძე, ტბელისძე, აბესალომისძე, კახაბერისძე, სამოელისძე. იგივეს ვხვდებით მაშინაც, როცა გვარებს შვილ დაბოლოება აქვს: ქლუტისშვილი, არსლანისშვილი, წანგრისშვილი.

საგვაროვნო სახელთა ასეთ დაბოლოებათა გვერდით საკმაო რაოდენობით ვხვდებით -ეთ დაბოლოებანებს: აბესალამეთ, გათენიეთ, გიორგაეთ, სირაეთ, ტომარაეთ. გვხვდება ასევე ათ და ანთ დაბოლოებით, რომლებიც ფუნქციურად იდენტურია ძე და შვილი დაბოლოებისა: „სულსა შალვაეთ ბალავარის მეუღლესა ცაცასა“. მეორე მხრით „სულსა შალვას ძისა იოვანეს“, ასევე ღურძაეთ მიქაელი და ღურჯასძე მიქაელ. ჯარდენთ ბასილი და ჯარდენისძე ბასილი, გოგლაეთ გიორგი და გოგლასძე გიორგი, ესენი არის ძეგლში გამოყენებული პარალელური ფორმები.

ძეგლში დადასტურებული -ათ სუფიქსი რთული შედგენილობისა, მისი სრული სახე უნდა ყოფილიყო -იანთ (იან+თ). პირველი ელემენტი ქონების, კუთვნილებისა და წარმომავლობის მორფემაა, მეორე კი მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი გენეტიური მსაზღვრელისა. ამის მიხედვით მაგალითად ფავლენიანთ გიორგი ასახელებს ერთ პიროვნებას ფავლენიშვილების საგვარეულოდან და გაიგება როგორც ფავლენიშვილების გიორგი.

ჩვენი ზოგიერთი კუთხის მეტყველებაში ხმოვანფუძიან სახელებთან პირველი სუფიქსეული ნ თანხმოვანი იან-ის ნაშთი იკარგება და მსაზღვრელი -ათ ბოლოსართის ამარა რჩება. ეს ფაქტი მტკიცდება ცოცხალ მეტყველებაში ფორმათა პარალელური ხმარებით. მაგალითად: თამარაანთ გიგო და თამარათ ვახო, ხან ამბობენ თამარიანთ, თამარაანთი. ეს ვითარება ასახულია სულთა მატიაწეში. აშკარაა, რომ მოხსენებულ მსაზღვრელ-საზღვრულ წყვილებში „გორგადიანთ ჩაუქა, პირველ წევრს ნ დაკარგული აქვს (უნდა ყოფილიყო გორგადიანთ ჩაუქა), მეორე წყვილში კი „ბედიანთ რმალი“ ნ შენარჩუნებულია. ამის გამო იგი მთლიანად ემთხვევა თანამედროვე გვარსახელოვან მოდელს: ბორცვაძიან ბაგრატი, ცოტნიანთ გივი, ღამბაშიძიანთ ვასო.

ისტორიული დიალექტოლოგიისათვის საყურადღებოა -ეთ დაბოლოების მრავლად გამოჩენა ტექსტში. მაგ.: როსტომეთა გოგანეთ, მორჩიეთ, ეგნატეთ, თავხელეთ, სამოელეთ და სხვა. მსგავსი ფორმები ფართოდ იყო გავრცელებული იმ გეოგრაფიულ არეალზე, რომელიც დღეს იმერხეულ კილოს უკავია. მეჩვიდმეტე საუკუნეში თურქთა აგრესიის შედეგად მხარიდან გამოდევნილებული მოსახლეობა იმერეთში და ქართლის სხვადასხვა რეგიონში დამკვიდრდა და დღეს ასეთი წარმოება სწორედ ქარელის, ხაშურის, ცხინვალის და სხვა რაიონებში გვაქვს.

შედეგები და დასკვნები

ლექსიკა ენის სისტემის ყველაზე ცვალებადი ნაწილია საერთო შედგენილობის მიხედვით და სემანტიკური განვითარებითაც. ზემოხსენებულ წყაროებში ბევრი სიტყვა: წყალი, შვილი, დღე, კარი, ასევე უღლებადი სიტყვების შინაარსი არ შეცვლილა საუკუნეების მანძილზე. მეორე მხრივ ასობით სიტყვამ იცვალა მნიშვნელობა, მაგ.: მედგარი, ცხედარი, გვამი, პატიჟი, მაგრამ თანამედროვე დიალექტებში შემორჩენილი მონაცემები და მათი ურთიერთშედარება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ძველი ქართული სიტყვების წარმომავლობა და მნიშვნელობა.

ისტორიული, დიალექტური ფორმების, ფუნქციის დადგენა დღევანდელ ვითარებასთან შედარება არის მთავარი ამოცანა წერილობითი წყაროების ანალიზის დროს.

ლიტერატურა:

1. შ. მესხია, ძველი ერისთავთა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 30, თბ., 1954.
2. ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 6, 30, თბ., 1954.
3. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე. ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.
4. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
5. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგელ, 1950.
6. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.
7. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
8. ტბეთის სულთა მატიაწე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, სამიუბლები დაურთო თინა ენუქიძემ, თბ., 1977.

Nikoloz Otinashvili

Gori State Teaching University

HISTORICAL SOURCES AND THEIR MEANING DIALECTICAL AND LINGUISTIC MATERIAL RESUME

Georgian historical documents, which is mainly created in ethnographic areas of Georgia, it is precious source for during century: Language, History, Ethnography, Troponin and to research other areas.

Nowadays the material given in the sources confirmed in the dialects, which reflect the events of the people's language. There are many changes. Lexical and Grammatical marks.

It is very important to note the chronicles of Ksani Eristavi, „The monument of Eristavi“, The XIX century monument „Gergeti soul chronicle“. 1774-81 years the valley of Ksani and Aragvi statistical description and others.

ნატო შავრეშიანი, მედეა საღლიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ვითარების ზმნისართისათვის ჩოლურ მეტყველებაში (სვანურის დიალექტებთან მიმართებით)

სვანურის ზმნისართთა წარმოებისა და ფუნქციათა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მეცნიერის საინტერესო ნაშრომი არსებობს (ვ. თოფურია, ალ. ონიანი, გ. კაჭარავა, არ. მარტიროსოვი, ნ. ჩართოლანი, კ. გაბუნია...), სადაც წარმოდგენილია სვანურის ტრადიციულად ცნობილი დიალექტების (ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურისა და ლენტეხურის) მასალა.

ამჯერად ჩვენი კვლევის საგანს **უენდ||უენდ||უენდ||უენდ||უენდ** „ძლივს, ძლივსძლივობით, ვაივგლახით“ ვითარებითი ზმნისართი წარმოადგენს, რომელიც სხვადასხვა ბრუნვის ფორმებით დასტურდება სვანური ენის დიალექტებსა და ჩოლურულ მეტყველებაში.

ვინაიდან აღნიშნული საკითხის შესახებ მსჯელობა ჩოლურული მეტყველების მიხედვით დღემდე არ ყოფილა სამეცნიერო ლიტერატურაში, ამიტომ საანალიზო ზმნისართთან დაკავშირებული არსებული

ლიტერატურის მიმოხილვა სვანური ენის დიალექტთა გათვალისწინებით მეტად ფასეული იქნება კვლევის პროცესში.

როგორც ცნობილია, სვანურში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, სხვადასხვა ბრუნვაში გაფორმებული სახელები სინტაქსურად გარემოების ფუნქციით გვევლინება, მაგ: **ძინარ-ს** „დილას“, **ნებოზ-ს** „საღამოს“, **ნაგზ-იშ** „კვირის“, **ლეთ-ჟშ** „ღამით“; **ზგვი-დ** „მაგრად“, **მეგჳ-ად** „მაგრად“, **გჳამი-დ** „მძიმედ“...

ხსენებული ზმნისართი რომ მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში დასტურდება სვანურის დიალექტებში, ამაზე სამეცნიერო ლიტერატურაშიც გვხვდება მსჯელობა (გ. კაჭარავა, კ. გაბუნია), სადაც მიცემითისა და ვითარებითის გაქვავებულ ბრუნვის ნიშნებზეცაა ვარაუდი გამოთქმული: „... გამოსაყოფია ბოლოკიდური **-ნ** და **-დ** ელემენტები **ჟედ-ნ**, **ჟედ-დ**, რომლებიც უნდა წარმოადგენდნენ ბრუნვის ნიშნებს, ზმნისართებში გაქვავებულად მოცემულთ. **-ნ** ფორმანტი მიცემითის, ხოლო **-დ** ვითარებითი ბრუნვის ნიშნად ივარაუდება“ (კაჭარავა 1954:96).

აღსანიშნავია ალ. ონიანის თვალსაზრისი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: „სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთ აფიქსებს ზმნიზებაში გაქვავებულ ბრუნვის ნიშნებს უწოდებენ, თვით ზმნიზებებს კი - სახელის გაქვავებულ ფორმებს. ვფიქრობთ, გაქვავებული შეიძლება ეწოდოს მხოლოდ ისეთ ელემენტებს, რომლის დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ერთეულად გამოყოფა შესაძლებელია მხოლოდ დიაქრონიულად, მაგრამ შეუძლებელია სინქრონიულად“ (ონიანი 1998:277).

წარმოვადგენთ საილუსტრაციო მასალას როგორც ტრადიციულად ცნობილი დიალექტების, ისე ჩოლურული მეტყველების მიხედვით:

კესპრშერდ ჟედპრ ოხჳსგნეხ ი ჩუ **ჟენდ** გარ ოთჩაძხ კესპრს (ზზ., სვან. ქრესტ., 1978:165) „ხელმწიფის ოჯახმა („**კეისრ-ის-ან-მა**“) ძალღები მიუქსიეს და ძლივსღა გაექცნენ ხელმწიფეს („**კეისარ-ს**“)“
ლოხბინეხ ლიფხრიჭი ი ჳფხრიჭიხ, ჳფხრიჭიხ ი ჩუ **ჟედდ** გარ ადჳიეხ ზაჩჳთეჩუ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 1957:243) „დაუწყეს თხრა და თხრიან, თხრიან და ძლივსღა მიაღწიეს ქვამდე“

გელა ძღღდ მჳბიციან მარე ლასჳ ი ჟოშთხ-ჟოხჳთიშტ მარე **ჟედნ** გარ აჩერაჳდა (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 1967:72) „გელა ძალიან ძლიერი კაცი იყო და ოთხი-ხუთი კაცი ძლივსღა აჩერებდა“

ამ ლუნთ კუმამ **ჟედნჳშ** ოთჩგფედ (ლზზ., სვან. ლექს., 2000:830) „ამ ზამთარს საქონელი („**კუმამ-ი**“) ძლივსძლივობით გამოვკვებეთ“

ექჳამ ჯრდიათე თერონხ, ერე თეს **ჟენდ** ხაძალნახ (ჩოლ., მთქმელი შორენა შავრეშიანი, 30 წლისა, სოფ. ლეუშერი) „ისე („ის **ყალიბ-ი**“) შორს ჩანდნენ, რომ თვალს ძლივს აწვდენდნენ“...

განსახილველი ზნისართის ზემოთ ჩამოთვლილი პარალელური ფორმების (**ჟენდ||ჟენდ||ჟედნ||ჟედ||ჟედდ**) განაწილება სვანურის დიალექტებში არ არის იდენტური, ზოგი დიალექტი რომელიმე კონკრეტულ ფორმას ანიჭებს უპირატესობას, ზოგან კი ერთდროულად შეიძლება ყველა ვარიანტი იყოს გამოყენებული მეტ-ნაკლები სიხშირით. მაგ.:

ეჯას ესერ მამ ხამდედა ლიზელჳლ, ღანაჳ ესერ ლი ი ჳგის **ჟედნ** არი (ზზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939:91) „იმას სად („რა“) შეუძლიაო სიარული, ფეხმძიმედაა („ორსულადო არის“) და სახლში ძლივს არისო“

ალ ლჳჳმარე ეჯჳი მეჩი ჩუ ლი, ერე ცხირს **ჟენდ** გარ ხებჳი ჟიქნქა (ზზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939:328) „ეს კაცი ისეთი მოხუცია, რომ ხიჭვს ძლივსღა აბიჯებს ზემოდან“

ამჟი ქჳსლჳა მინდორ ლექჳა, ერე სგა **ჟედდ** ხჳეჳად (ზზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939:154) „ისე მიაქვს მინდორზე („**მინდორ-ს**“) ქვემოთ“, რომ ძლივს ვეწევით“

ამნემ ეჯგჳრ ჳერ ჳნკიდ, ერე ჟერზმეკ ი მიჩა პარტია ლატჳთე **ჟენდ** ათხვიდდახ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 1957:328) „ამან ისეთი დაიდრიალა („ხმა აიღო“), რომ ვერზმეკმა და მისმა მხლებლებმა გაქცევა ძლივს მოახერხეს („**ვერზმეკ-ი** და მისი **პარტია** გასაქცევ[ის]კენ ძლივს მოხვდნენ“)“

ქოხჳამდ კოჯქა, ხიარ ოშჳჳადდ კოჯჩუ, **ჟენდდ** გარ ოჩჳადდ ქა (ბქ., სვან. ქრესტ., 1978:194) „გამოვეკიდეთ („გამოვეყვით“) კლდეზე, კინალამ გადავვარდით კლდეზე, ძლივსღა გავედით“

ეჯდარს კჳჳრშჳ **ჟედდ** გარ ოხკიდახ ფხეტლან (ბქ., სვან. ლექს., 2000:742) „იმათ კავებით ძლივსღა აუღიათ ბეჭი“

მიჩამდ **ჟედ** (/ჟედდ) ლოქ პრი ი გაჳირჳებილდ ლოქ პრი (ლნტ., სვან. პროზ., III, 1967:350) „თავისთვის ძლივს არისო და გაჳირვებულად არისო“

ეჯჳუმ წიფრა ლოქ ხაგნენახ დეჳჳისა, ერე მეგრჳლს **ჟენდ** ხაძალნახ ლჳჳარ (ჩოლ., მთქმელი ციციწო კვასტიანი, 63 წლისა, სოფ. ჭველფი) „იმხელა წიფელი ედგათო ეზოში, რომ მკლავებს ძლივს აწვდენდნენ თურმე კაცები“

ეჯშელდ კალმახ ათგრმენა სგა, ერე **ჟენდდ** ენთირნე აგითე (ჩოლ., მთქმელი ციციწო კვასტიანი, 63 წლისა, სოფ. ჭველფი) „იმდენი კალმახი გაბმულა თურმე, რომ ძლივს მოათრია სახლში“...

როგორც საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, პარალელური ფორმების გამოყენების შემთხვევები ზემოსვანურ დიალექტებში უფრო ხშირია, ვიდრე ქვემოსვანურში, ვინაიდან **ჴედნ** ვარიანტი (ლენტეხურის გარდა) ქვემოსვანურ მასალაში არ დასტურდება, თუმცა სხვადასხვა ბრუნვის ნიშანდართულ ფორმებში (**ჴედნჴ** (ლნტ.), **ჴედნჴ** (ლშხ.), **ჴედნაბადჴ** (ჩოლ.)...) ხშირად გვხვდება.

საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული **ჴენდ** ფორმასთან დაკავშირებით გ. კაჭარავას: „ბალსქვემოურისა და ლაშხურის ზმნისართში /**ჴენდ**/ არაა მოსალოდნელი მეტათეზისი იყოს **დ** და **ნ** თანხმოვნებისა. ხომ არა გვაქვს საქმე ორი ბრუნვის ნიშნის ნარჩენ ფორმანტთან მოცემულ შემთხვევაში? ეს ვარიანტი არაა საფუძველს მოკლებული, რადგანაც სვანურის ლაშხურ დიალექტში ჩვენთვის საინტერესო ზმნისართის ასეთი ვარიანტებიც შეგვხვდება: **ჴედნჴ** და **ჴედშჴ**. ამ ზმნისართთა დაშლა შემდეგ გვარად შეიძლება: **ჴე-დ-ნ-ჴ-შ**, **ჴე-დ-შ-ჴ-დ**. პირველ ზმნისართში უკიდურეს შემთხვევაში ორი ბრუნვის ნიშანი გვაქვს (**-შ < * -შჴ** – მოქმედებითისა, **-ნ** მიცემითისა) მეტი თუ არა. ბოლოკიდური **-დ** და **-შჴ** ფორმანტები **ჴედშჴ** ზმნისართისა ვითარებითი და მოქმედებითი ბრუნვების ნიშნებია“ (კაჭარავა 1954:97), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ **ჴენდ** ფორმა პარალელურად სვანურის დანარჩენ დიალექტებშიც (გარდა ლენტეხურისა) დასტურდება, მათ შორის ჩოლურულშიც, სადაც უპირატესობა სწორედ ამ ვარიანტს ენიჭება. თუკი მეტათეზი გამოირიცხება, ჩოლურულში დადასტურებულ ფორმაშიც **ჴე-ნ-დ-იშ-დ** გამოდის რომ რამდენიმე ბრუნვის ნიშანი იყრის თავს (**ჴენდიშდ** დერ ლეიშყადჴნე მიჩა დადნ ჟახე (ჩოლ., მთქმელი შორენა შავრეშიანი, 30 წლისა, სოფ. ლეუშერი) „ძლივს არ („ხომ“) გაიხსენა თავისი ბებიის სახელი“). ჩოლურულში გვაქვს ასევე **ჴე-ნ-დ-იშ-დ-ჴ** ფორმაც (სავარაუდოდ ბოლოკიდური **-ჴ** მოქმედებითი ბრუნვის **-ჴშ** ნაშთი უნდა იყოს, სადაც **-შ** დაიკარგა. როგორც ვხედავთ, მეტად დახუნძლული ფორმები გვხვდება ჩოლურულში, თუმცა ეს ამ მეტყველებისთვის არ არის იშვიათი მოვლენა, სხვა გრამატიკულ საკითხებთან დაკავშირებითაც არაერთხელ გვქონია ერთდროულად იმ რამდენიმე მაწარმოებლის დართვა, რაც სხვადასხვა დიალექტში ცალ-ცალკეა გამოყენებული (მაგ.: **ხედარდ-ჴჴა-დ-რ** „ვინებმაც“; **ხედ-ჴჴა-შდ-რ-მაგ** „რომლისთვისაც“; **ჩუ-ჴჴან-ჴა-თე-ჴა** „ქვევითამდე“ და სხვ.).

როგორც ცნობილია, სვანურისათვის ზმნისართთა ბრუნება განსხვავებით სხვა ქართველური ენებისაგან არ არის ხშირად დამახასიათებელი, თუმცა, მიუხედავად ამისა, გვხვდება შემთხვევები, როცა ზმნისართები ამა თუ იმ ბრუნვის ნიშნებს დაირთავენ: „სვანურში, ისევე, როგორც ქართულში ზმნისართის ბრუნვათაგან გვხვდება მიცემითი, ნათესაობითი, ვითარებითი და მოქმედებითი, თუმცა ქართულთან შედარებით, სვანურისთვის ნაკლებ დამახასიათებელია ზმნისართის ბრუნება“ (გაბუნია 1993:95).

მოქმედებითის ნიშანდართული **ჴენდ**||**ჴედნ** ზმნისართი ბალსქვემოურის გარდა სვანურის ყველა დიალექტში (მათ შორის ჩოლურულ მეტყველებაშიც) დადასტურდა, ზოგჯერ ბრუნვის ნიშანი სრულადაა შენარჩუნებული, ზოგჯერ კი ნაწილობრივ. მაგ.:

მეგამ **ჴენდშ** გარ ომხირდ (ბზ., სვან. ლექს., 2000:826) „მორი ძლივსღა გავაპეთ“

ჴყინტ **ჴედშჴ** ჴთესელან ლიცისა ლიშჴტდის (ლნტ., სვან. ლექს., 2000:458) „ბიჭი ძლივს გადაურჩა წყალში დახრჩობას“

ხოშგბენის მეზგელს, ეჩჴა ხორაღლნენხ ი ჩუ ლი ჩიანგ მეზჴარისა ბოშმარემ ი ჴურალჴლე წიჴილ-კიჴილ „არი, არი, არი ლოჴ“ ი **ჴედნჴ** იღრეხ ჴა (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., IV, 1979:29) „[როდესაც] ოჯახებს უვარდებიან (ქორეზჴეა საუბარი), მაშინ უყვირიან და არის ყველგან ეზოებში ბავშვებისა და ქალების წივილ-კივილი „არი, არი, არიო“ და ძლივს იმორებენ“

გასკად კეჴ ლი ი დერუ კოჴა ნესგა ლაშხური ლიც **ჴედშჴ** ხასკდა (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., IV, 1979:216) „ღრმა ხევია და ორ კლდეს შუა ცხენის წყალი („**ლაშხურ**-ის წყალი“) ძლივს ეტევა“

ჴი ლეჴომ ხნდა ნამშტუმომ სანდი-ფანდი ი **ჴენდჴშ** ესლაკან ქორა ქაშნოლს (ჩოლ., მთქმელი ციცო კვასტიანი, 63 წლისა, სოფ. ჴველფი) „გონება არეული ჴქონდა სიმთვრალისგან („არეული ჴქონდა სიმთვრალით გონება“) და ძლივს მიაგნო სახლის ბილიკს“...

„სვანურში ზმნისართი მოქმედებითი ბრუნვის ფორმაში, როგორც წესი, არ გვხვდება, გამონაკლისია **ჴედნჴ** „ძლივს“, სადაც გამოიყოფა **-შ** (**-შჴ**) ბოლოსართი“ (გაბუნია 1993:95) და მიუხედავად ამისა ლაშხური დიალექტი სწორედ ამ ბრუნვისნიშნიან ფორმას ანიჭებს უპირატესობას, სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით.

მრავალფეროვან საანალიზო მასალაში აღნიშნული ზმნისართი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნითაც გვხვდება (რაზეც სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი) ლენტეხურ დიალექტში (**ჴედ-ნ-ჴშ** || **ჴედ-ნ-იშ**), ხოლო ჩოლურულში ნათესაობითის ნიშანი მხოლოდ ვითარებითის ნიშანთან ერთად გვხვდება და შესაბამისად ვლელულობთ **ჴენდ-იშ-დ**||**ჴენდ-აშ-დ** ნანათესაობითარ ვითარებითს და იშვიათად ბალსქვემოურშიც დაირთავს ნათესაობითისა და ვითარებითის ნიშნებს კნინობითის მაწარმოებლიანი ფორმა – **ჴენდ-ილდ-ჴაშ-დ**. მაგ.:

ლადკიდ ალ ხომა დჷ ი სკა ხაჯიდ ხომა კინჯაბს, შტგქარი გჷერად ლახაგან, კაწარი ქათეყჷარ, თე ლადი ქახოდაგ ი ჟი **ჟედნშ** ანგან (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 1967:221) „აილო ეს უფროსი დევი და მიახეთქა დიდ კლდეს, კბილებიც ჩაელეწა, წვივიც მოსტყდა, თვალიც გამოეთხარა და ძლივს ადგა“

ჩუ **ჟედნშ** იწჷნი მარე (ლნტ., სვან. ლექს., 2000:327) „ძლივს ჩანს („დაინახება“) ადამიანი („კაცი“)“

თათიას სემი ლეთ სასაფლაოჟი ათორუა ი ეჩანლო ჰმეკედ გელაშერხო ი ქა ხოხენა, ერე ჩუ ლოქ ხოწუა მიჩ დალ, **ჟედნიშ** გარ ლოქ ახორეკა შიხოსკა (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 1967:72) „თათიას სამი ღამე სასაფლაოზე გაუთენებია და მერე მოსულა გელასანთან და მიუხარებია, რომ მე ვნახეო დალი („რომ უნახავსო მას დალი-ი“), ძლივს მოვიხელთეო („ძლივს მხოლოდო მოუხელთებია ხელში“)“

მერბა ბინწარს ქუთინ მიწიწინებოლ **ჟედნიშ** ადგად მჰადმუჷ ზგის (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 1967:226) „მეორე დღეს შიმშილისგან სულგალეულმა ძლივს მიაღწია სახლში („მე-ორ-ე დილას სულმილეული ძლივს მიაღწია შიმშილით ალაგ-ს“)“

ექჷამ ლუშგუდ ლას, **ჟენდიშ** ტეხდა აშამსრ (ჩოლ., მთქმელი ციცო კვასტიანი, 63 წლისა, სოფ. ჭველფი) „ისეთი მორიდებული იყო („ის-ყალიბ-ი დამხრჩვალ იყო“), ძლივს აბრუნებდა სალამსაც („ძლივსად აბრუნებდა მადლობასაც“)“

ჟენდიშ||**ჟენდაშ** დერ ენმეკრე ქახი ლიტენ?! (ჩოლ., მთქმელი შორენა შავრეშიანი 30 წლისა, სოფ. ლეუშერი) „ძლივს არ მოიფიქრა განზე გაწევა?!“

ქუთინ **ჟენდილდაშ** ხაბულა ალ მარა (ბქ., მთქმელი ზოია სადლიანი, 65 წლისა, სოფ. ცხუმარი) „სული ძლივს უდგას ამ კაცს“...

რაც შეეხება ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დართვას, ლაშხურის გარდა ყველა დიალექტში დასტურდება, მათ შორის ჩოლურულშიც. მაგ.:

ოთჷკურედ ი ოყირდ ჩუბაჷ გუდაუთათე ი ეჩე ლგფხაზუ დჷს ნიხალდა, ლურუსჷლწრს ხუბმჷწარუნად **ჟედ** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939:38) „დავფიქრდით და გავეშურეთ ქვემოთ გუდაუთისკენ და იქ აფხაზური არავინ („არავის“) ვიცოდით, რუსულს („რუს-ულ-ებ-ს“) ვაგებინებდით ძლივს“

ზთმგარხ ისგა ამ ზურალს ი **ჟედ** (||**ჟენ**) გარ ხაწრეხ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 1957:322) „მიუცვივდნენ ამ ქალს და ძლივს ერევიან“

ჟყინტ **ჟედ** ანტახ პანტდ (ლნტ., სვან. ლექს., 2000:680) „ბიჷმა (ავადმყოფობის შემდეგ) ძლივს მოიხედა“

მარჯუჷ შიე კელჷან ხეყდახ ი **ჟენდ** ხაჟღუნახ მეხლიკწლა ბაჩს ი თექს (ჩოლ., მთქმელი ციცო კვასტიანი 63 წლისა, სოფ. ჭველფი) „ხელმარჯვე ხელოსანი ჰყავდათ („მარჯვე ხელი[ს] ხელოვან-ი ჰ-ყ-ავ-დ-ა-თ“) და ძლივს უზიდავდნენ („ასწრებდნენ მიტანას“) დამხმარეები ქვას და დულაბს“...

განხილული მასალის საფუძველზე აღნიშნული ზმნისართის ბრუნების პარადიგმა დიალექტთა მიხედვით, შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

მიც. **ჟედ-ნ** (ბზ., ლნტ.)

ნათ. **ჟედ-ნ-შ**||**ჟედ-ნ-იშ** (ლნტ.)

მოქმ. **ჟედ-ჟმჷ**||**ჟედ-ნ-ჟმ** (ლმზ.)||**ჟენდ-შ** (ბზ.)||**ჟენდ-ჟმჷ** (ჩოლ.)

ვით. **ჟედ-დ** (ზს., ლნტ.)||**ჟენდ-დ** (ჩოლ., ზს.)

ნანთ. მოქმ. **ჟედ-შჷ-დ** (ლმზ.)

ნანათ. ვით. **ჟენდ-იშ-დ**||**ჟენდ-აშ-დ** (ჩოლ.)

„ძლივს“ ზმნისართის მნიშვნელობიდან გამომდინარე თითქოს არ არის მოსალოდნელი მისი სემანტიკის კიდევ მეტად გაფართოება, მაგრამ არცთუ იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა საანალიზო ლექსემა ოდნაობითის მაწარმოებელ -**წრა** (ჩოლ.) და კნინობითის -**ილ**, -**ილ-დ**, -**ჟლ** სუფიქსებს დაირთავს და ამით კიდევ უფრო ძლიერდება მისი სემანტიკური მნიშვნელობა. მაგ.:

ჟენდწრა ენკიდ წკაჷ-წკაჷ (ჩოლ.) „ძლივსძლივობით ამოიწკმუტუნა („ძლივსძლივობით აილო წკავ-წკავ-ი“)“

ხატკლებენა ლოქნ მამფუა, **ჟენდწრა** ლოქ ლი ლგწლაჷე?! (ჩოლ., მთქმელი ციცო კვასტიანი 63 წლისა, სოფ. ჭველფი) „გენანებოდაო მდულარე („ენანებოდაო მდულარე“), ძლივს არისო მოწალული?!“

მამ ესერ ხოსგდია, **ჟედნილ** გარ წრი, ეჩჷნ ლახმეშრენა ლწდი ლამშიას (ბზ., სვან. ქრესტ., 1978:66) „არ უყურებო, ძლივს ვარო („ძლივს არისო“), ისე დავიღალეო დღეს („ისზე *მინაშვრალა დღეს მუშა-ობ-ა-ს“)“

ამრ ლახუბა მგ უჩრჷწლა ლჷსხუ ი ეჩჷნ ქაწკედანხ ჟწრე, ერე ქა **ჟენდილ** გარ იზელწლხ (ბზ., სვან., პროზ. ტექსტ., 1939:261) „ამისი ძმები ყველანი უცოლოები („გა-უ-სიმ-ებ-ლ-ებ-ი“) იყვნენ და ისე გაზრდიათ („გამოსვლიათ“) წვერი, რომ ძლივს დადიან“

სგა **ტენდილდ** გარ ოპიედ სოფელთეისგა (ბქ., მთქმელი ზოია სადლიანი, 65 წლისა, სოფ. ცხუმარი) „ძლივს შემოვადწიეთ სოფელში“

მანდუბარლ გარ ცჷირ ამქმასა ი ალქე **ტენდრილდ** გარ ოთცჷირუნ (ჩოლ., მთქმელი შორენა შავრეშიანი, 30 წლისა, სოფ. ლეუშერი) „სულ მცირედია დარჩენილი ამაში („არაბევრი/არა-ხვავ-ი რჩენილა ამაში“) და ესეც ძლივს დავატოვებინე“

ჟი ხეცრნცან ი **ტენდრილშ** ლეხჩაშ ჟადს (ჩოლ., მთქმელი შორენა შავრეშიანი, 30 წლისა, სოფ. ლეუშერი) „ჩამოკონწილებული იყო და ძლივსძლივობით გაასწრო ზვავს“

ტედნულშ ოხუაქუც ნენა ლორალს (ლშხ., მთქმელი ჯ. ჯანხოთელი, 71 წლისა, სოფ. ჩიხარეში) „ძლივსძლივობით მოვაჭერი შარშანდედ ლორებს“

დიარ ერ ლოხტკრბან, **ტედნულშ** ლახრდა თორნს (ლშხ., მთქმელი ჯულიეტა ჯანხოთელი, 71 წლისა, სოფ. ჩიხარეში) „პური რომ ჩაეკრა, ძლივს მიწვდა თონეს“...

ძალიან ხშირად ახლავს **გარ** „და“ ნაწილაკი მაშინაც კი, როცა ზემოთ ხსენებული მაწარმოებელი სუფიქსებიც დაერთვის. მაგ.:

ბეჟან ლეხრინე ლწსუ ი ეჯჷრნ ესთხბრლ, ერე ალა ჩუ **ტედდ გარ** ოთჩანდ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939:235) „ბეჟანი გაბრაზებული იყო და ისე დაუყვირა, რომ ეს ძლივს („ძლივს მხოლოდ“) გაექცა“

ესხრიხ, ესხრიხ ი სამ ზაუნდუჲ სგა **ტენდ გარ** ანჰიხ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 1957:262) „მიდიან, მიდიან და სამი წლის შემდეგ ძლივსლა („ძლივს მხოლოდ“) მოაღწიეს“

ლუნს ერ ქა ხაყულებ ფურს, წკამდ ხაქუცუნებს ლიჩგუანს ი ღუნ ღალ სურუ იღრიბი ჩუ, **ტედნუშ გარ** ხესდენი ქუნულ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978:265) „ხბოს რომ მოაშორებენ ძროხას („ფურ-ს“), მყისიერად/უცებ აწყვეტინებენ წოვას და ხბო ძალიან სუსტდება („ღარიბ-დ-ებ-ა“), ძლივს გადარჩება ხოლმე („ძლივს მხოლოდ შერჩება სულუკა“)“

ექჷკამ ოსკურმეთ ლას, **ტენდ გარ** ესლაკანხ ლამტუარალუმ (ჩოლ., მთქმელი ციცო კვასტიანი, 63 წლისა, სოფ. ჭველფი) „ისეთი სიბნელე („უკუნეთი“) იყო, [რომ] ძლივსლა მიაგნეს („გადააწყდნენ“) ჩირაღდნებით („მინათებებით“)“

ჩუ ხოსტუმხ ეჩჷრნ ჩუბაჲ, ერე თხჷიმილდ **ტედნილდ გარ** ხოწუა ჟი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978:36) „ისე ჩაარჷობენ ქვემოთ, რომ თავი ძლივსლა უჩანს ზემოთ“

გუენს **ტედნილდ გარ** ოხჷესრა ქა თხჷიმ დამდჷჲ ჯალზხანქა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978:36) „გვენეს ძლივსლა დაუღწევია თავი დათვის მკლავებისაგან“

ეჯშელდ მარე ეხხურდეღანხ, **ტედნულშ** გარ ახნდახ ლეთრე (ლშხ., მთქმელი ჯულიეტა ჯანხოთელი, 71 წლისა, სოფ. ჩიხარეში) „იმდენი ხალხი („კაცები“) მოუგროვდათ, ძლივსლა ეყოთ სასმელი“

ექჷკამ ციციბს ხერკრნოლხ მეთხუიარა, ერე გიმს **ტენდრილდ გარ** ხაჷრნახ თეს (ჩოლ., მთქმელი ციცო კვასტიანი, 63 წლისა, სოფ. ჭველფი) „ისეთ ციცაბო კლდეებს („ციცაბო-ს“) ჩამოეკიდებოდნენ ხოლმე მონადირეები („მე-სა-თხ-ეგ-ლ-ე-ებ-ი“), რომ მიწას ძლივსლა აწვდენდნენ თვალს“...

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, განსახილველი ზმნისართი შეიძლება საერთოქართველურიდან მომდინარეობდეს: „არაა გამორიცხული შესაძლებლობა იმისა, რომ ზმნისართები **ოდნავ** (ქართ.), **ტენდ** (სვან.) და **ონდეთ** (მეგრ.) ერთი და იმავე მასალის დიფერენციაციის შედეგად იყოს მიღებული. შინაარსობრივი სხვაობა ქართულის ზმნისართისა სვანურ-მეგრულთან შეპირისპირებით მეორეული ჩანს“ (კაჭარავა 1954:97-98).

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ: მიუხედავად იმისა, რომ ზმნისართთა ბრუნება სვანურში არ არის ხშირი, საანალიზო ზმნისართი სხვადასხვა ბრუნვის ფორმით დასტურდება სვანურის თითქმის ყველა დიალექტში და მათ შორის ჩოლურულშიც. რაც შეეხება ნათესაობით ბრუნვას, ნათესაობითის ბრუნვის ნიშანდართული ფორმა (**ტენდ-აშ**, **ტენდ-იშ**), სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ლენტეხურში დასტურდება, ხოლო ჩოლურულში ნანათესაობითარ ვითარებითში გვხვდება.

უნდა აღინიშნოს, რომ განხილული ზმნისართის პარალელური ფორმების (**ტენდ**||**ტენდლ**||**ტედნ**||**ტედ**||**ტედდ**) განაწილება სვანურის დიალექტებში არ არის ერთგვარი. როგორც მასალიდან ჩანს, პარალელურ ფორმათა გამოყენების შემთხვევები ზემოსვანურ დიალექტებში უფროა, ვიდრე ქვემოსვანურში. **ტედნ** ვარიანტი კი, რომელიც ზემოსვანურ დიალექტებში ძალზე პროდუქტიულია, ქვემოსვანურში ლენტეხური დიალექტის გარდა არსად დასტურდება, თუმცა სხვადასხვა ბრუნვის ნიშანდართულ ფორმებში (**ტედნაშ** (ლნტ.), **ტედნუშ** (ლშხ.), **ტედნაბადუშ** (ჩოლ.)) არცთუ იშვიათად გამოიყენება.

ლიტერატურა:

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

გაბუნია 1993 - კ. გაბუნია, ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, თბილისი, 1993

ონიანი 1998 - ალ. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998

კაჭარავა 1954 - გ. კაჭარავა, ზმნისართები სვანურ ენაში, თბილისი, 1954.

ბ) ლექსიკონები

თოფურია, ქალდანი 2000 - ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000

ლიპარტელიანი 2014 - ას. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბილისი, 2014.

გ) წყაროები

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 - სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსჟემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1939

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 - სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსჟემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1957

სვან. პროზ. ტექსტ. 1967 - სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედუქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1967

სვან. პროზ. ტექსტ. 1979 - სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არს. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი, 1979

სვან. ენის ქრესტ. 1978 - სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978.

ინფორმატორები

ცისანა კვასტიანი (ჩოლურული დიალექტის წარმომადგენელი)

შორენა შავრეშიანი (ჩოლურული დიალექტის წარმომადგენელი)

ჯულიეტა ჯანხოთელი (ლაშხური დიალექტის წარმომადგენელი)

ზოია საღლიანი (ბალსჟემოური დიალექტის წარმომადგენელი)

Nato Shavreshiani, Medea Saghlani

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics

TOWARDS ADVERBIAL MODIFIER IN CHOLUR SPEECH (IN RELATION TO SVAN DIALECTS)

RESUME

There are interesting opinions about Svan adverb **vend** “hardly” in the scientific literature (G. Kacharava, k. Gabunia), even though the indicated issue has not been studied yet according to Cholur speech and neither possessive case with marks has been observed, because the mentioned adverb is found with the mark of possessive case in Lentekh dialect (**ved-n-ash** || **ved-n-ish**) and in Cholur and Lower Bal possessive case is with the mark of adverbial case and accordingly, we get the form that has the marks of the possessive case and adverbial case at the same time **vend-ish-d** || **vend-ash-d**, **vendildashd**. The distribution of the parallel forms (**vend** || **vendd** || **vedn** || **ved** || **vedd**) are not similar in Svan dialects, some dialects give priority to a particular form, in some cases, all the options can be used more or less frequency.

ოტია იოსელიანის პუბლიცისტური წერილების თავისებურებანი

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნავენ, რომ პუბლიცისტური სტილი ერთ-ერთია სალიტერატურო ენის სტილებს შორის. სალიტერატურო ენა თავისთავად გულისხმობს ნორმირებულობასა და დამუშავებას. ამდენად, პუბლიცისტური სტილის მახასიათებელი უნდა იყოს ნორმირებული მეტყველება. ოტია იოსელიანის პუბლიცისტური ენა, ამ მხრივ, სწორედამ რომ, ნორმირებული, დახვეწილი, სალიტერატურო ენასთან დაახლოებულია. პუბლიცისტიკის ენა ამ კოლორიტულ მწერალთან, შეიძლება ითქვას, რომ მკვეთრად განსხვავდება მხატვრული ნაწარმოებების ენისაგან.

ოტია იოსელიანის წერილები გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით, აქტუალობით, სიტამამითა და მებრძოლი ხასიათით. საკმაოდ დიდია რიცხვი მისი პუბლიცისტური წერილებისა, რომლებიც იდეურ-მინაარსობრივი თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად შესწავლილია. თუმცა ვფიქრობთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი შესწავლა ენობრივი კუთხითაც. მწერლის პუბლიცისტური სტილი ახლოსაა ცოცხალ სასაუბრო მეტყველებასთან და გამოირჩევა მკითხველზე მძლავრი ზემოქმედების უნარით, ექსპრესიულობით, ემოციურობით, რაც უმეტეს შემთხვევაში განსახილველი მწვავე საკითხებითაა გამოწვეული.

ოტია იოსელიანის პუბლიცისტური წერილების წაკითხვისას მკითხველს სატირულ-იუმორისტული განწყობა ეუფლება არა ცალკეული გამოთქმების, სიტყვების ხარჯზე, არამედ უმთავრესად მოვლენების, საგნის მთლიანობაში გააზრება-გათვალისწინების შედეგად. პუბლიცისტიკა, როგორც ცნობილია, მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ხშირ შემთხვევაში პუბლიცისტური წერილები ერწყმიან და ავსებენ მხატვრულ შედეგებს, უფრო რელიეფურად წარმოგვიდგენენ გენიოსი შემოქმედის შინაგან სამყაროს. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ოტია იოსელიანის პუბლიცისტიკა გამოირჩევა თავისთავადობით. იგი დამოუკიდებელი სამყაროა, სადაც თავისებურად არის დანახული საგნები და მოვლენები - განსაზღვრული, კონკრეტული მიზნით.

მწერლის პუბლიცისტიკის უმთავრესი მიზანია ქართული სულისა და ხასიათის კრიტიკით ქართველი ხალხის მიდინეული სულის გამოღვიძება, ამოძრავება-ამოქმედება, ეროვნული თვითშეგნების გაღვივება და გაძლიერება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოტია იოსელიანის წერილებში აშკარად იკვეთება მწერლის სატირა და ირონია. იგი თამამად ეხმაურება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან ფაქტსა თუ მოვლენას და ცდილობს, თქვას სიმართლე, მოუწოდოს, მიახვედროს, ამხილოს საზოგადოება საკუთარ ნაკლში.

მწერლის წერილებში ჭარბობს:

ა) **ირონიული ხასიათის ფრაზები, მარტივი წინადადებები, რომლებშიც საკუთარ აზრს უკეთ წარმოაჩენს, ცხადად იკვეთება მწერლის მსოფლმხედველობა, მისი პიროვნება, იდეურ-მორალური მრწამსი, შეფასებითი დამოკიდებულება განსახილველი საგნის მიმართ:**

ცხვირი იმას დაუმშვენდა, თავისუფალი დროის მოსაკლავად რომ კითხულობს და მოდნე და განათლებული ის იქნება... (X, 34)

„ჰობიო“-ბჟუტურობენ ჟურნალ-გაზეთები, რადიო-ტელევიზიები, „ჰობი“ კი არა, „ხობი“ ვკითხვით ერთმანეთს, თუ რამეს ვაპირებთ (X, 36)

რა ვქნათ ახლა, ვართ აგერ დაგორებული, არ ეტევა მეტი ამ კრულ სტომაქში (X, 45)

რავა ყველაფერი მოუზომელი და უნაირო ვიცი (X, 16)

ჩვენს დროში და ყოფაში, ძალი პატრონს რო ვერ სცნობს და ვინ რას ჩმახავს, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ, რაა ისეთი, მამა-შვილსა და ძმასა და მეგობარს შორის არ გაიმხილება? (X, 29)

მე შენ გეტყვი, რომელიმე პარტია-უმრავლესობა ან უმცირესობა ერთხმად არ დაუჭერს მხარს ენის დაცვის კანონს, დამატებითი ბიუჯეტი სჭირდება თუ შეიარაღება... (X, 34)

მაინც ასე როგორ გამოგვაყეყეა იმ უკონფლიქტობის დროინდელმა ხელოვნებამ (X, 38)

ბ) **საკუთარი აზრის ნათელსაყოფად მწერალი უხვად იყენებს ანდაზებსა და ფრაზეოლოგიზმებს, რომლებიც მეტად ორიგინალურადაა წარმოდგენილი წერილებში, ავტორი მათ იყენებს როგორც საერთო-სახალხო ენის განუყოფელ, აუცილებელ ნაწილს. ისინი ხატოვნად, ალეგორიულად გამოხატავენ აზრს. სწორედ ესაა მათი გამოყენების ძირითადი დანიშნულება.**

კერიაზე წყალი უნდა დაასხა, ჭიშკარს ბოქლომი დაადო, აიკრა გუდა-ნაზადი, სხვას, გადამთიელს მიადგე (X, 91)

ბეწვის ხიდზეც კი უნდა გაიარო და თუ კუპრში ცვივა, რად უნდა ამდენი წილადობილა და ჯახირი, პირდაპირ გადაუშვი, ჩაუფსკრულე და შეუნთე ცეცხლი (X, 97)

წინა კაცი ხომ უკანას ხიდია (X, 9)

ბრიყვი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა (X, 17)

ორ ნესეს ცალ ხელში ვერ დაიჭერო (X, 24)

ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო (X, 41)

დაპყრობილ ესპანეთს ხომ თვალეზში ნაცარი შეაყარა, დააბრმავა და დაამდაბლავა (X, 13)

ჯერ არ იყო ძმარიო, შიგ შევიდა წყალიო (X, 25)

საკმაოდ ხშირად ვხვდებით მწერლის მიერ ინტერპრეტირებულ ორიგინალურ გამოთქმებს, მწერალს ზოგჯერ გარკვეული სიახლე შეაქვს, ავითარებს და ამდიდრებს მათ:

ენას რომ კბილი დააჭირო, მაინც წამოგცდება (X, 10)

ენას ყოველთვის კბილის დაჭერაც ვერ ამაგრებს (X, 28)

სისხლი სისხლით არ მოიბანება, მუშტი მუშტით არ მოიგერიება (X, 20)

სწავლა ხომ სიბერემდე კი არა, სიკვდილამდე სჭირდება ადამიანს (X, 34)

ბრიყვი კი უნდა მიუშვა ნებას, მაგრამ ენა კი არ უნდა ამოაგლიჯო (X, 57)

ხისგან ხელკეტიც გამოვა, მათრახის ტარიც, ბარიც, ქამარიც და ჯვარიც (X, 37)

თუმცა იშვიათად, მაგრამ გვხვდება დიალექტური ფორმებიც:

რას შობი, თავზე გადგას დედამიწის მპყრობელი (X, 95)

გაიწიე, ვინცხა ხარ, მზეს ნუ მიჩრდილავო (X, 94)

კაცმა რომ თქვას, მზე ქე უყვარდა (X, 94)

დ) წერილებში უხვდაა ისეთი წინადადებები, რომლებიც გაჯერებულია მწერლის ბრძნული აზრებით, იგი გვარიგებს, გვიჩვენებს, გვასწავლის...

ქვეყანა მეფეების და პოლიტიკოსების კი არა, ხალხისაა... (X, 12)

თურმე ზღვაც ვერ გასცემს თუ სამაგიერო არ შეედინა და შეიძლება კოვზითაც დაილიოს (X, 25)

რასაც ჩაკეტავ, ჩასკვამავ და ჩააცხრავლიტულეზ, ის ყოფილა დაკარგული და გაპარტახებული (X, 25)

ცხოვრებაც მდინარეა, მიდის და მიდის, მიედინება და თუ არ მიჰყვები, დაგუბდები, დაჭაობდები, დაჭენჭყოვდები (X, 28)

ცხოვრება გაუვალი, უსიერი, უდაბური ტყეა (X, 38)

ხმა უნდა აიმაღლო, ხმამაღლა სათქმელი სხვაა და საჩურჩულო, სამუსაიფო, საყუყუნო-სულ სხვაა (X, 50)

ყოველი დაკარგული წუთი გამოუსწორებელი ნაბიჯია (X, 47)

ყველაფრის მცოდნე არ არსებობს, არაფრის მცოდნე-რამდენიც გინდა... (X, 13)

როგორც მხატვრული მეტყველების, ასევე პუბლიცისტური წერილების ენისათვის ნიშანდობლივია დიალოგი მკითხველთან:

მოდი, განვსაჯოთ, როგორც სჯობს, ისე მოვიქცეთ (X, 18)

აგაშენა ღმერთმა, უბატონოდ ხმის გამცემი არავინაა (X, 19)

იმას კი არ გირჩევ, ქარისაგან მობერილი ლერწამივით თავი ყველაფერზე აქნიო... (X, 57)

ნადირობა, მოგეხსენება, ადამიანის უძველესი ხელობაა (X, 62)

სათქმელის უკეთ გადმოსაცემად მწერალი შირად მიმართავს გამეორებას, რაც, საერთოდ, ოტია იოსელიანის შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, მეორდება სინონიმური ერთეულები, ერთი და იგივე ან ნებისმიერი სხვა მეტყველების ნაწილი, მორფემები:

იქეიფე, იღრეობე, იდღეობე, დათვერი, გატყვერი, გაილეშე, გაილეწე, დაწეპი, გაგორდი, იმღერე, იღრიალე, იჯღავლე (X, 94)

ავი კაცი ავაღია, ავად მქმნელი, ავად მყოფი, ავად სნებისად მავალი (X, 60)

იმაღ ივლი, იმად იცხოვრებ, იმად იმამულიშვილებ და იმად იმქვეყნიერებ (X, 55)

სააუგოდ, სადავიდარაბოდ, საჩხუბრად, სააკვაცოდ რომ გაიწვია, ვერ დათრგუნა, ვერ დაიოკა, ვერ უვნებელყო (X, 52)

ვზარდეთ, ვზარდეთ, ვზარდეთ და მივიდეთ არამზადა (X, 52)

გულს თავისი საწუხარი, გულსაყარი, გულსახეთქი აქვს (X, 51)

გული ხმაურობს, ჩურჩულებს, ჩიფჩიფებს, ქაქანებს, ქადაგებს (X, 51)

გზა გზად გაგიკვალეს და ხიდი ხიდად გაგიდეს (X, 10)

დარდი გვიტეხავს ძილს, გვაშფოთებს, გვაფორიაქებს, გვაფიქრებინებს, გვაძებნინებს გზას სადარდებლისაგან თავის დასახსნელად (X, 22)

გააწამა, გათანგა, გაწყვიტა წელში ქვეყნის, მოყვასის, ოჯახის და ყოფნა-არყოფნის ამაოებაზე ფიქრმა (X, 20)

კაცთან და ქალთან, ორთან, სამთან და ოთხთან, ათთან და ასთან და არც ერთთან ერთნაირი არ გამოდგება (X, 50)

კმაყოფილი შენ უფრო უნდა იყო, რომ გაგაგულიხვა, გაგაქველმოქმედა, გაგაღვთისნიერა (X, 62)

უსათუთესი, უწმინდესი, უსაყვარლესი და ურთულესი ამბავია (X, 48)

ლომი ლომია, ვეფხვი ვეფხვია, დათვი დათვი და ძაღლი ძაღლი (X, 47)

ბრბო გაგართობს, გაგალაღებს, ქვებს გასროლინებს (X, 47)

ოტია იოსელიანის წერილებისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, კითხვითი წინადადებების ხშირი გამოყენება, რომლის საშუალებითაც შემოქმედი კიდევ უფრო მეტ ინტერესს აღძრავს მკითხველში: რომ წაიკითხე, გააცნობიერე, თავში და გულისხმაში ჩადება არ უნდა? (X, 34)

საგაისო და საგარდმეისო-სამომავლოს არ უნდა გააზრება? (X, 34)

ახლა რა ვქნათ მე და შენ? (X, 12)

შორს არ გავიხედოთ, სმენა არ გავიმახვილოთ? (X, 13)

სადარდებელზე თუ იცინოდი, საამო-სალაღობოზე იტირებ? (X, 22)

წვა-ნათების მადლი ვინ აღმართოს, აღავლინოს და აცანათოს? (X, 45)

ღმერთი ამისთანა ცოდვას თავის გაჩენილს მუცელში ჩაუდებდა? (X, 45)

ამისთანა უმადური, საჩუქრის, ძღვენის და მოსაკითხის ღირსი ხარ? (X, 61)

ო. იოსელიანის სტილისათვის, ზოგადად, დამახასიათებელია ორიგინალურ კომპოზიტთა წარმოება, რომელთა მეშვეობით კიდევ უფრო მეტ სიცხადეს მატებს სათქმელს:

დასაცივ-დაბულამდი, დაქად-გოზინაყდი, დამარბათ-დაღვინდი (X, 94)

ოქრო-ვერცხლ-თვალ-მარგალიტ-აბჯარ-ასხმულს კი არა, მიწაზე ნაგდებს უყურე... (X, 93)

აღარას ვიტყვი იმ ოქრო-ვერცხლ-ბრილიანტ-ალმასებით დატენილ ზანდუკებზე (X, 92)

ფარჩა-დიბა-ატლასზე და სრა-სასახლეებზე ხომ აღარ ღირს ლაპარაკი? (X, 92)

რამ აგავუნტრუმ-აგამალაყ-აგაპეტელა? (X, 90)

საგაისი და საგარდმეისო-სამერმისო-სამომავლოს არ უნდა გახაზირება? (X, 34)

ამ მიწერ-მოწერე-უსტარობია-ეპისტოლეობანას ჩვენ კი არ ვიწყებთ (X, 13)

ორიგინალურადაა ნაწარმოები ზოგიერთი სიტყვა:

იმისათანა საქმე არ წამოვიწყოთ, რაც უჩვენოდაც მოხელკეთილებულია (X, 10)

მოდოდა და წიგნს მოიკითხებდა (X, 23)

საგაისო და საგარდმეისო-სამერმისო-სამომავლოს არ უნდა გახაზირება? (X, 34)

წვით ნათების მადლი ვინ აღმართოს, აღავლინოს და აცანათოს? (X, 45)

თითი გაიშვირე და კისერზე ჩამოგელაზმანდება (X, 95)

ენაზე გადგას, სიტყვებში დაუტევარი, ჯერ კიდევ გასაგის-გაუსაგისი... (X, 94)

ო. იოსელიანის თხრობის სტილია ე. წ. ჩალაპარაკება, რომელიც ხშირად ფრჩხილებშია ჩასმული, რასაც ფუნქციურ-სტილისტური დატვირთვა აქვს. როგორ ცნობილია, ფრჩხილებში ჩაისმის დანართი, ჩართული წინადადება, სხვათა გამონათქვამიც, მოარული ფრაზაც და ზოგჯერ მთქმელის ასოციაციით გაჩენილი აზრი, ავტორის მიმართების გამომხატველი შეფასება და სხვ. აღნიშნული მასალა ფრჩხილებში თითქოს იმიტომ არის მოთავსებული, რომ მან ხელი არ შეუშალოს აზრის თანმიმდევრულ გადმოცემა-აღქმას, არ მიჩქმალოს მთავარი და არსებითი. ამგვარად, ის, რაც ფრჩხილებშია მოთავსებული, ერთგვარად უკან იწევს, უკან ხედშია, მისი ამოღებით არც აზრის დინება ირღვევა და არც სინტაქსური წონასწორობა. მიუხედავად ამისა, ასეთი მასალა დიდი ინფორმაციულობით ხასიათდება, სწორედ ამიტომ ვერ ელევა მას ნაშრომის ავტორი და გვაწვდის სასხვათაშორისოდ, მაგრამ გარკვეული მიზნით-რაც შეიძლება სრულყოფილად იქნეს აღქმული სამეცნიერო ინფორმაცია (გ. კვარაცხელია, 1990, გვ. 108). შემოქმედის წერილებში ამ მხრივ განსაკუთრებით ჭარბობს ისეთი ფრაზები, წინადადებები, რომლებშიც მისი შეფასება ან კიდევ ახსნა-განმარტებაა მოცემული:

რა გაგვაჩნდა ჩამორჩენილი, სულიერად და ეკონომიკურად დამსხვრეული იმპერიის ნანგრევების ქვეშმოქცეულთ (ნანგრევებზე დიდხანს ბალახის არ ამოდის) (X, 89)

იქ საყიდელზე მიდიან, თუ რამე იშოვეს, (ფული სადაა, თორემ)... (X, 90)

რუსულ სკოლას ამთავრებდა, რომ უმადლესი რუსეთში დაემთავრებინა (ეს დიდი უპირატესობა იყო) (X, 68)

ენა ერს სულივით თან ახლავს და უმისობა კი არა, ხელყოფაც კი სენია, დაავადებაა და დახეიბრება (ერთი წვეთი ნავთი აფუჭებს მთელ ჭურ ღვინოს) (X, 79)

ამდენად, ო. იოსელიანის პუბლიცისტური წერილები ენობრივად წარმოადგენს უაღრესად საინტერესო მასალას, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ახლოს დგას ცოცხალ, სასაუბრო მეტყველებასთან, მწერალი უხვად იყენებს ემოციურ-ექსპრესიულ ლექსიკას, რითიც ახერხებს მკითხველზე ზეგავლენის მოხდენას და ამავედროულად, საკუთარ სათქმელსაც ხატოვნად, ხშირად ალეგორიულად, უფრო მეტი სიცხადით გადმოგვცემს.

ლიტერატურა:

1. ზვიადაძე 2005 - თ. ზვიადაძე, ოტია იოსელიანის ენის ზოგიერთი თავისებურება, ინტელექტი, თბილისი, 2005, N3 (32)
2. იოსელიანი 2006 - ო. იოსელიანი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. X, თბილისი.
3. კვარაცხელია 1990 - გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბილისი.

Ketevan Sharikadze
Sokhumi State University
LANGUAGE OF PUBLICISM OF OTIA IOSELIANI
RESUME

The number of publicistic letters of Otia Ioseliani is quite large and it is distinguished by thematic diversity, topicality, boldness and fighting character. It is interesting to learn them from linguistic point of view. The writer's publicistic style is close to live speech and characterized by powerful emotions, which, in most cases, is caused by acute issues to be discussed. In the writings of the Creator ironic phrases, sentences, proverbs, aphorisms take predominant place, that are originally blended to the message, as well as, the original expressions interpreted by the writer are saturated with wise thoughts.

To best tell the story, the writer often addresses to the pattern of repetition in his publicistic letters, synonymous units are repeated, similar or the other part of any other speech, morphemes.. In order to get the reader more interested, the writer often uses interrogative sentences, the so called muttering, in order to fully and accurately perceive information.

სოფიკო ჭაავა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აფხაზეთის ენობრივი სიტუაცია 1926-1927 წლებში
(საარქივო მასალების მიხედვით)

XX საუკუნის 20-იანი წლებში ახალი საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმი დედაქალაქსა და ქვეყნის ცენტრალურ მხარეებში ახორციელებდა პროვოკაციულ ენობრივ პოლიტიკას სატიტულო ეთნოსის დედაენის, ანუ საქართველოს სახელმწიფო ენის უფლებების განუხრელი შეკვეცის, დიასპორათა ენების ფსევდოუფლებების დეკლარაციულად წინ წამოწევისა და რუსული ენის ფუნქციონირების უწყვეტი ზრდისკენ მიმართული პოლიტიკით. ბუნებრივია, ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობა უნდა შექმნილიყო იმდროინდელი საქართველოს ეთნიკურად და ენობრივად ყველაზე ჭრელ მხარეში - აფხაზეთში, სადაც 1864 წლიდან მიმდინარეობდა აგრესიული რუსიფიკატორული პოლიტიკა.

აფხაზეთის სახელმწიფო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში არსებული ენობრივი ვითარების საყურადღებო აღწერას შეიცავს აფხაზი განმანათლებლის ანდრია ჭოჭუას მიერ შედგენილი საბუთი, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნული არქივის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის ფონდში [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640]. ანდრია ჭოჭუა აფხაზეთის სსრ-ს განათლების სახალხო კომისარი იყო 1925-1931 წლებში. მისი ტექსტი წარმოადგენს გაწეული მუშაობის ანგარიშს სათაურით: „საგანმანათლებლო მუშაობა ნაცუმცირესობათა შორის აფხაზეთის სსრ-ში“.

ანგარიშის შესავალი ნაწილი არ განსხვავდება საბჭოთა იდეოლოგიის მომხრე იმდროინდელი ქართველი თუ აფხაზი პოლიტიკოსებისა და მეცნიერების წინასიტყვაობებისაგან, რომლებშიც ზუსტად ერთნაირადაა დაგმოხილი ცარიზმისა და მენშევიკური ხელისუფლების საგანმანათლებლო სფეროს ენობრივი პოლიტიკა და ამის საპირისპიროდ ახალ კომუნისტურ მმართველობას სხვადასხვა ეროვნებების ეთნიკური და ენობრივი იდენტობისთვის მებრძოლ პოლიტიკურ სისტემად წარმოაჩენენ.

ა. ჭოჭუა დოკუმენტის პირველ თავში აფხაზეთის იმდროინდელ ეთნიკურ ვითარებას ასე გადმოგვცემს: „აფხაზეთი წარმოადგენს ერთადერთ ქვეყანას სსრკ-ში, სადაც ასეთ მცირე ტერიტორიაზე ერთიმეორის გვერდით ცხოვრობს რვა ეროვნების მოსახლეობა: აფხაზები, ქართველები, სომხები, ბერძნები, რუსები, თურქები, ესტონელები და გერმანელები“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:1]. ა. ჭოჭუა ამ ნაწილში არ უთითებს, რომელი ეროვნებები იყვნენ აფხაზეთის ძირითადი მოსახლეობა და რომელი უმცირესობები.

ამის შემდეგ ა. ჭოჭუა იწყებს მეფის რუსეთისა და მენშევიკების პერიოდის განათლების სისტემაში არსებული ენობრივი ვითარების ერთნაირად განქიქებას. მისი თქმით: „საგანმანათლებლო მუშაობა ყველა ამ (სკოლებს - ს.ჭ.) შორის ცარიზმის დროს მიმდინარეობდა მხოლოდ რუსულ ენაზე. ცალკეულ ეროვნებათა ყოველგვარი მცდელობანი, გაეხსნათ თავიანთი ეროვნული სკოლები, ანდა შემოეღოთ სწავლება მოსწავლეთა დედაენებზე, დაუნდობლად იდევენებოდა. ამიტომ 1917 წლამდე აფხაზეთში ისევე, როგორც მთელი ყოფილი მეფის რუსეთის სხვა ადგილებში, წმინდა ეროვნული სკოლები სრულებით არ არსებობდა.“

ამგვარი სკოლები გაჩნდა მხოლოდ თებერვლის რევოლუციის მერე, როცა ყოველ ეროვნებას მიეცა შეფარდებითი შესაძლებლობა, სწავლება წარემართა დედაენაზე. მაგრამ ამის შემდეგ მთელი ოთხი წლის განმავლობაში აფხაზეთში ნაციონალიზებული იყო მხოლოდ დაწყებითი სკოლა, - დაწყებითი სკოლის იქით ნაცუმცირესობათა კულტურული მუშაობა არ მიდიოდა. ეროვნული საშუალო სკოლა და, მით უმეტეს, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო მუშაობა აფხაზეთში მოსახლე ეროვნებებს შორის არ არსებობდა. ეროვნული დაწყებითი სასკოლო ქსელიც მენშევიკების ბატონობის მთელი დროის განმავლობაში უცვლელი რჩებოდა. 1917 წელს სკოლების საერთო რაოდენობა 148 იყო, ხოლო 1920 წელს - 146. ცხადია, რომ მენშევიკების რეჟიმის დროს საგანმანათლებლო მუშაობას საერთოდ და განსაკუთრებით ცალკეულ ეროვნებებს შორის არ ექცეოდა არავითარი ყურადღება, ამიტომ კულტურული განვითარება აფხაზეთში მცხოვრებ ეროვნებებში საერთოდ შეწყდა. განათლების საქმის ასეთი სრული უძრაობის მდგომარეობაში მოგვისწრო სოვეტიზაციამ 1921 წლის მარტში“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:1].

როგორც ვხედავთ, ა. ჭოჭუასთვის თითქმის სასტიკად მიუღებელია განათლების ენად მხოლოდ რუსული ენის გამოყენება და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში დედაენებზე სკოლების გახსნა მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ დაუნდობლად იდევენებოდა. გასაოცარი გამოწაკლისია, რომ ცარიზმის ტრაფარეტული ლანძღვის მერე აფხაზი პოლიტიკოსი ნაწილობრივ მაინც აღიარებს ეროვნული სკოლის არსებობას 1917-1921 წლებში. ავტორი ციტირებულ აბზაცში მენშევიკებს ადანაშაულებს იმაში, თითქმის ეროვნული სკოლები მხოლოდ დაწყებით საფეხურს მოიცავდა, თუმცა ა. ჭოჭუა არ განმარტავს იმას, რომ სხვადასხვა ენებზე უფრო მაღალი საფეხურის სკოლების გახსნა ტექნიკურად ვერ მოხერხდებოდა სახელმძღვანელოების უქონლობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების არარსებობის გამო. ამ პრობლემების მოხსნა 4 წელიწადში შეუძლებელი იყო.

განათლების კომისარი ერთმანეთს უდარებს საქართველოს დამოუკიდებლობის და საბჭოთა პერიოდების აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული სკოლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეთა სტატისტიკას, რითაც ნამდვილად დასტურდება მათი რაოდენობრივი ზრდა: „1920 წელს - სკოლა - 146; მასწავლებელი - 248, მოსწავლე - 10.468; 1922 წელს - სკოლა - 183, მასწავლებელი - 530, მოსწავლე - 11.403“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:2].

მოხსენებაში წარმოდგენილი მონაცემებით 1920 წელს აფხაზეთში 146 სკოლიდან ყველაზე მეტი ყოფილა ქართული სკოლა (55), შემდეგ აფხაზური (36), დაახლოებით თანაბრად რუსული (19), ბერძნული (18) და სომხური (11), ხოლო მცირე რაოდენობით იყო ესტონური (3), შერეული (3) და გერმანული (1) სკოლები. 248 მასწავლებლიდან უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველები (94), არაქართველთა შორის ყველაზე მეტნი იყვნენ რუსები (58), შემდეგ აფხაზები (36), თითქმის თანაბრად სომხები (27) და ბერძნები (24), ცოტანი იყვნენ ესტონელები (3), გერმანელები (1) და სხვები (5). 10.468 მოსწავლიდან ყველაზე მეტნი ყოფილან ქართველები (4.294), დაახლოებით თანაბრად აფხაზები (1.790) და რუსები (1.618), ასევე

თითქმის ერთნაირი რაოდენობით სომხები (1.341) და ბერძნები (1.115), ხოლო მცირე რაოდენობით ესტონელები (168), გერმანელები (56) და სხვები (86).

1927-28 სასწავლო წლისთვის ყველაზე მეტი იყო ქართული სკოლა (86), შემდეგ სომხური (77), დაახლოებით თანაბრად აფხაზური (56) და ბერძნული (54), ასევე თითქმის თანაბრად რუსული (17) და ინტერნაციონალური (12), ძალიან ცოტა იყო თურქული (3), ესტონური (3) და გერმანული (1) სკოლები.

გასაბჭოებამდე ყველაზე მეტი იყო ქართული და აფხაზური სკოლები, გასაბჭოების შემდეგ კი ქართული და სომხური. გასაბჭოების შემდეგ 31-ით მეტი ქართული სკოლა გაიხსნა, აფხაზური - 20-ით მეტი, სომხური - 66-ით მეტი, ბერძნული - 36-ით მეტი, ინტერნაციონალური - 9-ით მეტი. რუსული სკოლების რიცხვი შემცირდა 19-დან 17-მდე. იმავე რაოდენობის დარჩა ესტონური (3) და გერმანული (1) სკოლები, ხოლო გასაბჭოებამდე არ არსებობდა და მის შემდეგ შეიქმნა 3 თურქული სკოლა. მაშასადამე, კომუნისტური რეჟიმის დროს ორჯერ მეტი სომხური და ბერძნული სკოლები დაარსდა. მართალია, ამ მონაცემებით ჩანს, რომ რუსული სკოლების რაოდენობა შემცირდა კიდევაც, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სომხურსა და ბერძნულ სკოლებში არ ჰქონდათ საკმარისი რაოდენობის სახელმძღვანელოები და არ ჰყავდათ საკმარისი სომხურენოვანი და ბერძნულენოვანი მასწავლებლები (ამაზე ვრცლად წერს ა. ჭოჭუა დოკუმენტის მეორე თავში - ს. ჭ.), ცხადია, ასეთ სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე წარიმართებოდა. სწავლების მეორე საფეხურიდან პრაქტიკულად რუსულად ხდებოდა სწავლება აფხაზურ სკოლებშიც. შესაბამისად, საბჭოთა ხელისუფლებას არც კი სჭირდებოდა ოფიციალურად რუსული სკოლების დამატებით გახსნა, ვინაიდან ე.წ. ეროვნულ სკოლებში ხელოვნურად იქმნებოდა გარემო იმისთვის, რომ განათლების ენად რუსული გამოეყენებინათ.

ა. ჭოჭუა ხოტბას ასხამს ახალი სოციალისტური სისტემის დამკვიდრებას, რომელიც „მხსნელად“ მოველინა აფხაზეთში მცხოვრებს მოსახლეობას: „1921 წლის მარტის თვემ აფხაზეთის მშრომელებს მისცა აღორძინებისა და კულტურული მშენებლობის ფართო შესაძლებლობები, ყველა ცალკეულ ეროვნებას შეუქმნა შესაძლებლობა თავისი ეროვნული კულტურის შენებისა და განვითარებისა. მომდევნო წლებში შეინიშნება ეროვნული სკოლების ქსელის ასეთივე სწრაფი ზრდა, მატულობს სკოლაში ბავშვი მოსახლეობის ჩართულობა, მიმდინარეობს სისტემატური მუშაობა ნაცუმცირესობათა სკოლების მასწავლებლობის მოსამზადებლად, გადასამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მიმდინარეობს მუშაობა ნაცუმცირესობებში წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციოდ, დაიძრა მკვდარი წერტილიდან და შედეგებს იძლევა პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა ნაცუმცირესობათა ასაკოვან მოსახლეობაში, ყოველი ახალი წელი აღინიშნება მუშაობის ხარისხის ამაღლებითა და გაღრმავებით“ [სეა, გ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:2-3]. ასეთი პათეტიკური შეფასებით ასრულებს ა. ჭოჭუა პირველ თავს, მაგრამ მის მიერ დოკუმენტში წარმოდგენილი მასალებით სინამდვილეში საპირისპირო რამ მტკიცდება.

მომდევნო ნაწილში ა. ჭოჭუა დაწყებითი სკოლების მდგომარეობას მიმოიხილავს. მისი განცხადებით: „დაწყებითი ეროვნული სკოლა, რომელიც გაფორმდა და მყარად ამუშავდა მოსწავლეთა დედაენაზე 1923 წლისთვის, ყველა გასული წლის განმავლობაში განუხრელად იზრდება“.

დოკუმენტის მიხედვით სხვადასხვა საფეხურის 160 სკოლიდან ყველაზე მეტი იყო სომხური (77) და ბერძნული (56) სკოლები. ძალიან ცოტაა რუსული (15), შერეული (6), ესტონური (3), თურქული (2) და გერმანული (1) სკოლები. მათი დიდი ნაწილი პირველი საფეხურისაა (151). ამის საპირისპიროდ, სულ 4 შვიდწლედ (ოთხივე რუსული) და 5 ცხრაწლედია (3 - შერეული, 1 - სომხური და 1 - ბერძნული) აღნუსხული. როგორც ვხედავთ, აფხაზეთში 1927-28 სასწავლო წლისთვის ჯერ კიდევ მცირე იყო მაღალი საფეხურის სკოლათა რიცხვი.

საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის ა. ჭოჭუა სკოლების დაფინანსების შესახებ: „აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობაში მოთხოვნილება დაწყებით განათლებაზე იმდენად დიდია, სახალხო განათლების ბიუჯეტი მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მას, მაგრამ მოსახლეობა, განსაკუთრებით სომხური და ბერძნული, არ ფერხდება სახელმწიფო ასიგნებათა უქონლობის წინაშე, თვითონ ხსნის სკოლებს და მთლიანად ინახავს მათ თავისი ხარჯით - ხელფასს უხდის მასწავლებლებს და ფარავს სკოლის ყველა ხარჯს. არსებობს სასოფლო საზოგადოებების მიერ შენახული ასეთი 32 სომხური სკოლა 40 მასწავლებლით და 15 ბერძნული სკოლა 15 მასწავლებლით“ [სეა, გ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:4].

მაშასადამე, საბჭოთა რეჟიმის ზრუნვა იმდენად „დიდი“ ყოფილა, რომ სომხური სკოლების თითქმის ნახევარი თვით სომეხი მოსახლეობის მიერ ყოფილა დაფინანსებული, ხოლო 56 ბერძნული სკოლიდან 15, ანუ თითქმის 1/4 - ბერძნების მიერ. საკითხავია, ამას დასახელებული ეთნოსების წარმომადგენლები მართლა თავიანთი სურვილით აკეთებდნენ, თუ ეს სახელმწიფოს ფარული თუ აშკარა დაკვეთა იყო? ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ბიუჯეტიდან მხოლოდ მცირეოდენ ხარჯს იმეტებდა და ეროვნული სკოლების გარკვეული ნაწილის ფუნქციონირების უზრუნველყოფას მოსახლეობას ავალდებულებდა.

ა. ჭოჭუა წარმოგვიდგენს და დაწყებითი სკოლის მიერ სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეთა მომსახურების ხარისხის ამსახველ სტატისტიკურ მაჩვენებლებს: 9.526 მოსწავლიდან ყველაზე მეტნი ყოფილან სომხები (4.607), შემდეგ ბერძნები (3.456) და რუსები (1.063). ყველაზე ცოტანი იყვნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები (153), ესტონელები (97), თურქები (92) და გერმანელები (59). უცნაურია, რომ იმ დროს შედგენილი სხვა დოკუმენტებისაგან განსხვავებით, წინამდებარე მასალაში ცალკე არ არიან გამოყოფილი მეგრელები, ლაზები და სვანები, ისინი სრულიად მართებულად ქართველებად მიიჩნევიან.

ავტორის მიერ შედგენილ ამ ცხრილში აღნუსხულია 8-დან 12 წლამდე ასაკის სხვადასხვა ეროვნების 9.524 მოსწავლე, რომელთა შორის 7.062 დადიოდა თავისი ეროვნების სკოლაში, ხოლო 2.462, ანუ 1/4 - სხვა ეროვნების სკოლაში. აქ განათლების კომისარი დასძენს: „დაწყებითი ესტონური ეროვნული სკოლის მიერ სასკოლო ასაკის ბავშვთა დაბალი მომცველობა იმით აიხსნება, რომ ესტონელებს თავიანთი შვილები გადაჰყავთ ქალაქების რუსული სკოლების მაღალ ჯგუფებში“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:5].

ავტორი განაგრძობს: „დაწყებითი სკოლის მიერ ყველა ეროვნების სასკოლო ასაკის ბავშვთა საერთო მომცველობა კი აფხაზეთში, აფხაზეთა და ქართველთა ჩათვლით, 63,1%-ს შეადგენს. ეს გამოთვლა შესრულდა 1926-27 წლების [მოსახლეობის] საყოველთაო აღრიცხვის ფარგლებში საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემთა საფუძველზე გადათვლის მეთოდის გამოყენებითა და სიკვდილიანობის პროცენტის გათვალისწინებით“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N640:6]. როგორც ჩანს, ხსენებული აღწერის დროს საქართველოს სტატისტიკის კომიტეტი კრებდა, ამუშავებდა და აწვდიდა ინფორმაციას აფხაზეთს.

საკვლევი საბუთის ერთ-ერთი ქვეთავია „ამაღლებული განათლება“ [повышенное образование]. განათლების კომისიის ინფორმაციით, „ამაღლებული ტიპის სკოლათა საერთო რაოდენობა აფხაზეთში აქამდე შეზღუდული რჩება: არსებობს ყველა ეროვნების 13 შვიდწლედ, 8 ცხრაწლედ და 6 გლეხი ახალგაზრდობის სკოლა“ (შემოკლებით: გას ს.ჭ.). შვიდწლედები და ცხრაწლედები მრავალი წელია არსებობს, ხოლო გლეხი ახალგაზრდობის სკოლები პირველად მიმდინარე საბიუჯეტო წელს [1926-1927 წწ.] გაიხსნა. გეგმის მიხედვით მომდევნო წელს გაიხსნება სომხური და 2 ბერძნული გლეხი ახალგაზრდობის სკოლა“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:6].

27 სხვადასხვა საფეხურის სკოლიდან ყველაზე მეტი იყო ქართული (11) და აფხაზური (6), თურქული ყოფილა - 4, ნარევი - 3, სომხური - 2 და ბერძნული - 1. ამ მონაცემებში არ ჩანს რუსული სკოლების რაოდენობა, თუმცა ზემოთ აღნიშნულ მონაცემებში მითითებული იყო, რომ არსებობდა 4 რუსული შვიდწლედის სკოლა. 2.574 მოსწავლიდან ამაღლებულ ტიპის სკოლებში სწავლობდა ყველაზე მეტი ქართველი მოსწავლე (1.537), დანარჩენი ეროვნებების რაოდენობა ბევრად ნაკლები იყო: სომხები - 292, აფხაზები - 286, რუსები - 247, სხვა - 109 და ბერძნები - 103.

ა. ჭოჭუა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პედაგოგიური პერსონალის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობაზე. თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ უსახსრობის გამო აფხაზეთში არ არსებობდა ეროვნული პედაგოგიკური სკოლები, ხოლო სხვა რესპუბლიკების სასწავლებლებში გაგზავნა ვერ ხერხდებოდა ფინანსების არქონის, მასწავლებელთა დაბალი ანაზღაურებისა და მსურველთა არარსებობის გამო: „ერთადერთი შესაძლებლობა, რაც რჩება განსახკომის ხელთ ნაცემნ მასწავლებელთა მომზადების საქმეში, არის ეროვნული ცხრაწლედების ორი მაღალი კლასისათვის პედაგოგიური განხრის მინიჭება, რაც განსახკომმა უკვე განახორციელა. სოხუმში არსებულ სომხურ და ბერძნულ ცხრაწლედებს გასული წლიდან მიენიჭა პედაგოგიური განხრა და უახლოეს დღეებში თანდათან დაიწყებენ დაწყებითი ეროვნული სკოლისათვის ადგილობრივი მოსახლეობიდან სომეხი და ბერძენი მასწავლებლების გამოშვებას“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N640:8].

როგორც ჩანს, ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, აფხაზეთის განსახკომი ვერ უზრუნველყოფდა სხვადასხვა ეროვნების მასწავლებელთა გადამზადებას, ამიტომ პედაგოგებს სხვაგან აგზავნიდნენ კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ავტორი წერდა: „არ მოეპოვება რა ადგილებზე ყველა ეროვნებისათვის გადამზადების კურსების დაარსების საშუალება, განსახკომი ჯერჯერობით ყოველწლიურად **მეზობელ რესპუბლიკებში** საზაფხულო კურსებზე გზავნის სომეხ და ბერძენ მასწავლებლებს. ასე, 1926 წელს **სომხურ კურსებზე ახალქალაქში გაიგზავნა 5** სომეხი მასწავლებელი და ანაპაში ბერძნულ კურსებზე 5 ბერძენი მასწავლებელი, 1927 წელს - 6 სომეხი და 7 ბერძენი მასწავლებელი. რუსი, ესტონელი და გერმანელი მასწავლებლები იგზავნებიან გადამზადების კურსებზე, რომლებიც ყოველწლიურად ეწყობა ქ. სოხუმში ერთდროულად ყველა ეროვნების მასწავლებლებისათვის. დამდეგ ზაფხულს მასწავლებელთა გადამზადების გეგმის მიხედვით ბერძნულ კურსებზე ანაპაში უნდა გაიგზავნოს 4 ბერძენი და სომხურ კურსებზე 4 სომეხი მასწავლებელი“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N640:9].

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, უმაღლესი განათლება ჰქონდა 22 რუს, 7 სომეხ და 5 ბერძენ მასწავლებელს; სპეციალური პედაგოგიური განათლება - 13 რუსს, 7 სომეხს, 4 ბერძენს და 1 ესტონელს. 149 სომეხი მასწავლებლიდან 122-ს ჰქონდა საშუალო განათლება, 95 ბერძენი მასწავლებლიდან 58-ს - უდაბლესი განათლება, 63 რუსი პედაგოგიდან 32-ს საშუალო განათლება. ამ მონაცემებით მართლაც ყველაზე მეტნი და ყველაზე კვალიფიციურნი რუსი მასწავლებლები გამოდიან.

მეტად საყურადღებო და საინტერესოა დოკუმენტის ინფორმაცია ბერძნული ენისა და ბერძნული ორთოგრაფიის რეფორმის შესახებ¹: „1927 წლის ივნისში ქ. სოხუმში გაიმართა ბერძენ მასწავლებელთა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 52 ბერძენი მასწავლებელი.

კონფერენციამ გაითვალისწინა რა ორთოგრაფიის რეფორმის ცხოვრებაში დანერგვისა და პოპულარულ ენაზე გადასვლის სირთულე შესაბამისი ლიტერატურისა და **ბერძნული მოსახლეობის ნაკლებად შეგნებული ნაწილის მხრიდან შესაძლო თანადგომის უქონლობის გამო**, ერთხმად გამოთქვა მხარდაჭერა ახალი ორთოგრაფიისა და პოპულარული ენის დამკვიდრებისადმი. განსახვომი 1926 წლიდან თანდათანობით, დიდი სიფრთხილით ახორციელებს კონფერენციის ამგვარ დადგენილებას, რომელიც მთლიანად ეყრდნობა დონის როსტოვში 1928 წლის მაისში გამართული იმ ბერძნული თათბირის ავტორიტეტულ დადგენილებას, რომელსაც აფხაზეთიდან 3 დელეგატი ესწრებოდა. დადგენილ იქნა: „ყველა ბერძნულ სკოლაში უნდა დაინერგოს საკავშირო ბერძნული თათბირის მიერ დამტკიცებული ახალი ბერძნული ორთოგრაფია; ამასთანავე პირველი საფეხურის სკოლებში, რომელთათვისაც არსებობს ახალი ორთოგრაფიის სახელმძღვანელოები, იგი აუცილებლად უნდა იქნეს დანერგილი; ხოლო მეორე საფეხურის კლასებში, შესაბამისი სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის უქონლობისა და მოსწავლეებისათვის ახალ მართლწერაზე სწრაფად გადასვლის სიძნელის გამო, რეკომენდებულია ახალ ორთოგრაფიაზე გადასვლა, [მაგრამ] მოსწავლეებს არ უნდა აეკრძალოთ ძველი ორთოგრაფიით წერაც. რაც შეეხება სწავლების ენას, ხალხური ენა (დიმოტიკა) უნდა ჩაითვალოს სავალდებულოდ იმ კლასებისათვის, რომლებისთვისაც არსებობს შესაბამისი მითითებები და სახელმძღვანელოები. მიუხედავად საქმისადმი ამგვარი ფრთხილი მიდგომისა, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე რეფორმა მნიშვნელოვნად აიოლებს ენის შესწავლას და ზოგადად დროს, განსახვომის ღონისძიებებმა ბერძნული სკოლის ახალ ორთოგრაფიასა და სწავლების პოპულარულ ენაზე გადასაყვანად **ზოგ ადგილას მოსწავლეთა მშობლებს შორის, უმეტესად შეძლებულთა კლასებში, უკმაყოფილება გამოიწვია**“ [სქა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N640:9-10].

ბერძნულ სკოლებში ახალი ორთოგრაფიისა და ხალხური სამეტყველო ენის შემოღების პროცესი კანონიერად იწვევდა უკმაყოფილებას, რადგან საზოგადოებას ექმნებოდა არცთუ უსაფუძვლო შთაბეჭდილება, რომ დაიწყო ეროვნულობის მთავარი ატრიბუტის - ენის შერყვნა. ზემოთ მოყვანილ ციტატაში ჩანს, თითქოს აფხაზეთის განათლების კომისარიატი ძალიან იყო მოწადინებული, რომ ბერძენ მოსწავლეებს გაადვილებოდათ ბერძნული ენის შესწავლა. ის, რომ განსახვომს ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა ენობრივი რეფორმის მოწინააღმდეგეთა მიმართ, ამას ადასტურებს უკმაყოფილო ბერძენთა სოციალურ სტატუსზე ხაზგასმა.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ა. ჭოჭუას მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია 1927-28 წლებისთვის აფხაზეთის სკოლებში სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის შესახებ. ამ საკითხს ხელმძღვანელობდნენ განსახვომის წიგნისა და საწერი ქაღალდის ცენტრალური საწყობი და სამაზრო ქალაქებში მდებარე განყოფილებები. როგორც ვხედავთ, საწერი ქაღალდიც კი კონტროლქვეშ იყო.

საყურადღებოა შემდეგი ინფორმაცია: „ობიექტური პირობების გამო ნაცუმცირესობათა ყველა სკოლას არა აქვს საშუალება საკმარისად უზრუნველყოფილნი იყვნენ მათთვის საჭირო სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით. **თუ სომხური, რუსული, ესტონური სკოლები შესაბამის რესპუბლიკებში ამ ენებზე უკვე აწყოილი გამომცემლობების წყალობით იღებენ მათი მუშაობისათვის საჭირო ყველაფერს, მნიშვნელოვნად უფრო ძნელია საჭირო სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით ბერძნული და თურქული სკოლების უზრუნველყოფა.**

ცოტა ხნის წინ დონის როსტოვში დაწყებულმა ბერძნული [წიგნების] გამოცემამ ჯერ კიდევ ვერ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. ჯერჯერობით მან ბერძნულ სკოლას მხოლოდ ანბანისა და მისი მომდევნო სამ კლასში საკითხავი წიგნის მიწოდება შეძლო. თუკი ეს ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ნაწილობრივ აღმოიფხვრას წიგნის შიმშილი, მეორე საფეხურის სკოლა ჯერ მაინც რჩება სახელმძღვანელოსა და საჭირო ლიტერატურის გარეშე. ეს გარემოება განსაკუთრებით აძნელებს შრომას

¹ ქრონოლოგიური უზუსტობები ჩანს ა. ჭოჭუას მიერ გადმოცემულ ფაქტებში, ვინაიდან, მისი თქმით, 1926-27 წლებში აფხაზეთის ბერძნულ სკოლებში დაწყებულია ის ენობრივი რეფორმა, რომელიც ეყრდნობოდა როსტოვში 1928 წელს (?) მიღებულ დადგენილებებს.

მოსწავლეებისა და მასწავლებლისა, რომლებიც დაბეჯითებით მოითხოვენ, შეიქმნას მეტ-ნაკლებად ასატანი სამუშაო პირობები. ამის გამო განსახკომი ჯერ კიდევ 1926 წლის დასაწყისში დადგა აუცილებლობის წინაშე, გამოეწერა მეორე საფეხურის სახელმძღვანელოები საბერძნეთიდან. სახელმძღვანელოების მიღებული პარტია გულდასმით იქნა გამოკვლეული ბერძენი მასწავლებლებისაგან, განსახკომის ინსპექტორებისაგან, მთავლიტისა¹ და საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკებისა) საოლქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგის შემადგენლობით შექმნილი საგანგებო კომისიის მიერ. კომისიის მუშაობის შედეგად შესაძლებლად იქნა ცნობილი, სკოლაში მიმოქცევისათვის **დაშვებულიყო სახელმძღვანელოთა ძალზე შეზღუდული რაოდენობა, სხვები კი დაწუნებულ იქნა**“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N640:11]. როგორც ჩანს, საკითხი გადაწყვიტა პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა ფაქტორმა, რაზეც კომისიის მუშაობაში მთავლიტის წარმომადგენლისა (ანუ ოფიციალური ცენზორისა) და კომპარტიის საოლქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების განყოფილების გამგის მონაწილეობა მიგვანიშნებს. შემდეგ ა. ჭოჭუა დასძენს: „მიმდინარე წელს განსახკომმა საქართველოს განსახკომის შუამავლობით საბერძნეთში გაგზავნა ახალი შეკვეთა 3.500 მანეთამდე ღირებულების ლიტერატურის შესაძენად. გამოსაწერი ლიტერატურის სია შეადგინა იმავე კომისიამ და შედგება მათემატიკური და საბუნებისმეტყველო-ისტორიული დისციპლინების სახელმძღვანელოებისაგან, სწავლების მე-5 წელს საკითხავი წიგნებისაგან (პოპულარულ ენაზე), დიმოტიკის გრამატიკისაგან, ბერძენი კლასიკოსებისა და **რუსულიდან თარგმნილი ლიტერატურისაგან**. ლიტერატურა ჩამოსვლის შემდეგ გაივლის სპეციალურ კომისიას“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N640:11].

ცხადია, რუსული ლიტერატურის ბერძნული თარგმანების ფუნქცია იყო მოსწავლეთა შეგუება რუსული ლიტერატურის მოსალოდნელ სავალდებულო სწავლებასთან. მაშასადამე, აფხაზეთის განათლების კომისარიატს სომხური, ბერძნული, რუსული და ესტონური სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა მეზობელი რესპუბლიკებიდან და სხვა სახელწიფოდან შემოჰქონდა და საჭიროების შემთხვევაში, ამ საქმის განსახორციელებლად საქართველოს განსახკომსაც მიმართავდა დახმარებისთვის.

ირკვევა, რომ გაზეთებიც სხვა რესპუბლიკებიდან მოდიოდა: „მიმდინარე წელს, წინა წლების მაგალითისამებრ, სომხური სკოლების 40% მომარაგდა გაზეთ **„სოვეტსკაია არმენია“**-თი და ბერძნული სკოლების 50% - **„გრეჩესკი კომუნისტი“**-ით“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N640:12]. აქ უბრალოდ გაუგებარია, რატომ მოდიოდა სომხურ და ბერძნულ სკოლებში მაინცდამაინც რუსული გაზეთები. ალბათ იმიტომ, რომ რუსულენოვანი გაზეთები იოლი საკონტროლებელი იყო და თან შესანიშნავ შანსს ქმნიდა იდეური და ენობრივი გავლენისთვის.

ა. ჭოჭუას ანგარიშში გამოყოფილია შემდეგი ქვეთავი: **„სამეცნიერო და კულტურულ-ეროვნული მუშაობა“, რომელშიც მხოლოდ აფხაზური მიმართულებით არსებული ვითარებაა ასახული**. ავტორი წერს: „ამ მუშაობის მიღწევებად უნდა დასახელდეს: 1/ აფხაზური დამწერლობის გადაყვანა ახალ ანბანზე. შრიფტის არსებობა საშუალებას იძლევა დაწყებულ იქნეს ახალი ანბანით როგორც აფხაზურ ენაზე არსებული ძველი ნაშრომების, ისე ახლადდაწერილთა გამოცემა. 2/ აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოებასთან სახელმწიფო მუზეუმის ორგანიზება, რომელსაც აქვს მეტად ფასეული ობიექტების მნიშვნელოვანი რაოდენობა და სამეცნიერო ხასიათის სოლიდური ბიბლიოთეკა. 3/ უკვე ნოტებზეა გადატანილი და ამჟამად მიმდინარეობს აფხაზური ხალხური მოტივების ნოტებზე გადატანა გუნდის, სიმებიანი და სასულე ორკესტრებისათვის“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N640:25].

ამრიგად, აფხაზი ოფიციალური პირი თავის მოხსენებაში, ერთი მხრივ, აცხადებდა, რომ აფხაზეთის ძირითადი მოსახლეობა აფხაზები და ქართველები იყვნენ, მაგრამ, მეორე მხრივ, ოფიციალურ ანგარიშში, რომელიც საქართველოს დედაქალაქში, ამ ქვეყნის უმაღლეს სახელისუფლებო ორგანოს, ცაკს ეგზავნებოდა, მხოლოდ აფხაზური ენისა და კულტურის საჭიროებებზე წერდა და ქართული ენობრივი მიმართულება არც ახსენდებოდა. სამწუხაროდ, დოკუმენტზე, რომელიც თბილისში მრავალი მოხელის ხელში გაივლიდა, ერთი საპროტესტო მინაწერიც კი არ არსებობს. მაშასადამე, არამცთუ აფხაზი ფუნქციონერისა და მისი სოხუმელი კოლეგებისათვის, არამედ თბილისელი ფუნქციონერებისთვისაც აფხაზეთში მცხოვრები ორი ძირითადი ეთნოსიდან „ეროვნულობა“ მხოლოდ აფხაზებსა და აფხაზურ გარემოს უკავშირდებოდა, რაც შეიძლება ქართველებისა და ქართული ენის უფლებების უხეშ შელახვად შეფასდეს.

როგორც ვხედავთ, აფხაზეთის სახალხო განათლების კომისრის ა. ჭოჭუას მიერ შედგენილ დოკუმენტში უამრავი საინტერესო ფაქტი და მოვლენაა ასახული, დეტალურადაა გადმოცემული აფხაზეთის სსრ-ს საგანმანათლებლო სფეროს ენობრივი ვითარება. ავტორი მოხსენების წინასიტყვაობაში შემართებით აღნიშნავდა, რომ კომუნისტურმა სისტემამ „ყველა ცალკეულ ეროვნებას შეუქმნა

¹ მთავლიტი (რუს. Главлит) - საბჭოური საცენზურო კომიტეტი.

შესაძლებლობა თავისი ეროვნული კულტურის შენებისა და განვითარებისათვის“, რომ აფხაზეთში მცხოვრებ ეთნოსებს შეეძლოთ განათლება მიეღოთ თავიანთ დედაენაზე და ამისთვის საჭირო ყველა პირობა იყო შექმნილი. სინამდვილეში, ამავე დოკუმენტში ა. ჭოჭუას მიერვე წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებითა და აღწერილობებით ხშირად საპირისპირო რამ დასტურდება.

ლიტერატურა:

საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 284, ან. 1, N640. საქართველოს სსრ-ს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. ანდრია ჭოჭუა „საგანმანათლებლო მუშაობა ნაცუმცირესობათა შორის აფხაზეთის სსრ-ში“ (1926-1927 წლები).

Sophiko Tchaava
Sokhumi State University
LANGUAGE SITUATION OF 1926-1927 IN ABKHAZIA
(ACCORDING TO THE ARCHIVES MATERIALS)
RESUME

The Document by Abkhazian Educator Andria Tchotchua, kept in the Fund of the Central Executive Committee of Georgian SSR of National Archives of Georgia (GNA) [GNA, F 284, AN. 1, 1926-1927, #640], contains an important description of the Language Situation existed between 1926-1927 in Abkhazia Contract Soviet Socialist Republic (Abkhazia SSR); Andria Tchotchua, was People's Commissar of Education of Abkhazia SSR between 1925-1931 and the Document text under the title **“Educational Work among the National Minorities in Abkhazia SSR”** is the summary of the activity performed by him.

According to the archives materials it becomes obvious that: 1. starting from March 1921 - after sovietization of Abkhazia, the Armenian and Greek schools opened chaotically in Abkhazia SSR territory. The Soviet Government obligated the Armenian and Greek communes to finance the schools themselves; 2. In the mentioned period there was not any local staff of teachers in Abkhazia SSR which caused arriving of Armenian and Greek teachers - with 2-3 years of schooling, from Armenia or Tbilisi; 3. The Greek Language reform was planned, namely – simplifying the orthography and the spoken language to ease studying Greek; 4. The Russian, Armenian, Greek, Estonian textbooks and supplementary literature were brought in; 5. The schools were provided with the ideologized Russian newspapers; the Estonian children went to the high class Russian schools.

To sum up, the Document compiled by Andria Tchotchua, – People's Commissar of Education of Abkhazia SSR, contains the descriptions of many interesting facts and events; considers in details the language situation of the educational field of Abkhazia SSR. The author, with great agility, mentions in the preface of the Document that the communist system “gave the opportunity to each definite nation to build and develop its national culture” and that any ethnic group could receive education in its native language as there existed all the conditions for it; though the statistics data and descriptions by A. Tchotchua, often prove the opposite.

ლიტერატურათმცოდნეობა Literature Studies

ლევან ბებურიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სიკვდილის კონცეპტი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

სიკვდილი მსოფლიო ლიტერატურისა და, ზოგადად, ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მყარი მოტივია. ეს იდემალებით მოცული მოვლენა პიროვნების სულში ერთდროულად წარმოშობს შიშის, მოწიწებისა და ინტერესის განცდებს. იგი მრავალგვარ საფიქრალს აღუძრავს ადამიანს, უპირველეს ყოვლისა კი უბიძგებს მას არსებობის საზრისის ძიებისაკენ, ამიტომაც მიიჩნევენ, რომ „სიკვდილის პრობლემა არის არა მხოლოდ მეტაფიზიკის, არამედ - სიღრმისეული, ონტოლოგიური ეთიკის პრობლემა... მხოლოდ სიკვდილის ფაქტი აყენებს მთელი სიმძაფრით სიცოცხლის საზრისის საკითხს“ (ბერდიაევი 2010: 405).

თავის დროზე ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე მიუთითებდა სიკვდილის თემისადმი ქართველი მწერლების გულგრილ დამოკიდებულებაზე და ამ გარემოების განმაპირობებელ მიზეზებსაც ეძიებდა: „ნუთუ ჩვენი ცხოვრების მხედველ პოეტს ხშირად არ უნდა მოსდიოდეს ფიქრი სიცოცხლისა და ცხოვრების მოსპობაზე? არ ვიცი, რას უნდა მიეწეროს: ქართველის უდარდელსა და უზრუნველ ბუნებას, თუ მისი გონებისა და გრძნობის სიმჩატეს, რომ ასეთი საგანი თითქმის უყურადღებოთ აქვს მიტოვებული ჩვენს სალირიკო პოეზიას, მაშინ, როდესაც ევროპის ცნობილ ლირიკოსთა უმეტესობას უყურადღებოთ არ დაუტოვებია იგი“ (აბაშიძე 1962: 53-54).

კრიტიკოსის ეს შეფასება, ცხადია, მაინც რადიკალურია და მთლად ზუსტად არ ასახავს ფაქტობრივ ვითარებას. შეიძლება, ძველ და ახალ ქართულ ლიტერატურაში მრავლად არ მოგვეპოვება სპეციალურად სიკვდილის თემისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს უპირითადესი ფილოსოფიური პრობლემა ჩვენი მწერლების ინტერესის მიღმა დარჩა საერთოდ. კლასიკური ქართული ლიტერატურის ძეგლებსა თუ ფოლკლორულ ნიმუშებში არაერთგან ვხვდებით მსჯელობას სიკვდილის არსის შესახებ.

ქართულ ფოლკლორში სიკვდილის თემა გადაჯაჭვულია წუთისოფლის ამაოების, წარმავლობის მოტივთან. სიკვდილის რაობის გააზრებისას ფოლკლორულ ნიმუშებში ვლინდება როგორც აზროვნების მითოლოგიური წყობა, მითიური წარმოდგენები¹, ასევე ქრისტიანული თვალთახედვა და მასთან დაკავშირებული ღრმად ადამიანური განცდები. სახალხო მთქმელი წყევლას უთვლის, შეაჩვენებს სიკვდილს, როგორც დაუნდობელ და ბოროტ მტერს:

სიკვდილო, ვერ დაგემალე,
კლდე გამოვკაფე სალია,
გაგექე, ვერსად წაგიველ,
ცხენი არა მყავს მალია...
ქრთამი გაძლიე, არ გინდა,
თვალ-მარგალიტი, ლალია!
(ქართული... 1979: 55)

მეორე მხრივ, არაერთ ლექსში ისიცაა გაცნობიერებული, რომ სიკვდილი ღვთის განგებაა, „სიკვდილი ღვთის ვალია“ და მას გარკვეული ზნეობრივი ფუნქციაც აკისრია, - ადამიანთა ამპარტავნების

¹ აღნიშნული საკითხი საგანგებოდაა განხილული თემურ ჯაგოდნიშვილის ნაშრომში „სიკვდილის მითოური გააზრება ხევსურულ პოეზიაში“ (ჯაგოდნიშვილი 1990: 22-28).

მოთოკვისა და მათი გათანასწოებისა. ერთ ხალხურ ლექსში სიკვდილის ასეთი მონოლოგია წარმოდგენილი:

ღვთისგან ორ გამოგზავნილი,
მაგის ორ ბრძანებაზედა,
მე რო არ ვიყო, სიკვდილი,
ზოგნი ხო წავლენ ცაზედა?
დიჩინთა, ამპარტიონთა
ვინ ამასხამს ჭკვზედა?
(ქართული... 1979: 60)

ქართულ ფოლკლორულ ნიმუშებში „ბინდისფერი სოფლის“ წარმავლობა, სიცოცხლით გაუმადლარ ადამიანს უფრო ხშირად მაინც მტკიცუნეულ და მძიმე განცდებს აღუძრავს, ვიდრე რელიგიურ სიმშვიდეს, ამიტომაც ამ თემაზე შექმნილი ხალხური ლექსების უმრავლესობა მძაფრი, ნაღვლიანი განწყობილებითაა აღბეჭდილი:

წუთისოფელი რა არი?
აგორებული ქვა არი,
რა წამს კი დავიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი.
(ქართული... 1979: 32)

ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, ცხადია, ქრისტიანული თეოლოგიის საფუძველზეა გააზრებული. ქრისტიანული თვალსაზრისით, სიკვდილი არის საზღაური ცოდვისა, რაც მოჰყვა ადამის მიერ ღვთის მცნების დარღვევას („ხოლო ხისა მისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა შუამოთ მისგან, რამეთუ, რომელსა დღესა შუამოთ მისგან, სიკუდილითა მოსწყდეთ“ (დაბადება 2, 17) როგორც პავლე მოციქული აცხადებს - „ადამის გამო ყოველნი მოწყდებიან“ (1 კორინთელთა, 15, 22), „ერთისა მის კაცისათვის ცოდვა სოფლად შემოხდა და ცოდვის ძლით - სიკუდილი, და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკუდილი მოიწია“ (რომაელთა 5, 12).

ქრისტიანული ღვთისმეტყველების მიხედვით, მართალია, სიკვდილი, ერთი მხრივ, ბოროტებაა, სასჯელია, მაგრამ, მეორე მხრივ, კაცთა მოდგმისადმი ღვთის წყალობის გამოხატულებადაც გვევლინება: „ფიზიკური სიკვდილით ღმერთმა ადამს „დიდი სიკეთე“ მიმადლა, რადგანაც ამით საზღვარი ედება ადამიანის ცოდვილ მდგომარეობას, სიკვდილი არის გარანტი იმისა, რომ ადამიანი არ იქნება „მარადის შეკრული ცოდვით“ (ვასილიადისი 2009: 75). ბასილი დიდის თქმით, „ღმერთმა ხელი არ შეუშალა სულისა და სხეულის განშორებას, რათა თავად სენი ჩვეში არ ყოფილიყო უკვდავი... სიკვდილით კაცთმოყვარე ღმერთი ცოდვით დაცემული ადამიანის ბუნებას კი არ სჯის, არამედ კურნავს“ (ვასილიადისი 2009: 76).

განსხვავებულია სიკვდილის საღვთისმეტყველო აღქმა ძველ და ახალ აღთქმებში. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, ადამის პირველცოდვის შედეგად ღმერთსა და კაცს შორის გაჩენილი უფსკრულის გამო, ვერანაირი ზნეობრივი ძალისხმევა ვერ დაუმკვიდრებდა ადამიანს ცათა სასუფეველს. ამიტომაც ძველი აღთქმის მართალნი და წინასწარმეტყველნიც კი ძრწოდნენ სიკვდილის წინაშე, რამდენადაც მის მიღმა ვერ ხედავდნენ შვებას. ძე ღვთისამ განხორციელებით აღადგინა ადამიანის ღმერთთან შეერთების შესაძლებლობა. იესო ქრისტეს გამომსყიდველობითი მსხვერპლის შემდეგ სიკვდილი უკვე უფალთან შეერთების, თანაზიარობის საწინდარია მართალი სულისათვის, ამიტომაც ერთგვარად სასურველიც კია. პავლე მოციქული აცხადებს: „ჩემთვის სიცოცხლე - ქრისტეა და სიკვდილი - სარგებელი. ხოლო თუ ხორციელად სიცოცხლე ნაყოფიერია ჩემი საქმისათვის, არ ვიცი, რომელი ავირჩიო. ერთიც მიზიდავს და მეორეც: რადგან გული მითქვამს, რომ გასვლა და ქრისტესთან ყოფნა ათასწილ უმჯობესია. ხოლო ხორციელად ყოფნა უფრო საჭიროა თქვენთვის“ (ფილიპელთა 1, 21-23).

სწორედ ამიტომ მოწამენი სიხარულით ეგებებიან სასიკვდილო განაჩენს, რადგან მასში ხედავენ ღმერთთან თანაზიარების საფუძველს და თავიანთი სულიერი შემართებით „სიკვდილით სიკვდილს თრგუნავენ“. უკანასკნელ გზაზე მიმავალი აბო ტფილელი ამგვარად ამხნეებს მგლოვიარე ქრისტიანებს: „ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მე უფლისა ჩემისა მივალ“ (ძველი ქართული... 1963: 70). ამავე ნაწარმოებში ვხვდებით ერთ საოცარ პასაჟს. აბოს ისე განუძარცვავს სიკვდილის შიში, იმდენად ამაღლებულა ბუნებრივ ინსტინქტზე, რომ ვითარცა მიცვალებულს, ისე მიაცილებს საკუთარ თავს

ასმეთვრამეტე ფსალმუნის გალობით: „ხოლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, გერე ჰხედვიდა თავსა თვისსა მას გუამსა“ (ძველი ქართული... 1963: 70).

სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის გააზრების თვალსაზრისით ქრისტიანულ წარმოდგენას მიჰყვება „ვეფხისტყაოსნი“. პოემის მიხედვით, ადამიანი სულისა და ხორცის ერთობაა, სხეული წარმავალი და განქარვებადია, სული კი - უკვდავი. ავთანდილის ანდერძში არეკლილია ქრისტიანული წარმოდგენა სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ:

კვლა ცეცხლი ჯოჯოხეთისა ნუმცა მწვავს იგი ალები,
მომცეს მკვიდრივე მამული მუნ, ჩემი სასურვალეზი!
(რუსთაველი 2006: 236)

რუსთველის გმირებს მტკიცედ სწამთ, რომ საიქიოში სული ინარჩუნებს პიროვნულობას. ავთანდილი ღელავს იმის გამო, რომ თუ არ დაეხმარება მმადნაფიცს, პირნათლად ვერ წარდგება მის წინაშე იმქვეყნიურ ცხოვრებაში: „პირის-პირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა“. ასევე ნესტანს სჯერა, რომ თუ ამქვეყნად ვეღარ იხილავს სატრფოს, საიქიოში მაინც შეეყრება მას: „მუნა გნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი“. სასომხიდილი ტარიელის უკანასკნელი იმედიც ისაა, რომ საუკუნო ცხოვრებაში იქნება ნესტანთან ერთად: „აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით, მუნ ერთმანეთი კვლა ვნახეთ, კვლა რამე გავიხარენით“.

რუსთველის თქმით, სიკვდილი არის „საქმე... ყოველთათვის გარდუვალი“, მას „ვერ დაიჭირავს... გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“, არავის ძალუძს სიკვდილის დამარცხება, იგი პიროვნული მსაჯულია, რომელიც ათანასწორებს დიდსა და მცირეს. სიკვდილის აჩრდილი გამუდმებით თან სდევს ყოველ დაბადებულს: „სცთების და სცთების სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“.

მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები იბრძვიან ამქვეყნიური ბედნიერებისათვის, ეს მიზანი ბოლომდე არ ამოწურავს მათ მისწრაფებათა შინაარსს. რუსთველის პოემის მიხედვით, ადამიანის მიწიერი ცხოვრების, ზნეობრივი წვრთნის მთავარი არსი მარადიულთან, წარუვალთან ზიარებაა: „მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“. ერთი სიტყვით, მიწიერ სიცოცხლეს არ აქვს აბსოლუტური ღირებულება, თუ იგი არ მიემართება მეტაფიზიკურ სამყაროს. რუსთველის გმირებს არად უღირთ სიცოცხლე, თუ მას გამოცლილი ექნება ზნეობრივი შინაარსი, მაღალი მიზნისთვის სიცოცხლის გაწირვა კი დიდ ბედნიერებად მიაჩნიათ: „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრეფ კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“, - ამბობს ავთანდილი. ეს სიტყვები თავისებური პერიფრაზია უმთავრესი ქრისტიანული მცნებისა: „უფროისი ამისა სიყუარული არა ვის აქუს, რაითა სული თვისი დადვას მეგობართა თვისთათვის“ (იოანე 15, 13).

აღორძინების ხანის მწერალთაგან პრობლემის საინტერესო დამუშავებით გამოირჩევა დავით გურამიშვილი. პოეტი არაერთგან მსჯელობს ადამიანის მოვალეობის, სიცოცხლის საზრისის, სიკვდილის რაობის საკითხებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ლექსი „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“. ნაწარმოები ყურადღებას იპყრობს საღვთისმეტყველო სიღრმითა და გამოხატვის ფორმოებრივი სისადავით. სათქმელის გადმოსაცემად პოეტი ირჩევს გაბაასების ჟანრს, რომელიც მყარად დამკვიდრდა აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში.

გურამიშვილის თვალსაზრისით, „სიკვდილ-სიცოცხლე ორივე არიან ღვთისა განგება“. სიკვდილი სამყაროში შემოვიდა ევას პირველცოდვის შედეგად: „ბებიაშენი გამოძღა ვაშლითა, ედემის სხლითა, მით მოგვლენიათ სიკვდილი, შენ ჩემზედ რად ხარ რისხვითა?“. ვინაიდან სიკვდილი ყოველწამიერად უახლოვდება ადამიანს, ამიტომაც იგი უნდა ეცადოს ღვთისათნო ცხოვრებით მომზადებული შეეგებოს მას: „ყველას გვეწვევის სიკვდილი, გვმართებს დავუხვდეთ მზათაო, ის ჩვენკენ მოდის, ჩვენ - მისკენ, ვერსად აუქცევთ გზათაო“.

„სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“ ძალზე საინტერესოა საკითხის მხატვრული განსახიერების თვალსაზრისით, რამდენადაც იგი სატირულ-იუმორისტული მიდგომითაა შესრულებული. ერთმანეთთან სიტყვიერად მოპაექრე სიკვდილი და კაცი არ იშურებენ მძაფრ ირონიას და ურთიერთზე იერიში მიაქვთ კომიზმის გამომწვევი ეპითეტებით, შედარებებით, სკაბრეზული თქმებითა და მოსწრებული გამონათქვამებით. კაცი ამგვარად ამკობს სიკვდილს: „თაგვის სოროებს მიგიგავს ცხვირი, პირი და თვალები“; „ტურფა ხარ თვალად, ტანადა, სულად ერჩევი ჯარშია, ტანზედა დიბის ქათიბი გიხდების კაბის არშია“, ანდა „თუ შენ გვთიბ, შენ გვჭამ, შენს ნაჭამს, ვინ გიხვეტს, გიწმენს, გიგავსო? თუ არვინ გიხვეტს, უთუოდ ნეხვით ნიფხავი შიგ ავსო“. სიკვდილიც არ რჩება ვალში და ბერიკაცს მოიხსენიებს ეპითეტებით: „სასაცილო“, „გონჯო“, „დაბრეცილო“ და ა. შ.

ღრმა საღვთისმეტყველო სწავლებანი ნაწარმოებში დიალოგური ფორმითა და სადა, გასაგები ენითაა გადმოცემული; სატირული ელფერი სახალისო წასაკითხად აქცევს ლექსს და გარკვეულწილად

ანელებს იმ სულიერ სიმძიმეს, ადამიანს სიკვდილზე ფიქრისას რომ აღეძვრება. ერთგვარი სიმსუბუქე, რომელიც ნაწარმოების დასრულების შემდეგ ეუფლება მკითხველს, განპირობებულია სიკვდილის საბოლოოდ დამარცხების რწმენით. სანამ სიკვდილი სულს ამოხდის ბერიკაცს, ეს უკანასკნელი ასეთი სიტყვებით მიმართავს მას:

სიკვდილო, ჩემის შეჭმითა ვერ გასუქდები მწავადა,
შენ ღმერთი ცეცხლის ტბაშია ჩაგაგდებს დასაწვავადა,
ეს ჩემი სული ზეცადა უკვდავის ხორცით წავა და
წამოგიჯდება ზეიდან წაკულვად, საპრაწავადა.
(გურამიშვილი 1998: 172)

ამ სიტყვებით ხაზგასმულია სიკვდილის უძლურება სულის უკვდავების წინაშე. საყურადღებოა, რომ ღრმად განსწავლული პოეტი ეყრდნობა „იოანეს გამოცხადებას“, რომელშიც აღწერილია, უფლის მეორედ მოსვლის, საყოველთაო მკვდრეთით აღდგომისა და საშინელი სამსჯავროს შემდეგ სიკვდილის საბოლოო დამარცხება: „და სიკვდილი და ჯოჯოხეთი შთავარდეს ტბასა მას ცეცხლისასა. ესე სიკუდილი მეორე არს“ (გამოცხადება 20, 14)

სიკვდილის თემა არცთუ ფართოდაა გაშლილი ქართველ რომანტიკოსთა პოეტურ მემკვიდრეობაში.

სიკვდილის დაუნდობლობის, შეუბრალებლობის თაობაზეა საუბარი ალექსანდრე ჭავჭავაძის როგორც ორიგინალურ, ასევე გადმოკეთებულ ლექსებში: „რაა სიკვდილი“, „სხვადასხვისა დროისათვის კაცისა“, „წარწერილება საფლავსა ზედა ყრმაწვილისასა“.

რაიმე განსაკუთრებული თავისებურებით არ გამოირჩევა ამ თვალსაზრისით გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება. საკითხის გააზრებისას პოეტი ტრადიციულ ქრისტიანულ წარმოდგენას ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც, გარდაცვალების შემდეგ სული სხვა სამყაროში განაგრძობს მარადიულ სიცოცხლეს:

ყველა იცვალოს, ყველა მოკვდეს, დამიწდეს,
და მხოლოდ წრფელი სული, წმინდა ცხოველი
მღვთადა ავიდეს ნაწილაკი მღვთაებრი.
(„ჩემი ეპიტაფია“)
(ორბელიანი 1959: 53)

საგანგებოდ არსად უტრიალებს სიკვდილის თემას თავის პოეზიაში ნიკოლოზ ბარათაშვილი, თუმცა საინტერესოა მისი ერთი პირადი წერილი მიხეილ თუმანიშვილისადმი, რომელშიც პოეტი სასაფლაოზე ყოფნის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს: „ერთ-ერთ... საღამოს წავედი სახეტილოდ.... და თავი სასაფლაოზე ამოვყავი. უნდა გამოგიტყდე ცოტა შევშფოთდი, როდესაც თვალი მიმოვავლე ამ მყუდროებას; ღამის 11 საათია, არც ერთი სული! გარშემო მარადიული სიცილიერე; მთვარე მკრთალად ანათებს საფლავებს... შენ ახლა არხეინადა ხარ და მე არ მინდა შეგაშფოთო მჭმუნვარე ფიქრებით, რომლებიც გამოიწვია ჩემში ამ ზეციურ-ქვეყნიურმა სანახაობამ! გეტყვი კი, რომ სასაფლაო მშვენიერი გამოგონებაა, ის აუცილებელია, რათა მოკვდავი დროგამოშვებით იმაში თავის ცხოვრებას კითხულობდეს! ბედკრულის ნუგეშისცემა - დასასრული ბედნიერებისა!“ (ბარათაშვილი 1972: 110). როგორც ვხედავთ, ბარათაშვილის სიტყვებში აქცენტირებულია სიკვდილის ეთიკური მნიშვნელობა იმ თვალსაზრისით, რომ იგი ადამიანს აფიქრებს ცხოვრების საზრისზე.

გრიგოლ კიკნაძის მართებული დასკვნით, მართალია, „გრ. ორბელიანს, ა. ჭავჭავაძეს და, ხანდახან, ნ. ბარათაშვილსაც შეჰქონდათ ეჭვი ცხოვრების აზრში, მაგრამ არც ერთ მათგანს ხსნა სიკვდილში არ დაუნახავს. ეს იმას ნიშნავს, რომ სიკვდილი არ წარმოადგენს ქართველი რომანტიკოსების მოტივს“ (ახალი... 1972: 243).

იგივე შეიძლება ითქვას ქართული კრიტიკული რეალიზმის მთავარი წარმომადგენლების, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაზეც. არც მათი მხატვრული პროდუქცია გვთავაზობს რაიმე თვისებრივ სიახლეს საკითხის მხატვრული გააზრების თვალსაზრისით.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთმიმართების საკითხი განხილულია როგორც ეთიკურ, ასევე ესთეტიკურ ასპექტში¹. პოეტის შეხედულებით, სიკვდილ-

¹ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სიკვდილის განსახიერების ზოგიერთი თავისებურება განხილულია ლ. ცერცვაძის ნაშრომში „ადამიანის პრობლემა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“ (ცერცვაძე 2005: 132-151).

სიცოცხლის მარადიული მონაცვლეობა სამყაროს არსებობის უძირითადესი პრინციპია. ვაჟასათვის უცხოა აზროვნების იმგვარი წესი, რომელიც სიკვდილსა და უძრაობას სამყაროს პირველად მდგომარეობად და საწყისად მოიაზრებს, სიცოცხლეს კი - მეორეულად. პოეტის აზრით, სიცოცხლე მარადიული და დაუსრულებელია, სიკვდილი კი მხოლოდ მის დამატებას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, შეიძლება თქვას, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება საუკეთესოდ გამოხატავს ქართველი კაცის მორალურ მრწამსს:

სოფლისა წესი ასეა,
ჩვენ წავალთ, სხვანი რჩებიან;
მკვდრების მაგივრად მალედვე
მეორეები ჩნდებიან.
სიცოცხლეს სიცოცხლე უყვარს,
ეს მიტომ დასდვა წესადა;
სიკვდილი გაუჩენია
მას თავის გასაკვებადა.
იმიტომა სძულს უძლური,
ვით ტანსაცმელი ძველია,
რომ უყვარს ნორჩი, ახალი -
მით დაიმშვენოს წელია.
(„სოფლისა წესი ასეა“)
(ვაჟა-ფშაველა 2006: 276)

თუ ხანგადასულის კვდომა, გაქრობა ყოფიერების შეუცვლელი კანონია, უდროო სიკვდილი ეწინააღმდეგება ბუნების მაარსებელ წესს, ამიტომაც ევედრება პოეტი დამბადებელს:

ღმერთო, ნუ მოჰკლავ პატარას,
ნუ აუტირებ მშობელსა,
ნუ მიაბარებ შავს მიწას
ამ სოფლის გაუცნობელსა,...
აცადე გაძღეს სიცოცხლით, -
ავის და კარგის ნახვითა,
შაეძლოს მამულის დაცვა
გამაგრებულის მკლავითა.
(„ღმერთო, ნუ მოჰკლავ პატარას“)
(ვაჟა-ფშაველა 2008: 433)

ვაჟას პოეტურ სამყაროში სიკვდილი და სიცოცხლე წარმოდგენილია, ერთი მხრივ, როგორც ურთიერთმებრძოლი, მარადიულად დაპირისპირებული, მაგრამ, ამავედროულად, ურთიერთმემავესებელი, ურთიერთსრულმყოფი მოვლენები. სიკვდილი სდევნის სიცოცხლეს, თუმცა ერთგვარად კიდევ „ემშველება“, ემსახურება და ალამაზებს მას. ეს თვალსაზრისი შთამბეჭდავდაა გამოხატული პოეტის ცნობილ სიტყვებში:

ღმერთმა გიმველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა
და შენც, სიკვდილო, ფასი გძე
სიცოცხლის ნაწყენობითა.
(„მოგონება“)
(ვაჟა-ფშაველა 2006: 136)

ესთეტიკურ ჭრილში სიკვდილი ამშვენებს სიცოცხლეს, რამდენადაც აცილებს მას დრომოჰმულს, დამჰკნარს, უძლურს და ამგვარად მის განახლებასა და სრულყოფას უწყობს ხელს. ეთიკურ ასპექტში კი სიკვდილი ამშვენებს სიცოცხლეს, რადგან აზრს, შინაარსს სძენს მას. სწორედ მიწიერი სიცოცხლის სასრულობა ბადებს ადამიანში სამყაროს შემეცნებისა და მასში საკუთარი ადგილის გარკვევის სურვილს, თავმდაბლობისა და თანაგრძნობის ზნეობრივ განცდებს. სიკვდილის აჩრდილი აქრობს უზრუნველობის ბურუსს, აფხიზლებს ადამიანს და სინდისთან ერთად დარაჯად უდგას მის ზნეობრივ ცნობიერებას.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სიკვდილის რაობას ადამიანისაგან განსხვავებულად აღიქვამენ პერსონიფიცირებული ბუნების წარმონაქმნები. მათ ზარავთ სიკვდილი, რადგან ვერ ძლებიან სიცოცხლით: „სიკვდილი კარგი არ უნდა იყოს“, - ამბობს ქუჩი („ქუჩი“). „თუ გამაჩინე, უფალო, დიდი დღე რად არ მამეო“, - საყვედურს შეჰკადრებს დამბადებელს ია („ია“). მიწიერ არსებათაგან მხოლოდ ადამიანია ის, ვისაც ძალუძს ამაღლდეს სიკვდილის ფაქტზე და მასშიც კი თავისებური მშვენიერება დაინახოს: „დღეს რომ ცოცხალი ვარ, - ეს მეტი მადლია ჩემთვის ღვთისაგან მონიჭებული და ვცდილობ სიცოცხლე რაშიმე გამოვიყენო. ვფიქრობ, ვგრძნობ, მიყვარს, მძულს და კაცი მეკიან, დიად, კაცი საუკეთესო ბუნების წევრი ვარ, - ალბათ სიცოცხლესთან სიკვდილიც ერთი მადლია, ერთი მშვენიერებათაგანი, დამამძიმებელი, ამაძალღებელი ჩემის კაცობისა“ (ვაჟა-ფშაველა 1964b :115).

ვაჟა-ფშაველას თქმით, სიკვდილის იდუმალეობა იმდენად ყოვლისმომცველია, რომ ზოგჯერ იგი ადამიანის ცოდვილი ინტერესის წარმომშობი მიზეზიც ხდება. ეს ფსიქოლოგიური მომენტი საგანგებოდაა აქცენტირებული „სტუმარ-მასპინძელში“. პოემის მიხედვით, ზვიადაურის „შეწირვის“ მაყურებელთა სიმრავლე მხოლოდ მოსისხლე მტერზე შურისძიების წყურვილით კი არ არის გამოწვეული, არამედ ღრმად ადამიანური განცდით - სიკვდილისადმი ინტერესით. თუმცა პოეტის მიერ ამ გრძნობის თავშეუკავებელი გამოვლენა, რაც სიკვდილით დასჯის პროცესზე დასწრების სურვილით გამოიხატება, შეფასებულია, როგორც მანკიერი, ცოდვილი ზრახვა:

სიკვდილი ყველას გვაშინებს,
თუ სხვას ჰკვლენ, ცქერა გვწადიან.
კაცნი ვერ გრძნობენ ბევრჯელა,
როგორ დიდს ცოდვას სჩადიან.
(ვაჟა-ფშაველა 2009: 285)

სიკვდილის შიში ყველა ადამიანისათვის ბუნებრივი განცდაა, მაგრამ ჭეშმარიტი რაინდის დამახასიათებელი თვისებაა ამ გრძნობისადმი ქედმოუხრელობა. „რომ დავდგეთ სიკვდილის მიღების სიმაღლეზე და მისდამი შესაფერისი დამოკიდებულება ვიქონიოთ, საჭიროა არაჩვეულებრივი სულიერი ძალისხმევა, საჭიროა სულიერი განათლება. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში მიღებული ადამიანის ზნეობრივი გამოცდილების არსი ისაა, რომ იგი დადგეს სიკვდილის მიღების სიმაღლეზე“ (ბერდიაევი 2010: 406). ვაჟა-ფშაველას მიხედვით, ვაჟკაცს არ შეშვენის სიკვდილის შიში, იგი უნდა „თავზარსა სცემდეს სიკვდილსა, ზედ ქორებულად ფრინავდეს“ („კაი ყმა“). სიკვდილის გარდუვალობის განცდა არ ახშობს ვაჟას გმირების სილაღესა და გამბედაობას. ისინი არ დაჰკანკალებენ საკუთარ სიცოცხლეს, მათ არსებაში სიცოცხლის შენარჩუნების, თვითგადარჩენის ინსტინქტს თრგუნავს ზნეობრივი მოვალეობის გრძნობა. ვაჟას გმირები აბუჩად იგდებენ სიკვდილს: „ყველას ისა სძლევს, სიცოცხლეს ვინაც არ აგდებს ჩალადა“ („მხედართა ძველი სიმღერა“). საკუთარი მრწამსის გამო წარბეზებულად წირავენ სიცოცხლეს ჯოყოლა, გიგლია, ბაკური, ქიჩირი, კვირია თუ ლელა. სიცოცხლე არ არის მათთვის უზენაესი ღირებულება. ვაჟას თქმით, „ხშირად სიკვდილში კაცი სიცოცხლეს ჰპოულობს... მისთვის სიკვდილი, რაც კაცს უყვარს და ებრალება, იგივე სიცოცხლეა“ (ვაჟა-ფშაველა 1964a: 138). მხოლოდ დიდი სულის ადამიანს შეუძლია თავგანწირვა მაღალი იდეისათვის: „აზრის და სიმართლისათვის მხოლოდ ვაჟკაცი კვდებისა“ („ყველასაცა გვაქვს“).

ვაჟა-ფშაველა სხვადასხვა მხატვრული რაკურსით გვიჩვენებს სიკვდილის რაობას. თუ ზოგჯერ სიკვდილი პიროვნების სულიერი ამაღლების საწინდარია, ხანდახან იგი დიდი უბედურების დასაბამი ხდება. მოთხრობაში „მთიელის უბედურება“ ნაჩვენებია, თუ რა შედეგები მოჰყვება ოჯახის მარცხნალის სიკვდილს გამუდმებულ სიღუბეში მცხოვრები ადამიანებისათვის. ნაწარმოების დასაწყისშივე ავტორი დაკრძალვის სცენის აღწერით ქმნის მძიმე სულიერ ატმოსფეროს: „მთიელი მოკვდა. სიკვდილი საშინელია. წარმოიდგინეთ სამარე, - ცივი სამარე; საფლავის პირზე აგროვებული მიწა და მესაფლავეები ხელნიჭიანები, რომელნიც მზად არიან მიაყარონ მიწა საბრალო ჩემს მეგობარს... ეხლა უნდა ჩალპეს მისი მგრძნობი გული მიწაში და ჭიადლებით უნდა გაიტენოს გრძნობის სადგური“ (ვაჟა-ფშაველა 2011: 27). სიკვდილი უბედურებაა გარდაცვლილისათვის, მაგრამ უფრო დიდი საშინელება მოაქვს ობლად დარჩენილი ოჯახისათვის, რომლის წევრებსაც სილატაკისა და დამცირების უღელი ელოდებათ: „ობლობა უფრო საშინელია. მკვდარი აღარაფერსა გრძნობს, თუნდა მგლებმა და სვავებმა შაჰამონ, თუნდ ჭიებმა - სულ ერთია, საბრალოა დაობლებული ოჯახი. ყველაფერი ცუდი დაობლებულს ოჯახში გაჩნდება“ (ვაჟა-ფშაველა 2011: 27). შიმშილისაგან დაუძლურებულ, მიძინებულ დედასა და შვილებს ეზმანებათ მიცვალებული ბერო, რომელიც სანუგეშოს ვერაფერს ეტყვის დაობლებულ ოჯახს, მხოლოდ ადამიანური ყოფის ტრაგიზმის პროზაულობას შეახსენებს მათ და მოთმინებისაკენ მოუწოდებს: „რა გიშველოთ... მე

მეტი ამაზედ აღარ შემიძლიან. აი, დახედეთ ჩემს სხეულს, ადგილია, რომ წუთისოფლის ტანჯვის ნიშანი არ დაესოს? მე ჩემი ვალი მოვიხადე, ეხლა თქვენს თავს თვითონ თქვენ მოუარეთ“ (ვაჟა-ფშაველა 2011: 28).

მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური სიკვდილისაგან თავის დაძვრენა არავის ძალუძს, მწერალს აინტერესებს საკითხი, თუ როგორაა შესაძლებელი მისი მცირედ მაინც დაძვრვა, დამარცხება? ვაჟა-ფშაველას მიხედვით, მართალია, სიკვდილი დაუმარცხებელია ფიზიოლოგიურ ასპექტში, მაგრამ მასზე გამარჯვების მოპოვება შესაძლებელია ზნეობრივ წრეში: „თუ რას მაძღს იზამს ქვეყნადა, მითი იცოცხლებს მკვდარია“ („უიღბლო იღბლიანი“). სიკვდილის დათრგუნვა, მაღალზნეობრივი, მაღლიანი ცხოვრებითაა შესაძლებელი:

მიყვარს, ვინც მოკლა სიკვდილი,
მადლის ქმნით ხვეჭა სახელი,
გაუქრობელი ყოფილა
ქვეყნად იმისი სანთელი.
(„სიყრმიდან საიქიოსკენ“)
(ვაჟა-ფშაველა 2008: 191)

პოეტის თქმით, პიროვნება სიკვდილს „ცოტად სძლევს“ იმ შემთხვევაში, თუ კეთილ მოსაგონარს დატოვებს ამქვეყნად:

თუმც კი არ არის ურიგო,
თუკი უნარი გვექნება,
სიკვდილის შემდეგ თავისი
კარგი გავწიროთ ხსენება,
ამით ცოტად ვძლევთ სიკვდილსა,
იგია კუბოს შვენება.
(„მრავალმა ხმალი აგელა“)
(ვაჟა-ფშაველა 2006: 363)

ვაჟა-ფშაველას პოეტურ სამყაროში სიკვდილზე ფიქრი არ იწვევს ლირიკული გმირის სულიერ ძალთა მოდუნებას, ფსიქოლოგიურ დათრგუნვას, უმოქმედობასა და პესიმიზმს. სიკვდილის გარდუვალობა არ ანაზღაურებს სიცოცხლის სიხარულის ბუნებრივ გრძნობას. მიწიერი სიცოცხლის ზღვარდებულობა უსასოობის განცდას კი არ აღუძრავს პოეტს, არამედ პირიქით, დაუცხრომელი მოქმედებისა და მოღვაწეობისაკენ უბიძგებს მას, რომ რაც შეიძლება მეტი მადლის დათესვა მოასწროს („სანამა ვცოცხლობ, გულში მაქვს - კეთილსა ვყვანდე ზიარად“, - „დამსეტყვე ცაო“).

ლიტერატურა:

აბაშიძე 1955: აბაშიძე კ. ვაჟა-ფშაველა. ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. ქრესტომათია. I. თბილისი: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1955.

აბაშიძე 1962: აბაშიძე კ. ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1962.

ახალი... 1972: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია. I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1972.

ბალავარიანი... 1957: ბალავარიანის ქართული რედაქციები. გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1957.

ბარათაშვილი 1972: ბარათაშვილი ნ. თხზულებანი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1972.

ბერდიაევი 2010: Бердяев Н. О Назначении Человека (Опыт парадоксальной этики). Москва: издательство „Астрель“, 2010.

გურამიშვილი 1998: გურამიშვილი დ. დავითიანი. თბილისი: „საქართველო“, 1998.

ვასილიადისი 2009: ვასილიადისი ნ. სიკვდილის საიდუმლოება. თბილისი: 2009.

ვაჟა-ფშაველა 1964ა: ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი ათ ტომად. ტ. IX. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.

ვაჟა-ფშაველა 1964ბ: ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი ათ ტომად. ტ. X. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.

- ვაჟა-ფშაველა 2006:** ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი ათ ტომად. ტ. I. თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2006.
- ვაჟა-ფშაველა 2008:** ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი ათ ტომად. ტ. II. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008
- ვაჟა-ფშაველა 2009:** ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი ათ ტომად. ტ. III. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009
- ვაჟა-ფშაველა 2011:** ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი ათ ტომად. ტ. V. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.
- ორბელიანი 1959:** ორბელიანი გრ. თხზულებათა სრული კრებული. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“, 1959.
- რუსთაველი 2006:** შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, თბილისი: 2006.
- ქართული... 1979:** ქართული ხალხური პოეზია. ტ. VII. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979.
- ცერცვაძე 2005:** ცერცვაძე ლ. ადამიანის პრობლემა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. თბილისი: გამომცემლობა „იოანე პეტრიწი“, 2005.
- ძველი... 1963:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.
- ჯაგოდნიშვილი 1990:** ჯაგოდნიშვილი თ. ბერიკაცი ვარ, ნუ მამკლავ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990.

Levan Beburishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

THE CONCEPT OF DEATH IN VAZHA PSHAVELA'S LITERARY WRITINGS RESUME

Among the Georgian classics of the XIX century the greatest interest in the theme of death was revealed by Vazha Pshavela; in his writings the phenomenon of death is assessed from the ethical as well as aesthetical standpoint. According to the writer, the eternal alternation of the death and life is the principle of the existence of the universe: "Life loves life, and it made this a rule, because it produced death as its supporter" ("This Is the Rule of life"). It is true that death refutes life, but at the same time it even improves and "makes it beautiful": "God bless you, Death, life is wonderful along with you ("Memory"). According to Vazha Pshavela, the life is beautified by death from the aesthetic standpoint as far as it removes everything obsolete, faded, feeble from the life and thus, it is the death that promotes the renewal of life. From the ethical point of view, the death adorns the life, because it is the death that gives the sense, form and meaning to the life. In Vazha Pshavela's poetic world the thought about the death does not cause the dullness, inactivity and pessimism of spiritual forces of the lyrical hero. The inevitability of the death does not suppress the natural emotion of the joy of life, just on the contrary, the time limitation of the earthly life encourages him in the tireless action and activity. Vazha Pshavela appears as thinker who have been philosophically reconciled with death. The poet sees the basis of truly valuable optimism in the eternity of the spirit: "When flash dies, will it become the reason for the death of soul?" ("The Last Salute") The death is not the end of the human existence, "the heart and feeling will be mixed with the sand of a black grave", but the spirit keeps living, It "has its own domain, it knows its way well" ("The Fortunate Unlucky Man").

**მხატვრული ტექსტის სათაური და მისი ტრანსფორმაცია თარგმანში
(დ. ჰ. ლორენსის ნოველის “The primrose path”-ის მაგალითზე)**

ნებისმიერი სახის ტექსტი რომ სათაურს ითხოვს, - ეს საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა. სახელის დარქმევით თითქოს ერთგვარი რიტუალი სრულდება და მას ენიჭება ფუნქცია. ეს პროცესი შემოქმედებითი მოღვაწეობაცაა და ერთგვარად შემოქმედის მოღვაწეობაც. სათაურმა თვალის ერთი გადავლებისთანავე შესაძლოა მიიზიდოს მკითხველი და დააინტერესოს ან პირიქით, - თავიდანვე უარყოფითად დამუხტოს და მასში ტექსტის წაკითხვის სურვილი ოდნავადაც არ აღძრას. ამიტომაც ენიჭება სწორად მიგნებული სახელის დარქმევას ესოდენ დიდი მნიშვნელობა და განსაკუთრებით მხატვრული ტექსტის შემთხვევაში. ავტორს უდიდესი ყურადღება და სიფაქიზე სჭირდება სათაურზე ფიქრისას, თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მწერალი როგორც მთლიანად ნაწარმოების, ასევე სათაურის ბატონ-პატრონია და მისი შერჩევაც საკუთარ სურვილზე, შეხედულებას და გემოვნებაზეა დამოკიდებული, განსწავლულობა-განათლებულობის შესახებ რომ აღარაფერი ვთქვათ.

სათაურის ანალიზის პირველი მცდელობა მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში განხორციელდა და მას საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა რუსმა ესთეტიკმა და ლიტერატურათმცოდნე კრეჩინოვსკიმ თავისი საპროგრამო ნაშრომით „სათაურის პოეტიკა“, რომელშიც ჩამოყალიბებულია სათაურისა და მისი ტექსტთან მიმართების ძირითადი, პრინციპულად მნიშვნელოვანი პოსტულატები.

უმთავრესი დებულება, რომელსაც ავტორი აყალიბებს, არის მტკიცება იმის შესახებ, რომ „წიგნი – ეს არის ბოლომდე გაშლილი სათაური, სათაური კი – ორ-სამ სიტყვამდე დაყვანილი მთლიანი ტექსტი. ანუ: სათაური – ეს არის წიგნი *in restricto*, ხოლო წიგნი კი – სათაური *in extenso*“ (კრეჩინოვსკი 1931: 4). ამ პოსტულატის გარდა, კრეჩინოვსკი განიხილავს და წინა პლანზე წამოსწევს სათაურთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს, რომელთა მეცნიერული კვლევაც აქტუალურობას დღემდე არ კარგავს, რომელთა დეტალური განხილვაც ძალიან შორს წაგვიყვანს. თუმცა ვიტყვით მხოლოდ ერთს, რომ მისი აზრით „სათაური ავტორის სტილისა და მხატვრული აზროვნების მაჩვენებელია“.

კავშირი სათაურსა და ნაწარმოების იდეურ-თემატურ არსს შორის შესაძლოა სხვადასხვა სიღრმის იყოს. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ არსებობს სათაურისა და ტექსტის ურთიერთკავშირის ორი ფორმა: ექსპლიციტური და იმპლიციტური (ლოტმანი 1992; ლამზინა 1999; ჯანჯაკოვა 1979, 1989, 1992: 26–32). ექსპლიციტური ურთიერთკავშირი ზედაპირულია და გულისხმობს დისტანციურ გამეორებას, რომელსაც აყალიბებს არა მხოლოდ თვით ტექსტი, არამედ ნაწარმოების ქვეტექსტიც. იმპლიციტური ურთიერთკავშირის დროს კი სათაურის შინაარსი ქვეტექსტურად არის მის ქვეშ განთავსებულ ტექსტში ჩადებული. იგი გულისხმობს სათაურის გამაშუალებელ როლს ტექსტთან მიმართებაში, როცა სათაურის შინაარსი დამიფრულია მეტაენის მეშვეობით, ხოლო ტექსტი წარმოგვიდგება მეტაფორიზებული სათაურის რეალიზებად.

მხატვრული ტექსტის სამიზნე ენაზე თარგმნის შემთხვევაში, მთარგმნელი ავტორისგან განსხვავებით არც სათაურის და არც ტექსტის ბატონ-პატრონად არ შეიძლება, რომ ჩაითვალოს. რა თქმა უნდა, ის ვალდებულია, ორიგინალთან ფრიად მიახლოებული, კარგად გამართული სალიტერატურო ენით, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში - ქართულით გაწყობილი მხატვრული ტექსტი მიაწოდოს მკითხველს, რაც უდავოდ დიდ შრომას, დაკვირვებასა და გამოცდილებას ითხოვს თარგმანის გემოვნებასა და განათლებასთან შეზიარებული. ყოველივე ამის გარეშე შესაძლოა ორიგინალის სათაურიც და ტექსტის ენობრივი ქსოვილი ისე დამახინჯდეს, რომ სრულიად განსხვავებული რამ მივიღოთ და კურიოზამდეც მივიდეთ, რომლის ფაქტებიც, სამწუხაროდ, უამრავი არსებობს ქართულ თუ სხვა ენებზე ნათარგმნ ლიტერატურაში.

ყოველივე ზემოთქმულის დასადასტურებლად და საილუსტრაციოდ, საანალიზოდ ავირჩიეთ, მე-20 ს-ის პირველი ნახევრის გამოჩენილი ინგლისელი მწერლის, პოეტის, დრამატურგის, ესეისტისა და მხატვრის, დევიდ ჰერბერტ ლორენსის მცირე ნოველა „The Primrose Path“ და მისი ჩვენეული თარგმანი, რომლის ქართული ტრანსფორმაციაცაა - „ცთომილი წუთისოფელი“. თავდაპირველად, ერთი შეხედვით ნოველის სათაურში თითქოს უცნაური და რთული არაფერი იყო. ვფიქრობდით, რომ მისთვის „ფურისულების ბილიკი“ დაგვერქმია, ანუ სიტყვასიტყვით, ექსპლიციტურად, უცვლელად გადმოგვეტანა სამიზნე ენაზე და პრობლემაც მარტივად გადაწყდებოდა და ბევრი ფიქრიც საჭირო აღარ

გახდებოდა, მაგრამ ვინაიდან ჩვენთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ დევიდ ჰერბერტ ლორენსი მსოფლიო ლიტერატურაში გამოირჩევა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მეტი მეტაფორებით, ალუზიებით, იდიომებითა და სხვადასხვა სტილისტური ხერხებით, ასე ვთქვათ „დახუნძლული“ მეტატექსტების დიდოსტატად, სწორედ ამიტომაც დავიწყეთ ძიება, თუ რა შეიძლებოდა ეს ორადორსიტყვიანი წინადადება ყოფილიყო.

ეს ერთი შეხედვით უწყინარი, გაზაფხულის დადგომის მაცნე, უბრალო ყვავილი „ფურისულა“ - primrose, ინგლისში თურმე უბედურების სიმბოლოა და მიჩნეული ქრიზანთემებთან ერთად. ორივე ამ ყვავილს მწერალი ძალიან ხშირად იყენებს („ქრიზანთემების სურნელი“, „ნათლობა“, „ვარდნარის ჩრდილში“ და სხვ). ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ სხვა წყაროებისთვის მიგვემართა, რადგან დავიწყეთ იმაზე ფიქრი, რა მხატვრული ხერხი შეიძლებოდა რომ ყოფილიყო, - მეტაფორა თუ ალუზია? ანდა სულაც იდიომატური, მხატვრული სიტყვა-თქმა. აღმოჩნდა, რომ ამ ორი შესიტყვების ფესვები ჯერ კიდევ წმიდათა წმიდა წიგნ „ბიბლიაშია“ სამეზნელი და კერძოდ ძველი აღთქმის „იგავების“ წიგნში, სადაც სოლომონ ბრძენი საკუთარ ვაჟს მძავრ ქალებთან მრუშობის შესახებ აფრთხილებს: „she is dancing down the primrose path to death“, რომელიც ქართულ ენაზე ასეა თარგმნილი: „მისი ფეხები სიკვდილში ჩადიან, შავეთს არიან ჩაჭიდებულნი მისი ნაბიჯები“ ანუ როგორც ჩანს, ფურისულა ბილიკი სიკვდილთან ასოცირდება.

მოგეხსენებათ, რომ ლორენსი ბიბლიაზე გაზრდილი ადამიანი გახლდათ. ის ისტუდის პროტესტანტულ ეკლესიაში ჯერ კიდევ ჩვილი მონათლეს, დედას ტაძარშიც დაყავდა და სახარებასაც უკითხავდა. აკი თვითონაც ამბობს ერთ-ერთ მოგონებაში: „თავიდან, როცა წერა-კითხვა არ ვიცოდი, დედა უამრავ რამეს მიკითხავდა და მათ შორის ბიბლიასაც, რომელიც ჩემთვის ისეთივე ზღაპრების წიგნი იყო, როგორც ჩემი გაცვეთილი ინგლისური ზღაპრების წიგნი. მერე, ძალიან დიდი ვიყავი, როცა უკვე მის დიდებულებას მივხვდი“. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ იმ ნოველის სათაურად, სადაც მთავარი გმირი, - დენიელ სატონი ერთი ავარა, ნადირობასა და ძაღლებზე შეყვარებული, ქალების დიდი ტრფიალი და ცხოვრებისგან ხელმოცარული, ყველასი და ყველაფრისადმი აგრესიულად დამოკიდებული ადამიანია, სწორედაც რომ „Primrose path“ შეერჩია და მისი მთარგმნელისთვისაც საფიქრალ-თავსატეხი გაეჩინა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საქმე გვაქვს სტილისტურ ხერხ-ალუზიასთან.

ამას გარდა, აღნიშნული ფრაზა გვხვდება უილიამ შექსპირის ისეთ ცნობილ ტრაგედია-შედეგებთან როგორიცაა „ჰამლეტი“ და „ლედი მაკბეტი“.

ტრაგედია „ჰამლეტი“ ოფელია ღვიძლ ძმას აფრთხილებს, რომ არ აყვეს მათ, ვინც გარყვნილი, ქარაფშუტული ცხოვრებით ცხოვრობს, რადგან ეს მისთვის დამღუპველია. ეს ფრაზა შექსპირთან ასე ჟღერს:

...“While like a puff’d and reckless libertine

Himself the prime rose path of dalliance treads.”

ხოლო ივანე მაჩაბლისეული თარგმანი ასეთია:

„მაგრამ თვითონვე, მსგავსად თავგასულ გარყვნილების, ბეჯითად სტკეპენ გულმავიწყობით ყვავილოვანს ცოდვის ბილიკსა“.

აქ გარყვნილება ყვავილებთან და ცოდვასთან ერთადაა მოხსენიებული, თუმცა ვფიქრობთ, რომ შესატყვისი მთლად ზუსტი არაა და სიტყვა „ყვავილოვანი“ ზედმეტია.

აღნიშნული წინადადება „ლედი მაკბეტში“ შემდეგნაირად გვხვდება:

...“go the primrose way to everlasting bonfire”.

აქ ივ. მაჩაბელი თარგმნის ასე:

„რომელნიც ყვავილებით მოფენილ გზაზედ ჭიკოკონების სანახავად მიდიან“.

ოქსფორდში გამოცემულ თანამედროვე ინგლისური ენის იდიომების ლექსიკონში კი ვკითხულობთ: „self-indulgence and the satisfaction of easy pleasures as a way of life that seems pleasant but leads to unhappiness or spiritual destruction“ ანუ „იოლი, სიამოვნებით სავსე, ქარაფშუტული ცხოვრება, რომელსაც ადამიანი საბოლოოდ უბედურებამდე ან სულიერ განადგურებამდე მიჰყავს“.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მწერალი ამ ფრაზას სათაურის გარდა აღარსად იმეორებს. მხოლოდ ძალიან მეაცრი, შეუბრალებელი ფერებით გვიხატავს უკვე ასაკში შესულ სატონს, რომელიც ერთ დროს ულამაზეს, მომაკვდავ ცოლს, საკუთარი ნება-სურვილით რომ მიატოვა და ავსტრალიაში ვიღაც ქალთან ერთად „აიბარგა“, ახლა შიშით შეჰყურებს, თუმცა კვლავ ფათერაკებისა და ახალი თავგადასავლების ძიებაშია. კვლავაც ერთ, მასზე ასაკით გაცილებით პატარა გოგოსთან და მის დედასთან ერთად ცხოვრობს და ყველა და ყველაფერი ეზიზღება.

როგორც ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, აქ ერთი და იგივე სიტყვათა შეთანხმების სხვადასხვა სტილისტურ ხერხთან გვაქვს საქმე: ერთ შემთხვევაში ეს არის ბიბლიური ალუზია, ხოლო მეორეში, -

იდიომატური გამოთქმა, რომლებიც შინაარსობრივად იდენტურია. ვფიქრობთ, რომ უ. შექსპირის გენიალური პიესების, - „ჰამლეტისა“ და „ლედი მაკბეტის“ შემთხვევაში, აღნიშნული სიტყვათა შეთანხმება უნდა მივიჩნიოთ, როგორც ბიბლიური ალუზია, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში დასაბამი მისცა მის ინგლისურ ენაში როგორც ფიქსირებული, იდიომატური გამოთქმის დამკვიდრებას. რაც შეეხება თვითონ ჩვენ მიერ თარგმნილი მოთხრობის სათაურის ორიგინალურ სახეს, ალბათ უფრო მისაღებია, თუ მას ალუზიად და ასევე იდიომატურ გამოთქმად მივიჩნევთ, თუმცა გამორიცხული არაა, რომ ის შექსპირის ეპოქაშიც უკვე იდიომატურ გამოთქმად ყოფილიყო ჩამოყალიბებული.

სწორედამ ამიტომ ნაწარმოების შინაარსის, კონცეპტიდან და აღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, ნოველისთვის ქართულ თარგმანში მისთვის იმპლიციტური სახელწოდება, - „ცთომილი წუთისოფელი“ გვეწოდებინა.

ლიტერატურა:

1. D. H. Lawrence, “Selected Short Stories”, New York, copy right 1993;
2. W. Shakespeare, “Hamlet”, Penguin Books, London, 1994;
3. W. Shakespeare, “Macbeth”, New American Library, 1963;
4. Holy Bible, New International Version, East Brunswick, New Jersey, 1984;
5. Krizhanovski D., “Title as one of the main components of linguistic research”, Oxford University press, Oxford, 1931;
6. Lotman J, “The Concept and the Semiotic Culture”, Moscow publishing, 1992, Moscow;
7. Lamzina M, “Language and its competence”, St Petersburg University, 1999, Petersburg;
8. Janjakova E, “The work of comparative analyses of the semantic systems”, Minsk University Press, 1979, Minsk.
9. დ. ჰ. ლორენსი, „ნოველები“, გამომცემლობა „ფარნავაზი“, გორი, 2018;
10. უ. შექსპირი, „ტრაგედიები“, წიგნი I-II, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1980;
11. ბიბლია, საქართველოს ბიბლიური საზოგადოება, თბილისი, 2001.

Maia Bolashvili, Maia Melanashvili,

Gori State Teaching University

TITLE OF FICTION AND ITS TRANSFORMATION IN TRANSLATION (ACCORDING TO D. H. LAWRENCE’S SHORT STORY “THE PRIME ROSE PATH”) RESUME

The present study deals with peculiarities of translating titles of fictional texts into Georgian and some specifics of their transformation. A famous English writer’s one of the short stories, - “The Prime Rose Path” and its Georgian translation is discussed in the study and the focus is on transformation of its title according to its implicit meaning which we consider a Biblical allusion and a fixed idiomatic expression at the same time.

ლიტერატურის თეორიის უცნობი სახელმძღვანელო

ეს გამოცემა ძველი წიგნებით გარემოვაჭრისაგან შევიძინე 2019 წლის 1 მარტს. სატიტულო გვერდზე ვკითხულობთ:

ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატი.

პედკადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი.

კ[ონსტანტინე]. გაგუა.

ლიტერატურის თეორია.

პედკადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის მასწავლებელთათვის (ერთწლიანი გადასამზადებელი დაუსწრებ.[ელი] – საკურსო მეცადინეობა.

რედაქტორი დოც. დიომიდე თოფურია.

პ. კ. ა. ინსტიტუტის გამოცემა.

ტფილისი

1936 წ.

ბოლოს წინა გვერდზე ასეთი მონაცემებია:

სახუნტის ლითოგრაფია[.] მთ. # 7007.

შეკვ.[ეთა] # 79[.] ტირ.[აჟი] 600.

ბოლო გვერდზე კი ფასი აწერია: 3 მან. 50 კაპ.

ეგზემპლარს, რომელიც ჩვენს ხელთ არის, სატიტულო გვერდზე აზის საქ. სსრ განათლების სამინისტროს ქუთაისის ვაჟთა მე-10 რვაწლიანი სკოლის ბეჭედი და მელნიტ აწერია 1700.*

წიგნი შედგება 86 გვერდისაგან და სატიტულო გვერდიდან დაწყებული ბოლომდე მისი ტექსტი წარმოადგენს ხელნაწერს, რომელიც ლითოგრაფიული ტექნიკით არის გამრავლებული.

ამ გამოცემას „უცნობს“ იმიტომ ვუწოდებთ, რომ იგი არ იძებნება არც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, არც ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და არც იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგებში, და, რაც მთავარია, არ იხსენიება ბიბლიოგრაფიაში „ქართული წიგნი“.

ჩვენ მიერ შემენილ ეგზემპლარში იდო ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის ბლანკიანი ბლოკნოტიდან ამოხეულ ფურცელზე იისფერი მელნიტ დაწერილი ბარათი, 1963 წლის 28 მაისით დათარიღებული და პავლე ხმაღაძის მიერ ხელმოწერილი.

პავლე ხმაღაძე გახლავთ ცნობილი ქუთაისელი პედაგოგი. მის ბიოგრაფიულ მონაცემებს შეგვიძლია გავეცნოთ 1971 წელს გაზეთ „წიგნის სამყაროში“ გამოქვეყნებული წერილით, რომელიც მისი დაბადებიდან 60 წლის თავზე გამოქვეყნდა რაფიელ შამელაშვილის ავტორობით (შამელაშვილი 1971: 7).

პავლე ხმაღაძის ადრესატი მხოლოდ სახელით არის მოხსენიებული („პატივცემულო აკაკი!“), ხოლო წერილიდან ირკვევა, რომ აკაკი გაწერელია იგულისხმება (დასახელებულია მისი წიგნები: „ქართული კლასიკური ლექსი“ [1953] და „ქართული ლექსი“ [1955]).

გთავაზობთ პავლე ხმაღაძის წერილის სრულ ტექსტს:

„პატივცემულო აკაკი!

მაპატიეთ, რომ გაწუხებთ.

ბიბლიოგრაფიებში („ქართული წიგნი“, თქვენი წიგნები: ქართული კლასიკური ლექსი და ქართული ლექსი) არსად არაა მითითებული ეს წიგნი, რომელსაც ახლა მე თქვენ გიგზავნი. მაინტერესებს და გთხოვთ მომწეროთ: რატომ არაა იგი აღნიშნული, აქვს მას რაიმე ღირებულება თუ არა, ან – ჰქონდა ამ გამოცემას რაიმე მნიშვნელობა იმ წლებისათვის თუ არა, საერთოდ რით შეიძლება ამ წიგნმა მიიპყროს ჩვენი (მკითხველებისა და სპეციალისტების) ყურადღება.

ეს წიგნი თუ თქვენ არა გაქვთ, დაიტოვეთ, ან გადაეცით რომელიმე ბიბლიოთეკას. მცირე ტირაჟი აქვს და არ დაიკარგოს.

* რაკი წიგნი ჩვენს საოჯახო ბიბლიოთეკაში შემოვიდა, ახლა მას უკვე ტიტულსა და მე-17 გვერდზე ჩვენი საოჯახო ბიბლიოთეკის ბეჭედიც აზის, მამაჩემის, ს. პ. ბრეგაძის, სახელზე დამზადებული.

მომწერეთ ორი სიტყვით.
პატივისცემით პავლე ხმაღამე
ქუთაისი
სევასტოპოლის ქ. 54.
პ. ხმაღამე

ფურცლის მეორე მხარეს ასეთი მინაწერია:

„ამავე ავტორს, კარგ სპეციალისტს – პედაგოგს, მეთოდისტს[,] მგონი[,] ჰქონდა იგივე წიგნი ლითოგრაფიულად კი არა, სტამბურად ნაბეჭდი (?).

თქვენი ბინის მისამართი არ ვიცი, მაპატიეთ, რომ ასე გწერთ ბარათს. პ. ხ.“.

ამ წიგნის ავტორის შესახებ ენციკლოპედია „საქართველო“ (1997) ასეთ ცნობებს გვაწვდის:

„გაგუა კონსტანტინე რომანოზის ძე [31.VII (12.VIII). 1885, სოფ. ტალერი, ახლანდ. მარტვილის რაიონი, – 28.VIII.1947, თბილისი], პედაგოგი, მეთოდისტი. 1906 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, 1911 წელს – ყაზანის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. ამავე წლიდან მუშაობდა ხაშურის, ქუთაისის, ბათუმის კლასიკურ გიმნაზიებში, თბილისის რეალურ სასწავლებელში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად; თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის გამგედ. მას ეკუთვნის სტატიები: „მხატვრული ლიტერატურის შესწავლის მეთოდისათვის დაწყებითსა და საშუალო სკოლაში“, „მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშები“, „პოეტიკა“ – ლიტერატურის თეორიის დამხმარე სახელმძღვანელო, კრებული „შოთა რუსთაველი სკოლაში“, „ქართული წერა-კითხვის სწავლების მეთოდიკა“, „მხატვრული ლიტერატურის სწავლება საშუალო სკოლაში“, „ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდის საკითხები“, „ქართული პოეტური ფოლკლორი“ (მასწავლებელთა დასახმარებლად), „ქართული ლიტერატურის ქრესტომათა“ და სხვ.“ (საქართველო 1997: 530).

კონსტანტინე გაგუას შესახებ სტატია შეგიმღიათ იხილოთ აგრეთვე წიგნში: „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, კრებული III (თბილისი: „განათლება“, 1968, გვ. 280-283. სტატიის ავტორი – ვ. თოფურია. იგივე სტატია განთავსებულია ლელა გაფრინდამვილის პროექტით მომზადებულ ვებგვერდზე „განმანათლებლობა საქართველოში. იდეები და მოღვაწეები“: <http://nateba.websail.net/biographies>).

კონსტანტინე გაგუას ეს ნაშრომი, რომელსაც ჩვენი გამოკვლევა ეხება, ქართულ ენაზე „ლიტერატურის თეორიის“ სახელწოდებით გამოსული პირველი წიგნია. შემდგომ ამავე სახელწოდებით გამოიცა ვ. ბოკერიას (1939), გრ. შენგელიასა და პავ. ხუბუტიას (1941. ხელნაწერის უფლებით), სიმონ გაჩეჩილაძის (1948, 1950, 1952, 1958, 1966. რამდენჯერმე გამოიცა ასეთი სახელწოდებითაც: „სიტყვიერების და ლიტერატურის თეორია“) წიგნები, ხოლო 2008 წელს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა ამავე სათაურით გამოსცა სტატიების კრებული, რომლის ქვესათაურია „მე-XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“.

მაგრამ ამავე შინაარსის წიგნები, ოღონდ სინონიმური სათაურებით, საქართველოში ადრეც გამოსულა. მაგალითად, „სიტყვიერების თეორიის“ სახელწოდებით, რაც იგივე „ლიტერატურის თეორია“, 1898 წელს კირიონ არქიმანდრიტმა და გრიგოლ ყიფშიძემ დასტამბეს „სახელმძღვანელო წიგნი სათავად-აზნაურო სკოლებისა, სასულიერო და საოსტატო სასწავლებლებისა და სემინარიებისა და საეპარქიო საქაღებო სკოლებისათვის“ (მეორე გამოცემა – 1920 წ.); 1919 წელს მელიტონ კელენჯერიძეს, გამოუცია „სიტყვიერების თეორია“, 1922 წელს – იპოლიტე ვართაგავას, ხოლო 1928 წელს – „ლიტერატურის თეორიის“ ზემოთ დასახელებულ ერთ-ერთ ავტორს, ვ. ბოკერიას.

„წინასიტყვის“ ბოლოში კონსტანტინე გაგუა წერს:

„წიგნი, ცოტა არ იყოს, ნაჩქარევად დაიწერა, ამიტომ უნაკლო არ არის, მაგრამ ეს პირველი ცდაა ლიტერატურის თეორიის დაწერისა ქართულ ენაზე“ (გაგუა 1936: IV. ხაზგასმა ჩვენი. – ლ. ბ.).

ეს განცხადება, განსახილავი სახელმძღვანელოს პირველობის შესახებ, ფორმალური თვალსაზრისით მართალია, ვინაიდან ამ სათაურის მქონე წიგნი („ლიტერატურის თეორია“) ქართულად მანამდე მართლაც არ გამოცემულა; არსებითად კი, როგორც წიგნების ზემოთ წარმოდგენილი ჩამონათვალიდანაც ჩანს, ასე არ არის: „სიტყვიერების თეორიის“ სახელწოდებით გამოსული წიგნებიც ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოებია.

კონსტანტინე გაგუა კარგად იცნობს და იყენებს კიდევაც კირიონისა და გრიგოლ ყიფშიძის „სიტყვიერების თეორიას“, თავის დროისათვის ჩინებულ სახელმძღვანელოს, რომელსაც სადღეისოდაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მაგალითად, ვ. გაგუას წიგნში, სტილისტიკის განყოფილებაში, ვკითხულობთ:

„ენის სიწმინდისათვის უნდა ვერიდოთ 1) **არქაიზმებს** – ისეთ ძველ სიტყვებს, რომლებსაც დღეს აღარავინ არ ხმარობს, მაგალითად: სადუნი (ბევრი ენის მცოდნე), გლარჯი (თამბაქო), ენგიდუნია (ამერიკა) და სხვა“ (გაგუა 1936: 3).

ეს მსჯელობა თითქმის სიტყვასიტყვით არის წამოღებული კირიონისა და ყიფშიძის სახელმძღვანელოდან, საილუსტრაციო მაგალითებიც იგივეა:

„ენის სიწმინდისათვის უნდა ვერიდებოდეთ ა) ესრედ-წოდებულ **არხაიზმებს**, ანუ ისეთს ძველის-ძველ სიტყვებსა და გამოთქმასა, რომელსაც ახლა აღარ ჰხმარობენ. მაგალითად: **სადუნი** (ბევრი ენის მცოდნე), **გლარჯი** (თამბაქო), **ენგი-დუნია** (ამერიკა) და სხვ.“ (კირიონი, ყიფშიძე 1898: 5-6).

აი კიდევ ერთი ამონარიდი იმავე სტილისტიკის განყოფილებიდან:

„3. ენა უნდა იყოს **გარკვეული, მკაფიო და ნიშანდობლივი**. აზრი ისე უნდა გამოვთქვათ, რომ ადვილად იყოს გასაგები სხვისთვის და სწორედ ისე, როგორც ესმოდა თვით გამომთქმელს, თუ დამწერს.

გარკვევით წერასა, თუ თქმას ხელს უშლის ა) ის გარემოება, რომ ხშირად ორნაირად შეიძლება ადამიანმა გაიგოს დაწერილი, თუ ნათქვამი. ეს ხდება იმის გამო, რომ წინადადებაში სიტყვები თავის ადგილზე არ არის დასმული. მაგალითად: ყოველ საზოგადოების საქმეს, ყველა ევროპის საქმეს – აქ სიტყვებს: „ყოველ“ და „ყველა“ უნდა მოეძებნოს თავისი ჯეროვანი ადგილი, და მაშინ აზრიც გარკვეული იქნება; ბ) როდესაც წინადადება მეტად რთულია, ან ვრცელი და ერთს მთავარს მრავალი სხვა დამოკიდებული წინადადება აქვს დართული, მაშინ აზრი გარკვეულობას კარგავს წინადადებათა უხეირო შეთანხმების გამო“ (გაგუა 1936: 4-5. პუნქტუაცია დაცულია. ხაზგასმა ჩვენია. – ლ. ბ.).

შევადაროთ ამას ფრაგმენტი კირიონისა და გრ. ყიფშიძის წიგნის იმ თავიდან, რომელსაც ასევე „სტილისტიკა“ ეწოდება:

„3. გარკვეული, მკაფიო და ნიშანდობლივი გამოთქმა აზრისა. ისე უნდა იყოს აზრი გამოთქმული, რომ ადვილად, გონების ძალ-დაუტანებლად გაიგოს ადამიანმა და გაიგოს სწორედ ის, რის თქმაც უნდოდა იმ აზრის გამომთქმელსა, ანუ დამწერსა.

გარკვევით წერას ხელს უშლის უმთავრესად ისეთ გამოთქმათა ხმარება, რომლის გაგებაც ორნაირად შეიძლება, სახელდობრ, როცა

ა. სიტყვები თავ-თავის ალაგას არ არის ნახმარი წინადადებაში;

მაგალ. ყოველ საზოგადოების საქმეს იმას ვაკეთებინებდი – ასე კი უნდა: საზოგადოების ყოველს საქმეს იმას ვაკეთებინებდი.

[...]

გ. როცა წინადადება მეტად რთულია, ან ვრცელი და ერთს მთავარს წინადადებას მრავალი სხვა დამოკიდებული წინადადება აქვს დართული“ (კირიონი, ყიფშიძე 1898: 7. პუნქტუაცია დაცულია. ხაზგასმა ჩვენია. – ლ. ბ.).

არ შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტინე გაგუას მექანიკურად და უცვლელად გადააქვს ადგილები კირიონისა და ყიფშიძის ნაშრომიდან. მაგალითად, სინონიმების განმარტებაც და ნიმუშებიც ამ ორ სახელმძღვანელოში ურთიერთგანსხვავებულია. შევადაროთ:

„გ. სინონიმები – ისეთი სიტყვები, რომელიც ერთმანერთსა ჰგავს მნიშვნელობით, მაგრამ თითოეული აზრის სხვა-და-სხვა მიმოხვრასა ჰხატავს. მაგალ. სიტყვანი: **შრომა** (დამერა, დაღალვა, შვრა, შრომა [?-ლ. ბ.]), **მუშაობა**, **ღვაწლი**“ (კირიონი, ყიფშიძე 1898: 8);

„სინონიმები ისეთ სიტყვებსა ჰქვია, რომლების გამოთქმა სხვადასხვაა, მაგრამ შინაარსი, აზრი კი ერთიდაიგივეა: ბაღჩა, ბაღი და წალკოტი, სახედარი და ვირი, ნამუსი და სვინიდისი, ლამაზი და მშვენიერი და სხ.“ (გაგუა 1936: 5).

კონსტანტინე გაგუა ზოგ რამეს აკლებს, ზოგ რამეს უმატებს წინამორბედთა ტექსტს, ზოგიერთ ფორმულირებას ცვლის, ასხვავებებს, საილუსტრაციო მაგალითები თავისი თანამედროვე მწერლების თხზულებებიდანაც მოჰყავს, მაგრამ ეს ყოველივე მას არ ათავისუფლებს გამოყენებული წყაროს – კირიონისა და ყიფშიძის წიგნის – დამოწმების ვალდებულებისაგან. კირიონისა და ყიფშიძის ნაშრომის გავლენა კ. გაგუას წიგნის სხვა განყოფილებებსაც ატყვია, თუმცა ისე ძლიერ არა, როგორც „სტილისტიკას“ (შდრ., მაგალითად, ელეგიისა [კირიონი, ყიფშიძე 1898: 89-90; გაგუა 1936: 73-74] და სატირისადმი [კირიონი, ყიფშიძე 1898: 90-92; გაგუა 1936: 76-77] მიმღვნილი ქვეთავები).

რაც შეეხება მელიტონ კელენჯერიძის, იპოლიტე ვართაგავასა და ვ. ბოკერიას ზემოთ დასახელებულ წიგნებს, მათი გავლენის აშკარა კვალი განსახილავ სახელმძღვანელოში არ შეინიშნება.

პავლე ხმალაძე ზემოთ წარმოდგენილ წერილში წერს: „ამავე ავტორს [...] მგონი ჰქონდა იგივე წიგნი ლითოგრაფიულად კი არა, სტამბურად ნაბეჭდი (?)“.

რა შეგვიძლია ვთქვათ ამის თაობაზე?

„ლიტერატურის თეორიის“ გამოცემიდან ორი წლის შემდეგ, 1938 წელს, კონსტანტინე გაგუამ სტამბურად გამოსცა წიგნი სახელწოდებით „პოეტიკა“ (საქართველოს სახალხო განათლების კადრების

კვალიფიკაციის ამადლების ინსტიტუტი, [საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტ.]. – 92, [2]გვ.; 17 სმ. – 3 მ., 2000 ც.), რომლის ხუთი ეგზემპლარი ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ორიც – იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

რა მიმართებაა კონსტანტინე გაგუას „ლიტერატურის თეორიასა“ (1936) და მისივე „პოეტიკას“ (1938) შორის?

„პოეტიკას“ ბევრი აქვს საერთო „ლიტერატურის თეორიასთან“, მაგრამ ბევრი რამით განსხვავდება კიდევაც მისგან.

1. სრულიად განსხვავებულია მათი სარჩევები და მასალათა განლაგება;

2. „პოეტიკას“ არ ახლავს „ლიტერატურის თეორიის“ ავტორის პუბლიცისტური ხასიათის „წინასიტყვა“ (ერთნახევარი გვერდი), სადაც ლაპარაკია სკოლებში ლიტერატურის სწავლების სავალალო მდგომარეობაზე – „პოეტიკას“ საერთოდ არა აქვს წინასიტყვა.

(„წინასიტყვის“ პირველი აბზაცი“ ასე ჟღერს: „ლიტერატურის სწავლებას, შეიძლება ითქვას, გადაეჩვია ჩვენი მასწავლებლობის ერთი ნაწილი. გარდა იდეოლოგიურ-სოციოლოგიური გარჩევისა, რომ საჭიროა ნაწარმოების ანალიზი ფორმის მხრივაც, ეს მომეტებულ შემთხვევებში მივიწყებულია ჩვენს სკოლებში. ეს კი დიდი ნაკლია, რომელიც ლიტერატურის სპეციფიკას სპობს“. – გაგუა 1936: III).

3. არის აბზაცები, რომლებიც „ლიტერატურის თეორიიდან“ „პოეტიკაში“ არ გადასულა. ამ უკანასკნელში აღარ გვხვდება, მაგალითად, ეს მსჯელობა:

„სტილის შესწავლა მხოლოდდამხოლოდ სტილისათვის მოსაწყენი საქმეა. სტილი მაშინ არის ინტერესის შემცველი, როდესაც ის იძლევა წრის ხასიათს, ცხოვრებას – იმ ცხოვრებას, რომელმაც წარმოშვა თვით ეგ სტილი“ (გაგუა 1936: 23).

„პოეტიკაში“ მოვისაკლისეთ აგრეთვე საგულისხმო მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მწერლის სტილში აისახება როგორც ავტორის ინდივიდუალური თვისებები, ასევე ადამიანთა იმ წრისა თუ ჯგუფისა, რომელშიც მას ცხოვრება უწევს:

„მაგალითად, ეპითეტების შესწავლა ამათუიმ მწერლის შემოქმედებაში გაგვაცნობს ამ მწერლის ყურადღების გამახვილებას ამათუიმ თვისებაზე (საგნისა და მოვლენის იმ თვისებას მოგვცემს ავტორი, რომელსაც თვითონ აქცევს ყურადღებას). მეტაფორები და შედარებანიც ასევე ახასიათებენ მწერალს: იმის მიხედვით, თუ რომელ გარემოდან არის მოცემული ეს სახეები (ბუნება, სოფლის მეურნეობა, მუშათა ყოფა-ცხოვრება და სხ.), შეიძლება გამოვარკვიოთ, თუ რა არის მწერლისათვის სანუკვარი, გასაგები. მეტაფორაში, გაპიროვნებაში ყოველთვის შედარება მოიხანს, ვადარებთ კი მას, რაც ჩვენთვის უფრო ახლობელია და საინტერესო“ (გაგუა 1936: 25-26).

„პოეტიკაში“ აღარ არის თავი, რომელსაც „ლიტერატურის თეორიაში“ ჰქვია „მხატვრული ნაწარმოების გავლენა ადამიანზე“ (გაგუა 1936: 49), სადაც ასეა გადმოცემული მკითხველისა და მხატვრული ტექსტის ურთიერთობის სპეციფიკა:

„კარგი მხატვრული ნაწარმოები პოეტის მიერ ძარღვიანად და მკაფიოდ შექმნილი სახეები მკითხველს იმორჩილებს, მის ნერვიულ სისტემას დაჰიმავს და ნაწარმოებში აღწერილ ცხოვრებასთან მას უშუალოდ აკავშირებს. ასე რომ[,] მოთხრობილი ამბები წიგნში წაკითხულად არ რჩება მკითხველისათვის, არამედ ამ უკანასკნელის მიერ საკუთარი თვალებით ხილულად და განცდილად (პოეტური ილუზია) [აღიქმება]. სწორედ აქ არის ლიტერატურის აღმზრდელობითი ფუნქცია, მისი დიდი მნიშვნელობა“ (გაგუა 1936: 50).

4. იქ, სადაც მხატვრული ლიტერატურის სახეობებსა და ჟანრებზე ლაპარაკობს, ავტორი სქოლიოში ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს: „უნდა მოვსაოთ ძველი შეხედულება, თითქო პროზა პოეზია არ იყოს. გაუმართლებელია პოეზიის დაპირისპირება პროზასთან და მხოლოდ ლექსის აღიარება პოეზიად. რომანისა თუ მოთხრობის ავტორი არანაკლებ მთხვევლია (ბერძნული სიტყვა – პიეო – ნიშნავს ვთხზავ, ვქმნი) ლექსის დამწერზე“ (გაგუა 1936: 50-51. სქოლიო). ეს თვალსაზრისი „პოეტიკაში“ აღარ გვხვდება.

5. ინტერესს იწვევს „ლიტერატურის თეორიის“ ზოგიერთი საილუსტრაციო მასალის სხვა მაგალითებით ჩანაცვლების ან გამოტოვების შემთხვევები ორი წლის შემდეგ „პოეტიკის“ სახელწოდებით გამოცემულ წიგნში.

მაგალითად:

ა) „ვამბობთ: აკაკის სტილი, ვაჟასა და ყაზბეგის სტილი, შოთა რუსთაველის სტილი, მამაშვილის სტილი და სხ.“ (გაგუა 1936: 25);

„ვამბობთ, მაგ: აკაკის სტილი, ილიას სტილი, ვაჟას სტილი, რუსთაველის სტილი და სხვა“ (გაგუა 1938: 6).

ბ) „კ. ლორთქიფანიძის „ახალი გლეხები“ სწორედ კარგი ნიმუშია ნარკვევისა, როგორც გარკვეული ლიტერატურული ჟანრისა, რომელსაც თავისი სპეციფიკა აქვს“ (გაგუა 1936: 56);

„ბ. ჩხეიძის „ფერო“ ნიმუშია ნარკვევისა, როგორც გარკვეული ლიტერატურული ჟანრისა, რომელსაც თავისი სპეციფიკა აქვს“ (გაგუა 1938: 62);

გ) „ლიტერატურის თეორიაში“ სინონიმების საილუსტრაციოდ ილია ჭავჭავაძისა და ნოე ზომლეთელის ლექსებიდან იყო ფრაგმენტები მოხმობილი (გაგუა 1936: 21-22); „პოეტიკაში“ მარტო ილიაა დარჩენილი (გაგუა 1938: 25).

დ) ქვეთავში „ნოველა“ ვკითხულობთ: „ახლახან დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“ რ. გვეტაძის ნოველა „მახრა“ (გაგუა 1936: 55);

ეს ინფორმაცია „პოეტიკაში“ აღარ არის (გაგუა 1938: 61)

და სხვა და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ადვილი სათქმელი როდია კონსტანტინე გაგუას „ლიტერატურის თეორია“ და მისივე „პოეტიკა“ სხვადასხვა წიგნებად უნდა მივიჩნიოთ თუ „პოეტიკა“ „ლიტერატურის თეორიის“ სახელწოდებაშეცვლილ და მნიშვნელოვნად შევსებულ-შესწორებულ-გადამუშავებულ გამოცემად უნდა ჩაითვალოს. ორივე მოსაზრებას შეიძლება გამოუჩნდეს მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც.

ერთი კი ცხადია: კონსტანტინე გაგუას „ლიტერატურის თეორიამ“ კუთვნილი ადგილი უნდა დაიკავოს ბიბლიოგრაფიებში და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიის ამსახველ ნაშრომებში.

ლიტერატურა:

გაგუა 1936: კ. გაგუა. ლიტერატურის თეორია. ტფილისი: 1936.

გაგუა 1938: კ. გაგუა. პოეტიკა. თბილისი: 1938.

კირიონი, ყიფშიძე 1898: სიტყვიერების თეორია, შედგენილი არხიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის-მიერ. ტფილისი: 1898.

საქართველო 1997: საქართველო. ენციკლოპედია 5 ტომად, ტ. 1. თბილისი: 1997.

შამელაშვილი 1971: რ. შამელაშვილი. მკვლევარი, პედაგოგი // გაზ. „წიგნის სამყარო“, 24.11.1971.

Levan Bregadze


Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

THE UNKNOWN MANUAL OF THE THEORY OF LITERATURE

RESUME

I have bought this book – “The theory of literature”, from a street vendor of book-manuals for schoolteachers. Its author is Konstantine Gagua, published in 1936, it contains 86 handwritten pages, with a foreword from the author and contents, it is printed with lithography technique, number of printed books 600 pieces. It is neither registered in any bibliographical reference book, nor it is mentioned in any catalogue of the national library or of any other known libraries.

In this article we describe the relation of this book with other similar works, we also determine its place among other manuals of the theory of literature.



ქართული საბავშვო ლიტერატურული ტექსტების პარალელები
(ი. გოგებაშვილი/გ. შატერაშვილი)

ქართული საბავშვო მწერლობის განვითარების პროცესი XIX-XX საუკუნეებში ცხადყოფს „ახალი ტიპის“ ქართველის აღზრდაზე, მის გონებრივ სრულყოფაზე, ინფორმაციული მასალის გასაგები, მისაწვდომი ენით მიწოდებით დაწყებული, მხატვრული კომპონენტების შეტანით, გამდიდრება-გაღრმავებით, არასასწავლო ლიტერატურის (მოთხრობების, ლიტერატურული ზღაპრების და სხვა) აღმასვლას, რაც ძირითადად მაინც გასული საუკუნის 60-იან წლებს უკავშირდება. გასაკვირი არ უნდა იყოს ისიც, რომ მისი საფუძველი წარსულ მემკვიდრეობაში უნდა ვეძიოთ. თუ XIX საუკუნის დასაწყისში „მოზარდი ეცნობა გარესამყაროს „ყრმათა ენციკლოპედიებით“ და, ძირითადად, უცხოურიდან (რუსულ ენაზე არსებულის), გადმოთარგმნილი ან გადმოკეთებული ტექსტებით, დღის წესრიგში დგება უცხო თუ საკუთარი ქვეყნების ბუნების, ისტორიის, გეოგრაფიის მაგალითებზე გაშლილი მასალის მიწოდების აუცილებლობა. ამ საქმეს იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“ ართმევს თავს და საკმაოდ წარმატებულადაც. თუმცა ი. გოგებაშვილი არ ჩერდება შექმნილზე. იგი მის სრულყოფილება-გაუმჯობესებაზე ზრუნავს, რაც კარგად გამოჩნდა „ბუნების კარის“ X გამოცემის (1899) წინასიტყვაობასა და მის განსაკუთრებულ შინაარსში.

„წინასიტყვაობაში მასწავლებელთათვის“ გამოკვეთილია იაკობ გოგებაშვილის მიზანდასახულება - „მიგვეცა ჩვენი სკოლებისა და ოჯახებისათვის სასარგებლო წიგნი, დამყარებული პედაგოგიურს უკვდავ პრინციპებზე და სავსებით შესაბამისი ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის სკოლისა და მეტადრე იმ განსაკუთრებულის მდგომარეობისა, რომელშიც იმყოფება ქართული ენა სკოლაში“ (ი. გოგებაშვილი, IV, 1990:504) „ძალდატანება აქ საჭირო არ არის, რადგან თვითონ წიგნი სასიამოვნოდ ჰხადის თავისს კითხვას, თავისს შეთვისებასა“, როგორც გემრიელად მომზადებული საჭმელი უხსნის გემოს მადა დაკარგულს ადამიანსა, ისე კარგად შედგენილს სახელმძღვანელოს მოჰყავს ყმაწილი დედა-ენის შესწავლის ხალისზე. ამ მოსაზრების ძალით გვერდი ავუქციეთ ამ წიგნის შედგენის დროს იმისთანა მშრალს საგნებს, როგორიც არის დაწვრილებითი კლასიფიკაცია მცენარეებისა და ცხოველებისა, მათზე ანატომიურის აგებულების აღწერა, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს ბევრს უცხო სახელმძღვანელოში. სამაგიეროდ დიდი ყურადღება მივაქციეთ მას, თუ როგორ ცხოვრობს ცხოველი, როგორ იბრძვის არსებობისათვის, რა ადგილი უჭირავს ბუნებაში, რა დამოკიდებულება აქვს სხვა ცხოველებთან და მეტადრე ადამიანთან და თვით თავის სამშობლოსთან (ფრინველების მოგზაურობა, ორაგულის ცხოვრება“ (ხაზი ჩვენია - თ.გ.) (ი. გოგებაშვილი, IV, 1990:505).

მოყვანილი ციტატიდან იკვეთება ი. გოგებაშვილის მიზანდასახულება და მისი პრაქტიკული წარმოდგენა ინფორმაციულ თუ მხატვრულ ტექსტებში, რომელთაგან ჩვენი ყურადღება მახვილდება მცენარეულ და ცხოველთა სამყაროს შესახებ შექმნილ ორ ტექსტზე. „ქერის თავგადასავალი“ და „ორგულის ცხოვრება“, რომელთა თემებზეც თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ მწერალმა გიორგი შატერაშვილმა ორი მხატვრული ტექსტი შექმნა: „ხორბალა“ და „მტკვრის სათავისაკენ“.

ბუნებრივია, აქ არ გვაქვს საქმე გავლენასა ან სესხებასთან. ოთხივე დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოებია სხვადასხვა სიუჟეტით, მაგრამ მსგავსი მიზანდასახულებით: ეს ტექსტები ხელს შეუწყობს „სულის გარმონიულად განვითარებას, რაც შეადგენს იდეალს სწავლისა და აღზრდისა, რომელზედაც არის დამოკიდებული ყოველი ერის წარმატება, ბედნიერება“ (ი. გოგებაშვილი, IV, 1990:509).

ი. გოგებაშვილის „ბუნების კარში“ „მცენარეების“ განყოფილებაში შედის მარცვლეულისადმი მიძღვნილი ერთი ინფორმაციული („ხორბალი“) და მეორე მხატვრული („ქერის თავგადასავალი“) ტექსტი: ჯერ „ქერის თავგადასავალი“, ქერის აღმოცენების ისტორიით, მერე „ხორბალი“. იაკობის მოთხრობა ჩვენი აზრით, ნამდვილი საბავშვო მოთხრობაა თავისი შესავლით (გლეხი დადის მოხნულ მიწაზე და ქერს თესავს). მოქმედების განვითარებით (ქერის მარცვალი ხნულში) აღმოცენებით და, ბოლოს, მისგან ლუდს მიიღებს გლეხი და დასასრულით - გლეხი გამხიარულდა და რამდენიმე კარგი სიმღერაც თქვა. სათაურიც დამაინტრიგებელია მოზარდისათვის.

გიორგი შატერაშვილის (1910-1965) „ხორბალა“, მისი სათაურიდან გამომდინარე (კნინობითი ფორმა ხორბლისა, რომელიც სხვა მარცვლებთან ერთად (ნამცეცა, ბუთხუზა) მოთხრობის მთავარი გმირია, რომლის თავგადასავალი იწყება ბედელში წინაპართან შეხვედრით, დედა ხორბალას

გარდაცვალებით და ახალგაზრდა ხორბალს ბელლიდან გამოფენაზე მოხვედრით დამთავრებული. ტექსტში ბევრია დიალოგები, მონოლოგებიც არის, ხორბალს მტრებიცაა ნაჩვენები (ჭიანჭველა, თაგვი, სარეველა) ხორბლის მთელი თაობის გზა ბელლიდან ბელლამდე, სადაც ჭაბუკი, მოხუცი, ბიჭუნა, თანამედროვე ეპოქის შვილები, გამოდიან სამოქმედო ასპარეზზე. ხორბალს საუბრობს თავის თანამომეგობრთან, ესმის ადამიანების საუბარი და მოზარდ მკითხველს ეჭვი არ ეპარება, რომ ისინი იბადებიან, იზრდებიან, ურთიერთობენ სხვებთან და ადამიანებთან. მათაც ჰყავთ მტერი და მოყვარე, უყვართ თავის გამოჩენა, სხვისი ქება...

ტექსტი მომხიბლავია ავტორისეული თხრობის მანერით, სისადავით, ინტრიგით. შედარებისათვის მოგვყავს ორი ნაწყვეტი ი. გოგებაშვილის „ქერის თავგადასავლიდან“ და გ. შატერაშვილის „ხორბალადან“:

„ქერის თავგადასავალი“ - „მაგრამ რაღაცეა აკლდა ამ ბედნიერებასა, რაღაც უშლიდა ქერებს კიდევ უფრო მაღლა ასულიყვნენ. ფესვებით ისინი მიწაზე იყვნენ მიბუღნი და თავისს ადგილიდან ვერ იძროდნენ. მაგრამ მათმა შეუპოვარმა ცდილობამ ეს დაბრკოლებაც მალე დასძლია. სწორი ყლორტის თავზედ მალე ამოვიდა გრძელი თავთავი, რომელსაც ბევრი პაწაწკინტელა ცარიელი ოთახი ჰქონდა დიდი სახლივითა“ (ი. გოგებაშვილი, 1912:17).

„ხორბალა“

„კვნესოდა ნამცეცა, იბერებოდა, წვრილი თავით მიწას აწვებოდა და ზევით იწევდა. უცებ შვება იგრძნო, სასიამოვნო ნიახმა დაჰქროლა თავზე და მზის სხივებში გაახვია“. (გ. შატერაშვილი, 1958:66).

ამკარაა შატერაშვილი მხატვრული ოსტატობით მეტად ხვეწს მოთხრობის სიუჟეტს და თანდათან აცილებს ინფორმაციულობას.

თუ ი. გოგებაშვილის „ორაგულის ცხოვრება“ (განყოფილებიდან „ოთხფეხნი“) მეტად მხატვრულობით გამოირჩევა, მაგრამ ინფორმაციული ტექსტის ავტორი მაინც ცდილობს აჩვენოს სიცოცხლის განვითარება თევზის სამყაროში ქვირითიდან ლიფსიტამდე და დიდ ორაგულამდე. იგი სამი თავისაგან შედგება და თითოეული თავი დასათაურებულია (1. ორაგულის სიყმაწვილე, 2. ორაგული სამშობლოდან ბრუნდება). ორაგულის ცხოვრების გზა პატარა-დიდ მდინარეებისაგან ზღვისაკენ მიემართება „თევზები სცდილობდნენ თავიანთ სამშობლოს არ მოჰმორებოდნენ და როგორმე გამაგრებულიყვნენ ძველს საყვარელს ადგილზედ, მაგრამ ტყუილად... პატარა ორაგულებმა ახლა კი იკადრეს მოკურცხვლა ქვემოთ: სრიალით გაჰყვნენ აშფოთებულს პატარა მდინარეს და ჩქარა პატარა მდინარიდან დიდ-ლიახვში შეცურდნენ. ლიახვმა გამოაქანა ქვემოთ, გორის გვერდით გამოატარა და მისცა მტკვარსა. მტკვარი მდორედ მიდიოდა, პატარა ორაგულების წინ. არ ერეკებოდა. და ამიტომ ამათ კარგად დაისვენეს“. (ი. გოგებაშვილი, 1912:161-162) შატერაშვილიც სწორედ მტკვრის სათავისაკენ გაამგზავრებს კალმახებს მოთხრობაში „მტკვრის სათავისაკენ“, რომელიც პოეტ რევაზ მარგიანთან ერთად დაწერა. აქ უკვე კალმახის ცხოვრების გზაა ნაჩვენები, მაგრამ მიზანი სულ სხვაა, შემეცნებითთან ერთად, აჩვენოს უკვე საზღვარგარეთ, თურქეთის ტერიტორიაზე, მხოლოდ თევზის მეშვეობით განავარდების შესაძლებლობა და სევდა, სევდა დაკარგულ მიწა-წყალზე. ამასვე აღნიშნავს მკვლევარიც, ფილ. მეცნ. დოქტორი ლელა მელაძე: „ცნობილია, რომ კალმახი ყოველთვის მდინარის საწინააღმდეგოდ ცურავს და შეუპოვრად მიიწევს მდინარის სათავისაკენ. მწერლის ოსტატობას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ პატარა ლაზის ტრაგედიას ფონად სწორედ კალმახების ფასდაუდებელი თავისუფლება გაჰყვება. ასეთი კონტრასტი კი მოთხრობის მხატვრული სამკაულია, რომელსაც განსაკუთრებული ემოციურობით მიაქვს ავტორის ჩანაფიქრი მოზარდ მკითხველამდე.

მოთხრობას ლაიტმოტივად გასდევს მწერლის სურვილი: „ნეტავი ვინმე დაიხსნიდეს, ნეტავი ვინმე უშველიდეს“ - ნატრობს მწერალი თურქების ხელში დარჩენილი პატარა ბიჭის გამო, შესაძლოა, ეს პატარა გმირი მწერლის თანამედროვე პატარა ქართველების განზოგადებული სახეა“ (ლ. მელაძე, 2009:203-204).

მოთხრობის პერსონაჟები უშიშა, მერცხალა, მორბედა თევზის ბუნებრივი მოქმედებებით ადამიანებვით მსჯელობენ, იბრძვიან. მათი ურთიერთობაც სწორედ ახალი ადამიანების, მოსწავლეების, ბანაკის საქმიანობასთან ერთად მიმდინარეობს. მოთხრობაში კალმახი ერიდება ორგულს, გრძნობს რა მის მტრულ ბუნებას. თავად მოთხრობა ლამაზია კვლავაც თავისი მხატვრული წერის მანერით.

აქ მსგავსებაა ი. გოგებაშვილთან მხოლოდ თევზების ცხოვრების პროცესით, თანამედროვეობის ფონზე.

თუმცა თუ ისევ ვაჟა-ფშაველას აზრს მოვიშველიებთ (პუბლიცისტურ წერილში „Pro domo Sua“): „ჩვენში ძალიან სათავისოდ და ვითომ ნიჭის დამამცირებლად მიაჩნიათ მწერალზე სხივისი გავლენა. მე კი ეს წესიერ, საღ, ნორმალურ და აუცილებელ მოვლენად მიცნია იმ კანონის ძალით, რომელსაც ჰქვია კანონი თანდათანობისა... დიდებული პოეტები, გენიოსად ცნობილნი, ხშირად უნიჭო პოეტებს ჰბამავდნენ წინა პირველად, მაგრამ იმათ თავისებურებას ეს არაფერს უშლიდა. ზემოქმედება მწერალზე აუცილებლად საჭიროა, უამისოდ მწერალი ცარიელი, უშინაარსო არსება იქნებოდა, თუ ამასთანავე იგი

ცოცხლად გამომსახავი არ იყოს შთაბეჭდილებათა. რამ ააუღეროს მისი ჩანგი, თუ ან ამბავი არ გაიგონა, ან ლექსი ან საქმე, გარემოება ცხოვრების. არა ნახა ამაღელვებელი, ან ბუნების მოვლენათ მოუყრუა ყური? აი ეს გარეგანი ფაქტორებია, ხოლო შინაგანი, გული გახლავთ, რომელიც ამათ ითვისებს, ყალიბში ასხამს. ზღვაში ბევრი სხვადასხვა წყალი ერევა, მაგრამ ზღვას მაინც ზღვა ჰქვია და ზღვაც იმიტომ არის, რომ ყველა იმ მდინარეთ იტევს, ისიხლხორცებს და საკუთარს დიდებულს სახელს არ ჰკარგავს“ (ვაჟა-ფშაველა, IX, 1964:180). ჩვენს სტატიაში მოძიებული პარალელები ქართული საბავშვო მხატვრული ტექსტებისა იაკობ გოგებაშვილთან გიორგი შატბერაშვილისა, იმის დასტურია, რომ „ბუნების კარზე“ აღზრდილმა XX საუკუნის მწერალმა, არამცთუ აიღო ორი თემა ორი საბავშვო მოთხრობისათვის ისეთ მხატვრულ ფორმაში ჩასვა, სწორედ რომ შთაბეჭდილების თანდათან განვითარებად წარმოგვედგინა და დამოუკიდებელი მნიშვნელობაც დაეკისრა მოზარდი მკითხველისათვის.

ლიტერატურა:

- ი. გოგებაშვილი, IV, 1990: გოგებაშვილი ი., რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, IV, „განათლება“, თბილისი, 1990;
- ი. გოგებაშვილი, IV, 1912: გოგებაშვილი ი., „ბუნების კარი“, თბილისი, 1912;
- გ. შატბერაშვილი, 1958: შატბერაშვილი გ., „სათაფლია“, „საბლიტგამი, თბილისი, 1958;
- ლ. მელაძე, 2009: მელაძე ლ. „XX საუკუნის ქართული საბავშვო ლიტერატურა“, „მერიდიანი“, თბილისი, 2009;
- ვაჟა-ფშაველა, IX, 1961: ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964.

Tamar Gogoladze
Gori State Teaching University
PARALLELS OF GEORGIAN CHILDREN'S LITERARY TEXTS
(I. GOGEBASHVILI / G. SHATBERASHVILI)
RESUME

The development of Georgian children's literature has been associated with the pedagogical principles of Iakob Gogebashvili for the establishment of a "new type" Georgian in the XIX century, which is given in the preface of the 10 th edition of the "Nature's Door". In Iakob's opinion, children's nature requires various impressions and nourishment for minds. This nourishment together with the others is given by literature.

By texts "Plants" a youngster becomes aware of the qualities and process of development of the plants (barley, wheat, maize, etc.) which are necessary for people.

Two texts from this section - "Wheat" and "Barley's Adventure" attracted our attention. The first one is the most informative written in a language that is understandable to the child, and the second one tells about the berry grain. Iakob Gogebashvili tells the youngsters with amazing warmth about the barley from conceiving up to turning it into food product. Here barley seeds and people are interconnected. A youngster understands their nature, qualities and wishes to bring benefit to human beings and fulfill their purpose.

The same goals are outlined in the story "Wheat" written in the 50s of the XX century by children's writers Giorgi Shatberashvili and Revaz Margiani. The adventure of wheat grain is very much alike to Iakob Gogebashvili's "Barley Adventure", brought in a new reality of the XX century.

The same parallel is presented in the literary text (Gogebashvili's "Nature Door" from the section "Four-legged", "The Life of Salmon" and Giorgi Shatberashvili's "Towards the Source of Mtkvari" (The Trout's Life). Here we do not have to deal with the influence, he describes the trout's life with great mastery. The article focuses on the artistic techniques of both authors (I. Gogebashvili and G. Shatberashvili), as the children's writers are concentrated on a kind of educative - cognitive purpose.

„ქართლის ბედის“ საბჭოური პარადიგმა და გალაკტიონი

I. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“...

1931 წელს, ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნების შემდეგ, ცალკე წიგნად გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის პოემა „საით მიდის რევოლუციონური საქართველო“. ამ დროისათვის პოეტი უკვე იყო ავტორი ამავე ჟანრის ვრცელი პუბლიცისტურ-ლირიკული კომპოზიციებისა „ეპოქა“ და „პაციფიზმი“. ახალი, სოციალისტური ყოფის ამსახველმა ამ პოემებმა, რომელთაც იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული ხასიათი ჰქონდათ, მეტი დამაჯერებლობა შესძინეს საბჭოურ მითს, რომლის თანახმად გალაკტიონ ტაბიძემ თურმე უყოყმანოდ მიიღო საქართველოს ე.წ. გასაბჭოება ანუ, რეალურად, ბოლშევიკური რუსეთის მიერ თავისი სამშობლოს ოკუპაცია და ანექსია.

დრო ზუსტად იყო შერჩეული. „მასსების პოეტი“ მკითხველთა წინაშე ისეთი თავგამოდებით განადიდებდა ძველის დაუნდობელ ნგრევასა და ახლის შენებას – „ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს“, – ეჭვის შეტანაც კი ძნელი იყო, რომ იგი იმთავითვე ბოლშევიკების გვერდით არ იდგა.

საბჭოთა წყობილებისადმი გალაკტიონის განუხრელი ერთგულების ფსევდონარატივი მალე იმითაც განამტკიცეს, რომ იგი ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებლად გამოაცხადეს და სახალხო პოეტის წოდებაც უბოძეს. ამის შემდეგ კრიტიკა ზოგჯერ თუ შეახსენებდა სიმბოლისტურ წარსულს, მერე და მერე კი ის ფაქტები, რომლებიც ჩრდილს მიაყენებდა საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ნათელ სახეებს, მიიჩქმალა ან სულაც განიდევენა პოეტის ბიოგრაფიიდან.

არადა, მითს მიღმა დატოვებული რეალობა – იგნორირებული თუ ტაბუირებული სინამდვილე რადიკალურად საპირისპირო იყო. გალაკტიონი, როგორც მოქალაქე და შემოქმედი, დამოუკიდებლობის ბოლო დღეებამდე ერთგულად იდგა ქვეყნის თავისუფლების დამცველთა შორის, ხოლო მის 1921-1922 წლების ლექსებში, – განსაკუთრებით თავდაპირველ რედაქციებში, – მკაფიოდ იგრძნობოდა სამშობლოსთვის თავდადების პათოსიც, დამარცხების ტკივილიც და დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული სასოწარკვეთაც. ამის დასტურია თუნდაც ლექსი „ტფილისთან“ – პირველნაბეჭდი, ვრცელი რედაქცია ცნობილი ლექსისა „სადღეგრძელო იყოს მისი“, რომელიც 1921 წლის 18 თებერვალს გამოქვეყნდა და ქართველ მხედრებს – ბრძოლის ველზე მიმავალ სახალხო გვარდიელებს მამულისათვის თავგანწირვის წმინდა მოვალეობას შეახსენებდა.

სანამ არსებობდა თავისუფალი სიტყვის ილუზია, გალაკტიონი მეტ-ნაკლები სიმკვეთრით ახერხებდა ეროვნული პოზიციის გამოხატვას. ლექსში „ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს“ გალაკტიონის პოეზიაში პირველად გამოჩნდა მოხვეე ლელთ ღუნიას აჩრდილი, რომლის პირითაც გამოთქვა ილიამ „მგზავრის წერილებში“ ეროვნული სუვერენიტეტის ფორმულა – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“. დასაღუპად განწირული ზომალიდან გაგზავნილ ძუნწ შეტყობინებას ჰგავს ამ პატარა ლექსის ბოლო სტრიქონები:

დაკარგულია გზა მოხვეესი –
ბნელდება. ღამე. მიემგელებით.

გალაკტიონის თვალწინ იკარგებოდა, წარიხოცებოდა მოხვეის „გზა“ – გზა ეროვნული დამოუკიდებლობისა. ქვეყანაში, პოეტის შეფასებით, დიდი, ბნელი ღამე იწყებოდა და არა ახალი, სოციალისტური ცხოვრების განთიადი...

1924 წლის აჯანყების შემდეგ საქართველოში სიმკაცრე სისასტიკემ შეცვალა. შემოქმედთ უაპელაციოდ მოსთხოვეს პასუხი, წარსულისაკენ მზერა უჯობდათ, თუ მზად იყვნენ სოციალისტური ეპოქის აპოლოგიისათვის. არჩევანი, ფაქტობრივად, მორჩილებასა და სიკვდილს შორის უნდა გაკეთებულიყო.

გალაკტიონისათვის ადვილი არ იყო იმის ცქერა, როგორ ითელებოდა თავისუფლების „კეთილშობილი ვარდები“ გალადებული, ცინიკურად მოცინარი ფავნის ფერხთა ქვეშ (ლექსი „ავადმყოფს“, 1923), მაგრამ პოეტს სულ უფრო ეუფლებოდა იმის განცდა, რომ დროთა კავშირი

საბედისწეროდ გაწყდა, „ის დრო წავიდა“. მთაზე განმარტოებით დგომა აღარ შეიძლებოდა. შორს, გორაკზე დარჩა ისტორიული საქართველოს ნაშთი – „თეთრი კოშკის ძველი გალავანი“, გალაკტიონმა კი თავს თანამედროვეობაში დაბრუნება უბრძანა:

დავუბრუნდეთ... უნდობარ სულს
თითქო კარი დარაზოდეს,
შენ ნუ მკითხავ მაინც წარსულს,
არც მე გკითხავ არასოდეს.

ბოლო ორი სტრიქონი დრამატული ფინალია პოეტის შინაგანი დიალოგისა, იმის მანიშნებელი, რომ „უნდობარმა სულმა“ წარსულისაკენ მხერა გადაკეტა, წარსულზე დუმილის ალთქმა დადო თუ დაადებინეს. სულის სიღრმეში დაილექა დარდი თავისუფალ საქართველოზე – თითქოს სამოთხიდან გამოაძევეს:

ის ხეტიალობს ისეთნაირ განწირულებით,
როგორც სამოთხის დახურულ კართან,
გულზე აჩნია უკურნავი დროის წყლულები,
გაუნელებელ ცეცხლთა და ქართა.

ეს მძიმე განწყობილება გაჰყვა „პროლეტარული აზოზოქრების“ წიაღში შესულ გალაკტიონს, შემდეგ კი – შემდეგ ზედიზედ დაწერა „ეპოქა“, „პაციფიზმი“, „საით მიდის რევოლუციონური საქართველო“ და... დაკვეთილი ალტაცების ზღვაში შეაბიჯა...

ილიასეული ფორმულა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, რომელიც დიდი მამულიშვილის პოლიტიკურ კრედოს გამოხატავდა, გალაკტიონთან, – ცხადია, ახლებური ინტერპრეტაციით, – 30-იანი წლების მიწურულს გახშირდა. მანამდე, თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე, ილია ჭავჭავაძის ხსენება საბჭოთა საქართველოში სახიფათოც კი იყო, როგორც რეპეციონერისა და ნაციონალისტისა.

ილიას რეაბილიტაცია ბოლშევიკების მიერ 1937 წლიდან მოხდა, როდესაც გაზეთმა „პრავდამ“ მას „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი“ უწოდა. ამ დროიდან პარტიის ხაზის გამტარებელი კრიტიკოსები ისეთი პათოსით ამტკიცებდნენ, „ამაო ყველა ჯურის ხალხის მტრების ცდა ილიას რეპეციონერად და შოვინისტად მონათვლისაო“, თითქოს თვითონვე არ უთხზავდნენ ერის მამას ნაირგვარ იდეოლოგიურ იარაღებს.

ამას თან მოადევნეს საბჭოური ფსევდომითიც, რომ თურმე ის მყოობადი, რომელზეც ოცნებობდა ილია („ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“), სოციალისტური საქართველო იყო; თურმე „მგზავრის წერილებში“ დასმულ უმწვავეს კითხვას – „როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში? როდემდის?“ სოციალისტურმა ეპოქამ გასცა იმედიანი პასუხი.

ეროვნული სუვერენიტეტის ილიასეული ფორმულა, გალაკტიონის ვერსიით, პირველად გამოჩნდა პოემაში „ათას ცხრაას ორმოცი წელი“ (1940), კერძოდ, ტექსტში ჩართულ სიმღერაში „ო, მამულო“. რამდენიმე წლის შემდეგ ავტორს, როგორც ჩანს, პოემის ამ მონაკვეთის ცალკე ლექსად გამოყოფა და გამოქვეყნება განუზრახავს. ამ ლექსის ერთ-ერთი ავტოგრაფი ცხადყოფს, რომ გალაკტიონს იგი საგანგებოდ ჩაუფიქრებია, როგორც პასუხი ილიას „გაზაფხულში“ დასმულ კითხვაზე: „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?“. გალაკტიონის ლექსს ავტოგრაფში წინ უძღვის ილიას „გაზაფხული“ სათაურით „კითხვა“, საკუთარი ტექსტისთვის კი პოეტს „პასუხი“ დაურქმევია.

სწორედ პოემასა და ილიას პასუხად ჩაფიქრებულ ლექსით ვერსიაში გაისმის ლელთ ღუნიას ცნობილი სიტყვების – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ – პერიფრაზირებული გამოძახილი. ლექსში კვითხულობთ:

ო, მამულო, როგორ ბრწყინავს ცვარით მსხმოიარე ზვარი!
ო, მთაწმინდა, როგორა ჟღერს შენი მშვენიერი ქნარი!
დღეს თავის თავს მთლად ეყუდნის საქართველოს მთა და ბარი,
ჩვენ მეოცე საუკუნის შემოვადეთ დიდი კარი.

ლექსის ვარიანტებში ფიქსირებულია მეტრულად იდენტური ორი ვერსია: „რომ ახალი სუნთქვით სუნთქავს“ და „დღეს თავის თავს მთლად ეყუდნის“. ლელთ ღუნის სიტყვების შერჩევა და გატანა საბოლოო ტექსტში, როგორც ჩანს, საგანგებო ფიქრის შედეგი იყო.

რა პასუხი აქვს გალაკტიონს ილიას კითხვებზე: როდის აყვავდება მამული? გვეყუდნის თუ არა ჩვენი თავი ჩვენვე?

პოემაშიც და ლექსშიც პასუხი ზეადმეტაცია: ილიას „ობოლი ვაზი“ ზვრებად ქცეულა, თავისუფალი მამულის მთა-ბარი კი ყვავის. დამაფიქრებელი აქ მარტო პოეტის თვალშისაცემი კონფორმიზმი კი არაა, არამედ განსაკუთრებით ის, რომ სოციალისტური საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ცრუიდეა ილიას ნაციონალისტური ფორმულით არის გამოხატული.

აქვე უნდა ითქვას, რომ ოპტიმისტური პასუხი ილიას „გაზაფხულში“ დასმულ კითხვაზე განმეორებად მოტივად იქცა გალაკტიონის პოეზიაში. მაგალითად, ლექსში „ტყის აშრილდა ფოთოლი“ (ავტოგრაფში მისი სათაურია „წარწერა ილია ჭავჭავაძის წიგნზე“) ახალი საქართველოს ასეთი საამური, წარმტაცი სურათია დახატული:

ტყის აშრილდა ფოთოლი,
ელვარებს ქარვის მტევანი,
საყვარელია ტოლ-ტოლი
ვაზების ჩამორხევანი.
მზისაგან დამწვარ-დაგულო,
ედემო საგულდაგულო,
იდიდე, ჩემო მამულო,
აჰყვავებულო მამულო!

ასე – მოშრილ-მოელვარე ტყითა და ზვრით – წარმოგვისახავს გალაკტიონი საქართველოს „საბჭოურ გაზაფხულს“, რომელსაც თურმე დიდი წინაპრის ოცნება სინამდვილედ უქცევია – მამული „აჰყვავებულა“!

ავტოგრაფებში კიდევ უფრო ხელშესახებია გადაძახილები ილიას „დედანთან“, თანაც უფრო მეტადაა ხაზგასმული სოციალისტური ცხოვრების სიკეთე და სიდიადე: „ვაზი, როსმე ობოლი, უდიდეს ღვინით მღერის“; „მამულო საყვარელო, დღეს შენ დიდებით ჰყვავი“...

1948 წელს, ომის დამთავრების შემდეგ არის დაწერილი პოემა „მოხვეის ქალი“. ერთ-ერთ ხელნაწერში მას ასეთი ეპიგრაფი აქვს: „მიგიხვდი ჩემო მოხვე... ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნისო“ – სთქვი შენ და მე გამაგონე“. ი. ჭავჭავაძე.

ციტატა ილიას „მგზავრის წერილებიდან“, მიმართვა მოხვეე ლელთ ღუნისადმი ეპიგრაფში შეკვეცილია და, ამასთან, ზუსტიც არაა: ამოღებულია სიტყვები: „რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეტი“, ხოლო სუვერენიტეტის იდეა წარსულიდან („ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის“) აწმყოშია გადმოტანილი („ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის“), როგორც ახდენილი რეალობა. ილია ჭავჭავაძის კლასიკურ ტექსტში შეტანილი ცვლილებანი პოემის შინაარსთან მიმართებით აშკარად ცხადყოფს, რომ ილიას ციტატა გალაკტიონის მიერ მიზანმიმართულად არის ჩასწორებული – იგი „ახალ ცხოვრებაზე“, თანამედროვეობაზეა მორგებული. მართალია, გალაკტიონმა უარი თქვა, გადახაზა ეპიგრაფი, მაგრამ ხელნაწერმა მაინც შემოგვინახა კვალი ილიას ეროვნული ფორმულის იდეოლოგიური მოდერნიზაციისა.

პოემის ფაბულა მარტივია: ავტორი ახალგაზრდა მოხვეის ქალთან ერთად მიფრინავს ლელთ ღუნის მშობლიურ კუთხეში და იქ, კავკასიისათვის ბრძოლის ფონზე, ისინი – პოეტი და პერსონაჟი – ახმოვანებენ პოლიტიკურად აქტუალურ საკითხებს.

ახალგაზრდა მოხვეე ქალი იმათი შთამომავალია, ვინც შთააგონებდა ილიასა თუ ყაზბეგს. გალაკტიონთან იგი ახალი ცხოვრების შვილია, ე.წ. ახალი ადამიანის სქემატური სახეა, მოკლებული რაიმე ინდივიდუალურ ნიშნებს. პერსონაჟი კავკასიონთან მიმდინარე ბრძოლას საბჭოთა პატრიოტის თვალთა ალიქვამს, მტრის გარდაუვალ დამარცხებას და საბჭოთა სამშობლოს აღდგენა-აღორძინებას წინასწარმეტყველებს. თავისუფლება მისთვის ოქტომბრის პირმშოა („დიდმა ოქტომბრის დღემ დაგადა, თავისუფლება!“) და მზადაა, მის მონაპოვარს სიცოცხლე შესწიროს:

საბჭოთა მხარეც, სანეტარო
და საოცნებო,
სიცოცხლე ერთხელ მოგვეცა ჩვენ
და მხოლოდ შენთვის.

აი, ეს ახალი ადამიანი – ახალი ცნობიერების „საბჭოთა მოხვევ“ წარმოთქვამს პოემაში იმ ფრაზას, რომელიც ლელთ ღუნისათან და, მაშასადამე, ილიასთან ასოცირდება:

ჩვენვე გვეყუდენის ჩვენივ თავი,
ჩვენ გავიმარჯვებთ!

ნათელია, რომ მოხვევე ქალი აქ საბჭოეთის გამარჯვებაზე საუბრობს და ილიას სხვა სულისკვეთებისა და სემანტიკური ტრადიციის ფრაზაში სულ სხვა, „აქტუალური შინაარსია“ ჩადებული.

ახალგაზრდა ქალის ხმა საბჭოთა ხალხის ხმაა, ამიტომ პოეტის მოვალეობაა, მოისმინოს და ქვეყნიერებას მოჰფინოს იგი. მართლაც, პოეტი, რომელიც პოემის პერსონაჟიკაა, მოხვევე ქალის ვრცელი პროპაგანდისტული მონოლოგის შემდეგ თავადაც აქტიურდება და ორგზის წარმოთქვამს ჩვენთვის საინტერესო ფრაზას. აი, როგორ ამხნევებს იგი საბჭოთა ხალხს:

თუ თავი ჩვენი ჩვენ გვეყუდენის,
რისაა შიში?
წყევლა და კრულვა დამპყრობლის გზას...
მტერს ზარდაცემა!

პოემის ფინალში გალაკტიონი ქებათა ქებას უძღვნის სოციალისტურ აღმშენებლობას, ნათელ მომავალს და ამჯერად ახალგაზრდობას არწმუნებს:

ახალგაზრდებო! ჩვენი თავი
ჩვენვე გვეყუდენის!

„მოხვევის ქალი“ თავიდან ბოლომდე პროპაგანდისტული პოემაა, საბჭოთა პატრიოტიზმის საჯარო დეკლარაცია, შელამაზებული ძმურ ინტერნაციონალურ ოჯახში საქართველოს გამოგონილი თავისუფლებით.

ილიასეული ფორმულის ადაპტირება საბჭოთა რეალობასთან გალაკტიონის ორსავე პოემაში და ლექსში თავისთავად ეროვნული ცნობიერების რღვევის ნიშანია, მაგრამ უცნაურია და დასაფიქრებელი, რატომ მიმართა გალაკტიონმა ოფიციალური პოზიციის გადმოსაცემად ილიას ეროვნულ ფორმულას? ნუთუ კონფორმიზმმა გენიალური პოეტი იმ ზღვრამდე მიიყვანა, რომ წმინდა იდეის რიგითი გამყალბებელი, კომუნისტური ფსევდომითის მორჩილი პროპაგანდისტი გახდა?!

საკითხში გასარკვევად, ვფიქრობ, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება:

გალაკტიონის შემოქმედებაში, ოპტიმისტური საბჭოური ტექსტების პარალელურად, 30-იან წლებშივე იქმნებოდა სრულიად საპირისპირო შინაარსისა და განწყობილების ლექსები, რომლებიც პოეტის არქივში ჩარჩა და გვაცნობს მის რეალურ განცდებსა და ფიქრებს. ასეთია, მაგალითად, უსათაურო „პირველი ფოთლით იმოსება ტყე“ – ამჯერად უკვე მწარე, პესიმისტური პასუხი ილიას „გაზაფხულში“ დასმულ კითხვაზე.

ტყე ფოთოლს ისხამს, ბუნება მშვენიერდება, მაგრამ იცრემლება ვაზი, ტირის ბალახი, ოხრავენ ყვავილები... ამ სევდიან გარემოში არაორაზროვნად ჩაგვესმის პოეტის განმარტება:

წარსულზე კი არ აფრქვევს ცრემლს ვაზი
და მოლივლივე სუნთქვა ზეფირის,
არა, აწმყოზე ოცნებობს ველი
და არე-მარეც აწმყოზე ტირის.

აქ ადარც ილიასეული მეტის ლხენით ტირილია და არც სოციალისტური „უდიდესი ლხენით სიმღერა“. ლექსში გლოვის პირდაპირი საგანი აწმყოა, სწორედ ის საბჭოთა აწმყო, ოფიციალურ ლექსებში რომ განადიდებდა გალაკტიონი.

30-იან წლებში, როგორც ითქვა, მსგავსი შინაარსის ლექსი არაერთია, გავიხსენოთ თუნდაც „ეს არ არის საქართველო“, რომელიც ყოველგვარი დაეჭვების გარეშე გვიდასტურებს გალაკტიონის ანტისაბჭოურ განწყობილებებს, მის ტკივილიან დაფიქრებას მამულისა და ერის ტრაგიკულ აწმყოზე.

პოეტის ამგვარ განწყობილებათა გათვალისწინებით, ოფიციალურ და ფარულ დინებათა ორმაგ კონტექსტში, ჩნდება ჰიპოთეტური ვარაუდი, ხომ არა აქვს გალაკტიონთან ახლად რეაბილიტირებული ილია ჭავჭავაძის ეროვნული ფორმულის არაერთგზის გამეორებას რაიმე შეფარული აზრი და მიზანი?!

გალაკტიონ ტაბიძემ დანამდვილებით უწყოდა რადიკალური განსხვავების არსებობა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ პროგრამასა და ნაციონალური საკითხის გადაჭრის სოციალ-დემოკრატიულ კონცეფციას შორის. მისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა, რომ ილია განასახიერებდა ერს, მის უფლებებს, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას, სოციალ-დემოკრატებს კი, მენშევიკებსაც და ბოლშევიკებსაც, ნაციონალიზმი ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლენად მიაჩნდათ. ისინი გამუდმებით „ამხელდნენ“ ნაციონალიზმის იდეას და საკუთრივ – ილია ჭავჭავაძეს. მენშევიკი ირაკლი წერეთელი, მაგალითად, წერდა: „მამულიშვილობა რეაქციით არის გაჟღენთილი და რეაქცია ასულდგმულებს. აქედან გამომდინარე, ილიას პატრიოტიზმი რეაქციული ხასიათისაა“.

სოციალ-დემოკრატებისთვის მიუღებელი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, – გნებავთ, ავტონომიურობის, – იდეა, რადგან მიაჩნდათ, რომ თვითმპყრობელობის დამარცხებამდე არარუსი ხალხის გამოყოფა იმპერიიდან პროლეტარიატის ძალებს დაქსაქსავდა, რევოლუციის გამარჯვებას საფრთხეს შეუქმნიდა. ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა, მათი აზრით, სამომავლოდ, ე.ი. გამარჯვების შემდეგ ბუნებრივად მოხდებოდა. რამდენად ბუნებრივად მოხდა ეს საბჭოთა სინამდვილეში, საყოველთაოდ ცნობილია: რუსული ბოლშევიკური იმპერია ნებაყოფლობით გაერთიანებულ ერთა ძმურ კავშირად გამოცხადდა, ხოლო დეკლარირებული ერთა თვითგამორკვევის უფლება ე.წ. სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკებისათვის ლამაზ, ცარიელ სიტყვებად დარჩა.

ორ თვალსაზრისს შორის ასეთი რადიკალური განსხვავების პირობებში, მართლაც, გამოცანად ჩანს, რატომ დასჭირდა გალაკტიონს საბჭოური ეროვნული პოლიტიკის „ტრიუმფის“ საილუსტრაციოდ მაინცდამაინც ილიას გამომხმობა და შეუთავსებელ თვალსაზრისთა „ჰარმონიზაცია“.

თუ პოეტის სულმდაბლურ სერვილიზმს იძულებით მლიქვნელობად არ აღვიქვამთ და ისტორიულ და ფსიქოლოგიურ კონტექსტებსაც გავააქტიურებთ, ჩნდება აზრი, რომ შესაძლოა, გალაკტიონთან ილიას ფორმულას ორმაგი დატვირთვა ჰქონოდა: თუ ღიად და პირდაპირ მასში ოფიციალური იდეოლოგიური შინაარსი იყო ჩადებული, რასაც გარემოებანი აიძულებდა პოეტს, იგივე ფორმულა, დიდი ალბათობით, ალუზიის ფუნქციას ითავსებდა. მინიშნების ხერხით გალაკტიონი „მგზავრის წერილების“ შესაბამისი პასაჟის აქტუალიზაციას ახდენდა – ფორმულის საბჭოური ინტერპრეტაციიდან თავისი მკითხველი პირველწყაროსაკენ, მოთხრობის ტექსტისაკენ გაჰყავდა, რათა მისთვის ილიას ჭეშმარიტი აზრი, მისი ეროვნული ტკივილი გაეხსენებინა:

„აწინა?... რუსობაჩი ვარნ! აწინა ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის... ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წეს-წყობა“...

ლელო ღუნias, „ცხოვრების თვალყურმადევარი“ მოხვევის ამ სიტყვებს შეუძლებელია არ დაეფიქრებინა ქართველი კაცი, არ დაენახა, რომ მოხვევ დაკარგულ დამოუკიდებლობას იგლოვდა, ერის თავისუფლების უფლებას იცავდა, რადგან მხოლოდ თავისუფლება ანიჭებს ერს მხნეობას, სიმამაცეს, ერთიანობის შეგნებას და ზნეობრივი ცხოვრების ძალას, – ყოველივე იმას, რასაც მოკლებული იყო საბჭოთა საქართველო.

II. „დიდი“ და „პატარა“ სამშობლო

ეროვნული სუვერენიტეტის ილიასეული ფორმულა ბეჭდური სახით კიდევ ერთხელ და უკანასკნელად გვხვდება გალაკტიონის უსათაურო ლექსში „გემი ვით არ იცნობს“, რომელიც 1957 წელს გამოქვეყნდა. ჩვენთვის კარგად ნაცნობი კონფორმისტული დისკურსი აქ დიალოგის ფორმიტაა წარმოდგენილი:

გემი ვით არ იცნობს
ზღვას ვრცელს და განიერს,
იგიც ხომ მეზღვაურს
სამშობლოდ ეკუთვნის?

– მოხევევ! გახედე
ჩვენს იმერ-ამიერს:
ეყუდვნის თავის თავს?
– ცხადია, ეყუდვნის.

ამ ლექსის შესახებ ი. კენჭოშვილი წერს: „მთლიანად სიმბოლურია ლექსი „გემი ვით არ იცნობს“, რომელიც ილიას „მგზავრის წერილების“ ცნობილ დიალოგთან ალუზიის წყალობით ქართლის ბედის ფართო სააზროვნო კონტექსტს ეხმიანება“.

მართლაც, გარდა პირდაპირი, „ჯანსაღი აზრისა“ გალაკტიონის ამ ერთი შეხედვით მარტივ, სადა ლექსს მეორე, სიმბოლური პლანიც აქვს, რომლის გაშიფრვის გარეშე ტექსტში ზოგი რამ ბუნდოვანი რჩება, ხოლო სიღრმისეული ჩანაფიქრი – მიუკვლეველი. გასარკვევია, რას გულისხმობს მოცემულ კონკრეტულ კონტექსტში გალაკტიონისათვის ტრადიციული სიმბოლოები – „ზღვა“ და „მეზღვარი“; რა მინიშნებებია სიცხადეს მოკლებულ ფრაზებში: „გემი ვით არ იცნობს ზღვას“, ან „იგიც... მეზღვარს სამშობლოდ ეკუთვნის“; პასუხგასაცემია უფრო ზოგადი კითხვაც: რა კავშირია მეზღვარის თემასა და მოხევის თემას შორის, ანუ ტექსტის პირველსა და მეორე მონაკვეთებს შორის, რომლებიც, რეალური ვერსიფიკაციული პარამეტრების მიხედვით, ერთი სტროფის შემადგენელი ნაწილებია და არა ორი დამოუკიდებელი სტროფი.

სანამ ლექსის ანალიზს დავიწყებდეთ, აუცილებლობა მოითხოვს გავიხსენოთ ის პოლიტიკურ-იდეოლოგიური ვითარება, რა დროსაც დაიწერა „გემი ვით არ იცნობს“.

1951 წლის 2 ივლისს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა სარედაქციო სტატია „ლიტერატურაში იდეოლოგიურ დამახინჯებათა წინააღმდეგ“. სტატიაში მკაცრად იყო გაკრიტიკებული ერთ-ერთი უკრაინელი პოეტის პატრიოტული ლექსი „გიყვარდეს უკრაინა“, როგორც ნაციონალისტური სულისკვეთების გამოვლენის ნიმუში. ნაწარმოებში უკრაინა თურმე წარმოდგენილი იყო „განმარტოებულად, საბჭოელი ხალხისაგან მოწყვეტილად“.

კომპარტიის ცენტრალურ ორგანოს მალევე გამოეხმაურა ქართული გაზეთი „კომუნისტი“ (1951, 29 სექტემბერი), რომელიც ქართველ შემოქმედთ დირექტიული ტონით შეაგონებდა, რომ სამშობლოს წარმტაცი ბუნებით ტკბობა და მისი გმირული წარსულით სიამაყე „არ არის ჯანსაღი განწყობილება“, რომ „საქართველოს ძალა და სიდიადე, მისი აყვავებისა და გაფურჩქვნის წყარო არის დიდი საბჭოთა კავშირი, რომლის განუყოფელ ნაწილსაც ის შეადგენს; არის ხალხთა სტალინური მეგობრობა, რომელმაც უძლეველი ძალა მისცა საბჭოთა კავშირის ყველა ერს“.

ასე დაიწყო დაუნდობელი ბრძოლა არარუსი ხალხების ეროვნული ღირსებისა და თვითგამოხატვის წინააღმდეგ, რომლის ერთადერთი მიზანი იყო „ატავისტური“ მამულის სიყვარულის ჩანაცვლება ჯანსაღი საბჭოთა პატრიოტიზმით. საქმე იქამდე მივიდა, რომ მშობლიური ბუნებისა და ისტორიის სიყვარული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის რეციდივად, ნაციონალურ ცრურწმენათა ნაშთად მოინათლა, რომელიც უნდა წაშლილიყო ადამიანთა ცნობიერებიდან.

ამ სიტუაციაში საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის უპირველეს ამოცანად იქცა მხილება ამ ე.წ. ნაციონალიზმის ნაშთებისა, რომელიც თურმე ეროვნულ სამოსელში ინიღბება. მხილების კამპანია საქართველოში გალაკტიონით დაიწყო. წერილში „ნაციონალურ ცრურწმენათა ნაშთების შესახებ“, რომლის ავტორი იყო კრიტიკოსი ს. ჭილაია, პოეტს ოციანი წლების შედეგრი – „ეფემერა“ შეახსენეს იმ საბაბით, თითქოს იქ იყო „რადაც მისტიკური ცნება „ქართული სისხლის“ შესახებ“. იგულისხმებოდა სტრიქონი: „წვეთი სისხლი არ არი ჩემში არაქართული“, რომელიც ავტორმა 1944 წელს თავადვე შეცვალა ახალი, ასე ვთქვათ, არამისტიკური რედაქციით: „არაფერი არ არი ჩემში არაქართული“. მიუხედავად ამისა, კრიტიკოსი მაინც შეუბრალებელი იყო: „ჩვენ ვერ შევურიგდებით საკუთარ ნაჭუჭში ამგვარ გამოკეტვას, როგორსაც გულისხმობს ფორმულა „არაფერი არ არი ჩემში არაქართული“. ეს ფორმულა უშუალოდ მომდინარეობს ბურჟუაზიული ნაციონალიზმიდან, რომლის არსია, – როგორც „პრავდა“ წერდა, – მისწრაფება განკერძოებისაკენ, ეროვნული შეზღუდულობის ნაჭუჭში ჩაკეტვისაკენ“.

ფხიზელმა თვალმა „ნაციონალისტურ და დეკადენტურ განწყობილებათა ნაშთები“ გალაკტიონ ტაბიძის 1950 წლის გამოცემულ თხზულებათა მეშვიდე ტომშიც შეამჩნია.

მაინც რას ამბობს გალაკტიონი ასეთ შეუწყნარებელს „ეფემერაში“? მხოლოდ იმას, რომ იგი სულით ხორცამდე ქართველი პოეტია! სწორედ ამას მიიჩნევდნენ იდეოლოგიურ ერესად: ქართველად ყოფნა, თუნდაც სიამაყე ეროვნული კუთვნილებით შეფასებული იყო, როგორც „საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტვა“, როგორც „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ნაშთი“, „მისწრაფება ეროვნული განკერძოებისაკენ“!

ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებელს – გალაკტიონ ტაბიძეს და სხვა ქართველ მწერლებსაც უნდა შეეგნოთ, რომ „ადგილობრივი პატრიოტიზმი“ – საკუთარი სამშობლოს სიყვარული ხელს უშლიდა საბჭოთა პატრიოტიზმის დიადი გრძნობის დამკვიდრებას, ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიის საბოლოო გამარჯვებას.

არსებობს რამდენიმე ავტოგრაფი ლექსისა „გემი ვით არ იცნობს“, ტექსტის აზრობრივი ფორმირების პროცესს რომ ასახავს. ხელნაწერთა გაცნობა საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ გალაკტიონის ეს ლექსი პოეტის პოლემიკური პასუხია იდეოლოგიურ ძალმომრეობაზე. ეს თავიდანვე გამოკვეთილად ჩანს. ტექსტის თავდაპირველ რედაქციაში, რომელსაც სათაურად ჰქონდა „ქართველ მეზღვარს“, ვკითხულობთ:

ქართველს, სულით ძლიერს, მთელი საქართველო
ყველგან და ყოველთვის სამშობლოდ ეყუდნის.

დავაკვირდეთ, როგორი პირდაპირობით არის გამოთქმული ამ სტრიქონებში ეროვნული თვალსაზრისი, დაპირისპირებული ოფიციალურ დირექტივებთან: ისტორიულ დრო-სივრცეში – „ყველგან და ყოველთვის“ სულით ძლიერი ქართველის სამშობლო იყო და არის მხოლოდ საქართველო და, მაშასადამე, არა რომელიმე დამპყრობლის (ვთქვათ, რუსეთის ბოლშევიკური იმპერიის) ტერიტორიათა კონგლომერატი. თითოეული სიტყვა, აკრძალვათა ფონზე, აქ თითქოს საგანგებოდ და გამომწვევად იყო შერჩეული: ქართველი, საქართველო, სამშობლო, განსაკუთრებით – ილიასეული „ეყუდნის“!

ამ სტრიქონების სააშკარაოზე გამოტანა, ცხადია, წარმოუდგენელი იყო. ასე გაჩნდა ავტოგრაფებში ახალი ვარიანტი – ძველის მეტონიმიური აზრობრივი ეკვივალენტი: „ქართველს“ ჩაენაცვლა „აფხაზი“, „საქართველოს“ – „აფხაზეთი“ („აფხაზს, სულით ძლიერს, მთელი აფხაზეთი/ყველგან და ყოველთვის სამშობლოდ ეკუთვნის“).

სანამ „ქართველის“ მონაცვლე სიტყვად „აფხაზს“ შეარჩევდა, პოეტმა მანამდე „მოხვეის“ გამოყენება სცადა („ვიცნობ მოხვეესაც“), თუმცა, – ალბათ, ილიას პერსონაჟთან ასოციაციის გამო, – მაშინვე უარყო იგი.

ერთ-ერთი ავტოგრაფის მიხედვით, ლექსის მეორე მონაკვეთი ჩაფიქრებული ყოფილა, როგორც შედარების სახეობრივი კომპონენტი. პოეტს ჯერ დაუწერია „ისე როგორც თევზი“, შემდეგ ეს სიტყვები გადაუხაზავს და მიუწერია: „თევზიც მანაც იცის“. ორსავე შემთხვევაში აქ გათამაშებულია ხატოვანი შესიტყვება „თევზი წყალში“ და თუმცა შედარება რეალიზებული აღარაა, სავარაუდო აზრობრივი შინაარსის აღდგენა სიძნელეს არ წარმოადგენს: ქართველისთვის საქართველო ისეთივე ბუნებრივი, თავისუფალი, კუთვნილი სასიცოცხლო სივრცე თუ გარემოა, როგორც თევზისთვის წყალი.

ამრიგად, საწყისი ვერსიის სახით ჩვენ წინაშეა ლექსი–შედარება, რომელიც პირდაპირ და შეუნიღბავად გადმოსცემს პოეტის ეროვნულ სულისკვეთებას, სრულიად შეუთავსებელს საბჭოურ იდეოლოგიურ პოზიციასთან.

ტექსტზე შემდგომი მუშაობა გვიჩვენებს, რომ გალაკტიონმა უარი თქვა აზრის პირდაპირ გამოთქმაზე და სიმბოლოთა შემოტანით („გემი“, „მეზღაური“, „ზღვა“) ჩანაფიქრის ვუალირება დაიწყო. ამის კვალობაზე ლექსის პირველი რედაქცია ასე ჩამოყალიბდა:

ქართველს, სულით ძლიერს, მთელი საქართველო
ყველგან და ყოველთვის სამშობლოდ ეყუდნის.

გემიც ვით არ იცნობს ზღვას ვრცელს და განიერს,
იგიც ხომ მეზღაურს სამშობლოდ ეკუთვნის.

საბოლოო ტექსტი, რომელიც პოეტმა გამოაქვეყნა და დასაწყისში დავიმოწმეთ, ფაქტობრივად, ლექსის მეორე რედაქციაა, რადგან ავტორმა მნიშვნელოვანი სტრუქტურული და სემანტიკური ცვლილებანი განახორციელა:

შეიცვალა კომპოზიციური წყობა – პირველმა და მეორე მონაკვეთებმა ადგილები გაცვალეს;

თავდაპირველი შედარების ფიგურას აზრობრივად ბუნდოვანი, თითქმის შეუმჩნეველი პარალელიზმი ჩაენაცვლა;

მთლიანად გადაკეთდა სემანტიკურად სახიფათო მონაკვეთიც – გაქრა ისეთი „ნაციონალისტური“ სიტყვები, როგორიცაა საქართველო, ქართველი, სამშობლო, მაგრამ გაჩნდა „სულით ძლიერი ქართველის“, ლელთ ღუნიას, შთამომავალი – თანამედროვე მოხვეე.

პოეტმა ყველაფერი თითქოს კონიუნქტურას მოარგო, მაგრამ, ასევე, თითქოს, საგანგებოდ შეიტანა და ჩატოვა ტექსტში დამაფიქრებელი ბუნდოვანებანიც, როგორც მინიშნება რაღაც უთქმელზე, სტრიქონებს შორის რომ უნდა ამოკითხულიყო.

ე.წ. ნაციონალიზმის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში ქართველ მწერლებს იმაშიც ადანაშაულებდნენ, რომ განყენებულად უმღერდნენ სამშობლოს, „გარკვეულად არ ამბობენ, რომელ სამშობლოზე აქვთ ლაპარაკი“. ამ შენიშვნას სახელმძღვანელო განმარტება თუ შეგონება ახლდა, რომ სამშობლო არის არა მარტო საქართველო, არამედ მთლიანად დიდი საბჭოთა კავშირი. მეტიც, საბჭოთა ადამიანისათვის სამშობლო ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით და ხალხის შრომითა და ბრძოლით აშენებული ახალი სოციალისტური ქვეყანაა.

ქართველ პოეტს, სახელმწიფო დაკვეთის გათვალისწინებით, გარკვეულად და კონკრეტულად უნდა ემღერა საბჭოთა სამშობლოსათვის, ედიდებინა შავ ზღვიდან ყინულეთამდე გადაჭიმული

„ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყანა“. საქართველოს ხსენება თითქმის იკრძალებოდა, თუ მას არ წარმოსახავდნენ დიადი მთელის განუყოფელ, თავისუფალ და ბედნიერ ნაწილად.

ამ კონტექსტში უნდა იქნას წაკითხული და გააზრებული, ჩემი აზრით, გალაკტიონის „გემი ვით არ იცნობს“, როგორც „ორხმოვანი და ორკილო“ (აკაკი) ლექსი.

თუ დავაკვირდებით, საანალიზო ტექსტში საუბარია ორ სამშობლოზე: ესაა „დიდი სამშობლო“, რომელიც „ზღვის“ სიმბოლოთია წარმოდგენილი და „მეზღვაურს სამშობლოდ ეკუთვნის“, ხოლო მეორე, „მცირე სამშობლო“ – საქართველოა, არდასახელებული, პერიფრაზს შეფარებული („ჩვენი იმერ-ამერი“). იგი, მოხვეის თავგამოდებული მტკიცებით, „ცხადია, თავის თავს ეყუდვინს“. ავტოგრაფში „ცხადია“-ს ნაცვლად იყო „მგონია“, რომელიც გადახაზულია.

ლექსის მიხედვით, ორ სამშობლოს შორის თითქოს ჰარმონიაა: „ჩვენი ამერ-იმერი“ (საქართველო) და „ვრცელი და განიერი ზღვაც“ (საბჭოეთი), მოხვეისათვის, როგორც საბჭოეთის მოქალაქისათვის, ორივე სამშობლოა, ამასთან, „ზღვით“ გარემოცული „ამერ-იმერი“ თავისუფლებას ინარჩუნებს – „თავის თავს ეყუდვინს“.

მაგრამ ყურადღება მივაქციოთ თითქმის შეუმჩნეველ ნიუანსებს: ზღვა მეზღვაურს „სამშობლოდ ეკუთვნის“ – „იგივე ეკუთვნის“, რაც იმას ნიშნავს, რომ მეზღვაურისთვის (მოხვეისთვის), რომელსაც საკუთარი სამშობლო აქვს, „ზღვა“ მხოლოდ მიკუთვნებული, სხვაგვარად, თავსმოხვეული სამშობლოა.

საყურადღებოა სიტყვებიც: „გემი ვით არ იცნობს ზღვას“... რას გულისხმობს გემის/მეზღვაურის მიერ ზღვის ცნობა? პოეტი ფრთხილად მიგვანიშნებს, რომ ის კარგად იცნობს საბჭოთა რეალობას, იცნობს მის იდეოლოგიას, რომელიც სდევნის ბუნებითი სამშობლოს სიყვარულს და ძალადობით ამკვიდრებს ე.წ. საბჭოთა პატრიოტიზმს. აი, ამ ფონზე და ამ კონტექსტში უნდა შეფასდეს ავტორისა და მოხვეის დიალოგი, საუბარი „ჩვენი ამერ-იმერის“ დამოუკიდებლობასა თუ თავისუფლებაზე. კონტრასტი რეალურ საბჭოურ სინამდვილესა და მოხვეის პასუხს შორის იმდენად მკვეთრია, რომ მოხვეის პასუხი მხოლოდ და მხოლოდ ირონიად შეიძლება იქნეს აღქმული. რამდენად სარწმუნოა, რომ გალაკტიონის მოხვეე ეროვნულობის ანუ ე.წ. ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ აგორებული კამპანიის პირობებში საქართველოს სუვერენიტეტსა და თავისუფლებაზე ირონიის გარეშე, სერიოზულად საუბრობდეს?!

„გემი ვით არ იცნობს“ დიდოსტატის მიერ შექმნილი, ირონიული პოეტური მინიატურაა, რომელიც მიზანმიმართულად არის გაბუნდოვანებული. გალაკტიონი ამჯერადაც ახერხებს შეუთავსებლის შეთავსებას – ირონიული კონტექსტის შექმნას და კონფორმისტულ დისკურსში შეფარული პროტესტის მუხტის შეტანას.

ობიექტურობისათვის, მოდით, ნურც იმას გამოვრიცხავთ, მოხვეის სიმბოლურ სახესა და პასუხში გალაკტიონი კონფორმისტული დისკურსის მიღმა, შესაძლოა, კვლავაც „სულით ძლიერი ქართველის“ იმ მენტალურ თვისებას გულისხმობდა, რაზეც ღიად და პირდაპირ იყო საუბარი პირველ რედაქციაში („ქართველს, სულით ძლიერს, მთელი საქართველო/ ყველგან და ყოველთვის სამშობლოდ ეკუთვნის“), თუმცა საეჭვოა, რომ მკითხველს ეს ღრმად შეფარული ქვეტექსტური აზრი ამოეცნო.

გალაკტიონის ლექსში, ჩემი აზრით, პოპულარული საბჭოთა სიმღერის – „Широка страна моя родная“ პაროდირებაც შეიმჩნევა. წლების მანძილზე ამ სიმღერით იწყებოდა საკავშირო რადიოს მაუწყებლობა და უზარმაზარ ქვეყანას აღვიძებდა:

Широка страна моя родная,
Много в ней лесов, полей и рек!
Я другой такой страны не знаю,
Где так вольно дышит человек.

От Москвы до самых до окраин,
С южных гор до северных морей
Человек проходит как хозяин
Необъятной Родины своей.

ყურადღება მიაქციეთ სიმღერის ტექსტში საბჭოთა სამშობლოს შემამკობელ ეპითეტებს – „Широка страна“, „Необъятной Родины“ და ნახავთ, როგორ ახდენს მათ კალკირებას გალაკტიონი, „ზღვის“ (საბჭოეთის), ასე ვთქვათ, პოეტურ დახასიათებას: „გემი ვით არ იცნობს / ზღვას ვრცელს და განიერს“.

უფრო არსებითი მაინც სატირამდე მისული ირონიაა სიმღერის გამჟღავნებული იდეისადმი, საბჭოური რიტორიკისადმი, რომელიც ქადაგებს, რომ არსადაა ისეთი სხვა ქვეყანა, სადაც ადამიანი

ასე თავისუფლად სუნთქავდეს, რომ საბჭოეთში ადამიანი თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონია. საკმარისია ავტორისა და მოხვედის დიალოგი ამ ფსევდონარატივთან მიმართებით აღვიქვათ, რომ ხელშესახებად ვიგრძნოთ პოეტის ირონიაც და საბჭოური პროპაგანდისტული ტექსტის პაროდირებაც.

სიცოცხლის ბოლო წლებში გალაკტიონი ბევრს ფიქრობდა „ქართლის ბედზე“, არ ასვენებდა სამშობლოს გაურკვეველი მომავალი:

საქართველო, საქართველო,
საით მიდის საქართველო?

ლელო ღუნიას პერიფრაზი სიკვდილის წინ ერთხელაც გახმიანდა გალაკტიონთან, მაგრამ არა კონფორმისტული დისკურსის სამოსელში, არამედ – როგორც ტრაგიკული, გაშიშვლებული სიმართლე:

ჩვენვე ჩვენი თავი
აღარ გვეყუდვინების.
სული გვეხუთების,
სული გვეხუთების.

უპაერობის ეს განცდა გაჰყვა მარადისობის გზაზე დიდ პოეტს, ვინც თავისი ნებით და დაუნანებლად დატოვა სოციალისტური სამოთხე, თავისი ერი კი, ილიასა და აკაკის სიმაღლიდან, ასე დალოცა:

ღმერთო, მფარველო, ერთხელ ძლიერი
კვლავ აღადგინე ქართველი ერი...
კვლავ განუახლე ერთობა, ძმობა,
მტრის წინააღმდეგ მიეც თანხმობა,
რომ კვლავ ისმოდეს იმერ-ამიერ:
მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ!

Teimuraz Doiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

THE SOVIET PARADIGM OF „THE FATE OF KARTLI“ AND GALAKTION TABIDZE RESUME

From the 30s of the previous century in the Georgian Soviet literature purposefully was established and strengthen an ideologically motivated false viewpoint that Galaktion Tabidze gladly embraced the Georgian sovietisation or the country's occupation and annexation by “Red Russia”. In reality, Galaktion like a true patriot till the end of his life stood next to those who protected his homeland's sovereignty.

At the end of poet's life, for Galaktion the content of the official soviet sovereignty became the subject for hidden irony and parody (untitled poem *How the Ship Does Not Know*). The unpublished lines, preserved in the poet's archive openly demonstrates the author's mood and emotions: “Ourselves do not belong to us anymore, / We suffocate, cannot breathe.

„ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ჰგონია...“
ბიბლიური პარადიგმა ოთარ ჭილაძის პოემაში „ადამიანი გაზეთის სვეტში“

„მადლობელი ვარ სიმარტოვისთვის,
სული იზრდება სიმარტოვეში.“
/ოთარ ჭილაძე/

„ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ჰგონია...
მაგრამ აქამდე ვერ უპოვია საბრალოს თავი
და გადის მისი მოკლე ცხოვრება
შურში, მტრობაში და სიძულვილში.“

ეს ნაწყვეტი არის ოთარ ჭილაძის გენიალური ნაწარმოებიდან „ადამიანი გაზეთის სვეტში“.

„სიყვარულიც თავისებური ომია, განსაკუთრებული სახეობაა ომისა და დაპირისპირებისა, ოღონდ, ნებისმიერი ომისა და დაპირისპირებისაგან განსხვავებით, იქ მხოლოდ ის იმარჯვებს, ვინც მარცხდება, ანუ, ვისაც დათმობის, გაგების, მიტევების უნარი მეტი აღმოაჩნდება. ამიტომაც არის ყველასთვის და ყოველთვის გაუგებარი. მაგრამ ამავე დროს მიმზიდველიცაა და ძლიერიც, სწორედ იმიტომ, სრულებითაც რომ არ ცდილობ, გასაგები გახდეს ვინმესთვის...“ - ეს სიტყვებიც ოთარ ჭილაძეს ეკუთვნის და ძალიან კარგად ხსნის ამერიკელი ჯარისკაცის კრუს ჰიმენესის ქმედებას ოთარ ჭილაძის პატარა პოემიდან „ადამიანი გაზეთის სვეტში“. როგორც ავტორი გვამცნობს ეპიგრაფში, პოემა დაწერილია საგაზეთო ინფორმაციაზე დაყრდნობით:

„პანამის არხის ზონაში მომხდარი სისხლისმღვრელი შეტაკების დროს დაღუპულ ამერიკელ ჯარისკაცთაგან ერთი თავისიანებმა მოკლეს. მან არ ინდომა მონაწილეობა მიეღო პანამელი პატრიოტების დასჯაში.“ - გაზეთებიდან. [ჭილაძე 2010: 168].

„ამერიკელი ჯარისკაცი კრუს ჰიმენესი სისხლის გუბეში აგდია პირქვე. ჯერ არ შემწყდარა ექო სროლისა და ირევიან ცაში ჩიტები, მავთულებიდან აფრენილები. ამერიკელი ჯარისკაცებიც და პანამელი პატრიოტებიც დაბნეულები არიან ოდნავ. მაგრამ ყველანი გრძნობენ გუმანით, რომ დიდი ამბის გახდნენ მოწმენი.“ როგორც ოთარ ჭილაძე ამბობდა, ეს ისეთი შემთხვევაა, როცა იმარჯვებს ის, ვინც მარცხდება, ამიტომ არიან დაბნეულები და ვერ გაუგიათ რა მოხდა. მთავარი გმირი, რომელსაც სიკვდილის შემდეგ „ალაპარაკებს“ ავტორი, ამბობს:

„მე მარცვალი ვარ, ღმერთის კალთიდან გადმოვარდნილი
და ღმერთმა იცის, რა მელოდება:
ჩიტის ჩიჩახვი თუ ქვის საწოლი,
ეკალ-ბარდები, თუ თბილი ხნული.
მე არ მეგონა, თუ ასე ძნელი იყო სიკვდილი.
სუსტი ყოფილა ადამიანი, რადგან არ იცის,
როგორ იმართლოს ან ვის წინაშე იმართლოს თავი.“

ოთარ ჭილაძის პოემის პერსონაჟი, კრუს ჰიმენესი საკუთარ თავს უფლის კალთიდან გადმოვარდნილ მარცვალს ადარებს. ნაწარმოებში გამოყენებული ეს ალუზია ბიბლიური პარადიგმაა და სახარების ერთ-ერთი იგავიდან, კერძოდ, მთესველის იგავიდან იღებს სათავეს.

აქვე მინდა განვმარტო, რომ იგავად მიიჩნევა სიმბოლური მნიშვნელობის ტექსტები, რომლებიც უმეტესად სასულიერო ლიტერატურაში გვხვდება, იგავი არის მარტივი ამბავი. არაკისაგან განსხვავებით, არ ცდილობს ცხოველების პერსონიფიკაციას და ძირითადად მოიცავს ადამიანებს. იგავისთვის უმთავრესია, გაავლოს პარალელი ადამიანის კონკრეტულ ქცევასთან და ზოგადად ადამიანების ქცევებთან. ამიტომ დავაკვირდეთ, რას უნდა ნიშნავდეს „უფლის კალთიდან გადმოვარდნილი მარცვალი“.

განვიხილოთ ეს სახარებისეული იგავი, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ „მთესველის იგავს“ უწოდებენ: (მათე 13, 1-23; მარკოზი 4, 1-15; ლუკა 8, 4-15)

ერთხელ იესო ქრისტე გალილეის ტბის ნაპირზე გაჩერდა. მასთან შეიკრიბა დიდძალი ხალხი. ის ნავში ავიდა და დაჯდა, ხალხი კი ნაპირზე იდგა. მან დაიწყო ხალხის სწავლება იგავით. იესო აქვე,

დამატებით, მოწაფეებს განუმარტავს: „იგავით იმიტომ ველაპარაკები მათ, რომ ისინი უყურებენ და ვერ ხედავენ, უსმენენ და არ ესმით და ვერ ხვდებიან“. ბოლოს, ის ასახელებს იგავების მთავარ მიზანს:

„რადგან დაეხშო ამ ხალხს გული, ყურით მიიმედა ესმით და დახუჭეს თვალები, რომ თვალით არ დაინახონ და ყურით არ მოისმინონ. გულით არ გაიგონონ და არ მოიქცნენ, რათა განვკურნო ისინი“, ხოლო იგავის შინაარსის ახსნა-განმარტებაში გამოიყენება ალეგორიული ანუ გადატანითი ხერხი. [დილავერდოვა, 2017: 39] გავეცნოთ თვით იგავს:

„ესერა გამოვიდა მთესველი თესვად.

და თესვასა მას მისსა დავარდა გზასა ზედა; და მოვიდეს მფრინველნი ცისანი და შეჭამეს იგი.

და სხუა დავარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა იყო მიწაი ფრიად; და მეყსეულად აღმოცენდა, და რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისაი. მზე რაი აღმოხდა, დასცხა და რამეთუ ძირნი არა დაეზნეს, განხმა.

და სხუა დავარდა ეკალთა შორის, და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი.

და რომელიმე დავარდა ქუეყანასა კეტილსა და მისცემდა ნაყოფსა: რომელიმე ასსა, რომელიმე სამეოცსა და რომელიმე ოცდაათსა.

როცა იესომ იგავი დაამთავრა, თქვა: „რომელსა ასხენ ყურნი სმენად ისმინეთ“. [მათ 13, 1-9]

ვნახოთ როგორ განმარტავს ამ იგავს ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი წიგნში „მათეს სახარების განმარტებანი“:

„ამ იგავში ქრისტე მთესველს თავის თავს უწოდებს, თესლი არის ღმრთის სიტყვა, მთესველი არის ისიც, ვინც ქადაგებს ღმრთის სიტყვას. თესლი, რომელიც დავარდა გზაზე ნიშნავს იმ ადამიანებს, რომელთაც გულში ჩათესათ სიტყვა, მაგრამ უყურადღებოდ ისმენდნენ. სიტყვებით „გზასა ზედა“ არიან ზარმაცი და დაუდევარი ადამიანები, რომლებიც სიტყვას საერთოდ არ იღებენ. იმიტომ, რომ მათი აზროვნება გატკეპნილია მაგარი გზასავით და სრულიად მოუხვნიელია, ამიტომაც მათ სიტყვის თესლს ცის ფრინველები სტაცებენ - მათთან მივიდა ეშმაკი და მოსტაცა მათ გულში ჩათესილი სიტყვა. კლდოვან ნიადაგად ისინი უნდა ვიგულისხმოთ, რომლებიც სიტყვას ყურს უგდებენ, მაგრამ მათი უძლურების განსაცდელსა და მწუხარებას არ ებრძვიან, ამიტომ სულის ცხოვნებას ამქვეყნიურ კეთილდღეობაში ჰყიდნიან და იღუპებიან. სიტყვებით „მზე რაი აღმოხდა“ განსაცდელები უნდა ვიგულისხმოთ. გარდა ამისა, მზის მსგავსად, რომელიც დაფარულ ადგილებს ანათებს, განსაცდელები ადამიანებს წარმოაჩენენ და აჩვენებენ, თუ როგორები არიან ისინი.

თესლი, რომელიც დავარდა ეკალთა შორის ნიშნავს მათ, რომელნიც ისმენენ ღვთის სიტყვას, მაგრამ სიმდიდრესა და ქვეყნიურ ცხოვრებაზე ზრუნვა აბრკოლებს მათ და ვერ მოაქვთ კეთილი ნაყოფი.

თესლი, რომელიც დავარდა ნაყოფიერ ადგილზე ნიშნავს მათ, რომლებიც ისმენენ ღმრთის სიტყვას, იმარხავენ კეთილსა და წმინდა გულში და გამოაქვთ ნაყოფი მოთმინებით. უფალი საუბრობს კეთილი მიწის შესახებ, რადგან ყველას შეუძლია, რომ კეთილ ნიადაგად იქცეს, კლდოვანი ნიადაგიც რომ იყოს, ან გზასავით იწვეს და დემონები სთრგუნავდნენ, ან კიდევ ეკლიანი მიწაც რომ იყოს. უფალი გვასწავლის, რომ სინანულის სასოება მოგვცეს, რის შედეგადაც გამოდის ნაყოფი კეთილი. ერთმა ასი ნაყოფი გამოიღო, მაგალითად, მან, ვინც სრულიად უპოვარია და მკაცრად მოღვაწე ცხოვრებას ეწევა. მეორემ - სამოცი, ეს უნდა იყოს მონასტერში მცხოვრები მონაზონი არიან, რომელიც საყოფაცხოვრებო საქმეებითაცაა დაკავებული, მესამეს ოცდაათი გამოაქვს, ეს ის ადამიანია, რომელმაც პატიოსანი ქორწინება აირჩია და სათნოებაში მთელი გულმოდგინებით განიწვრთება. თუ დავუკვირდებით, ღვთის მაღლი ყველას იწყნარებს, ვინც ნაყოფს ბევრს, ცოტას თუ შემდეგისგვარად იძლევა.

ხოლო სიტყვები: „რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმენინ“ ნიშნავს, რომ ვისაც სულიერი ყური აქვს, ეს სულიერად უნდა გულისხმავს. [ბულგარელი, 2012:177-179]

„სახარებისეული ეთიკა ადამიანისგან ითხოვს იმას, რაც ჯერ არავის მოუთხოვია - ცხოვრებას სასწაულის კანონით“- წერს ავერინცევი [ავერინცევი, 1977:170] ეს ნაწარმოები თითქოს ამ სიტყვების დასტურია, რადგან კრუს ხიმენესი არის ის მარცვალი, რომელშიც ღვთის სიტყვამ ფესვები გაიდგა და კეთილი ნაყოფი გამოიღო. ადამიანი, რომელსაც აღმოაჩნდა „სულიერი ყური“, რადგან ის ერთადერთი მიხვდა, რომ ამერიკელი ჯარისკაცები უსამართლოდ ებრძოდნენ პანამელ პატრიოტებს და ამიტომაც დაუპირისპირდა მათ:

„ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია,

ხოლო სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს.

არა სხეულის, არამედ სულის საჭურისობას ნიშნავს მონობა

და ვინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც.

ბედნიერია ყოველი თვალი, თუკი სიმართლეს უყურებს იგი...“

ავტორი მონას უწოდებს მეომრებს, რომლებიც ბრმად ასრულებენ ბრძანებას, ხოლო ხიმენესს ღვთის შვილად თვლის:

„ჩემი სიკვდილის ერთადერთ მიზეზს სიცოცხლე ჰქვია...“

სამარადისოდ მოვწყდი ქვეყანას,
რადგან სამხედრო წესდების მუხლებს
მთლად ვერ დავმთხვავებ ჩემი სურვილი...”

„ადამიანის ღირსება იზომება არა წარმატებით, არამედ იმით, რასაც გასცემს, - ანუ რამდენად დაეხმარება და გაუადვილებს ცხოვრებას მეორე ადამიანს, ამიტომ, ეცადეთ პირველ რიგში შეინარჩუნოთ ღირსება, რადგან ვერავითარი მიზანი ვერ გაამართლებს მისთვის ჩადენილ სულმდაბალ საქციელს..“
ალბერტ აინშტაინის ეს სიტყვებიც ცხადყოფს, რომ პოემის მთავარი გმირი პროგრესულად მოაზროვნეა.

„ფიქრის უფლება ყოფილა თურმე ყველაზე ძვირი,
რადგან ცხოვრების ავან-ჩავანი ფიქრში ირკვევა...
ჯერ არ არსებობს ტვინის რენტგენი და ვერ გაიგებ,
რას ფიქრობს კაცი, მაგრამ გჯეროდეთ,
რომ ვერასოდეს ვერ შეათავსებს ბოროტს და კეთილს...”

ავტორს სწამს, რომ ადამიანს, რომელიც ასრულებს ღვთის მცნებებს, შეუძლია ფიქრი, რაც ადამიანობის უმაღლესი გამოხატულებაა, ეს ძალიან ძვირი - სიკვდილის ფასი დაუჯდა, თუმცა „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველია“, რადგან მას სიკვდილის შემდეგ ალაპარაკებს ავტორი:

„არ შეიძლება, რომ მტრები იყვნენ უიარაღო დემონსტრანტები.
არ შეიძლება, რომ უსასრულოდ მხოლოდ ძლიერი იყოს მართალი.
მაგრამ თუ სხვებიც არ მიეხმარნენ, როგორ დაიცავს სიმართლეს სუსტი.
მე კი ჩუმად ვარ, როგორც მარცვალ ღმერთის კალთიდან
გადმოვარდნილი.

და ღმერთმა იცის, რა მელოდება: ჩიტის ჩიჩახვი თუ ქვის საწოლი,
ეკალ-ბარდები თუ თბილი ხნული...”

პატრიარქი ილია მეორე ბრძანებს: „ადამიანთა ცხოვრება რთულია, მასში მუდმივად მიმდინარეობს ფერისცვალება, ერთ ადგილზე არავინ დგას, ყველა იცვლება ჯოჯოხეთიდან ცამდე, ღვთის სასუფეველამდე აღმართული სულიერი კიბე, რომელზეც მუდამ მოძრაობენ ადამიანები, ზოგი მაღლა ადის, ზოგი დაბლა ეშვება.“

„ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ჰგონია,
მაგრამ აქამდე ვერ უპოვია საბრალოს თავი.
და გადის მისი მოკლე ცხოვრება
შურში, მტრობაში და სიძულვილში...” [ჭილაძე, 2010:170]

ავტორის სურვილია ადამიანმა შეძლოს და დააფასოს უდიდესი მონაპოვარი - თავისუფლება:

„არ დაამციროს ყველა ნაყოფზე ტკბილი ნაყოფი: თავისუფლება!“

თუ ამ ყველაფერს შეძლებს, მაშინ იქნება ის კეთილი თესლის ნაყოფი, უფლის სულიერ კიბეზე აღმა მსვლელი, „მეთერთმეტე ჟამის მუშაკი“ და უფლისგან ბოძებული „ტალანტის გამამრავლებელი“. რა თქმა უნდა, სიცოცხლე რთული დასათმობია, რთულია შეწირო თავი სხვას, თუმცა ეს არის ის რაღაც დიადი, რამაც დააბნია პოემის დასაწყისში ამერიკელი და პანამელი მეომრები...

პოემის დასასრულს, ისევ ცისკენ აქვს მზერა მიპყრობილი ავტორს, ისევ იქედან ელოდება ხსნას. როგორც პოემის დასაწყისში, ბიბლიური იგავის ალუზიის გამოყენებით ოთარ ჭილაძე ადამიანის ღრმა სულიერ შრეებში აღწევს, ახსენებს მათ თავიანთ ადამიანურ ბუნებას, მათი ამქვეყნად მოვლენის დანიშნულებას. აჩვენებს, რომ მიუხედავად სიკვდილისა, მორალურად და სულიერად კრუს ხიმენესია გამარჯვებული. ავტორს იმედი აქვს კეთილი თესლი კვლავ გაღვივდება, თბილ ხნულში მოხვდება და კეთილ ნაყოფს გამოიღებს...:

„ცა ხომ ვრცელია, მაგრამ ამ ცაშიც ეჯახებიან ღრუბლებს ღრუბლები.

ამ შეჯახებას მოსდევს ქუხილი, ქუხილს კი ცეცხლი,
რომ ცეცხლის შუქით გზა გაინათონ წვიმებმა ბნელში.
ხოლო წვიმები კლდესაც რეცხავენ და კაცის გულსაც.

და როგორც ბროლის მაღალ ტაძარში, მთელი ქვეყანა შედის წვიმაში.“

წვიმა განმწმენდელია, წმენდს ადამიანთა გულებს, და ბროლის მაღალ ტაძარში შესვლა კათარზისის მომასწავებელი უნდა იყოს. ქართული ლიტერატურა ხომ ქრისტიანული კულტურის ზედნაშენია და მასაც ერთი უმთავრესი მიზანი აქვს - თითოეულ ჩვენგანს დაეხმაროს გოდერძი ჩოხელისა არ იყოს, „ია-ვარდითამც გალიოს სულეთის ქვეყნისაკენ მიმავალი ამ წუთისოფლის შარაგზა...“ ოთარ ჭილაძეს სურს ყველა შევიდეს უფლის სახლში, მთელი ქვეყანა. აღსანიშნავია, რომ პოემა დაწერილია 1963 წელს, როცა ჯერ კიდევ უძრაობის ხანა იყო. თენგიზ ბერუღავა მიიჩნევს, რომ ოთარ ჭილაძის ნაწარმოებებში „დრო თავისი სამივე განზომილებით შემოდის და მოქმედებს - წარსული, აწმყო და მომავალი. იგი მთელია და განუყოფელი. ასეთნაირად არის გააზრებული ადამიანისა თუ მთლიანად

ერის ბედი. მისი პროზისა და პოეზიის სამყაროში მთავარი მაინც სიმბოლურ-მეტაფორულ მხატვრულ ქსოვილში შეფარული ეპოქის სულია, რომელიც მედიატორის როლს ასრულებს ადამიანის თავისუფლებისაკენ მისწრაფებასა და მის დამთრგუნველ ბოროტ ძალას შორის მუდმივ ბრძოლაში,“ რასაც სრულიად ვეთანხმები. ოთარ ჭილაძე თავის რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ ამბობს: „ყველა ადამიანი თავის ჯვარს ზიდავს და მხოლოდ მისთვის განკუთვნილ გოლგოთაზე ადის ბოლოს, რათა იქ სამუდამოდ გაქრეს ანდა მეორე სიცოცხლე დაიწყოს, პირველით დამსახურებული.“

„ვინ რა იცის, მართლა რითი მთავრდება სიკვდილი?! ვინ რა იცის, რა არის კაცის სიცოცხლე?! არაფერი, წამი, წუთი, შემოჰკრა ქარმა და სწრაფ გააქრო, მაგრამ, თუკი, როგორმე წარსულში შებრუნდი, შესძელი, მერე კი წარსულიც გადალახე, მარადისობაში აღმოჩნდები თურმე და აღარასოდეს მოკვდები. განა სულ ამას არ ნატრობს ჩუმის ნატვრითა ადამიანი?!“ - ეს სიტყვებიც ოთარ ჭილაძეს ეკუთვნის. კრუს ზიმენსი მარადისობის მკვიდრი გახდა თავისი სისხლის დათხევით. მტერი შეიყვარა, თავი გასწირა მისთვის. სიყვარულის ჭეშმარიტი მაგალითი აჩვენა თანამოძმეებსაც და პანამელებსაც. ის გადადნა, გარდაიცვალა და ფერი იცვალა მხოლოდ. სიკვდილით კი ისინი იხოცებიან, ვისაც არ სჯერა, რომ „დედამიწას სიყვარული ატრიალებს“ (გ. დოჩანაშვილი).

ოთარ ჭილაძე 1999 წელს წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე.

ლიტერატურა:

1. დილავერდოვა თ., „იგავ-არაკები კულტურათმორის დისკურსში და მათი ლინგვოკულტურული თავისებურებები“; სადოქტორო დისერტაცია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017.
2. დათაშვილი ლ. „ოლამი ქართულ ლიტერატურაში“, თბ. 2015.
3. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი „მათეს სახარების განმარტება“, თბ. 2012.
4. სიგუა ს., ოთარ ჭილაძის პოემები - „XX საუკუნის ქართული ლიტერატურა“, ტ. V, თბ. 2009.
5. ქურდაძე შ., „იგავის სწავლების დიდაქტიკურ-მხატვრულ-ესთეტიკური მახასიათებლების გაგებისათვის“, თბ. 2011.
6. ჭილაძე ო, ლექსები, პოემები, გამომც. „პეგასი“, თბ. 2010.

Tamar Vepkhvadze

Sokhumi State University

OTAR CHILADZE “A MAN IN THE NEWSPAPER COLUMN” RESUME

“Love is a kind of war, a special kind of war and confrontation with the only difference from any war and confrontation – the winner of it is he who loses, he who possesses more capacity of tolerance, understanding and forgiveness. That is why it is always incomprehensible for everyone. Though, at the same time, it is fascinating and mighty in power just for the reason that it never tries to become comprehensible for anyone...” – these words belong to Otar Chiladze and they clearly explain the behaviour of an American soldier Kruse Siemens – the hero of his work “A Man in the Newspaper Column”. As the author states in the epigraph, the verse is written on a newspaper information: “One of American soldiers, fallen in the bloody attack in Panama Canal zone, was killed by his combatants as he had refused to participate in punishing the Panama patriots”. – From the newspapers.

Kruse Siemens compares himself with a seed fallen from the lap of Lord. The allusion, used in the work is a Biblical paradigm from one of the Parable of Bible, namely – from the Parable of a Sower. This work just considers how the author managed to link the Parable of a Sower to the behaviour of his hero and to use it for explaining the essence of his behaviour which is so incomprehensible for the other soldiers who shoot the innocent, unarmed demonstrators.

“Slavery means impotence not of the body but that of the soul

And he, who takes somebody’s freedom, becomes a slave.” –

says Kruse Siemens. The author wants any human to try and appreciate the greatest virtue – Freedom: “Not to diminish the sweetest of all fruits – Freedom!”

I think this “white verse” of Otar Ciladze - “A Man in the Newspaper Column” must mean the spiritual catharsis to a reader who cannot remain indifferent to it. It is clear: the author wants everyone, the whole world, to enter the House of Lord and he catharsis to take place in this way too.

„თბილისის ომი“ XX საუკუნის 90-იანი წლების ბელეტრისტიკის მაგალითზე

XX საუკუნის მიწურულს ქართული საზოგადოება აღმოჩნდა დაპირისპირების წინაშე, რომელიც ძირითადად თბილისის ქუჩებსა და სამეგრელოში მძვინვარებდა და ეს მოვლენა არ დარჩენილა ქართული მწერლობის ყურადღების მიღმა. წერდა კონფლიქტის ორივე მხარე და ნეიტრალური პირებიც, წერდნენ იმას და ისე, როგორც ხედავდნენ და სურდათ, რომ ყოფილიყო. ქართული ბელეტრისტიკა უფრო ადრე გამოეხმაურა და შეაფასა თბილისში დატრიალებული მოვლენები, ვიდრე ამას ისტორიკოსები გააკეთებდნენ.

ხელისუფლების დამხობის ორგანიზატორებმა და მხარდამჭერებმა თბილისის მოვლენებს უწოდეს „დემოკრატიული“, „სახალხო რევოლუცია“, რომელმაც დაამხო ზ. გამსახურდიას „ფაშისტური დიქტატურა“, „ტოტალიტარული რეჟიმი“ [1].

მეორე შეფასება ზვიად გამსახურდიას, მის ხელისუფლებას და მხარდამჭერებს ეკუთვნით: ეს იყო სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება, პუტჩი, რომელმაც დაამხო კანონიერი ეროვნული ხელისუფლება. იგი მოაწყვეს ერის მოღალატეებმა, კრემლის აგენტებმა, სამხედრო ხუნტამ და მათმა მომხრე კოლაბორაციონისტმა ქართველებმა.

შემდგომში, „მოვლენების დამკვლევების“ პროცესთან ერთად, გაჩნდა სხვა შეფასებებიც. მათი ავტორები ცდილობდნენ შუალედური, კომპრომისული თეზისები გამოემუშავებინათ. მაგალითად, რომ ეს იყო სამხედრო გადატრიალების ფორმით განხორციელებული რევოლუცია, ან რომ ეს იყო პატრიოტული ძალების ურთიერთშეჯახება, რომელიც უცხო ქვეყნის სამსახურებმა მოაწყვეს და ა.შ. ამ და სხვა ინტერპრეტაციების ფონზე, თანდათან გამოიკვეთა ერთი საერთო თეზისი: რომ ეს იყო სამხედრო გადატრიალება და არსებული ხელისუფლების ძალდატანებითი დამხობა.

ყველა ზემოთ ხსენებული შრომა გამოქვეყნდა 2000 წლის შემდეგ. ხოლო ლიტერატურა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ბევრად უფრო ადრე, ტერორის წლებში აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე და გაბედა დაეწერა იმაზე, რაზეც ისტორიკოსები მაშინ დუმდნენ. ეს გაბედულება კი ძირითადად ერთი ავტორის მხრებზე გადავიდა.

ვის მხრებზე გადავიდა და ძირითადად ოთარ ჩხეიძემ იტვირთა ეს ამბავი, შეიქმნა „არტისტული გადატრიალება“.

ავტორი ეჭვითა და სინანულით ახასიათებს გასული საუკუნის 90-იან წლებში შექმნილ მდგომარეობას „ქვეყანა რო დიდი თეატრია და თეატრი რო აღარ არის თეატრი.... გაცვივდნენ არტისტები ქუჩებშია: სახელმოხვეჭილნიცა, მოუხვეჭელნიცა. თეატრი გავარდა ქუჩებშია, მოედნებზედა. იქიდან მოვიდა, იქავე დაბინავდა“ [2; 34]. 80-90-იანი წლების საზოგადოებაში იმიტაცია და სიცრუე ნელ-ნელა ფრთებს შლიდა და ყველა თავისი, ძირითადი და მთავარი როლის მიებაში გაერთო. ყველას ის აწუხებდა, როგორმე კისერი მოეტება მთავარი როლის შემსრულებელს, რომ იქნებ მაშინ მაინც ეთამაშა თავისი როლი, სხვისი კისრის მოტეხვის მერე, თორე ისე რა შეეძლოთ. „დიომედეს სანატრელი ჰო ერთი რამე ჰქონდა მთელი ცხოვრების განმავლობაში: ნეტავი აკაკი ავად გახდესო, ნეტავი კისერი მოიტეხოსო, ანთუ რაღაცა დაემართოს ისეთი, პირველი მოქმედების მერე მე შევიდე, სპექტაკლი არ ჩაიშალოსო“ [2; 125]. სწორედ დიომედეს კრებითი სახე და სურათი ჩასაფრებული საზოგადოებისა, რომელიც თავის როლს ელოდება და თუ რეჟისორმა არ ინება მისთვის როლი, მზად არის, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანოს. უროლოდ დარჩენილი საზოგადოება, არტისტული, ცრუ და იმიტირებული გრძნობებისა და ემოციების გამო დაქცეული ქვეყანაა აღწერილი ოთარ ჩხეიძის დოკუმენტურ რომანში „არტისტული გადატრიალება“.

დღევანდელი მოხსენება ძირითადად 90-იანი წლების საქართველოს რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდს ეხება, სადაც ძნელია ერთი ხელის მოსმით და გადაჭრით დაარქვა საგნებს სახელი, არა იმიტომ, რომ შავი და თეთრი ძნელი გასარჩევია, ისევ ოთარ ჩხეიძეს რომ დავესესხოთ „რა რად გინდოდა თუ ვეღარ გაიგებ - ან რისთვის იბრძოდი ან რისთვის იღწვოდი, ანთუ გადარჩი რისთვის გადარჩი!“ [3; 1].

თბილისის ომის ბოლო დღეები, თუ დასასრული, სამწუხაროდ, უბედურების დასასრული კი არა, დასაწყისი აღმოჩნდა: „ეგრეც გადაუვლის თბილისსა თავზე, დანგრეულ თბილისსა, გაპარტახებულ თბილისსა, ცოდვილ თბილისსა, რო არც იცის რა შესცოდა. ფრთას ფრთას შემოჰკრავს მთვარანგელოზი გაბრიელი, აფრინდება „მცინვარიდანა. ერთწამს თითქოს რო ერთადაც მიფრინავენ, მერე გაჰქრება

მთვარანგელოზი. მფრინავი იტყვის: „თითქოს რო მწვერვალი მოსწყდა მყინვარსა, მეგონა თერგში ჩაიფუშებოდა. არა. შეიკუმშა. ფრთები გამოისხა გაჰქრა უეცრად“ [2; 367].

რომანში იმთავითვე მოცემული მხატვრული თხზვის მიმეტური პრინციპიდან გამომდინარე, „რეალისტი“ პერსონაჟები ზუსტად იმეორებენ ემპირიული ადამიანის როგორც გარეგნულ, ისე ფსიქოლოგიურ ნიშან-თვისებებს. შესაბამისად, რომანში ავტორი დეტალურად აღწერს ამა თუ იმ პერსონაჟის (მნიშვნელობა არა აქვს მთავარია ეს პერსონაჟი, თუ მეორეხარისხოვანი) გარეგნულ პორტრეტს, ტემპერამენტს, კონკრეტულ ეპიზოდში მოცემულ პერსონაჟის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

ზვიად გამსახურდია და „არტისტული გადატრიალების“ თითქმის ყველა პერსონაჟი ისტორიული პირია, ავტორი სულაც არ ცდილობს მათ შელამაზებას. ყველას თავის სახელი უწოდა და ადგილი მიუჩინა. ოთარ ჩხეიძემ დოკუმენტური სიზუსტით აღწერა, ვინ რა როლი შეასრულა ქვეყნის დაღუპვასა და გადარჩენის მცდელობაში. რომანი შეიქმნა 1993 წ. მაშინ, როცა ქვეყანაში განუკითხაობა ბატონობდა, რეპრესიები და დევნა 30-იანი წლებს მოგაგონებდა და, რაც მთავარია, ეს განუკითხაობა ხდებოდა ძალის მკვეთრი დემონსტრირებისა და ინტელიგენციის მიერ ამ ყველაფრის, უკეთეს შემთხვევაში, სიჩუმის, უფრო ხშირად კი წახალისებისა და ძალადობის აქტიური წაქეზებით. სურათის აღსადგენად გავისხენოთ ერთი ფაქტი, რომელიც იგორ კვესელავს აქვს აღწერილი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკები: “ნოდარ ლომოური თბილისის ომის დღეებისადმი თავის დამოკიდებულებას ასე გამოხატავს - „ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი იბრძოდა, მათ შორის მეც ვისროდი“ [4; 359]. ოთარ ჩხეიძე სწორედ ასეთ პირობებში ქმნიდა „არტისტულ გადატრიალებას“, ეს ხალხი ხომ „დამსახურებების“ გამო უმთავრესად მაღალ თანამდებობაზე იმყოფებოდა და ხელეწიფებოდა, საფრთხე შეექმნათ ავტორისა და მისი ოჯახისათვის. ესაა რომანი, რომელიც აშიშვლებს საუკუნის მიწურულის საზოგადოების, და, განსაკუთრებით, მისი ინტელიგენციად წოდებული ნაწილის ნამდვილ სახეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „არტისტულ გადატრიალებაში“ დოკუმენტური სიზუსტითაა აღდგენილი და აღწერილი ჩვენი ყოფის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და სამარცხვინო ფურცელი.. ავტორი არ ერიდება და არ უფრთხის, საგნებს, მოვლენებს, ისტორიულ პირებს უწოდოს თავის სახელი.

ძირითადი მოქმედება თანამედროვე თბილისში მიმდინარეობს და პერსონაჟებიც ჩვენი თანამედროვეები არიან, ასე ნაცნობნი და ასეთ უჩვეულო როლში, იმ როლში, მთელი ცხოვრება რომ ელოდნენ და ამით აღტაცებულები ზღვარს რომ ვეღარ იგებდნენ და ამ თამაშში, ხორავასი არ იყოს, შეიძლება სცენაზე დაეხრჩოთ პარტნიორი. მთელი ცხოვრება რომ არტისტობდნენ, მაგრამ „არტისტები ჩამოეცილებინა პრეზიდენტსა. სახელი გაეტეხათ ამის თვალშია: კომუნისტების ამაღლაში იდგნენო“ [2; 84]. როლები ჩამოართვეს და „გადაიკიდა. რა ბუზღუნო. სისხლს დავლევით“ [2; 76]. ამაზე იყო, რომ დარდობდა ალბათ ნოდარ ლომოური - მიჭირდა კაცის მოკვლაო, და შევარდნამეც ამ სისხლის გამო იხდიდა აეროპორტში მადლობას. მაგრამ ამის გახშიანება 1993 წელს? ამას მარტო სითამამე და სიმართლის სიყვარული არ ჰქვია, ეს უფრო მოვალეობის გამძაფრებული შეგრძნებაა სამშობლოს წინაშე და იქნებ სინდისის ქენჯნაც, ხელი როგორ ვერ შევუშალო ქვეყნის დაქცევასო.

საინტერესოა, კონკრეტულად ვინ იყვნენ ისინი, ვისაც შურდათ, ვინც ებრძოდა არა უბრალოდ ქვეყნის პრეზიდენტს, არამედ კონკრეტულ პირს - ზვიად გამსახურდიას, რატომ ებრძოდნენ? ოთარ ჩხეიძე აქაც სათითაოდ გამოკვეთს ყველა პერსონაჟს. ყველას თავისი მიზეზი აქვს, საკუთარი, პირადი, მაგრამ ავტორი პოულობს იმ საერთო წერტილს, ამ ჭრელ მასას რომ აერთიანებს.

განვიხილოთ (თითოეული ცალ-ცალკე) თუ ვინ იდგა ზღვარზე და ვის ჰქონდა ზღვის იმედი „ავი ზნე რომ დაჰყოლია ზღვასა... შეიყოლიებს მოცურავეთა, შეიყოლიებს და გადაჰყლაპავს. ფაფუ!“ [2; 237].

ვნახოთ, რას წერს ავტორი, ვინ შეიტყუა ზღვამ? – „რამკიანი ქურდი“, შემდეგ ტრიუმფირატის ერთ-ერთი წევრი, მთელ მსოფლიოს იმას რომ უმტკიცებდა, „ჩემ დროს ქურდობა პროტესტი იყო“ [2; 49]. მისი პროტესტის მიზეზი კი „რამკიანი ქურდების“ გავლენის დაკარგვა გამხდარა. და ებრძოდა. მარტო არ იყო ამ ბრძოლაში, თანამოაზრეები და თანამებრძოლებიც ჰყავდა, მათ შორის, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს „მოპოვებო ჯანი“, „მე არ ვიცხოვრებ გამსახურდიას საქართველოში“ [2; 77], რომ აცხადებდა, „მე მაქვს იმის უფლება, რომ არ მომწონდეს გამსახურდიას საქართველო, ისევე, როგორც მას აქვს უფლება, არ მოსწონდეს მე რომ მიყვარს, ის საქართველო“ [2; 51] – ირწმუნებოდა ჯანი. „იმას გამსახურდია ვერ აუტანია, საბჭოთა რეჟიმი რო ბედნიერად აიტანა“ [2; 130] - აზუსტებს კიდევ ერთი პერსონაჟი დიომედე. ჯანიც აბორგენულმა ზღვამ შეიტყუა. გაბრაზების მიზეზი კი ჰქონდათ პოეტებს, „წოდება დაჰკარგეს, - სოციალისტური შრომის გმირობა დაჰკარგეს პოეტებმა საქართველოში“ [2; 177]. სხვა პოეტებიც იბრძოდნენ, ერთ-ერთი „პოეტი არტისტი, ანუ პირიქითაა: არტისტი-პოეტი, ბ-ნი რუსლანი“ [2; 202]. თუმცა ეს პერსონაჟი მომდევნო რომანში „თეთრი დათვი“ რადიკალურად განსხვავებულ პოზიციაზე ჩანს: შეწუხებულიყო მსახიობ-პოეტი მიქაბერიძეც: „თავისუფლება რაში

გავცვალებთ, რა დაგვემართა, რა მოგვივიდა?!“ შეწუხებულიყო, ცოტა ხნის წინ რო მიუძღოდა დემონსტრაციებსა რუსთაველზედა და მალიკო მრევლიშვილთან დაყენებული ხმითა გუგუნებდა: ძირს დიქტატორიო. ძირს ზვიადიშვილი. შეწუხებულიყო. შეწუხებულიყო“ [5; 180].

კიდევ ერთი პერსონაჟი, რომლისთვისაც ფერებს არ იშურებს ავტორი - ხელმოცარული მხატვარი თუ მოქანდაკე თენგიზ კიტოვანი, ტრიუმფირატის კიდევ ერთი წევრი, რომელიც - „ილიმება, კმაყოფილია - ილიმება, უხარია - ილიმება, აღშფოთებულია - ილიმება“ [2; 106]. ამის იმედი ჰქონდათ, ეს იყო გამაგრებული ზღვაზე.

ოთარ ჩხეიძე ორი მოქანდაკის შეხვედრას აღწერს და ჩნდება კიდევ ერთი პერსონაჟი, ეპიზოდური, მაგრამ საკვანძო - ზურაბ წერეთელი. ეს შეხვედრა საბედისწერო აღმოჩნდა, სწორედ აქ მოხდა გარიგება რუს გენერალთან და შემდეგ მისი ნაწყალობევი იარაღით იყო, ერთმანეთი რომ ვხოცეთ. დიმიტრი შველიძე ზურაბ წერეთლის აგარაკზე გამართული შეხვედრების შესახებ 2008 წელს გამოცემულ კრებულში, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში“, ამტკიცებს: „შეთქმულების პირველი მომამზადებელი პერიოდი ჯერ კიდევ 1991 წ. ივნისში დაიწყო. შეთქმულები, სწორედ ამ პერიოდიდან იკრიბებოდნენ ზურაბ წერეთლის წყნეთის აგარაკზე... ივნისში წერეთლის აგარაკზე იკრიბებოდნენ გ. ხოშტარია, თ. კიტოვანი და ელიტის სხვა წარმომადგენლები, რომელთა საუბრებიდანაც იკვეთებოდა აზრი, რომ ქვეყანაში უნდა დამხობილიყო არსებული ხელისუფლება“ [1; 195], ვნახოთ რას წერს ოთარ ჩხეიძე შეთქმულების დანარჩენ წევრებზე... ცენტრალური ფიგურა და ტრიუმფირატის შემკვერელი რგოლი თენგიზ სიგუა, „რომ უჩვენებდა ტელევიზორი მოსკოვისო, დაუჯერეთ: აი, ესაა დემოკრატიული მოძრაობის ბელადიო“ [2; 237].

არც დემოკრატიის ახალი დამცველები არიან დავიწყებული: ერთი ქართული ენის სიწმინდეს რომ იცავდა ოდესღაც, მეორე განვითარებული სოციალიზმის ტრფიალი რომ იყო და ახლა „ანძა“ (უფრო სწორად „ანძის“ არქონა), რომ მიაჩნდათ დემოკრატიის მთავარ დაბრკოლებად.

ავტორი რეჟისორების პოზიციასაც გვაცნობს „ცალ ფრთაზე ბ-ნი ელდარი გასულა, მეორე ფრთაზე ლანა - ქალბატონი“ [2; 191]; „კეთილშობილება მოსპეს საქართველოშიო, აუწყა ღოღობერიძემ თავის აღმზრდელ რუსეთსა“ [2; 71]. მიშა და როზიკოც არ დავიწყებია, გამსახურდიამ ემიგრაციაში გააქციაო, ყველაფერს უარყოფს, რაც სამოცდაათი წლის განმავლობაში შეიქმნაო, ოთარ ჩხეიძე აქაც საკუთარ პოზიციას აფიქსირებს - „ეგენი, ათ წელიწადში ერთ პიესას დადგამენ და დანარჩენი გუნდრუკი უნდა უკმოდ“ [2; 93].

მართლაც რომ ჭრელი საზოგადოებაა, თითქოს არაფერი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან საერთო, მაგრამ ავტორი სწორედ ამ გამაერთიანებელ წერტილს გვაჩვენებს „კანთიელადა“. ისინი „მოსკოვის სულით გაბერილან, მოსკოვის თვალით იცქირებიან, მოსკოვს აწონებენ თავსა“ [2; 190]. ეს ის ხალხია „როლები რომ ჩამოართვა, ვინც არა სწამდა, ჩამოართვა. გადაეკიდნენ“ [2; 125]. შემდეგ კი „ნიღბებს იცვლიან, კეკლუცობენ, სიკეთის მოციქულად გვისახავენ თავსა, სინამდვილეში რომ შურით გაგუდულან, ვნება რომ ახრჩობთ ერთადერთი: სხვას აღემატონ, თუნდაც ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა“ [2; 329].

კიდევ ერთი - გოგია გაბროშვილიც არ დავიწყებია ავტორს, შიდა ქართლის ქართველობის იმედი და დამცველი. ისევ ქართველის ხელით რომ გაიწირა. ცხინვალში მის დაღუპვას საარტილერიო ზალპით შეხვდა გახარებული მტერი.

და მაინც, რატომ მოხდა, რა უნდოდა ან ერთს, ან მეორეს? როგორც უკვე ვნახეთ, ავტორს არ დარჩენია საზოგადოების არცერთი ფენა და სახე, ვინც თუნდაც უმნიშვნელოდ გაურთა ხელი ქვეყნის დამხობაში. პასუხსაც ტექსტით გვამცნობს - პრეზიდენტს რუსეთი აღარ უნდაო.

ოთარ ჩხეიძე საქართველოს უმძიმეს მდგომარეობას და მის გამომწვევ მიზეზებს სხვა რომანებშიც ეხმიანება. ის ერთ-ერთი პირველი მწერალია, რომელმაც გაზედა და საქართველოში, თბილისში დატრიალებული მოვლენები აღწერა დოკუმენტური სიზუსტით. რომანს „გატეხილი თავების მალამო“ უწოდეს. ავტორმა არ შეალამაზა და არ დაფარა კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები და კონფლიქტის მონაწილენი. თუმცა არც საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისგან დაუხვევია უკან. ავტორი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში დატრიალებული ტრაგედიის მთავარი მიზეზი პრეზიდენტზე განაწყენებული ინტელიგენციაა, რომელმაც სამშობლო თეატრს დაამსგავსა და ომს და ტრაგედიას კი თავად რეჟისორობდა.

გასული საუკუნის მიწურულის საქართველოში განვითარებული მოვლენების ლიტერატურულ რეფლექსიაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ნაირა გელაშვილის შემოქმედებას. 2010 წელს ქართულმა საზოგადოებამ იხილა ავტორის მორიგი რომანი „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“, რომელმაც იმავე წელს მიიღო ერთ-ერთი პრესტიჟული ჯილდო „საბა“, როგორც წლის საუკეთესო პროზაულმა ნაშრომმა. საინტერესოა, რომ რომანი, როგორც თავად ავტორი ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებს, 1992-94 წლებში შეიქმნა, მაგრამ, მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სულიერ სუდუხჭირის ფონზე ნაირა გელაშვილმა არ ისურვა, რომ რომანს დღის სინათლე ეხილა. სავარაუდოა, ე. წ. „დროის დისტანციის“ თეორიის

მიხედვით, ავტორი ელოდა, გადაფასდებოდა თუ არა მის მიერ ნაწარმოებში გატარებული იდეები, მოსაზრებები.

ორიოდე სიტყვა სათაურის შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ ხშირად ხდება სათაურის დამახინჯება და არ მოიხსენიებენ მთავარს „ყველა სხვა“, „ამ რომანის სწორად წარმოთქმული სათაური უდიდეს იშვიათობად მექცა: უმთავრესად საბას პრემიის დღეებში ჩნდებოდა მედიაში ზეპირად თუ წერილობით და ყველაზე მანუგებელი იყო მისი რედუცირებული ფორმა: „პირველი ორი წრე“ (მაშინ, როდესაც „ყველა სხვას“ აქვს მნიშვნელობა)“ [6; 11]. ნაირა გელაშვილი ამ „ყველა სხვას“ ანიჭებს უპირატესობას, ამაზე აუცილებლად შევჩერდებით, თუ რას გულისხმობს ავტორი ყველა სხვაში. ერთი შეხედვით, „პირველი ორი წრე“ შეიძლება გავიგოთ, როგორც თარგმნის ურთულესი და უმძიმესი პროცესის შემადგენელი ნაწილი, ავტორის თქმით, „თარგმანი მკაცრად ორგანოზომილებიანი ხელოვნებაა და ორივე ორგანოზომილება ერთნაირად მთავარია“ [7; 535]. სამწუხაროდ, ჩვენ ერთსა და იმავე წრეში ვტრიალებთ და აქედან გამოსვლისათვის ჯერ საფუძველი არ შეგვიქმნია. თუმცა, თუ სწორად გავიგე, პირველ და მეორე წრეს თარგმანთან მიმართებაშიც ენიჭება მნიშვნელობა, იმ აზრით, რომ პირველი წრეა ტექსტის გაგება და მეორე - მისი გადატანა მეორე ენაზე.

რომანში სიუჟეტი ვითარდება „თარგმნის ცენტრის“ და მის გარეთ მიმდინარე მოვლენების ფონზე. თარგმნის ცენტრის თანამშრომელთა შემოფოთება და ეჭვი გარეთ მიმდინარე მოვლენებისადმი თავდაპირველად ერთი, თითქოს უმნიშვნელო, ფაქტის გახმინებით იწყება, ესაა საერთო ინფანტილიზმი თუ უპასუხისმგებლობა, როგორც მოძრაობის ლიდერების მხრიდან, ისე მოსახლეობისაგან. „მთავარ სიმპტომად მაინც ის უნდა ჩაითვალოს, რომ პრინციპულად არ ნიშნავენ მიტინგებს სამუშაო დღის შემდეგ. ეს არის მთავარი და ყველაზე ცუდი სიმპტომი“ [7; 121]. ავტორი მომიტინგეებსაც ერთ მთლიან მასად წარმოადგენს, რომელსაც აზროვნება არ შეუძლია:

„ - ნუ, მიტინგზე აზროვნება შეუძლებელია.

- ჰო, მაგრამ მიტინგამდე უნდა აზროვნებდნენ...“ [7; 143]

ზოგადად, მიგვაჩნია, რომ გასაანალიზებელ რომანში სრულად იკვეთება ავტორის დამოკიდებულება ეროვნული მოძრაობის, მიტინგების, ქართველთა საერთო გამოცოცხლებისა და მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ. ცხადია, ეს დამოკიდებულება იკვეთება რომანის პერსონაჟების მეშვეობით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ახმოვანებენ ავტორის შეხედულებებს - პირველი, რაც არ მოეწონათ რომანის ზემოთ ჩამოთვლილ პერსონაჟებს, ესაა გაუთავებელი მიტინგები, რომელთა საშუალებითაც დაიწყო ხალხმა დაგუბებული პროტესტის, თუ წინააღმდეგობის გამოხატვა. ხალხს, რომელიც ამ მიტინგებს ესწრება, ასეთი შეფასებები აქვს:

„ - ნერვების წყურვილი დგას ატმოსფეროში.

- ჰო, სადაც გაივლიან, ყველაფერს ანადგურებენ - გაზონებს, სკვერებს, პარკებს, დარბაზებს!..

- ... ხალხს უხარია! ბავშვივით ერთობა! მოსწყინდა ეს რუტინა! მასა ბავშვია! უხნეო და სასტიკი! [7; 121]. ერთ ყალიბშია მოქცეული ყველა. იმავეს ადასტურებს ეს ციტატაც „ენერგიულ, მამულიშვილურ ბოლთას სცემდა ნერვიული ნახტომისთვის მომზადებული კოჰორტა, რომელსაც ვიღაც უნდა გაეგლიჯა და ჯერ ზუსტად ვერ დაედგინა - ვინ [7; 220]“. ავტორი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს „მასის ნახტომს“ უწოდებს და ეს მასა კი: „ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, თუკი ხელისუფლება უეცრად დაემხო და ეს ნახევრად შეშლილი ხალხი ქვეყნის საჭესთან აღმოჩნდება“ [7; 227]. გამოკვეთა ხალხი, „მასა“, რომელიც იბრძოდა თავისუფლებისთვის. მაგრამ მასა ერთგვაროვანი არაა, მასა განსხვავდება ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ სად დგას, მთავრობის სასახლის თუ ტელევიზიის კიბეებთან. მთავრობის სასახლესთან შეკრებილი ხალხი მოიხსენიება, როგორც „ქაჯები, ვიგინდარები“ [7; 426], „ამ ღრიალში მიდის მთელი ენერგია! ან სხვა რა უნდა გააკეთოს მასამ?“ [7; 579], „ფაზიზმის, ნაციონალ-ბოლშევიზმისა თუ ნეობოლშევიზმის ნიშნებმა იფეთქა (მიტინგი - აუტოდაფე:“ [7; 630], „ცხოვრების მიერ ვერგამოყენებული, გადაყრილი, ანუ ასოციალური ადამიანები“ [7; 647]. რომანის დასასრულს ეს ერთი მხარე, ფსიქიატრიული კლინიკიდან გამოქცეული, თუ გამოშვებული ხალხით ივსება. ავტორი შემდეგნაირად აღწერს ტელევიზიის წინ მიმდინარე მოვლენებს: „ახლა დგას მეფის მოწინააღმდეგე განრისხებული ხალხი ტელევიზიის წინ ლამის მთელი დღე და მართავს მიტინგს, და აფრქვევს სამართლიან აღშფოთებას. და იქ არის უკვე ორი ბეტეერი და იქ არიან შეიარაღებული, დაბნეული ახალგაზრდები. და დგანან მეფის განრისხებული მომხრეები მეფის სასახლის წინ და დაცემული აქვთ კარები... კარების ბინადარნი ნიშანდობლივად ეგზალტირებული ქალბატონები ბრძანდებიან, ყველა მათგანი - უმუშევარი, ზოგი ციხიდან თუ ნერვების კლინიკიდან ახლად გამოსული თუ საგანგებოდ გამოშვებული“ [7; 644]. თუმცა ტელევიზიისაგან განსხვავებით, აქ იარაღი და ბეტეერი არ ჩანს. აქ შეკრებილი ადამიანები უკვე „ხალხია“ და არა „მასა“.

ყურადღებას გავამახვილებთ ნაირა გელაშვილისეულ ხედვაზე ქართულ ინტელიგენციასთან მიმართებაში, ანუ ინტელიგენციის იმ ნაწილთან, ჰუმანიტარულ ინტელიგენციას რომ უწოდებს საკუთარ

თავს. ავტორი მიიჩნევს, რომ საზოგადოების სწორედ ამ ნაწილის უმოქმედობამ, სიჩუმემ ან უხმო თანხმობამ გამოიწვია ის, რომ საბჭოთა ხელისუფლების დასრულების შემდეგ ქვეყნის სათავეში ზვიად გამსახურდია მოვიდა. ნარია გელაშვილი ქვეყანაში ინტელიგენციის როლსა და სახელმწიფო მოწყობის მისეულ მოსაზრებებსა და შეფასებებს რომანში ჩართული წერილის სახით აწვდის მკითხველს. წერილის ადრესატი თარგმნის ცენტრის ხელმძღვანელი ოთარ არონდიაა. ავტორი თვლის, რომ ქვეყნის ინტელექტუალური ელიტა ის ერთადერთი ძალა, რომელიც ქვეყანას მოსალოდნელ ჩიხს და დესტრუქციას ააცილებს. ამიტომ საჭიროა სწორედ ეს ძალა მოემზადოს სათანადოდ, რათა არჩევნებში მოსახლეობამ მათ დაუჭიროს მხარი და არა ეროვნულ ძალებს, რომელიც ერთადერთს მიეღობოდა: როგორმე აიძულოს ხელისუფლება და დაღვაროს მომიტინგეების სისხლი. მისი აზრით, მომავალი მმართველი ელიტის ყველა წევრს სასწრაფოდ უნდა მიეღო სამოქალაქო-პოლიტიკური განათლება, უნდა გასცნობოდნენ დასავლეთის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიღწევებს, საბანკო სისტემას, მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, და რაც მთავარია, ეკოლოგიას, რათა მომავალში არ მომხდარიყო სრული დევალვაცია. ნარია გელაშვილი საზოგადოების ოთხ ძირითად ჯგუფს გამოყოფს, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო და უნდა ჩაებარებინა ქვეყნის მართვის სადავეები. ესენია: ე.წ. ინტელექტუალური ელიტა, რომელსაც ხალხი იცნობდა და აფასებდა, განათლებული ახალგაზრდები, რომლებსაც არასდროს ემუშავათ პარტიისა და კომკავშირის სტრუქტურებში, თუმცა გამონაკლისის სახით, თვლის, რომ შეიძლება კომკავშირის ყოფილი თანამშრომლებიც, რადგან მათ ჰქონდათ გამოცდილება ადმინისტრაციული მუშაობისა, ასევე - ხელისუფლების სხვადასხვა რგოლში დასაქმებული განსაკუთრებით კომპეტენტური ადამიანები. ავტორის აზრით, მხოლოდ ასეთ ელიტას ექნებოდა არჩევნებში გამარჯვების და შემდეგ ქვეყნის ნორმალური მართვისა და დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერის შანსი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომანის სტრუქტურა რთულია და მოქმედება იშლება ორ შრედ ფსიქიატრიულ კლინიკასა და თარგმნის ცენტრში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩნდება ალუზია, რომ ავტორი ამ ფორმით ცდილობს საზოგადოების მკვეთრ დიფერენცირებას და ორად გაყოფას - ერთი თარგმნის ცენტრი და იქ შეკრებილი ინტელიგენცია, რომელიც მკვეთრად უარყოფითადაა განწყობილი ეროვნული მოძრაობის მიმართ და მეორე ნაწილი, ესაა ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტები, რომლებსაც ტექსტის დასასრულს ზვიად გამსახურდიას მხარდასაჭერ მიტინგზე ვხედავთ. ამ ასპექტის ხაზგასმით ავტორი ნათლად გამოხატავს თავის პოზიციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მიმართ.

დასასრულს, უნდა აღვნიშნოს, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენების ამსახველი ბელეტრისტიკა ისეთივე მრავალფეროვნებით და აზრთა სხვადასხვაობით გამოირჩევა, როგორც იყო თავად ეპოქა. შევეცადეთ წარმოგვედგინა, აღვნიშნული მოვლენებისადმი, სხვადასხვა პოზიციაზე მდგომი შემოქმედის დამოკიდებულება.

ლიტერატურა:

1. შველიძე დ., პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987 - 1992 წ.წ.), თბ., 2008.
2. ჩხეიძე ო., არტისტული გადატრიალება, თბ., „ლომისი“, 1994.
3. ჩხეიძე ო., დრომოჭმული ცნებებისა, გაცვეთილი ცნობიერებისა და მართებული გააზრებისათვის, „ჩენი მწერლობა“, 2003, #35.
4. კვესელავა ი., საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკები - ზვიად გამსახურდია დისიდენტი, პრეზიდენტი, მოწამე; თბ., 2007.
5. ჩხეიძე ო., თეთრი დათვი, თბ., „ლომისი“, 1999.
6. ხარბედია მ., წარსულის გაცნობიერება - ნარია გელაშვილის ცდა, ჟურნალი „არილი“, #2 (217) 2013.
7. გელაშვილი ნ., თხზულებანი, ტ IV, პირველი ორი წრე და ყველა სხვა, თბ., „კავკასიური სახლი“, 2010.

Ana Imnadze
Gori State Teaching University
“TBILISI WAR” ON THE EXAMPLE OF THE LITERATURE OF THE 90S, XX CENTURY
RESUME

At the end of the twentieth century, Georgian society found itself facing a controversy that raged mainly in the streets of Tbilisi and Samegrelo, and this event did not go unnoticed by Georgian literature. Both sides to the conflict and the neutrals started writing about, the way they saw it and wanted it to be. Moreover, Georgian writers responded and evaluated the events in Tbilisi earlier than historians would have done.

The subject of our interest is the novels of two authors. These are Otar "Artistic Coup" by Otar Chkheidze and "The First Two Circles and All Others" by Naira Gelashvili.

The novel of Otar Chkheidze is mainly about the difficult and contradictory period of Georgia in the 90s, where it is difficult to name objects with one stroke of the hand, not because it is difficult to choose between black and white. "Either what you fought for or what you achieved to, or if you survived for what!" Otar Chkheidze wrote himself

Speaking about the literary reflection of the events of the end of the last century in Georgia, we cannot ignore the work of Naira Gelashvili. In 2010, another novel was published by the author "The First Two Circles and All Others", which in the same year received one of the most prestigious awards "Saba" as the best prose work of the year. It is interesting that the novel, as the author herself recalls in one of the interviews, was created in 1992-94. However, according to the severe political-economic background, the writer did not want the novel to see the light. Actually, according to the theory of "time and distance", the author was waiting to see if the ideas and opinions she had carried out in her work would be re-evaluated.

ვახტანგ ინაური
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსურდიზმი რეზო ჭეიშვილის რომანში „ცისფერი მთები“

რომანში „ცისფერი მთები“ ასახული ფორმალური უგულო დამოკიდებულება სამსახურობრივი მოვალეობისადმი ნთლად ჩანს არა მარტო ხელმძღვანელ პირთა მოქმედებაში, არამედ დაბალი ფენის მომსახურე პერსონალშიც. ფაქტობრივად მუშაც გულგრილი, უპასუხისმგებლო და უსაქმურია. იგი კიბეს ფორმალურად დაატარებს და არ ჩანს, რას საქმიანობს, არც ღებავს და არც აშკალებს. ვასოსთან მუშის აბსურდული პასუხების შემდეგ ვულკანოლოგი დააფიქსირებს, რომ შენობას ჭერზე ბზარი აქვს, რაც მრავალმნიშვნელოვნად წარმოაჩენს შენობის დრომოჭმულობისა და რღვევის პროცესს. ეს პროცესი არა მარტო შენობას ეხება, არამედ, დაწესებულებაში მომსახურე პერსონალს. მათ შორის ისეთი აბსურდული და ფორმალური ურთიერთობაა, რომ კოლექტივში ბზარი კი არა, უკვე რღვევაა დაწყებული. თუმცა გარეგნულად ის ჯერ ისევ მყარად დგას, ისევ იზოლირებულია გარე სამყაროსაგან მენავთის საყვირი „ფსევდო კლასიკური შენობის ფანჯრებს ძვრას ვერ უშვრება. გრენლანდიის პირქუშ პეიზაჟამდე არ აღწევს“ (ჭეიშვილი 2014, გვ. 32).

ეს სტრიქონებიც მიგვანიშნებენ გრენლანდიის პეიზაჟის სიმბოლურ მნიშვნელობაზე, ამიტომაც გახდა იგი სადავო და საკამათო ვასოსა და გრიშას შორის, რაც სიუჟეტის განვითარებასთან ერთად უფრო და უფრო მწვავედება.

ვასოს სტერეოტიპული გამოთქმაა „მე ტანკისტი ვიყავი ომამდე“ (ჭეიშვილი, 2014, გვ. 33). ამ აზრის იგნორირება გრიშას მხრიდან ვასოსთვის მწარე დარტყმა იყო. ამიტომ უნდა „ზევით“ ასვლა, რაც ზემდგომ ორგანოებში ასვლად შეიძლება გავიაზროთ, რადგან უბრალოდ ზევით ასვლა ამ

დროს საჭირო არ იყო, რადგან ვასოს სურათის გატანის თაობაზე დირექციის თანხმობა ჰქონდა. გრიშას ვასოს ზევით ასვლის არ ეშინია, მან იცის, რომ იქაც ისე ფიქრობენ, როგორც თვითონ, შესაძლოა მათი დირექტივებითაც მოქმედებს. ვასომ კი ჯერ უნდა ააღწიოს ზევით. იქ როგორ ფიქრობენ და როგორ აზროვნებენ, ეს ჯერ გაურკვეველია და ამ ეტაპზე ასე დარჩება. ვასო ლიფტში გაიჭედა. ლიფტი ხშირად იჩხირება სართულებს შორის, რაც იმის მანიშნებელია, რომ ისიც ამორტიზებული და ყავლგასულია, მოძველებული გისოსებიანი ლიფტი აღარ შეეფერება თანამედროვე მოთხოვნებს.

ვასო ვერც „ზევით“ ავიდა, ვერც გრენლანდია გაატანინა და ვერც კარგად მიამაგრებინა კედელზე. მუშის აზრით, „კედელი კედელს აღარ გავს, ჭერი-ჭერს“ (ჭეიშვილი, 2014, გვ. 53).

ვასო კვლავ გაიჭედა ლიფტში, პაროდირებულია მასთან ამ დროს დირექტორისა და სხვა თანამშრომლების სამსახურებრივ საქმეებზე ლაპარაკი. ცინიზმია „საშენდექსო ფონდის“ ხსენებაში.

ეს პროცესი, ვასოს და გრიშას კამათი დირექტორთან ლიფტსა და შენობის რყევის შესახებ მსჯელობა, გონივრულად გათვლილი იუმორითაა გაჯერებული. მკითხველი ამ პასაჟებზე იცინის გონებით, ყოველ დეტალში რაციონალური საწყისი დევს და ყოველი მხატვრული აზრი ფართო მეტაფორული შინაარსის შემცველია.

ბიუროკრატის, ფორმალობის და პოზიორობის განსახიერებაა დირექტორი ვაჟა. თითქოს მას არაფერი ეხება. იგი წიგნის ავტორს, სოსოს, რომლის წიგნსაც იხილავენ საბჭოზე, მოუწოდებს: „ცოტა მიდექ-მოდექი, შეაწუხე ვიღაც გაინძერი“ (ჭეიშვილი, 2014, გვ. 511). ამავე დროს იგი საუბრობს ქვეყანაში დამკვიდრებულ სიყალბესა და ფორმალიზმზე. „შაბიამნის ახალი პარტია მოიტანეს. დეფიციტში გარღვევა გაქვთო ოცი ცენტნერი ქაღალდი დაგვაკლეს. ახლა თათბირია, და არარსებულ ქაღალდს გადააბრუნებენ ქაღალდზე“ (ჭეიშვილი, 2014, გვ. 50).

ცნობილი ფაქტია, რომ 80-იან წლებში გეგმები ქაღალდზე სრულდებოდა და ფაქტობრივად კი პროდუქციის დეფიციტი იყო.

ვაჟას სახე ტიპიური დირექტორის სახეა, ტელეფონომანია, კაბინეტომანია, გამუდმებული, გაუგებარი სატელეფონო ზარები კარგად წარმოაჩენს მისი, როგორც ხელმძღვანელის ფორმალიზმსა და აბსურდულობას: – „დიახ, დიახ, დიახ, კი ბატონო, კი, კი, გასაგებია, კი ბატონო, დიახ კი პირველ ყურმილს დებს და მეორეს იღებს, – ჰო, ჰო, ჰო, კი, კი, კი, არა, არა, არა კაცო, კარგი, კარგი თუ გიყვარდე – ჰო კი, ჰო, კი ჰო, ჰო, ჰო“ (ჭეიშვილი, 2014, გვ. 148). ეს არის მისი ტელეფონზე საუბრის სტილი, გაუგებარია ვის ელაპარაკება, რა საკითხზე საუბრობენ, ან რაზე ეთანხმება ასე ბეჯითად ვიღაცას.

ვინმე ყუფარაძის დარეკვით ვულკანოლოგიას შტატს ითხოვს გამომცემლობაში, სინამდვილეში არც დირექტორმა და არც მოადგილემ არ იცის, ვინ არის ყუფარაძე. დარეკვით თანამდებობაზე მიღება და დანიშვნა, რა თქმა უნდა, კანონით არ არის მიღებული, ცხადია მათ ყუფარაძე ავტორიტეტული თანამდებობის პირად მიაჩნიათ.

დაწესებულებაში ფორმალიზმი და უსაქმურობა ჩვეულებრივი მოვლენაა: ბორია, კაკო და თენგიზი ასანთით თამაშობენ, იროდიონი შვებულებაში ითვლება, მაგრამ საშვებულებო თანხა არ მიუღია და ისევ სამსახურშია, თუმცა აცხადებს ნუ მელაპარაკებით მე შვებულებაში ვარო.

ყველაზე დიდი სიყალბე და ფორმალიზმი „ცისფერი მთების“ განსახილველად მომზადების პროცესია. ფაქტობრივად მას არავინ კითხულობს. წაიკითხა ნაწილობრივ ვასომ. და ტაქსის მძღოლმა, რომელმაც თავის მანქანაში ნახა უცნობი მგზავრის მიერ დატოვებული ეგზემპლარი. დირექტორს ეს წიგნი ბანკში დარჩა თუ ცირკში, არ ახსოვს. ცირკსაც შესაძლოა მეტაფორული მნიშვნელობა აქვს. საბჭო ისე ინიშნება, რომანის შინაარსი არავინ იცის. არათუ არ წაიკითხეს, არამედ ავტორის მიერ წასაკითხად გადაცემული ფურცლებიც კი დაეზნათ და დაეკარგათ. თვითონ ავტორიც დაბნეული და მოუხერხებელია, ისიც ნაწილ-ნაწილ ურიგებს ფურცლებს თანამშრომლებს, თითქოს ერთმანეთს გლეჯდნენ ხელიდან სოსოს „ცისფერ მთებს“. აბსურდიზმი საბჭოს სხდომის დროს აღწევს მწვერვალს. თითქმის ყველა გამრეკლიძის აზრს იზიარებს და მხარს უჭერს. მის წერილობით დატოვებულ დასკვნას ვასო კითხულობს: „გულდასმით გადავათვალიერე „ლურჯი მთები“... აქ შეცდომაა, უნდა იყოს ცისფერი. (კითხულობს) უნდა მოგახსენოთ, რომ ძირითადად ვემბრობი და ვიზიარებ აქ გამოსული ამხანაგების შეხედულებებს, აზრებს, შენიშვნებსა და ასე შემდეგ“ (ჭეიშვილი, 2014, გვ. 119).

საბჭოს სხდომის უპასუხისმგებლობასა და დაბნეულობას მოლარის განცხადება ემატება. იგი იროდიონის მისამართით ამბობს. „პატარა გაუგებრობას ჰქონდა ადგილი და შეიძლება ეწყინა კიდევ, მაგის შვებულების ფული კოპალეიშვილს წაუღია, კოპალეიშვილის ხელფასი გამოუწერიათ წვერავასათვის და წვერავას ცოლმა ხელი ხაზურზანისა უწყისში მოაწერა“... (ჭეიშვილი, 2014, გვ. 132).

მნიშვნელოვანია ვასოს განცხადება სხდომაზე, რომელიც „ზევიდან“ მოწვეული ალექსანდრეს

აზრს იმეორებს „ჩვენც ვხვდებით, რაღაც იცვლება და სხვაფერდება“. (ჭეიშვილი, 2014, გვ. 135). ეს სიტყვები მიგვანიშნებს, რომ ქვეყანაში გარდაქმნა იწყება. სიმბოლურია, რომ სოსოს „ცისფერი მთების“ განხილვის ერთწლიანი პროცესი ვასოს ამ განცხადებით მთავრდება.

რ. ჭეიშვილი სხვა 80-იანი წლებისთვის დამახასიათებელ ნეგატიურ მოვლენებსაც აღწერს მაგალითად, სხდომას თუ არ დაესწრნენ ხელფასს არ გასცემენ, ჩვეულებრივი მოვლენაა ხელფასის დაგვიანება, შვებულებაში წასვლა უფულოდ. გაურკვევლობა საფინანსო მდგომარეობაში და სხვა.

რომანში ქალის მხატვრული სახეა ბელა. მწერალს ის სიუჟეტის დასაწყისშივე შემოჰყავს მოქმედებაში. ბელა მოხდენილი და ლამაზი ქალია, ავტორი ორიგინალური ზოგადი შტრიხებითა და მინიშნებებით წარმოაჩენს მის გარეგნობასა და შინაგან ხასიათს. სოსოს და ბელას ლიფტის კაბინაში ვეცნობით, ნიშანდობლივია, რომ იმ ლიფტში, სადაც ვასო ჩორგოლაშვილი ხშირად იჭდება, ესენი თავისუფლად ადიან ზედა სართულზე.

რამდენჯერმე აღწერს მწერალი ბელას გარეგნობას. ის სულ დინამიკაშია. კაბინეტში საუბრისას „ბელა თვალებს ჭუტავს. გულისპირს ისწორებს ვასოს მიჩერებია უაზროდ“ (ჭეიშვილი, 2014, გვ. 20).

ბელას ოჯახური ცხოვრებაც გარკვეული არ არის. ქმარი ჰყავს და არც ჰყავს. ქმარი არცთუ სასიამოვნო ფერებშია აღწერილი: „ავადმყოფური შესახედაობის მამაკაცს მოჰყავს ბადურა ღობის გასწვრივ შეფუთული გოგონა. ძვირფას ქურქში გამოწყობილ ბელას სასკოლო ჩანთა უჭირავს. ბელა თვალებგადმოქაჩულ მამაკაცს აძლევს ჩანთას, ჩათბილულ გოგონას კოცნის, ეთხოვება“ (ჭეიშვილი, 2014, გვ. 52). მწერალი ასე ეკზესტენციალურად ასახავს ბელასა და მისი გოგონას სიყვარულს და ავადმყოფური სახის თვალებგადმოქაჩულ მამაკაცთან გულცივიობას და ანტიპათიას. ეს ბელასა და ვასოს საუბარშიც ვლინდება. ვასოს კითხვაზე „ის კაცი ქმარია თუ არა შენი“? ბელა პასუხობს არის და არც არის. „გაყრილები არ ვართ ოფიციალურად“.

– შერიგდით მაშინ.

– ეს გამორიცხებულია.

– რატომ არის გამორიცხებული?

– როგორ შეიძლება, ბატონო ვასო, იცხოვრო ადამიანთან, რომელიც არც გპუღს და არც გიყვარს.

– ასე ვცხოვრობთ ჩვენ ყველანი: არც გვპუღს, არც გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ ვცხოვრობთ.

– ვცხოვრობთ კი, ეგრე ვცხოვრობთ! თვალები უშტერდება ბელას“ (ჭეიშვილი, 2014, გვ. 53).

ნათლად ჩანს, რომ ბელა ოჯახში ბედნიერი არ არის, ჩანს, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ასე უსიყვარულოდ ცხოვრობს ერთად. ეს კი საყოველთაო მოვლენაა ტოტალიტარულ სახელმწიფოში, პირადი სურვილები და პირადი განცდები დათრგუნულია. ამაო გამოდგა მისი სოსოსთან ურთიერთობაზე ფიქრიც, მას ცხადია, გარკვეული გრძნობა აქვს სოსოს მიმართ და ამიტომ უფრო გამოდის სიტყვით საბჭოს სხდომაზე.

„...მე მინდოდა – ეუბნება იგი სოსოს – დღეს ისეთი რაღაც მოხდეს, რაც შენ, სოსო, არაფრისაგან, სიცარიელისაგან გაგანთავისუფლებს... – სახეზე წამოწითლებული და გულმკერდ აფორიაქებული ჯდება მოულოდნელად“ (ჭეიშვილი, 2014, გვ. 130).

რა თქმა უნდა, ბიუროკრატიულ საზოგადოებაში ბელას გულწრფელი და პირადული სურვილებით გამსჭვალული აზრი არ მოეწონებათ. მაგრამ მისი სიტყვა საბჭოზე დარჩა ერთადერთ სამართლიან და რეალურ სიტყვად, რომელსაც მეტნაკლებად თავისი მიზანი ჰქონდა.

ლიტერატურა:

1. რეზო ჭეიშვილი, „ცისფერი მთები“, 2014.

Vakhtang Inauri *Samtskhe-Javakheti State University* **NONSENSE IN REZO CHEISHVILI NOVEL “BLUE MOUNTAINS”** **RESUME**

The novel by Rezo Cheishvili "Blue Mountains or Tianshan reflects the real life from the 70's of the 20th century. As a fictional model, the writer describes a publishing house from Soviet period, which performs as background to show existing formalism of Soviet system and official relationships reaching to the absurd.

Author narrates about indifference, irresponsibility and confusion as a lifestyle of Soviet Union with mild humor.

იტრიის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი - ქართლის ჩხეიძეთა სამცხალე
(ზოგიერთი თარიღის დადგენის ცდა)

XVII ს-ის 30-40-იანი წლების მიჯნაზე ლიხის ქედის აღმოსავლეთ მთისწინეთში, სურამის სიახლოვეს, ქართლის სამეფო კარის ხელშეწყობით ყალიბდება იმერეთიდან გადმოსული ჩხეიძეების მცირე სათავადო. იგი ცნობილია „საჩხეიძოს“ სახელწოდებით. მისი ცენტრი გახდა სოფელი იტრია. ჩხეიძეებმა სამეფო კრისგან იტრიასთან ერთად აქვე მიიღეს მონასტერიც. ჩხეიძეთა სახლის ცნობილი წარმომადგენელი ნიკოლოზ ჩხეიძე - ქართლისა და თბილისის მთავარეპისკოპოსი, მიუთითებს, რომ მონასტერი ჩხეიძეებს სამეფო კარმა უბოძა: „...ვითაცა დიდთა მეფეთა ტაძარი ესე თქუენი და შესავალი თქუენი ალაგები მოგიეცეს და მოგუიბოდეს“ (სცსსა, ფ. 1449, საზ. 1535).

XVII-ის 40-იანი წლებიდან ქართლის ჩხეიძეების ფეოდალური სახლი მჭიდროდ დაუკავშირდა იტრიის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერს და დროთა განმავლობაში იგი მათ საგვარეულო სამცხალეთაც იქცა.

იტრიის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი, აქ ჩხეიძეების დამკვიდრებამდე დიდი ხნის წინ არსებობდა და მისი აგება ქართლის კათალიკოს-პატრიარქის - დოროთეოზის სახელს უკავშირდება.

მონასტრის შესახებ შემორჩენილია არაერთი საინტერესო დოკუმენტი, რითიც ნათელი ეფინება მისი მშენებლობის, სამამულო მფლობელობისა თუ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა თავად ეკლესიის ამშენებლის, ქართლის კათალიკოს-პატრიარქის დოროთეოზისა და გიორგი ბატონიშვილის ეკლესიისადმი შეწირულობის სიგელები.

დოროთეოზის სიგელში ძალზე ხატოვნად, ხშირად დიდი დრამატიზმით არის გადმოცემული მონასტრის მშენებლობასთან დაკავშირებული არაერთი ეპიზოდი, სამეფო კარის დამოკიდებულება და გამოჩენილი ყურადღება მონასტრის მიმართ. სიგელი ყურადღებას იპყრობს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა და ქართველი ხალხის დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის ჩვენებით.

დოროთეოზ კათალიკოსის შეწირულობის სიგელი პირველად ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა (ე. თაყაიშვილი, 1910: 124-129). იგი აღნიშნავს, რომ „ეს საყურადღებო გუჯარი“ მისთვის გამოუგზავნია იტრიის მღვდელს მამა ისიდორე კვიჩინაძეს. „დედანი უკან დავუბრუნეთ. ეს შეადგენს ჩხეიძეების კუთვნილებას“ - დასძენს ექვთიმე (ე. თაყაიშვილი, 1910: 124).

მეორედ სიგელი გამოაქვეყნა ი. დოლიძემ (ქსმ, 1970: 352-357).

სიგელის დედანი ინახება საქართველოს ცენტრალურ საისტორიო სახელმწიფო არქივში (სცსსა, ფ. 1448, საზ. 5008). იგი წარმოადგენს ეტრატის გრაგნილს, შედგება ოთხი კეფისაგან (234 X 22,5სმ.). პირველ კეფზე მოხატულია ღვთისმშობელი ძითურთ და მოციქული. მეორე კეფის მარჯვენა ბოლო კიდე მოგლეჯილია. ნაწერია მხედრულით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი, სამი ან ოთხი წერტილი.

გიორგი ბატონიშვილის სიგელის შემოკლებული ვარიანტი გამოქვეყნებული აქვს თედო ჟორდანიას (თ. ჟორდანია, 2018: 422-423). სიგელის ასლი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ხეც, Sd-2909). გიორგი ბატონიშვილის სიგელი, დოროთეოზის სიგელის მსგავსად, მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაციის მატარებელია იტრიის ეკლესიის შესახებ.

უნდა შევნიშნოთ, რომ დოროთეოზის სიგელს შედგენის თარიღი არ გააჩნია. მაგრამ თარიღიანია გიორგი ბატონიშვილის სიგელი, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს დოროთეოზ კათალიკოსის სიგელს. სიგელების შეჯერება საშუალებას იძლევა დავადგინოთ ჩვენთვის საინტერესო თარიღები. კერძოდ, ეკლესიის მშენებლობისა და დოროთეოზ კათალიკოსის სიგელის შედგენის თარიღები, თავად დოროთეოზის კათალიკოსობის დრო და მისი ადგილი XVI საუკუნის ქართლის კათალიკოსთა რიგში.

თავდაპირველად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ ეკლესიის მშენებლობის თარიღზე.

დოროთეოზ კათალიკოსის სიგელზე დაყრდნობით იტრიის ეკლესიის დათარიღებაზე ნათქვამია, რომ იგი „აგებულია XVI საუკუნის ბოლოს“ (სიკძა, 1990: 435).

იტრიის ეკლესიის აგების თარიღს ეხება აკად. ვ. ბერიძე. იგი აღნიშნავს, რომ ეკლესიის აშენება „...XVI საუკუნეში წერილობითი საბუთით არის დადასტურებული“ (ვ. ბერიძე, 2014: 449). მკვლევარი

მიუთითებს აგრეთვე, რომ „საბუთებში მოხსენებულ პირთა და მოვლენათა მიხედვით, ეკლესიის აგება 1541-1580 წლებს შორის ექცევა“ (ვ. ბერიძე, 2014: 68)

ვ. ბერიძე ეკლესიის მშენებლობის თარიღის დასადგენად გვთავაზობს შემდეგს:

„ა) ეკლესიის საძირკვლის ჩაყრისთანავე ქართლს შემოსევია შაჰ თამაზი - ირანის ყაენი. კონტექსტის თანახმად, აქ მისი პირველი შემოსევა უნდა იგულისხმებოდეს. ეს შემოსევა 1541 წელს მოხდა.

ბ) შენება საბოლოოდ დამთავრებულია მას შემდეგ, რაც სვიმონ მეფე ტყვეობიდან დაბრუნდა და ქართლს თურქები (ურუმნი) შემოესივნენ. ორივე ეს ამბავი - სვიმონის გათავისუფლება და მუსტაფა-ლალა ფაშას ცნობილი ლაშქრობა - 1578 წელს მოხდა, დოროთეოზმა ალბათ მალევე, საფიქრებელია, 80-იან წლებში მაინც „ადასრულა“ ეკლესია“ (ვ. ბერიძე, 1994: 16).

დასკვნის სახით მკვლევარი აღნიშნავს: „ამგვარად, იტრიის ეკლესიის ხელმეორედ აგების თარიღად ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ 1541-1580-იანი წლები“.

მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარი სამართლიანად მიუთითებს ეკლესიის აგების თარიღზე - 1541-1580-იანი წლები, - დოროთეოზის სიგელი იძლევა შესაძლებლობას, უფრო დაკონკრეტდეს მშენებლობის ზედა ზღვარი.

დოროთეოზ კათალიკოსმა სურამის მახლობლად მდებარე სოფელი ნიტრია (იტრია) სამეფო კარისაგან, კერძოდ კი გიორგი მეფისგან შეიძინა. ამის შესახებ მის მიერვე გაცემული სიგელის დასაწყისშია საუბარი: „ჩუენ ქრისტეს ღმრთის მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზ - პატრიარქმან დოროთეოზ ვიგულე და ვიგულსმოდგინე და დავენუქე მეფეთ-მეფეს გიორგისა, მოგვიბოძა და მოგვყიდა სურამის პირსა სოფელი ნიტრია დიდის ფასითა, აზნაურნი იქ მსახლობელნი, მარგუელაშვილნი, დეკანოზნი, ერთი კუამლი ზამთარამე, ერთი კუამლი კიკნამე, ერთი საგლეხო მახირაული, ერთი საგლეხო ქინთირეული, გლეხნი დავასახლე ზედა“ (ქსმ, 1970: 353).

მეფეთ-მეფე გიორგი, რომლსაც „დაენუკა“ დოროთეოზი და „დიდის ფასით“ შეიძინა იტრია, დავით X-ის ძმაა, რომელიც ქართლის ისტორიაში გიორგი IX -ის სახელითაა ცნობილი. მან 1524 წელს, როცა დავით X იძულებული გახდა, თავი დაენებებინა მეფობისათვის და ბერად აღკვეცილიყო, ხელთ იგდო ქართლის ტახტი. დავით X-ის შემდეგ ტახტზე მისი შვილი ლუარსაბი უნდა ასულიყო. ლუარსაბმა დახმარებისათვის იმერეთის მეფეს ბაგრატ III-ეს (1510-1565 წწ.), თავის სიმამრს, მიმართა. მისი თანადგომით ტახტისათვის ბრძოლაში გამარჯვებული ლუარსაბი გამოვიდა და 1527 წლიდან უკვე ქართლის მეფეა. გიორგი IX -მ ტახტი დატოვა და 40-იანი წლების შემდეგ საერთოდ ჩამოშორდა პოლიტიკურ მოღვაწეობას*.

ამ დახმარებისათვის ლუარსაბ I-მა ბაგრატ III-ეს ქართლის დასავლეთი ნაწილი - ლიხის ქედის აღმოსავლეთის მთისწინეთი დაუთმო: „...მისცეს მეფე ბაგრატს ქართლი, მეფესა იმერეთისასა, არადეთის წყალს გამოღმა, ალი, სურამი, ახალდაბა“ (ცხოვრება, 1980: 41).

ეს მდგომარეობა XVI საუკუნის 60-იან წლებამდე გაგრძელდა, კერძოდ, სანამ სპარსეთის შაჰმა თამაზმა 1554 წელს, მეოთხე შემოსევის შემდეგ, არ დაიკავა სურამის მხარე (თ. ლაცაბიძე, 2003: 26-28).

ამრიგად, დოროთეოზს სოფელ იტრია 1525-1527 წლებში უნდა შეეძინა გიორგი IX-გან.

სიგელიდან ისიც ირკვევა, რომ იტრიის დღევანდელი მონასტრის ადგილზე „ძუელთგან ყოვლად წმიდის ეკლესია“ მდგარა, რომელიც დოროთეოზის დროს უკვე „დაქცეული, დაძველებული“ ყოფილა.

იმავეზე მიუთითებს გიორგი ბატონიშვილი სიგელში, როცა აღნიშნავს, რომ დოროთეოზს ეკლესია ახლად აუშენებია. „შენი მონასტერი ძველთაგან ყოვლად წმიდის ეკლესია ყოფილიყო და საფუძველითურთ ახლად აუშენებინა“ (ხეც, Sd-2909).

დოროთეოზი წერს: „ვიმუშაკე და ავიღე საფუძველითურ. ახალი საფუძველი გავსთხარე. აღვაშენე მონასტერი ესე კარგი სახელსა ზედა სიონისასა, დიდი და პატიოსანი, რომელსა თვალი ყოველთა ქრისტიანეთანი ხედვენ.“

როგორც ვხედავთ, სიგელის ეს მონაკვეთი, რომელშიც საუბარია იტრიის ეკლესიის ხელმეორედ აგებაზე, არაფერს გვეუბნება მშენებლობის დაწყების ან დამთავრების თარიღის შესახებ. მაგრამ სიგელის მომდევნო სტრიქონებში აღწერილი მოვლენები საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ ეკლესიის, როგორც მშენებლობის დაწყების, ასევე მისი დამთავრების თარიღები.

სიგელში დოროთეოზი აღნიშნავს: „საფუძველი რომ ჩავსხენ, მოვიდა მაჰმადის მოსახელე შაშ-თამაზ ყეენი გულისწყრომით მკსინვარე, ამოსწყვიტა და ააოხრა ქართლის ქუეყანა. ეს ყუალაი მეფობსა

* ვ. ბერიძე მიუთითებს, რომ გიორგი „ეს ალბათ, ლუარსაბ I-ის ძმა გიორგი IX-ა, რომელიც 1525-1534 წლებში მეფობდა“. უნდა შევნიშნოთ, რომ გიორგი IX ლუარსაბ I-ის ძმა კი არ არის, არამედ ბიძაა, მამის - დავით X-ის ძმა. რაც შეეხება მისი მეფობის პერიოდს, განისაზღვრება 1525-1527 წლებით და არა 1525-1534 წლებით, როგორც ამას მკვლევარი აღნიშნავს.

პატრონის ლუარსაფისა. განგრძელდა გულისწყრომა და მკსინვარება მისი ოც წელ საქართველოზედა. ეწამა ღმრთის მოყვარე მეფე ჩუენი ბატონი ლუარსაფ და დასთხია მისი პატიოსანი სისხლი ქრისტესთუის“ (ქსმ, 1970: 353).

მოტანილი ნაწყვეტიდან საყურადღებოა დოროთეოზის შემდეგი სიტყვები: „საფუძველი რომ ჩავსხენ მოვიდა მაჰმადის მოსახელე შამ-თამაზ ყეენი...“ ამრიგად, დოროთეოზის მიერ მონასტრის მშენებლობის დაწყებისთანავე („საფუძველი რომ ჩავსხენ...“), ქართლში შაჰ-თამაზი შემოსულა. ეს, როგორც ცნობილია, 1541 წელს მოხდა. ამრიგად, დოროთეოზს ეკლესიის მშენებლობა 1541 წელს დაუწყო.

რაც შეეხება მშენებლობის დასრულებას.

შაჰ-თამაზის „გულისწყრომა და მკსინვარება“ ქართლზე 16 წელი (დოროთეოზის მიხედვით 20 წელი - თ.ლ.) გრძელდებოდა. ასეთ მიმე, არახელსაყრელ ვითარებაში უხდებოდა დოროთეოზს ეკლესიის მშენებლობა. ამას თავად დოროთეოზის სიტყვებიც მოწმობს: „ასეთ დროს ვაშენეთ მონასტერი ესე დიდის ჭირითა და რუდუნებითა, რომე მოგუიხდებოდეს თარეშნი აგარიანთა და აგჰყვრიდეს წაკარტებსა გალატოზები და ტყეშიგ ჩავცინდებოდით ყველანი“ (ქსმ, 1970: 353).

შაჰ-თამაზის შემოსევების შემდეგაც რთულ სიტუაციაში მიმდინარეობდა იტრიის ეკლესიის მშენებლობა. სპარსი ისტორიკოსის ჰასან რუმლუს ცნობით, 1557 წელს ქართლს შემოესია ყარაბაღის ბეგლარ-ბეგი შავერდი სულთან ზიად ოღლი ყაჯარი და სულეიმან ბეგ ბაიათი. ამ დროს უკვე ქართლის მეფეა ლუარსაბ I-ის შვილი - სიმონი, რომელიც იძულებული გახდა, მთებისთვის შეეფარებინა თავი. მტერმა საშინლად აიკლო ქართლი, მათ შორის სურამის მხარეც. ჰასან რუმლუ წერს: „ამ წელს (1557) შავერდი-სულთან ზიად-ოღლი და სულეიმან-ბეგ ბაიათი ყარაბაღის ლაშქრით საქართველოსკენ გაემართნენ. სიმონმა მაღალ მთებს შეაფარა თავი ქვეყნის დამწველი ჯარის შიშით. ღაზიებმა გორის, სურამისა და საბარათიანოს ვილაიეთი დაარბიეს, სოფლები და მხარეები ააოხრეს, ყანები და ხეები მწიფე ხილით ძირიანად ამოგლიჯეს (მიწიდან - თ.ლ.) და გამარჯვებულნი უამრავი ნადავლით განჯაში დაბრუნდნენ“ (ჰასან რუმლუ, 1966: 35).

ამ მოვლენებს ცხადია, ვერ გადაურჩებოდა იტრიის ეკლესიაც. ამაზე მიგვანიშნებს არა მარტო ჰასან რუმლუს ზემოთ მოტანილი ცნობა, არამედ დოროთეოზ კათალიკოსის სიგელიც („ასეთ დროს ვაშენეთ მონასტერი ესე...“).

დოროთეოზი ეკლესიის მშენებლობას აგრძელებს სიმონ I-ის (1556-1600) მეფობის პერიოდშიც. ამასთან იგი სიგელში მოგვითხრობს სიმონის მიერ „ღმრთისათვის და საქრისტიანოსათვის“ გაწეული საქმიანობისა და სპარსთა მიერ 1569 წელს მისი დატყვევების შესახებ.

1578 წელს, სიმონის ტყვეობიდან დაბრუნების დროს, დოროთეოზს იტრიის ეკლესიის მშენებლობა უკვე დამთავრებული ჰქონდა. სიმონმა გარკვეული დახმარება გაუწია ახლადამშენებულ მონასტერს: „გარდაჰხდეს ჟამნი რაოდენნიმე და წარხდეს და მოკვდა შამთამაზს ყეენსა. მოხედა მოწყალებამან ღმრთისმან და მოვიდა მეფეთ-მეფე ბატონი სუიმონ ტყუეობიდადმან. ცოტაოდენნი საფასე მანც გაუჩინა მონასტერსა. მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მისისანი“.

ამრიგად, 1541 წელს დაწყებული ეკლესიის მშენებლობა 1578 წლისათვის დასრულებულია.

რა შეიძლება ითქვას 80-იან წლებში ეკლესიის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე?

1578 წელს ქართლს ოსმალები შემოესივნენ. მათ იტრიის მონასტერი აიკლეს. დოროთეოზი წერს: „მოვიდეს კიდეც ურუმნი და რაც ძალა ჰქონდა (სიმონ მეფეს - თ.ლ.), განწირულის ლაშქრით წინ აღუდგა. ჩემი ეკლესია დამიწვეს და სოფელი ამიოხრეს“.

დოროთეოზი იძულებული გახდა, ერთხელ უკვე დიდი წვალებით აშენებული, მაგრამ ამჯერად ოსმალთა მიერ გადამწვარი ეკლესია, კვლავ აღედგინა და განეახლებინა: „კიდეც ვერ უგულებელს ვყავა ჩემი ნაშრომი მივჰყავ ხელი და აღვასრულე ეკლესია შენობითა“.

„მრავალნი ჭირნი და იწროებანი მამითმენია, ღმერთმან უწყის, არავინ მემართლების, რაც ამ სიგელში დამიწერია, ამის მოშლასა და გაცუდებასა, ამისთვის რომე დიდად მიდწვია და ღვაწლით ამიშენებია“, - აღნიშნავს დოროთეოზი. ეს სიტყვები სავსებით შეესაბამება ეკლესიის მშენებლობის ძნელსა და რთულ გზას.

იტრიის ეკლესიის მშენებლობის დასრულების შემდეგ, როგორც დოროთეოზი აღნიშნავს, „... გარდაჰხდეს ჟამნი რაოდენნიმე, ბატონი გამოეცავა სურამსა მოვიდა მეფეთ-მეფის ბატონის სვიმიონის პირმშო ძე, და ღმრთისაგან შეეყვარებული და საღთო-საკაცობმდი ზნესრული“.

სურამი, ჩანს, რომ ამ დროს უკვე სამეფო ქალაქია და სამეფო კარის წარმომადგენელი განაგებს - ან დედოფალი, ან ბატონიშვილი. სიმონ მეფის ტყვეობაში ყოფნის დროს (1569-1578 წწ.), სურამი საფიქრებელია, რომ სიმონის შემცვლელი ქართლის მეფის დაუთ ხანის ოჯახის წევრის მფლობელობაში იყო. სიმონის ქართლში დაბრუნების შემდეგ კი, სურამი როგორც საუფლისწულო მამული მისი ძის-გიორგი ბატონიშვილის მფლობელობაში გადავიდა, რაზეც მიგვანიშნებს დოროთეოზ კათალიკოსის

სიტყვები: „ბატონი გამოცვალა სურამსა“. დოროთეოზი იქვე მიუთითებს, რომ ეს ახალი ბატონი „მეფეთ-მეფის ბატონის სვიმონის პირმშო მე“ იყო.

დოროთეოზმა სურამის ახალ „ბატონს“ - გიორგი ბატონიშვილს მიმართა თხოვნით, რომ ეკლესიისთვის შესაწირი გაედო: „მათა დავეწუკე მამულსა, რათამცა შეეწირნეს ნიტრიას მონასტრისა და სიონისა ღმრთის - მშობელისათვის“.

გიორგი ბატონიშვილმაც „ისმინა აჯა და მოხსენება“ დოროთეოზ კათალიკოსისა, „გამოიღო მისის ქრისტეს - მოყუარის გულისაგან“ და იტრიის ეკლესიას „შესწირა მისად სადღეგრძელოდ და სასულიეროდ“ მამულები ყმა გლეხებითურთ.

სიგელიდან ირკვევა, რომ იტრიის ეკლესიისათვის გარკვეული შეწირულობა და დახმარება გაუწევია კახეთის მეფეს, ლევანს (1518-1574 წწ.) და მის შვილებს: „კახთ მეფის ლეონის წყალობა და მის შვილთა ბევრი მოვიდა ჩემზედა, საუკუნომცა არს ხსენება და კურთხევა მათი“ (ქსმ, 1970: 356).

დოროთეოზი ხაზგასმით მიუთითებს იტრიის ეკლესიის მშენებლობაში საკუთარ დამსახურებაზე და წერს: „ეს რაც მამული და გლეხნი დამიწერია, ყველა ჩემის მოღვაწეობითა და წირვით მიშოვნია და მიყიდი“.

იტრიის მონასტერი დოროთეოზის დროს მისივე მონდომებით უკვე საკმაოდ მნიშვნელოვანი მამულებისა და ყმა - გლეხობის მფლობელი გახდა.

ამრიგად, 1541 წლის ახლოს დაწყებული იტრიის ეკლესიის მშენებლობა დოროთეოზს 1578 წელს დაუმთავრებია, მაგრამ იმავე 1578 წელს ოსმალებს დაუწვიათ. დოროთეოზ იძულებული გამხდარა დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა და 80-იანი წლების დასაწყისში აღუდგენია მონასტერი.

ახლა, როცა გარკვეულია იტრიის ეკლესიის მშენებლობის თარიღი - 1541-1578 წლები, - შესაძლებელია იტრიის ეკლესიისადმი დოროთეოზის შეწირულობის სიგელის შედგენის თარიღის დადგენაც.

მართალია, დოროთეოზ კათალიკოსის შეწირულობის სიგელს თარიღი არ აქვს, მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, თარიღიანია სიმონ I-ის ვაჟის - გიორგი ბატონიშვილის მიერ იტრიის ეკლესიისადმი მიცემული შეწირულობის სიგელი.

რატომღაც, ამ უკანასკნელს, ყურადღება არ ექცეოდა და მხოლოდ დოროთეოზის სიგელის მეშვეობით მიახლოებით ხდებოდა მისი შედგენის თარიღის დადგენა. მკვლევრები ეყრდნობოდნენ ქართლის მეფის სიმონის შესახებ სიგელში მოთხრობილ ამბებს. კერძოდ, სიგელში საუბარია მის პირველ დატყვევებასა (1569 წ.) და გათავისუფლებაზე (1578 წ.). როგორც ცნობილია, სიმონი მეორედ 1600 წელს იქნა დატყვევებული ოსმალების მიერ და ერთი წლის შემდეგ - 1601 წელს სტამბოლში გარდაიცვალა. ის ფაქტი, რომ დოროთეოზი სიმონის მეორედ დატყვევებაზე სიგელში არაფერს ამბობს, გამოითქვა ვარაუდი, რომ სიგელი მანამდეა შედგენილი. ესე იგი სიგელის შედგენის ქვედა ზღვრად მიიჩნიეს 1578 წელი - სიმონის სპარსელების ტყვეობიდან გათავისუფლება, ხოლო ზედა ზღვრად 1600 წელი - თურქების მიერ მისი დატყვევება. ამრიგად, გამოითქვა ვარაუდი, რომ სიგელი შედგენილია 1578 - 1600 წლებში, სიმონ პირველის სიცოცხლეში. ამის შესახებ ე. თაყაიშვილი ამბობდა: „თარიღი არ აქვს მაგრამ გუჯარი იხსენიებს მეფის სვიმონ პირველის დაბრუნებას ტყვეობიდან და ეჭვს გარეშეა სვიმონ პირველის დროს ეკუთვნის, ესე იგი 1578-1600 წლებს“ (ე. თაყაიშვილი, 1910: 124).

პროფ. ი. დოლიძე სიგელს ათარიღებს XVI საუკუნის ბოლო წლებით (ქსმ, 1970: 352).

„პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ შემდგენლების მიერ იტრიის ეკლესიისადმი დოროთეოზის შეწირულობის სიგელის გაცემის თარიღად 1589-1600 წლებია მიჩნეული (პალ, 1993: 99).

დოროთეოზისა და გიორგი ბატონიშვილის სიგელების შინაარსიდან ჩანს, რომ თავდაპირველად ამ უკანასკნელის სიგელია შედგენილი, რომელსაც თარიღად 1584 წელი უზის. ამის შემდეგ კი დოროთეოზ კათალიკოსის სიგელი უნდა იყოს შედგენილი, რადგან იგი ბატონიშვილის სიგელის მთელ რიგ დეტალებს იმეორებს.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, იტრიის ეკლესიის მშენებლობის დასრულების შემდეგ დოროთეოზმა თხოვნით მიმართა გიორგი ბატონიშვილს ეკლესიისათვის დახმარების გაწევის თაობაზე. ბატონიშვილმაც „ისმინა აჯა და მოხსენება“ დოროთეოზისა და, მართლაც, გულუხვი შესაწირი გაიღო ეკლესიისადმი, რამაც ასახვა პოვა არა მარტო მის მიერ გაცემულ სიგელში, არამედ თითქმის უცვლელად გადავიდა დოროთეოზის სიგელშიც.

გიორგი ბატონიშვილის სიგელში ბევრი ისეთი დეტალია დაფიქსირებული, რომელსაც შემდეგ იმეორებს დოროთეოზი თავის სიგელში. გიორგი ბატონიშვილის სიგელში დაფიქსირებულია არა მარტო მის მიერ შეწირული, არამედ გიორგი IX-ისაგან დოროთეოზის მიერ შეძენილი მამულები, აგრეთვე მისთვის დოროთეოზის მიერ მირთმეული საჩუქრები და სხვა. ე.ი. სანამ დაიწერებოდა დოროთეოზის სიგელი, კიდევ არსებობდა სხვა სიგელი, რომელშიც ყველაფერი ეს იქნებოდა აღნიშნული. ამას

გვაფიქრებინებს ბატონიშვილის სიგელი. შემდეგ კი ყველაფერმა ამან ასახვა ჰპოვა დოროთეოზის შედგენილ სიგელში.

ამჯერად, შევჩერდეთ გიორგი ბატონიშვილისა და დოროთეოზის სიგელების ზოგიერთ მსგავს დეტალზე. გიორგი ბატონიშვილის სიგელში ვკითხულობთ: „მოგუართუა ჩუენ ერთი მძიმე ზარქაშად ნაკერი თორმეტ საუფლო თუალით და მარგალიტით შემკობილი ომფორი... კიდევ მოგვართვა ერთი სახელმწიფო ვერცხლის სურა და ნალბაქი“ (ხეც, Sd-2909).

დოროთეოზის სიგელში ნათქვამია: „ამის ფეშქაშად მიმირთმევია ერთი მძიმე სირმით შეკერული ომფორი, შემკული თვალითა და მარგალიტითა და მისის თორმეტის საუფლოთა, ერთი სახელმწიფო სურა და ერთი ნალბაქი ვერცხლისა, ერთი ნალბაქი კიდევ ვერცხლისა, ერთი ჯამი ვერცხლისა, ერთი დოსტაქანი, ერთი სირაჯული ორხოო, ერთი კარგი ნაქსოვი“ (ქსმ, 1970:356).

მოტანილი ამონარიდებიდან კიდევ ერთხელ კარგად ჩანს, რომ ჯერ გიორგი ბატონიშვილის სიგელია შედგენილი, ხოლო შემდეგ დოროთეოზ კათალიკოსის სიგელი. გიორგი ბატონიშვილიც და დოროთეოზიც ერთსა და იმავე საჩუქრებზე ლაპარაკობს. რაც შეეხება ეკლესიისათვის შენაწირ მამულებსა და გლეხებს, აქაც ორივე სიგელის ტექსტი იდენტურია, ერთსა და იმავე მამულებსა და ყმა გლეხებზეა საუბარი. არის მცირე განსხვავება გიორგი ბატონიშვილთან, კერძოდ, იგი ლუბრუმაში სწირავს გლეხებს, რაც დოროთეოზთან არ არის, არ გვხვდება (გამორჩა?). მაგრამ დანარჩენი ყველაფერი მთლიანად ჰპოვებს ასახვას დოროთეოზის სიგელში.

გიორგი ბატონიშვილი აღნიშნავს: „...არა შეგეცვალოს და არა მოიშალოს... არა ჩვენგან არა შემდგომად ჩვენთა მომავალთა მეფეთა და დედოფალთაგან, არა აბაშიძეთაგან, არა სხვა მეპატრონეთა და ადამის ნათესავისა კაცისაგან...“

აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს აბაშიძეების სიგელში მოხსენიება. რატომ მაინც და მაინც აბაშიძეებზე და არა სხვა თავადებზე ამახვილებს ყურადღებას გიორგი ბატონიშვილი?

ამის მიზეზი თავად ტექსტში უნდა ვეძიოთ. გიორგი იტრიის ეკლესიას სოფელ წიფაში (ხარაგაულის რ-ნი) წირავს გლეხებს - ჟამიერაშვილებს, ქურდაძეებს და სხვებს. ამ დროს წიფა ეკუთვნის აბაშიძეებს. ალბათ, განსაკუთრებულ ყურადღებასაც ამიტომ ამახვილებს მათზე. მეორე წიფა ბაღდადის რაიონშია და იმერეთის თავად ჩხეიძეების მამულს წარმოადგენდა (ო. სოსელია, 1973: 36).

გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ამ დროს რეგიონში უკვე არსებობს აბაშიძეთა სათავადო. იგი მოიცავდა ტერიტორიებს ლიხის აღმოსავლეთ მთისწინეთში, რომელიც შემდეგ ქართლის სააბაშიოს სახელწოდებითაა ცნობილი. არ უნდა გამოირიცხოს ის გარემოება, რომ აბაშიძეებს აუცილებლად ექნებოდათ თავისი ინტერესები შესაბამის რეგიონში, მითუმეტეს, რომ იტრიის მონასტრისათვის შეწირული მამულები აბაშიძეების სათავადოს ესაზღვრებოდა.

როგორც ვხედავთ, გიორგი ბატონიშვილისა და დოროთეოზ კათალიკოსის სიგელებს შორის ბევრი რამ საერთოა. ის „რაც მამული და გლეხნი“ „მოღვაწეობითა და წირვით“ „იშოვნა“ და იყიდა დოროთეოზ კათალიკოსმა, ყველაფერი იტრიის ეკლესიას შეწირა და სიგელში დააფიქსირა. თუ ჯერ არ დაიწერებოდა ბატონიშვილის სიგელი, ისე მისი დეტალები, ცხადია, ასახვას ვერ ჰპოვებდა დოროთეოზის სიგელში. ამრიგად, დოროთეოზის სიგელი შედგენილი უნდა იყოს გიორგი ბატონიშვილის სიგელის შედგენის შემდეგ. კერძოდ, 1584 წლის შემდეგ, მის ახლოს. ამავე პერიოდში უნდა ყოფილიყო დოროთეოზი ქართლის კათალიკოს-პატრიარქიც.

ე. თაყაიშვილი იტრიის შეწირულობის სიგელზე საუბრისას მიუთითებს, რომ მასში „...იხსენიება ქართლის ცხოვრებაში არა ცნობილი კათალიკოსი დოროთეოზ“ (ე. თაყაიშვილი, 1910: 124), სხვას მის შესახებ დიდი მეცნიერი არაფერს ამბობს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ე. თაყაიშვილამდე, ჯერ კიდევ 1881 წელს დ. ფურცელაძემ მიუთითა დოროთეოზ კათალიკოსის შესახებ.

1893 წელს გაზეთ „ივერიაში“ პ. ცხვილოელი პუბლიკაციაში, „კათალიკოზნი საქართველოს ეკლესიისა“, დ. ფურცელაძეზე დაყრდნობით, დოროთეოზის კათალიკოსის ტახტზე ყოფნას 1581-1587 წლებით ათარიღებს, მაგრამ იქვე აღნიშნავს: „ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია ამ სახელით კათალიკოზი. ეკუთვნის დ. ფურცელაძეს“ (გაზ. „ივერია“, 1893, №117).

ამრიგად, პ. ცხვილოელს დოროთეოზის სახელით კათალიკოზის არსებობა „შეცდომად მიაჩნია“ და „თავის დასაზღვევად“ წყაროდ დ. ფურცელაძეს მიუთითებს.

რაც შეეხება დ. ფურცელაძეს.

დ. ფურცელაძე 1881 წელს გამოცემულ წიგნში „Грузинские церковные гуджари (грамоты)“ სხვა ეკლესია-მონასტრებთან ერთად საუბრობს იტრიის მონასტრზეც. 1583 წლის ქვეშ იგი გიორგი ბატონიშვილის იტრიის ეკლესიისადმი შეწირულობის სიგელის შინაარსს გადმოგვცემს. აქვე 1697 წლის (უნდა იყოს 1662 წელი - თ.ლ.) ქვეშ საუბრობს მცხეთის არქიეპისკოპოსის ნიკოლოზ ჩხეიძის მიერ იტრიის ეკლესიაში განხორციელებულ აღმშენებლობით სამუშაოებზე (Пурцеладзе Д.П.; 1881: 37)

დ. ფურცელაძე სხვაგან, 1583 წლის ქვეშ მიუთითებს, რომ ალექსანდრე მეფემ დოროთეოზ კათალიკოსთან უჩივლა მცხეთის ეკლესიას დავით გარეჯის მამულის შემოსავლის ნახევარზე (Пурцеладзе Д.П.; 1881: 107)

ჩვენ საკითხის გარკვევაში დ. ფურცელაძის სწორედ ამ ცნობას, – ალექსანდრე კახთა მეფის მიერ დოროთეოზ კათალიკოსთან 1583 წელს დავით გარეჯის მონასტრის მამულის შემოსავალთან დაკავშირებით ჩივილს, – ვანიჭებთ გადამწყვეტ მნიშვნელობას. დ. ფურცელაძის მიერ დამოწმებული წინა ორი დოკუმენტი ცნობილია, რაც შეეხება ამ დოკუმენტს, ჩვენთვის არა მარტო უცნობია, არამედ ყურადღებაც არავის მიუქცევია მისთვის. იგი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის დოროთეოზის კათალიკოსის ტახტზე ყოფნის შესახებ და გვეხმარება თარიღის დადგენაშიც. ჩვენ ხელთ გვაქვს ორი დათარიღებული დოკუმენტი – ალექსანდრე კახთა მეფის საჩივარი (1583 წ.) დოროთეოზ კათალიკოსისადმი და გიორგი ბატონიშვილის სიგელი (1584 წ.). ამ ორ დოკუმენტს ემატება იტრიის ეკლესიისადმი თავად დოროთეოზის შეწირულობის სიგელი.

ქართული საისტორიო მწერლობა უკანასკნელ დრომდე ორ დოროთეოზს იცნობდა. ბოლო წლებში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ არის მესამე დოროთეოზიც. ერთი, დოროთეოზ I, XIV საუკუნეში, 1350-1356 წლებში იყო ქართლის კათალიკოსი. მეორე დოროთეოზი, XVI საუკუნის 10-იან წლებში, დავით X-ის მეფობის დროს – 1503-1505 და 1511-1516 წლებში მოღვაწეობდა ქართლის კათალიკოსის ტახტზე. რაც შეეხება მესამე დოროთეოზს, კათალიკოსის ტახტზე მისი მოღვაწეობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში ერთიანი აზრი არ არის და სხვადასხვა თარიღებს ასახელებენ.

მკვლევარი ე. კაჭარავა მიიჩნევს, რომ იგი ქართლის კათალიკოსია 1589-1595 წლებში (საქართველოს..., 2000: 101-102).

ამავე წლებით ათარიღებს დოროთეოზ III-ის კათალიკოსოს-პატრიარქობას რ. მეტრეველი. იგი აღნიშნავს, რომ დოროთეოზ III-ის კათალიკოსობა სვიმონ I-ის მეფობის თანადროულია, დაახლოებით 1589-1595 წლები (რ. მეტრეველი, 2010: 93).

საქართველოს ეკლესიის 1976 წლის კალენდარში მიუთითებენ – 1592-1599 წლებს (საქართველოს..., 1976: 280).

„პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ შესაბამის ტომში მითითებულია, რომ დოროთეოზი ქართლის კათალიკოს-პატრიარქია 1584–1600 წლებში (პალ, 1993: 99). მკვლევარი ბ. ლომინაძე დოროთეოზის კათალიკოსის ტახტზე ყოფნის წლებს სიმონ I-ის მეფობის პერიოდით (1656–1600) შემოსაზღვრავს (ქსე, 1978: 626).

ასეთივე დათარიღებას ვხვდებით „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ (საქართველოს..., 2007: 268).

ამრიგად, XVI საუკუნეში ქართლის კათალიკოს-პატრიარქის ტახტზე ორი დოროთეოზი ჩანს. ერთ დოროთეოზს საუკუნის დასაწყისში უხდება მოღვაწეობა, ხოლო მეორეს საუკუნის ბოლოს.

დოროთეოზ II-ის შესახებ ქართულ საისტორიო მწერლობასა თუ ლიტერატურაში ცნობები მოგვეპოვება. ვახუშტის მიხედვით, ... გარდაიცვალენ კათალიკოზნი დავით მეფის ჟამსა შინა აბრაამ და ბასილ და დასუა ამან მეფემან დოროთეოზ“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 387).

ეს უნდა ყოფილიყო დავით X-ის შვილი დიმიტრი. ერთ-ერთ ხელნაწერში ნათქვამია: „დავით მეფე, ამისი ძე დიმიტრი კათალიკოსი ყოფილა დოროთეოზ. ქს სდ“ (ხეც, Hd-13315). ქორონიკონი „სდ“ (204) ემთხვევა დოროთეოზის კათალიკოსად ყოფნის პერიოდს (1312+204=1516)

იმავე ვახუშტის მიხედვით, დოროთეოზი გიორგი IX-ის დროს (1524-1527 წწ.) გარდაიცვალა: „მოკუდა კათალიკოზი დოროთეოზ და დასუა მეფემან ძმა თვისი მელქისედეკ“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 400).

დოროთეოზს II-ზე უნდა იყოს საუბარი 1616-1635 წლებით დათარიღებულ ბასილ კათალიკოსის მცხეთის საყდრის შვილებისათვის მიცემულ წყალობის წიგნში და ჩანს, რომ იგი გარდაცვლილია. „მას ჟამსა, როდესაც კურთხეულსა კათალიკოზ დოროთეოზს თქუენთვის დიდკართა ორის დღის მიწა წაეღო ... და საბაღჩავედ და სანაცვლოსა ისიც დაგპირებოდა“ (ქსმ, 1970: 256-257).

უკანასკნელ პერიოდში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საისტორიო ლიტერატურაში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ XVI საუკუნის 80-90-იან წლებში ქართლის კათალიკოს-პატრიარქის ტახტზე კიდევ ერთი დოროთეოზია. ეს მოსაზრება იტრიის ეკლესიისადმი დოროთეოზისა და გიორგი ბატონიშვილის შეწირულობის სიგელებს ეფუძნება. ორივე სიგელი უტყუარია და დაეჭვების საფუძველს არ იძლევა.

XVI საუკუნის 80-იან წლებში სავსებით რეალურად ჩანს, რომ ქართლის კათალიკოს-პატრიარქის ტახტზე არის დოროთეოზ III. ეს ნაკლებ სავარაუდოდ მიგვაჩნია 90-იან წლებში.

მაგრამ იმავე 80-იან წლებში კათალიკოსის ტახტზე სულ სხვა პირები ჩანან. მკვლევარ ბ. ლომინაძის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1561–1584 წლებში ნიკოლოზ VI (VII) არის (ქსე, 1984: 433).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით „ქორონიკონსა სოზ (1584) მიიგვალა ბარათაშვილი, კათალიკოზი ნიკოლოზ, და ნებითა და ბრძანებითა კათალიკოს იქმნა ძე კახთა მეფისა ლეონისა ფეხერვალსა კა დღესა შაბათს“.

ამრიგად, კათალიკოს ნიკოლოზ VI (VII)-ის გარდაცვალების შემდეგ კათალიკოსი ხდება კახეთის მეფის ლეონის შვილი – ნიკოლოზ VII (VIII).

ბ. ლომინაძის მიხედვით, ნიკოლოზ VII (VIII) ქართლის კათალიკოს-პატრიარქია 1584–1589 წლებში (ქსე, 1984: 433).

თანადროული თუ შემდგომი პერიოდის ისტორიული წყაროები, XVI საუკუნის 80-90-იან წლებში ქართლის კათალიკოსის ტახტზე დოროთეოზის სახელით არავის იცნობს. მხოლოდ გიორგი ბატონიშვილის და თავად დოროთეოზის სიგელებშია დადასტურებული მისი კათალიკოსად ყოფნის ფაქტი. ამასვე გვიდასტურებს დ. ფურცელაძის ცნობაც.

მაინც როდის უნდა ყოფილიყო დოროთეოზი ქართლის კათალიკოს-პატრიარქი?!

როცა 1584 წელს გიორგი ბატონიშვილი იტრიის ეკლესიისადმი შეწირულობის სიგელს წერდა, ჩანს, რომ დოროთეოზი კათალიკოსის ტახტზე არის. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ გიორგი რატომ მოიხსენიებდა მას კათალიკოს-პატრიარქად? იგი გარკვევით წერს: „...მოვიდა წინაშე ჩუენსა ჩუენი მაკურთხეველი ქართლის კათალიკოს-პატრიარქი დოროთეოზ, გუეაჯა რათა მამულნი შეგუეწირნეს... მონასტრისათვის“ (ხეც, Sd-2909).

აგრეთვე, როცა დოროთეოზი იტრიის ეკლესიისადმი შეწირულობის სიგელს ადგენდა, ასევე გარკვევით ჩანს, რომ იგი კათალიკოს-პატრიარქია: „ჩუენ ქრისტეს ღმრთის მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქმან დოროთეოზ ვიგულე და ვიგულსმოდგინე და დავენუე მეფეთ მეფესა გიორგის, მოგვიბოძა და მოგვიცა სურამის პირსა სოფელი ნიტრია ...“ (ქსმ, 1970: 353).

სხვაგან, ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით, დოროთეოზი არ ერიდება იმის აღნიშვნასაც, რომ იგი რაღაც პერიოდი ეკლესიიდან განკვეთილია და ამის თაობაზე წერს: „... ამისთანა პატიოსანი თვალთშეუდგამი მონასტერი ამიშენებია ჩემს ექსორიობაში“ (ქსმ, 1970: 353).

რა შეიძლება, ითქვას ამის შესახებ ?

გიორგი IX-ის დროს, რა თქმა უნდა, კათალიკოს-პატრიარქის ტახტზე დოროთეოზია, მაგრამ არა დოროთეოზ III, არამედ დოროთეოზ II, რომელიც გიორგი IX-ის დროსვე, ვახუშტის ცნობით, გარდაიცვალა კიდეც. ამასვე გვიდასტურებს ბასილ კათალიკოსიც.

რაც შეეხება იტრიის ეკლესიის ამშენებელ დოროთეოზს, იგი უნდა ვიფიქროთ, რომ მაღალი წოდებს წარმომადგენელია. ამავე დროს, სამეფო კართან დაახლოებული პირიც არის. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ალბათ, გიორგი IX არანაირი „დიდის ფასით“ უბოძებდა თუ მიყიდდა „სურამის პირსა“ სოფელ ნიტრიას. მისი შეწირულობის სიგელი საშუალებასაც გვაძლევს, გამოვთქვათ ვარაუდი, რომ იმ დროს, როცა იგი სოფელ იტრიას ყიდულობდა, საეკლესიო იერარქიაში მას რაიმე მნიშვნელოვანი ადგილი არ უნდა სჭეროდა. შემდგომ შესაძლებელია მან ამ სფეროში მაღალ ხარისხსაც მიაღწია, თუმცა ეკლესიის მშენებლობის დროს იგი ეკლესიიდან გამევეებულია (ექსორიაქმნილია). რა მიზეზით, ცხადია, ჩვენთვის უცნობია. ამის შესახებ არც სიგელი გვეუბნება რამეს. შემდეგ ჩანს, მან კვლავ მოახერხა ეკლესიის წიაღში დაბრუნება და მოგვიანებით კათალიკოს-პატრიარქის ტახტზეც შეძლო ასვლა.

ამრიგად, დოროთეოზის იტრიის ეკლესიისადმი შეწირულობის სიგელი შედგენილი უნდა იყოს 1584 წლის შემდეგ, ახლო პერიოდში. ამავე პერიოდში, 80-იანი წლების შუა ხანებში - 1583-1585 წლებში ქართლის კათალიკოს-პატრიარქის ტახტზე უნდა ყოფილიყო დოროთეოზ III. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ, დ. ფურცელაძის მიხედვით, 1583 წელს ალექსანდრე კახთა მეფე დოროთეოზთან ჩივის დავით გარეჯის მონასტრის მამულის შემოსავალთან დაკავშირებით, ამ აზრს განამტკიცებს.

მართალია, ამავე პერიოდში ქართლის კათალიკოს-პატრიარქები არიან ნიკოლოზ VI და ნიკოლოზ VII, მაგრამ არ გამოვრიცხავთ ვარაუდს, რომ დოროთეოზი მათ შორის, მცირე ხნით 1583-1585 წლებში ზის კათალიკოს-პატრიარქის ტახტზე.

სხვაგან ნამდვილად ვერ გამოვუმეზნეთ ადგილი დოროთეოზ III-ს კათალიკოსების რიგში. აქ გათვალისწინებული უნდა იყოს მისი ასაკი, ფიზიკური მდგომარეობა, ქმედითუნიანიობა და სხვა მომენტები. როცა იგი იტრიას ყიდულობდა, ნამდვილად არ იქნებოდა პატარა ასაკის, მით უფრო 80-იან წლებში, როცა იგი კათალიკოს-პატრიარქად ჩანს. ამიტომ მისი კათალიკოსად ყოფნა, მცირე ხნით მაინც, ან თუნდაც თანადროულად, მხოლოდ 80-იანი წლების შუა ხანებში მიგვაჩნია რეალურად და არა 90-იან წლებში.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დოროთეოზ III მის მიერვე აშენებულ იტრიის ეკლესიაში უნდა იყოს დაკრძალული, რაზეც უნდა მიგვანიშნებდეს მისი შემდეგი სიტყვები: „ჩემთვის და ჩემის სახლისათვის სასაფლაოდ, სამამულოდ და სამკუიდროდ ამიშენებია.“

იტრიაში დამკვიდრებულმა ჩხეიძეებმა სათანადო ყურადღება მიაქციეს ღვთისმშობლის მიძინების სამონასტრო კომპლექსს, რომელიც საკმაოდ დაზიანებული ყოფილა. მათ იზრუნეს არა მარტო მონასტრის აღდგენა-განახლებაზე, არამედ მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზეც.

XVII საუკუნის 40-იანი წლებისათვის იტრიის ეკლესია საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ყოფილა და ჩხეიძეებს, მთავარეპისკოპოს ნიკოლოზ ჩხეიძის სიგელის თანახმად, მნიშვნელოვანი აღდგენითი და საამშენებლო სამუშაოები ჩაუტარებიათ. ამ დროს აუშენებიათ სიჩდო, აღუდგენიათ სამრეკვლო, გალავანი, სენაკები და სხვა.

XVII-XVIII საუკუნეების განმავლობაში იტრიის ეკლესია ყურადღების ცენტრშია, როგორც ქართლის სამეფო კარის, ასევე ჩხეიძეების მხრიდან. ისინი ეკლესიას მნიშვნელოვან მატერიალურ თუ სხვა სახის დახმარებას უწევენ, უწესებენ მთელ რიგ შეღავათებს და სხვა.

ჯერ კიდევ 1584 წელს გიორგი ბატონიშვილმა გარკვეული შეღავათები დაუწესა იტრიის ეკლესიას.

1633 წელს როსტომ მეფე (1632-1658 წწ.) იმავე წყალობას უმტკიცებს იტრიის ეკლესიას, რაც გიორგი ბატონიშვილმა უბოძა და სიგელს შემდეგ მინაწერს უკეთეს: „რარიგადაც ეს სიგელი და გუჯარი პირველად ჩვენ ჩამომავალთ ხელმწიფეთ შეუწირავთ და დაუდებია, ჩვენც ასრე დაგვიმტკიცებია, განგვითავებია, ნურა კაცი ნუ ეცილებით“ (ხეც, Sd-2909).

XVII-XVIII საუკუნეებში მნიშვნელოვნად გაიზარდა იტრიის ეკლესიის მიწის მფლობელობაც. იგი საკმაოდ დიდი მამულების მფლობელი ხდება ხაშურის რეგიონში და არა მარტო აქ, იმერეთშიც, ლიხის ქედზე მდებარე სოფლებში, მაგალითად, სოფელ წიფაში და სხვაგან.

1645 წელს იტრიის ეკლესიას როსტომ მეფემ შეწირა სოფელი ჩუმათელეთი (ე. თაყაიშვილი, 1910: 129-130).

როსტომ მეფის მსგავსად იტრიის ეკლესიას გლეხები შეწირეს აქ ახლადდამკვიდრებულმა ჩხეიძეებმაც.

XVII საუკუნის დასასრულს იტრიის ეკლესია მიწების მფლობელი ხდება მდინარე ტილიანას აუზში.

1693 წელს ქაიხოსრო ბატონიშვილი იტრიის ღვთისმშობლის ეკლესიის დეკანოზს ლუბრუმში წირავს ოთხი დღის მიწას (ე. თაყაიშვილი, 1910: 28-29).

1700 წლის 12 აპრილს ამჯერად ერეკლე I-ის მეუღლე, დედოფალი ანა იტრიის ეკლესიას სოფელ ლუბრუმში კიდევ სწირავს მიწებს (ე. თაყაიშვილი, 1910: 131-132).

1726 წელს იესე მეფის მეუღლეს – ელენეს, ანა დედოფლის სიგელი განუახლება: „ჩვენ დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ელენე ეს ბატონის დედის ჩვენისაგან შეწირული თორმეტი დღის მიწა ჩვენც ასრე შემოგწირეთ და დაგიმტკიცეთ“ (ე. თაყაიშვილი, 1910: 131-132).

1777 წლის 22 ივლისს დავით ჩხეიძის მეუღლემ ელისაბედმა, ათაბეგ მელიქიშვილის ასულმა იტრიის ეკლესიას შეწირა „...ერთი კომლი... მზითვის ნასყიდი კაცი, ულუმბელაშვილი პაატა თავის შვილითა და სახლეულითა თვისითა“ (ე. თაყაიშვილი, 1910: 132).

1836 წელს ზემო ჭალელმა აბაშიძეებმაც დაუბრუნეს იტრიის ეკლესიას ჩხეიძეებისგან ნაყიდი მამული ჭალაზე, აგრეთვე შეწირეს თავიანთი მამულის მესამედი (ე. თაყაიშვილი, 1910: 133)

ამრიგად, თუ გადავავლებთ თვალს იტრიის ეკლესიის მამულებს, რომლებიც მას გააჩნდა დღევანდელი ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე, დავრწმუნდებით, რომ ის საკმაოდ მნიშვნელოვანი მამულების მფლობელია.

იტრიის ეკლესია დროთა განმავლობაში ჩხეიძეთა საძვალედ გადაიქცა. აქ იკრძალებოდნენ ამ გვარის წარმომადგენლები. აქ არიან დაკრძალულები ქართლში ჩხეიძეთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი ფუძე-ჩამყრელი ბექან ჩხეიძე, ქართლისა და თბილისის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩხეიძე, ქართლის სამეფოს მოლარეთუხუცესი და ცნობილი ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე და სხვები.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება. ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1976, გვ 377.
2. ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტომი III, ტფ. 1910.
3. თედო ჟორდანია, ქრონიკები, II, გამოსაცემად მოამზადა მანანა ჭუმბურიძემ, თბ. 2018.
4. ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ. 1980.
5. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, თბ. 1970.

6. ჰასან რუმელუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურძემ, თბ. 1966.
7. პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI–XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტ. II, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, თბ. 1993.
8. ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ–პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), წიგნი I, თბ. 1973.
9. გაზ. „ივერია“, 1893, № 117, 6 ივნისი.
10. Пурцеладзе Д. П. Грузинские церковные гуджари (грамоты), Тиф. 1881.
11. საქართველოს კათალიკოს–პატრიარქები, თბ. 2000.
12. ვ. ბერიძე, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. 1, ტ. 2, თბ. 2014
13. ვ. ბერიძე, XVI–XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ. 1994
14. რ. მეტრეველი, საქართველოს მეფეები და პატრიარქები, თბ. 2010.
15. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1976 წლისათვის, თბ. 1976.
16. თ. ლაცაბიძე, სურამისა ციხე, თბ. 2003
17. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბ. 1978.
18. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, თბ. 1984.
19. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ–შემდგენელი ენრიკო გაბიძაშვილი (ხელ–ელი), მაია მამაცაშვილი, ანა ღამბაშიძე, თბ. 2007.
20. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ. 1990

Tamaz Latsabidze

Samtskhe-Javakheti State University

ITRIA MONASTERY OF THE ASSUMPTION - THE CRYPT OF KARTLI'S CHKHEIDZES RESUME

The Assumption Monastery of the Virgin of Itria is located near Suram, in the eastern foothills of the Likha Range. Here, as soon as the Chkheidzes' small nobility originated, the monastery became their shrine.

From the surviving documents about the monastery, the documents of Dorotheos the Catholicos and Giorgi Batonishvili turns attention. The deed of Dorotheos the Catholicos is undated. The deed of Giorgi Batonishvili (1584) is dated, which must be chronologically preceded by the deed of Dorotheos, as the latter repeats a number of details of the deed of Giorgi Batonishvili. Based on them, it is possible to find out a number of issues. In particular, it is determined that Dorotheos the Catholicos built the Church of the Assumption of the Virgin in 1541-1578. His deed must be drawn up after 1584, not later than 1585. Georgian historical science names different years of Dorotheos as a Catholic. These documents and other documents also make it possible to determine the period of Dorothea's stay as a Catholic. He should have been the Catholicos-Patriarch of Kartli in 1583-1585.

Kartli Chkheidze House paid great attention to the monastery. They managed to renovate it and in the XVII-XVIII centuries it is one of the important religious centers of late Zemo Kartli. Over time, the church became a crypt of the Chkheidzes. The Archbishop of Kartli and Tbilisi Nikoloz Chkheidze, the Treasurer of the Kingdom of Kartli and the famous historian Sekhnia Chkheidze and others are buried here.

ქართული პიკარესკას სტილისტური და ენობრივი თავისებურებები

ისტორიულად პიკარესკული რომანის ჟანრის ნორმატიულ ენას წარმოადგენდა ნარატიული ფორმა, რომელშიც დაცული იყო ავტორისა და ნარატორის დიალოგური თანაფარდობა. ამავდროულად, აღნიშნულ ფორმაში, როგორც წესი, წარმოდგენილი იყო დემოკრატიული ფენებიდან გამოსული პიკაროს სტილიზებული, თეატრალურად იმპროვიზირებული მონოლოგი. პიკარესკას ჟანრისთვის დამახასიათებელმა სოციალურმა და ლიტერატურულმა სიტყვათა მრავალფეროვნებამ, ეპოქის ენისა და ფოლკლორის პარადიულმა და ტრავესტირებულმა ობიექტირებამ, მასხრულმა თვითრეკომენდაციამ და თვითგამომჟღავნებამ, განაპირობა ტექსტში გამოყენებული სიტყვის პოლიფონიური ჟღერადობა (სტილიზებული, პარადიული, ირონიული). პიკარესკას „დაბალი“ დემოკრატიული სტილი გულისხმობდა ხალხური, დიალექტიკური და ჟარგონული ლექსიკის ფართოდ გამოყენებას.

დროთა განმავლობაში პირველ პირში მიმდინარე თხრობის ფორმამ („სავარაუდო ავტორობა“) ტრანსფორმაცია განიცადა და გადავიდა ობიექტირებულ ავტორისეულ ნარაციაში, რასაც მოჰყვა ზემოაღნიშნული სამეტყველო თხრობითი ფორმის კომპონენტების გადასვლა მთხრობელის/ნარატორის სიტყვაში. ამავდროულად, აღნიშნული თხრობითი ფორმის კომპონენტები უცვლელი დარჩა პიკარესკული გმირის ინდივიდუალიზებულ მეტყველებაშიც. ლოგიკურია კითხვის დასმა, თუ რა სტილისტურ და ენობრივ თავისებურებებს ავლენს გასული საუკუნის ქართული პიკარესკა; როგორ არის მასში წარმოჩენილი პერსონაჟისა და ავტორი-ნარატორის ურთიერთმიმართება; როგორ ხდება დიალოგისა თუ მონოლოგის მეშვეობით პერსონაჟთა ინდივიდუალიზაცია და ავტორის ფილოსოფიური კონცეფციის წარმოჩენა.

ზოგადად, ლიტერატურის თეორეტიკოსები არ დავობენ, რომ მწერლის ენა და ლიტერატურული სუბიექტის მეტყველება საინტერესოა არა მხოლოდ თხრობის/ნარაციის გადმოცემისა და პერსონაჟთა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, არამედ წმინდა ექსპრესიული ასპექტითაც. საინტერესოა, რომ აღნიშნულ საკითხებს ქართულ სალიტერატურო კრიტიკაშიც დაეთმო ადგილი. მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ სტილი იმთავითვე სადავო თემად იქცა. რომანის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ, 1925 წელს ბესარიონ ჟღენტმა ჟ. „მნათობში“ (№2) დაბეჭდა წერილი, რომელშიც მიმოხილული იყო წინა წლის სალიტერატურო სიახლეები, მათ შორის, ჩვენთვის საინტერესო რომანიც. კრიტიკოსმა იგი „სეზონის მოვლენად“ მიიჩნია, თუმცა კრიტიკული შენიშვნებიც გამოთქვა. უპირველეს ყოვლისა, მას არ მოეწონა რომანის სტილი; მისი აზრით, „კვაჭი კვაჭანტირაძე“ დატვირთულია აღწერილობითი ლაფსუსით, მასში ხშირია „...წვიმა, რომელიც შეიძლება არც მოსულიყო“.

„კვაჭი კვაჭანტირაძის“ სტილური თავისებურებების განხილვამდე აღვნიშნავდით, რომ ზოგადად, მწერალი ძალზე ფაქიზად უდგებოდა ენისა და სტილისტიკის საკითხებს; ამას მოწმობს არაერთი წერილი, რომელშიც განხილულია მწერლის მოსაზრებანი სალიტერატურო ენაში არქაიზმების, ბარბარიზმების, ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების ხმარებასთან დაკავშირებით. ცნობილ წერილში „როგორ ვმუშაობ“ მ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „ნაპოლეონი ამბობდა: ომის მოსაგებად ჯერ ფულია საჭირო, მერმე ფული და ბოლოს ისევ ფულიო. მეც ვიტყვი: სალიტერატურო გამარჯვებისათვის ჯერ კარგი ქართულია საჭირო, მერმე კარგი ქართული და ბოლოს ისევ კარგი ქართული“ [ჯავახიშვილი, 1964:392]. მიგვაჩნია, რომ გასაანალიზებელ რომანში მწერლის „კარგი ქართული“ თავს იჩენს, ერთი მხრივ, მისი, როგორც ნარატორის თხრობაში და, მეორე მხრივ, იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი თავისი მხატვრული წარმოსახვის რეალიზებას მთლიანად ლიტერატურულ სუბიექტებს ანდობს. ორივე შემთხვევა მიემართება მრავალფეროვანი ხასიათების შექმნას, რაც ნაწარმოების მხატვრული სამყაროს პოლიფონიურობის სრულყოფილად გადმოცემას ემსახურება.

მ. ჯავახიშვილი „კვაჭი კვაჭანტირაძეში“ განსხვავებულ მხატვრული ხერხებს იყენებს: ავტორისეულ პერსონალურ თხრობას, „ავტორის ნიდაბს“, დიალოგს, როგორც პერსონაჟთა ინდივიდუალიზაციის ხერხს, პერსონაჟის დიალოგურ მეტყველებას, როგორც ავტორის ფილოსოფიური კონცეფციის პრეზენტირების საშუალებას, მონოლოგურობას, როგორც პერსონაჟის შინაგანი სამყაროს წარმოჩენის საშუალებას და სხვა. აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობისას, ჩვენ ძირითადად დავეყრდნობით მ. ბახტინის დიალოგურობისა და პოლიფონიურობის თეორიას, რომლის თანახმად, სხვადასხვა სიტუაციაში ერთსა და იმავე გამონათქვამს, შესაძლოა, განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს; რომ სხვადასხვა სოციოლექტთა და მათ მიერ წარმოდგენილ მსოფლხედვათა „მეხვედრის“

შედეგად წარმოიქმნება დიალოგურობა, ანუ ურთიერთქმედება განსხვავებულ კონტექსტს, განსხვავებულ პოზიციას, გაგების სხვადასხვა ჰორიზონტს, თვითგამოხატვის განსხვავებულ აქცენტებსა და სხვადასხვა სოციოლექტებს შორის [Бахтин (ელექტრონული რესურსი)].

მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“ პერსონაჟთა მრავალფეროვანი გალერეით გამოირჩევა, რომელშიც განსხვავებული სოციალური ფენებია წარმოდგენილი. ლიტერატურული სუბიექტების მრავალფეროვნების, მათი პოლიტიკური, ეთიკური და მორალური ღირებულებების განსხვავებული ასპექტების სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით მწერალი მიმართავს როგორც მონოლოგურობის, ასევე დიალოგურობის რეჟიმს. უპირველეს ყოვლისა შევნიშნავთ, რომ მწერლის მიერ შექმნილი პერსონაჟები, უმეტეს შემთხვევაში, მათი სოციალური წრისთვის დამახასიათებელი ლექსიკით მეტყველებენ. ასე, კვაჭისა და მისი ახლობლების - სილიბისტროს, პუპის, ნოტიოს, ჭიპის და სხვ. - მეტყველებაში ცხადად იჩენს თავს იმერული დიალექტიზმები; მაგ., ამგვარად ჟღერს კვაჭისა და სილიბისტროს „შეგონებანი“: „აქინე ჩვენ კისერს მევიტებთ... თუ შენობა გეიზარა, იქინე დგომა აღარ შეიძლება. აწი სამსახურის დრო დადგა. ვინ იცის, იქნება იქინე სჯობდეს სამსახურს შევაფაროთ თავი“ [ჯავახიშვილი, 2006:225]; „ყური მიგდეთ, გეიგონეთ და დეიხსომეთ: ძალიანაც რო გეიკვიროთ რამე, გაკვირვებას ნუ შეიმჩნევთ, თვარა გამოუცდელიობას შეგატყობენ და დაგცინებენ ან ხრიკს მოგდებენ. თუ ლაპარაკი ჩამოვარდა სადმე, სთქვით, ტფილისშიაც ვყოფილვარ-თქვა, ერთი წელიწადი მიცხოვრია-თქვა, ყოლიფერი მინახავს-თქვა, გამიგია და მიცთია-თქვა“ [ჯავახიშვილი, 2006:15].

რომანში განსხვავებულ სოციალურ წრეს წარმოადგენენ ბაგრატ დავითაშვილი, ელენე და ალექსი ირემადეები, ექიმი შაბაშვილი, ინსპექტორი ჯავახიშვილი და სხვ., რომლებიც, შესაბამისად, დარბაისლურ ქართულზე მეტყველებენ. მაგ., ალექსი ირემადე თავის ქალიშვილს ამგვარად უყვება ციხეში გაცნობილ კვაჭიზე: „შვილო, ერთი ღვთისწიერი ადამიანი უნდა ვიხსნათ სიკვდილისგან. ჩვენს სილოვანს გულითადი მეგობარი ჰყოლია... ხუთი წელიწადი ერთად უცხოვრიათ მოსკოვში, საპყრობილეში და ციმბირში. იმ კვაჭანტირაძეს ჩვენი სილოვანი მრავალჯერ დაუხსნია დიდი ხიფათისგან... პატიოსანი და ღვთისწიერი ადამიანია. კარგად დამიგდე ყური, შვილო! თუ ვინცობაა გკითხოს ვინმემ, უთხარი ვიცნობ-თქო“ და ა.შ. [ჯავახიშვილი, 2006:271]. შევნიშნავთ, რომ ამავე სოციოლექტს მიემართება ავტორის დარბაისლური (ხშირად, ირონიით გაჯერებული) ხმა.

პერსონაჟთა სულიერი სამყაროს, აზრების, გრძნობების, განცდების წარმოსაჩენად მ. ჯავახიშვილი აქტიურად მიმართავს როგორც დიალოგის, ასევე მონოლოგის ხერხს; განსხვავებასთან ერთად (მონოლოგში ერთი ხმა ისმის, ხოლო დიალოგი პოლიფონიური ჟღერადობისაა, მასში რამდენიმე განსხვავებული ხმა ისმის), დიალოგი და მონოლოგი საერთო ნიშნებსაც ამჟღავნებს; კერძოდ ორივე შეიცავს ადამიანის ხმას, ადამიანურ გრძნობებს, ემოციებს. მაგ., ზემოთ მოყვანილ მაგალითში აშკარად გამჟღავნებულია ემოციური ფონი; ისმის ალექსის ხმა, რომელიც არგუმენტირებულად ცდილობს დააჯეროს ქალიშვილი, რომ კვაჭის დახმარების ხელი გაუწოდონ.

აღსანიშნავია, რომ მ. ბახტინი მონოლოგურობისა და დიალოგურობის პრინციპებზე მსჯელობისას (ძირითადად, დოსტოევსკის რომანებზე დაყრდნობით) შენიშნავდა, რომ პერსონაჟის შეცნობა, მისი გრძნობებისა და მისწრაფებების გაგება ნეიტრალური კუთხიდან შეუძლებელია; ავტორმა უნდა „აიძულოს“ იგი, რათა თავად გაიხსნას; ეს კი მხოლოდ დიალოგის გზით არის შესაძლებელი. მ. ბახტინის თანახმად, ადამიანის/პერსონაჟის ხასიათის შესაცნობად მას სხვა ადამიანებთან კომუნიკაციისას უნდა დავაკვირდეთ; ანუ, ადამიანი დიალოგში წარმოჩინდება/გაიხსნება როგორც საკუთარი თავის, ისევე სხვების წინაშე. ამავედროულად, რომანის პოლიფონიურობა სწორედ დიალოგის საშუალებით მჟღავნდება, რადგან სხვადასხვა ხმა გვესმის. ამგვარად, ბახტინისთვის დიალოგი არის თვითმიზანი - როგორც საშუალება და ხერხი [Бахтин 1978:246]. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ეპიზოდს, რომელიც ციხის საკნიდან ალექსი ირემადის გათავისუფლების ეპიზოდს მიემართება: „უცებ კარების რახარუხი მოისმა. ყველამ ყური სცქვიტა.

- ალექსი ირემაზე!
- აქა ვარ! აქ არის! -ზღეს!
- Вылетай!

ყველანი დაფაცურდნენ.

- ბიძია, შენი იმედით ვრჩები, მხოლოდ შენი იმედით...

- ჰო შვილო, ჰო! არხეინად იყავი. პირობას შეგისრულებ. მშვიდობით იყავი, ჩემო კვაჭი!

მშვიდობით, ჯალილი!

- მშვიდობით, მშვიდობით. ჯალილი, ვუშველოთ. ფრთხილად, ბიძიაჯან, ორმოში არ ჩავარდე, თორემ დავიღუპებით...<...> მშვიდობით! - ერთხელ კიდევ ამოიკვნესა კვაჭანტირაძემ და ტუჩები ალექსის ხელს მიადო.

- მშვიდობით, ბიზია... არ დაგავიწყდეს: ყუბის ქუჩა, მაჰმად ემინ ოღლის... ჯალილა ზალიან ავად არის.

- Ну вылетай! Чаво еще там разслюнились-то! - აბა გამოფრინდი! რას აწუწუნებულხართ!

- მოვდივარ, ამხანაგო, მოვდივარ“ [ჯავახიშვილი, 2006:271].

აღნიშნულ ეპიზოდში ოთხი ხმა ისმის:

✓ *ციხის ზედამხედველის*, რომელიც აშკარად მაჟორულ განწყობაზეა (Ну вылетай!); სავარაუდოდ, მას სიამოვნებს პატიმრებთან სასიხარულო ინფორმაციის მიტანა;

✓ *ალექსი ირემადის* - რომელიც სიხარულით ტოვებს ციხის კედლებს და ცდილობს კვაჭისა და ჯალილას გამხსენებას;

✓ *კვაჭისა და ჯალილას* სასოწარკვეთილი ხმები, რომელთათვისაც ალექსი ირემადე არსებული სიტუაციიდან თავის დაღწევის ერთადერთი იმედი; ამაზე მეტყველებს კვაჭის ჟესტიკი - ალექსის ხელზე ამბორი.

როგორც ცნობილია, მხატვრული დიალოგი წარმოადგენს კომუნიკაციის ფორმას, რომელიც გულისხმობს ორ ან მეტ ლიტერატურულ სუბიექტს აზრთა ურთიერთგაცვლის, აპოდიქტიკური ან ერისტიკული დისკუსიის, ყოფიერების თავისებურებების ფიქსაციისას. ლიტერატურული სუბიექტის დიალოგში მონაწილეობა მის ინდივიდუალობაზე მეტყველებს და, ამავდროულად, მწერალს საშუალებას აძლევს, მისი მსოფლმხედველობის, ორიგინალური კონცეფციის, მიმდინარე მოვლენებისადმი განსხვავებული/ახლებური ხედვის წარმოჩენისა. ამასთან ერთად, დიალოგში აისახება მონაწილეთა ინტელექტუალური განვითარების დონე, მათი პრიორიტეტები, მსოფლალქმის თავისებურებანი. ამდენად, მწერალი ცდილობს თავისი გმირი/გმირები სხვადასხვა სიტუაციაში წარმოაჩინოს, განსხვავებული სოციალური წრის ადამიანებს დაუკავშიროს. მაგ., დაზღვევის პოლისის განაღდებასთან დაკავშირებული ეპიზოდიდან, რომელშიც მონაწილეობენ ჰოფშტეინი, ინსპექტორი ჯავახიშვილი, ექიმი შაბაშვილი და თავად კვაჭი, ნათლად იკვეთება პირველი სამი პერსონაჟის პროფესიონალიზმი, გონიერება, საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება, რომლის წყალობით ფარდა აეხადა კვაჭის საქმის „გაიმასკნებას“. რაც შეეხება კვაჭის, მწერლური ოსტატობის წყალობით, აღნიშნულ ეპიზოდში იგი ხაფანგში გაბმულ არსებას ჰგავს, რომელიც ამაოდ ფართხალებს და ცდილობს თავის დამკრეწას [ჯავახიშვილი, 2006:88-91].

რადიკალურად განსხვავებულია კვაჭის ქცევა და საუბარი მაღალ საზოგადოებაში ყოფნისას (მაგ., გემ „პუშკინზე“, ლოხტინის ქვრივის საეკლესიო სალონში, საიმპერატორო კარზე და ა.შ.); აღნიშნულ შემთხვევაში მისი ლექსიკა მოზომილია, გამოირჩევა თავაზიანობითა და სასიამოვნო ტონით; იგი იცავს მაღალი საზოგადოებისთვის ნიშნულ ენობრივ კლიშეებს, ანგარიშს უწევს პიროვნების სტატუსს. სხვა სიტუაციაში (მაგ., თავისი ამხანაგების - ბესო შიქიას, ჯალილას, ჭიპის, გაბოს, ელენეს... - წრეში) კვაჭი თავისუფალია ყოველგვარი პირობითობისგან; ეს გარემოება მის საკომუნიკაციო ლექსიკაზეც აისახება, რაც მეტყველების დიფერენცირებაზე მიუთითებს. ამ უკანასკნელის თვალსაზრისით საინტერესოდ გვეჩვენება გრიგორი რასპუტინის საკომუნიკაციო ლექსიკა.

მ. ჯავახიშვილმა კვაჭის თავგადასავლების აღწერისას ავთენტურ პირებს შეახვედრა თავისი გმირი, რომელთა შორის უდავოდ გამოირჩევა გრიგორი რასპუტინის კოლორიტული სახე. საინტერესოა, რომ მწერალმა რომანოვების საიმპერატორო კარის ცნობილი ავანტიურისტის საექვო მორალური ფასეულობები და ინტელექტის დონე სწორედ მეტყველების საშუალებით წარმოაჩინა. ზოგადად, მ. ჯავახიშვილთან უცხო, არაქართველი პერსონაჟები ხშირად საკუთარ ენაზე (ფრანგულ, რუსულ...) მეტყველებენ და მწერალი იქვე დაურთავს ნათქვამის ქართულ თარგმანს. გრიშკა რასპუტინის შემთხვევაში მწერალი განსხვავებულად იქცევა; მისი პერსონაჟის მდაბიურ რუსულს მწერალი არ თარგმნის; მეტი დამაჯერებლობისთვის კი, დოკუმენტურ მასალასაც მიმართავს; მაგ., მას მოჰყავს ავთენტური დეპემის ტექსტი (მაგ., „Ливадия, Царям. Миленкай папа и мама! Вот бес то силу берет окаянный. А Дума ему служит: там много люцинеров и жидов. А им что? Скорее бы Божьего помазанника долой. А Гучков гаспадин их прихвост, клевещет, смуту делает. Запросы. Папа! Дума твоя, што хошь, то и делай. Какой там запросы о Григорий. Это шалость бесовская, прикажи. Да! Некаких запросов не надо. Да! Григорий. Да!“) და სქოლიოში განმარტავს: „ეს დეპეშა ნამდვილია. სახელ. სათათბიროში შეკითხვა შეიტანეს რასპუტინის შესახებ და ამან გააბრაზა“ [ჯავახიშვილი, 2006:112].

ზემოთ მოყვანილი „მარგალიტები“ უხვად არის გაბნეული რასპუტინის დიალოგებში სხვადასხვა პერსონაჟებთან, მათ შორის კვაჭი-აპოლონჩიკთან. გრიშკა რასპუტინის მდაბიური მეტყველება, ფამილარული, მუქარანარევი ტონი („А ты Апалончик, мотри у меня!“), ქალებისადმი მიმართვა („Чаво кобенитесь то, стервы? Чаво брыкается-то!“) მეტყველებს ამ პერსონაჟის ხასიათზე, ინტელექტზე, პიროვნულ უნარებსა და ინტერესებზე.

რაც შეეხება მონოლოგებს, ზოგადად, ჟანრისა და სპეციფიკურობის მიუხედავად, მონოლოგის ფუნქციური დატვირთვა მნიშვნელოვანია მხატვრული ტექსტისთვის, თუმცა, მისი იდეური დატვირთვა რამდენადმე განსხვავებულია. ეპიკურ და ლირიკულ ნაწარმოებებში იგი წარმოჩენილია „მონოლოგური პლასტის“ სახით, ხოლო დრამატურგიაში მისი როლი წარმმართველია (ცხადია, დიალოგთან ერთად). დიალოგისგან განსხვავებით, მონოლოგში, როგორც კომუნიკაციის სახეში, „მე“ მიემართება „მე“-ს; პერსონაჟი საკუთარ თავს მიმართავს, ესაუბრება, ეკამათება, რაღაცას უმტკიცებს და ამ ფონზე იხსნება მისი შინაგანი სამყარო. მაგალითისთვის მოვიყვანთ ეპიზოდს, როდესაც ციხეში გამომწყვდეული სიკვდილმისჯილი კვაჭი საკუთარ „მე“-ს ესაუბრება: „რაო, რა სთქვა უკბილო გენერალმა? თავადი კვაჭანტირაძე უნდა ჩამოახრჩონ? სილიბისტროს შვილი კვაჭი?! <...> მაინც გულში ჭინკა ჩაუჯდა, შიგანური დაუკაწრა და ჩაიხითხითა:

- ვითომ რაო, ვერ გაგიბედავენ?
 - მე გამიბედავენ?! მეფის ნათლულს, ტახტის მარჯვენას!
 - იხი-იხი! გულიანად აწრიპინდა ჭინკა; - ერთხელ მაინც სთქვი მართალი შენივე სინდისის წინაშე, ეხლა ვიღას ერიდები? <...>

- რას ჩამაცივდი? რა გინდა ჩემგან?
 - მინდა, შენგან ერთხელ მაინც გავიგონო მართალი სიტყვა. საცაა ჩამოგახრჩობენ, ეხლა მაინც ნუ ორპირობ.

- რა ოხრად გინდა სიმართლე?...<...> წმინდანი ხომ არ ვარ!
 - ერთგულება?
 - ნიკოლოზის და გრიშკას ერთგულება?! ჯერ არ გავგიჟებულვარ.
 - ეხლა ხანს რომ პირი იბრუნე, იმ ხალხს ერთი გული მიუტანე?
 - ხმა! კრინტი! დამეკარგე აქედან!

და გამწარებული კვაჭი თავის ორეულს დაემტერა, მაგრამ მხოლოდ ჰაერს დაეტაკა“ [ჯავახიშვილი, 2006:199-200].

აღნიშნულ ეპიზოდში ცხადად არის წარმოჩენილი გმირის სულიერი გაორება; კვაჭის შინაგანი წონასწორობა დარღვეულია; გულის სიღრმეში მას ეჭვი ეპარება განვლილი ცხოვრების მართებულობაში, თუმცა ამაში საკუთარ თავსაც (შინაგან „მე“-საც) კი არ უტყდება და ბოლომდე ცდილობს თავისი პოზიციის მართებულობის დაცვას. ზოგადად, მ. ჯავახიშვილის ოსტატობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი მრავალრიცხოვანი დიალოგები ზუსტად ჯდება ტექსტის ქარგაში და საოცარი პოლიფონიურობის ეფექტს ქმნის.

აღსანიშნავია, რომ ავტორისეულ პერსონალურ თხრობასთან, პერსონაჟთა დიალოგურ და მონოლოგურ მეტყველებასთან ერთად მ. ჯავახიშვილმა „კვაჭი კვაჭანტირაძეში“ მიმართა „ავტორის ნიღბის“ მხატვრულ ხერხს. როგორც ცნობილია, აღნიშნული ტერმინი ეკუთვნის ამერიკელ კრიტიკოსს, კ. მამგრენს და გულისხმობს ავტორის რეფლექსიას ტექსტსა და მისი შექმნის პროცესზე თვით ტექსტშივე. ამ გზით შემოდის ნაწარმოებში ესეისტურ-თეორიული ნაკადი, რომლის საშუალებით მწერალს თავის შემოქმედებით ლაბორატორიაში შეეცავართ. ეს ხერხი მე-19 საუკუნეშიც იყო ცნობილი და მის ქრესტომათიულ ნიმუშად ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?“ სახელდება, რომელშიც მწერალი შედის დიალოგში, ერთი მხრივ, ლუარსაბთან და, მეორე მხრივ, მკითხველთან; მაგ., „აღარ გაათავებ? - მკითხავს მოწყენილი, და იქნებ გაჯავრებულიც, მკითხველი. - როგორ არა? გავათავებ, მაგრამ იცით რითა? იმითი, რომ ლუარსაბის ბედნიერება დაირღვევა. თუ მაგისტანა მტკიცე ბედნიერებაც დაირღვევა, მაშ, რაღა ყოფილა დაურღვეველი ქვეყანაზე? - დაიძახებს ჩემთან ერთხმად დაღონებული მკითხველი. მარტო ქვეყანაა, მკითხველო, დაურღვეველი, და ერთი ლამაზი, გონიერი ქართული ანდაზა „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“ [ჭავჭავაძე, 1984:206].

მ. ჯავახიშვილი რამდენჯერმე იცვლის ავტორისეულ ნიღბს; იგი ხან ყოვლისმცოდნე პერსონალურ მთხრობელად გვევლინება (ანუ მესამე პირში გადმოგვცემს მოვლენებს), ხან კომენტარების სახით ამჟღავნებს საკუთარ დამოკიდებულებას აღწერილი ეპიზოდების მიმართ, ხანაც პერსონაჟად გვევლინება. ზოგჯერ ავტორი აქტიურად ერევა ტექსტის აღქმის პროცესში და მკითხველს „თავს ახვევს“ თავის განწყობას, პერსონაჟისადმი დამოკიდებულებას; მაგ., „რა გატირებს კვაჭი კვაჭანტირაძე? რად გიკვნესის ეს ჭრელი გული? რად გებურება ეგ მჭრელი თვალები? <...> ჭამა-სმა - თავსაყრელი, ტანისამოსი - ყოველგვარი, ფული - გამოუღვეველი, ქალები - შერჩეული <...> მაშ რა გინდა, რა? შენც არ იცი. მესმის შენი, კვაჭი კვაჭანტირაძე! მესმის შენი, კვაჭიკოვ! მესმის და ვიცი. მაგრამ ვიცი, რომ ბოლოს და ბოლოს შენს ღირსეულს და ნამდვილ საქმეს მიაგენი. მაშ, არხეინად დალპი მაგ ორმოში და მშვიდობით იყავი“ [ჯავახიშვილი, 2006:306].

აღსანიშნავია, რომ რომანის ერთ-ერთ თავში მიხეილ ჯავახიშვილი პერსონაჟადაც გვევლინება; კერძოდ, როდესაც ოდესიდან თბილისში ჩასული კვაჭი დაზღვევის თანხის აღების მიზნით განგებ

დაიზიანებს ფეხს, მას სადაზღვევო ინსპექტორი, მიხეილ ჯავახიშვილი ეწვევა. ეს უკანასკნელი, თითქოს ირწმუნებს კვაჭის „ავადმყოფობას“, რადგან მისი წასვლის შემდეგ ხუხუ და კვაჭი ამგვარად გაუზიარებენ ერთმანეთს თავიანთ შთაბეჭდილებას: „აჰ, მაი კაცი ვეფერს გეიგებს. - ვეფერს გეიგებს! - ჩუმის ხმით დაუდასტურა კვაჭიმ“ [ჯავახიშვილი, 2006:87]. თუმცა, ერთი კვირის შემდეგ ჰოფშტეინი, ექიმი შაბაშვილი და ინსპექტორი ჯავახიშვილი გაშიფრავენ კვაჭანტირადის აფიორულ სქემას. დაზღვევის ინსპექტორი ორიოდე კვირის შემდეგ კვლავ შეხვდება თბილისის რკინიგზის სადგურში „გამოჯანმრთელებულ“ კლიენტს, მოიკითხავს და ღიმილით გააყოლებს თვალს „გამტრიკინებულ“ კვაჭის. ეს ეპიზოდი ალბათ, ამართლებს მწერლის სიტყვებს, რომ მას ცხოვრებაში არაერთი კვაჭი შეხვედრია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლიტერატურული გვარისა და ჟანრის გათვალისწინებით, მონოლოგისა და დიალოგის ფუნქციური დატვირთვა მხატვრული ტექსტში განსხვავებულია. თუ ეპიკურ ნაწარმოებში ავტორის ოსტატობასა და გემოვნებაზე დამოკიდებული მონოლოგური და დიალოგური პლასტების ხვედრითი წონა, დრამატურგიაში მათი როლი წარმმართველია, რადგან დრამის საფუძველს წარმოადგენს მოქმედება, რომელიც მაყურებლის თვალწინ ვითარდება. რომანისგან განსხვავებით დრამა გამორიცხავს თხრობას, აღწერილობას, ავტორისეულ განმარტებებს გმირებთან დაკავშირებით; დრამატული გმირების ხასიათი გახსნილია მათი მეტყველების, მოქმედებისა და ქცევების საშუალებით. ამდენად, მონოლოგისა და დიალოგის ფუნქციური დატვირთვა დრამაში წარმმართველია.

დიალოგი წარმოადგენს დრამატული მოქმედებისა და კონფლიქტის განვითარების ძირითად საშუალებას. იმავდროულად, იგი ხასიათების წარმოჩენის შესაძლებლობაცაა. მოქმედებისა და კონფლიქტის განვითარებისა და ხასიათების ჩვენება დრამატული დიალოგის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. დიალოგში აისახება როგორც პერსონაჟების ცხოვრების გარეგნული მხარე, ასევე მათი შინაგანი სამყარო: შეხედულებანი, ინტერესები, ცხოვრებისეული პოზიცია, გრძნობები, განცდები, განწყობილებები და ა. შ.

მაგალითისთვის მოვიყვანთ სცენას, როდესაც გამომძიებელი, ყვარყვარეს ხვეწნა-მუდარის მიუხედავად („სულ ტყუილად ამაგდეს კერიდან...“), ჯერ ცდილობს მისი დანაშაულებრივი საქმიანობის დამტკიცებას („თავს ძალიან ისაწყლებ, მაგრამ შენს სახეზე მაინც ვკითხულობ, რომ სახელმწიფო დანაშაულის ჩადენა შეგიძლიან“), მაგრამ როგორც კი გაიგებს მომხდარი რევოლუციის შესახებ, მომენტალურად იცვლის დამოკიდებულებას ტუსადის მიმართ:

„გამომძიებელი: ბატონო რევოლუციონერო, თქვენ, ალბათ, დიდი ხანია მუშაობდით ხალხის საკეთილდღეოდ მეფის მთავრობის წინააღმდეგ.

ნაცარქექია: ბატონო, არ დამღუპო...სხვისი ცოდვა არ წამცხო.

გამომძიებელი: თქვენ, სპეტაკი რევოლუციონერი ხართ, კარგად ვიცი...<...>მიიღეთ ჩემგან აღსარება, რომ მე სულისა და გულის სიღრმეში მუდამ დემოკრატი ვიყავი... და როდესაც მეფე უმოწყალოდ სჯიდა რევოლუციონერებს, მწარე გულით ვტიროდი... მაგრამ ისეთი დრო იყო, რომ ცრემლს ვერ გამოაჩენდი.

ნაცარქექია: მეფის მოღალატეები, ბატონო, მე ყოველთვის მძულდა, ტყუილად რატომ მცდიო...

გამომძიებელი: თქვენი მოღვაწეობა ამ არმიაში კარგად ვიცი.

ნაცარქექია: მე არ ვარ ის კაცი, გაიგონეთ...<...>

გამომძიებელი: ო, თქვენ ვერ ხედავთ თქვენს სიმაღლეს, თქვენ არ იცით სად მიგიყვანათ თქვენმა წმინდა ცხოვრებამ, სად, სად...<...> მე თქვენ გახარებთ ისეთ ამბავს, ისეთ ბედნიერებას, რომელზედაც თქვენ ოცნებობდით, რომლისთვისაც სულს ლევდით! მოემზადეთ დიდი სიხარულისთვის...<...> რევოლუცია მოხდა, მეფე ტახტიდან გადადგა და დღეს ახალი მთავრობაა...<...>

ნაცარქექია: ეჰ! (თავს ასწევს) რევოლუცია მოხდა?...<...> ამ ამბავს მიმაღავდი? <...> ენა იმდენი ათოხარიკე, სული კინაღამ გამძვრა...<...>...მერე ახლა მე ტუსადი კი არა ვარ!.. არა ვარ... არა ვარ...

გამომძიებელი: არა, თუმცა ფორმალურად ითვლებით, სანამ ჩვენი უფროსი ოფიციალურად არ გამოგიცხადებთ ამ ბედნიერებას, რაც მე გაცნობეთ... მანამდე კი, თავი ტუსადად რომ არ იგრძნოთ, აი შემობრძანდით კაბინეტში, წამოჯექით სავარძელში და...

ნაცარქექია: ენა დაამოკლე. ბედნიერება, თორემ შენი მოცემულია. ჩამოხრჩობას რომ მიპირებდით, რას ფიქრობდით? გეგონათ ასე შეგრჩებოდათ?!” [კაკაბაძე, ელექტრონული ვერსია].

ზემოთ მოყვანილი დიალოგიდან აშკარად იკვეთება საიდუმლო განყოფილების გამომძიებლისა და ყვარყვარეს ხასიათების მნიშვნელოვანი შტრიხები. გამომძიებელი, რომლის მოვალეობას სახელმწიფო დანაშაულებთან ბრძოლა შეადგენს, აბსოლუტურად იცვლება, როდესაც რევოლუციის ამბავს შეიტყობს. იგი ეპირფერება ყვარყვარეს, ხოტბას ასხამს „დიადი რევოლუციონერის“ ღვაწლს, მისგან „კალთის დაფარებას“ ითხოვს. აქვე შევნიშნავთ, რომ ანალოგიურად იქცევიან მომდევნო სცენებში, მეფის არმიის მოხელეებიც, რომლებიც იმპერატორის პორტრეტს ხსნიან კედლიდან და ყვარყვარეს ელაჟუცებიან. თავის მხრივ, ზემოაღნიშნულ სცენაში ყვარყვარე თავის მართლების რეჟიმში მყოფი გასაცოდავებული

ტუსადიდან წამებულ რევოლუციონერად იქცევა; რამდენიმე წუთით ადრე შეშინებული და ხმაკანკალებული ყვარყვარე, რომელიც სიცოცხლის შენარჩუნებას ითხოვდა, შეტევაზე გადადის, რიხით ელაპარაკება გამომძიებელსა და მეფის ოფიცერებს. ამ (და რა თქმა უნდა სხვა) დიალოგებით ავტორი ნათლად წარმოგვიდგენს, რომ ზემოაღნიშნულ დიალოგებში ჩართული პირები, სოციალური წარმომავლობის მიუხედავად, ყველანი ერთნაირები არიან: სულმოკლეები, მშიშრები, მედროვენი.

რაც შეეხება მონოლოგს, დრამაში მონოლოგი წარმოადგენს მოქმედი პირის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, რომელიც, დიალოგისგან განსხვავებით, არ არის დამოკიდებული საპასუხო რეპლიკებზე. მონოლოგი დიალოგთან ერთად პერსონაჟის დახასიათების ერთ-ერთი ფორმაა. მონოლოგის საშუალებით დრამაში წარმოჩნდება პერსონაჟის შეხედულებები, იდეალები, სულიერი სამყარო, ზოგჯერ ხასიათის სირთულეც. მაგ., ერთ-ერთ სცენაში მარტოდ დარჩენილი ყვარყვარე „ხმამაღლა“ ფიქრობს: „ეე, რას იზამ, კიდევ არა უშავს, რა უშავს! ენის მასალით ქალთან კაცი პირს ყოველთვის მოიბან. ეს ვერ გამიგია, ზოგიერთი კაცი სირცხვილით მიწაში რომ ჩაძვრება, სირცხვილს რომ ჭამ კაცი, თუ ვარგახარ, მაშინ თავი უფრო მაღლა უნდა ასწიო. ასეა... (ქექავს ნაცარს) ახლა ისეთი რამე უნდა მოვიგონო, რომ მისი თეთრი პერანგი ხელში დავაფრიალო... უჰ, რა ქალია! ცეცხლივით არ შემომენტო! რა დროს ნაცრის ქექვა! (კრავს ფეხს ნაცარს) გათავდა, ყვარყვარე, შენთვის თბილი ნაცრის ქექვა. (წამოდგება) ერთხელ დავბადებულვარ და ერთხელ უნდა მოვკვდე! (ბრაზით მიდის კარისკენ, შერდდება) ჭკუით, ყვარყვარე თუთაბერო, მართალია, ერთხელ დაიბადე, მაგრამ მეორეჯერ კი არ დაიბადები... მოითმინე, ფეხის ერთი გაკვრით ბურთი ლელოზე ვის გაუტანია. ოო, ასეა... (ფრთხილად გაყოფს თავს კარში)“ [კაკაბაძე, ელექტრონული ვერსია].

ამ პატარა მონოლოგში ყვარყვარე გვევლინება უტიფარ ადამიანად, რომლისთვისაც სირცხვილის გრძნობა უცხოა; ამავდროულად, იგი ფრთხილია („მეორეჯერ კი არ დაიბადები“), ცდილობს არ აჰყვეს გრძნობებს გულთამზეს მიმართ, ეტაპობრივად მიჰყვეს საქმეს („ფეხის ერთი გაკვრით ბურთი ლელოზე ვის გაუტანია“) და ა.შ.

განსხვავებული სიტუაციაა მ. ანთაძის „ლაზარეს თავგადასავალში“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს; ლაზარე-ნარატორი თავად გვიამბობს საკუთარ თავგადასავალს, ამდენად ნაწარმოებში მინიმუმამდეა დაყვანილი დიალოგიზმი. მთხრობელი წარმომავლობით გურიიდან არის, ამდენად იგი თავად შენიშნავს: „იმედია, მომავალი რედაქტორები, კორექტორები და გამომცემლები არ შემისწორებენ მცირეოდენ დიალექტიზმებს, რომლებიც მშობლიური კუთხის ანაბეჭდადაა ჩაკირული ჩემს მეტყველებაში. ისინი, ძვირფასო მკითხველო, ერთგვარ საკმაზად მიიჩნიეთ. როგორც ომბალო ლობიოს შეჭამანდში“ [ანთაძე, 1998:12].

მწერლის სტილისტური თავისებურებებიდან კი გამოვყოფდით ირონიულობას, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიკარესკას ერთ-ერთი მარკერი გახლავთ. მთხრობელი-ნარატორის ირონია ლაზარეს მიმართ შეუნიღბავია; იგი დასცინის თავის გმირს, ააშკარავებს მის უზნეობას, თუმცა ამას ყოველგვარი კომენტარებისა და დიდაქტიკური განსჯის გარეშე ახერხებს. ავტორი დისტანცირებულია თავისი პერსონაჟისგან - ლაზარე-ნარატორისგან. რა თქმა უნდა, იგი არ იზიარებს ლაზარეს შეუნიღბავ ამორალურობას, მის ყოფით ოპტიმიზმს, თუმცა, არ ერევა თხრობის მიმდინარეობაში. ცხადია ავტორი სავსებით აცნობიერებს ეგოიზმით, თვალთმაქცობით, კორუფციით, მორალური გარყვნილებითა და უპასუხისმგებლობით გაჟღენთილი საბჭოური საზოგადოების სავალალო მდგომარეობას, თუმცა ურჩევნია თავისი დამოკიდებულება დისტანცირებულად, მოშორებით მდგომმა გამოხატოს - ირონიულად მოწოდებული ფაქტებისა და ნარატორის აპოლოგეტური ტონის მეშვეობით. ეს ხერხი ჯერ კიდევ ესპანური აღორძინებისთვის იყო ცნობილი; იგი საინტერესო გამოდგა და მოგვიანებით არაერთმა მწერალმა, მათ შორის, მ. ანთაძემაც, გამოიყენა თავის შემოქმედებაში.

ამგვარად, პიკარესკას სტილისტურ და ენობრივ თავისებურებებზე მსჯელობას მივყავართ განზოგადებულ დასკვნამდე, რომ ქართველი ავტორები განსხვავებულ მხატვრული ხერხებს იყენებენ: ავტორისეულ პერსონალურ თხრობას, „ავტორის ნიღაბს“, დიალოგს, როგორც პერსონაჟთა ინდივიდუალიზაციის ხერხს, პერსონაჟის დიალოგურ მეტყველებას, როგორც ავტორის ფილოსოფიური კონცეფციის პრეზენტაციის საშუალებას, მონოლოგურობას, როგორც პერსონაჟის შინაგანი სამყაროს წარმოჩენის საშუალებას და სხვა. ზემოაღნიშნულის გამოყენებით ავტორები წარმოაჩენენ თავიანთი გმირების ცხოვრებისეულ შეხედულებებს, იდეალებს, სულიერ განცდებს, ხასიათის თავისებურებებს და ა.შ.

ლიტერატურა:

1. ანთაძე მ. ლაზარეს თავგადასავალი. *ჟურნალი „ცისკარი“* #10, 1998, გვ. 10-52.
2. კაკაბაძე პ. ყვარყვარე თუთაბერი. ელექტრონული მისამართი:
http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/yvaryvare_TuTaberi.htm

3. ჯავახიშვილი მ. თხზულებანი. ტ.VI. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964. 510 გვ.
4. ჯავახიშვილი მ. თხზულებანი შვიდ ტომად. ტ.II. თბილისი: „საქართველოს მაცნე“, 2004. 514 გვ.
5. ჯავახიშვილი ქ. მიხეილ ჯავახიშვილი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1989. 454 გვ.
6. Бахтин М. Проблемы поэтики Достоевского. М., 1978.
7. Бахтин М. Проблема содержания, материала и формы в словесном художественном творчестве. [www.gumer.info/biblioteka buks/Literat/bahtin/probl-sod/php](http://www.gumer.info/biblioteka_buks/Literat/bahtin/probl-sod/php).

Maia Melanashvili
Gori State Teaching University
STYLISTIC AND LINGUISTIC PECULIARITIES OF GEORGIAN PICARESQUE
RESUME

Historically, the normative language of the genre of picaresque novel was a narrative form, where the dialogue ratio between the author and the narrator was preserved. The diversity of social and literary words, characteristic for the picaresque genre, language of the epoch, folk parody and travesty objectivity, funny self-recommendation and self-reflection stipulated the polyphonic sounding of the used word in the text (stylized, parodic and ironic). The ‘low’ democratic style of picaresque meant to use extensively folk, dialectic and jargon vocabulary. For a time, the narrative form in the first person (‘possible authorship’) transformed into objective author’s narration.

The stylistic and linguistic peculiarities of Georgian picaresque are discussed and analyzed in the work, on the example of M. Javakhishvili ‘Kvachi Kvachantiradze’, P. Kakabadze ‘Kvarkvare Tutaberi’ and M. Antadze ‘The Adventure of Lazare’. While discussing stylistic and linguistic peculiarities of the picaresque we come to the generalized conclusion that Georgian authors use different literary techniques: author’s personal narration, ‘author’s mask’ and dialogue as a tool of individualization of personages, the dialogue of the character, as a means of presentation of the author’s philosophical concept, a monologue, as a means of displaying the character’s inner world etc. By using the above-mentioned tools, the authors show life opinions of the characters, their ideals, spiritual feelings, peculiarities of their character etc.

ციალა მესხია, ირმა სორდია
 სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ენა-ბუღბუღ, გულ-ვარდიანი პოეტი
(აკაკი წერეთლის პოეზიის ესთეტიკა)

ენა-ბუღბუღ, გულ-ვარდიანი პოეტის სახელით დამკვიდრდა აკაკი წერეთელი ქართულ პოეზიაში, დამკვიდრდა, როგორც დიდი პოეტი ერისა და კაცობრიობისა... აკაკი წერეთელმა ჟანრობრივი თვალსაზრისით უაღრესად მრავალფეროვანი შემოქმედება დაგვიტოვა, მაგრამ თავისი ბუნებით იგი უპირატესად ლირიკოსი პოეტი იყო... „აკაკი წერეთლის ლირიკა გამოვლინებაა უაღრესად სათუთი, ყოველგვარ სიტლანქესა და სისასტიკეს მოკლებული ადამიანური ბუნებისა. სწორედ ამ შინაგანმა თვისებამ განაპირობა აკაკის ლექსების თავისებური „დაყვავების“ კილო და ალერსიანი ინტონაცია. განსხვავებით ილიასაგან, რომლის ქედუხრელი, დაუშოშმინებელი ტემპერამენტი ბრძოლის სტიქიაში ჰპოვებდა თავის სტრუქტურულ გამოვლინებას. აკაკი დაბადებით სწორედ „ტკბილ ხმათათვის“ გაჩენილი პოეტი იყო და მისი მამულიშვილური შეგნების გასაოცარი თანმიმდევრულობა იმაშიც გამოიხატა, რომ მან ეს პირადი, შინაგანი მოწოდება მსხვერპლად მოუტანა თავისი დროის „გარემოების“ მოთხოვნილებებს“ (გ. ასათიანი, 1988:235).

აკაკი წერეთელი პოეტის როლისა და დანიშნულების, საერთოდ, შემოქმედებითი პროცესის გაგების საკითხში სრულ სოლიდარობაშია ილია ჭავჭავაძესთან, რაც სხვათა შორის კარგად ჩანს ლექსში „პოეტი“: „სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი ამ ჩემს გონება-გრძნობასა“ – ამბობს აკაკი და ძნელი მისახვედრი არაა, რომ ეს ხელისუფალი არის სწორედ ის ღმერთი, რომელთანაც ილიას პოეტი ლოცულობს.

აკაკი საგანგებოდ უსვამს ხაზს პოეტის სპეციფიკურ ბუნებას, მის ზეგარდმო მოვლინებას, „ციურ ტკბილ ძალას“ („ავადმყოფი მგოსანი“), პოეზია საიდუმლო ღვთიური ძალაა „ცისა და ქვეყნის შუამავალი“, „ციური ნიჭი გამოუთქმელი კაცთა ენათა“, ციური ძალა, უცნაური ჰანგი.

„ავადმყოფი მგოსანი“ სრულიად ახალ შუქს ჰფენს აკაკის პოეტურ ბუნებასა და მრწამსს: „ჩონგურო! ჩემო ჩონგურო! ოცნების ზღვაში მცურავო, შენი კრიმანჭი წკრიალი ხელახლა მომეწყურაო, მიმოფრენ, მეც თან დაგყავარ, წამი-წამ, კიდის-კიდესო! ველარ მერევა სიკვდილი მე, შენს გადამკიდესო! დიდება შენსა მოვლენას, ციურო ტკბილო ძალაო! დაადნა გული შენს სიმებს და გული დაიცალაო“ (ა. წერეთელი, 2006:13). – საოცრად მძაფრია და უშუალო. (ამ ლექსში) შემოქმედებით პროცესში ექსტაზის განცდა. აქაა პოეტური ძლევა მოსილების აღიარება. და ამ საოცარი სტრიქონებით ჩვენს წინაშე წარმოჩინდება პოეტის ელვარე შთაგონება, „სიმღერად ქცეული ლეგენდარული მოხუცი“ (გ. ასათიანის ტერმინია), რომლის პოეტური გენია, ღვთიური ნიჭისა და სიბრძნის ნაყოფი მარადიული სულიერი საზრდოა თაობებისათვის.

აკაკი წერეთლისათვის შემოქმედებითი პროცესი არსებობის საზღვრების გადალახვაა, სიკვდილთან და იმქვეყნიურ სამყაროსთან ზიარების საშუალება: „ჩონგურო, ჩემო ჩონგურო ოცნების ზღვაში მცურავო!“. შემოქმედებითი პროცესი მისთვის სულის უკვდავების რწმენაა, ვარსკვლავები „გაუკვდავებულ წინაპართა სულები არიან“ („ქუთათელის სიზმარი“). ჩონგური, სტვირი, ქამანჩი ხაზს უსვამს აკაკის შემოქმედებითი პროცესის თავისებურებას და აქვე გვახსენდება ვაჟა-ფშაველა: „ჩონგურს სიმები დამიწყდა“ (როცა უკვე შთაგონების წასვლაა ნაგულისხმევი და ფანდურზე მღეროდა სიმღერას ან ლექსს, რომელსაც ქმნიდა).

აკაკისთან კი იგი მხოლოდ წარმოსახვაში არსებულ სიმბოლოს წარმოადგენს და პირდაპირ ადამიანს, პოეტს შეესაბამება და მხოლოდ ციური ნიჭით, უცნაური ჰანგით მომადლებულ პოეტს შეეძლო ეთქვა: „რამ ამამდლა? ვინ მაგრძნობინა? ეს საიდუმლო ღვთიური ძალა, ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება ძლევა მოსილად გარდამიცვალა?! შენ სიყვარულო ცისა და ქვეყნის კავშირო და თან შუამავალო! შენ რომლის ერთ წამს იმ სანეტაროს, მზად ვარ სიცოცხლე მთლად ვანაცვალო!“.

აკაკის კალამი ჩვეულებრივისაგან განსხვავებული ოქროს წყალშია ნაბანი, შიგ გულად ჩასმული თვლებით, თილისმური ძალით გონებისა და გრძნობის ამალგებით („ჩემს კალამს“). პოეტური მუზა უცნაური ძალის გამოცხადებაა, პოეტი ციური ნიჭის მგრძნობელი („ალბომში“): ამქვეყნად განგებით მოვლენილი სულმნათი, მესაიდუმლე ერისა, „სულმნათო“ – მიმართავს აკაკი რუსთაველის აჩრდილს, – შენ ნიშნად უკვდავებისა ერს მოვლენილხარ განგებით, ვით ცისარტყელა წარღვნისა უცნაურისა ჰანგებით“ („რუსთაველის სურათზე“).

აკაკი წერეთლის პოეტური აზროვნების თავისებურებებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია გავიხსენოთ მისი ადრინდელი წერილი „რამდენიმე სიტყვა ჩანგურის შესახებ“, სადაც იგი აანალიზებს ილიას ცნობილ ლექსს „ხმა სამარიდან“ და კატეგორიულად უპირისპირებს პოეზიაში ორ საწყისს, კაცობას ყოველდღიური ჭეშმარიტებისათვის და საჭიროებისათვის სამსახურს და ბულბულობას.

აკაკი წერეთლისათვის, პოეზია, პოეტური სიტყვა უპირველეს ყოვლისა იყო იარაღი ქართველი ხალხის ეროვნული გამოფხიზლების, აღორძინებისა და თავისუფლებისათვის ყოველდღიურ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში და მაინც, ტკბილი ხმა, ბულბულის ენა, არწივის სიმძლავრით მაღლა ატყორცნის უნარ-თვისებათა შესაბამისი სახეებით აზრის შემოტანა და არა თავისთავად ირაციონალური ხედვა. მხატვრული სახეები მის შემოქმედებას ანიჭებს რომანტიკულ ელფერს, საოცარ მიმზიდველობას, მაგრამ არცერთი მათგანი არ რჩება ემოციის დონეზე. მის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები ქმნიან მუდმივ ხატთა სისტემას, ამ სისტემის რეალიზმი და პოეტურობა, მრავალწახნაგოვნობა მიზეზია იმისა, რომ მისი ლირიკული ლექსები თუ პოემები არ იზღუდება დრო-სივრცული არეალით, სცილდება ეპოქის საზღვრებს და ამიტომაც მისი ლირიკა ეროვნულიცაა და საკაცობრიოც.

აკაკი წერეთლისათვის პოეტი ღვთის რჩეულია, „გარემოების საყვირი“ შუაკაკი შუამავალი „ზეცასა“ და მიწას შორის: „ხან მიწისა ვარ ხან ცისა“, ხანაც – „არც მიწისა, არც ცისა“.

აკაკის რწმენით პოეტი უნდა იყოს ბრძენი გველივით და უმანკო მტრედივით. მხოლოდ მაშინ: „ავიც და კარგიც მას ეყურება, თვით არ იზამს ავს, სხვის ავს იცილებს, მოძმეთ უმანკოდ ემსახურება და სიცოცხლესაც მითი იტკბილებს“. („პასუხი ჭალადიდელისადმი“) (ა. წერეთელი, 2006:138).

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ იგი არათუ „ტკბილ ხმათა“ საწყისს უარყოფდა პოეზიაში, მისთვის ნაწილობრივ მიუღებელი იყო თვით ილიასეული ფორმულირება პოეტის დანიშნულებისა: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ რომ წარვუძღვე წინა

ერსა”. აკაკის ცნობილი სიტყვები „არც მიწისა ვარ, არც ცისა” – ილიასთან „მინაურ” პოლემიკას წარმოადგენდა, ხოლო უფრო გვიან, იგი ერთგან მისთვის ჩვეული ირონიით აცხადებს: „საკვრიველია ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მე ლექსებს ვწერ, სხვა ხელობა არ მაქვს და ერთხელაც არ მახსოვს, ღმერთი დამლაპარაკებოდეს” (გ. ასათიანი, 1988:205).

მკითხველთა გულუბისაკენ მიიკვლევდა გზას აკაკი წერეთლის პოეტური სიტყვა, იმ რწმენით, რომ „მაგრამ ლექსი რა ლექსია, თუ რომ გულს არ დაესობა?” („მოლექსე”). ჰოდა, „პოეზიაში სულ სხვაა ნიჭიერი მწერალი, ძალაუწებურად, თავისთავად გზას იკვლევს მკითხველის გულისკენ და გულის ფიცარზე დაუვიწყარი ასოებით ებეჭდება” (ა. წერეთლი, 2006:194).

ყოველგვარი ინტელექტუალური თუ მხატვრული აზროვნების საფუძველი შეგრძნებაა, აღქმა, გონებისეული ჭეშმარიტების პირველსახის გულის სარკეობა. მაგრამ მისი სწორი ანარეკლი სულაც არ ნიშნავს სამყაროს ნატურალისტურ ასახვას. პოეტი სწორედ საგანთა ემპირიული სახის მიღმა მდებარე არსების წვდომას გულისხმობს ანარეკლის უტყუარობაში. ეს სარკე მოვლენის ჭეშმარიტი სახის ფარდის ამხდელია, შეუცდომლად რომ ირჩევს ფუტუროსებურ ღოჭობას, ნათლის, სანთლის მოციმციმე ალისგან. გიორგი ერისთავის 1884 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში აკაკი წერს: „მწერლობა ზნეობითი მესარკეობაა. ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა ისახებოდეს მწერლის თანადროება მისი სისწორ-სიმრუდით, რომ საისტორიო სურათებით გადაეცეს მომავალ დროებას და როგორც სარკეში ის იხედება, რაც მხოლოდ მის გარშემოა და რაც გულში ვხედავთ, რაც მის გულს, როგორც ხალხის თანაზიარს, მოხვედრია. და, მაშასადამე მწერალს ნება არა აქვს, რომ ყოველდღიურ საერთო მოვლენებს, რაგინდ წვრილმანიც იყოს, თვალი აარიდოს, რაც უფრო ნიჭიერია პოეტი, უფრო ძლიერად ექვემდებარება ამ ზემოთ მოყვანილ პირობებს... „პოეტი დაჟინებით იმეორებს, როგორიც კეკელუცისათვის სარკე, ისე ხალხისათვის ლიტერატურა საჭიროა, რომ შიგ ჩაიხედოს და თავისი სახე მისის ღირსებით და ნაკლოვანებით დაინახოს” (ა. წერეთელი, 2006:234).

აკაკი გულს გრძნობის აუზად განიცდის. ვფიქრობთ, გულში დაგროვილი სიტკბოსა და ნაღველის ამოქმედება, მათი გაიაფება და დუღილია შემოქმედებითი პროცესი: „გახსენი ეს გრძნობის აუზი, ხან სიტკბო აიაფე, ხან ნაღველი აქაფე, ჭეშმარიტება აქე და ბოროტი აკაფე!...” ზოგჯერ გული ზღვაა, ქვეცნობიერის უღრმესი უფსკრული, რომელიც ღელვის დროს ამოტყორცნის მარგალიტებს. ზოგ ლექსში, სადაც „გული – ზღვა” ხატს იყენებს, ამბობს: რომ ღელვის დროს გაავებული ზღვა არაფერს არ ქმნის, მხოლოდ ბორგავს. სამაგიეროდ კამკამა და დამშვიდებულ „ზღვა-გულში” შეიძლება მარგალიტების პოვნა და ეს პროცესი ისეთი მშვიდი და ნეტარია, როგორც პოეტის იმჟამინდელი განცდა.

აკაკის გული სიყვარულით, ადამიანის სიყვარულით სავსე გულია, რომელიც სულის მუსიკას გამოსცემს: „გულს ჩონგურად აკოპიტებს, მზე გაუბამს სულის სიმებს”.

პოეტის სულის მოძრაობის ცხადი სურათია „აღმართ-აღმართ”. აკაკი „სამო ხმის ბულბული”, ხშირად იძულებული ხდებოდა „ყორანივით ეჩხავლა და ძალღივით ეყეფა”. „გაძალელებულო დროვ, შენ მოგეცა ჩემი ცოდვა, რომ წინააღმდეგ ჩემი ბუნებისა, მაძალე და მეყეფებ. ეს იყო პოეტის მიერ გაღებული თავისებური მძიმე ხარკი, რომლის შესახებაც მან გასაგებად მიგვანიშნა: „ტკბილი მღერალი წინაპრის” ალექსანდრე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ლექსში.

აკაკი წერეთელმა პოეტის შრომა ფუტკრის შრომას შეადარა, რომელიც მუდმივ ჯაფასა და შრომაშია, რომ მიუმატოს ქვეყანას თავლი, ზეცას სანთელიო. რომ იქ წმინდად შეიწიროს და ანათოს აქ ბნელიო („ხარაბუზა და ფუტკარი”). აქედან უკვე გასაგები ხდება, – წერს ვახტანგ ვახანია, – პოეტი ფუტკრის ანალოგია. „შენც პოეტო, კაცთა შორის ფუტკრადა ხარ გაჩენილი, ენა-ისარ-ნაღვლიანსა, ნაყოფი გაქვს ნათელ-ტკბილი („შედარება”) (ვ. ვახანია, 1998:128).

აკაკის პოეტური აზროვნების ზოგიერთი ინდივიდუალური თავისებურება განსაკუთრებით მჟღავნდება მის ლირიკაში (ჩამოთვლა ვფიქრობთ შორს წავციყვანს).

მისი ყოველი პოეტური ნაწარმოებიც სატრფიალო ლირიკის ნიმუში იქნება იგი, პატრიოტული თუ „ცხარე პოლიტიკური პამფლეტი” (გ. ასათიანი), მუდმივად გარე სინამდვილისა თუ პოეტის შინაგანი სულიერი ცხოვრების რეალური ბიძგთანაა დაკავშირებული და მუდმივად შენარჩუნებული შემოქმედებითი პროცესის საიდუმლო, რომელიც მხოლოდ შეიძლება განიცადო. აკაკის პოეტური შთაგონების ერთი „ნათლისმომფენი” წამი „უსინათლო მარადისობას” ურჩევნია და უჩვეულო პოეტური ხილვებით იმ იდუმალ მელოდიას გვაზიარებს, რომელიც გამომსახველ ფერთა გამასა და რიტმშია ჩაბუდებული და სულმოუთქმელად ჟღერს. ამიტომაცაა, რომ მის ლირიკაში სამყაროს სმენითი აღქმა და სამყაროს ხედვით აღქმა ერთმანეთშია ჩაწულ-ჩაგვირისტებული და სულის იმ პანორამას ქმნიან, სადაც პოეტის მსოფლიო ფიქრები და განცდები მზის სხივებითაა გამოფენილი: „რაც არ იწვის, არ ანათებს, უჩინარად ღპება ნელა. მოდი, დამწვი, სიყვარულო, მოაშუქე სადაც ბნელა. ერთი წამიც კი სიცოცხლის მომფენია, უსინათლოს და უგრძნობელს საუკუნეს მირჩევნია. მწამს სიწმინდე სიყვარულის ისევ ისე,

როგორც ძველად და გულს ვუდებ საკურთხევლად ზედ სიცოცხლის დასაწველად! იწვის, ქრება, მაგრამ ზოგჯერ ჩუმ ტანჯვაშიც არის დიდი ნეტარება” (ა. წერეთელი, 2006:63).

„ჩუმ ტანჯვაშიც არის დიდი ნეტარება” – გვარწმუნებს პოეტი და აშკარად იკვეთება შემოქმედის ყოვლისშემძლე მარჯვენით შექმნილი ხატ-სახეთა ცხოველმყოფელობა. მისეული მხატვრული სახეები ადამიანის უფრო მიუწვდომელ და უღრმეს შრეებს მოიცავს და შინაგანი „წვა” და „ნათება” ისევ და ისევ აზრობრივ და მხატვრულ სინამდვილედ ყალიბდება. წვას და ნათებას – აკაკის ამ მხატვრულ სახეებს ისევ და ისევ რეალიზმი ასაზრდოებს. ნათება დიდი სიყვარულია, წვა და ნათება უფრო მხატვრულია, აკი სიყვარული დიდი ნიჭია, ტანჯვაა. სწორი ქმედება და აზროვნება სიყვარულს განაპირობებს. მთელი მისი შემოქმედებითი პროცესი, „წვა და ნათებაა”. და მართლაც, „ჭკუით ურწმუნო და გრძნობით უნდო, გულგატეხილი რაღა კაცია?” (ა. წერეთელი, 2006:135).

აკაკი, როგორც სასწაულს, ისე აღიქვამს ნამდვილი გრძნობის გაჩენას და მას შემოქმედებით პროცესად გადმოღვრის: „მძლავრად მოხვდი ჩემს გულს მეხად, ულოდნელად დამარბიე სანთელივით დასაგრეხად! გულში ცეცხლი გამიჩინე, ამიდულე მით ნაღველი, უხმოდ ვიწვი, ნელ-ნელ ვით ხატისა წინ სანთელი” (ა. წერეთელი, 2006:63).

რაც შეეხება შთაგონების მიერ გამოწვეულ ვიზუალურ ხატებს, აკაკი მათაც ჰქმნის. შთაგონება ჩანჩქერია, რომელსაც ია-ვარდის ჯორა აქვს, სიმი-ბულბულის ენაა, არწივის ფრთები ასხია, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რა დინამიკით მოძრაობს. „მიმოფრენ, მეც თან დაგყავარ, წამის წამ, კიდის კიდესო! ველარ მერევა სიკვდილი მე შენსა გადამკიდესო” – ამბობს პოეტი და არის აქ რაღაც მთელი სამყაროს მომცველი ხტონური ზღვა და გახსნილი ცა, სივრცე. საერთოდ აკაკის ძალიან ძლიერი სივრცითი შეგრძნებები აქვს. და მაინც, შემოქმედებითი პროცესის აუცილებელი შთამაგონებელი იდეალი სიყვარულია, სატრფოა, ვის ღირსადაც თვლის თავის მთელ ცხოვრებასა და მოღვაწეობას. სატრფოს სახით ის ელტვის კიდევ უფრო დიდ მშვენიერებას და სიკეთეს – სამშობლოს. რად ღირს მარტო აკაკის „სულიკო” ... „სულიკო ზოგადი ანუ მეტაფორული სახელია იმისა, რაც პოეტმა სამუდამოდ დაკარგა უკან დაუბრუნებლად, უგზო-უკვლოდ, სამარადისოდ და მაინც პოეტი დაკარგულს ეძებს, ეძებს ყველგან, ყოველ ბუჩქში, ბალახში, ყვავილში, ყველა არსებაში, ეძებს კოსმიურ სივრცეებში” (ა. სულაკაური, 1998:90).

აკაკისათვის პოეტური შემოქმედება, ზეშთაგონება, მაღლა ფრენაა, მაგრამ არა მიწისაგან მოწყვეტა, მიწიერი ცხოვრების უფრო სიღრმისეული შეცნობა, ქვეყნის ჭირის და ღვინის გათავისება: „აღმა მფრენი დაბლაც ხედავს უფრო ნათლად, უფრო დიდად, ქვეყნის ჭირი, ქვეყნის ღვინი წინ მიუძღვის გზად და ხიდად” (ა. წერეთელი, 2006:138).

დიახ, მიღმური სამყარო - ჭეშმარიტების საუფლო, შთაგონება, მხოლოდ რჩეულთა და ღვთის ხელდასმულთა მისაღწევი აჭრათ მიწიდან ზეცისკენ. იაკობის კიბის ხილვა მხოლოდ რჩეულთათვისაა შესაძლებელი. ზეგარდმო შთაგონება ღმერთის წყალობა მარტო როდია, იგი ადამიანის ისეთი განსაკუთრებული უნარია, რომელსაც მუდამ სჭირდება სწავლითა და შრომისმოყვარეობით ხელის შეწყობა, გაზრდა და განვითარება, ზოგიერთებს ჰგონიათ, - წერს აკაკი, - რომ მწერლისათვის ზეგარდმო შთაგონებაა საჭირო და ის კი აღარ იცინა, რომ იმასაც კიბე სჭირდება მაღლით ჩამოსასვლელად და ეს კიბე არის ნიჭის გარდა სწავლა, ცოდნა და შრომისმოყვარეობა” (ა. წერეთელი, 1998:44).

პოეტური პროცესი აკაკისათვის აღმაფრენა, ცის გახსნა და ზეცისკენ აჭრათ, მაღალი ზნეობისა და წარუვალი ეთიკური ღირებულების ერთგულება, ღწმენა და იმედი, სიყვარული და სამშობლო... პოეზია სიწმინდით უნდა ახურებდეს გულს, რაც რწმენისა და სიყვარულის ერთობლიობას უნდა გულისხმობდეს.

აკაკის რწმენით ერისათვის თავგანწირულ მამულიშვილებს წმინდა მთა იკრავს გულში და პოეტის ლოცვა მთელ კოსმიურ სამყაროში განეფინება: „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო, შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენზედვე მგლოვია რეო... დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ: შენს მიწას მიმაბარეო, ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო” („განთიადი”) (ა. წერეთელი, 2006:130).

აკაკიმ გედი და პოეტი ერთმანეთს დაუკავშირა. პოეტი გედის სიმღერით კვდება, არ აშინებს სიკვდილი. გედი თუ ერთხელ მღერის, ამდენად გედის სახეში სიკვდილის და სიმღერის თავგანწირული სიმღერის ფასად დაჯენილი სიმღერის გაერთიანება ხდება: „უცნაურ ხმაზე ჩავიხმატკბილო, გცხო წმინდა სიმებს ციურ მალამოდ, და ვთქვა გალობა საშვილიშვილო”.

სულის სინათლე, სულის სიმაღლე, მისი თანდაყოლილი დვრიტა იყო. ხატის წინ სანთელივით იღვწებოდა ერის სამსხვერპლოზე. მუდმივად სატრფო-მამულზე ფიქრი ახალ-ახალი პოეტური სასწაულებისათვის აღანთებდა. ფიქრი არ ასვენებდა და შფოთავდა, დრტვინავდა: „ნისლი ჰპურავს თუ დღე უდგას სადარიო” („აღმართ-აღმართ) და საკუთარ განცდაში, შეგრძნებებსა და შორეული სივრცეების ჭკრეტაში ჰპოვა ის, რაც დამარხულად, სამუდამოდ დაკარგულად მიაჩნდა.

„აკაკი თვით წააგავს ქართველობას. განსაკუთრებული, ორიგინალური თვისება აკაკის ქნარისა ის არის, რომ იგი თავისებურად, ნამდვილ აკაკისებურად სულ სხვანაირის გულის აღტაცებით აერთებს თავის საკუთარს და ჩვენი ერის ანგელოსურ, წმინდა ჭაბუკურ გრძნობათა გულწრფელობას“.

ლიტერატურა:

1. გ. ასათიანი, 1988: ასათიანი გ. საუკუნის პოეტები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბ., 1988.
2. ნ. გურგენიძე, თ. გორგაძე, 1987: ჟურნალი „კვალი“, #7. თბ., 1987.
3. ვ. ვახანია. 1988: ვახანია ვ. რეალიზმის საკითხები ქართველ სამოციანელთა ესთეტიკაში. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბ., 1988.
4. ა. სულაკაური, 1988: სულაკაური ა. წიგნი „ლექსი, მხოლოდ ლექსი“, თბ., 1998.
5. ა. წერეთელი, 2006: წერეთელი ა. რჩეული ლირიკა. გამომცემლობა „ცოდნა“. თბ., 2006.
6. ა. წერეთელი, 2006: წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული. გამომცემლობა „ცოდნა“ ტ. 1. თბ., 2006.
7. ა. წერეთელი, 2006: წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული. გამომცემლობა „ცოდნა“ ტ. 12. თბ., 2006.
8. ა. წერეთელი, 2006: წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული. გამომცემლობა „ცოდნა“ ტ. 14. თბ., 2006.

Tsiala Meskhia, Irma Sordia
Sokhumi State University
NIGHTINGALE'S TONGUE, A HEART-ROSED POET
(AESTHETIC OF AKAKI TSERETELI'S POETRY)
RESUME

His artistic images create permanent icons in the system, the system of realism and poetry, and the reason that his lyric poems or poems are not limited to time-spatial scope, beyond the boundaries of the epoch, and that's why his poetry is national, universal and highly esthetics... The poetry of Akaki Tsereteli highly delicate expression, in all its brutality and deprived of human nature ... Akaki Tsereteli is full of solidarity in the understanding of the role of the poet and the general purpose of the creative process in Ilia Chavchavadze, which by the way can be seen in the poem „Poet“: "The other person has authority in my mind," says Akaki, and it is not hard to guess, that authority is the God with whom Ilia's poet prays. Akaki specifically emphasizes the specific nature of the poet, his heavenly appearance, sweet, celestial power ("sick Poet"). The creative process for Akaki Tsereteli is to cross the boundaries of existence.

The creative process is the belief in the soul's immortality, the stars are "the souls of the ancestors of the ancestors" ("The dream of Kutatel"). Chonguri, pipe, Camban emphasizes the peculiarity of Akaki's creative process and reminds me of Vazha Pshavela: "Chongori strings fell on me" (when the inspiration is gone and the song or the poem that was created by Fanduri).

For Akaki Tsereteli poetry, poetic word, first of all was the weapon of national awakening of the Georgian people, to revive and freedom in everyday mortal-life struggle, yet the sweet voice, the tongue of nightingale, the eagle's ability to highlight the skill of the skills and the irrational vision itself. Artistic creations give a romantic look, a wonderful attractiveness to his poetry but none of them remain on the level of emotion.

იაკობ გოგებაშვილისა და დუტუ მეგრელის პოლემიკის პერიპეტიები

1907 წელს იაკობ გოგებაშვილი „დედაენის“ 22-ე გამოცემაზე მუშაობს. დიდი რუდუნებით კრებსა და ამუშავებს ახალ მასალებს. ახლაც მაგიდაზე ორი ლექსი უდევს, ორივე პატრიოტულ თემაზე დაწერილი. პირველის ავტორია იოსებ ბაქრაძე, მეორისა - დუტუ მეგრელი.

იოსებ ბაქრაძის ლექსი „მე ქართველი ვარ“ 1875 წელს „დროების კალენდარში“ გამოქვეყნდა (გვ. 15-16) ი. ელაქაძის ფსევდონიმით. ლექსის თარიღად 1873 წელია მითითებული. 1938 წელს გამოცემულ იოსებ ყიფშიძის ერთადერთ კრებულში (სოლომონ ყუბანეიშვილის რედაქციით) ლექსი ასე იკითხება:

*მე ქართველი ვარ! ჩემი სამშობლო
ორ ზღვას შუაა გადაჭიმული;
თუმც პატარაა, მაგრამ ბუნებით
ყოვლის სიმდიდრით არის შემკული.
მის დიდროვანი მაღალი მთები
შეხეთ, თითქოს ცას ებჯინებიან
და იქიდანა ტურფა ქვეყანას
ამაყურათა თავს დასცქერიან:
მე ქართველი ვარ! მთლად ქართველობა
რადაც ღრმა ძილში არის ჩაფლული
და მამულისთვის არა ღელდება
გაქცევებული იმისი გული!
როს ვაკვირდები ჩვენს ამ გვარს ყოფას,
სული და გული კვნესას დამიწყებს,
მაგრამ იმედი, ისევ იმედი
სულით მაშვრალსა მარად მამხნეებს.
მე ქართველი ვარ! მრწამს, რომ როდისმე
წავა, გაივლის ეს დრო ძილისა
და დღესა თუ ხვალ, უეჭველათა,
გამოვრწყინდება მზე მომავლისა.
მე ქართველი ვარ! მაგრამ მითხარით:
აწ რაღა არის კაცი ქართველი?
ის იმყოფება სიბნელეშია
და თვალებს სჭვალავს დღისა ნათელი.
აქ აღარ ისის ხმა ცხოვრებისა,
მის შიშით მტრები აღარა თრთიან
და თვითონ ჩვენი ღვიძლი მომმენი
სოცოცხლეშივე საფლავს გვითხრიან!*

როგორც სოლომონ ყუბანეიშვილი განმარტავს, ცენზურას ამოუგდია ლექსის ბოლო სტროფის მეორე ტაეპი (ბაქრაძე 1938: 4): „მის შიშით, მტერნი აღარა თრთიან“, რომლის ნაცვლად წერტილებია დასმული.

1901 წლის ოქტომბრის ჟურნალ „ჯეჯილში“ (N10) დაიბეჭდა დუტუ მეგრელის (დიმიტრი ხოშტარია) 5-სტროფიანი ლექსი „პატარა ქართველი“ (გვ. 3-4):

*„მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი!
ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამგრელო -*

ყველა ჩემი სამშობლო,
 საყვარელი საქართველო.
 ქვეყნის თვალი - ეს ქვეყანა
 ღვთის მშობლისა არის წილი;
 ბევრ მწარე დღეს მოსწრებია
 და უნახავს ზევრიც ტკბილი:
 ხან თუ მტრები აოხრებდა,
 იყო მღვრელი ცრემლის ცხარის;
 ბრწყინვალე დროც დასდგომია,
 დრო დავითის და თამარის!..
 მე პატარა ქართველი ვარ,
 სახელოვან ერის შვილი
 და მსურს, მერგოს სასახელო
 მეც სიცოცხლე სიამ-ტკბილი“.

ჟურნალის რედაქციამ (რედაქტორი ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა) პოეტის სიტყვები - „და მსურს, მერგოს სასახელო მეც სიცოცხლე და სიკვდილი“ ამგვარად შეცვალა „და მსურს, მერგოს სასახელო მეც სიცოცხლე სიამ-ტკბილი“. ამ ტიპის ჩასწორებას კატეგორიულად არ იღებდა დუტუ მეგრელი, მაგრამ ასე გავრცელდა თავდაპირველი ვერსია ამ ლექსისა.

დუტუ მეგრელის ლექსის პოპულარობას დიდად შეუწყო ხელი იაკობ გოგებაშვილმა, როდესაც 1907 წელს „დედა ენის“ საკითხავი წიგნის მეორე ნაწილში დაბეჭდა ამ ლექსის ერთი სტროფით შემოკლებული ვარიანტი (გვ. 224). იაკობ გოგებაშვილმა შეცვალა ლექსის ფორმა, გააერთიანა სტორფები და ამოიღო მხოლოდ ერთი სტროფი:

„ქვეყნის თვალი - ეს ქვეყანა
 ღვთის მშობლისა არის წილი;
 ბევრ მწარე დღეს მოსწრებია
 და უნახავს ზევრიც ტკბილი“


დედაენისეულ რედაქციაშიც ლექსის ფინალი ისეთივე დარჩა, როგორც დაიბეჭდა ჟურნალ „ჯეჯილში“.

1907 წლამდე გამოცემული დედაენის არცერთ რედაქციაში არც იოსებ ბაქრაძისა და არც დუტუ მეგრელის ლექსები შეტანილი არ არის. როგორც ირკვევა, დედაენის 1907 წლის 22-ე გამოცემაზე მუშაობის პერიოდში იაკობ გოგებაშვილი დადგა არჩევნის პირისპირ: დედაენის საკითხავ ნაწილში უნდა შეეტანა ან იოსებ ბაქრაძის „მე ქართველი ვარ“, ან დუტუ მეგრელის „პატარა ქართველი“. ორი მიზეზი არსებობდა გადაწყვეტილების მისაღებად: პირველი - მეგრელი ავტორების წახალისება და მათი ბუნებრივი ჩართულობის ხაზგასმა მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში და მეორე, ალბათ, ნიჭის ფაქტორი, რომლის მთავარი განმსაზღვრელი, მხატვრულ დონესთან ერთად, ლექსის სპეციფიკა, კერძოდ, მისი საბავშვო ხასიათიც უნდა ყოფილიყო - ყმაწვილთათვის ადვილად დასამახსოვრებელი და დასასწავლი სწავლების პირველსავე ეტაპზე.

ავტორები ყოველთვის მტკივნეულად აღიქვამდნენ ნებისმიერ ჩარევას და ბუნებრივი პროტესტი გაუჩნდა დუტუ მეგრელსაც. 1907 წლის ჟურნალ „ნიშადურის“ 10 აპრილის 38-ე ნომერში (გვ. 10-11) მან დაბეჭდა „შენიშვნა“, რომელშიც განმარტა: „ჯეჯილში“ „და სიკვდილის“ მაგიერ დაბეჭდილია „სიამ-ტკბილი“, თუმცა მე პირადად თანახმა არა ვარ ამისთანა შესწორებისა. ამის გარდა, პოეტმა გააპროტესტა ისიც, რომ „დედაენაში“ მისი ლექსი მოთავსებული იყო სხვა „ამერ-იმერ ქართველთა სიმღერებს“ შორის და, რომ გამოტოვებული იყო მესამე სტროფი, რაც, მისი აზრით, „ლექსს თუ არ ახდენს, არაფერს მატებს“. ამას გარდა, დუტუ მეგრელი გულისწყევტით წერდა იმის შესახებაც, რომ „სარჩევში, სადაც ავტორები ჰყავს აღნიშნული ბ. გოგებაშვილს, ამ ლექსის ავტორზე ხმას არ იღებს და გამოდის, მის წინასიტყვაობასთან მინაწერ შენიშვნის მიხედვით, რომ ეს ლექსიც ან თავად ბ. იაკობს უნდა ეკუთვნოდეს, ან ხალხური უნდა იყოს“. დუტუ მეგრელის წერილი მთავრდება მრავლისმთქმელი ემოციური ფრაზით „ეს სრული აბუჩად აგდებაა მწერლისა!..“

„შენიშვნას“ მაშინვე გამოეხმაურა იაკობ გოგებაშვილი და ამავე ჟურნალის 42-ე ნომერში დაბეჭდა საპასუხო წერილი სათაურით „უცნაური ბრალდება (პასუხად ბ-ნს დუტუ მეგრელს)“ (გვ. 5-6). ის განმარტავს, რომ „დედაენის“ 22-ე გამოცემის (იგულისხმება 1907 წლის გამოცემა) გეოგრაფიულ ნაწილში დაიბეჭდა სამი ლექსი სამშობლოს სიყვარულის შესახებ, რომელთაგან ორი ხალხურია, ხოლო მესამე დუტუ მეგრელს ეკუთვნის: „არცერთს ამ ლექსთაგანს თავისი საკუთარი სათაური არა აქვს. ყველას წინ

მიუძღვის საერთო სათაური „ამერ-იმერთა ქართველთა სიმღერები“. იაკობ გოგებაშვილი ასახელებს ორ მიზეზს, თუ რატომ დაარქვა სიმღერები:



1. ლექსები გამოთქმულნი არიან სიმღერის კილოზედ;

2. გვწადა, მასწავლებლებისათვის ჩაგვეგონებინა, რომ ეს ლექსები, სავსე მხურვალე ეროვნული გრძნობით, არა მარტო წაეკითხებინა მოსწავლეთათვის, არამედ ზეპირად დაესწავლებინა და ემღერებინათ, რათა უკეთესად გამსჭვალულიყვნენ შიგ დამარხული ეროვნული გრძნობით.


იაკობ გოგებაშვილი განმარტავს იმ მიზეზებსაც, თუ რატომ ვერ მოხერხდა ავტორის მითითება (საერთო სახელს ვერ მივუყენეთ ავტორები, ცალკე სახელები კი წიგნის ტექსტში არ მოიპოვებოდა), თუმცა პირობას იძლევა, რომ შემდეგ გამოცემებში ეს ლაფსუსი გასწორდება. აქვე ის ძალიან მნიშვნელოვან საკითხს ეხება: „**ბ-ნი დუტუს დაუსახელებლობა ჩვენ საწინააღმდეგო და სამწუხაროდ დაგვრჩა** ერთის გარემოების გამო. მოგეხსენებათ, რომ ქართველის ერის მტრები ყოველს ღონისძიებას ხმარობენ, რომ სამეგრელო საქართველოს მოსწყვიტონ, სამასი ათასი მეგრელით შეამცირონ ქართველთა რიცხვი, ერთი დიდი ლუკმა ორ პატარა ლუკმად აქციონ, ადვილად გადაყლაპონ და ადვილადვე მოინელონ. ერთი ძლიერი ღონისძიება ამ ბოროტი განზრახვის წინააღმდეგ არის - მხურვალე მონაწილეობა მეგრელებისა ქართულს მწიგნობრობასა და ლიტერატურაში და ამ მონაწილეობის გამომწვევა, ხაზის გასმა... ამავ მოსაზრებით ჩავურთეთ „დედა ენაში“, ნაცვლად იოსებ ბაქრაძის ლექსისა, ბატონი დუტუ მეგრელის ლექსი იმავე თემაზე“.

ხოლო ლექსის მესამე სტოფის ამოღებას იაკობ გოგებაშვილი ასე ასახულებს: „**ჩვენი კალმოსანი საქართველოს ქვეყნის თვალად სთვლის და ეს კი გადაჭარბებული ქებაა.** ამავ სტრიქონში საქართველოს იხსენიებებს როგორც ღვთის-მშობლის წილ-ხდომილს ქვეყანას. ჩვენ კი „დედა ენაში“ უკანასკნელს სასულიერო განყოფილებამდი ქრისტიანული ელემენტი გამოტოვებული გვაქვს, რათა ქართველს სპარსელებს, კერძოდ, ქართველ მაჰმადიანებს საზოგადოდ და ქართველს ურიებს მივცეთ შეძლება, დაუბრკოლებლივ იხმარონ საერთო სახელმძღვანელო ქართულის ენისა“. გარდა ამისა, მითითებულია კიდევ ერთი შინაარსობრივი მიზეზი: რომ გამოტოვებულ სტროფში გამოხატული აზრი საქართველოს ზედის ცვალებადობის შესახებ უკეთესად არის გამოთქმული შემდეგ სტროფებში და ამიტომ, „ლექსი არაფერს ჰკარგავს ამ საჭირო გამოტოვებით“.

გაუგებრობა თუ კამათი ამით ამოიწურა.

ის, რომ 1907 წლიდან მოყოლებული ქართველმა ერმა პატარაობიდანვე შეისისხლხორცა დუტუ მეგრელის ეს ლექსი იაკობ გოგებაშვილის დიდი დამსახურებაა. ლექსის მიხედვით კომპოზიტორმა ვალერიან ცაგარეიშვილმა 1945 წელს დაწერა სიმღერაც გუნდისათვის ფორტეპიანოს აკომპანიმენტით.

ახლა იმის შესახებ, თუ რატომ გავრცელდა დუტუ მეგრელის სახელით ამ ლექსის ახალი რედაქცია, ჩამატებული ორი სტროფით:



ინტერნეტ სივრცეში ამ სტროფების გამოქვეყნებას მოჰყვა არა მარტო კომენტარები, თითქოსდა, კომუნისტური კრიტიკისა და ცენზურის „ბასრმა მახვილმა“ მხოლოდ ორი სტროფი დაუტოვა დუტუ მეგრელს და დანარჩენი აკრძალა, არამედ წერილებიც კი, მაგალითად:

- *ეს დაგაინტერესებთ ქართველნო! დუტუ მეგრელის ნამდვილი ლექსი (სრულად);*

- *დუტუ მეგრელის ლექსი „მე პატარა ქართველი ვარ“, რომელსაც შემოკლებულად ასწავლიდნენ სკოლებში;*

- *იცით „მე პატარა ქართველი ვარ!“ სრულად?*

- *დუტუ მეგრელის ამ ტექსტში, რომელსაც 4 სტრიქონის გამოტოვებით გვასწავლიდნენ, მოცემულია სრულიად საქართველოს ხატი;*

- *„მე პატარა ქართველი ვარ...“ – დუტუ მეგრელის ცნობილი ლექსი და მისი ნამდვილი ვერსია...*

საბჭოთა ტოტალიტარიზმს თავისი ცოდვებიც ჰყოფნის და ამას ნულა ავკიდებთ! საქმე სხვაგვარადაა:

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში აქტიურ ფაზაში შევიდა განათლების რეფორმა. დაიწყო სისტემის მოდერნიზების პროცესი. გაჩნდა ალტერნატიული სასკოლო სახელმძღვანელოები, მათ შორის საეტაპო მნიშვნელობისა იყო ვახტანგ როდონაიას ჯგუფის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები, რომლებშიც პირველად მოხერხდა ლიტერატურის სწავლების საბჭოური სტერეოტიპებისაგან გათავისუფლება. სწორედ, ამ ჯგუფის (ვ. როდონაია, ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი, ა. არაბული) ავტორობით 1998 წელს დაიბეჭდა „დედაენის“ მეორე კლასის სახელმძღვანელო. მასში გაჩნდა ლექსი „საქართველო (პაპის ანდერძის გახსენება)“ (გვ. 124).

ქართლ, კახეთი, იმერეთი,

გურია და სამეგრელო;

რაჭა-ლეჩხუმ-ჯავახეთი

და მესხეთი სასახელო;

ხევი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი,

სვანეთი და აფხაზეთი;

ძველი ტაო-იმერხევი,

საინგილო და ლაზეთი;

მთიულეთის საარაგო

და აჭარის ზღვა და მდელი;

ყველა ჩემი სამშობლოა,

საყვარელი საქართველო!

სარჩევში კი მითითებული იყო „საქართველო“ - დუტუ მეგრელის მიხედვით¹.

ამ ჩანართი ტაეების ავტორია ცნობილი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული. როგორც თავად აღნიშნავს, ამოცანა მარტივი იყო: დუტუ მეგრელის ცნობილ ლექსში ჩამოთვლილია საქართველოს მხოლოდ ხუთი კუთხე: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო. საქართველოს სხვა მხარეებში მცხოვრები მასწავლებლები და მოსწავლეები ხშირად გამოთქვამდნენ გულისწყვეტას, რომ ჩამონათვალში მათი კუთხე არ იხსენიებოდა. თანაც, ერთიანი საქართველოს გააზრება ადრეულ ასაკში უნდა ჩამოყალიბდეს და, რადგან დუტუ მეგრელის „პატარა ქართველი“ ძალიან ადვილად ამახსოვრდებათ ბავშვებს, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ლექსის მეშვეობით საქართველოს კუთხეების სახელთა დამახსოვრების პრობლემის გადაჭრა.

ასე გაჩნდა ლექსში საქართველოს დანარჩენი კუთხეები: რაჭა, ლეჩხუმი, ჯავახეთი, მესხეთი, ხევი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, სვანეთი, აფხაზეთი, ტაო, იმერხევი, საინგილო, ლაზეთი, მთიულეთი და აჭარა - ამ ჩანართით, ფაქტობრივად, მთლიანი საქართველოს, ამერ-იმერის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პანორამა აღდგა, იმ ერთიანი და მთლიანი, ნიკოფსიდან დარუბანდამდე გადაჭიმული საქართველოსი, რომლის ბევრი მხარე უკვე ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვრებში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, აღარ შემოდის.

ასე რომ, დუტუ მეგრელის ლექსი „პატარა ქართველი“ კომუნისტებს არ აუკრძალავთ. ის ვარიანტი კი, რომელიც ასე ძალიან მოსწონს თანამედროვე ქართველს, ავთანდილ არაბულის ნიჭის წყალობით გაჩნდა სასკოლო სახელმძღვანელოებში. ხოლო, ავტორთა ჯგუფისთვის პლაგიატობა რომ არ დაეწამებინათ, ლექსს დაარქვეს „საქართველო“, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ამ ვარიანტის შეთხზვის კონცეფციას. შესაბამისად, სარჩევში მიუთითეს „დუტუ მეგრელის მიხედვით“ და არა „ავტორი დუტუ მეგრელი“.

ასეთია თავგადასავალი დუტუ მეგრელის ერთი ლექსისა, როგორც სულში ჩადვრილი სათნოებისა, რომელიც დღემდე გულზე ახატია ქართველ ერს.

დამოწმებანი:

ბაქრაძე 1938: ბაქრაძე ი., კრებული (სოლომონ ყუბანეიშვილის რედაქციით). თბილისი, გამომცემლობა „ფედერაცია“, 1938.

გოგებაშვილი 1907: გოგებაშვილი ი., „უცნაური ბრალდება (პასუხად ბ-ნს დუტუ მეგრელს). ჟურნ. „ნიშადური“, N42, 1907.

დედა ენა 1907: დედა ენა შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. 23-ე გამოცემა, თბილისი: წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა (სტამბა „იდეალი“), 1907.

დედაენა, მეორე კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“ (საავტორო ჯგუფი: ვ. როდონაია, ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი, ა. არაბული), პირველი გამოცემა, 1998.

დროების კალენდარი 1875: დროების კალენდარი, თფილისი, 1875.

მეგრელი 1907: მეგრელი დ., შენიშვნა. ჟურნ. „ნიშადური“, N 38, 10 აპრილი, 1907.

ცაგარეიშვილი ვ. მე პატარა ქართველი ვარ, ტექტი დუტუ მეგრელისა, მისამართი: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/174076/5/2350_FM_Me_Patara_Qartveli_Var_Teqsti_Dutu_Megrelisa_Cagar_eishvili_V.pdf.

ჯეჯილი 1901: ჟურნ. „ჯეჯილი“, N1, 1901.

¹ საქართველოს კუთხეების ჩამოთვლის მცდელობა ჰქონდა გალაკტიონ ტაბიძესაც თავის ლექსში „მშობლიური ჩემო მიწავ“, რომელიც 1940 წელს დაიწერა:

„მიყვარს მარად მხნე და ძმური
ის გურია და სვანეთი,
თუში, ფშავი და ხევსური,
აჭარა და თრიალეთი...
იავნანა მეგრელ დედის,
აფხაზეთი, მოხევეური,
ლაზთა რბევა, სისხლის ტბორით
შეღებილი ქართლ-კახეთი!
რაჭა-ლეჩხუმია შორით,
ახლო - მესხეთ-ჯავახეთი...
და ვიგონებ იმერეთის
ომს ვეფხვებრივს, შინ - ზრდილობას“...

Saba Metreveli

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**PERIPETEIA OF POLEMICS BETWEEN IAKOB GOGEBASHVILI AND DUTU MEGRELI
RESUME**

In 1907, Jacob Gogebashvili started working on the 22nd edition of Deda Ena. He collected and adapted new materials for the book with great piety. There were two poems on a patriotic theme he chose for it: one by Iosif Bakradze, and the other one by Dutu Megreli. The poem "I am a Georgian" by Joseph Bakradze was published in 1875 in the "Droebis Calendari" newspaper under the pseudonym I. Elakadze, and the five-line poem "Little Georgian" by Dutu Megreli (Dmitry Khoshtaria) was published in the 1901 tenth (October) issue of the "Dzhejili" magazine. Jacob Gogebashvili ultimately chose the poem by Dutu Megreli and in the second part of 1907 edition of Deda Ena he published this poem in an abridged form - one line less than in the original. Dutu Megreli protested that his poem was published in the Jacob Gogebashvili's book among songs from different parts of Georgia and the third line was missing in it. According to Dutu Megreli, the removal of the third line spoiled his poem and did not give it anything good. The poet's letter ended with a polysemantic emotional phrase: "This is a complete mockery of the writer." Jacob Gogebashvili immediately responded to Dutu Megreli's remark, and in the 42nd issue of the same magazine a response letter was published under the title "Strange accusation (answer to Dutu Megreli)", where he explained the reasons why he introduced the poem "Little Georgian" instead of the one by Iosif Bakradze, and what guided his correction of some of the poem's details.

მურად მთვარელიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**„ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ერის ყოფა-ცხოვრებაში
ერთი ლიტერატურული ტექსტის მიხედვით**

ყველა ერს აქვს რაღაც ისეთი, რომელიც მის სახეს, იდენტობას, ხასიათსა და სულიერებას განასახიერებს. ქართველებისათვის ამ ყველაფრის ერთობლიობას „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს, რომლის ფურცლებიც იტევს ჩვენი გმირი წინაპრების მაღალ შინაგან კულტურას, სიბრძნეს, ბრძოლისუნარიანობას, სიყვარულის, მეგობრობის, თავდადების, პატრიოტიზმის იდეალებს. ის საუკუნეების განმავლობაში ქართველებს გვასწავლის, როგორები უნდა ვიყოთ, როგორ მოვიქცეთ ამა თუ იმ სიტუაციაში, როგორ გავუძლოთ განსაცდელს, რა ზნეობრივი კრიტერიუმებით ვიცხოვროთ. ამიტომაც შეარქვა ქართველმა ერმა „ვეფხისტყაოსანს“ მეორე „ბიბლია“. მართლაც თუ წმინდა წიგნში ყველა მართლმორწმუნე ქრისტიანი ღებულობდა პასუხს თუ როგორ უნდა ეცხოვრა, რომ უფლის წინაშე პირნათლად წარმდგარიყო, „ვეფხისტყაოსნიდან“ ის უკვე იღებდა იმ ზნეობრივ კანონებს, რაც მას უფალთან აახლოებდა, მაგრამ არ უკრძალავდა არც იმას, რომ ამქვეყნიური ცხოვრებითაც დამტკბარიყო.

პროფ. მოსე ჯანაშვილი წერდა: „ვეფხისტყაოსანი“ დიდი ქმნილებაა და იგი ქართველთათვის შეიქმნა მეორე სახარებად. მხედარნი და სპასალარნი მასში ჰპოვებდნენ მაგალითებს გმიროსნობისას, დედანი ცოლ-ქმრობის სიმტკიცე-სიწმინდისას, მეფეთა ქვეშევრდომნი - ტახტის ერთგულებისას, მწერალნი - სიმშვენიერეს სურათებისას, ლექსთა კეთილობისას და საზოგადოდ ყველანი - მამულისა და სარწმუნოებისათვის თავდადებისას.“ (ჯანაშვილი 1937: 5)

„ვეფხისტყაოსანმა“ ერთგვარად განსაზღვრა კიდეც ის გზა, რომლითაც საქართველოს შემდგომ საუკუნეებში უნდა გაეწეოთ, მან, როგორც სარკემ და როგორც ჩირაღდანმა ქართველ ერს ერთი მხრივ სავალი გზა გაუწათა, ხოლო მეორე მხრივ სარკესავით დაანახვა ყველა ის ცხოვრებისეული მოვლენა, რომლითაც მათ უნდა ეხელმძღვანელათ. „შოთა რუსთაველის გენიალური პოემის - „ვეფხისტყაოსნის“ თითოეული სტროფი მრავალგანზომილებიანი სამყაროს შეცნობის მეტაფიზიკური ცნობიერებითაა

გაჯერებული. ეს სულ სხვა ბიბლიაა, ნამდვილი, ხვთაებრივი სიღრმეებით დახუნძოლი“ (ხანიაშვილი 2017: 155)

მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნიდან მოკიდებული, ძველ და ახალ აღთქმასთან ერთად, ჩვენ უკვე გვექონდა ჩვენი ზნეობრივი კოდექსი, რომლის ფურცლები სავსე იყო ცხოვრებისეული მაგალითებით. მთავარი იყო, რომ მკითხველი გაჰყოლოდა, ჩაღრმავებოდა, ეგრძნო ამ მაგალითების ძალა და თავის სამოქმედო კანონად ექცია. „ყოველთვის და ყველგან „ვეფხისტყაოსანი“ გახდა სულათა და გულათა ქართველი ერისა და თითქმის სარკეთ, სადაც ჰხედავდნენ მეგობართა მეგობართათვის თავგამოდებულთა და ჭირსა შიგან მომხმარებელთა, რომლის მსგავსს სხვა მწერალთა ნაწერებში ვერას ჰხედავდნენ“, - წერდა ზაქარია ჭიჭინაძე. (ჭიჭინაძე 1884: 42)

საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში არის დამკვიდრებული „ვეფხისტყაოსნის“ მზიოთში გატანების ტრადიცია. პროფ. მოსე ჯანაშვილი შენიშნავდა: „იმდენად პატივსაცემი შეიქმნა რუსთაველი, რომ მის ქმნილებას მამანი მზიოთად ატანდნენ თავის ქალიშვილებს“. (ჯანაშვილი -II 1937: 5)

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ძირითადად, ეს ტრადიცია ვრცელდებოდა მაღალ არისტოკრატიულ ოჯახებზე, რადგან პოემის ხელნაწერები მიზეზთა მრავალთა და მრავალთა გამო, ყველა ოჯახისთვის ხელმისაწვდომი არ იყო...

„ვეფხისტყაოსანი“ იყო ძვირფასი და თანაც აუცილებელი მზიოთი ქართველი ქალისათვის. საქართველოს ისტორიაში არაერთი ეპიზოდი შეიძლება მოიძებნოს, სადაც ამ საკითხზეც არის გამახვილებული ყურადღება. ეს უფრო მეტად კი „მზიოთის წიგნებია“, სადაც სხვა უამრავ ჩამონათვალთან ერთად „ვეფხისტყაოსანს“ (და კიდევ რამდენიმე წიგნს) საპატიო ადგილი უჭირავს. პროფ. მიხ. ჩიქოვანი წერს: „შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილება ნაციონალურ განმად იქცა. ის თითოეული ოჯახის ძვირფასი ნივთია, რომელსაც გასათხოვარ ქალებს მზიოთად აძლევდნენ. ამის შესახებ ზეპირსიტყვიერების გარდა წერილობითი ცნობებიც მოგვეპოვება მე-17 - მე-18 საუკუნეების „მზიოთის წიგნების“ სახით.“ (ჩიქოვანი 1937: 155)

დიდი ქართველი მწერალი აკაკი წერეთელი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევდა საქართველოში ქალისათვის „ვეფხისტყაოსნის“ მზიოთად გატანების ტრადიციას. თუ გავითვალისწინებთ, რომ მე-19 საუკუნეში მცხოვრებ დიდი ფეოდალური საგვარეულოდან გამოსულ, დედის მხრიდან იმერეთის მეფის შთამომავალ მწერალს მეტი საბუთი ექნებოდა ამ აზრის ნათელსაყოფად, კიდევ უფრო დამაჯერებლობას შეიძენს მისი ცნობა: „ის ქორწილი საქებრათ არ ჩაითვლებოდა და ის მზიოთი მზიოთად არ იხსენიებოდა, თუ რომ მზიოთის სიაში პირველათ „ვეფხისტყაოსანი“ არ იქნებოდა მოხსენიებული.“ (წერეთელი -XII 1960: 84)

გარდა იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანს“ მზიოთში ატანდნენ, ამავე დროს, პოემის ტექსტის გარკვეული სტროფების წარმოთქმა წარმოადგენდა საქორწინო ცერემონიალის განუყოფელ ნაწილს. პოემის სტროფებს ასევე წარმოთქვამდნენ ლხინშიც. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსი სიმღერით სრულდებოდა სახალხო დღესასწაულებზე და შეკრებულებებზე.“ ამ გარემოებაზე ყურადღება გამახვილებულია მეფე-პოეტ არჩილის პოემაში „გაბასება მეფის თეიმურაზისა და რუსთაველისა“

საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს;

ვის ლხინი აქვს მას უზნობენ, ანუ გული ვისცა უწუხს,

მხიარულად წაიკითხვენ, მასზედ თვალნი არვის უწუხს.

„ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული სტროფების ქორწილში მღერასა და ერთგვარ რიტუალთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესო და ანგარიშგასაწევ ცნობებს გვაწვდის მეორე მეფე-პოეტი თეიმურაზ მეორე (1700-1762 წწ.), რომელიც თავის ნაწარმოებში „სარკე თქმულთა“ საკმაოდ გეგმაზომიერად, ნათლად და დამაჯერებლად გვაძლევს ამ ცერემონიალის აღწერილობას.

თეიმურაზ მეორის თანახმად, მექორწინები თავისი ოჯახიდან ნეფის წასვლის დროს მაყრულის მღერას აუცილებლად მიაყოლებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებს. სამწუხაროდ, მეფე-პოეტი არ ასახელებს ამ შემთხვევაში თუ რომელი სტროფები იმღერებოდა, მაგრამ თვით ფაქტი, რომ მექორწინებს აუცილებლად უნდა შეესრულებინათ სიმღერა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე, ეს ფაქტია:

მეფის წასვლის დროს ასტეხონ ხმა-მადლად თვით მაყრულები,

თქვან მუნასიბი ლექსები ბრძენის რუსთვლისგან თქმულები,

ცხენს შეჯდეს, წინა გაუძღვეს, მარქაფა დაკაზმულები,

გვერდსა ახლია მაყრები, მიდიან მხიარულები (471)

აქ განსაკუთრებით საინტერესოა მეორე სტრიქონი „თქვან მუნასიბი ლექსები ბრძენის რუსთვლისგან თქმულები“. ცნობილია, რომ მუნასიბი არის „ძველი ქართული ექსპრომტი (ილია ჭავჭავაძის ტერმინოლოგიით „სახელდახელო“), მოკლე, ჩვეულებრივ რამდენიმე სტრიქონიანი ლექსი, წარმოთქმული ან დაწერილი უცებ, წინასწარ მოუფიქრებლად რაიმე კონკრეტული შემთხვევის გამო. მუნასიბს საფუძვლად უდევს გონებასახილური აზრი, იგი უმეტესად სახუმარო ან სატირულია, ზოგჯერ

კი ვინმეს შექებაა“, ვფიქრობთ, აქ საუბარი უნდა იყოს შექებაზე, კერძოდ - სიძის შექებაზე, და შესაბამისად, ამ შემთხვევაში წარმომთქმელიც, სავარაუდოდ, თვითონ არჩევდა რომელიმე სახოტბო სტროფს (სტროფებს) ვეფხისტყაოსნიდან, რომელთაც ხმამაღლა წარმოსთქვამდა. ამის შემდეგ სრულდებოდა საქორწინო ცერემონიალი: ქალის მამა ან ძმა, პატარძლის ხელს სასიძოს გადასცემდა, რასაც მოსდევდა ჯვრისწერა, რომლის დასრულების შემდეგ, ტაძრიდან გამოსვლისას, მაყრები კვლავ მღეროდნენ და თან ნეფე-დედოფალს ხმლის ქვეშ გაატარებდნენ.

ტაძრიდან პატარძლის სახლისკენ მიმავალს სიძეს ალაყაფის კარში შესასვლელად ფულის გადახდა მოუწევდა. მექორწინენი გზაზე ჩუმად უნდა ყოფილიყვნენ, მხოლოდ პატარძლის ეზოში შესვლის შემდეგ კვლავ იწყებენ მაყრულის სიმღერას.

სახლში შესულ ნეფე-დედოფალს პატარძლის დედა შაქრით დაატკბობდა. სანეფო ტახტზე დასაჯდომად მეფეს კვლავ ფულის გადახდა უწევდა, რის შემდეგაც იწყებოდა მილოცვები. სუფრასთან დასხდომის შემდგომ იწყებოდა საქორწინო მოლხენა. ლხინის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ნეფე-დედოფლის სახოტბო შაირის თქმა, რასაც მოსდევდა ჯერ გალობა, შემდეგ - ღვინის სმა, ხოლო შემდეგ - დედოფლის პირის ახდა.

ამის შემდეგ კითხულობდნენ მზითვის წიგნს, რომლის დასრულების შემდეგ, კვლავ შესვამდნენ თასებს, რასაც მოსდევდა სიმღერა და მუნასიბების თქმა.

შუა ლხინის დროს მეფე ადგებოდა და ეჯიბთან ერთად სასეირნოდ გარეთ გადიოდა, მას მიჰყვებოდა მასპინძელიც. ისინი მალევე დაბრუნდებოდნენ უკან. ახლა უკვე ნეფის ტახტის წინ დაჩოქილებს უნდა დაელიათ სასმელი. როცა ეს ჩათავდებოდა, ნეფის საწოლში შესვლის დრო მოახლოვდება, ნეფის გაცილებამდე მაყრიონის წევრები ამბობდნენ კვლავ „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებს

მემაყრულეთ თქვან რუსთვლისა მუნასიბები ქებისა,

ადგეს ეჯიბი მაყრითურთ, გვერდთა მხლებელი მეფისა;

წავიდეს მეფე საწოლსა, მაყრული გადიდებისა,

მასპინძლები და სტუმრები, სხვა არ დამგდები სეფისა. (519)

ნეფე შედის საწოლში და ელოდება პატარძალს. აქ არიან მაყრებიც, რომლებიც ცოტა ხანს ჩერდებიან და კვლავ ლოცავენ ნეფე-დედოფალს. ბოლოს სუფრაზე რჩებიან ქალები, რომლებიც პატარძალს აპურებენ. შემდეგ იწყება სუფრის ალაგება. ქალებს ცეკვა-თამაშით შეჰყავთ დედოფალი ნეფესთან, რომელსაც ეხმარებიან სამოსის გახდამი. ამის შემდეგ ქალები სტოვებენ მარტო ნეფე-დედოფალს. ნეფე მარჯვნივ იწვენს დედოფალს მკლავზე.

მეორე დღეს, დილით, მექორწინეები მიემგზავრებიან სიძის სახლში. იმართება დამშვიდობების ცერემონიალი.

მეფე ცხენზე შეაჯენს დედოფალს. მაყრად ატანენ პატარძლის ერთ ძმას. გამგზავრებისას მექორწინეები კვლავ მღერიან:

შემოსძახებენ მაყრულსა მაღალს, ამოსა ხმასაო:

„წასვლა სჯობს წარმავალისა“ -ეს მუნასიბად არსაო,

წავლენ თქრიალით შინასკენ, არ მოეშალნენ თქმასაო,

ცხენსა არბევდენ ვაჟკაცნი - უყურონ თამასასაო!

აღსანიშნავია, რომ ცნობილი ხალხური სიმღერა „წასვლა სჯობს წარმავალისა“ ძველ საქართველოში ხშირად იმღერებოდა და მან პოპულარობა დღემდე შეინარჩუნა.

მეფის სახლს მიახლოებული მაყრიონი შინ აგზავნის მახარობელს. სახლში მისვლამდე მაყრიონი ცოტა ხნით ისვენებს, პატარძალს კვლავ რთავს და ამის შემდეგ აგრძელებს გზას. ოჯახში შესვლის წინ მაყრიონი კი კვლავ რუსთაველის ლექსს იხსენებს:

მოაგონდეს რუსთვლის ლექსი, შემოსძახონ წამ ასია:

„მოიყვანეს იგი პირ-მზე“ და შემდგომი ამისია,

მთქმელი არის მადრიელი მომძახლისა ზანისია,

ჩირახთან დაანთებენ, დრო დაეცეს ღამისია (536)

ამ სტროფში საინტერესოა ის გარემოება, რომ ავტორი ასახელებს კონკრეტულ ტექსტს, რომელსაც ამ შემთხვევაში მექორწინეები მღერიან. ტაეპის შინაარსი არის ასეთი: მაყრიონს მოაგონდა რუსთაველის ლექსი და იმ წამსვე შემოსძახეს ეს ტაეპი თავისი შემდგომი ტექსტით. „მოიყვანეს იგი პირ-მზე“. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტაეპი წინწკლებშია ჩასმული, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ის დედნისეული ტექსტის ციტირებაა, ზუსტად ასეთი ტაეპი პოემაში არ დასტურდება. შესაძლებელია ეს იყოს ერთგვარი პერიფრაზი ტაეპისა: „აიყვანე იგი პირ-მზე ნაქები და ვერ ვთქვი უქი; სურვილმან და მზემან მისმან, ძლივ დავმალე მისი შუქი“ (1139 1-2). ამ შემთხვევაში მთავარი არის ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გარკვეული მონაკვეთები გამოიყენებოდა სიმღერად ქორწილებსა და სხვა სადღესასწაულო შეხვედრებზე.

ცნობილია, რომ ხევსურეთში, სადღესასწაულო შეხვედრებსა თუ ჩვეულებრივი ლხინის დროს, ახლაგაზრდები ხშირად მღეროდნენ სტროფებს „ვეფხისტყაოსნიდან“. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ცნობილი ეთნოგრაფი ნიკო ხიზანიშვილი. როგორც ცნობილია ხალხი ძირითადად მღეროდა რუსთველის შემდეგ ტაეებს: „მე რუსთველი“, „ვარდსა ჰკითხეს“, „ზამთარი“...

ყოველივე ეს კიდევ უფრო მეტად გვიმტკიცებს წარმოდგენას იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლი ეკისრებოდა „ვეფხისტყაოსანს“ ქართველი ერის ყოფა-ცხოვრებაში, კერძოდ ბედნიერების დროს, ხოლო რაც შეეხება განსაცდელის ჟამს ჩვენი წინაპრების დამოკიდებულებას პოემისადმი, ეს ცალკე კვლევის უადრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი თემაა.

ლიტერატურა:

ჯანაშვილი 1937: მ. ჯანაშვილი, თხზულებათა სრული კრებული აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. II, თბ. 1937

ხანიაშვილი 2017: ნ. ხანიაშვილი „ვეფხისტყაოსანი“ და მეტაფიზიკა“ ჟურნ., „პარალელი“ 2017 N9

ჭიჭინაძე 1884: შოთა რუსთაველი (სურათით) 1172-1216, ზ. მთაწმინდელისა, თბ. 1884

ჩიქოვანი 1937: მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, კრებულში: შოთა რუსთაველი სკოლაში, თბ. 1937

წერეთელი - XII 1960: ა. წერეთელი, „ვეფხისტყაოსნის“ ტიპების ხასიათები“, თსკ ტ. XII, 1960

Murad Mtvarelidze

Gori State Teaching University

“THE KNIGHT IN THE PANTHER’S SKIN” IN THE LIFE OF THE GEORGIAN NATION ACCORDING TO ONE LITERARY TEXT RESUME

For centuries, the “The Knight in the Panther’s Skin” was the first treasure for the Georgian nation, from the pages of which they learned how to live in the time of hardship or misery. The wisdom of the poem nurtured and was passed down from generation to generation, and families gave the manuscript of “The Knight in the Panther’s Skin” to brides in the dowry. It was also used during feasts as well.

Teimuraz II, the Georgian king-poet of the Renaissance period, in his book "The Mirror of the Told" tells us in an impressive way about the role played by certain verses of the poem during the wedding ceremony. These are extremely important facts for confirming the popularization of the poem in the life of the Georgian nation.

თამარ სიდამონიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სიახლეები ქართულ ტექსტოლოგიაში

ტექსტოლოგიის არაერთ განმარტებას, რომელმაც თავისი ადგილი დაიკავა ამ დარგის არსებობის ისტორიულ სარბიელზე, ჩემს მოკრძალებულ განმარტებასაც დავუმატებდი - ტექსტოლოგია არის გონების სარგებელი, მოგზაურობა ტექსტის დაბადებიდან მისთვის აკადემიური სახის მიცემამდე. წყაროების შეჯერება, ცალკეულ თხზულებათა ნაირწყაობა, კლასიკოსთა თხზულებების აკადემიური გამოცემები, ისტორიულ-კულტურული ღირებულების ტექსტების შესწავლა, ტექსტის ავტორისეული ვარიანტის დადგენა, ტექსტის შემოქმედებითი ისტორიის რეკონსტრუქცია (ისტორიულად გააზრებული და კრიტიკული წაკითხვები) - მხოლოდ არასრული ჩამონათვალია იმისა, რასაც შეისწავლის ფილოლოგიის ეს დარგი, რომელსაც ამჟამინდელი კლასიფიკაციით ჰუმანიტარულ მეცნიერებებს მიაკუთვნებენ.

როგორც ამ დარგის მკვლევარი მაია ნინიძე აღნიშნავს, მხოლოდ ახალი საუკუნის დასაწყისში აღმოვაჩინეთ, რომ ტერმინი ტექსტოლოგია („Textology“) ამ დარგის აღსანიშნავად ინგლისურ ენაში არ გამოიყენებოდა და ბევრმა ევროპელმა მეცნიერმა არც კი იცოდა მისი არსებობის შესახებ (1; 226).

ქართული თეორიული ტექსტუალური ნაშრომები, როგორც აღმოჩნდა, კონცეპტუალურად ზუსტად მიჰყვებოდა რუსულს და ტერმინოლოგიური კორპუსიც მისი მიხედვით იქმნებოდა:

Основной текст – ძირითადი ტექსტი

Текстологический паспорт – ტექსტოლოგიური პასპორტი

Научный аппарат – სამეცნიერო აპარატი...

როგორც ამ დარგის მკვლევრები აღნიშნავენ, იმ პერიოდში რუსული ტექსტოლოგია საკმაოდ მაღალ დონეზე ყოფილა და, ასე თუ ისე, საქართველოსაც ეძლეოდა დარგის განვითარების საშუალება, მაგრამ ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საჭირო გახდა განვითარების ახალი სტრატეგიების შემუშავება, რასაც გარკვეული დრო სჭირდებოდა. ასევე ძალზე მნიშვნელოვანი იყო ტერმინოლოგიური შესატყვისობების გარკვევა და ქართული ტექსტოლოგიის იმ ახალი ტერმინებით გამდიდრება, რომლებიც გაამარტივებდა კვლევის პროცესს.

ამჟამად ჩვენ უკვე ხელთ გვაქვს ქეთევან გიგაშვილისა და მაია ნინიძის ავტორობით გამოსული „ტექსტოლოგია“ (სახელმძღვანელო დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის), რომელმაც დღის სინათლე 2018 წელს იხილა. საგანმანათლებლო-კვლევითი პროექტი „ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა“ განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტში მონაწილეობა მიუღიათ და სხვადასხვა ავტორთა ხელნაწერების ცხრილები მოუმზადებიათ დოქტორანტებს – გიორგი კალანდამეს, თეა თვალავამეს, ესმა მანას, მაია ჯანგიძეს. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს მიუწოდებია საილუსტრაციო მასალა, სახელმძღვანელოში კი გამოყენებულია ის ტექსტური მასალა (დავალებების პაკეტი და მეთოდები), რომელიც აპრობირებულ იქნა „ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამის სასწავლო პროცესში.

აქვე მოკლე ისტორიული ექსკურსიც:

1957 წელს ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში შეიქმნა ტექსტოლოგიის განყოფილება, სადაც ათწლეულების განმავლობაში მზადდებოდა ქართველ კლასიკოსთა თხზულებების მეცნიერული და აკადემიური გამოცემები. მეცნიერების ეს მიმართულება საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა: ტექსტოლოგიის კვლევებსა და მის შედეგებს იყენებდნენ და იყენებენ მეცნიერების ყველა იმ დარგში, რომლებიც ტექსტის შესწავლაზე არიან ორიენტირებულნი – ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა, ფილოსოფია...

ჩვენ ვეთანხმებით რუსი ტექსტოლოგის ი. კორსაკოვას მოსაზრებას, რომ ტექსტოლოგიური კვლევების „მიზანი არ არის მხოლოდ ტექსტის მეცნიერული გამოცემა ან გამოსაცემად მომზადება“ (2; 104). ტექსტოლოგიურ კვლევებს, მართლაც, თავისთავადი ღირებულება აქვთ და, ბუნებრივია, რომ ტერმინის ამჟამინდელ დეფინიციამ მრავლისმომცველი პრინციპები და განმარტებები ჩადებული. ერთ-ერთ სიახლედ მიგვაჩნია ის, რომ ტექსტოლოგიას გაუჩნდა „ტყუპი დარგი“ გამოცემათმცოდნეობის სახით, როგორც ამას აღნიშნავენ უცხოელი მეცნიერები დრისკოლი და პიერაზო.

რამდენადაც ტექსტის გამოცემისადმი ორგანიზებული მიდგომა არსებობდა, მას ერთი რომელიმე წყაროს მიხედვით უცვლელად ბეჭდავდნენ, ან შეჰქონდათ სწორებები სხვა წყაროებიდან და მიმართავდნენ კონიექტურას, გამოცემათა ამ ტიპების განსასხვავებლად ისეთს, რომელშიც სწორებები შეჰქონდათ, უწოდეს კრიტიკული, მისთვის ტექსტის მომზადებას კი – ტექსტის კრიტიკა. სწორედ ამასთან კავშირში ინგლისურენოვან სამყაროში ბორის ტომაშვესკის, რომელმაც პირველად გამოიყენა ტერმინი „ტექსტოლოგია“ XX საუკუნის 30-იან წლებში, მოიხსენიებენ ტექსტის კრიტიკოსად.

„ტექსტოლოგია“ იმ გაგებით, როგორც იგი ნახევარ საუკუნეზე მეტის განმავლობაში იყო დამკვიდრებული საქართველოში, დღეს უფრო შესაბამეა მსოფლიოში გავრცელებულ მეორე ტერმინს – „მოდერნა/სწავლება ტექსტის შესახებ“ (Textual Scholarship). მაგრამ მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ის არ არის ერთი ცალკეული დისციპლინა, არამედ არის მომიჯნავე დისციპლინათა გამაერთიანებელი ტერმინი, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ტექსტის კრიტიკას, არამედ პალეოგრაფიას, ბიბლიოგრაფიას, გენეტიკურ კრიტიკას, წიგნის ისტორიას, ეპიგრაფიკას, კოდიკოლოგიას, სტემატოლოგიას, დიპლომატიკასაც კი...

ცხადი იყო, რომ ქართული ტექსტოლოგიური ტერმინოლოგია უნდა გადახალისებულიყო და შეესებულებიყო. როგორც მაია ნინიძე აღნიშნავდა ნაშრომში „ქართული ტექსტოლოგია და მისი ინტეგრაცია საერთაშორისო პროცესებში“ (1; 232), უმრავლესობა უცხოური ტერმინების ტრანსლიტერაციის ან კალკირების შედეგად იყო მიღებული. უფრო მეტიც, ინგლისურ ენაში ზოგჯერ

ტერმინს განუცდია მნიშვნელობის მოდიფიცირება და საჭირო იყო ქართველ მეცნიერებს ამისთვისაც მიეციათ ყურადღება.

სწორედ ასეთმა ტერმინებმა, რომელთა რაოდენობა 227-ია, თავი მოიყარა გლოსარიუმში, რომელიც თან ერთვის ტექსტოლოგიის ახალ სახელმძღვანელოს დოქტორანტებისთვის. ამ ტერმინებზე დაკვირვებამ და მათი მნიშვნელობების გაცნობამ ცხადყო, რომ ქართულმა ტექსტოლოგიამ განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო.

ამას ხელი შეუწყო, რა თქმა უნდა, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ. არნახულ აღმავლობას განიცდის ტექსტოლოგია ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ბირმინჰემის უნივერსიტეტის ტექსტოლოგიისა და ელექტრონული აკადემიური გამოცემის ინსტიტუტთან ურთიერთობამ ამ პროექტის ფარგლებში იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა შეავსო უახლესი ინგლისურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით. დაარსდა „ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და ციფრული ჰუმანიტარიის ასოციაცია“, რომელმაც უკვე დაიწყო პირველი ტექსტოლოგიური პროექტის განხორციელება - გურამ რჩეულიშვილის საოჯახო არქივის გაციფრულება და აღწერა.

დღესდღეობით თანამედროვე ტექსტოლოგიური პროექტები ფართო მასშტაბებს მოიცავენ და გულისხმობენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტების, მათ შორის, პროგრამისტების ჩართულობასაც. პროგრამირების ცოდნა ჰუმანიტარს არ მოეთხოვება, მაგრამ წარმატების მისაღწევად იგი აუცილებლად უნდა იყოს საქმის კურსში, რისი გაკეთება შეიძლება მის დარგში თანამედროვე პროგრამებისა და პროგრამისტების დახმარებით (3; 319).

კომპიუტერული ტექნიკისა და ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ტექსტოლოგია ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ის ბევრად უფრო სრულყოფილი უნდა გახდეს, რათა შეძლოს საინფორმაციო ტექნოლოგიებით განებივრებული თანამედროვე მკითხველის გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მოგახსენებთ, რომ მსოფლიოს არაერთი ქვეყნის უნივერსიტეტში, ინსტიტუტსა თუ სამეცნიერო ცენტრში ამ გამოწვევების კვალდაკვალ შეიქმნა ისეთი პროგრამები, რომლებიც აიოლებს ტექსტოლოგიურ კვლევებს და ხელს უწყობს აკადემიური გამოცემის ხარისხის ამაღლებას, გადამზადდნენ სპეციალისტები და ასეთმა კომპლექსურმა მიდგომამ, რა თქმა უნდა, კარგი შედეგი გამოიღო.

ინგლისელი ტექსტოლოგი პიტერ რობინსონი, ბირმინჰემის უნივერსიტეტის პროფესორი, წერდა:

„მთელმა სამეცნიერო საზოგადოებამ აუცილებლად უნდა ირწმუნოს ციფრული გამოცემის უპირატესობა ნაბეჭდთან მიმართებით“, თუმცა დასძენდა: „ტექსტოლოგების საჭიროებებს და მკითხველის ინტერესებს მხოლოდ ციფრული არქივები ვერ დააკმაყოფილებს... არგუმენტების გარეშე ჩვენი არქივები ტომრებია მოუხმარებელი სიტყვებითა და გამოსახულებებით სავსე“ (4; 39).

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე მწერალთა დიდი ნაწილი უკვე პირდაპირ კომპიუტერში მუშაობს, რაც მომავალში ტექსტოლოგებს შეუზღუდავს ტექსტზე მუშაობის შემოქმედებით პროცესზე დაკვირვების საშუალებას. ამიტომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უკვე ალაპარაკდნენ იმაზე, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან ამ ტიპის უაღრესად საინტერესო ინფორმაციის დაკარგვა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტექსტზე მუშაობისას მწერლები, ძირითადად, იყენებენ პროგრამა WORD-ს, სასურველია, როგორც გვირჩევენ, წერის პროცესის განახლებისას ცვალონ დოკუმენტის სახელი, ან წინასწარვე ჩართონ ბრძანება „ცვლილებების განხორციელება და მათი ასახვა“. სამომავლოდ სწორედ ეს მისცემს ტექსტოლოგებს საშუალებას, რომ მომავალშიც დააკვირდნენ ტექსტის შექმნის რთულსა და მეტად საინტერესო პროცესს.

ლიტერატურა:

1. ნინიძე მაია, ქართული ტექსტოლოგია და მისი ინტეგრაცია საერთაშორისო პროცესებში, ლიტერატურული ძიებანი, XXXIX, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2018, გვ. 226; 232.
2. Корсакова Ю., О развитии Текстологии, Тамбов, „Грамота“, 2012, стр. 104.
3. ნინიძე მაია, გიგამული ქეთევან, ტექსტოლოგია (სახელმძღვანელო დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის), თბ., 2018, გვ. 319.
4. რობინსონი პიტერ, შუასაუკუნეების ტექსტების ელექტრონული გამოცემის მიმდინარე საკითხები ანუ აქვს თუ არა მომავალი ელექტრონულ აკადემიურ გამოცემებს, 2005, გვ. 39.

Tamar Sidamonidze
Gori State Teaching University
NOVELTIES IN GEORGIAN TEXTOLOGY
RESUME

The rapid development of computer techniques and technologies has posed new challenges to textology.

In the wake of these challenges, new programs and important papers have been developed at universities, institutes and research centers around the world, facilitating textual research and promoting the quality of academic publications; Specialists were trained and such a complex approach yielded positive results.

"Textology" (2018) authored by Ketevan Gigashvili and Maia Ninidze serves this purpose. This is a coursebook designed for PhD students. Educational-research project "Textology and Publishing Studies" was carried out with the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation.

We believe that this paper contains interesting material, new field terminology and allows to meet the increased demands of readers pampered by the information technology.

ნათია სიხარულიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გალაკტიონ ტაბიძე და უკრაინული მწერლობა
(ორი ეტიუდი ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობიდან)

უდიდესი ქართველი ლირიკოსის, გალაკტიონ ტაბიძის (1891-1959) მიმართება უკრაინულ მწერლობასთან, ფაქტობრივად, შეუსწავლელია. ბოლო წლებში გამოქვეყნებულმა გალაკტიონის საარქივო გამოცემამ, სადაც სრულად არის წარმოდგენილი პოეტის დღიურები და უბის წიგნაკები, ასევე ნაწარმოებთა ავტოგრაფების შესწავლამ, ცხადყო ქართველი პოეტის ინტერესი უკრაინული ლიტერატურისადმი, უფრო მეტიც, გაიკვია, რომ გ. ტაბიძის ზოგიერთი ლექსი ამა თუ იმ უკრაინელი ავტორის ნაწარმოებიდან მიღებული შემოქმედებითი იმპულსის შედეგად არის შექმნილი და ქართველი პოეტი თავის სათქმელს უკრაინული პოეზიის რომელიმე ნიმუშზე ალუზიით გამოხატავს. სწორედ ორი ამგვარი შემთხვევაა წარმოდგენილი და გაანალიზებული ჩვენს წერილში.

1. გალაკტიონი და ვასილ ალექსო

გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მივაშუროთ!“ პირველად 1927 წლის „რჩეულში“ დაიბეჭდა. შემდგომი პუბლიკაციისას - 1937 წელს გამოცემულ თხზულებათა პირველ ტომში - პოეტმა იგი 1916 წლით დაათარიდა. ეს თარიღი გაზიარებულია 1959 წლის „რჩეულშიც“ და გალაკტიონის თხზულებათა თორმეტტომეულშიც.

ნაწარმოების პუბლიკაციასა და ავტორისეულ დათარიღებას შორის არსებული ხანგრძლივი ინტერვალი ბადებს კითხვას - რატომ უნდა გამოექვეყნებინა პოეტს „მივაშუროთ!“ ამდენი წლის დაგვიანებით? ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს ის, რომ ლექსს გალაკტიონის ადრინდელ, სიმბოლისტური პერიოდის ლირიკასთან არც თემატიკით და არც პოეტიკით არაფერი აქვს საერთო.

„მივაშუროთ!“ ორი ექვსსტრიქონიანი სტროფისაგან შედგება. ნაწარმოების მიხედვით, საჭიროა ყველაფრის განცდა და გამოთქმა, რაც ამქვეყნად, ცხოვრებაში ხდება, თუმცა ლირიკული გმირის მოწოდება ორივე სტროფში ერთნაირი, სინანულნარევი რეფრენით ბოლოვდება:

სიცოცხლის ჩანგებს მივაშუროთ ისევ თასებით,
მრავალ წყურვილთა გახელებათ გაათასებით...

ტკბილი და მწარე... სულ ერთია... ცეცხლი მაგარი,
საქართველოსთვის გრიგალია და ნიაგარი...
მაგრამ ისინიც... ცეცხლი იყო მათი თვალები...
ყველა ისინი მშვენიერნი იყვნენ ქალები!

ვთქვათ ამომსკდარი მიწებიდან ზღვა დარხეული,
თასი დღის ხმათა და კვლავ თასი ზამბახეული...
ვთქვათ ბრძოლა, ომი, ქარიშხალი, სახლი, ვაგონი,
ჩვენ ვთქვათ რადიო და რენტგენი გამონაგონი.
მაგრამ ისინი... ცეცხლი იყო მათი თვალები...
ყველა ისინი მშვენიერნი იყვნენ ქალები!
(ტაბიძე 1927: 37)

ლექსში, როგორც ვხედავთ, ერთმანეთთან დაპირისპირებულია ორგვარი „ცეცხლი“: ერთი მხრივ, სტროფის ძირითად ნაწილში - „სიცოცხლის ჩანგებიდან“ მომდინარე, სინამდვილესთან, აწმყოსთან დაკავშირებული ცეცხლი და, მეორე მხრივ, - რომანტიკულ წარსულში დარჩენილი ტრფობის ცეცხლი, რომელსაც ლექსის რეფრენი ეთმობა.

ამგვარი შინაარსის ნაწარმოები, გალაკტიონს, სავარაუდოდ, იმ დროს უნდა შეექმნა, როდესაც თვითონ იდგა არჩევანის წინაშე - რა ფორმით მიეღო და გამოესახა ის რეალობა, რასაც ახალი ეპოქა სთავაზობდა, რა დამოკიდებულება ჰქონოდა თავისსავე რომანტიკული მსოფლმხედველობის ლირიკასთან.

ჩვენამდე ამ ნაწარმოების ორი ავტოგრაფია მოღწეული: პირველი (#492) ფრაგმენტულია და ათმარცვლედითაა დაწერილი. არასრულია მეორე ხელნაწერის (#981) ტექსტიც, თუმცა ეს უკანასკნელი შედარებით ახლოსაა ლექსის საბოლოო რედაქციასთან. ნაწარმოების შექმნის თარიღი არცერთ ავტოგრაფში არ არის მითითებული.

ხელნაწერებზე დაკვირვებისას ყურადღება მიიქცია ამგვარმა ფაქტმა: ერთ-ერთი ავტოგრაფში (#981) ტექსტის მარცხნივ მიწერილია „**ვასილ ალემკო**“, ხოლო მარჯვნივ - „ვართ მოძრაობა და მატერია“.

როგორც ცნობილია, გალაკტიონი ხშირად ქმნიდა ლექსებს ამა თუ იმ ავტორის ტექსტიდან მიღებული შემოქმედებითი იმპულსის შედეგად. ამის გათვალისწინებით, პოეტის მინაწერები სავარაუდო შთაგონების წყაროზე მინიშნებად ჩავთვალოთ და ვასილ ალემკოს ნაწარმოებთა მოძიება გადავწყვიტეთ - ლექსის პირველწყაროს პოვნა, გარდა ტექსტის გენეზისის გარკვევისა, შესაძლოა, დათარიღების პრობლემის გადაწყვეტაშიც დაგვხმარებოდა.

უკრაინელი პოეტი **ვასილ ალემკო** (1889 - არაუადრეს 1942 წ.) „ფუტურისტების დამკვრელური ჯგუფის“ დამაარსებელი და უკრაინის გლეხ მწერალთა ორგანიზაცია „სახნისის“ წევრი იყო. მისი ნაწარმოებების ძირითად თემატიკას 1917 წლის რევოლუციის შემდეგ სოფლად განვითარებული რთული სოციალური და პოლიტიკური პროცესები წარმოადგენდა. 30-იანი წლების ბოლოდან ალემკო რეპრესირებული იყო.

ალემკოს პირველი ორი პოეტური კრებული 1920 წელს გამოიცა, ხოლო მესამე - 1927 წელს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არცერთი მათგანი რუსულ ან ქართულ ენებზე ნათარგმნი არ ყოფილა. გალაკტიონი ვასილ ალემკოს ნაწარმოებებს, სავარაუდოდ, 1924 წელს გამოცემულ „უკრაინული პოეზიის ანთოლოგიაში“ („*Антология украинской поэзии в русских переводах*“) უნდა გასცნობოდა, რომელიც ალემკოს ორი ლექსით იხსნება. მათგან პირველი უსათაურო, სამსტროფიანი ნაწარმოებია და შინაარსობრივად ახლოსაა გალაკტიონის ლექსთან „მივაშუროთ!“

შევადართო უკრაინელი პოეტის სტრიქონები და გალაკტიონის ხელნაწერის ტექსტი:

ალემკო:

К жизни ключам - скорей с ковшом!
Напитков мне - на целый век:
Горких и сладких, крепких, с огнем, -
Чтоб вечно сердце жар жег.
Пить и пить из трещин земли
Полный ковш пива, хмельных медов,
Ковш - сочных лилий,
Ковш - звуков лесов.
(ალემკო 1924: 67)

გალაკტიონი:

სიცოცხლის მორევს მივაშუროთ ისევ თასებით,
მრავალ წყურვილთა გახელებულ გაათასებით.
ტკბილი და მწარე... სულ ერთია... ცეცხლი... მაგარი.
სიცოცხლის წყარო გრიგალია და ნიაგარი...
ვსვათ, ამომსკდარი მიწებიდან ზღვა დარხეული,
თასი დღის ხმათა და კვლავ თასი ზამბახეული...
ვსვათ, ბრძოლა, ომი, ქარიშხალი, სახლი, ვაგონი,
შევსვათ რადიო და რენტგენი გამოწვანებით...

ვფიქრობთ, ამ ფრაგმენტებს შორის სიახლოვე საეჭვო არ არის: ალექსო, ისევე როგორც გალაკტიონი, ცხოვრების წყაროსთან/სიცოცხლის მორევთან მისვლისაკენ მოუწოდებს შემოქმედით, ამასთანავე, ერთნაირი მოწოდება მსგავსი შინაარსის ლექსიკური ერთეულებითაა გადმოცემული. თუმცა, გალაკტიონის ტექსტი ხელნაწერშივე განსხვავდება ალექსოს ნაწარმოებისაგან - ქართველ პოეტთან ცხოვრება, რეალობა მხოლოდ ბუნებას კი არა, მთლიანად თანამედროვე სინამდვილეს - ცივილიზაციას და მის მიღწევებსაც (ვაგონი, რადიო, რენტგენი...) მოიცავს. მაგრამ მთავარი, რაც გალაკტიონისა და ალექსოს ნაწარმოებებს განასხვავებს, ქართველი პოეტის მიერ რეფრენად გამოყენებული სტრიქონებია, რომლის მონახაზიც ჯერ კიდევ ავტოგრაფში გვხვდება:

მაგრამ ისინი... ცეცხლი იყო მათი თვალები...
ყველა ისინი მშვენიერნი იყვნენ ქალები!

ალექსოსთან „მშვენიერი ქალების“ შესახებ არაფერია ნათქვამი. უკრაინელი ავტორის სამსტროფიანი ლექსი მთლიანად მოწოდებას წარმოადგენს, მისთვის უცხოა წარსულის გამო გულდაწყვეტა. ეს, თუ ავტორის შემოქმედებით ბიოგრაფიას გავითვალისწინებთ, სრულიად ბუნებრივია: მემარცხენე-ფუტურისტული ორიენტაციის ალექსოს, გალაკტიონისაგან განსხვავებით, არ ამძიმებდა რომანტიკულ-სიმბოლისტური წარსული.

შეიძლება ითქვას, რომ „მივაშუროთ“ ერთგვარი პოლემიკაა უკრაინელ პოეტთან. გალაკტიონი თითქოს ეთანხმება ალექსოს, რომ ცხოვრებასთან, ახალ ეპოქასთან სიახლოვე აუცილებელია, მაგრამ იქვე დანაწევრებით იხსენებს წარსულს, რომლის უარყოფა, რომელთან განშორებაც იოლი არაა.

გალაკტიონის ლექსის წარმომავლობის გარკვევის შემდეგ ცხადი ხდება, რომ „მივაშუროთ“ დაწერილი უნდა იყოს არა 1916 წელს, არამედ, 1924-25 წლებში, „უკრაინული პოეზიის ანთოლოგიის“ გამოსვლიდან (1924) „რჩეულის“ გამომცემლობისათვის გადაცემამდე (1925).

ალექსოს ნაწარმოები, როგორც ითქვა, სინამდვილესთან მისვლისა და მისი ასახვის აუცილებლობას ეძღვნება. საფიქრებელია, რომ სწორედ ამგვარი შინაარსის გამო მიიპყრო მან გალაკტიონის ყურადღება. 20-იან წლების დასაწყისიდან, როგორც თეიმურაზ დოიაშვილი მიუთითებს, გ. ტაბიძე დაჟინებით ცდილობს ურთულესი ეპოქის არსის ამოცნობას, სინამდვილესთან მიმართების მოდუსის მოძებნას.

რეალობის ასახვასა და ლირიკის განახლების აუცილებლობაზე გალაკტიონი ოციანი წლების არაერთ წერილში მსჯელობს: „...მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვები“, - ვკითხულობთ გაზეთში „პოეზიის დღე“ (ტაბიძე 1972: 17); „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ პირველსავე ნომერში დაბეჭდილ მეთაურ წერილში პოეტის მოთხოვნა უფრო კატეგორიულია: „აირჩიეთ ორში - ერთი: განახლება ან სიკვდილი. და ამიერიდან ქართული ხელოვნების დევიზია: განახლება ან სიკვდილი. მე გეძახით თქვენ, გმირებო, შემოქმედების ცეცხლით სავსე ახალგაზრდობავ, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა: განახლება ან სიკვდილი!.. გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას...“ (ტაბიძე 1922: 1).

ამ მოწოდებების პარალელურად, გალაკტიონის ლირიკაში 20-იანი წლების დასაწყისიდან შესამჩნევია სინამდვილესთან მიახლოების, რეალობის მონატრების ტენდენციაც, „რეალობაში დაბრუნება პოეტისათვის ურთულესი პროცესი იყო, რადგან სუბიექტურად იგი განიცდიდა, როგორც ძველ პრინციპებზე უარის თქმას“ (დოიაშვილი 2004: 53).

გალაკტიონის მიერ ახალი პოეტური გზის ძიების წინააღმდეგობრივი პროცესის სირთულეზე ამ შემთხვევაში შთაბეჭდილებას გვიქმნის ჩვენთვის საინტერესო ლექსის უკრაინული ინტერტექსტი: ვასილ ალექსოს ნაწარმოების სათქმელის გათვალისწინების შედეგად სრულყოფილად აღიქმება ქართველ პოეტთან არეკლილი განცდები, წარსულისა და აწმყოს ის კოლიზია, რომელიც, არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ, გალაკტიონის მიერ რომანტიკულ წარსულზე უარის თქმით დასრულდება.

2. „ჰაიდამაკების“ ეპილოგის ლირიკული ინტერპრეტაცია გალაკტიონთან

გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ციკლი - „ეპოქა“ 1928-1929 წლებში ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა, მოგვიანებით კი - 1930 წელს ცალკე წიგნად გამოიცა. „ეპოქა“, ძირითადად, სოციალისტური სინამდვილის განმადიდებელ, პროპაგანდისტულ ტექსტებს აერთიანებს: ასახვის საგანია „ამშენებლობა და ცოცხალი ცხოვრება“, რევოლუცია და მისი შედეგები, ის ხანა, რომელიც „იშვა და გაიზარდა სამოქალაქო ბრძოლების რკალში“.

„ო, დღე არ გავა, არ შემეყვარდეს ახალ სიტყვაში მყოფი სამყარო“, - აცხადებს „ეპოქის“ ერთ ლექსში პოეტი და ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ „ოცნება იგივე სინამდვილეა, თუ შრომის ხმებით გუგუნებს ქნარი“...

პროპაგანდისტული ტექსტების ფონზე განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილი, სამსტროფიანი უსათაურო ნაწარმოები „ის დროება სიზმარივით წავიდა“, რომელიც, მართალია, ახალ ცხოვრებას ეძღვნება, მაგრამ, ამავე დროს, ციკლში შეტანილი სააგიტაციო ნაწარმოებებისგან ლირიზმითა და თავისებური ინტონაციით გამოირჩევა:

ის დროება სიზმარივით წავიდა,
ოდეს ბავში იყავ მოხეტიალე,
რკინისგზები - სავსე სანახავითა,
რონოდები ცივი, ოხერტიალი.

ნუ იგონებ მწარე თავგადასავალს,
როს მშვიერი, დასისხლული ფეხებით
მთელი ქვეყნის ასავალს და დასავალს
შენ სწონიდი მედგრად, გულგამეხებით.

ყველაფერი სიზმარივით წავიდა,
როგორც ქარი, როგორც ყინვა და თოვლი.
სავსე არის ახალ სანახავითა
ისევ ბრძოლა, ბრძოლა თანადროული.

გარდა ლირიზმისა და ინტიმური ინტონაციისა, „ის დროება სიზმარივით წავიდა“ სხვა ასპექტივაც იწვევს ინტერესს: ვგულისხმობთ ალუზიებს, გადამახილს გალაკტიონის სხვა, დაახლოებით ამავე პერიოდის - 1920-იანი წლების - ლექსებთან.

მინიშნების ობიექტი ამ ნაწარმოებში, უპირველესად, ცნობილი ლირიკული ტექსტია - „იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს“, სადაც ცხოვრების სიზმარივით სწრაფწარმავლობის მოტივია დამუშავებული (შდრ.: „ყველაფერი სიზმარივით წავიდა“ და „ყველაფერი სიზმარივით გათავდა“). თუმცა, მოტივთა მსგავსების მიუხედავად, ამ ორ ლექსს შორის აშკარად შეინიშნება არსებითი განსხვავებაც: ესაა წარსულთან, კონკრეტულად - ბავშვობასთან და აწმყოსთან მიმართების მოდუსის ცვლილება ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოებში.

ლექსში „იმ ატმებს გაუმარჯოს...“ წარსულის, ყრმობის მონატრების განცდაა აქცენტირებული; საპირისპირო ვითარებაა საანალიზო ტექსტში, სადაც ბავშვობა და, ზოგადად, წარსული ლირიკული გმირისათვის მხოლოდ „მწარე თავგადასავალია“. ეს განსხვავება განსაკუთრებით თვალშისაცემია გალაკტიონის წინარე ხანის პოეზიის ერთიან ფონზე, რადგან ბავშვობა, სიყმაწვილე მის ლირიკაში იდეალიზებულია და მკვეთრად უპირისპირდება სასტიკ აწმყოს.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი, ლექსიკური ალუზია, რომელსაც ქმნის ორგზის გამეორებული იშვიათი სიტყვა „სანახავი“. ეს სიტყვა გალაკტიონთან მანამდე მხოლოდ ერთხელ გვხვდება: იგი გამოყენებულია ლექსის - „ჩემო იარალი“ ბოლო სტროფში:

მე ვდგევარ მთაზე, მე ვდგევარ მარტო,
დამთვრალი ახალ სანახავითა,
რითი გაგართო, როგორ გაგართო?
ჩემო იარალი, ის დრო წავიდა!

ტექსტებს შორის გადამახილზე პოეტი იდენტური რითმებითაც მიგვანიშნებს: ლექსში „ის დროება სიზმარივით წავიდა“ გამეორებული ლექსიკური ერთეული „სანახავითა“ ორივეჯერ გარითმულია

სიტყვასთან „წავიდა“, სწორედ ისე, როგორც ეს არის ლექსში „ჩემო იარაღი“. უფრო მეტიც, ორივე ნაწარმოებში სიტყვას „სანახავი“ ახლავს ერთი და იგივე განსაზღვრება - ახალი.

ვფიქრობთ, სრულიად აშკარაა, რომ პოეტი საგანგებოდ მიგვითითებს ლექსზე - „ჩემო იარაღი“, რომელშიც ძველ თბილისთან სინანულიანი გამოთხოვების განცდაა აღბეჭდილი და, თავის მხრივ, ეხმაურება ცნობილი ქართველი პოეტის გრიგოლ ორბელიანის ცნობილ ნაწარმოებს - „იარაღის“. გალაკტიონთან გრ. ორბელიანი წარმოდგენილია, როგორც ყაბახის ლომი, ღვინისა და სალომეს მომღერალი, ვინც წარსულის დიდ ტკივილს, - დამოუკიდებლობის დაკარგვას ლხინით იქარვებდა.

რომანტიკოსი პოეტის ნაწარმოებთან მიმართების გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ გალაკტიონი ლექსში „ჩემო იარაღი“ ახლახან, 1921 წლის თებერვალში დაკარგულ თავისუფლებაზე მიგვანიშნებს: დრო, რომლის წასვლაც აწუხებს ლირიკულ გმირს, არის არა მხოლოდ შორეული ისტორიული წარსული, არამედ - ის წლებიც, რომლებმაც მის თვალწინ ჩაიარა. ამ ვარაუდს განამტკიცებს ისიც, რომ ავტოგრაფში (ხელნაწერში ტექსტის სათაურია „ნარიყალაზე“) რეფრენი „ის დრო წავიდა, რამდენჯერმე მეორდება, ხოლო ადრესატი იარაღი კი არ არის, არამედ - მეგობარი („ის დრო წავიდა მეგობარო, ის დრო წავიდა!“). ამ ლექსის მიხედვით, „ახალი სანახავი“ ცრემლებით სველი ძველი ნარიყალაა, მატარებლების კივილს რომ გაჰყურებს.

ლექსში „ის დროება სიზმარივით წავიდა“, როგორც ითქვა, სიტყვა „სანახავი“ ორჯერ გვხვდება: პირველსა და მესამე სტროფებში. ტექსტში ერთმანეთს უპირისპირდება ძველი და ახალი ცხოვრება, ბავშვობა და აწმყო, ძველი სანახავი და ახალი სანახავი. თუ ნაწარმოების დასაწყისში „სანახავი“ მწარე ბავშვობასთან, სიჭაბუკის ხანასთან, ცივ, ოხერტიალ „რონოდებთანაა“ დაკავშირებული და უარყოფითი შინაარსი აქვს, ლექსის დასასრულს საპირისპირო ვითარებაა - „ახალი სანახავი“, რომელიც ახალ ცხოვრებას გულისხმობს, თანამედროვეობას, თანადროული ბრძოლის პათოსს განადიდებს.

როგორც ვხედავთ, ორ ტექსტს შორის აქაც კონცეპტუალური სხვაობაა: ძველი და ახალი „სანახავის“ დაპირისპირებისას პოეტი ერთ შემთხვევაში („ჩემო იარაღი“) წარსულის გაქრობის გამო წუხს, მეორეგან („ის დროება სიზმარივით წავიდა“) კი პირიქით - თანამედროვე ეპოქის უპირატესობა სწორედ წარსულის უარყოფითი შინაარსის აქცენტირების ფონზეა ნაჩვენები.

მინიშნების ობიექტი ამ ნაწარმოებში გალაკტიონის ორი ლექსია („იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს“ და „ჩემო იარაღი“). მოტივთა მსგავსებისა და ლექსიკურ ერთეულთა იგივეობის ფონზე ნაწარმოებებს შორის აშკარად შეინიშნება არსებითი განსხვავება: ესაა წარსულთან, კონკრეტულად - ბავშვობასთან და აწმყოსთან მიმართების მოდუსის ცვლილება ჩვენთვის საინტერესო ტექსტში. იმ ლექსებში, რომელზეც გალაკტიონი მიგვანიშნებს, წარსულის მონატრების განცდაა აქცენტირებული; საპირისპირო ვითარებაა საანალიზო ტექსტში, სადაც ბავშვობა და, ზოგადად, წარსული ლირიკული გმირისათვის მხოლოდ „მწარე თავგადასავალია“, უფრო მეტიც, - თანამედროვე ეპოქის უპირატესობა სწორედ წარსულის უარყოფითი შინაარსის აქცენტირების ფონზეა ნაჩვენები. ეს განსხვავება განსაკუთრებით თვალშისაცემია გალაკტიონის წინარე ხანის პოეზიის ერთიან ფონზე, რადგან ბავშვობა, სიყმაწვილე მის ლირიკაში იდეალიზებულია და მკვეთრად უპირისპირდება სასტიკ აწმყოს.

„ის დროება სიზმარივით წავიდა“ 1928 წლით თარიღდება, ხოლო ლექსები, რომლებზეც პოეტი მიგვანიშნებს - „იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს“ და „ჩემო იარაღი“ - 1926 წლამდეა შექმნილი.

ნაწარმოებების დაწერის თარიღებს შორის ამგვარი მცირე განსხვავება საფუძვლიან ინტერესს აღძრავს: რამ გამოიწვია პოეტის პოზიციის მკვეთრი ცვლილება? - იგი „ახალ ცხოვრებას“, გართულებულ იდეოლოგიურ ვითარებას უნდა უკავშირდებოდეს თუ, შესაძლოა, სხვა მიზეზებით აიხსნას?

* * *

„ის დროება სიზმარივით წავიდა“ გალაკტიონ ტაბიძის აკადემიური თორმეტტომეულის მესამე ტომშია დაბეჭდილი. ამ გამოცემის მიხედვით, ჩვენამდე ლექსის არცერთ ავტოგრაფს არ მოუღწევია. იგივე ინფორმაცია მეორდება გალაკტიონის საარქივო გამოცემის შესაბამის ტომშიც.

ავტოგრაფების არარსებობის გამო ჩვენ მიერ დასმული კითხვა პოეტის პოზიციის ცვლილების თაობაზე, ალბათ, უპასუხოდ დარჩებოდა, რომ არა ერთი გარემოება:

გალაკტიონ ტაბიძის ახალი აკადემიური თხუთმეტტომეულის მომზადებისას, პოეტის 20-იანი წლების უბის წიგნაკში (დ-16, გვ. 61) აღმოჩნდა ტექსტი, რომელიც, ვფიქრობთ, ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოების თავდაპირველ მონახაზად უნდა ჩაითვალოს:

ის დროება სიზმარივით წავიდა,
ოდეს ბავში ვიყავ მოხეტიალე,
უკრაინა სავეს სანახავითა,
გონტას ხმალი, მისი ველად ტრიალი.

სად ოდესმე ვლიდა გაიდამაკი,
მე მშიერი, დასისხლული ფეხებით,
დავეძებდი მე ერთად ერთ მეგობარს,
თავგანწირვით, ცხარე გულგამეხებით.

ტექსტს სათაურის ნაცვლად მიწერილი აქვს: **ტ. შევჩენკო. „გაიდამაკებიდან“.**

ამგვარი მინაწერებით, როგორც ახალ აკადემიურ გამოცემაზე მუშაობამ დაგვარწმუნა, პოეტი, ჩვეულებრივ, იმ ტექსტზე მიგვანიშნებს, რომელთანაც, რაღაც ასპექტით, მისი ნაწარმოებია დაკავშირებული. ამის გათვალისწინებით, გაჩნდა ვარაუდი, რომ ამ მინაწერმაც საყურადღებო მინიშნება შემოგვინახა.

ვარაუდის გადამოწმებისას გაირკვა, რომ პოეტის დღიურში ჩაწერილი სტრიქონები თარგმანია უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის - ტარას შევჩენკოს ცნობილი პოემის - „ჰაიდამაკების“ ეპილოგისა, კერძოდ, მისი საწყისი სტრიქონებისა.

„ჰაიდამაკები“ XX საუკუნის 20-30-იან წლებში, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში, ძალიან პოპულარული იყო. ქართულად პოემა 30-იანი წლების ბოლოს ითარგმნა, ამდენად, საფიქრებელია, რომ გალაკტიონი „ჰაიდამაკების“ რუსულ თარგმანს გაეცნო. კონკრეტულად ეს უნდა ყოფილიყო 1924 წელს გამოქვეყნებული „უკრაინული პოეზიის ანთოლოგია“ („Антология украинской поэзии в русских переводах“), სადაც დაბეჭდილია პოემის რამდენიმე მონაკვეთი, მათ შორის - ეპილოგიც.

უკრაინული პოეზიის ამ ანთოლოგიას გალაკტიონი კარგად იცნობდა. როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ამ წიგნში დაბეჭდილი ვასილ ალექსოს ლექსის - „ცხოვრების წყაროებს მივაშუროთ“ პასუხს წარმოადგენს გალაკტიონ ტაბიძის 20-იან წლებით დათარიღებული ნაწარმოები „მივაშუროთ“.

პოეტმა ამ შემთხვევაშიც „უკრაინული პოეზიის ანთოლოგიით“ რომ ისარგებლა, ერთი დეტალიც მიგვითითებს: დღიურის იმავე გვერდზე, სადაც ჩვენთვის საინტერესო ლექსის ავტოგრაფია, მიწერილი და გადახაზულია რამდენიმე სტრიქონი და იქვე მითითებულია ავტორიც - ვასილ ელლან. ამ ავტორის ნაწარმოებებიც სწორედ ზემოთ დასახელებულ ანთოლოგიაშია დაბეჭდილი.

შევადაროთ „ჰაიდამაკების“ ეპილოგის დასაწყისი და გალაკტიონის დღიურში ჩაწერილი ტექსტი:

შევჩენკო:

Минуло то время, давно миновало,
Когда я ребенком голодным блуждал
По той Украине, где Гонта, бывало,
С ножом освященным, как ветер, гулял.
Минуло то время, как теми путями,
Где шли гайдамаки, босыми ногами
Ходил я, стараясь найти где-нибудь
Людей, чтоб к добру указали мне путь.
(შევჩენკო 1924: 281)

გალაკტიონი:

ის დროება სიზმარით წავიდა,
ოდეს ბავში ვიყავ მოხეტიალე,
უკრაინა სავსე სანახავითა,
გონტას ხმალი, მისი ველად ტრიალი.
სად ოდესმე ვლიდა გაიდამაკი,
მე მშიერი, დასისხლული ფეხებით,
დავეძებდი მე ერთად ერთ მეგობარს,
თავგანწირვით, ცხარე გულგამეხებით.
(გალაკტიონის ფონდი, დ-16, გვ. 61)

ვფიქრობთ, ზედაპირული შედარებისასაც აშკარაა, რომ გალაკტიონის დღიურში ჩაწერილი სტრიქონები თავისუფალი თარგმანია „ჰაიდამაკების“ ეპილოგის დასაწყისისა.

ავტოგრაფზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ პოეტს თარგმნისთანავე დაუწყია ამ ფრაგმენტის სწორება და, უპირველესად, შევჩენკოს ტექსტთან სიახლოვის დამადასტურებელი ლექსიკური ერთეულები

შეუცვლია: „უკრაინა“ გადახაზულია და მიწერილია „ქუთაისი“, „ჰაიდამაკი“ შეცვლილია შესიტყვებით „ჩემი ოცნება“, ხოლო საკუთარი სახელი „გონტა“ - ზოგადი სიტყვით „მებრძოლი“.

კვლევის ამ საფეხურზე ჩნდება კითხვა: რატომ დაინტერესდა გალაკტიონი „ჰაიდამაკებით“ და რა მიზნით დატოვა დღიურში მინიშნება პირველწყაროზე?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ვფიქრობთ, აუცილებელია გალაკტიონის მიერ შევჩენკოდან ნათარგმნი სტრიქონების ზოგადი კონტექსტის გათვალისწინება: „ჰაიდამაკები“ XVIII საუკუნის უკრაინის ისტორიის კონკრეტულ მოვლენებს ასახავს: ესაა 1768 წელს მომხდარი გლეხთა აჯანყება, რომელიც ისტორიაში „გაიდამაჭინის“ სახელითაა ცნობილი... პოემაში ნაჩვენებია უკრაინელი ხალხის გმირული სულისკვეთება, მათი თავგანწირვა და თავისუფლებისაკენ ლტოლვა.

„ჰაიდამაკებში“, ძირითადი ამბის დასრულების შემდეგ, ეპილოგში პოეტი იხსენებს ბავშვობას, როდესაც იგი ფეხშიშველი, მშვიდი დაეხეტებოდა უკრაინაში, გონტას - ჰაიდამაკთა მეთაურის ნაკვალევზე... ეს სწორედ ის მონაკვეთია, რომელიც გალაკტიონმა თარგმნა და დღიურში ჩაიწერა. ვნახოთ, როგორ გრძელდება ტექსტი უკრაინელ პოეტთან:

Припомнил - и плачу, что горе минуло,
О, еслиб ты снова ко мне завернуло,
Я отдал бы с радостью счастье мое
За прежние слезы, за горе-житье!
(შევჩენკო 1924: 281)

როგორც ვხედავთ, შევჩენკოსათვის, ბავშვობა, წარსული, მიუხედავად ცრემლებისა და უკიდურესი გასაჭირისა, უფრო ძვირფასი და სანატრელია, ვიდრე ბედნიერი აწმყო. წარსული, ბავშვობა სანატრელია იმდენად, რამდენადაც უკრაინელი გმირები ცოცხლები იყვნენ, ხალხის უფლებებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, „მშვიდი“ აწმყო კი ყოველივე ამას მოკლებულია.

თუ „ჰაიდამაკების“ ამ სტრიქონებსაც გავითვალისწინებთ და გალაკტიონის ლექსს ამ ფონზე გავანალიზებთ, ცხადი გახდება, რომ ნაწარმოების შინაარსს მიღმა ფარული აზრიც იკითხება. წარსული, მართალია, მძიმეა, მაგრამ გალაკტიონს კვლავ სურს ძველი, მებრძოლი დროის დაბრუნება, რადგან იგი სამშობლოს დამოუკიდებლობასთანაა დაკავშირებული.

ამრიგად, გალაკტიონის ნაწარმოების შთაგონების წყაროს - „ჰაიდამაკების“ ეპილოგის გათვალისწინებით ირკვევა, რომ ლექსში „ის დროება სიზმარივით წავიდა“ პოეტს პოზიცია არ შეუცვლია; უბრალოდ, გამოქვეყნებულ ტექსტში, გასაგები მიზეზების გამო, სინამდვილისადმი თავისი რეალური დამოკიდებულება დაფარა. მასზე მინიშნება კი გალაკტიონის ჩვენ მიერ მიკვლეულმა, დღემდე უცნობმა ხელნაწერმა შემოგვინახა.

ლიტერატურა:

ალექსო 1924: Алешко Василь. Антология украинской поэзии в русских переводах. Киев, 1924.

ტაბიძე 1922: „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, #1.

ტაბიძე 1925: ტაბიძე გალაკტიონ. 100 ლექსი. მნათობი, 1925, #10.

ტაბიძე 1927: ტაბიძე გალაკტიონ, ლექსები, ს.ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა. ტფილისი, 1927.

ტაბიძე 1972: ტაბიძე გალაკტიონ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. XII. „საბჭოთა საქართველო“. თბ., 1972.

შევჩენკო 1924: Антология украинской поэзии в русских переводах, 1924.

გალაკტიონის ფონდი: გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი, გალაკტიონის ფონდი.

Natia Sikharulidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

GALAKTION TABIDZE AND UKRAINIAN LITERATURE

(TWO STUDIES FROM THE GEORGIAN-UKRAINIAN LITERATURE RELATIONS)

RESUME

In the paper is analyzed the reference by Galaktion Tabidze (1891-1959), one of the greatest great Georgian poets to the Ukrainian literature. In fact, it should to be said that above-mentioned question has not been researched so far, nevertheless this paper represents the very first attempt to observe the Georgian-Ukrainian literature relations.

The research of the notebooks and autographs of the poet's works revealed the interest of G. Tabidze towards the Ukrainian literature. Moreover, it has been discovered that several of the verses by the Georgian poet were created through the inspirations and impulses gained from the works of some Ukrainian poets. The Georgian poet masks his say about the Ukrainian poetry with the allusions. In this paper is discussed two such cases.

In the article is analyzed two verses, *Hurry Away!* and *That Time Flew Like a Dream*, published in the 20s.

According to the autograph, it has been concluded that *Hurry away!* was written through the creative impulse received from the untitled verse, *Hurry Away to the Springs of Life* by Vasil Aleshko (1889 – not later than 1942). It is observed that “hurry away” represents some kind of polemics in the works of the Ukrainian poet.

In the article is also analyzed the second verse by Galaktion. As our discovered autograph reveals the untitled verse, *That Time Flew Like a Dream* by Georgian poet, was inspired by the very first lines of the epilogue of the famous poem, *Haydamaky* by Taras Shevchenko. After taking into consideration the lines of *Haydamaky*, it becomes obvious that beyond the contents of the Galaktion's verse lies the hidden notion.

ლუარა სორდია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკო სამადაშვილის მსოფლმხედველობის ერთი ასპექტი. ბუდა საკია–მუნის ციკლი

ნიკო სამადაშვილმა იცხოვრა ათეიზმის, ბოლშევიზმის ზეობის ეპოქაში, თუმცა თვითონ არასოდეს გაუწყვეტია კავშირი რწმენასთან. პოეტმა გვიჩვენა ღმერთისუარყოფელი ეპოქის ტრაგედიები, ურელიგიო ადამიანის დაკნინებული მორალი, ეჭვებით, უსიხარულობით დატანჯული არსებობა, ამავე დროს, უზენაესთან, რწმენასთან ნაზიარები სულის ყოვლისშემძლეობა, „მზრუნველი თვალის“ მიერ მომადლებული განსაკუთრებული ხილვა–სმენის უნარი, ზეცის ზეცამდე ანუ უმაღლეს, არამატერიალურ, ღმერთებისა და წმინდანების სამყოფელ ცამდე დანტესებული მამლეობა, ადამიანის ცნობიერების ძალა, სულის გაღწევა წუთისოფლიდან მარადისობამდე.

პოეტი სულის თვალით, უცდომელი ინტუიციით წვდებოდა ყოფნა–არყოფნის საიდუმლოებებს, მისი კოსმიურში მოხეტიალე სული მრავალ მოძღვრებას იცნობდა. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოავლინა ნიკო სამადაშვილმა ბუდიზმის, ბუდა საკია–მუნის მიმართ, რომელიც მრავალგზის პატივისცემით მოიხსენია თავის ლექსებში.

დაინტერესება აღმოსავლური სამყაროთი, ბუდიზმით, არ ნიშნავს გულგრილობას ქრისტიანობისადმი, რადგან ამ ორ რელიგიას ბევრი რამ აქვს საერთო. ორივე ზნეობრივ განწყობას, სიკეთეს, სულის, სულიერების პრიმატს ქადაგებს.

გლობალიზმის ეპოქაში განსაკუთრებული ურთიერთინტერესი ვლინდება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და მთელი რიგი მოძღვრებები ურთიერთკავშირშია.

ბუდიზმის აღმოცენებას წინ უძღოდა ვედებისა და უპანაშიდების უზარმაზარი სამყარო.

„ბუდისტების, დაოსების აღთქმები და მცნებები პირდაპირ ემთხვევა ქრისტიანულ 10 მცნებას. დაოსური რელიგიის მცნებებია: არა კაც ჰკლა, არა იმთვრალო, არა იცრუო, არა იქურდო, არა იმრუშო. არის კიდევ ათი კეთილი საქმე... ბუდიზმიც თანამოდმისადმი სიყვარულს და თანაგრძნობას, დამთმენლობას ქადაგებს. სიძულვილს სიყვარული უნდა მივაგოთ, ცხოვრება სიკეთითა და თანაგრძნობით უნდა ავაკოთ“ (136).

მსგავსებას ეძებენ ლაო–მის მეტაფიზიკურ თუ რელიგიურ–ზნეობრივ იდეალსა და ძველ ბერძნულ ფილოსოფიურ იდეებს შორის (1,143).

ლევ ტოლსტოი ხაზგასმით აღნიშნავდა იმ ნათესაურ კავშირს, რაც მართლაც არსებობს ლაო–მის მოძღვრებასა და ქრისტიანულ რელიგიას შორის.

ბუდა საკია-მუნით დაინტერესებას პოეტის მეგობარი, ნიცშეს მთარგმნელი ერეკლე ტატიშვილიც ავლენდა, წერილიც კი აქვს მიმღვნილი ამ პრობლემისადმი და შეიძლება დავასკვნათ, რომ ნიკო სამადაშვილის მიერ საკითხის გათავისების სტიმული ესეც იყო.

გარდა ამისა, ბუდიზმისადმი, საკია-მუნისადმი გულგრილი არც თავორის „გიტანჯალის“ მთარგმნელი, აღმოსავლური ფილოსოფიის სიდრმისეულად მცოდნე თამაზ ჩხენკელი იყო, რომელთან სიახლოვე ამ უცხოური მოძღვრებისადმი ინფორმაციების მოძიებაში უსათუოდ დიდი ბიძგი უნდა ყოფილიყო.

სწორედ ამ პრობლემის გარკვევაში დაგვეხმარება ნიკო სამადაშვილის ერთი ლექსი, მიმღვნილი თამაზ ჩხენკელისადმი, რომელშიც ერთდროულად იხსენება ბუდა და თავორი: „მოვალ და მეტყვი, წმინდა თავორი ინდოეთიდან მოედინება. და ამ ზვირთებში სულ კარგად მოჩანს რაბინდრანატის ზარების გლოვა. ბუდას ლოცვებით ვინც გადარჩება, მისტერიებით ის დაითრობა. მოქუხს პოეტის დიდი მდინარე, გვრიტების სტვენა მოსწყდება ჭალას. მე წაგიკითხავ ვარდებს, ბენარესს, შენ კი მიმღერებ შენს გიტანჯალის“ (შეხვედრა) (2, 136).

ნიცშეს მოძღვრებასთან, ქრისტიანული ღმერთის სიკვდილის იდეასთან ნაზიარები პოეტი ახალ საყრდენს ეძებდა: „ხვალ ლაჟვარდები ტყეში ჩამოვლენ, ჩამოიტანენ ღმერთის მიცვალებულს“ (მე ველარა ვწევ სამიწე ხელებს) (2, 214).

ბუდას ლოცვებით გადარჩენა, მისტერიებით თრობა ძალზე ორგანული გამხდარიყო ქართველი პოეტისთვის. გულგრილი ვერ დარჩებოდა საკია-მუნის ცხოვრების სტილისა და ზნეობრივი პრინციპების მიმართ.

ბუდიზმი უძველესი მსოფლიო რელიგიაა, რომელიც ინდოეთში ძვ.წ. VI-V სს-ში შეიქმნა და თავდაპირველად ეთიკურ-ფილოსოფიური მოძღვრება იყო და არა რელიგია.

ბუდას ცხოვრების შესახებ ცნობილია პოემა „ბუდჰაჩარიტა“ (ბუდას ცხოვრების აღწერა), რომლის ავტორია სანსკრიტული ლიტერატურის კლასიკოსი აჰვაგოშპი (ძვ. წ. I ს.) და მითოლოგიზირებული მოთხრობა „ლალიტავისტარა“ (3, 3).

ბუდიზმის ფუძემდებელი სიდჰართა გაუტამა უფლისწული იყო. ბუდა მოგვიანებით ეწოდა. სანსკრიტულად ეს სიტყვა „გამოღვიძებულს“, „გასხივოსნებულს“, „გაბრძნობილს“ ნიშნავს. მას ეწოდა ასევე „შაკია-მუნი“, რაც ითარგმნება, როგორც „ბრძენი შაკიების ტომიდან“.

ვარსკვლავთმრიცხველ აშიტას წინასწარმეტყველებით, მის წინ ორი გზა იყო: ან განცხრომა-სიამოვნებით ცხოვრება, სამეფო-სამთავროების გაერთიანება, მსოფლიო მბრძანებლობის მიღწევა, ან გაბრძნობა, წმინდანობა. სხეულზე სიდიადის მაუწყებელი 34 ნიშანი ჰქონია.

მას სახელად ეწოდა „სიდჰართა“, რაც ნიშნავს: „ის, ვინც მიზანს სრულად მიაღწია“.

ფიქრისკენ მიდრეკილ ყმაწვილს არ იზიდავდა სასახლე, განცხრომა. ვარდის ბუჩქის ძირში იოგური ტრანსის (სამადჰის) მდგომარეობაში ჩავარდა.

ავადმყოფობაზე, ცხოვრების წარმავლობაზე, სიბერეზე, სიკვდილზე ფიქრობდა და გამოსავალს ეძებდა. გაექცა ფუფუნებას და ასკეტი გახდა. შეისწავლა იოგა, საკუთარი სხეულის ფლობა, მედიტაციის ტექნიკა, მაგრამ მოძღვრებთან სიახლოვემ ვერ მიაგნებინა გამოსავლისთვის.

ვერც თვითგვემით მიაგნო უმაღლეს ჭეშმარიტებას. მჭვრეტელობას, თვითჩაღრმავებას მიეცა. ბოროტი დემონების თავდასხმა, ჯოჯოხეთური დასის ცდუნება მოიგერია.

სიდჰართა მჭვრეტელობით, ტრანსის, სამადჰის მდგომარეობით განიგრძნო ბოლოს და უმაღლეს ჭეშმარიტებად სურვილების უარყოფა მიიჩნია (3, 8).

ამგვარად იქცა სიდჰართა გაუტამა ბუდად და ეწოდა ბუდა შაკია-მუნი, „ტაპტაგატა“ (ასე მოსული და ასე წასული), „ბჰაგავანი“ (ნეტარი, კურთხეული სვე-ბედის მქონე), „სუგატა“ (სწორად მავალი), „ჯინა“ (გამარჯვებული), „ლოკადჟეშტა“ (სამყაროს მიერ პატივდებული) (3, 8).

გაბრძნობის შემდეგ ბუდამ ახალ, ნეტარ მდგომარეობაში შვიდი დღე-ღამე ხის ქვეშ ფეხმორთხმულმა, ლოტოსის პროზაში გაატარა. მერვე დღეს ტრანსიდან გამოვიდა და ბენარესში, ინდოეთის ერთ-ერთ რელიგიურ ცენტრში, საქადაგებლად წარემართა. ისევ დემონმა სცადა მისი ცდუნება, მაგრამ ამაოდ.

ქ. ბენარესის პარკში ხუთი ბერი იპოვა, რომლებიც ბუდისტური ბერ-მონაზვნური თემის წევრები გახდნენ. შემდეგ მოწაფეთა რიცხვი 60-მდე გაიზარდა. ქადაგებას მოგვიანებით ბენარესული ეწოდა. ისინი საქადაგებლად გაგზავნა, თვითონ ასი ათას კაცს უქადაგა. 45 წელი ქადაგებდა ბრაჰმას-ინდოელთა უზენაესი ღვთაების თხოვნით. მიზანი ადამიანთათვის სიბრძნის უწყება, მათი ხსნა იყო.

ბუდა 90 წლის ასაკში გარდაიცვალა, სიკვდილის წინ მოწაფეებს დაემშვიდობა და შეაგონა: „სანთელნი თქვენი თავისა თავადვე იყავით“. თვითჩაღრმავების რვა დონის შემდეგ შეაბიჯა დიდსა და მარადიულ ნირვანაში. შეწყდა გარდასხეულებათა წყება, ხელახალი დაბადება და სიკვდილი, მიაღწია ისეთ მდგომარეობას, როცა არ არის ტანჯვა, სრული სიმშვიდე და უმაღლესი ნეტარება (3, 13).

ბუდას ცხედარი ცეცხლში დაწვეს. ფერფლის გარდა, დარჩა „შარირა“, თავისებური, ბურთულის ფორმის წარმონაქმნი, რაც დამახასიათებელია წმინდანებისთვის და რაც უმნიშვნელოვანეს ბუდისტურ რელიქვიად მიიჩნევა. მოგვიანებით ისინი ას რვა (ას რვა ინდოეთში წმინდა რიცხვია) ნაწილად საგანგებო საკულტო-მემორიალურ ძეგლებში მოათავსეს. გადმოცემით, კუნძულ შრილანკაზე ინახება ბუდას კბილი (3, 14).

ბუდა შაკია-მუნი შეიძლება შევადაროთ ფსიქოთერაპევტს, რომელიც გაუბედურებულ ადამიანს მისი მდგომარეობის მიზეზს ამცნობს და მკურნალობის კურსსაც უნიშნავს – ხსნის გზას ასწავლის (3, 17).

ტანჯვის მიზეზია სურვილები, მისწრაფებები, სიცოცხლის წყურვილი, სიამოვნებისკენ ლტოლვა.

ცხოვრებას კარმის კანონი განსაზღვრავს.

კარმა მოქმედებაა, რომელსაც აუცილებლად მოსდევს შედეგი. კეთილი ან ბოროტი საქმეები განსაზღვრავს ახალი დაბადების ფორმას. ადამიანის სული უწყვეტად განიცდის ერთი სხეულიდან, ანუ ერთი კონკრეტული არსებიდან მეორეში გარდასახვას, რეინკარნაციას (3, 18).

ამ დაუსრულებელი გარდასახვების წყებას „სანსარა“ ეწოდება.

...ეს წარმოდგენა ვედების რელიგიიდან, ბრაჰმანიზმიდან მოდის (3, 19).

ბუდიზმი თეისტური მოძღვრება არ არის, მას შემოქმედი ღმერთის ცნება არ გააჩნია, კარმა არის არა ღვთიური სასჯელი, არამედ ბუნების კანონი (3, 20).

ბუდიზმის მიხედვით, ადამიანი იბადება ღვთიურად, მებრძოლ ტიტანად, ცხოველად, დამშეულ სულად, ჯოჯოხეთის ბინადარ არსებად.

ამ გარდასახვებში სულიერი ევოლუციის იდეა არ არის.

კარმის შექმნა მხოლოდ ადამიანს ხელეწიფება.

როგორც მოაზროვნეს, ადამიანს შეუძლია თავი დააღწიოს სიკვდილ-სიცოცხლის წრებრუნვას (3, 21).

ბუდას სწავლებით, ხსნა სიკვდილ-სიცოცხლის უწყვეტი წრებრუნვიდან გამოსვლა. სიამოვნების ნავით ანდა თვიგემის ნავით სანსარის ოკეანეს ვერ გადასცურავ. ბუდამ მესამე გზა აირჩია და მაშინ განიბრძნო. არსებობს მდგომარეობა, როცა ტანჯვა ქრება. ამ მდგომარეობას ეწოდება „ნირვანა“.

ნირვანა სანსკრიტული ძირისაა და ნიშნავს „ჩაქრობას“, „დაცხრომას“.

ბუდისტების მიხედვით, ნირვანაში ყოფიერება არ ქრება, ქრება ვნებები და არა თვით ყოფიერება. ნირვანა არც ღმერთია, არც უპიროვნო აბსოლუტი, ის არ არის სუბსტანცია, არამედ მდგომარეობა – პიროვნულობისგან დაცლილი, თავისუფალი (ანდა ზეპიროვნული), ყოფიერების სასრულის მდგომარეობა.

„დჰარმა“ – ელემენტარული ფსიქოფიზიკური მდგომარეობაა (3, 23).

ბუდიზმი უარყოფს მარადიულ „მე“-ს, მარადიულ სულს. ბუდისტები „ატმანს“, უპანაშიდების აბსოლუტურ სუბიექტს არც აღიარებენ და არც უარყოფენ (3, 24).

მართებული მრწამსი, მართებული გადაწყვეტილება, მართებული მეტყველება, მართებული ქცევა, მართებული ცხოვრების წესი, მართებული ძალისხმევა, მართებული მახსოვრობა და მართებული თვითჩაღრმავებაა ტანჯვის შეწყვეტა – დასასრულისკენ მიმავალი გზა (3, 24).

სწავლებას ტანჯვის შეწყვეტისკენ მიმავალ გზაზე ეწოდება „კეთილშობილური რვამაგი გზა“. ეს ერთგვარი პროგრამა გადაიყვანს ადამიანს ნირვანაში.

სანსკრიტული სიტყვა „იოგა“ შეერთებას, შეწყვილებას, შებმას ნიშნავს (3, 27).

იოგა ნიშნავს კონცენტრაციას, ყველა ძალის გაერთიანებას მიზნის მისაღწევად.

იოგა ფსიქოფიზიკური ტრენინგის სხვადასხვა, ერთობ რთული სისტემებია, რომელთა მიზანია ცნობიერების შეცვლა და ამქვეყნიური სანსარული არსებობიდან გადასვლა „უკვდავებისა და თავისუფლების საკრალურ მდგომარეობაში. იოგა უკავშირდება ბრძენი პატანჯალის სახელს.

ფსიქოპრაქტიკის, ფსიქოტრენინგის ფორმები მიმართულია, სანსარიდან გაღწევასა და ნირვანაში გადასვლაზე. ცნობილია ბუდისტების, ჯაინისტების, ინდუისტების იოგა.

ბუდისტური კოსმოლოგია აღწერს არა ფიზიკურ სამყაროს, არამედ ფსიქოკოსმოსს.

ბუდიზმში ღმერთის იდეა არ არის, მან შემდეგ შეიძინა კულტი და რიტუალი, რელიგიის ნიშნები, გახალხურდა, გავრცელდა მსოფლიოში, ის არის გარეგნული რელიგია, რელიგია ღმერთის გარეშე (3, 35).

ბუდიზმში 18 სკოლაა.

ტიბეტში არის ბუდიზმის ახალი სახეობა – ლამიზმი, დალაი-ლამას კულტი.

ბუდიზმი „ადმოსავლური სულის გასაღებს წარმოადგენს“ (ი. როზენბერგი).

„საკია მარტვილი“ არყოფნის მოციქული თუ უკვდავების მახარობელი? საკია-მუნი ადამიანის შფოთი სულის სიმბოლოა, ტანჯული სიზიფი, მარადისობის დახშულ კარს რომ გახსნის, მის საიდუმლოებას ეზიარება და მშვიდობას დაიმკვიდრებს“, წერს ირაკლი ტატიშვილი (საკია – მუნი) (4, 289).

საკიას მამა „სიდარტას“ – ბედნიერს უწოდებს, მაგრამ მეუდაბნე, რომელიც მოულოდნელად გამოჩნდება, მიმართავს მეფეს: „ჰოი, მეფეო, ეს არს ნაყოფი ხისა, რომელიც მირიად წლებში მხოლოდ ერთხელ დაისხავს ყვავილს და ადავსებს ქვეყნიერებას სიბრძნის სუნნელებით და თავლით სიყვარულისა. შენ სამეფო ფესვზედ აღმოცენდა ღვთაებრივი ლოტოსი“.

საკიამ ნახა სოფლის ტკივილების უსაზღვრება და სიტკბოების ამაოება და გადაწყვიტა კაცობრიობის ხსნა, მეფობაზე უარისმთქმელმა ირჩია მეფობა არა მახვილით, არამედ სულით. ის უარყოფს ფაკირების გზას, ტანჯვით და წამებით სულის ამაღლებას რომ ლამობენ. საკიამ მრავალ ცდუნებას გაუძლო, მრავალი გამოცდა ჩააბარა და მისი „სული ამაღლდა მეორე ზეცად, შორს მიწისგან და მზისკენ“ (4, 24). „იგრძნო საკიას სულმა, რომ მსხვერპლის, სიყვარულის და ჰარმონიის კანონი მეფობს უსაზღვროებაში...“

„თითქმოს ძლიერი ტალღით წინტყორცნილი ნავი, საკია შთაეჩნა ნირვანას და შეუერთდა არსთა არსს, სულთა სულს, სიყვარულის სიყვარულს, სამყაროს ქროლას, უბიწო ალს, რომელიც სივრცეში ელვარებდა დროთა გარეშე“ (4, 242).

„...ძირს ცხრათვალა მზე მოეფინა ქვეყანას, ყვავილების წვიმა წამოვიდა მარტვილის სახეზე. შეირხა საკია, როგორც მეხნაკრავი, გაახილა დამძიმებული თვალები და აღსდგა ბუდა გამარჯვებული, მეფე საიდუმლოებისა“ (4, 242).

ბენარესში გამგზავრებულ ბუდას განგზე ვიღაც გლახაკი გადაიყვანს უფასოდ და ეტყვის: „...შენი მადლიანი სახე ბრწყინავს, როგორც ბრამა და ვიშნუ. შენთან წყალში არ შემეშინდება. სიყვარულით აღსავსეა შენი სული და განვლი ცხოვრებას ადვილად, როგორც ჩვენ განვლით განგს“ და ნავი შეცურდა წყალში. ბუდა მოწაფეებს ასწავლიდა მორჩილებას, ცოდვისგან განწმენდას, ბოროტების დათრგუნვას, სიქველეს, არსებობის ტანჯვათა უარყოფის გზას. ის არა სხეულის წყურვილს, არამედ სულის წყურვილის მოსაკლავ წყაროს ასმევდა ხალხს. მაგრამ ბრბოს არ ესმოდათ მისი, ფარისეველს, ჯადოქარს, მატყუარას უწოდებდნენ. მწიგნობარნი საპაექროდ გამოიწვევენ, მაგრამ მარცხდებიან. ასწავლიდა ხალხს, როგორ დაემკვიდრებინათ ნირვანა, ასწავლიდა კარმის მოძღვრებას.

კუსინარას ქალაქში საყვარელი მოწაფე ანანდა ძვირფას მოძღვარს ტყუპ ხეთა შორის საწოლს გაუმართავს. დაწვება ბუდა, ხეები უდროულად ყვავილს დაისხავენ, ზეცით წამოვა უცხო ყვავილის წვიმა და ცაში მხიარული ჟრამულია (4, 245).

ბუდა ეთხოვება მოწაფეთ: „...ცხოვრება ამაოებაა, აღიმართენით მარად, და განვიდა სული სხეულით, განვლო ნეტარების ყველა საფეხური და დამკვიდრდა ნირვანად“ (4, 245).

უპანაშიდების დოქტრინასა, ბრაჰმანთა სპეკულატურ აზროვნებასა და ვედანტას იდეალისტურ პანთეიზმშია საკია–მუნის ტრანსცენდენტური სპირიტუალიზმის ფუძე, სამყარო მისთვის ზღვარდაუდებელი ევოლუციაა. ვხედავთ მხოლოდ პირველ საფეხურებს და მის გაღმა ბუდა შეამჩნევს სულის სამეფოს – მიზანს. როგორც მატლისგან შობილი კაცობრიობა ისწრაფვის ღმერთად იქმნეს, აგრეთვე მონადა განიცდის ყოველგვარს არსებობას და სრულყოფას მიგრაციის გზით მიაღწევს: განა უცხოა ჩვენთვის ეს მოძღვრება? – პითაგორა, ემპედოკლე, პლატონი, ნეოპლატონიზმი, გნოსტიკები – განმეორება სხვა სიტყვით, სხვა სახით.

ნირვანა – არყოფნაა?! – „რომელმან იმოძღვრის ნირვანა არყოფა, უთხარით: სცდები. ნირვანა სრულყოფაა. წარმავალი მეობის, უნივერსალი მეობის ატმა ბოდის წიაღში შთანთქმა – მიღწევა ინდივიდუალის გზით (236-245).

ქემმარიტი, მარადიული ღირებულებების უარყოფელ ათეისტურ ეპოქაში ნიკო სამადაშვილის ლექსის პერსონაჟს აედევნებოდა იუდა და როგორც ქრისტეს, ისე ბუდას გადაფასებას ახდენდა: „... ჩემზე ჯვარს იწერს თურმე იუდა. მე არც ქრისტესგან მოველი შველას, ის მაცდურია ისე, ვით ბუდა, ვეთაყვანები მე ხალხის წყევლას, ჩემში შერისხვის მთამ დაიბუდა“ (მე შევიჯავრე ჩემი სამშობლო) (2, 223). ეს უკვე ათეისტური ოფიციოზის პოზიცია იყო.

ლექსში „ერეკლე ტატიშვილს“ (2, 126) ლექსის ადრესატს ეწოდება „ბუდას მეკვლე“. ერთად იხსენება ქრისტეს და ბუდას საკია–მუნის ლოცვა, მოჩანს შავდროშებიანი ხალხი, „ბნელი გრიგალების კოშკები“. ისმის ცეკვა, ლაჟვარდების გუგუნნი, ცისკენ მომზირალი საკია–მუნის საგალობელი: „ის კამკამებდა, ვით ქრისტეს ლოცვა, ბნელ გრიგალების კოშკების იქით, ტანზე კვირადლის სიმღერა ეცვა, თან შრიალებდა, როგორც ტირიფი. ისმოდა ცეკვა შემოილ ქოშებით, ცას გასცქეროდა საკია–ამუნი, ხალხი ვიდოდა შავი დროშებით და ლაჟვარდების იდგა გუგუნნი... ისმოდა ცეკვა, საკია–მუნი მღეროდა ლოცვებს. იქ ბუდას მეკვლეს მზვარა მოჰყავდა უკუნეთიდან და უხაროდა ბატონ ერეკლეს“.

ასევე, ერეკლე ტატიშვილს ეძღვნება ლექსი „თებერვლის ამინდს ჩუმად ეღვიძა“ (2, 139). ერეკლე იყო პოეტის მასწავლებელი, მეგობარი და ბუნებრივია, მის გარდაცვალებას ნუგეშის, მეკვლეს დალუპვას უწოდებს. ამ სამგლოვიარო პროცესიას მოჰყვება თითქმის საკია–მუნიც, რომელიც ხალხის გოდებას, ჯანდს უერთებს თავის ცრემლებს: „მიგასვენებდნენ შავბნელ გოდებით, ჩვენ წინ ცეკვავდა ჯანდი უკუნი,

ხალხს კი ფეხდაფეხ ჩუმად მისდევდა ცრემლმორეული საკია-მუნი. გემდურებოდნენ დაღუპულ ნუგეშს, სანთლების ალზე გადამწვარ მეკვლეს, ღმერთს ჩუმად ვთხოვდი, ნუ შემიშინებთ, ნუ დამიტანჯავთ ბატონ ერეკლეს“.

და ლექსის ბოლოს ისევ ხაზი ესმება მათ მეგობრობას, თანამედროვეთაგან შეუცნობელობის „ნისლეთს“, სინამდვილეში გუდამაყარივით მაღალი შთაგონების მსახურებას: „რამდენ ღამეებს ვძოვდით ცხვრებივით, მე ვიყავ შენი გზნების მაყარი, ნისლეთი იყო ჩვენი ცხოვრება და შთაგონების გუდამაყარი“.

ერეკლე ტატიშვილისადმი მიძღვნილ მესამე ლექსში ნათელი ხდება, რა სატანჯველად ქცევია პოეტის მეგობარს „ტიალ, ვერაგ, ნადირ, შშიშარა, მაიმუნ“ წუთისოფელში საკია-მუნის სიყვარული, ასევე ნიციშეს თარგმნა, მისი გაწირვა ზარატურტრას თაყვანისცემის გამო: „როგორა გტანჯეს, ღმერთო ჩემო, რა უმოწყალოდ, რათ გიყვარდაო, გაგინებდნენ საკია-მუნი! რა ვერაგია ეს ტიალი წუთისოფელი, რა ნადირია, რა შშიშარა, მაიმუნი! შენი ცხოვრება ზარატურტრას ფერხული იყო, მუხლმოყრილ ცეცხლთან განწირული კაცის ვედრება“.

და ბოლოს, ოკულტიზმთან წილნაყარი პოეტი თითქოს აკაშას ქრონიკაზე ამოიკითხავს ერეკლე ტატიშვილისადმი ბედის მიერ გამოტანილ მწარე განაჩენს: „...კარზე გეწერა: ილოცებს დიდხანს, მაგრამ მაინც დაიღუპება, აქ დაიბადა, საიქიოში ძლივს დაბერდება“ (ჩემ გივი ერეკლეს ძე ტატიშვილს) (2, 42).

მრავლისმთქმელი ლექსია „გაჭვავება. ლექსო ივანიშვილს“ (2, 59), რომელშიც დედამიწა ხალხთა უდაბნოა, მგელივით ყმუიან წლები, თვალების ხვრელში გველი სისინებს, თალხი ფერით მოსილი კათაკმეველი ლოცულობს. „განდიდების კვერთხით“ დანაყრებულთა გნიასია ირგვლივ, მხოლოდ გულში ანთია კანდელი (კანდელი საღვთო სახელია): „...ვინც განდიდების კვერთხით დანაყრდა, რა ეშველებათ იმ უბედურებს ხალხთა უდაბნო დედამიწაზე, რა შემზარავი ყმუიან წლები, რა დანდობილა მოგვინარეკლეს. თვალების ხვრელში გველი სისინით შევა, ინათლებს გულის კანდელი და კვირამალზე თალხით მოსილი ილოცებს ვიღაც კათაკმეველი“.

და ბოლოს შენდობის თემა აერთიანებთ ქრისტეს და ბუდას: „წამოვიხუროთ ერთი ფარაჯა, ისიც შევინდოთ, ვისაც ვაგინეთ, შენ ეყოლები ქრისტეს ფარეშად და მე კი ბუდას მოჯამაგირედ“.

ლექსში „გასიერება“ (2, 261) ისევ ქრისტე და ბუდა ფიგურირებს ნუგეშად: „მე ქრისტე მწამდა, შენ – ბუდას რჯული, სალამს გვაძლევდნენ დიდი ხეები და მოგვევებოდნენ უკან ჩურჩულით გაუთენარი ჩვენი დღეები“.

„საკია-მუნის შემლილი სტვენის“ სიყვარულია ლექსში „სტრიქონების ქარაფი, ციალა თოფურიძეს“ (5, 68).

ლექსში „ბაასი ბერთან“ (6, 88–89) ისევ ერთად იხსენებიან ქრისტე და ბუდა: „გათანგულ ბუხარს შემოსხდომოდნენ ქრისტე და ბუდა“, თითქოს პროტესტის ნიშნად, რადგან ბერს ძვლები შეეკეთებინა ბუხარში შემის ნაცვლად, ხოლო უზენაესთა გამოცხადებამ ელდა დასცა.

ასტრალურ მოგზაურობას ეხება ნიკო სამადაშვილის „დაუსაბამობის ხილვა“ (2, 184), რომელშიც ისევ ბუდას და ქრისტეს თვალთახედვის არეში მოქცეულა ზეცაში, „ცის აივანში“ მოარული პოეტი. თითქოს მათ მიუმაღლებიათ წარმავლობაზე ამაღლება. მარადისობის, დაუსაბამოს ხილვის უნარი: „ცის აივანში მიმოვიდოდი, ღვთაებრივ გზნებით, დაუზარებლივ, მსოფლიოს მხრიდან, გეყო-მიძახდნენ ხმაჩახლეჩილი ბოხი ზარები... წარმავლობა ანიავებდა მარადისობის ყვითელ ბულულებს. ბუდა და ქრისტე გამოცქეროდნენ, გამოერეკათ ქვევიდან ველებს, ჩემს ნაფეხურებს გამოჰყოლოდნენ და ქალებივით მიქნევდნენ ხელებს“...

როგორც ჩანს, ქრისტეს და ბუდას მარტვილობა, მათი სიკეთე, მაღალწნეობრივი ცხოვრება მისაბაძი მაგალითი იყო პოეტისათვის, რომელსაც წარმავალი საწუთროება კი არა, ლაჟვარდებში, ცათა ცაში ნავარდი დაანათლა არსთაგანმრიგემ.

ლიტერატურა:

1. ლაო-ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალიმონაკის, თბ., 1983.
2. ნიკო სამადაშვილი, „ფერისცვალება“, თბ., 2004.
3. რას ქადაგებს სამი მსოფლიო რელიგია? ბუდიზმი, ქრისტიანობა, ისლამი. სამეცნიერო პოპულარული ნარკვევი, შეადგინა ირაკლი ლომოურმა, თბ., 2013.
4. ირაკლი ტატიშვილი, „საკია მუნი“, ჟ. „კავკასიონი“, 1924 წ. №1-2.
5. ნიკო სამადაშვილი, „სინათლის მიმოქცევა“. თბ., 1999.
6. ნიკო სამადაშვილი, ლექსები, თბ., 2010.

Luara Sordia
Sokhumi State University
**ONE OF ASPECTS OF OUTLOOK OF NIKO SAMADASHVILI. BUDDHA SHAKYAMUNI'S
CYCLE
RESUME**

In Nicko Samadashvili's creativity both primacies of Christian belief, and tragic events of an era of dismissal from God were revealed.

The poet with a wide range of view of the world around and the phenomena was familiar with the western and eastern doctrines, and tried to establish creative connection with Nietzsche, Tagore's thoughts, he also tried to find family relations between Buddha Shakyamuni's teachings and Christian religions.

ეკატერინე ფანგანი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოქალაქის კონცეპტი - ტექსტი „აველუმი“

ოთარ ჭილაძის რომანებიდან „აველუმი“ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმ სოციალური, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ქრონიკების აღწერით, რომლებიც, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების მოქალაქეებისთვის ასე ნაცნობი და „მშობლიური“, თავმოყვარეობა შელახული ადამიანის ამპლუაში „გადამსროლელია“ და სიბრაზის მომგვრელიც.

რომანი, რომელსაც, ვფიქრობთ, ღრმა და ძირეული შესწავლა სჭირდება, უმდიდრეს მასალას იძლევა არა მხოლოდ ლიტერატორებისთვის, არამედ ისტორიის მოყვარული საზოგადოებისთვისაც, რადგან, თემები, რომლებსაც მწერალი უტრიალებს, (ვგულისხმობთ 90-იანი წლების ქართველებს) ისეთი სიღრმეებით არავის არ მოუტანია მკითხველამდე, როგორც ეს ოთარ ჭილაძემ შეძლო.

რომანი 1995 წელს გამოიცა, საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ბნელ ეპოქაში, მაშინ, როცა უკვე ნაგემ-ნაწვენეია საბჭოთა მარწუხებიდან ქვეყნის გათავისუფლებისთვის მიღებული ყველა ჯილდო თუ სასჯელი, როცა მტრის ხატი ჯერ კიდევ ბუნდოვანია და გაუაზრებელი, როცა ერთ მანეთად ნაყიდი საკმარისი სურსათის მოგონებას მეტი ფასი აქვს ადამიანების ცნობიერებაში, ვიდრე საქართველოს სხვადასხვა ქალაქების ქუჩებში ჩახოცილი ახალგაზრდების სისხლს. ჩავლილია ძმათაშორისი ომი თბილისში და უსასტიკესი და უღმრთელი ომები ცხინვალსა და აფხაზეთში. ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს ნაგრძნობი აქვს „მილიონერობის“ ხიბლი და სახლ-კარ დაკარგულების და საკუთარი მიწიდან გამოძევებული ადამიანების უმძიმესი სევდა იმზირება, თავშესაფრად ვარგისი ყველა შენობის ნანგრევებიდან.

მწერალი კი თავისუფლებისმოყვარე სულს უძღვნის რომანს. პირველივე თავში გვეუბნება, რომ „აველუმი“ შემერული სიტყვაა და თავისუფალ, სრულუფლებიან მოქალაქეს ნიშნავს, სიტყვის წარმომავლობის უტყუარობას კი იმთავითვე ეჭვით გვიბურობს, რადგან დასაბუთების ერთადერთ წყაროს მისივე რვეული წარმოადგენს და ვერ გარკვეულა ეს სიტყვა მან გამოიგონა თუ ნამდვილია. რომანის გმირი აველუმი კი ნამდვილად არსებობდა და მთელი ცხოვრების მანძილზე ცდილობდა სწორედ თავისუფალი მოქალაქე ყოფილიყო თუნდაც იმ ქვეყნისა, რომელიც წარმოსახვაში ჰქონდა საარსებოდ და სამოქმედოდ მონიშნული.

რომანში გამოკვეთილი მოქალაქის კონცეპტის განხილვა-გააზრებამდე, საინტერესოდ გვეჩვენება იმ შეფასებების ნაწილის მკითხველი საზოგადოებისთვის გაცნობა, რომლებიც რომან „აველუმის“ შესახებ შეგვიძლია ამოვიკითხოთ, ქართველი თუ უცხოელი მკვლევრების ნააზრევში.

გერმანელი მკვლევარი ლეონჰარდ კომუტი, წერილში „დაუსრულებელი გზა“ წერს: „ოთარ ჭილაძის „აველუმი“ არის დიდი, საკაცობრიო ისტორიის განზომილებათა სიღრმეში ჩამწვდომი, მსოფლიო ლიტერატურის გამამდიდრებელი რომანი.“ [2. გვ. 20]

მკვლევარი გრიგოლ ციოლკოვსკი, წერილში „ოთარ ჭილაძის დიდი რომანი „აველუმი“ წერს: „ჭილაძის რომანი არის ყოვლისმომცველი შემფოთებისა და ფორიქის დოკუმენტი, ცხადია, ჩვენ ვეცნობოდით და ვეცნობით რაც ხდებოდა და ახლაც ხდება 1989 წლის შემდეგ საქართველოში, და რომანის სუბტექსტი ორჭოფულად გვაუწყებს: უარესიცაა მოსალოდნელი, მაგრამ ეს არის მაინც აბსტრაქტული ცოდნა, რომელსაც ვიღებთ გაზეთის და ტელევიზიის ცნობებითა და უწყებებით, კომენტარებითა და მიმოხილვებით. თუკი გვინდა მოვუსმინოთ ავთენტური შემფოთებისა და აფორიქების ხმას, ჭილაძის რომანს უნდა მივმართოთ.“ [2. გვ. 19]

კრიტიკოსი კრისტიანე ლიპტენფელდი, რადიო გამოსვლაში ამბობს: „ჩვენს წინაშეა არაჩვეულებრივად მრავალფენიანი, უნივერსალური ნაწარმოები, პოეზიის, სასიყვარულო ისტორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, საკუთრივ ისტორიის, პუბლიცისტიკის, აფორისტიკის მხატვრული წნული, და ალბათ შემთხვევითი არ არის ეს მნიშვნელოვანი წიგნი, აღმოსავლეთ ევროპაში გარდატეხის ჟამს, სწორედ საქართველოდან რომ მოვიდა, „იმპერიის“ განაპირა მხარიდან, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, მისი შემადგენელი ნაწილი, „ორმაგი ჩაგვრის“ რეგიონი იყო.“ [2. გვ. 21]

ო. ჭილაძის შემოქმედების ყველაზე ღვაწლმოსილი მკვლევარი მ. კვაჭანტირაძე, წერილში „ტრამველი მეხსიერება პოსტსაბჭოთა ქართულ ნარატივში“ მიიჩნევს, რომ ტრამვის გადალახვის კულტურა, როგორც ლიტერატურული რეფლექსია და მისი შესატყვისი ნარატივი-დამაბული თხრობა „დრავი“-იწყება „მარტის მამალში“, გრძელდება „აველუმში“ და სრულდება „გოდორში“... ჭილაძე ყოველდღიურობის კონტექსტში კითხულობს ერის მუდმივ ისტორიულ დრამას.“ [2. გვ. 60] ვფიქრობთ, შეუძლებელი ხდება მკვლევარ-მეცნიერთა გამოთქმული მოსაზრებების არ გაზიარება, რადგან მწერალი ამ რომანით, რეალობის ყველაზე „დაუნდობელი“ ამსახველია, ათწლეულების განმავლობაში ნანახი, ნაფიქრი და ნაგრძნობი მოვლენებისა, რაც სწორედ, რომ ტრამველ მეხსიერებად უნდა დალექილიყო მასში.

„აველუმი“ მასზე ადრე შექმნილი არაჩვეულებრივი რომანებისგან გამოირჩევა არა მხოლოდ თემატიკით და ხშირ შემთხვევაში, ცნობიერების ნაკადის უწყვეტობით, თუ ღრმა ფსიქოლოგიური პერიპეტიებით (რაც განსაკუთრებით სიხშირის აღწერით გამოიხატება), არამედ ამ რომანში განსხვავებულია ლექსიკაც, წინადადებების რიტმიც (ხშირ შემთხვევაში პოეზიას დამსგავსებული) და პერსონაჟთა უცნაური განლაგებაც, მონათხრობ სივრცეში. მწერლის მიერ ასახული ეპოქის ქრონიკები, საშუალებას გვაძლევს აველუმის, როგორ მოქალაქის, სახეობრივი ნაირგვარობა ვუჩვენოთ მკითხველს. ზემოთქმულში ვგულისხმობთ მოქალაქის კონცეპტის სამაზროვან გაგებას. აველუმი-იმპერიის მოქალაქე, აველუმი-ეროვნული სახელმწიფოს მოქალაქე და აველუმი-გამოგონილი ქვეყნის მოქალაქე.

აველუმი ეროვნული სახელმწიფოს მოქალაქე-აველუმის საარსებო და სამოქმედო არეალი, თეორიულად დედამიწის მეექვსედ ნაწილს მოიცავდა, პრაქტიკულად კი ოთხი კედლით იყო შემოსაზღვრული და ეს ყველაზე უკეთ აველუმმა იცოდა. საკუთრივ სამშობლო იმპერიის სხვა მაცხოვრებლების მსგავსად, აველუმს არ აქვს. ვფიქრობთ, ეროვნულობის შეგრძნების გამმაფრებაში, რომელიც თითქოსდა მიძინებულია, მას საკუთარი ქალიშვილი ეხმარება. სწორედ ეკავატერინეკატო, როგორც ახალი თაობის წარმომადგენელი და შესაბამისად უფრო გამბედავი და მეგრძოლი, სხვაგვარად მოაზროვნე, მონის მენტალიტეტისგან შორს გამდგარი არსებაა, რომელიც „აიძულეს“ მამას რეალობა ხელახლა გაიზაროს და სახელი დაარქვას იმ ყოფას, რომელსაც თითქოსდა გაურბის აველუმი. ეკავატერინეკატო აველუმს ისევე ასწავლის თავისუფლებას, როგორც მწერლის სხვა რომანის სხვა გმირი იქცევა. მწერალი უკიდურესად რეალისტური პლასტებით გვაგზავნავს 1989 წლის თბილისიდან-თბილისის ომამდე. „ხანი უნდობარი“ ყველაფერს შეხვია, ყველაფერი დაუდაღავს, ყოვლისშემძლე კი გადმოუბრძანებია კვარცხლბეკიდან, ცალი ფეხი კი დარჩენია, მისი ხელახლა მობრუნების ფიქრი რომ არ ჩაკვდეს ადამიანებში. „ხანი უნდობარივე“ ადამიანთა ნაკლოვანებებს ამოატივტივებს მუდამ ზედაპირზე, დაფარულს აშიშვლებს და გამოაქვს სააშკარაოზე, ასე ემართებათ ო. ჭილაძის გმირებს იმ რეალობაში, რომელშიც მათ მწერალი აყენებს. ამიტომაც არ აკვირვებს მკითხველს, რომანში გაჩენილი პლასტმასის ყვავილის უცნაური დატვირთვა, არც ლეგიტიმურად მიჩნეული დასმენისა თუ მოსმენის ეპიზოდები და ახალი თაობისთვის უცნობი ცეკა-ჩეკის ბნელი და პირქუში კაბინეტების არსი.

მწერალი აველუმის ბედს ოსტატურად აკავშირებს ქვეყნის ბედთან, რადგან პირველი მეორეს გარეშე წარმოუდგენელი და გაუგებარია. მწერლისთვის კი ყველაფერში დამნაშავე მაინც ადამიანია, გაორებული ადამიანი, გაორებული ბუნებით და შინაგანი სივრცეებით, ერთდროულად კაენის და აბელის მატარებელი ადამიანი, რომელსაც საბედნიეროდ დრო და სივრცე არ ეკითხება, გაჩერდეს თუ

გააგრძელოს სვლა, ისევ გაზაფხულისკენ, ისევ ცვლილებებისკენ, რათა არსებული შეცვალოს და გარდაქმნას.

გარდაქმნის თუ გაქცევის ყველაზე ტრაგიკული მცდელობას, ო. ჭილაძე შთამბეჭდავი და შემადრწუნებელი სურათებით გადმოგვცემს. 9 აპრილს თბილისის ქუჩებში, იმავე დიდი იმპერიის მარწუხებიდან თავდახსნის თუ კვლავ იმპერიისგან „თავხედობისთვის“ მოვლენილი სასჯელის შედეგებს. „ჯარისკაცები... ბრწყინვალედ ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, კიდევ დიდხანს ეყარნენ გაბინძურებულ ტანკებს შორის, ჯერ კიდევ მოურეცხავ მოედანზე, დარბეულთა, გაქცეულთა ფეხსაცმელებსა, ხელჩანთებსა, დახოცილთა სისხლის გუბებზე და საკუთარ ნარწყევში და გუნებაშიც არ უშვებდნენ (ამდენი ცოდნა არ აქვთ) ისტორიას რომ ეკუთვნოდნენ უკვე, უსახონი და უსახელონი, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მეოცე საუკუნის მიწურულს, მაინც გადამლახავნი გონებრივი სიჩლუნგის, სულიერი სიმხეცისა თუ ხორციელი სისასტიკის ნებისმიერი ზღვარისა“. [3. გვ. 227]

მწერალმა იცის, რომ ყველა ომის მიზეზი ერთნაირად სასაცილოა შედეგთან შედარებით, მაგრამ სიბნელე, რომელიც, არა მხოლოდ ფიზიკურად არსებობს ღამის სახით, უფრო ტრაგიკულია სულის და გონის სიბნელედ გამოვლენილი და თანამემამულესაც უშლის „მართლხედვაში“, მომძებრის დანახვის უნარს ართმევს, ვერც საკუთარ თავს ვერ მოიაზრებს სხვის ხელში ჩაბლაუჭებულ ბრმა იარაღად. გადარჩენის და ბნელი ეპოქიდან გამოღწევის სურვილი იმდენად ძლიერია ადამიანებში, რომ გაუცნობიერებლად, ვიღაცის მიერ დაწერილი სცენარით, მენშევიკების დროინდელი დროშების ფრიალით დაწყებულ ეროვნულ მოძრაობას, დედაქალაქის ქუჩებში, დანგრეულ შენობებსა და ქერქაცვენილ ჭადრებს შორის მოზუზუნე ტყვიებით ასრულებენ. მამები.. შვილები.. ძმები.

რომანის მეორე თავშივე, მწერალი აფრთხილებს მკითხველს, რომ მის მონათხრობში განცდას განსჯა სჭარბობს, ნამოქმედარს-ნაფიქრალი. ყოველივეს გადმოცემას ხერხი სჭირდება და აველუმის ნარატივი იმდენად ხშირად ემთხვევა მწერლისას, რომ ხშირ შემთხვევაში განცალკევება შეუძლებელია.

აველუმში იმპერიის მოქალაქე-იმპერიაში ცხოვრებას მწერალი-აველუმში, ბორბალში გამომწყვდეული ციყვის ერთ ადგილზე ბრუნვას ადარებს. იმპერია მკვდარია, მაგრამ ხელოვნურად ინარჩუნებს სიცოცხლეს და აველუმშიც, იმპერიის სხვა მოქალაქეთა მსგავსად, ვითომ მოძრავია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმული, მწერალი კაცი.

მწერალი თვლის, რომ პატარას სიკვდილით იწყება დიდის სიკვდილი, ვფიქრობთ, ეს ფრაზა ყველაზე კარგად გამოხატავს აველუმის ქვეცნობიერ სურვილს, გარდაიცვალოს, არა ხორციელად, არამედ სულიერი გარდაცვალებით, რათა აველუმის „სიკვდილის“ შემდეგ იმპერიაც შეირყეს. მკვლევარი მ. კვაჭანტირაძე მიიჩნევს, რომ იმპერია ისეთ ჰერმეტიკულ სივრცეებშიც აღწევს, როგორიცაა ოჯახი, ან პირადი სასიყვარულო ურთიერთობები. ამ მოსაზრების დამადასტურებელ ეპიზოდებში ვკითხულობთ, რომ იმპერია აველუმის პირად წერილებსაც არ ტოვებს უმეტესადაა, თითოეულის ასლს ინახავს, სადაც ჯერ არს. რადგან ისინი მართალია ძირითადად სასიყვარულო განცდებს აღწერენ, მაგრამ მაინც მიღმა სამყაროდან არიან მოწერილნი. მწერალი მისთვის დამახასიათებელი ოპტიმისტური ხედვით და შეფასებით ასკვნის, რომ სიყვარულია ის ძალა, რომელსაც ვერავითარი იმპერიული ძრავა ვერ მოერევა და ვერასდროს ვერ დაამარცხებს. სიყვარული, როგორც აბსტრაქცია, გაბნეული არა მხოლოდ საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა, არამედ ზოგადად ადამიანებს შორის. „აბსტრაქტულ მცნებას ვერაფერს დააკლებს ტყვია-წამლითა თუ საწამლავეთ, მეთვალყურეთა თუ დამსმენთა არმიებით. არადა, თუ იმ აბსტრაქტულ მცნებასაც არ მოსპობდა, ვერც თავს ჩათვლიდა ზესახელმწიფოდ, ქვეყნიერების ბატონ-პატრონად, რადგან ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ სიყვარულია ერთადერთი მარადიული იმპერია, რომელსაც ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით ემონებოდნენ, ემონებთან და მომავალშიც დაემონებთან, თუკი საერთოდ გადარჩება ბატონი ადამი.“ [3. გვ. 9]

რა ჩანაფიქრი შეიძლება ჰქონოდა მწერალს, როცა რომანში დედამიწის სხვადასხვა ნაწილებში მცხოვრები, განსხვავებული მენტალიტეტის მქონე პერსონაჟი ქალები შემოჰყავდა და მათი თვალით აღქმულს, ძირითადად ეპისტოლური სტილით გადმოგვცემდა? ვფიქრობთ, ეს პლასტი სულაც არ ემსახურებოდა გადმოსაცემი ამბის კიდევ უფრო გართულებას, არამედ, ამით სწორედ იმპერიის მიერ თავისუფლების წინააღმდეგ წარმოებული ყველა მცდელობის უსუსურობა ცხადყო.

აველუმში, გამოგონილი ქვეყნის მოქალაქე - შვილისგან მამაზე გადაცემული სიბრძნე არღვევს დაკანონებულ პირობითობას, იყოს პირუკუ-მამამ ასწავლოს შვილს, რაც ცხოვრებისგან შეუძენენია. ეკავატერინეკატო, პატარა უხეიროს მსგავსად, ინტუიციის დონეზე შეგრძნებულ ცოდნას გადასცემს მშობელს და არა გამოცდილებით და ცოდნით ნასაზრდოებს. ო. ჭილაძის ყველა რომანის ანალიზზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ მწერალი გამბედავი, რისკიანი და ახლებურად მოაზროვნეთა მხარეზეა, ყველა რომანში მოგვეპოვება გმირი, არსებულის შესაცვლელად სამყოფი შინაგანი ენერგიით, ბრძოლის და დაუმორჩილებლობის ჟინით. „აველუმში“ შვილის ბოხოქარი სული, მარტივად აღწევს მამის გამოგონილ ქვეყანაში, რომელიც გამოგონილი სიმშვიდისა და წესრიგის ანარქიაა, ის ადგილია, სადაც

მწერალი-გმირი უპირველესად გამბედავია და სადაც მის თავისუფლებას ვერ ზღუდავს და ვერც აკონტროლებს გარედან, სულს მიღმიდან ატორღიალებული ფაქტორები. მწერლები მუდმივად ცდილობენ პერსონაჟთა შიგნით არსებული იმპერეები აჩვენონ მკითხველს, მაგრამ ეს მცდელობა ფრაგმენტულია და დანაწევრებული. აველუმის არსებაში თუ ფანტაზიაში განცხადებული ქვეყანა, კი ნაზავია არსებულისა და სასურველის, რეალურის და გამონაგონის, სადაც იმაზე აზროვნება და ოცნება შეიძლება, რასაც ყველაზე თამამ ფიქრებშიც კი ვერ გაიელვებდა რკინის ფარდის აქეთ დარჩენილი თუ ჩარჩენილი ადამიანი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ვასკვნიტ, რომ მწერლის მიერ შემოთავაზებული მოქალაქის კონცეპტის ნაირგვარობა, ასე გამოიყვანული და განცალკევებული, პოსტსაბჭოთა ეპოქის ნაწარმოებთაგან მხოლოდ „აველუმის“ ქარგაშია მოქცეული და ამგვარი გააზრება რომანის უკეთ აღქმასა და გაგებას ემსახურება. ო. ჭილაძის უკიდურეს სიფაქიზემდე დასულმა პატრიოტიზმმა, შესაძლებელია მცირეოდენმა უკმაყოფილობამ საკუთარი თავისა თუ თანამედროვეთა მიმართ, მემბოხე სულმა, რომელიც კალმით, დაუღალავად იღვწოდა არსებულის შესაცვლელად და ქვეტექსტებს და ალუზიებში ალაგებდა მძაფრ შეხედულებებსა თუ გამომაფხიზლებელ მოწოდებებს, საბოლოოდ უბრწყინვალესი რომანის სახე მიიღო. აქვე მოვიშველიებთ ვაჟა-ფშაველას სიტყვებს პუბლიცისტური წერილიდან „ნიჭიერი მწერალი“, სადაც ვკითხულობთ: „რამდენადაც დიდი ნიჭის პატრონია მწერალი, მით უფრო მჭიდროდ არის იგი დაკავშირებული ცხოვრებასთან, მის მწვავე საკითხებთან. გენიოსი სდულს, ამ წუთისოფლის გაჩაღებულ ქურაში და იმავე დროს ეს წუთისოფელიც სდულს და იხარშება გენიოსის გულში“. თუკი ვინმეს შეგვიძლია ეს სიტყვები საზომად მივუსადაგოთ ქართული მხატვრული სიტყვის წარმომადგენელთაგან, უპირველესად, ვფიქრობთ, ო. ჭილაძის პროზაული მემკვიდრეობა უნდა გაგვახსენდეს, მოურიდებელი და დაუნდობელი სიმართლით გაჟღენთილი, შინაგანი უკმაყოფილებით და ტკივილებით გადმოცემული მხატვრული ნააზრევია.

ლიტერატურა:

1. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ. – „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, „მერიდიანი“, თბილისი, 2014.
2. „კრიტიკა“ 2010. - ჟურნალი „კრიტიკა“, თბილისი, 2010.
3. ჭილაძე. ო. – „აველუმი“, „არეტე“, თბილისი, 2018.

Ekaterine Pangani *Sokhumi State University* **THE CITIZEN'S CONCEPT - TEXT "AVELUMI"** **RESUME**

Otar Chilade's novel "Avelumi" takes the special place among his novels by descriptions of those social, political and community life chronics which, known so well to and "native" for the citizens of the former Soviet or Post-Soviet Union, "throws" a person into the condition of the lost self-respect and arouses anger at the same time.

We think that the novel, which needs a deep and profound research, gives the richest material not only to the literators but also – to the history-loving society as the issues the author deals with (we mean the turbulent 90s) has never been brought to the reader so closely as it was done by Otari Chiladze.

The novel was first published in 1995 – in the darkest epoch of the new history of Georgia when all the awards or punishments of the struggle for liberating the country from the Soviet pincers, are received and experienced. "Avelumi" is distinguished from the author's previously created amazing novels not only with the topical content and the permanency of the concept flow in most cases) or with deep psychological peripeties (mainly expressed by description of dreams) but also with the different lexica, the sentence rhythm (often – poetry-like) and with the unusual arrangement of the characters in the space of narration. The chronics, described by the author, has enabled us to show the readers the diversity of Avelumi as of a citizen: Avelumi – as a citizen of an empire; Avelumi – as a citizen of a national country and Avelumi – as a citizen of an invented country.

The extremely smart patriotism of Otari Chiladze, presumably his slight dissatisfaction with himself or with his contemporaries, his rebellious soul which, with a pen, toiled for changing the existed order and would put his sharp opinions or wakening calls into the subtexts and allusions, finally was shaped in an excellent novel.

ილია ანუ დიდი ანალოგოსი

ილია ჭავჭავაძეს „მეორე სვეტი“ უწოდა მურმან ლებანიძემ.

იგულისხმება ქართული მეობის, ეროვნული თვითმყოფადობის, სახელმწიფოებრიობის მეორე სვეტი.

იგულისხმება, რა თქმა უნდა, დავით აღმაშენებლის შემდეგ.

უმნიშვნელოვანესია იმის გააზრება, რომ პირველი სვეტი მეფეა, მეორე კი - პოეტი, ერის წინამძღოლი, მისი უგვირგვინო მეფე.

აქედანაც ჩანს, თუ რა მისია დააკისრა ქართველ მწერალს არსთა გამრიგემ.

ილიაზე ბევრი დაწერილა.

კვლავაც ბევრი დაიწერება.

იმის მიუხედავად, რომ ერთი შეხედვით, თითქოს ძნელია, რაიმე ახალი და მნიშვნელოვანი მიუმატო უკვე თქმულსა და დაწერილს.

მაგრამ ილიას მსგავს ერისკაცთა, დიდ მოღვაწეთა და მოაზროვნეთა მემკვიდრეობა ამოუწურავობითაც ხასიათდება.

თითქოს წარმოუდგენელია უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი შეფასება, ვიდრე ტიცინ ტაბიძის ამ სიტყვებშია გამოხატული:

„მე- 19 საუკუნე საქართველოში ილიამ კიდევ მოიგონა, კიდევ შეჰქმნა და თავისი სისხლით კიდევ დაჰკირა... ილია რომ გამოაკლდეს მეცხრამეტე საუკუნეს, მაშინ იქნებოდა საქართველო სამუდამოდ დაბნელებული“ (1, 231 – 232).

განსაცვიფრებელი ფორმულა - დებულებებია.

მაგრამ წაიკითხავ შალვა ამირეჯიბისეულ შეფასებას და ასევე გაოგნდები. ის ილიას ღვაწლს ბისმარკისას შეადარებს და უპირატესობას პირველს მიანიჭებს, რადგან:

„ბისმარკმა გააერთიანა დანაწილებული ცალკეულ სამფლობელოებად, მაგრამ თავისუფალი გერმანელი ერი. ილია ჭავჭავაძემ დამონებული ქართველი ერი გააერთიანა“ (2, 32).

მართლაც შეუდარებელი შედარებაა.

არანაკლებ ღრმა და განსაცვიფრებელია კიტა აბაშიძის დაკვირვება. მისი შედარება ჯერ მოგწუხავს, შემდეგ შეგარბევს და ჟრუანტელად დაგივლის:

„მონტესკიე ამბობდა სიტყვებს, რომელიც შეეძლო, ეთქვა მარტო ისეთი დიადი ეპოქის დიდებულ შვილს, როგორიც იგი იყო; თუ ქვეყნიერების ბედნიერებისათვის საჭიროა, ჩემს ქვეყანას გავსწირავო. ი. ჭავჭავაძეს და სხვა მის თანამედროვეთ ეს შეიძლება არ ეთქვათ, შეიძლება, ის კი ეთქვათ, რომ თუ ჩემი სამშობლო არ იქნება, ქვეყანას რას დავსდევო... მათ არ შეეძლოთ წარმოედგინათ რაღაც განყენებული მსოფლიოს, ცის-ქვეშეთის ბედნიერება“ (3, 214).

საერთოდ, ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება მრავალმხრივ არის გაანალიზებული და შეფასებული. ძნელია, მოიძებნოს კუთხე და პრიზმა, საიდანაც ილიას ხატება დაკვირვებული თვალით არ გაესინჯოთ.

ამის მიუხედავად, მაინც ვცადეთ ორიგინალური კუთხის მოძებნა და აქ ორი დიდი ქართველი დაგვცხმარა: აკაკი წერეთელი და კონსტანტინე გამსახურდია.

პირველმა ილია ქრისტეს შეადარა, როცა თელავში ჩასულმა იქაურებს ასე მიმართა:

„ჩანს, რომ ეს საქართველოს ყოველ კუთხეზე მეტათ წამებული კახეთი ჩვენთვის ახალ-ბეთელემად დაუნიშნავს განგებას“ (4, 190).

მეორეს კი ილიას ღვაწლმა ამგვარი შედარების საფუძველი მისცა:

„აქ ვხედავ მე დიდ ანალოგოსს: ილია - მოსე. აქ არის გზადაბნეული ერის ვულკანურ მთასთან მიყვანა“ (5, 391).

მიზნად დავისახეთ, წარმოგვედგინა ამ ორი განსაცვიფრებელი შედარების ჩვენული ახსნა. ამ „ფორმულებში“ ჩაწურული აზრის გაშლა-დასაბუთება.

არგუმენტები, ანუ პარალელები, რა თქმა უნდა, ილიას ბიოგრაფიასა და შემოქმედებაში უნდა მოგვეძებნა.

დაბადებიდან დავიწყეთ.

სახარებაც ხომ დაბადებას ნიშნავს.

არტურ ლაისტის თქმით, „სახლ-კარს, სადაც ილია დაიბადა და ბავშვობა გაატარა, სილამაზე აკლია. ეზო ფართოა და შიგ არც ერთი ხე არ დგას, სადგომი სახლიც დაბალია და სივრცეს მოკლებული.“

ილიასა და საქართველოს ამ მართლაცდა გულითად მეგობარს მაინცდამაინც არც საგურამოში მდგარი ძველი პატარა სახლი მოსწონდა, სამაგიეროდ, ილიასავით შეჰხაროდა ახლად აგებულ ქვითკირის შენობას.

საინტერესოა როგორ წარმოიდგენდა და აღწერდა ჩვენი „შორეული თვისიანი“ (ილია ასე უწოდებდა) იუდეას, ბეთლემსა და იმ ზაგას, სადაც მაცხოვარი იშვა:

„და შობა ძე, თავისი პირმშო, ჩვრებში შეახვია და ზაგაში ჩააწვინა, ვინაიდან ფუნდუკში ადგილი არ იყო მათთვის“ (6, 119, ლუკ. 2, 7).

ძნელი სათქმელია, რით ჰგავდა იუდეა კახეთს, ან ყვარელი ბეთლემს, ის კი ცხადია, რომ აკაკი წერეთლისეულ შედარებას გაცილებით ღრმა საფუძველი აქვს - ის, რაც ანა კალანდაძის ამ სტრიქონებში იგულისხმება: „ო, განარიდეთ იგი ხარბ თვალებს, თორემ... სწორედ ის გაიწირება.“

ორივე გაიწირება!..

საინტერესოა, როგორი იყო ახალშობილი ილია? რას გრძნობდა დედა, რომელსაც ის ხელში ეჭირა?

მანანა გიგინეიშვილმა ქართულად აამეტყველა მეცხრე საუკუნის ბერძენი ქალი კასია, ვინც „თვით ღვთისმშობლის განცდებში შეაღწია, მისი ფიქრი გაგვანდო და თან უღრმეს საღვთისმეტყველო აზრს გვაზიარა:

„ხელთ როგორ მეპყრას ჩვილი, რომელსაც
თვით ხელთ უპყრია მთელი სამყარო?!“ (7, 13).

ნეტა რას ფიქრობდა ილიას დედა, როცა ხელთ ეპყრა ჩვილი, რომელსაც თავის სამშობლოში მეცხრამეტე საუკუნე კიდევ უნდა გამოეგონებინა, კიდევ შეექმნა და საკუთარი სისხლით კიდევ დაეკირა?

ილიას დედის განცდებში ვინ შეაღწიოს?!

ჩვილი კი გაიზრდება და ამას იტყვის:

„არა მხოლოდ ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა,
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა“

თვითონ ილია საკუთარ პატარაობას ასე იხსენებს:

„როგორც პატარას და ტანად მრგვალს, დამაგორებდნენ ტახტზედ მუთაქასავით, დასდებდნენ ზედ ჩემზედ წიგნს და კითხულობდნენ“ (გრიგოლ ყიფშიძის მოგონება).

რა სიმბოლური სურათია: წიგნი - ტახტზე დაგორებულ პატარა ილიაზე.

გაიზრდება და თვითონ იქცევა წიგნად.

წინ გადაგვეშალა ეს წიგნი და ვერ წავიკითხეთ“ („ოთარაანთ ქვრივი“).

ვერც დღეს ვკითხულობთ.

ჩვენი თემის კონტექსტში, მეტად საყურადღებოა ნიკოლოზ ნათიძის ერთი მოგონება: „ილიამ მიაბო: ერთ დროს (ყმაწვილობაშიო) დავაპირე ბერადშედგომაო, ძრიელ მომწონდა მყუდრო, განდეგილი ცხოვრებაო.“

როგორი იყო ილია სიჭაბუკეში?

მოსეს ჰგავდა თუ ქრისტეს?

„როცა გაიზარდა მოსე, მივიდა თვისტომებთან და ნახა მათი შრომა. ხედავს, სცემს ეგვიპტელი კაცი ერთ ებრაელს, მის თვისტომთაგანს. მიიხედ-მოიხედა და როცა დაინახა, რომ არავინ იყო, მოკლა ეგვიპტელი და ქვიშაში ჩაფლა. გამოვიდა მეორე დღეს და ხედავს, ორი ებრაელი ეჩხუბება ერთმანეთს. უთხრა დამნაშავეს: რად სცემ შენიანს? მიუგო: ვინ დაგაყენა ჩვენს თავკაცად და მსაჯულად? ჩემს მოკვლასაც ხომ არ აპირებ, როგორც ის ეგვიპტელი მოკალი? შეეშინდა მოსეს და თქვა: ნამდვილად გამჟღავნებულა ამბავი“ (8,59; გამ. 2, 11 - 14).

მოდით, შევადაროთ ეს ბიბლიური ეპიზოდი „ოთარაანთ ქვრივის“ ერთ მონაკვეთს:

„ - ადე, ძმობილო, აუშვი ე კამეჩები, ცოდონი არიან... შენ ღმერთს რაღას ეუბნები! აქაო კამეჩი პირუტყვია, შებრალება არ უნდა...“

მერე შენ რა? ვისი ტიკი-ტომარა ხარ. შენი მოჯამაგირე ხომ არა ვარ?

...გიორგიმ ბევრი აღარ აცალა: ჰკრა მოგვერდი და გააკრა დედამიწას, როგორც შოთი თონესა. წაქცეულს ხელიც არ დააკარა. მოჯამაგირემ დამარცხება ძალიან ითაკილა, ისიც თავმოწონებული ბიჭი იყო - წამოუხტა და ერთი ლაზათიანი სილა გაუშალა გიორგის უეცრად. როგორ თუ სილაო, მივარდა გიორგი, ამოიღო ქვეშ და იმდენი სცემა, რომ მოჯამაგირემ ხვეწნა დაუწყო“ (9, 242 – 243).

სცემა. არ მოუკლავს.

საქმე სასამართლომდე მივა.

„ბიჭო- და, ეს კაცი, ან გიჟია, ან ღვთისგან მოგზავნილი, - ეუბნებოდა გიორგიზედ ერთი იქ დამსწრეთაგანი მეორეს“ (9, 245).

როგორ ესადაგება ეს პასაჟი სახარებისეულ ეპიზოდებს:

„და უთხრა პილატემ მღვდელმთავრებს და ხალხს: მე ვერაფერ ბრალს ვპოულობ ამ კაცში.

მაგრამ ისინი დაჟინებით გაიძახოდნენ, რომ ის აშფოთებს ხალხს, და ასწავლის მთელს იუდეაში, გალილეადან მოყოლებული ვიდრე აქამდე“ (6,180; ლუკ. 23, 4-5).

ფოტოპორტრეტების მიხედვით, ჭაბუკი ილია ქრისტეს ჰგავს, ხანდაზმულობაში კი უფრო მოსეს ემსგავსება.

აღბათ, ამიტომაც მოსწონდა აკაკი გაწერელის ილიას გარეგნობის იაკობ მანსვეტიშვილისეული დახასიათება, განსაკუთრებით, ეს პასაჟი: „ტანზე, რომელსაც ვერ დავწამებთ სილამაზის ნიმუშობას, იჯდა თავი, ილიას თავი, რომელიც საბერძნეთში ღირსი და დამამშვენებელი იქნებოდა ფიდიასის ქანდაკებისა. წარმოიდგინეთ მაღალი, გაშლილი, გადატკეცილი შუბლი, სწორე, თითქოს საგანგებოდ ჩამოსხმული, გამოქანდაკებული, ცხვირი, მრგვალი, მოძრავი ნესტოებით, მოკუმული ტუჩებით... შემომრგვალებული, ცოტად წინ წამოწეული ნიკაპი და თვალები, ხან ღმობიერნი, სათნოიანი, როდესაც შემოქმედების სივრცეში დაცურავდნენ, ხან მრისხანენი, ცეცხლის მფრქვეველნი, როდესაც მტერს შეებრძოდა“...

არანაკლებ საინტერესოა იოსებ იმედაშვილისეული დახასიათება:

„თითქო კუმტი, შუბლშეკრული, ფიქრედაყურსული, უმეტეს მოზიდულ წარბამწამში მწყვდეულ თვალებით, პირდაპირ გამჭრიახი - გამცქერი... ყოვლისმცოდნე ენციკლოპედისტი: წარსულისა და აწმყოს ყოველმხრივ მცნობი და მომავლის განმჭვრეტი, - წინასწარმეტყველი.“

ფიდიასის ქანდაკებისა რა მოგახსენოთ და მიქელანჯელოს მოსეს არ მოგვაგონებს?!

ილიას გარეგნობას არტურ ლაისტი ასე აღწერს:

„ილიას თვალთაგან გამოკრთოდა ნათელი არაჩვეულებრივი ჭკუისა... ჩვეულებრივ მშვიდი იყო, გარეგნულად მაინც, რადგან იშვიათი უნარი ჰქონდა თავშეკავებისა. ძლიერ გულამღვრეულიც რომ ყოფილიყო, მაინც დამშვიდებული გეჩვენებოდათ; ხოლო ვინც დაახლოებით იცნობდა, ილიას თვალებში შეეძლო, ამოეკითხა, რა ხდებოდა მისი სულის სიღრმეში.“

ანალოგოსზე ვმსჯელობდით.

აკაკიმ - კახეთი და ბეთლემიო;

კონსტანტინე გამსახურდიამ - მოსე და ილიაო, თუმცა, ქრისტესთან ანალოგიას არც ის გაურბის:

„არის რაღაც საშინელი მოირა იმ გარემოებაში, რომ ათასების ტკივილი ერთმა უნდა გადაიტანოს, ათასების მაგივრად ერთია მლოცველი და ჯვარზე გამსვლელი, ათასების ვარამი ერთმა უნდა იგრძნოს.

ასე იყო მოსე, ასეთი იყო ბუდდა, ასეთი იყო ქრისტე...“

ხასიათის კრისტალიზაციად მოსე ითვლება ყოველ დროში, მიქელანჯელოს მოსე გრანიტის ბლოკზე მჯდარი. ერთი მისი შემოხედვა ხორცშესხმული მრისხანებაა. თითქოს უნდა წამოდგეს და უდიდესი მუქარა მის მძლე სახის ნაკვთებზე აღბეჭდილი. ეს არის შიში მისი წამოდგომისა და ამოძრავების მიმართ აღძრული.

ილია ჭავჭავაძეშიაც იყო უსათუოდ რაღაც დიდი მუქარა, დიდი მრისხანება, დიდი ეთოსი დიდი წინასწარმეტყველისა... აქ ვხედავ მე დიდ ანალოგოსს: ილია - მოსე. აქ არის გზადაზნეული ერის ვულკანურ მთასთან მიყვანა. აქედან უნდა გადაშლილიყო ქართული რასის წინაშე დიდი სანახები ნებოს მთისა და ახალი ცხოვრებისა. აქვე გაკვანძულია ჩვენი ახალი ისტორიისა და ახალი ყოფის ჯერაც ჰამლეტისებური მერყეობით წარმოთქმული: ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო“ (5, 391).

საუბედუროდ, ანალოგიას ვეღარ გავაგრძელებთ:

მოსემ, ორმოცწლიანი მგზავრობის შემდეგ, უფლის რჩეული ერი ქანანის საზღვართან მიიყვანა, თვითონ შორიდან შეხედა აღთქმულ ქვეყანას და 120 წლისა მიიცვალა.

სამოცდაათი წლის ილია კი, ორმოცდაშვიდწლიანი დაუღალავი მოღვაწეობის შემდეგ, წიწამურთან იმიტომ მოკლეს, მისივე წინამძღოლობით გათავისუფლებული ერი რომ არ ენახა.

„მეცხრე საათს ხმამაღლა შეღალადა იესომ: ელოო, ელოო, ლამა საბაქთანო? რაც თარგმანით ნიშნავს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მე?“ (6,112; მარკ. 15,34)..

ნეტა ილიამ რა გაიფიქრა იმ საბედისწერო გასროლისას?

აქ ადვილად გაგვახსენდება მიხეილ ჯავახიშვილის ერთი ჩანაწერი: „სახე - ჯვარზე გაკრული ქრისტესი“, ალბათ, ცრემლიც ჩამოუგორდა თვალებზე. თუ არტურ ლაისტს დავუჯერებთ, ასეთი რამ ილიასთვის უცხო არ ყოფილა...

ლიტერატურა:

1. ტ. ტაბიძე, ტ. 2, პროზა, თბ., 2012;
2. შ. ამირეჯიბი, წიგნი 2, თბ., 1998;
3. კ. აბაშიძე, ეტიუდები, თბ., 1970;
4. ა. წერეთელი, ტ. 5, თბ., 1990;
5. კ. გამსახურდია, ტ. 7, თბ., 1983;
6. ახალი აღთქმა, თბ., 2004 (ზ. ბრეგვაძის თარგმანი);
7. დიდება შენდა, თბ., 2008;
8. ბიბლია, თბ., 1989;
9. ი. ჭავჭავაძე, ტ. 2, თბ., 1985.

Ioseb Chumburidze *Gori State Teaching University* **ILIA OR GREAT ANALOG** **RESUME**

Ilia Chavchavadze's life and work have been studied and analyzed in many ways.

It is difficult to find an angle and a prism from which the Ilia phenomenon was not evaluated.

Nevertheless, we still tried to find the original perspective and two great Georgians helped us here: Akaki Tsereteli and Konstantine Gamsakhurdia.

The first compares Ilia to Christ, the second - to the biblical Moses.

The purpose of our research is also to unravel and explain these stunning comparisons.

For this purpose the examples are found that link Ilia's martyrdom life and work to the Gospel / Bible.

შორენა შავრეშიანი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ისტორიული პასაჟი პოსტმოდერნისტულ ტექსტში **(დათო ტურაშვილის „გურჯი ხათუნის მიხედვით“)**

ყოველი ლიტერატურული ეპოქა თუ ლიტერატურული მიმდინარეობა თავისი გადასახედიდან განიხილავს წარსულისა და თანამედროვეობის ურთიერთმიმართების საკითხს. ამ თვალსაზრისით არც ჩვენი ეპოქაა გამონაკლისი, რადგან პოსტმოდერნიზმის ლიტერატურულმა მიმართულებამ განაახლა ინტერესი ისტორიული რომანის ახალი ფორმების ძიების მიმართ. ლიტერატურის თეორეტიკოსებმა დაიწყეს მსჯელობა თანამედროვე მწერლების ინტერესზე არა უბრალოდ წარსულის, ისტორიული ფაქტების მიმართ, არამედ ისტორიული წარსულის განსხვავებულად მსოფლგანცდაზე, ახლებურ ინტერპრეტირებაზე. პოსტმოდერნიზმმა ისტორიის აღქმის რადიკალურად შეცვლილ პირობებში წარმოაჩინა ისტორიული რომანის ახალი მოდიფიკაცია - ისტორიოგრაფიული მეტარომანი, რომელიც გულისხმობს ისტორიული წარსულისადმი „ამორჩევით“ ინტერესს, როდესაც ერთი და იგივე

ისტორიული მოვლენა (თანამედროვეთათვის, თითქოს, ცნობილი) სხვადასხვა რაკურსში განიხილება; როდესაც ისტორიული ფაქტი, რომელსაც მემკვიდრეებმა მხოლოდ რამდენიმე აზრად მიუძღვნა, პოსტმოდერნისტი მწერლის დაინტერესების საგნად იქცევა და სწორედ მასზე აიგება მწერლის ნარატივი.

ისტორიოგრაფიული მეტარომანი დასავლური ლიტერატურის მნიშვნელოვან შენაძენად განიხილება, რასაც მოწმობს არაერთი ავტორის (ლინდა ჰატჩენი, რონალდ უოლესტე, უმბერტო ეკო და სხვ.) სამეცნიერო პუბლიკაციები. ისტორიოგრაფიული რომანი ქართულ სალიტერატურო სინამდვილეშიც არსებობს (ა. მორჩილადის, დ. ტურაშვილის, ლ. ბუღაძის და სხვათა ნაწარმოებები); ამდენად, წინამდებარე სტატიაში გასაანალიზებლად შევარჩიეთ დათო ტურაშვილის რომანი „გურჯი ხათუნი“, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესოდ წარმოაჩენს ისტორიოგრაფიული რომანის ძირითად ტენდენციებს.

დათო ტურაშვილის შემოქმედება პოსტმოდერნისტულ ჭრილში მკითხველისა და კრიტიკოსთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. მის პროზაულ ნაწერებში მრავლადაა ისტორიული ხასიათის ნაწარმოებები. პირველ რიგში, თვალშისაცემია ავტორის გულთბილი, ნოსტალგიური, პატივისცემითა და სიყვარულით განმსჭვალული დამოკიდებულება წარსული ეპოქისადმი. დასამახსოვრებელია პორტრეტები მეფისა, დედოფლისა, მემკვიდრისა თუ უბრალო მსახურისა. მწერალი სიფრთხილით ეკიდება თითოეულ სიტყვას, ფრაზას და წინადადებას პიროვნებისა თუ მოვლენის დახასიათებისას.

მწერლის შემოქმედებიდან ყურადღებას იქცევს ისტორიოგრაფიული რომანი „გურჯი ხათუნი“. გურჯი- ხათუნი - დედოფალ რუსუდანის ასული თამარი, ცამეტი წლის ასაკში, 1236 წელს რუმის სულთან *ყიას ედ-დინ ქეი ხესრევ II-ს* მიათხოვეს (სულთნის სახელის მრავალ ვარიაციას ვხვდებით; მათ შორის: *ყიას ან ყიას ედ-დინ ქაიქუ-ბად ან ქაიყუბად*, ამიტომაც შევჯერდებით ერთ საერთო სახელზე *ქაიხუსრევ II-ზე* და ამ სახელით მოვიხსენიებთ დასახელებულ პიროვნებას წინამდებარე სტატიაში. თამარმა ძალიან დიდი გავლენა, სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა აღმოსავლეთის კარზე. მის სილამაზეს, სათნოებას, ჭკუასა და სხვა მრავალ კეთილ თვისებას ერთხმად აღიარებს სხვადასხვა რჯულისა და ერის წარმომადგენელი; ამდენად, ნაწარმოები ზომიერი რომანტიკით არის გაჯერებული.

თამარ დედოფლის ასულის, რუსუდანის გამეფების შემდეგ საქართველოში ძალიან მძიმე და არასტაბილური საშინაო და საგარეო ვითარება სუფევდა (1223-1245 წწ.). რუსუდანს, დედისგან განსხვავებით, არ აღმოაჩნდა ქვეყნის პირველი პირისთვის საჭირო მეფური თვისებები. თავისი წინდაუხედაობის, არამდგრადი და მერყევი ბუნების გამო მან ქვეყანა არაერთხელ ჩააგდო საფრთხეში. ნაწარმოებში აკრას ეპისკოპოსი, ჟაკ დე ვიტრი, ლაშა-გიორგის გარდაცვალების შემდეგ საქართველოში შექმნილ მძიმე ვითარებას აღწერს და აღნიშნავს, რომ ქართული სამეფოს სახელი მეტისმეტად შელახულია. ლაშა-გიორგის ანდერძის თანახმად, სამეფო ტახტზე ლაშა-გიორგის შვილი დავითი უნდა ასულიყო, მაგრამ, მის ნაცვლად, რუსუდანი გამეფდა.

ნაწარმოებში (ისტორიკოს კახა ბუაჩიძის დამოწმებით) ვკითხულობთ შემდეგს: „ქართული სამეფო კარის პირველი სელჩუკი (ან სელჯუკი) სიძე იყო დავუდ მოღის ედ-დინი - ვაჟი არზრუმის მფლობელის - თოდრილ შაჰისა. ქართველებმა რუსუდანის საქმროდ, მრავალრიცხოვან კანდიდატებს შორის, სწორედ მასზე შეაჩერეს არჩევანი და შირვანშაჰთან მანამდე შეპირებული ნიშნობაც კი ჩაშალეს“ [ტურაშვილი, 2011 :11].

ქართველთა სელჩუკმა სიძემ რუსუდანის სიყვარულით ქრისტიანობა მიიღო, თუმცა მათი ოჯახური თანაცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა და 2 წლის შემდეგ რუსუდანმა ქმარი ტფილისის ციხეში გამოკეტა. რუსუდან მეფემ თავისი არასწორი პოლიტიკური გათვლების შედეგად მონღოლები რუმის სასულთნოს წინააღმდეგ განაწყო, რამაც ამჯერად რუმის სასულთნოს შემოტევა გამოიწვია საქართველოზე. „ამიტომაც ითხოვა ზავი გიას (ყიას) ედ-დინ ქაიქუ-ბად (ყაიყუბად) პირველთან ნათესაობა, დამოყვრება და მშვიდობა შესთავაზა კონიის მბრძანებელს“ [ტურაშვილი, 2011 : 13], რაც დიდი სიხარულით მიიღეს სელჩუკებმა, რადგან საქართველოს ძლიერების შესახებ ისევ ახსოვდათ მეზობელ მტერ სახელმწიფოებს და ქართველი ქალის სილამაზის ამბავი კი ოდითგანვე განთქმული იყო.

დათო ტურაშვილის ისტორიულ თხზულებაში საინტერესოდ არის გადახლართული წარმოშობით ავღანელი, მაგრამ არაბად მიჩნეული აბუ ალ-ბიკა საბით იბნ აჰმად ნაჯმ ად-დინ ათ თიფლისის, მსოფლიოს უდიდესი პოეტის მევლანა ჯალალ ად-დინ მოჰამად მევლევი ბალხი რუმისა და თამარის ცხოვრების გზები. „მართალია, უკვე შვიდ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ ბავშვობა კარგად მახსოვს და რაც მთავარია, მისი ბავშვობა მახსოვს ძალიან კარგად... მას რუმის სახელით იცნობს მთელი მსოფლიო და მეც ასე მოვიხსენიებ, რადგან თვითონაც ყველაზე ხშირად საკუთარი სახელის ბოლოს რუმის აწერდა. მაშინ ყველა მუსულმანი მცირე აზიას და ანატოლიას რუმს უწოდებდა, სელჩუკთა სახელმწიფოს რუმის სასულთნოს. დიდი მევლანა ბოლოს სწორედ სელჩუკთა დედაქალაქ კონიაში დასახლდა“ [ტურაშვილი, 2011 : 16], გვიყვება თბილისში დასახლებული არაბი შემოქმედი.

ორივე პოეტი ავღანურ ხორესანში, ქალაქ ბალხში დაიბადა. რელიგიური მსოფლმხედველობის გამო მათი ოჯახები იძულებული გახდნენ ბალხიდან წამოსულიყვნენ და უკან აღარასოდეს დაბრუნებულან. კონიაში ჩასვლამდე მათ საკმაოდ ბევრი ადგილი მოიარეს და მოილოცეს. მოინახულეს მუჰამედის სახლთან ახლოს მდებარე წინაპართა სამარხები. ნახეს ასევე ქართული წარმოშობის, ქვემო ქართლელი მანველიშვილი და შემდგომში ერაყის ძლევამოსილი დაუდ-ფაშას საფლავი. ათ თიფლისი ამ ფაქტს საგანგებოდ უსვამს ხაზს, რადგან მუსლიმანებისთვის მუჰამედის საფლავთან რამდენიმე ნაბიჯთან ახლოს დაკრძალვა დიდი პატივია, ქრისტიანები კი ამას ყურადღებას არ აქცევენ. ნაწარმოებში ვხვდებით ასევე მეორე მამლუქს, იბრაჰიმ-ბეი შინჯიკაშვილს, რომლის შთამომავლის, სამირა სინჯიკაშვილის ცნობით, იბრაჰიმ სინჯიკაშვილს გურჯი-ხათუნისთვის მექაში გამგზავრება და დახმარება შეუთავაზებია, მაგრამ გურჯი-ხათუნს უარი შეუთვლია: „იბრაჰიმი იყო მართლაც ძლიერი მმართველი და მან იცოდა კონიის სამეფო კარზე დატრიალებული ტრაგედიების შესახებ“ [ტურაშვილი, 2011 : 23].

რაც შეეხება რუმის, იგი ოცდაოთხი წლის ასაკში კონიელ ფილოსოფოსთან შორის დიდი ავტორიტეტი გახდა. მან ჩამოაყალიბა დერვიშთა ორდენი „მევლევი“, რომელიც კონიაში დღესაც არსებობს და მისტიკური ლოცვებით გამოხატავს პატივისცემას ორდენის დამაარსებლის - რუმის, ანუ მევლანას მიმართ.

სწორედ ამ მევლანასა და გურჯი-ხათუნს ჰქონდათ ახლო სულიერი ურთიერთობა. რუმთან შეხვედრამდე გურჯი-ხათუნი მეჩეთში ნამყოფიც კი არ იყო. როგორც ცნობილია, სულთანს მისთვის არ მოუთხოვია რჯულის შეცვლა და არც ლათინთა მისიონში სიარულს უკრძალავდა. ეს სარწმუნოებრივი თავისუფლება გაგრძელდა მანამ, სანამ რუსუდანმა კიდეც ერთი საბედისწერო შეცდომა არ დაუშვა, რითაც კიდეც უფრო მეტად დაუმძიმა საკუთარ შვილს ცხოვრება. რუსუდანს რომ საკუთარი შვილისთვის კანონიერი ტახტის მემკვიდრე, ლაშა-გიორგის ძე დავითი ჩამოეშორებინა, ეს უკანასკნელი კონიაში თავის სიძესა და ქალიშვილს გაუგზავნა მოსაკლავად, მაგრამ სასულთნოს კარზე დავითი დიდი პატივით მიიღეს. როდესაც რუსუდანმა საწადელს ვერ მიაღწია, ქაიხურევს წერილი გაუგზავნა, რომელშიც თავის ასულსა და დავითს სიძეაში ადანაშაულებდა. ამის წამკითხველმა სულთანმა საღი აზროვნების უნარი დაკარგა, გურჯი-ხათუნს, პირველ რიგში, სარწმუნოების გამო მოჰკითხა და ხატები დაუმხვრია.

გურჯი-ხათუნის სახელს უკავშირდება კაზადოკიაში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის აგება. აბდულა ალბანი აღნიშნავს: „გურჯი-ხათუნის სურვილსა ეკლესიათა აგებისა კაზადოკიასა და სხვაგანცა... ერთი იმათგანი საკუთარისა თვალითა ვიხილენით იკლარას ხეობასა მდებარე მდინარისა პირად შუენიერი და წარმტაცი. იგი საყდარი მოხატულნი მრავლითა თქუენისა წმინდათა მოწამეთა სახელებითა, განაცვიფრებს ყოველთა მნახველსა და იწოდების გიორგი დიდმოწამეთა“ [ტურაშვილი, 2011 : 105].

ნაწარმოებში მოხსენიებული ყველა მთხრობელი თუ პერსონაჟი თამარს უკავშირდება. ერთ-ერთი ასეთია ხოჯა, იგივე მოლა ნასრედინი, რომლის შესახებაც მისი შვილიშვილი ფატიმა ბინთი ნასრედინი საუბრობს და ცდილობს გაარჩიოს თავისი ბაბუის შესახებ თქმული ტყუილ-მართალი. ბრძენი, კეთილი, უბრალო, ენამოსწრებული, ბევრი გამონათქვამის ავტორი და სიცოცხლეშივე პოპულარული ხოჯა ნასრედინის შესახებ რუმის სასულთნოში „1236 წელს ალაპარაკდნენ, როცა იგი კესარიამი ჩავიდა ქორწილზე დასასწრებად სრულიად დაუპატიჟებლად... რათა საკუთარი თვალით ენახა ცამეტი წლის პრინცესა გურჯისტანიდან, რომლის მსგავსი, თურმე, არც მანამდე შობილა და არც - მერე“ [ტურაშვილი, 2011 : 20].

მოლა ნასრედინის დაბადების, გარდაცვალებისა და დაკრძალვის ფაქტთან დაკავშირებითაც აზრთა სხვადასხვაობაა, ისევე, როგორც მის სიტყვაკაზმულ გამონათქვამების ავთენტურობასთან დაკავშირებით. ფატიმა ბინთი ნასრედინს, ასევე დაუჯერებლად მიაჩნია ხოჯა ნასრედინის გატაცება გურჯი-ხათუნით, რადგან, საეჭვოა, მას სხვისი ცოლი თავის ცოლზე მეტად მოსწონებოდა, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც მის სიყვარულს მხოლოდ ტანჯვა მოჰქონდა.

ფატიმა ბინთი ნასრედინის მონოლოგში, ოსმალთა მწერლის, მემატიანისა და მოგზაურის, ევლია ჩელების დამოწმებით, თითქმის ყველა ის ადამიანი იკრიბება, რომლებიც შორიდან ეტრფოდნენ გურჯი-ხათუნს და ეს ტრფობა ძვირად დაუჯდათ. მათგან ერთ-ერთი პირველია მურზაყან ორბელიანი, რომელსაც იგი მანამდე შეუყვარდა, სანამ კონიის დედოფალი გახდებოდა; მაგრამ მურზაყანი წინ ვერ აღუდგებოდა დიდ სახელმწიფოებრივ ჩანაფიქრს და საქართველოს ისტორიული მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობას. თამართან ახლოს ყოფნის ფარული მიზეზით გადაწყვიტა მან პაპის აღიარება, რამაც მისიონერი ჯუზეპე კარბონე ერთდროულად გააკვირვა და გაახარა. ახალ ღვთისმეტყველებას ამოფარებული, იგი გამუდმებით ცდილობდა დასწრებოდა სულთნის კარზე გამართულ ყველა წვეულებას, რაც, ცოტა არ იყოს, მისიონერთა ფარულ აღშფოთებას იწვევდა, რადგან, მათი აზრით, ღვთის სამსახური და გამუდმებული ღრეობა შეუთავსებელი ცნებებია. მურზაყან

ორბელიანი იყო, მისიონში სტუმრად მისულ ფერვანეს რომ კაზის ქვეშ დამალული ბეზუთი მოუქნია. ფერვანე გადარჩა, მაგრამ თვითონ კი ანტალიის ციხეში გამოკეტეს. გურჯი-ხათუნს საეჭვოა, გაეგოს ამის შესახებ.

გურჯი ხათუნის სულიერ მდგომარეობასა და სილამაზეზე ხშირად საუბრობს მისი მესაიდუმლე ბიბი მუნაჯიძე. იმის მიუხედავად, რომ მის ადგილას ყოფნას ბევრი იოცნებებდა, ბიბი მუნაჯიძეს თამარი ქორწილის წინა ღამეს „თავისი დიდრონი, ზღვასავით ლურჯი თვალებით“ მოწყენილი და დადარდიანებული დახვდა „დედა მომენატრა...“ [ტურაშვილი, 2011: 26] უთქვამს ეს ორ სიტყვა და ამით ხაზი გაუსვამს იმ ტრაგიკული ხვედრისთვის, რომელიც ერგო, როგორც ბავშვს და როგორც დედოფალს. ბიბიმ, მის დასამშვიდებლად ცაზე ვარსკვლავი მოძებნა და მისი სახელი დაარქვა. ვარსკვლავების ხსენებაზე თამარმა ბიბი მუნაჯიძეს საქართველოდან წამოღებული წიგნი აჩვენა; წიგნი - ვარსკვლავებსა და სიყვარულზე. იგი გვიყვება, თუ რა თავდავიწყებით შეუყვარდა სულთანს თავისი ახალგაზრდა დედოფალი. მისმა სიყვარულმა ქაიხურევს სახელმწიფო საქმეები დაავიწყა და ქვეყნის მართვა პირველ ვეზირს გადააბარა. ამ სიყვარულის დასტურია ისიც, რომ სულთანმა დედოფლის სახელზე ფულის მოჭრა დაიწყო. იმის მიუხედავად, რომ ისლამი კრძალავდა ფულზე ადამიანის გამოჭრას, მით უფრო - ქალისას. ამ ემბლემაზე სხივოსანი მზე გურჯი-ხათუნია, ლომი კი - ქაიხურევი. როგორც აღნიშნავენ, ეს თამარის იდეა იყო. ქართული წიგნიდან თამარი ბიბი მუნაჯიძეს გარკვეულ სტროფებს უკითხავდა, უხსნიდა და უთარგმნიდა. ის ხშირად ახსენებდა მზეს და ლომს; მზე სატრფო იყო, ლომი კი - მიჯნური ვაჟი. ბიბის არ ახსოვს წიგნის სახელი, მაგრამ ადვილად მისახვედრი მინიშნებებიდან გამომდინარე, ეს წიგნი „ვეფხისტყაოსანია“, რომელიც შოთა რუსთაველმა თამარის დიდებულ ბებიას მიუძღვნა. გურჯი-ხათუნი თავის მოსახელე ბებიაზეც უყვებოდა ბიბის. თამარის დროს საქართველო ისეთი ძლიერი იყო, სელჩუკების სულთანსაც ემინოდა მისი და რუქნადინიც უკუაქცეისო: „ახლა კი რუქნადინის შვილიშვილს მიმათხოვესო“ [ტურაშვილი, 2011: 36]. ბიბის აოცებდა თამარის სულთნის ცოლობისადმი ასეთი გულგრილი და ინდეფერენტული დამოკიდებულება; იმის დაჯერებაც უჭირდა, რომ გურჯი-ხათუნის სევდის მიზეზი მართლაც, სამშობლო ყოფილიყო, გულისწორიც რომ ჰყოლოდა სამშობლოში დატოვებული, მაინც არ ესმოდა მისი მოწყენის საბაზი, რადგან „სად გურჯების ქვეყანაში წვალეა და სად სელჩუკების დიდი სამეფოს სულთნის ცოლობა და სასახლის დედოფლობა, როცა ყმაწვილ სულთანს ისე უყვარხარ, რომ სახელმწიფო საქმეებზე აღარ ზრუნავს და დღენიდაგ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ გააბედნიეროს ყმაწვილი ცოლი“ [ტურაშვილი, 2011: 37].

ნაწარმოები ისტორიულ ფაქტებზეა აგებული და ბუნებრივია, ამ მხრივ ისტორიული მასალაც მრავლადაა.

დავიწყეთ უმთავრესით, რუმის სასულთნოს დედოფალი, ქაიხურევი II-ის მეუღლე, ნამდვილად იყო რუსუდან მეფის ქალიშვილი; „თამარი, გურჯი-ხათუნი (XIII საუკუნე) - საქართველოს მეფის რუსუდანის ასული. მამამისი მოდის ედ-დინ იყო, არზრუმის გამგებლის ტოღრილის ძე“ [ჯაველიძე, 1979: 579-580].

ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელთა დანათესავების საკითხს სელჩუკებთან არაერთგან ვხვდებით: „რუსუდანი დააქორწინეს ერზერუმის გამგებლის - თოდრულ-შაჰის ძეზე (ქართული წყაროებით ორტული). ამგვარად, გურჯი ხათუნი იყო „სელჩუკთა თესლ, დავითის მოდგმა“ [აბულაძე].

ის, რომ თამარმა ძალიან დიდი გავლენა და სიყვარული მოიპოვა სელჩუკების სამეფო კარზე, ბევრგან გვხვდება. ქაიხურევი II-ს თავისი მეუღლე ძალიან ჰყვარებია. მისი სიყვარულით იგი რჯულისა და სამეფო კარის წინააღმდეგაც წასულა, როდესაც მონეტა მოაჭრევინა მზისა და ლომის გამოსახულებით: „1236 წელს მოჭრილ ფულზე სულთანმა სიმბოლურად ამოატვიფრინა მისი სახე (მზე ლომის ზოდიაქოში). ასე შეიქმნა აღმოსავლეთში ცნობილი ემბლემა შირ-უ-ხირშიდ (ლომი და მზე), რომელიც შემდგომ სელჩუკის სხვა სულთნებმაც გამოიყენეს“ [ჯაველიძე, 1979: 579-580].

ერთდროულად, ძნელი დასაჯერებელი და გულდასაწყვეტია, მაგრამ როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, რუსუდან დედოფალმა ლაშა-გიორგის ძე დავითი სულთნის კარზე გააგზავნა, რომ მოეკლათ იგი რათა „იყოს უშფოთველად მისა მისისა დავითისათვის არა განყოფად მეფობისა“ [ქამთამაღმწერელი], მაგრამ თამარმა და ქაიხურევმა დიდი პატივით მიიღეს დავითი. ვითარება სრულიად შეცვალა რუსუდან დედოფლის მზაკვრულმა წერილმა, როდესაც ისევ მისწერა თავის სიმეს: „ამისთვის მენება მოკულა ძმისწულისა ჩემისა დავითისი, რომე ცოლსა შენსა და ასულსა ჩემსა ძმისწული ჩემი დავითი თანა-ეყოფის“ [იქვე]. ამ წერილმა ქაიხურევს გონება აურია და თამარს მოკვლით დაემუქრა: „უკეთუ არა დაუტეოს სჯული ქრისტესი და მუსლიმან იქმნას“ [იქვე]. თამარმაც იძულებით შეიცვალა სარწმუნოება, თუმცა იგი გახდა არა ისლამის, არამედ იმ ისლამური განშტოების, სუფისზმის, მევლევიზმის მიმდევარი, რომელიც ყველაზე ახლოს იდგა ქრისტიანობასთან. მევლევიზმა ერთნაირ პატივს მიაგებდა ყველა რელიგიას და არ მოითხოვდა გამაჰმადიანებას.

ბევრ წყაროზე დაფუძნებით დადასტურებულია, რომ იკლარას ხეობაში არსებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის გამოკვეთა „თამარ მეფის შვილიშვილის, გურჯი-ხათუნად წოდებული ბაგრატიონის (მოღვაწეობდა XIII საუკუნეში რუმის სასულთნოში) სახელსა და ფესვებს უკავშირდება“ [ქანტურია].

რეალური პიროვნებაა ნაწარმოებში ხსენებული სპარსი პოეტი ჯალალ ედ-დინ რუმი. „ჯალალ ად-დინ მუჰამმად რუმი ან ჯალალ ად-დინ მუჰამმად ბალხი, იგივე მევლანა / მავლანა („ჩვენი ბატონი“), ან უბრალოდ რუმი; დ. 30 სექტემბერი, 1207 - გ. 17 დეკემბერი, 1273) – XIII საუკუნის სპარსი პოეტი, იურისტი, მუსლიმი სწავლული, თეოლოგი, სუფი მისტიკოსი... მნიშვნელოვანია, თამარ მეფის შვილიშვილს, გურჯი ხათუნსა და პოეტს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. მატიანეთა ცნობით, გურჯი – ხათუნმა ქრისტიანული რწმენა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა და ამასთანავე სუფიზმს ჯალალ ედ-დინ რუმის წყალობით ეუბიარა“ [ჯალალედინ რუმი, 2018].

ჯალალ ედ-დინ რუმის ბიოგრაფიული მომენტები ემთხვევა ნაწარმოებში მოთხრობილს. მას შემდეგ, რაც რუმი მამამისთან ერთად ხორასანიდან წამოვიდა და ბევრი იარა, საბოლოოდ, ქალაქ კონიაში დასახლდა: „სწორედ აქ გაატარა ცხოვრების დიდი ნაწილი პოეტმა, ეს ქალაქი რუმის სასულთნოს ცენტრი იყო და სელჯუკთა დიდი იმპერიის უკიდურეს დასავლეთ რეგიონს წარმოადგენდა“ [ელერდაშვილი, 2014].

დათო ტურაშვილის ნაწარმოებში ათ თიფლისი რუმის მშობლიურ ქალაქად ბალხს გვისახელებს. მკვლევართა დიდი ნაწილიც სწორედ დღევანდელი ავღანეთის ამ ერთ-ერთ კულტურულ ქალაქ ბალხს მიიჩნევს: „რაც შეეხება დაბადების ადგილს, ასეთ პატივს ორი ქალაქი ეცილება ერთმანეთს: ერთი გახლავთ ახლანდელი ავღანეთის ქალაქი ბალხი, მეორე კი დღევანდელი ტაჯიკეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე დასახლებული პუნქტი ვახში... მის მშობლიურ ქალაქად კი მკვლევართა უმეტეს ნაწილს მაინც დიდი ისტორიისა და ტრადიციების მქონე „ბალხი“ მიაჩნია“ [იქვე].

არც ხოჯა ნასრედინის არსებობაა მხატვრული ფანტაზიის ნაყოფი: „XIII საუკუნის ფოლკლორული პერსონაჟი, ისლამური აღმოსავლური კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული სახალხო სუფი ფილოსოფოსი, რომელიც ცნობილი იყო მისი სასაცილო ისტორიებითა და ანეკდოტებით... მისი დაბადების თუ გარდაცვალების ზუსტი თარიღი არ არის ცნობილი. სხვადასხვა აღმოსავლურ კულტურაში იგი ასევე ცნობილია როგორც „მოლა ნასრედინი“, „ხოჯა ნასრედინი“ ან „ეფენდი“ [ნასრედინი, 2017].

შეუძლებელია გვერდი ავუაროთ საქართველოში კათოლიკე მისიონერთა არსებობის საკითხს. კათოლიკური ეკლესიის სიახლოვესა და მის გავლენაზე ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხებზე ვრცელ მიმოხილვას აკეთებს მერაბ ღაღანიძე. სამეცნიერო კვლევის - „კათოლიკური მემკვიდრეობის გამო საქართველოში“ - წინათქმაში იგი აღნიშნავს, რომ კათოლიკობა თავის არსებობას საქართველოში ითვლის იმ დროიდან, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობა დამკვიდრდა: „ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი და პირველი ქრისტიანი დედოფალი ნანა როგორც საკუთარ, ისე ქვეყნის სარწმუნოებად ქრისტიანობის აღსარების უმაღლესი რომიდან ეკლესიის მეთაურის მაკურთხებელ და გამამხნეველ წერილს იღებენ, ჩამოტანილს მცხეთაში პაპის დესპანის მიერ“ [ღაღანიძე, 2018].

კათოლიკური ეკლესიის საქართველოში არსებობასთან დაკავშირებით დაახლოებით მერაბ ღაღანიძისეულ აზრს ავითარებს გაბრიელ ბრაგანტინი სტატიაში: „კათოლიკე ეკლესია საქართველოში XIII საუკუნიდან არსებობს?“ გაბრიელ ბრაგანტინი განსაკუთრებით კრიტიკულია იმათ მიმართ, ვინც საერთოდ უარყოფს კათოლიკური მრწამსის საქართველოში არსებობას. მისი აზრით: „საქართველოში ეს ეკლესია ჯერ კიდევ მოციქულთა ქადაგების ჟამიდან არსებობს, იქნება ეს წმინდა ანდრია მოციქული, წმიდა ნინო თუ სხვები, ან თუნდაც ასურელი მამები... გამომდინარე აქედან, კათოლიკე ეკლესია საქართველოში არსებობს იმ დროიდან, რა დროიდანაც სახარებას ქადაგებდნენ... კათოლიკე ეკლესია საქართველოში მე-13 საუკუნეში კი არ გაჩნდა, არამედ პირველ საუკუნეში წარმოიშვა მოციქულთა ქადაგებით და მეცამეტე საუკუნის შემდეგაც გააგრძელა თავისი არსებობა“ [ბრაგანტინი, 2018].

ნაწარმოებში მოხსენიებული ქართველი მამლუქები ისტორიულად ავთენტური პიროვნებები არიან. იბრაჰიმ-ბეი შინჯიკაშვილი „ეგვიპტის მამლუქთა მეთაური, სამხედრო მმართველი და ეგვიპტის გამგებელი იბრაჰიმ ბეი დაიბადა სოფელ მარტყოფში. 15 წლის იყო, როცა გაიტაცეს და სტამბოლის გავლით ეგვიპტეში წაიყვანეს, სადაც მონად გაყიდეს. ეგვიპტელმა მფლობელმა სახელი შეუცვალა და იბრაჰიმი დაარქვა. ბეის წოდება კი მოგვიანებით, 1767 წელს მიიღო. იბრაჰიმის პატრონი ეგვიპტის იმდროინდელი მმართველი იყო. მან ერთგულად მსახურობისათვის იბრაჰიმი გაათავისუფლა. როცა მისი ყოფილი პატრონი გარდაიცვალა, სხვა ქართველ მამლუქთან, მურად ბეისთან ერთად ქვეყნის სადავეები იგდო ხელთ“ [საქართველოს სამეფო].

მეორე მამლუქი, რომელსაც ვხვდებით არის „დაუდ-ფაშა გურჯი, ნამდვილი სახელი დავით გიორგის ძე მანველიშვილი (დ. 1767 ან დაახლოებით, 1774, ქვემო ქართლი; გ. 1851, მედინა) - ერეკის

უკანასკნელი მამლუქი გამგებელი 1817-1831 წლებში. წარმოშობით ქართველი (მანველაშვილი). ბავშვობაში გაიტაცეს ტყვეებით მოვაჭრეებმა და ოსმალეთში გაყიდეს“ [დაუდ-ფაშა გურჯი, 2016] პოლიტიკური მოღვაწეობის შემდეგ მან ითხოვა მედინაში მაჰმადის საფლავზე ზედამხედველად დანიშვნა. გარდაიცვალა მედინაში და „დასაფლავებულია ხალიფა ოსმანის საფლავის ახლოს“ [დაუდ-ფაშა გურჯი, 2016].

ამ ფაქტთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ დროითი თვალსაზრისით ნაწარმოებში ასახული ეპოქა და ზემოთ ნახსენები მამლუქების მოღვაწეობის ხანა არ ემთხვევა ერთმანეთს. გურჯი-ხათუნი XIII საუკუნეში ცხოვრობდა და იბრაჰიმ შინჯიკაშვილი და მანველიშვილი კი XVIII-XIX საუკუნეებში. შვიდი საუკუნით გვიან დაბადებული ათ თიფლისიც რუმის თანამედროვესა და მემატანესავით იხსენებს XIII საუკუნის ამბებს და ცდილობს სურათი უფრო თვალნათლივი და ახლობელი გახადოს მკითხველისათვის. რაც შეეხება დროის აცდენას, იგი შეიძლება მივაწეროთ მწერლის ფანტაზიას სამშობლოს მოწყვეტილი, იძულებით გადასახლებული თუ გატაცებული ქართველების საერთო ტრაგიკული ხვედრის ხაზგასმის მიზნით. საუკუნეების წინ დაწყებული ქართველი ხალხის საზღვარგარეთ ნებით თუ იძულებით გასვლა ხომ დღესაც გრძელდება. გურჯი-ხათუნის მაგალითზე გვიჩვენა დათო ტურაშვილმა ემიგრანტობის სასტიკი ხვედრი.

ლიტერატურა:

1. აბულაძე ც., „გურჯი ხათუნი XIII ს. რუმის სასულთნოს ქართველი დედოფალი“ <https://qim.ge/gurji%20xatuni.html>
2. ბრაგანტინი გ., კათოლიკე ეკლესია საქართველოში მეცამეტე საუკუნიდან არსებობს? 2018 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/283052/1/Katolikuri_Memkvidreoba_Saqartveloshi.pdf
3. დაუდ-ფაშა გურჯი, 2016 https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%93-%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%90_%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%98
4. ელერდაშვილი ე., სუფიზმი საქართველოში Sufism in Georgia, ჯალალ ედ-დინ რუმი, 2014 <https://www.facebook.com/301403833220887/posts>
5. ნასრედინი 2017 <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98>
6. ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატანე, „ქართლის ცხოვრება“.
7. საქართველოს სამეფო, იბრაჰიმ - ბეი შინჯიკაშვილი (1735-1817) - ეგვიპტის გამგებელი <http://www.georoyal.ge/?id=442>
8. სუფიური სიბრძნიდან - ჯალალ-ედ-დინ მუჰამად რუმი, 2013 http://djardji.blogspot.com/2013/08/blog-post_92.html
9. ტურაშვილი დ., „გურჯი ხათუნი“, თბილისი, 2011.
10. ლაღანიძე მ., „კათოლიკური მემკვიდრეობის გამო საქართველოში“, 2018 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/283052/1/Katolikuri_Memkvidreoba_Saqartveloshi.pdf
11. ჭანტურია თ., „გურჯი ხათუნის ეკლესია, (წმ. გიორგის სახ) იკლარას ხეობა, კაპადოკია“ https://www.facebook.com/tamta.chanturia/media_set?set=a.916546891736747.1073741947.100001443335469&type=3
12. ჯაველიძე ე., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, თბილისი, 1979.

Shorena Shavreshiani

Sokhumi State University

HISTORICAL PASSAGE IN POSTMODERN TEXT (ACCORDING TO “GURJI KHATUN“ BY DATO TURASHVILI) RESUME

Dato Turashvili is a postmodernist writer. There are many historical works in his prosaic texts. From this point of view “Gurji Khatun” is one of the most interesting and important work. This work describes the life of Tamar – granddaughter and namesake of famous Queen Tamar of Georgia, who was married to the Sultan of Rum Kaykhusraw II, when she was thirteen. Sultan called her Gurji Khatun (Georgian lady). The author also shows political and economical situation of the thirteenth century of the Sultanate of Rum and Georgia. There are numerous documents in Turkish and Georgian historiography about Gurji- Khatun.

The work is based on historical facts and the mentioned people: kings, queens, soldiers, poets, priests together with mamelukes are real people confirmed historically. Hence, several historical facts have been verified by us in reviewing the work.

კიდევ ერთხელ ქართული ასომთავრული დამწერლობის ქრისტიანობამდელი წარმოშობის შესახებ

2015 წელს წიგნად გამოდის პავლე ინგოროყვას ნაშრომი „ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა“, ხოლო 2018 წელს რამაზ პატარიძის ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი მონოგრაფია „ქართული ასომთავრული“. ამ წიგნების გამომცემელი დავით გალეგაშვილია (იგია რამაზ პატარიძის წიგნის შემდგენელ-რედაქტორიც). ორივე წიგნის სათაურში გაცხადებულია, რომ საუბარია ქართული ასომთავრული დამწერლობის შესახებ. პავლე ინგოროყვას ნაშრომსაც და რამაზ პატარიძის მონოგრაფიასაც დართული აქვს მწერალ როსტომ ჩხეიძის წინასიტყვაობა, რომელშიც კარგად არის ახსნილი ორივე წიგნის უდიდესი მნიშვნელობა „ქართული ანბანის ქრისტიანობამდელი წარმოშობის სამტკიცებლად“ [2, გვ. 6].

პავლე ინგოროყვას შრომის დავით გალეგაშვილისეული გამოცემა იმითიც არის აღსანიშნავი, რომ თან ერთვის გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოქვეყნებული მარიამ ნინიძის და ლადო ჭელიძის წერილი „ქართული დამწერლობის მეთოდი და ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ქართული წარწერები“ - (პავლე ინგოროყვას ისტორიოგრაფიული კვლევების კვალდაკვალ).

ამ საკითხის შესახებ ჩვენ წინა შრომაშიც ვწერდით, როდესაც განვიხილავდით როსტომ ჩხეიძის წიგნს „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“. ყველასათვის კარგად ცნობილია, რომ არსებობს პავლე ინგოროყვას შრომები ქართულ ცივილიზაციასა და ქართული ასომთავრული ანბანის წარმოშობის შესახებ, ქართველი მეცნიერები, კი ამის შესახებ საუბარს, რბილად რომ ვთქვათ, „თავს არიდებენ“. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

აკაკი შანიძე, ქართული ანბანის წარმოშობის საკითხებზე თამაზ გამყრელიძის წიგნის, „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა (ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა) წინასიტყვაობაში, აღნიშნავს, რომ, თამაზ გამყრელიძის აზრით, ქართული ანბანის შექმნის დრო არის „ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების ხანა საქართველოში“ [1, გვ. 19] და ქართული ანბანი შეიქმნა, „რომ თარგმნილიყო ახალი სარწმუნოებისათვის საჭირო წიგნები“ [1, გვ. 19]. მეცნიერი ეთანხმება ამ ვარაუდს, თავის მხრივ კი ამატებს: „დამახასიათებელია ის გარემოება, რომ საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში და მის მიდამოებში აღმოჩენილია ბერძნული და არამეული წარწერები, რომლებიც ქრისტიანობის წინა ხანას განეკუთვნებიან, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს ქართული წარწერები ამავე ხანისა. რამდენადმე ესეც მხარს უჭერს იმ დებულებას, რომ ქართული მწერლობა ქრისტიანობის ხანაში არის შექმნილი და მისი საჭიროებისათვის.“ [1, გვ. 45] ეს მაშინ, როცა არსებობს პავლე ინგოროყვას სენსაციური აღმოჩენა და „უსამართლოდ მიჩქმალული“ მეცნიერული თხზულება „ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა“, რომელშიც მკვლევარი მცხეთა-არმაზის გათხრებისას მოპოვებულ სტელასა და ვერცხლის ლანგარზე არსებულ ასო-ნიშნებს განიხილავს და ამტკიცებს მათ ქართულ წარმომავლობას, რითაც „ახალ გზას გახსნიდა ქართული ანბანის ქრისტიანობამდელი წარმოშობის სამტკიცებლად“ [2, გვ. 6].

აკაკი შანიძემ, ალბათ, კარგად იცის ეს ნაშრომი, რომელსაც, „სხვა დროსა და სხვა ქვეყანაში..... სენსაციური დაერქმეოდა და შესაბამისი გამოძახილიც მოჰყვებოდა..... და მთელი მსოფლიოს წინაშე მოიწონებდნენ თავს“ [2, გვ. 3], მაგრამ, ამის მიუხედავად, წერს: „დღეს, როცა სხვადასხვა „თეორიებს“ თხზავენ ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, თ. გამყრელიძის გამოკვლევა, სათანადო მეცნიერულ მეთოდზე დამყარებული და ფართო შედარებით-ტიპოლოგიური მასალით განმტკიცებული, განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და მეცნიერულ ღირებულებას იძენს“ [1, გვ. 21]. ამ „სხვადასხვა თეორიებში“, რომლებიც ქართული ანბანის შესახებ დაწერილა, ალბათ, უპირველესად, პავლე ინგოროყვას ეს შრომა მოიაზრება.

ამავე საკითხის შესახებ რეზი თვარაძე „ქართული მწერლობის“ პირველი ტომის შესავალში ასეთ დასკვნას აკეთებს, რომ ოცდაათტომეულს მხოლოდ იმიტომ წარუმძღვარეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომ „ეს ნაწარმოები მიგვანიშნებს ჩვენი შორეული წინაპრების დამოკიდებულებისა თავისი ენისადმი“ და, განიხილავს რა არსებულ მოსაზრებებს ამ საკითხის შესახებ, წერს: „მეხუთე საუკუნეზე ადრეული ნიმუშები ქართული დამწერლობისა ჯერჯერობით ვერსად მიუკვლევათ. არც ხელნაწერი შემორჩენილა, არც ტაძრის წარწერა; არქეოლოგიური გათხრების დროსაც ვერ აღმოაჩინეს

რაიმე საგანი, თუნდაც რამდენიმე ქართული ასო, რომ იყოს ზედ გამოყვანილი“ [4, გვ. 7]. ამ აზრს იზიარებს, ალბათ, მთელი 13 კაციანი სარედაქციო კოლეგია - რედაქტორი რევაზ სირაძე.

წინასიტყვაობაში გამოითქვა ასეთი მოსაზრება: „ქართული ანბანის ქრისტიანობამდელი ნიმუშები არც აღმოჩენილა და ვერც აღმოჩნდება, რადგან მისი შექმნა ქრისტიანობის მიღებას უკავშირდება. ისევე, როგორც მრავალ სხვა ქვეყანაში, დამწერლობა და წიგნის კულტურა საქართველოში ქრისტიანობამ მოიტანა“ [4, გვ. 8]. სარედაქციო კოლეგია არც იმას გაურბის, რომ გააკეთოს ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები და დაწეროს: „იმგვარი ჩამონაკვეთული, სრულყოფილი, ჰარმონიული ფორმები, როგორც დღემდე ცნობილ უძველეს ქართულ ასოებს აქვს, ზეცით ვერ მოეწონებოდათ ჩვენს წინაპრებს, ამნაირი სრულყოფილების მისაღწევად დამწერლობას ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი გზა უნდა გაეწეო. თუმცა, რეზი თვარაძე იმასაც წერს, რომ შეიძლება, ზოგჯერ, თვალწინ გქონდეს ის საგანი, რომელსაც ეძებ, მაგრამ ვერ ხედავდეო და ეჭვობს, ჩვენც ასე ხომ არ მოგვდისო. აკაკი ბაქრაძე არის 1987 წელს გამოსული „ქართული მწერლობის“ ამ პირველი ტომის შემდგენელი რეზი თვარაძესთან ერთად და სარედაქციო კოლეგიის წევრიც და, ალბათ, ეთანხმება კოლეგის ამ მოსაზრებას, თუმცა, როგორც მაია ნინიძე და ლადო ჭელიძე აღნიშნავენ წერილში, რომელიც პავლე ინგოროყვას „ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა“-ს დავით გალგაშვილისეულ გამოცემას ერთვის, 1970 წელს აკაკი ბაქრაძე გამოეხმაურა პავლე ინგოროყვას ნაშრომს და „გაიზიარა არმაზის წარწერებთან დაკავშირებით მიღებული დასკვნები, გამოთქვა უკმაყოფილება, რომ ამ აღმოჩენას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა და აღნიშნა, რომ არმაზში ნაპოვნი წარწერების შესწავლა აუცილებლად უნდა გაგრძელებულიყო“ [2, გვ. 44].

როსტომ ჩხეიძე, იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ქრონიკაში - „ბურჯი ეროვნებისა“, აღნიშნავს რა მის უდიდეს ღვაწლს, ხაზს უსვამს ერთ გარემოებას: „იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ყაიდა თვალნათლივი და საუკეთესო ნიმუშია, თუ როგორ შეიძლება ერთმა პიროვნებამ ორთაბრძოლაში გამოიწვიოს იმპერია და ეს უთანასწორო შერკინება სასწაულებრივი გამარჯვებით დაამთავროს“ [3, გვ. 45]. ის, რომ იაკობ გოგებაშვილმა შექმნა ქართული „დედა-ენა“ და ასოები დააწყო იმ თანმიმდევრობით, რომ დღემდე ამ მეთოდს ანალოგი არ გააჩნია, სხვა არაფერია, თუ არა: „ჰეროიკული ღვაწლი სასწაულებრივი ელვით გასხივოსნებული“ [3, გვ. 52] და ეს ხდება უკიდურესად მკაცრი და რუსიფიკატორული რეჟიმის პირობებში.

არანაკლებ მკაცრია რეჟიმი 1941 წელს, როცა პავლე ინგოროყვა აღმოჩენებს აკეთებს. საქართველო კვლავ იმპერიის პროვინციაა და ერთმა „უტიტულო მეცნიერმა“ რაც არ უნდა „ახალი მარგალიტები ამოყაროს, ისე დაასამარებენ და ისე მიითვისებენ მის მონაპოვარს, თითქოს არც არსებულებო“ [2, გვ. 3].

საინტერესოა რა ხდება დღეს ამ საკითხთან დაკავშირებით. რატომ არის კერძო გამომცემლების კეთილ ნებაზე დამოკიდებული ამ საკითხის საზოგადოებისთვის შეხსენება. რატომ არის პავლე ინგოროყვას შრომები, რამაზ პატარიძის მონოგრაფიები, მაია ნინიძისა და ლადო ჭელიძის გამოკვლევის ამარა, როცა 1977 წელს აკაკი ბაქრაძე გამოთქვამდა იმედს, რომ ამ წარწერებთან დაკავშირებით კიდევ ბევრი ახალი აღმოჩენა იყო მოსალოდნელი.

რატომ ფერხდება ამ საკითხებით სახელმწიფოს დაინტერესება. რატომ ისმის კითხვა- „ახლა რაღა გვიშლის ხელს, შესაფერისადაც გამოვეხმაუროთ და არა მარტო ჩვენს ქვეყანაში?“ [2, გვ. 10]. ვფიქრობთ, ყველა ჩვენგანმა ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენოთ ეს სენსაციური აღმოჩენები, შევახსენოთ საზოგადოებას მათი არსებობის შესახებ და ვეცადოთ შესაფერი პატივი მივაგოთ მათ ავტორებს, როგორც ამას აკეთებენ რ. ჩხეიძე, დ. გალგაშვილი, მაია ნინიძე, ლადო ჭელიძე და სხვა ამ საკითხით დაინტერესებული მეცნიერები.

პავლე ინგოროყვას სწამდა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა მომავალი თაობის ხვედრი იყო. მომავალ თაობაში ჩვენს მიერ ჩამოთვლილი მეცნიერები და გამომცემელიც იგულისხმებიან, რომლებმაც, როგორც მერაბ ლაღანიძე იტყვის, ნავსი გატეხეს, ეს შრომები წიგნებად გამოსცეს, დაურთეს წინასიტყვაობები და სტატიები კვლევაზე და საზოგადოებას შეახსენეს, რომ უნდა დაირღვეს საზოგადოების ტრადიციული ხედვა, რომ რაც ერთხელ დაიწერება და დაიდება, სხვამ აღარ უნდა შეზღუდოსო. ამაში იგულისხმება ის საკითხი, რომ კორნელი კეკელიძის მიერ შექმნილი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო, რომელზეც თაობები აღიზარდა, დღემდე ხელშეუხებლად რჩება, არადა, პავლე ინგოროყვა 1941 წელს და დღეს ეს ახალგაზრდები, მიიჩნევენ, რომ ის 1500 წლოვანი ლიტერატურა, რაც ქართულ ენაზე მოგვეპოვება, მარტოდენ ახალი ხანაა ქართული მწერლობისა.

ლიტერატურა:

1. გამყრელიძე თამაზ - წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თსუ გამომცემლობა, 1990.
2. ინგოროყვა პავლე - ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა, გამომცემელი დავით გალგაშვილი, თბ., 2015.

3. პატარიძე რამაზ - ქართული ასომთავრული, შემდგენელ-რედაქტორი და გამომცემელი დავით გალეგაშვილი, თბ., 2018.
4. ქართული მწერლობა - ტომი პირველი, თბ., 1987.
5. ჩხეიძე როსტომ - ბურჯი ეროვნებისა (იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ქრონიკა), თბ., 2007.

Marine Tsertsvadze
Gori State Teaching University
**ONCE AGAIN ABOUT THE PRE-CHRISTIAN ORIGIN OF THE GEORGIAN
 ASOMTAVRULI SCRIPT
 RESUME**

In 2015, a book by Pavle Ingorokva "Monuments of the Georgian alphabet of antiquity" was published and in 2018 - the monograph by Ramaz Pataridze "Georgian Asomtavruli" dedicated to Ivane Javakhishvili. The title of both books states that it is about the Georgian Asomtavruli script. The article discusses the attitude of Georgian science towards the sensational discoveries expressed in these two books.

გიორგი ხორბალაძე
 გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**მწერლის შემოქმედებითი მუშაობის ინდივიდუალური მანერისა და მხატვრული სტილის
 თავისებურებანი**
 (გ. სოსიაშვილის „წითელი უდაბნო“)

წინამდებარე კვლევა, ფაქტიურად წარმოადგენს ჩვენი წინა კვლევის „დასასრულისა და დასაწყისის ძიება მწერლის შემოქმედებაში (გიორგი სოსიაშვილის წიგნის - „წითელი უდაბნო“ -ს მიხედვით)“ გაგრძელებას, რამდენადაც დასახელებულ ნაშრომში ჩვენ საფუძვლიანად მიმოვიხილავდით წიგნის იდეურ-თემატურ მხარეს და მისი ანალიზის კვალდაკვალ ვცადეთ ჩავწვდომოდით მწერლის ერთგვარ ფილოსოფიურ თვალსაწიერსა თუ მსოფლმხედველობრივ მრწამსს, რამაც, ჩვენი აზრით, საინტერესო დასკვნებამდე გაგვაკვლევინა გზა. ამჯერად, ჩვენი მიზანია, მიმოვიხილოთ ამავე კრებულში - „წითელი უდაბნო“, ჩვენ მიერ შენიშნული, მწერლის მხატვრული სტილის თავისებურებები, რითაც კიდევ უფრო შევავსებთ და სრულყოფილად მოვახდენთ დასახელებული კრებულის ანალიტიკურ შესწავლას, რამდენადაც, ჩვენი აზრით, კრებული „წითელი უდაბნო“ იმსახურებს გამორჩეულ ყურადღებას სწორედ შინაარსობრივი და მხატვრული სტილის თავისებურებების გათვალისწინებით, სწორედ ამ კომპონენტების ერთიანობამ განსაზღვრა ის მაღალი შეფასება, რომელიც ჩვენ მიერ იქნა მიცემული დასახელებული კრებულისთვის. გარდა აღნიშნულისა, ნებისმიერი მწერლის შემოქმედების კვლევისთვის უმნიშვნელოვანეს მხარეს წარმოადგენს მხატვრული მანერა და სტილი, შესაბამისად, ამ კუთხით, ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების შესწავლა ყოველთვის იქნება საინტერესო და აქტუალური.

გარდა იმისა, რომ კრებული ჟანრობრივად უხვად არის დატვირთული (მასში მოთხრობა, ნოველა, პიესა, თუ პოეზიის ელემენტები ერთდროულად დომინირებს), უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წიგნში ასევე ნიშანდობლივ იძენს ტენდენციის სახეს გიორგი სოსიაშვილისეული იუმორის ნაკადი, რომელიც ზოგჯერ სატირასთანაა ნაზიარები და ტრაგიკომიკურ სიუჟეტს ჰქმნის, ზოგ შემთხვევებში კი, მკითხველის განმუხტვის საშუალებაა და ქართლური, ერთობ სპეციფიკური კოლორიტის დემონსტრირებაცაა. პიესის გამოჩენასთან ერთად იუმორისტული ნაკადის მომძლავრება გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში,

იმლევა ვარაუდის უფლებას, რომ მწერალი ასევე წარმატებული იქნება კომედიოგრაფის ამპლუაში, რაც გიორგი ერისთავის შემოქმედებითი ტრადიციების გაგრძელება იქნება, ქართულ დრამატურგიაში.

თუმცა, აღვნიშნავთ, რომ ჩვენი კვლევა, უფრო კონკრეტულად, მწერლის მხატვრული ხერხების, მწერლური ოსტატობის ნიუანსობრივ კვლევას დაეთმობა და იმ საინტერესო მხატვრული ტექნიკის დემონსტრირებაზე იქნება ორიენტირებული, რომლის მეშვეობითაც მწერალი გიორგი სოსიაშვილის მხატვრული სტილი იქმნება და რომელიც ფართო მკითხველის თვალსაწიერში სპეციალური დაკვირვების გარეშე ვერ მოხვდებოდა და არც უნდა მოხვედრილიყო, თუმცა კვლევის პროცესისთვის ამ ნიუანსებს სწორედაც რომ უდიდესი დატვირთვა ენიჭება, რამდენადაც შესაძლებელი ხდება განისაზღვროს ავტორის პროფესიონალიზმი და მისი ნაწარმოებების შემოქმედებითი სიღრმეები.

მხატვრული შემოქმედების შეფასებისას, ერთ-ერთი უმთავრესთაგან კრიტერიუმს პერსონაჟის ხატვის ინდივიდუალური მანერა წარმოადგენს; რამდენად ახერხებს ავტორი სიუჟეტის ფარგლებში (ზედმეტი მანევრირების გარეშე) გახსნას პერსონაჟის შინაგანი სამყარო და მკითხველისთვის შესამჩნევი გახადოს არა მხოლოდ პერსონაჟის ის დახასიათება, რომელიც მწერალმა ღიად შესთავაზა მკითხველს, არამედ ისიც, რაზეც მას პირდაპირ არ უსაუბრია. მაგალითად, მოთხრობაში „კერენსკი“, პერსონაჟი, რომელსაც ავტორი „მთლად უფროსად“ წარუდგენს მკითხველს, ესწრაფვის რა ძეგლის დადგმის მისთვის მნიშვნელოვანი საქმის შეუძლებელ ვადებში აღსრულებას, პირდაპირ ამბობს: „თუ დიდი ხანი ვერ გაძლებს ამ ჩემს ფეხებს. მერე კიდევ დადგან“; [1; 46] აქ, ავტორი პრაქტიკულად ერთი ფრაზით აკეთებს იმდენ მინიშნებას, რომ თითოეულზე მსჯელობას რამდენიმე გვერდი შეიძლებოდა დასთმობოდა, მაგრამ, მოთხრობას თავისი კონტექსტი და შინაარსი აქვს და მისი მხატვრული გაღაგება ვერ იქნებოდა ბუნებრივად მისადაგებული არსებულ პასაჟთან, ამიტომ მწერალი სწორედ ერთი ფრაზითა და ამ ფრაზით გამოკვეთილი ქვეტექსტებით არჩევს მკითხველის ყურადღების დაბალანსებას. დამოწმებულ ფრაზაში, უპირველესად, წინა პლანზე წამოიწევენ უახლოესი წარსულის - „პიარზე“ ორიენტირებული პოლიტიკა, თავისი წითელი ლენტებითა და შესაბამისი გმირებითა თუ ანტიგმირებით, შემდგომად, ამავე ფრაზით სარკასტულადაა გაკრიტიკებული ფსევდოსაქმოსნობა, ყალბისმქმნელობა და ცრუმშრომელობა, ეს კი სწორედ ის ტენდენციებია, რომელიც არაერთი წელია ქვეყნის განვითარების გზაზე დაუძლეველ დაბრკოლებად არის აღმართული და, როდენ სამწუხაროც არ უნდა იყვეს, სწორედ ეს მოჩვენებითი „ყოჩაღობა“ და მასზე გადაბმული ე.წ. „პიარი“ თუ უკეთესის ილუზიის შექმნაში დაოსტატებაა მთავარი საზრუნავი მოხელეთა სოლიდური ნაწილისათვის და არა საქმისა და ქვეყნის სიყვარული და მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობა. ეს ზოგადი საწუხარი უთუოდ მკვეთრად დომინირებს დამოწმებულ წინადადებაში, თუმცა, ამასთანავე, დახატულია როგორც ხელმძღვანელის ზოგადი ტიპაჟი, რაც კიდევ უფრო აქცენტირდება შერჩეული მოხსენიების ფორმით - „მთლად უფროსი“, ასევე ვიღებთ ერთი კონკრეტული პერსონაჟის შინაგან სამყაროს, მისი ბუნებრივი მდგომარეობის მნიშვნელოვან დეტალურ ინფორმაციასაც, რადგან „მთლად უფროსი“, როგორც არა ზოგადი, არამედ ერთი კონკრეტული ადამიანი, ირიბად, მაგრამ შესანიშნავად არის დახასიათებული, ეს არის მლიქვნელი, უსინდისო, მატყუარა და მატერიალური სიკეთისთვის ყველაფერზე წამსვლელი ადამიანი, ამავდროულად იგი „მარიფათიანი“ საქმოსანი და ორგანიზატორია, თუმცა მორალური პრინციპების გარეშე დარჩენილა და მისი „საქმენი საგმირონიც“ ჩვეულებრივი წყლის ნაყვია, რამდენადაც, „მთლად უფროსისთვის“ საზოგადოებრივის შეგრძნება პირადულს შთაუნთქავს და, ერთადერთი ვისაც იგი ემსახურება, ეს საკუთარი კარიერა და კეთილდღეობაა. მოთხრობაში „დასასრული და დასაწყისი“ კი მთავარი პერსონაჟი - რაიკომის მდივანი, ამბობს: „ღმერთი არა მწამს, მაგრამ სახარებაში მეც ჩამიხედავს“, თანაც საინტერესოა ამ გამონათქვამის კონტექსტი - პერსონაჟი „სახარებაში ჩახედვას“ საკუთარი სიმართლის დასამტკიცებელ უტყუარ არგუმენტად იყენებს, რაც, იმთავითვე, მისი, როგორც უკიდურეს გაურკვევლობაში ჩავარდნილი ადამიანის ერთგვარი დახასიათებაცაა და უფლის გზის უალტერნატივობაზე ხაზგასმაც, ავტორის მხრიდან. მსგავსი შინაარსობრივი განმტკიცებით დატვირთული ფრაზები უცხო არ არის გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებისთვის, თუმცა, არ შეიძლება ცალკე არ იქნას გამოყოფილი მეტყველების თავისებური მანერა, რომელსაც საინტერესო იდიომებით, სიტყვათშეთანხმებებითა თუ წინადადების გაწყობის მისეული სტილით აღწევს ავტორი. პერსონაჟთა მეტყველებისთვის ძირითადად შერჩეულია ქართლური დიალექტი, რომელიც მწერალს კიდევ უფრო გაუმდიდრებია ზეპირსიტყვიერებაში დამებნილი, ხალასი სიტყვებით. აღსანიშნავია მწერლის პროზის პოეტური რიტმიკა და მისი წერის კულტურა; აღნიშნულის კომბინაცია, შესაძლებლობას აძლევს ავტორს, მკითხველს შესთავაზოს მეტად საინტერესო და ინდივიდუალურად მხატვრული სტილი. შეუძლებელია მკითხველს ყურადღების ყურადღების მიღმა დარჩეს გარგარის ხიდან დანახული გაზაფხულის სურათი, რომელიც ორიოდ სიტყვით დაუხატავს ავტორს - „გარგალმა იპატარძლა“ [1; 13], ან ბნელი ღამის აღსაწერად უამრავგზის გამოყენებული „თითის თვალთან ვერ მიტანის ნაცვლად“ ასეთი ახალი შემოთავაზება: „გაკუნაპეტდა ისედაც ყურჭთვალა ღამე“ [1; 35], ხოლო გამთენიის სურათის აღწერა,

პროზაიკოსის ხატწერის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია: „თენდებოდა, დილა იზადებოდა მშობიარე ცის წიაღიდან და იისფერი შუქი ჟონავდა რაიკომის მდივნის საძინებელში“ [1; 25]. ასევე, ავდრიან, ქარწვიმიან ამინდში მიმავალი ადამიანის მიერ გადატანილი სირთულის შთამბეჭდავად შესამეცნებლად: „წვიმის შოლტი გადაუჭირა სახეზე ქარმა“ [1; 36], თუ ქარიან ამინდში ტელეფონზე საუბრის სურათის წარმოსადგენად: „ლიახვის ნაპირიდან დატიშული ქარი ძვრება ტელეფონში“ [1; 61]; მსუბუქად შემთვრალი მოქეიფე ბიჭების მსგავსი ლაკონური და პოეტური გამოხატვაც ვერ დაგვრჩებოდა ყურადღების მიღმა: „პრაკლანთ ვენახიდან ჩამონაწერი ლომიურით შეპერანგებულიყვენ“ [1; 74], მეტად თავისებური და საინტერესოა შეფასება, რომ თურმე: „მოგონებების სასაფლაოა ეს ოხერი ტვინი“ [1; 16]. კრებულის წიაღში ასევე უხვადაა შესაძლებელი ერთობ ორიგინალური სიტყვათშეთანხმებების დაძებნა, რომლებიც წიგნის თითქმის ყოველ გვერდზე შეგვიძლია მოვიძიოთ, ამიტომ, სიტყვა რომ არ გაგვეცეს მხოლოდ ერთი მოთხრობის (დასასრული და დასაწყისი) ფარგლებიდან მოვიხმოთ მაგალითებს: „ყურჭთავლა ღამე“, „ჯანდაკი სხეული“, „პირდაღრენილი ტუფლი“, „რქაკავშა არსება“, „სიკეთის მზე“, „ნაყვავილარი სული“, „მოგონებების სამარე“, „ბეხლერწი გერო“, „მარმამის ქსოვილი“, „ცეცხლოვანი ანგელოზები“, „ნგრევის მტვერი“, „ცხოვრებაგადასასწავლი ადამიანი“, „მამდარი თვალები“, „აყელყელავებული ვნება“, „დამრუხული მზერა“, „ჩულუნი წყვდიადი“, და როგორც აღვნიშნეთ, ეს მხოლოდ ერთი მოთხრობიდან მოყვანილი მაგალითებია, რომელიც, როგორც ჩანს, შეიძლება მთელს შემოქმედებაში იქნას ენათმეცნიერული თვალსაზრისით შესწავლილი. რაც შეეხება მათ ლიტერატურულ ფუნქციას, ფაქტია, რომ თითოეული მათგანი უთუოდ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს გიორგი სოსიაშვილის მხატვრული სტილის კომპოზიციაში და გამოყენებულია იმდაგვარი სიზუსტით, რომ მსაზღვრელ-საღვრული ერთიანობაში ჰქმნის ორმაგ ეფექტს და წარმოადგენს მკითხველის შთაბეჭდილების სრულყოფის ლაზათიან ხერხს.

როგორც აღვნიშნეთ, ზეპირმეტყველების წიაღში მოძიებული ეპითეტები მნიშვნელოვნად ამდიდრებს გიორგი სოსიაშვილის მხატვრულ სტილს, მაგალითად, მოთხრობაში „მოკითხვა საიქიოდან“, პერსონაჟის სიყოფიერების და შრომისმოყვარეობის დასახასიათებლად, გამოყენებულია ორიგინალური ეპითეტი „ხელფეხიანია“, რაც იმით არის საინტერესო, რომ პირდაპირი მნიშვნელობით „ხელფეხიანობა“ თუ არაფერს განსაკუთრებულს არ ნიშნავს, მწერლის მიერ გამოყენებული კონტექსტით იგი უმნიშვნელოვანეს და შინაარსობრივად დატვირთულ ერთსიტყვიან დახასიათებას წარმოადგენს. ზეპირსიტყვიერების მიმართულებით, ავტორის გაწეული სამუშაო უნდა ედოს საფუძვლად, მოთხრობაში „დიპლომატი ტასო“, გამოყენებულ წყევლის ნიმუშსაც, რომელსაც მოხუცი ტასო ახმოვანებს ნაწარმოებში: „აგრემც ჩემი ხნის წყალი არ დალიოს“ [1; 73] - ამბობს მთავარი პერსონაჟი.

გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში, ცალკე აღნიშვნის საგანია წინადადებებში შემავალ სიტყვათა წყობა; კითხვის პროცესში აშკარად იგრძნობა, რომ მწერლის პროზას ერთგვარი რიტმიკა და დინამიკა გააჩნია, რომელიც მკითხველს ემოციურ მზაობას უქმნის კითხვის კიდევ უფრო მეტი ინტერესით გასაგრძელებლად და უწყვეტი მოტივაციის შესანარჩუნებლად. თუ ამ მიმართულებით შევეცდებით კვლევის გაგრძელებას, აღმოჩნდება, რომ ამ დინამიკას წინადადებების გაწყობისას სწორი სტრატეგიით შერჩეული სიტყვათა განლაგება და სიტყვათა შორის შესაბამისი სინონიმური სიტყვების სწორი მიგნება ქმნის. ჩვენი მოსაზრებების სადემონსტრაციოდ ამ კონტექსტშიც მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: „ტალახზე გამიცურდა პირდაღრენილი რაიკომისდროინდელი ტუფლი, ფრატაფრუტით რო მიმაქვს ახლა“ (დასასრული და დასაწყისი) - მწერალს ბუნებრივია შეეძლო ამ წინადადებაში ფეხსაცმელი გამოეყენებინა ტუფლის ნაცვლად, ან პირდაღრენილისა და ფრატაფრუტის მაგივრად სხვა ნებისმიერი სიტყვა შეერჩია, თუმცა თავად წინადადებას სწორედ ეს სიტყვები უხდება, რათა სათანადოდ ჟღერდეს და „გამოიყურებოდეს“. ჯერ ერთი, სიტყვა „ტუფლის“ გამოყენებას უთუოდ ორმაგი დატვირთვა აქვს, პირველი ის, რომ მოთხრობაში ასახულია კონკრეტული ეპოქა და ამ ეპოქაში არსებული რუსიფიკაციის საფრთხეა „ტუფლის“ ჩატოვებით აქცენტირებული, ხოლო მეორე დატვირთვა „ფ“ და „ტ“ ბგერების ჟღერადობაზეა დამყარებული, რომლებიც გარკვეული პერიოდულობით არის წინადადებაში გადანაწილებული და „რ“, „ხ“ და „ღ“ ბგერებთან ერთად სწორედ წინადადების ერთიან ტაქტს ქმნის. შესაძლოა მხოლოდ შემთხვევითობისთვისაც მიგვეწერა წინადადების ასეთი წყობა, მსგავსი წინადადებების დაძებნა რთული რომ ყოფილიყო, მაგრამ, ბგერების დინამიური გადანაწილება ზოგადად არის დამახასიათებელი გიორგი სოსიაშვილის პროზისათვის: „ნაწვიმარ ძურწას კიკნიდა წითელნაჭერშებმული ბატკანი“ (დასასრული და დასაწყისი) - აქაც, ხომ შეიძლება ბატკანზე შებმული ნაჭერი სულაც არ ეხსენებინა ავტორს, ან ძურწას ნაცვლად უბრალოდ ბალახი ეწიწვნა? თუმცა ავტორმა ზუსტად იცის რომელი სიტყვა სჭირდება მის ფრაზას, რათა სათანადოდ ინფორმატიული გაიტანოს მკითხველის სამსჯავროზე. ამ შემთხვევაში, წითელ ფერთან, ისევე როგორც „ტუფლთან“ მიმართებაში, ორმაგი სიმბოლური დატვირთვა იკვეთება. პირველი დატვირთვა ზუსტად იმეორებს ეპოქის ზემოაღნიშნულ კონტექსტს, ხოლო მეორე დატვირთვა, უკვე „წ“ ბგერის ხმოვანებაზეა დამყარებული,

რომელიც პირველი ოთხი სიტყვიდან სამ სიტყვაში ფიგურირებს და „რ“, „კ“ და „ბ“ ბგერებთან ერთად აშკარად თავის ფუნქციას ასრულებს წინადადების ჟღერადობაში. საინტერესოა, რომ მსგავსი გადანაწილება არა ხელოვნურად წინასწარ დაგეგმილი კანონზომიერებით, არამედ, ავტორის წერის პროცესის შინაგანი დინამიკიდან მომდინარეობს და სწორედ ამიტომაც ეს დინამიკა ძალზე ბუნებრივი. პირველი ოთხი სიტყვის შემდგომ, სადაც „წ“ ბგერა წარმართავს წინადადების ხმოვანებას, მწერალი არ ცდილობს ხელოვნურად ჩასვას იმავე ბგერის შემცველი სხვა სიტყვა, რადგან ეს სწორედ იმ ბუნებრივი პროცესიდან გამოიყვანს, ამიტომ სრულიად ძალდაუტანებლად ამთავრებს ფრაზას სიტყვებით: „შებმული ბატკანი“ და ორივე სიტყვაში „ბ“ ასოს რიტმი გვგონია, რომ მწერალსაც მხოლოდ შინაგანი ხმის მეშვეობით ჩაესმის, ისევე როგორც წინადადების დასაწყისში „ნაწვიმარი ძურწას“ შემთხვევისას. ბუნებრივია, ერთი კვლევის ფარგლებში ყველა წინადადებას ვერ განვიხილავთ, თუმცა რამდენიმე მაგალითზე კვლავ შევაჩერებთ ყურადღებას, იმ შემთხვევისთვის, თუ ზემოთ დამოწმებული ციტატები არასაკმარისად კიდევ შეიძლება ჩაითვალოს. „გზადაგზა მომდევნა ცხვრის ბღავილი, იქვე ტაძრის გვერდით, ცხონებული დათიკოს ბაღთან, წამოაქციეს, ტაძრის ცქერითაც ვერ მოასწრო რა გაეძლო თვალი იმ საცოდავ ვარსკვლავზე გაჩენილ არსებას“. - ასე ძალდაუტანებლად მიუყვება საუბარს სოსიაშვილის პერსონაჟი და შეუძლებელია სიტყვების საგანგებო გადანაწილებაზე ისაუბრო, თუმცა ის, რაც მწერლის შინაგან სამყაროში ტრიალებს, აუცილებლად გადმოედინება ფურცელზე და ნახულობს სათავისო კალაპოტსაც. მწერალს კი წერის პროცესში უთუოდ საკუთარი ხმა ჩაესმის - როგორ იკითხება, როგორ ისმინება მისი ფრაზა? ეს მისი უწყვეტი, მუდმივადგანახლებადი შეკითხვაა, ვიდრე შემოქმედებით ლაბორატორიაში ტრიალებს და, შესაბამისად, იგია ამ ფრაზის პირველი დეფუსტატორიც, ამიტომ ისე გამართავს, როგორც თავად მოეწონებოდა, პირველ რიგში მის ერთ მოთხოვნილებასთან როგორც იქნებოდა თანხვედრაში, მისი სულის მუსიკას როგორც ახმიანებდა, თორემ ჩვენსავით რა დაათვლევინებს ბგერათა რაოდენობას?! ამ შინაგანი ხმის კარნახითაა, რომ „გზადაგზა მომდევნა“ თავისი რიტმი აქვს, „ცხვრის ბღავილს“ მისი, ხოლო უფრო ქვემოთ კი „ც“, „ძ“ „წ“ ჟღერადობის ჯგუფის ბგერები შემოდიან და „რ“ და „დ-თ“ ბგერებთან მონაცვლეობით აბალანსებენ წინადადების ტონალობას. ჰეგელის განმარტებით „გამოსახვა მაინც მისი (მწერლის) შთაგონების ნაწარმოებია, ვინაიდან იგი, როგორც სუბიექტი, მთლიანად გაერთიანებულია საგანთან და მისი მხატვრული ხორცშესხმა თავისი სულისა და თავისი ფანტაზიის შინაგანი ცხოველმყოფელობიდან მოახდინა“ [3; 338].

ერთგან გიორგი სოსიაშვილის პერსონაჟი ამბობს: „აღბათ მოლოდინი ჰქონდა რო დავეკლავდი და ოხშივარს ავადენდი ცეცხლზე შემომდგარ კარდალს“ და ძალიან რიტმულად შემოაქვს ქართულ დიალექტში გაზავებული „დ“ და „თ“ ბგერების სირბილე. თითქოს არაფერი, მაგრამ სინამდვილეში, წინადადების ამგვარი არქიტექტონიკა პერსონაჟის განწყობის დამატებითი გამოხატულებაა, რომ იგი სულაც არ აპირებს ცხვრის დაკვლასა და „კარდალსთვის“ ოხშივარის ადენას. ამ შემთხვევაში თერთმეტსიტყვიანი წინადადებიდან ათ მათგანში შეგვიძლია „დ“ და „თ“ ბგერების მოძიება, რომელთა ჟღერადობა ეთგვაროვნად აღიქმება, თუმცა მხოლოდ „დ“ ბგერა ათჯერ გვხვდება და თუ მხოლოდ ერთ სიტყვაში საერთოდ არ არის, ორგან ორ-ორჯერაც მეორდება. ხომ არც ისეთი სიხშირითაა ჩარჩენილი „კარდალი“ ჩვენს მეტყველებაში და არა ერთ სხვა შესატყვის სიტყვას უფროვე ვიყენებთ, როგორც წესი, მაგრამ „შემომდგარ კარდალს“ თავისი მუსიკა აქვს, რომელიც როგორც ჩანს სწორედ ზემოთ ნახსენებ, მწერლის სულის მუსიკას ისე ახმიანებს, როგორადაც წერის პროცესში ავტორი აყურადებდა.

ამრიგად, ჩვენი მიზანი იყო, მიმოგვეხილა მწერლის შემოქმედების ინდივიდუალური მანერისა და მხატვრული სტილის თავისებურებანი გიორგის სოსიაშვილის შემოქმედებაზე დაყრდნობით. კონკრეტულად, ერთი კრებული ფარგლებში, მკითხველს დავანახვეთ ის ნიუანსები, რომელიც ამდაგვარი ჩამიების გარეშე, მის თვალსაწიერში ვერ მოხვდებოდა, რამდენადაც ისინი ერთი შეხედვით ზედაპირზე არ დევს და ნაწარმოების სიღრმეებშია გადანაწილებული.

კვლევამ საშუალება მოგვცა, კონკრეტული თანამედროვე ავტორის შემოქმედების ნიუანსობრივი წვდომისა, თუმცა, როგორც გრიგოლ კიკნაძე აღნიშნავს: „ლიტერატურული სტილის კვლევა წარმატებას მხოლოდ პიროვნებათა სტილზე დაკვირვების გზით მიაღწევს... ინდივიდუალური სტილის ანალიზი ზოგადმა სტილისტიკამ მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება შეამზადოს“ [2; 16]. ამიტომ, ვფიქრობთ, ნაშრომი საინტერესო იქნება ზოგადად, ამა თუ იმ მწერლის მხატვრული სტილის თავისებურებების კვლევით დაინტერესებული მკვლევრებისა თუ მკითხველთა იმ კატეგორიისთვის, რომლებიც მსგავსი საკითხებით დაინტერესდებიან.

ლიტერატურა:

1. სოსიაშვილი გიორგი, „წითელი უდაბნო“, თბილისი, 2016.
2. კიკნაძე გრიგოლ, მეტყველების სტილის საკითხები, თბილისი, 1957.
3. ჰეგელი გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ, ესთეტიკა, თარგმანი შ. პაპუაშვილისა, ტ. I, თბილისი, 1973.

Giorgi Khorbaladze
Gori State Teaching University
**PECULIARITIES OF INDIVIDUAL MANNER AND ARTISTIC STYLE OF WRITER'S
CREATIVE WORK
(G. SOSIASHVILI'S „RED DESERT”)
RESUME**

The present research, actually is the continuation of our previous research, searching of the ending and beginning in the writer's creativity (according to, Giorgi Sosiashvili's book - „Red Desert”). As far as in the named work we have thoroughly reviewed ideological and thematic side of the book and following its analysis we tried to find out philosophical viewpoint or worldview belief of the writer, which in our opinion, gave us the way to the interesting conclusions. This time, our aim is to review the peculiarities of the writer's artistic style, noticed by us, in the same collection - „Red Desert”, by which will perfectly occur analytical study of the named collections, as far as, in our opinion, collection „Red Desert” deserves distinct attention exactly considering peculiarities of the content and artistic style. The most important side for the research of any writer's creativity is the artistic manner and style, and in this respect, the study of the creativity of this or that writer will always be interesting and actual.

Our research, more specifically, was devoted to the nuanced study of artistic methods, writer's mastery and is oriented on demonstrating that interesting artistic technique, by which creates writer Giorgi Sosiashvili's artistic style and which could not be accessed and must not be accessed, without special observation in the viewpoint of the wide readership. However, for the research process, these nuances have the greatest importance, as far as it makes possible to define author's professionalism and the creative depths of his works.

The research gave us opportunity to have a nuanced access to the specific modern author's creativity. Therefore, we think the work will be interesting in general, for the researchers interested with the research of peculiarities of this or that writer's artistic style and for the category of readers who will be interested with the similar issues.

**პედაგოგიკა
Pedagogics**

ციური ბაქრაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სწავლების ინკლუზიური მიდგომის საფუძვლები

ბოლო წლებში პოპულარობით სარგებლობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩვეულებრივ სკოლებში ინკლუზია. სწავლების ინკლუზიური მიდგომის საფუძველში დევს ისეთი ფუნდამენტური პრინციპები, როგორიცაა, განათლების ხელმისაწვდომობა, ბავშვთა უფლებების დაცვა და მათი სოციალური ადაპტაციის უზრუნველყოფა, ასევე, განსხვავებულის აღიარება და პატივისცემა.

„სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები“ ფართო ცნებაა, რომელშიც მოიაზრება განსხვავებული მოსწავლეები, რომლებსაც სხვადასხვა სახის საჭიროება და პრობლემა აქვთ. მოსწავლეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები მაშინ აქვს, როცა თავისი ასაკის სხვა ბავშვებისაგან განსხვავებით უჭირს ახალი მასალის ათვისება და სპეციალური გარემოს შექმნა სჭირდება იმისათვის, რომ ისწავლოს და აკადამიურ წარმატებებს მიაღწიოს. მკვლევრები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა კატეგორიას მიაკუთვნებენ განსაკუთრებულად ნიჭიერ მოსწავლეებსაც, რადგან მათთვის სწავლის ჩვეულებრივი მოდელი ისევე შეუსაბამოა, როგორც სწავლის დაქვეითებული უნარის მოსწავლეებისათვის. ნიჭიერ ბავშვებსაც განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებები აქვთ

და განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებენ იმისათვის, რომ მაქსიმალურად შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.

ხშირად ინკლუზიურ განათლებაში გულისხმობენ მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში. სინამდვილეში ეს ინკლუზიური განათლების მხოლოდ ერთი ასპექტია. ინკლუზიური განათლება ზოგადად გულისხმობს განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ერთად სწავლებას მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ბუნებრივია, რომ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროება შეიძლება ჰქონდეს როგორც განვითარებაში შეფერხებისა და კონკრეტული უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეს, ასევე იმასაც, ვინც განსაკუთრებული ნიჭით არის დაჯილდოებული, ვისთვისაც სწავლების ენა მშობლიური არ არის, ან ვინც სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახიდანაა და ა.შ. თ. გოგოშიძის აზრით, „ინკლუზიური განათლება ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეების ინდივიდუალურ უნარებსა და სწავლის სტილზე და ამ მიზნით ეროვნულ სასწავლო გეგმას მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებს არგებს.“ [1.10] შესაბამისად, ინკლუზიური განათლების ძირითად იარაღს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს.

ინკლუზიური განათლების მრავალ საკითხთან დაკავშირებით დიდი ხანია აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ინკლუზიური განათლების მოწინააღმდეგენი მიიჩნევენ, რომ მცირე ზომის კლასები და სპეციალური განათლების მქონე მასწავლებლების ყურადღება გადამწყვეტია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების უკეთესი აკადემიური მიღწევებისათვის.

სპეციალურ სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს უფრო მაღალი წარმოდგენა აქვთ საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე, ვიდრე ჩვეულებრივ სკოლებში. დამატებითი არგუმენტია ისიც, რომ ჩვეულებრივ სკოლას არ აქვს ადეკვატური რესურსები, მიიღოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელს არა აქვს ამგვარი ტიპის მოსწავლეებთან ურთიერთობის გამოცდილება. მეორე მხრივ, ინკლუზიური განათლების მომხრეებს მიაჩნიათ, რომ სპეციალურ სკოლაში მოსწავლეთა მიმართ დაბალი მოლოდინებია, რაც იწვევს მათ სწავლის მიმართ დემოტივაციას. გარდა ამისა, სპეციალურ სკოლებში შედარებით დაბალი აკადემიური მოთხოვნებია, იშვიათად ხდება მაღალი ინტელექტუალური უნარების გავარჯიშება, დაბალია სწავლების ტემპი და სხვა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს უფრო მაღალი თვითშეფასება უყალიბდებათ, რადგან ისინი ჩვეულებრივ სკოლაში დადიან. სპეციალურ სკოლაში მათი გადაყვანა და მათი სეგრეგაცია საზოგადოებისაგან გარიყულობას უწყობს ხელს. რეინოლდის აზრით „ინკლუზიური სწავლებისას დიდია ალბათობა, რომ ჩვეულებრივი ბავშვები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე თანატოლებთან ურთიერთობას ისწავლიან და ამის გამო მომავალში მათ მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დისკრიმინაცია ნაკლებად სავარაუდო იქნება.“ [4.15]. ჰეპირი აღნიშნავდა, რომ: „კვლევების შედეგების მიხედვით, ინკლუზიური განათლება შედეგადად წარმატებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებლებს გავლილი აქვთ შესაბამისი მომზადება, მომზადებულნი არიან ადეკვატური ცოდნით და რაც მთავარია, სპეციალისტების მხრიდან აქვთ მნიშვნელოვანი ცოდნა“ [5.31].

იმისათვის, რომ ინკლუზიური განათლება განხორციელდეს, საკლასო ოთახი და სკოლა მზად უნდა იყოს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მისაღებად, აგრეთვე აუცილებელია სკოლის ყველა თანამშრომელს ესმოდეს ასეთი ბავშვების მდგომარეობა. საჭიროა შესაბამისი ტრენინგების ჩატარება თანამშრომლებისათვის, რათა ისინი მზად იყვნენ ბავშვებისათვის საჭირო დახმარების გასაწევად.

როდესაც ბავშვს დაუდგენენ გარკვეული სახის უნარის/უნარების დაქვეითებას, საჭიროა, სკოლამ მას სწავლისათვის შესაბამისი პირობები შეუქმნას, ასეთ შემთხვევაში, ბავშვებისათვის არსებობს რამდენიმე არჩევანი:

- სპეციალურ სკოლაში გადაყვანა;
- ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დატოვება, მაგრამ მისი სპეციალურ კლასში გადაყვანა;
- მოსწავლის ინტეგრირებული სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში; (ამ შემთხვევაში მოსწავლეს ზოგიერთი გაკვეთილი სპეციალურ კლასში აქვს, ზოგიერთი კი - ზოგადსაგანმანათლებლო კლასში);
- ინკლუზიური სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებას ითვალისწინებს.

არჩევანი დამოკიდებულია კონკრეტული ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებებზე - ზოგიერთი მოსწავლისათვის ადეკვატურია ინკლუზიური და ინტეგრირებული სწავლება, ზოგიერთისათვის კი შეიძლება სპეციალურ სკოლაში სწავლება იყოს სასარგებლო. მოსწავლესთან მიმართებაში შეზღუდული შესაძლებლობა შეიძლება გულისხმობდეს:

1. შეზღუდვას მოქმედებასა და აქტივობაში;

2. შეზღუდვას მონაწილეობის შესაძლებლობაში. უნარშეზღუდულობის დეფინიციამ მთავარი აქცენტი უნარის/უნარების განვითარებლობა/შეფერხებაზე, დეფიციტზე კეთდება. სწორედ ამ დეფიციტის მიხედვით ხდება უნარშეზღუდულობის ხარისხის განსაზღვრა.

უნარშეზღუდულობას ორ დიდ ჯგუფად ყოფენ, ერთია თვალსაჩინო უნარშეზღუდულობა (როდესაც მოსწავლეს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი აქვს) და არათვალსაჩინო უნარშეზღუდულობა (როდესაც მოსწავლეს არ ეტყობა თვალსაჩინოდ შეზღუდული შესაძლებლობა მოქმედებასა თუ მონაწილეობაში).

თ. პაჭკორია აღნიშნავდა: „დასწავლის უნარის დაქვეითება, სხვა უნარებისაგან განსხვავებით (მაგალითად მხედველობისა და სმენის დაქვეითებასთან შედარებით), შეიძლება ითქვას, რომ ერთი შეხედვით შეუმჩნეველია და უნარშეზღუდულობის არათვალსაჩინო ჯგუფს განეკუთვნება“ [2.40]

დაქვეითებული აკადემიური უნარების მქონე მოსწავლეები, ჩამორჩებიან თანატოლებს ერთ ან მეტ აკადემიურ უნარში. ესენია:

- კითხვის ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემები და დისლექსია;
- წერის ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ანგარიშის ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემები;

სკოლაში სწავლობენ ისეთი ბავშვებიც, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ მეტყველების განვითარების, მოტორული კოორდინაციის, ყურადღების კონცენტრაციის, კომუნიკაციის და სოციალური ურთიერთობების, ემოციური რეგულაციისა და ქცევის პრობლემები, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის სწავლასა და სწავლებაზე.

მასწავლებელია ის პიროვნება, ვისაც საშუალება აქვს დააკვირდეს ბავშვს და აღწეროს მისი არასასურველი ქცევა ან პრობლემები სწავლაში.

მოტორული კოორდინაციის განვითარების დარღვევა ანუ დისპრაქსია - მოტორული განვითარების ისეთი შეფერხებაა, რომლის ძირითადი გამოვლინებაა მოძრაობათა კოორდინაციის სირთულეები, მიუხედავად ნორმალურად განვითარებული მოძრაობის უნარისა. ამ მდგომარეობას „მოუქნელი ბავშვის“ სინდრომსაც უწოდებენ. ასეთი ბავშვი განსაკუთრებით მოუქნელია ისეთი მოქმედებების შესრულებაში, რასაც ნატიფი მოტორული კოორდინაცია ესაჭიროება, მაგ., ხატვა, წერა, მოძრავი თამაშები. ასეთ ბავშვს უჭირს გაკვეთილზე ჯდომა და ცდილობს, დაწვეს მერხზე ან მიეყუდოს კედელს, ხშირად უარს ამბობს წერით სამუშაოზე.

ა. ანუფრიევის თქმით: „მოტორული მოუქნელობა მნიშვნელოვნად უშლის ხელს ბავშვს გარემოსთან ადაპტაციასა და სწავლაში, მაშინ დგება ასეთი ბავშვის სპეციალისტის მიერ შეფასების საკითხი.“ [3.12]

აუტიზმი განვითარების ნეირობიოლოგიური დარღვევაა, რომლის დროსაც ადამიანს უჭირს სხვებთან კომუნიკაცია და სოციალური ურთიერთობების დამყარება. აუტიზმის მქონე ბავშვს ხშირად გამოხატული პრობლემა აქვს მეტყველების განვითარებაში და სტერეოტიპული მოქმედებები აქვს. აუტიზმი სამედიცინო დიაგნოზია და საერთო არ აქვს ხასიათის თავისებურებებზე, როგორიცაა სიმორცხვე, გულჩათხრობილობა, არაკომუნიკაბელობა. დაუშვებელია „აუტიზტის“ სტატუსის მიწება იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო უჭირთ გარემოსთან შეგუება, ურჩევნიან მარტო თამაში და არ ჰყავთ მეგობრები.

ა. ანუფრიევის თქმით: „არ არსებობს მეთოდი, რომელიც თანაბრად წარმატებული იქნება აუტიზმის მქონე სხვადასხვა ბავშვის შემთხვევაში.“ [3.18]

სასწავლო გეგმაში აუცილებელია სოციალური და კომუნიკაციური ჩვევების ათვისების ჩართვა.

გონებრივი ჩამორჩენა ფსიქიკური განვითარების დარღვევაა, რაც ვლინდება ინტელექტუალური შესაძლებლობების მნიშვნელოვნად ჩამორჩენასა და ადაპტაციური ქცევების მნიშვნელოვან სირთულეებში. ამგვარი დარღვევები თავს იჩენს ადრეულ ასაკში და 11 წლამდე უნდა გამოვლინდეს. ამ დაავადების მქონე ბავშვებს პრობლემები აქვთ სწავლაში, ლოგიკურ აზროვნებასა და ყურადღების კონცენტრაციაში. მათი სწავლებისას სასურველია:

- ხელშესახები და თვალსაჩინო მასალის გამოყენება;
- დავალების მცირე ნაწილად დაყოფა;
- სწავლება ნელი ტემპით;
- დასწავლილი ქცევის სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება.

მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვებს შეიძლება ჰქონდეთ პრობლემები მეტყველების გაგებასთან, ასევე აზრის გადმოცემასა და თხრობით მეტყველებასთან დაკავშირებით და არ არის კავშირში ინტელექტის დონესთან, ასეთ ბავშვებს საშუალო, ნორმალური, ან ძალიან მაღალი ინტელექტი აქვთ, მაგრამ ჩამორჩენილი მოსწავლის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამიტომ მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც მწირი ლექსიკური მარაგი, თხრობის და კარნახით წერის პრობლემა აქვთ.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირების დარღვევითაა გამოწვეული. იგი მოიცავს:

- ყურადღების კონცენტრაციის დეფიციტს;
- იმპულსურობას;
- ჰიპერაქტივობას (მოტორული მოუსვენრობა, მოძრაობათა სიჭარბე, რასაც ხშირად ერთვის აგრესიულობა და დაბალი აკადემიური მოსწრება).

ცნობილია, რომ ზოგჯერ ყურადღების პრობლემები შეიძლება დამოუკიდებლად არსებობდეს იმპულსურობისა და ჰიპერაქტივობის გარეშე.

ბავშვი ჰიპერაქტიული და უყურადღებო ბევრი მიზეზის გამო შეიძლება იყოს, თუნდაც მოჭარბებული შფოთვის, შეგუების პრობლემის, დაბალი თვითშეფასების და სხვა. მასწავლებელი უნდა დააკვირდეს ბავშვს როგორც გაკვეთილზე, ასევე თავისუფალ გარემოში - დასვენებაზე, გაითვალისწინოს მისი თანატოლებთან ურთიერთობა და ა.შ.

იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ყურადღებასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, უჭირთ დავალებისათვის ყურადღების დათმობა, არ უსმენენ, როცა მათ ესაუბრებიან, არ ითვალისწინებენ მითითებებს, უჭირთ ორგანიზება, ადვილად ეფანტებათ ყურადღება და გულმავიწყები არიან. ამ პრობლემის მქონე ბავშვებს ახასიათებთ იმპულსური მოქმედება და უჭირთ ერთ ადგილზე მშვიდად გაჩერება, ისინი მოუსვენრად არიან კლასში და ვერ იცავენ წესებს. მათ ავიწყდებათ თარიღები, დავალები.

დასწავლის დაქვეითებული უნარის მქონე მოსწავლეთა მშობლებისათვის არსებობს რჩევები:

- მივცეთ ბავშვებს საშუალება, დაეხმარონ მშობლებს სახლის საქმეში;
- რჩევების მიცემისას გამოყენებულ იქნას მარტივი მითითებები;
- მეცადინეობისას შევუქმნათ მშვიდი გარემო;
- მოვუწოდოთ ბავშვს თანატოლებთან აქტიური ურთიერთობა.

სასკოლო გარემოში კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც ნორმისგან განსხვავდება და განსაკუთრებული გარემოს შექმნას საჭიროებს სკოლაში, არის განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვები. ისინი შემდეგ თვისებებს ავლენენ:

- ბავშვი თავის ასაკთან შედარებით მდიდარ ლექსიკას ფლობს;
- ბავშვს ადრეულ ასაკში შეუძლია აბსტრაქტული აზროვნება;
- ახალი უნარის ათვისება მოკლე დროში შეუძლია;
- ავლენს აზროვნების გამორჩეულ უნარს;
- იყენებს ახალ სიტყვიერ გამოთქმებს;
- ავლენს იუმორის გრძნობას;

ზოგი ბავშვი თანატოლებთან შედარებით სწრაფად ვითარდება და ამ დროს მას ხშირად განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულად თვლიან, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ მისი და სხვა თანატოლების განვითარების დონე ერთნაირი ხდება. განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეების სწავლებამ შესაძლოა პრობლემები გამოიწვიოს. მათთვის გაკვეთილის თემატიკა, შეიძლება უინტერესო და მარტივი იყოს, მოსწყინდეთ სასწავლო პროგრამით სწავლა, აიცრუოს სკოლაზე გული, რამაც დაბალი მოსწრება გამოიწვიოს. განსაკუთრებული ნიჭის მოსწავლეებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო პირობების უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი გავრცელებული პრაქტიკაა თანამშრომლობითი სწავლა. ამ მიდგომის არსი ის არის, რომ ისინი რჩევებს აძლევენ თანაკლასელებს და ეხმარებიან მათ. შედეგად, მათ აღარ მოსწყინდებათ გაკვეთილზე ჯდომა, რადგან დაკავებული იქნებიან თანატოლების დახმარებით. ამ მიდგომას თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს, განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეებმა შესაძლოა დაიწყონ კლასში დომინირება, მთელი სამუშაო მხოლოდ თვითონ გააკეთონ და ნაკლებად აქტიურ მოსწავლეებს არ მისცენ ჯგუფურ მუშაობაში ჩართვის საშუალება.

კიდევ ერთი საშუალებაა დაჩქარებული სწავლება. ამ ბავშვებს ეძლევათ საშუალება, თანაკლასელებთან შედარებით უფრო სწრაფად აითვისონ სასწავლო პროგრამა. დაჩქარებულმა სწავლებამ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს, მაგ.: ნაადრევად შესვლა სკოლაში, კლასებში გადახტომა ან ნაადრევად ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებელში. ან შეიძლება ნიჭიერი მოსწავლე რამდენიმე საგანში

გაკვეთილს უფროს კლასებთან ერთად დაესწროს ან მოსწავლე ლექციებს უნივერსიტეტში დაესწროს. ყოველივე ამას აქვს დადებითი მხარეებიც, მაგალითად:

- სწავლის ეფექტურობისა და შედეგიანობის ზრდა;
- მოსწავლეების ახალ, უფრო ჩამოყალიბებული თანატოლების ჯგუფში შეყვანა;
- მეტი დრო კარიერის ასარჩევად;
- მეტი საშუალებები, აკადემიური კვლევისათვის;
- მოწყენილობის თავიდან აცილება.

დაჩქარებულ სწავლებას უარყოფითი მხარეც გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ბავშვები მაღალი აკადემიური მიღწევებით გამოირჩევიან, შესაძლოა მათ სოციალური უნარები საკმარისად არ ჰქონდეთ განვითარებული, გაუჭირდეთ უფროსი მოსწავლეების ჯგუფში ინტეგრირება.

მშობლებს, შესაძლოა დასჭირდეთ ბავშვის ისეთ სკოლაში მიყვანა, სადაც კარგი პირობებია შექმნილი ნიჭიერი მოსწავლეებისათვის.

ხშირად მშობელი არაობიექტურია შვილის მიმართ და შეიძლება, მან უსაფუძვლოდ მოსთხოვოს მასწავლებელს, რომ მის შვილს მოექცეს, როგორც ნიჭიერს.

ამდენად, სწავლების ინკლუზიური მიდგომის საფუძველში ისეთი ფუნდამენტური პრინციპები დევს, როგორიცაა ბავშვთა უფლებების დაცვა და მათი სოციალური ადაპტაციის უზრუნველყოფა, განათლების ხელმისაწვდომობა, განსხვავებული ალიარება და პატივისცემა. „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები“ ფართო ცნებაა, რომელშიც მოიაზრება განსხვავებული მოსწავლეები, რომლებსაც სხვადასხვა სახის საჭიროება და პრობლემა აქვთ. მათ, ვისაც არა მარტო რაიმე ფიზიკური შეზღუდვა ახასიათებს, არამედ ისიც, ვინც შედარებით გვიან ითვისებს მასალას ან ემოციურად გაუწონასწორებელია. მკვლევრები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა კატეგორიას მიაკუთვნებენ განსაკუთრებულად ნიჭიერ მოსწავლეებსაც, რადგან ნიჭიერ ბავშვებსაც განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებები აქვთ და განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებენ.

მასწავლებელი უნდა იცნობდეს ინკლუზიური განათლების, ასევე მულტიკულტურულ და მულტილინგვურ მიდგომებს და პრინციპებს და იყენებდეს საკუთარი პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ლიტერატურა:

1. გაგომვილი თ., ინკლუზიური განათლების პრინციპები, 2009.
2. პაჭკორია თ., ვისწავლოთ ერთად ინკლუზიური განათლება, თბ., 2010, გვ. 15.
3. Ануфриева А., Как преодолеть трудности в обучении детей, М., 2012, стр. 21.
4. Reynolds C., Effective Teaching, 2015.
5. Hehir T., New Direction in Special Education, 2016.

Tsiuri Bakradze
Gori State Teaching University
THE INCLUSIVE APPROACH TO TEACHING AND LEARNING
RESUME

In recent years, social inclusion has been popular among the students with special educational needs in ordinary schools. In principles of inclusive education are based on fundamental issues such as access to education, protection of children's rights and their social adaptation. The article deals with basic principles of inclusive education and arguments related to the issue. Inclusive education focuses on the individual skills and learning styles of students. For this purpose, the National Curriculum is fitted with the student's educational needs. Therefore, the main weapon of inclusive education is an individual training plan.

უცხოური ენის სწავლების მოტივაციებისათვის

უცხოური ენის შესწავლისას მოტივაცია არის გადამწყვეტი ძალა, რომელიც განსაზღვრავს, შეუდგება თუ არა მოსწავლე დავალების შესრულებას, რამდენ ენერგიას დახარჯავს მასზე და რამდენი ხანი მოუწდება. ეს რთული ფენომენია და შეიცავს ბევრ კომპონენტს: ინდივიდის განზრახვას, წარმატების მიღწევის საჭიროებას, ცოდნისმოყვარეობას, სურვილს მიიღოს ახალი გამოცდილება და ა.შ. ეს ფაქტორები გარკვეულ როლს თამაშობენ ყველა სახის სწავლაში. ენა ძირითადად მაინც ურთიერთობისთვის გამოიყენება.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს იმაზე, თუ უცხოური ენის როგორი ფლობის დონეს ვლენულობთ, არის ჩვენი დამოკიდებულება უცხო კულტურის მიმართ. თუ ეს დამოკიდებულება უარყოფითია, ამან შეიძლება სწავლასაც ხელი შეუშალოს, და თუ სწავლა ძალდატანებითია, ის ცოტა ხანს გაგრძელდება.

არსებობს რამდენიმე სწავლის სიტუაცია, სადაც ბევრ მოსწავლეს არ აქვს საკმარისი გამოცდილება უცხო ხალხთან ურთიერთობისა. ასეთ შემთხვევებში სავარაუდოა, რომ დამოკიდებულება პირდაპირ კავშირშია სწავლასთან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ამ გამოცდილებისა არის საზოგადოების იმიჯი, რომელსაც მოსწავლე იძენს მასწავლებლისგან და მასალისგან. თუ ეს იმიჯი მეორეხარისხოვნად დარჩა, მაშინ ის სუსტი ფაქტორი იქნება, რომელიც შეიძლება შევადაროთ მოტივაციის ასპექტებს, როგორიცაა თვითსამოვნება, მრავალფეროვნების სტიმული და ყველაზე მეტად წარმატების გამოცდილება.

გამოკვლევის მიხედვით, რომელიც დიდ ბრიტანეთში ჩატარდა, წარმატებულ მოსწავლეებს განუვითარდათ ის ხელსაყრელი დამოკიდებულება, რომელიც შემდეგ იწვევს წარმატებას, და რომ წარუმატებლობამ შეიძლება ნეგატიური დამოკიდებულება წარმოშვას.

არსებობს კიდევ სხვა სახეობა სწავლის სიტუაციისა, სადაც დამოკიდებულება სხვა ხალხთან შეიძლება ნაკლებად გადამწყვეტი იყოს მოტივაციისთვის და უცხოური ენის ფლობის მაღალი დონისათვის. ეს მაშინ, როდესაც უცხოური ენა ისწავლება ძირითადად არა იმისთვის, რომ ურთიერთობა დაამყაროს თავის ენაზე მოსაუბრე ხალხთან, არამედ იმათთან, ვინც ენა ისწავლა, როგორც უცხოური ენა.

ზოგიერთი მოსწავლე უკეთ სწავლობს უცხოურ ენას, ვიდრე სხვები. ეს გამოწვეულია იმით, რომ უფრო არიან მოტივირებულები. როდესაც ბავშვი სწავლობს მშობლიურ ენას, იქ ვერ ვილაპარაკებთ კარგ ან ცუდ მოტივაციაზე. მათი გონებრივი და სოციალური ცხოვრება შექმნილია მათი მშობლიური ენით.

როგორი უნდა იყოს უცხოურ ენაში მოტივაციის თეორია და რა კავშირია სოციალურ დამოკიდებულებებსა და მოტივაციას შორის. „დამოკიდებულება“ გამოიყენება სოციალურ ფსიქოლოგიაში, სადაც მოქმედება ასრულებს სოციალური კონტექსტის ფუნქციას.

უცხოური ენის შესწავლა წარმოადგენს უნიკალურ სიტუაციას თავისი მრავალმხრივი ბუნებით და ენის როლით. ის ასევე არის: ა) კომუნიკაციური სისტემა, რომელიც შეიძლება ისწავლებოდეს, როგორც სკოლის საგანი; ბ) ინდივიდის იდენტურობა, ზეპირი აქტივობები; გ) სოციალური ორგანიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი. გარემო და კოგნიტური ფაქტორები ასოცირდება სწავლასთან საგანმანათლებლო ფსიქოლოგიაში, სადაც შედის სხვადასხვა პიროვნული თავისებურებები და სოციალური კომპონენტები.

კლემენტმა კვლევაში კანადაში აღნიშნულ ორიენტაციებს დაამატა კიდევ ოთხი მოტივაციური ფაქტორი: ცოდნის, მეგობრობის, მოგზაურობის და სოციო-კულტურული ორიენტაცია. (Clément, 22: 190-209).

პრობლემა, რომელსაც მასწავლებლები გამოყოფენ, არის ის, რომ უცხოური ენის შესწავლის მოტივაციები ღრმად არის ფესვგადგმული მოსწავლეების გონებაში და მათ კულტურულ ბექგრაუნდში. ეს შედის გარდნერის სოციო-საგანმანათლებლო მოდელში. რაც არ უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, შეიძლება უშედეგო იყოს მოსწავლეების ბევრი სხვა გავლენისთვის. მთავარი საკითხი არის, თუ როგორ ერგება მოსწავლის კულტურული ბექგრაუნდი უცხოური ენის კულტურულ ბექგრაუნდს. მოსწავლეები გრძნობენ, რომ ისინი ამატებენ რაღაც ახალს თავიანთ გამოცდილებას ახალი ენის შესწავლით.

წარმატებულად უცხოური ენის სწავლა ხდება დამატებითი სიტუაციებში. იდეალური მასწავლებლისგან მოსწავლეებს სურთ ისწავლონ კულტურა და ენა, მიიღონ მათგან ცოდნა. ხშირად,

მასწავლებლებს უხდებათ გაითვალისწინონ თავისი მოსწავლეების შენიშვნები და შეხედულებები. ასე ხდება მოსწავლეებში მოტივაციის აღძვრა. მაღალი მოტივაცია არის ერთადერთი ფაქტორი, რომელიც იწვევს წარმატებულ სწავლას, წარმატებულმა სწავლამ შეიძლება ასევე გამოიწვიოს მაღალი მოტივაცია. წარმატებული სწავლის პროცესი, რომელმაც შეიძლება განსაზღვროს მაღალი მოტივაცია, შეიძლება გაკონტროლდეს მასწავლებლის მიერ.

მოტივირებულ მოსწავლეს სურს ისწავლოს და მიაღწიოს წარმატებას. მოსწავლის მოტივაცია სწავლებას და სწავლას ხდის უფრო ადვილს და სასიამოვნოს.

ამრიგად, მოსწავლის მოტივაციის შემდეგი ასპექტებია:

- რამდენად მნიშვნელოვანია მოტივაცია წარმატების მისაღწევად?
- რამდენად მნიშვნელოვანია წარსულში მიღებული წარმატება იმისთვის, რომ მოსწავლემ ისწავლოს უკეთ აწმყოში და მომავალში?
- როგორ ხასიათდება მოტივირებული მოსწავლე?
- ზოგიერთი მოსწავლე არის მოტივირებული გაეცნოს იმ უცხოური ენის კულტურას, რომელსაც სწავლობს („ინტეგრალური მოტივაცია“), ზოგი უცხოურ ენას სწავლობს კარიერის მოსაწყობად („ინსტრუმენტული მოტივაცია“).

არის თუ არა მოტივაცია უფრო მეტად ან ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე სწავლის ბუნებრივი ნიჭი, უნარი; ერთ-ერთი კარგად ცნობილი კვლევა ამტკიცებს, რომ მოტივაცია უფრო მნიშვნელოვანია. ზოგიერთ კვლევაში ეს პასუხგაუცემელია. ყველაფერი უნდა გაკეთდეს უცხოური ენის ათვისების უნარის გასაუმჯობესებლად (Arnold, Jane 2011. 22, 11: 11-22).

ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთკავშირი. ძალაუფლება დიდ როლს თამაშობს ურთიერთობისას. მასწავლებლის და მოსწავლის უფლება-მოვალეობები დაკავშირებულია ძალაუფლებასთან. ორ ან მეტ ადამიანს შორის არის გარკვეული ძალაუფლება, „რომელიც თითქმის ყოველთვის ასიმეტრიულია“ (Kormos, J. and Csizer, K. 2008. 58/2: 327 –355).

ფსიქოლოგები არჩევენ განსხვავებული სახის ძალაუფლებას: იძულებით და ჯილდოზე დამოკიდებულს. იძულებითი ძალა გულისხმობს დასჯას; გარკვეულ პირებს აქვთ უფლება დასაჯონ სხვა. ძალაუფლების მეორე ტიპი გულისხმობს ჯილდოს; გარკვეულ პირებს აქვთ უფლება დააჯილდოონ სხვები, თუ მიიჩნევენ ამის საჭიროებას. მაგ.: ბიზნეს ორგანიზაციები აჯილდოებენ მუშებს ხელფასის მომატებით, ბონუსებით და ა. შ. ასევე არის ძალაუფლების მესამე ტიპიც. ამ შემთხვევაში, გარკვეული პირები გამოხატავენ ერთგულებას და ინტერესებს სხვების მიმართ.

კლასში თანამშრომლობის დონე გავლენას ახდენს მოტივაციის გაზრდაზე.

ნუნანმა (Pae, T. 2008. 27: 5-27). დაადგინა ოთხი საფეხური, რომელსაც დიდი გავლენა აქვს კლასში ჯგუფური მეცადინეობების დროს.

საფეხური 1: ჯგუფის წევრები შფოთავენ რადგან ისინი დამოკიდებულები არიან ლიდერზე (ე. ი. მასწავლებელზე) და მათ უხდებათ გაარკვიონ თუ რა ქცევა არის მისაღები.

საფეხური 2: მცირე კონფლიქტები ხდება ჯგუფის წევრებს და ლიდერს შორის. ჯგუფის წევრები წინააღმდეგობას უწევენ თავის ლიდერს. ჯგუფის ფუნქცია კითხვის ქვეშ დგება.

საფეხური 3: ჯგუფი იწყებს გაერთიანებას. ჯგუფის წევრები უსმენენ ერთმანეთს, თანამშრომლობენ, ერთმანეთს უზიარებენ აზრებს.

საფეხური 4: პრობლემების უმრავლესობა გვარდება და ყველა ცდილობს შეასრულოს ის დავალება, რაც ჰქონდა შესასრულებელი.

ძირითადი ელემენტი არის ურთიერთობის ორმხრივად განმტკიცება და მოსწავლეების მიმართ პატივისცემა, საუბარი მოსწავლეებთან მათი დონის შესაბამისად. ორმხრივი ურთიერთობა შეიძლება ენთუზიაზმით იყოს გამოწვეული.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი ორგანიზაციას უკეთებს და მართავს კლასს, როგორც ეფექტურ სასწავლო გარემოს.

ბევრი კვლევის მიხედვით, თუ მოსწავლეს გავხდით დამოუკიდებელს, ეს განამტკიცებს მის წარმატებას სწავლაში.

მშობლიური ენის დაუფლების პროცესში პიროვნების თავისებურებები წლების მანძილზე ვითარდება, მაგრამ სიტუაცია უფრო რთულია უცხოური ენის დროს, რადგან უცხოური ენის დონე და ინდივიდის კომუნიკაციური კომპეტენცია არის დამატებითი განმსაზღვრელი თავისებურება. ბევრია ისეთი, რომლებმაც უცხოური ენა კარგად იცოდნენ, მაგრამ თავს არიდებენ ურთიერთობას, ხოლო ნაკლებად წარმატებული მოსწავლეები აქტიურად ეძებენ შესაძლებლობებს ურთიერთობის დასამყარებლად (Clément, R. 2003. 22: 190-209).

სურვილი ურთიერთობისა - WTC (willingness to communicate). ამ ცნებაში შედის რამდენიმე პიროვნული თავისებურება (ილუსტრაცია 1).

ილუსტრაცია 1: სქემატური წარმოდგენა სურვილი კომუნიკაციისა (WTC)


1 დონე	1 უცხოური ენის გამოყენება			კომუნიკაციური ქცევა
2 დონე	2 ურთიერთობის სურვილი			ქცევა
3 დონე	3 სურვილი ურთიერთობა დაამყარო სპეციფიკურ პირებთან		4 კომუნიკაციური თავდაჯერებულობა	წინა პოზიციები
4 დონე	5 შინაგანი მოტივაცია	6 ჯგუფს შიდა მოტივაცია	7 თავდაჯერებულობა	მოტივაციური მისწრაფება
5 დონე	8 ჯგუფს შიდა დამოკიდებულება	9 სოციალური სიტუაცია	10 კომუნიკაციური კომპეტენცია	ემოციურ-კოგნიტური კონტექსტი
6 დონე	11 ჯგუფს შიდა კლიმატი		12 ინდივიდუალობა	სოციალური და ინდივიდუალური კონტექსტი

იაშიმამ წარმატებით გამოიყენა WTC მოდელი, რათა გამოეკვლია უცხოური ენის სწავლასა და ურთიერთობას შორის არსებულ განსხვავებებს შორის კავშირი იაპონელ მოსწავლეებთან, რომლებიც ინგლისურ ენას სწავლობდნენ (Gardner, Robert C. 2007. 8: 9-20).

ამრიგად, მოტივაცია უკავშირდება სასწავლო პროცესის ყველა კომპონენტს, მათ შორის არჩევენ დავალების მოტივაციას.

დავალების მოტივაციაში შედის სამი მექანიზმი: დავალების შესრულება, შეფასება და მოქმედების კონტროლი (ილუსტრაცია 2).

ილუსტრაცია 2: დავალების დამუშავების სისტემის სამი მექანიზმი



- დავალების შესრულება მოითხოვს მოსწავლის დასაქმებას სასწავლო ქცევაში, შემდეგ აქტივობა, რომელსაც მართავს მასწავლებელი.
- შეფასება მოითხოვს სტიმულს, რომელიც გამომდინარეობს გარემოდან და წარმატებიდან.
- მოქმედების კონტროლი განსაზღვრავს თვითრეგულაციის მექანიზმს, სასწავლო აქტივობების დაცვას.

ლითლვუდის შეხედულება. ვილიამ ლითლვუდმა გამოყო უცხოური ენის დაუფლების ეფექტიანობის არალინგვისტური ფაქტორები: მოტივაცია, უნარი და ინდივიდუალობის ძირითადი მიდგომები უცხოური ენის ათვისებაში. მისი აზრით, მოტივაცია შეიძლება მთავარი იყოს ენის ფლობისთვის (proficiency), მაგრამ ენის ფლობაც ეხმარება მოსწავლეს მოტივაციის გაზრდაში. ეს ფაქტორები განამტკიცებენ ერთიმეორეს.

ლითლვუდმა ფაქტორები დააჯგუფა სამ მთავარ კატეგორიად: სწავლის მოტივაცია, სწავლის შესაძლებლობები და სწავლის უნარი.

ლითლვუდის მიხედვით, თუ მოსწავლეს აქვს კარგი მოტივაცია ისწავლოს ენა, სხვა მნიშვნელოვანი გავლენაც არის საყურადღებო, ეს არის გამოცდილება, რომელიც მოსწავლეს სჭირდება ეფექტური სწავლისთვის. ლითლვუდი განიხილავს ამ გავლენის რამდენიმე ასპექტს: 1. შესაძლებლობები, რომლებიც გამოიყენება მეორე ენისთვის; 2. სასწავლო სიტუაციის ემოციური ხასიათი; 3. სწავლის შედეგი.

ლითლვუდის აზრით, უცხოური ენის უნარი და მოტივაცია არის ფაქტორები, რომლებიც წარმატების მომტანია. აუცილებელია მათი ურთიერთქმედება.

დორნიეის აზრით, გარდნერმა და მისმა თანამშრომლებმა შექმნეს სამეცნიერო კვლევითი პროცედურა და შემოიტანეს სტანდარტიზირებული შეფასების ტექნიკა, რითაც დაადგინეს მაღალი კვლევითი სტანდარტი მოტივაციის კვლევაში.

გარდნერის სოციალურ-ფსიქოლოგიური მოდელი გულისხმობდა პრაგმატულ, განათლებაზე ცენტრირებულ მიდგომას მოტივაციისადმი (Gardner, R. C. 2003b. 41, 1-24).

ზოგიერთმა კვლევამ გარდნერისეულ კონსტრუქციას დაამატა ახალი კომპონენტები, როგორიცაა შინაგანი/გარეგანი მოტივაცია, ინტელექტუალური, ატრიბუცია, თავდაჯერებულობა, მარცხი, მიღწევა, მიზანი. სხვადასხვა მოტივები დაკავშირებულია სწავლის სიტუაციაზე, სპეციფიკური განსხვავებები, როგორიცაა საკლასო სიტუაციები და დავალებები, საკლასო გარემო და ჯგუფური მუშაობა, სასწავლო მასალა, ჯილდოები. ასევე ჩატარდა კვლევები, რომლებიც მოტივაციურ მახასიათებლებს უკავშირებს კლასის ქცევას. ინტეგრალური ორიენტაციის მქონე მოსწავლეები, უფრო ხშირად სიამოვნებით შედიოდნენ საკლასო ოთახში, მასწავლებელი მეტ კითხვას უსვამდა, ისინი იძლეოდნენ უფრო სწორ პასუხებს და ღებულობდნენ უფრო დადებით მხარდაჭერას მასწავლებლისგან, ვიდრე ისინი, ვისაც არ ჰქონდა მოტივაციური ორიენტაცია. აქვე მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ მოტივაცია ნაჩვენები იქნა, როგორც მიდრეკილებისგან დამოუკიდებელი. გარდნერის მოტივაციის თეორია შეიცავს განათლების განზომილებას – ამაშია მისი პრაქტიკული ღირებულება (Csizer, K. and Dornyei, Z. 2005. 89/1: 19–36).

დორნიეის შეხედულებები. დორნიეი აღნიშნავს, რომ სამი მოტივაციური კომპონენტი, რომლებიც სპეციფიკურია სასწავლო სიტუაციებში, თავის მხრივ შეიცავენ: 1) კურსის სპეციფიკურ მოტივაციურ კომპონენტებს, რაშიც შედის: სილაბუსები, სასწავლო მასალები, სწავლების მეთოდი და სასწავლო დავალებები; 2) მასწავლებლის სპეციფიკურ მოტივაციურ კომპონენტებში შედის: მასწავლებლის ინდივიდუალობა, სწავლების სტილი, სტუდენტებთან ურთიერთობა; 3) ჯგუფის სპეციფიკურ მოტივაციურ კომპონენტებში შედის ჯგუფის დინამიურობა.

ილუსტრაცია 3: უცხოური ენის შესწავლის მოტივაციის კომპონენტები

უცხოური ენის დონე	<ul style="list-style-type: none"> • ინტეგრალური მოტივაციის ქვესისტემა • ინსტრუმენტალური მოტივაციის ქვესისტემა
მოსწავლის დონე	<ul style="list-style-type: none"> • მიღწევის მოთხოვნილების თეორია • თვითდაჯერებულობა • ნერვიულობა საუბრის დროს • უცხოური ენის ათვისება • თვითაქტუალურობა
სწავლის სიტუაციის დონე კურსის სპეციფიკური მოტივაციური კომპონენტები მასწავლებლის სპეციფიკური მოტივაციური კომპონენტები ჯგუფის სპეციფიკური მოტივაციური კომპონენტები	<ul style="list-style-type: none"> • ინტერესი • მოსალოდნელობა • კმაყოფილება • ავტორიტეტული ტიპი • მოტივაციის სოციალიზაცია • მოდელირება • დავალების პრეზენტაცია • მიზანზე ორიენტაცია ▪ ჯილდოს სისტემა ▪ ჯგუფის ერთობა

დორნიეიმ, რომელმაც წლების განმავლობაში იკვლია უცხო ენის ათვისების მოტივაციის სპეციფიკა, შემოგვთავაზა პროცესზე ორიენტირებული მოტივაციის მოდელის სამი ფაზა:

- 1) მოტივაციის არჩევა: დაწყება და მიზნების დასახვა;
- 2) მოტივაციის ორგანიზებულობა: საჭირო დავალებების შესრულება მოტივაციის განსამტკიცებლად;
- 3) მოტივაციური რეტროსპექტივა: რეაქცია მოსწავლის ნამუშევარზე და შეფასება.

ილუსტრაცია 4. უცხოური ენის მოტივაციის პროცესის მოდელი

აქტივობამდე საფეხური	აქტივობის საფეხური	წინააქტიურობის საფეხური
<p>მოტივაციის არჩევა</p> <p>მოტივაციური ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მიზნების დასახვა • მოქმედების დაწყება • გეგმების ჩამოყალიბება <p>ძირითადი მოტივაციური გავლენები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სხვადასხვა მიზნები • უცხოური ენისა და უცხოელების მიმართ დამოკიდებულება • მოსწავლის რწმენა და სტრატეგიები • გარემო 	<p>მოტივაციის აღსრულება</p> <p>მოტივაციური ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • დავალებების განხორციელება • მიმდინარე შეფასება • მოქმედების კონტროლი (თვითრეგულაცია) <p>ძირითადი მოტივაციური გავლენები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სწავლის ხარისხი • დამოუკიდებლობა • მასწავლებლების და მშობლების გავლენა • საკლასო ჯილდო და მიზნის სტრუქტურა (მაგ.: კონკურენტულობა ან თანამშრომლობა) • გავლენა მოსწავლეზე • თვითმართველობის სტრატეგიების ცოდნა და გამოყენება (მაგ.: მიზნის პარამეტრი, სწავლის და თვით-მოტივაციის სტრატეგიები) 	<p>მოტივაციური რეტროსპექტივა</p> <p>მოტივაციური ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სტრატეგიების და სტანდარტების არჩევა • ატრიბუციების ჩამოყალიბება • ქცევა და დაგეგმვა <p>ძირითადი მოტივაციური გავლენები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ატრიბუციური ფაქტორები • თვითდაჯერებულობა • მიღებული შენიშვნები, შექება


სოციალურ-ფსიქოლოგიურმა მიდგომამ ბევრი ემპირიული კვლევა გააერთიანა კანადაში და მის გარეთ, რამაც მოტივაციის კვლევა აქცია ერთ-ერთ განვითარებად სფეროდ უცხოური ენის შესწავლაში.

უნგრეთში მოზარდებთან კვლევისას დორნიემ გამოყო ოთხი განზომილება, რომელიც დაკავშირებულია ინტეგრალურ მოტივაციასთან: 1) ინტერესი უცხოური ენის, კულტურის და ხალხის მიმართ (რომელიც შეიძლება ასოცირდეს კლემენტის და კრუიდენიერის „სოციო-კულტურულ ორიენტაციასთან“); 2) სურვილი გააფართოვოს ხედვა (მსგავსია კლემენტის და კრუიდენიერის „ცოდნაზე ორიენტაციის“); 3) სტიმული (მსგავსია კლემენტის და კრუიდენიერის „მეგობრობის“ და „მოგზაურობის“); 4) სურვილი ახალ საზოგადოებაში ინტეგრირების (მსგავსია „მოგზაურობაზე ორიენტაციის“). უცხოურ ენაში მოტივაციას აქვს სასწავლო პოტენციალი ორ სფეროში: 1) მოტივაციური სტრატეგიების სისტემატურ განვითარებაში და 2) თვითმოტივირების სტრატეგიების ფორმულირებაში, როდესაც მოსწავლე კონტროლს უწევს საკუთარ თავს.

დორნიემ გამოყო ოთხი განზომილება (ილუსტრაცია 5).

1. ძირითადი მოტივაციური პირობების შექმნა;
2. სტუდენტის მოტივაციის განზოგადება;
3. მოტივაციის შენარჩუნება და დაცვა;
4. თვითშეფასება.

ილუსტრაცია 5: მოტივაციური სწავლების პრაქტიკის კომპონენტები (Dornyei, Zoltán 2009a. 9-42.)



ამრიგად, დორნიემ მრავალმხრივ დაახასიათა უცხოური ენის სწავლა/სწავლების მოტივაციური სტრუქტურა, საფეხურები და კომპონენტები და დაუკავშირა სწავლების პრაქტიკას (Dornyei, Zoltán 2009:9-42).

ჩვენი აზრით, აღწერილი განსხვავებული მიდგომების არსებობა უცხოური ენის ათვისების მოტივაციის შესახებ ართულებს მისი ემპირიული კვლევის საზღვრების კონკრეტიზაციას, ჩვენი პირობებისადმი ადაპტაციას და კროსკულტურულ ანალიზს, მაგრამ, მეორე მხრივ, მიუთითებს იმ სფეროებზე, სადაც უნდა გაგრძელდეს კვლევა. ეს პირველ რიგში არის სწავლის სტილი და სტრატეგიები.

ლიტერატურა:

1. ალხაზიშვილი, ა. 2009. უცხოური ენების სწავლება - თეორია და პრაქტიკა. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბ. 2009.
2. იმედაძე, ნ., ჯაში, ჟ. 2005. განათლების ფსიქოლოგია. დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. რედაქტორი მ. ჯაფარიძე. თბილისი.

3. Arnold, Jane 2011. Attention to affect in language learning. *Anglistik: International Journal of English Studies* 22, 11: 11-22.
4. Clément, R. 2003. Willingness to communicate In a second language: The effects of context, norms and vitality. *Journal of Language and Social Psychology* 22: 190-209.
5. Csizer, K. and Dornyei, Z. 2005. 'The Internal Structure of Language Learning Motivation and Its Relationship with Language Choice and Learning Effort'. *The Modern Language Journal* 89/1: 19 – 36.
6. Dornyei, Zoltán 2009a. The L2 Motivational Self System. Dornyei, Zoltán, Ema Ushioda, eds. *Motivation, Language Identity and the L2 Self*. Bristol: Multilingual Matters, 9-42.
7. Gardner, R. C. 2003b. Correlation, causation, motivation and second language acquisition. *Canadian psychology* 41, 1-24
8. Gardner, Robert C. 2007. Motivation and Second Language Acquisition, *Porta Linguarium* 8: 9-20.
9. Kormos, J. and Csizer, K. 2008. 'Age-Related Differences in the Motivation of Learning English as a Foreign Language: Attitudes, Selves, and Motivated Learning Behavior'. *Language Learning* 58/2: 327 –355.
10. Pae, T. 2008. 'Second Language Orientation and Self-Determination Theory: A Structural Analysis of the Factors Affecting Second Language Achievement'. *Journal of Language and Social Psychology* 27: 5 – 27.

Rusudan Gogokhia

European University

FOR THE MOTIVATION TO TEACH A FOREIGN LANGUAGE RESUME

Motivation plays a very important role in enhancing the students' English learning performance. Motivation is one of the main determining factors of success in developing a second or foreign language. Motivation is a complex phenomenon and the more its constructs are understood the better we are able to understand the extent to which we can influence it. Teachers can cultivate student motivation to varying degrees and play a central role in activating and sustaining it. Teachers' attitudes as well as their perceptions toward learning motivation are positive since they all find the necessity of motivation in improving students' English performance. Impelled by the observation that motivation might be one of the most important factors within the affective domain influencing foreign language learning, the field of second language acquisition has seen an intense worldwide interest in empirical research in motivational issues.

ნინო დავითაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მოსწავლეების მოტივაცია უცხო ენის სწავლებისას

შესავალი

„სწავლება ბევრს ნიშნავს, წახალისება კი - ყველაფერს“, წერს იოჰან ვოლფგანგ გოეთე და კიდევ ერთხელ გვაფიქრებს მოტივაციაზე, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე სწავლების პროცესში.

შეიძლება ითქვას, რომ მოტივაცია ყველაზე ხშირად გამოკვლეული ფაქტორია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლების შედეგების გაუმჯობესებაში.

მოტივაციის როლი უცხო ენის სწავლებისას

ცხადია, რომ ინგლისური ენის შემსწავლელები დღეს გაზრდილი მოთხოვნილების და მოტივაციის პირობებში უკეთესად სწავლობენ ინგლისურ ენას.

მოტივაციას განსაკუთრებული როლი აკისრია მეორე/უცხო ენის შესწავლის პროცესში. დორნიეი (Dörnyei, 1998, p. 117) მიიჩნევს, რომ მოტივაცია ერთგვარი ზიგია მეორე/უცხო ენის შესწავლის დასაწყისში და მოგვიანებით ის სწავლების პროცესის მამოძრავებელ ძალად იქცევა. გარდნერი (Gardner, 1985), ვილიამს და ბურდენი (Williams & Burden, 1997) მოტივაციას რთულ, მრავალსახიან მოვლენად მიიჩნევენ. ისინი თვლიან, რომ მოტივაცია მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა:

- წარმატება, რასაც შემსწავლელები ელიან;
- შემსწავლელის წარმატების ან წარუმატებლობის მიზეზი.

გარდნერი (Gardner, 1985) მეორე ენის შესწავლასთან დაკავშირებული მოტივაციის სამ მთავარ კომპონენტს ასახელებს. ესენი არიან:

- მოტივაციის ინტენსიურობა;
- ენის შესწავლის სურვილი;
- ენის შესწავლასთან დაკავშირებული შესაძლებლობები.

გარდნერი (Gardner, 1985) ორი სახის ორიენტაციას ასახელებს. ესენია:

- *ინტეგრირებული ორიენტაცია*, რომელიც მქადავდება მეორე ენის შემსწავლელთა ინტერაქციაში (მაგალითად, სურვილი შეუერთდეს სხვა საზოგადოებას);
- *ინსტრუმენტალური ორიენტაცია*, რომელიც გულისხმობს ახალი ენის შესწავლის უფრო მეტად მატერიალისტურ და პრაქტიკულ ღირებულებას (მაგალითად, უკეთეს კარიერაზე ფიქრი).

გარდნერის სოციალურ-აღმზრდელობითი მოდელი გააკრიტიკეს ქლემენთმა და ქრუიდენიერმა (Clement & Kruidenier, 1983). მათ შეისწავლეს ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოტივაციაზე. მათი კვლევის შედეგად ინსტრუმენტალური ორიენტაცია მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა. ის ასოცირდება ისეთ მიზეზებთან, როგორებიცაა მოგზაურობა, ახლო მეგობრების მიება და ცოდნის მიღება (გვ. 288).

1990-იან წლებში სოციალურ-აღმზრდელობითი მოდელი შეცვალა ფსიქოლოგიურმა მოდელმა, რომელიც მოტივაციას უფრო მეტად დინამიკურ ფაქტორად მიიჩნევს. ამ მოდელის მიხედვით, მოტივაცია უფრო მეტად კოგნიტური პროცესია და მის არსებობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეორე/უცხო ენის შესწავლის პროცესში. აქედან გამომდინარე დორნიეი (Dörnyei, 1994, p. 275) თავის მოტივაციურ მოდელს სამ დონედ ყოფს. ესენია: ენის დონე, შემსწავლელის დონე და სწავლის სიტუაციის დონე.

ენის დონე დაკავშირებულია მეორე ენის ასპექტებთან, მოიცავს მის კულტურას, საზოგადოებას და ღირებულებებს. შემსწავლელის დონე დაკავშირებულია შემსწავლელის თვისებებთან, რასაც ისინი ამჟღავნებენ გაკვეთილზე/ლექციაზე. სწავლის სიტუაციის დონე იმ სიტუაციებთანაა კავშირში, რა სიტუაციებშიც მიმდინარეობს სწავლის პროცესი ანუ სწავლის სიტუაციის დონე გულისხმობს საკლასო გარემოს, სწავლის კონტექსტს, სწავლების მეთოდებს, კლასელების ურთიერთდამოკიდებულებას, პედაგოგის პიროვნულ თვისებებს. საინტერესოა, რომ დორნიეის მოდელში მოტივაციის სამივე დონე ახდენს ერთმანეთზე ზეგავლენას.

განსხვავებით გარდნერისაგან (Gardner, 1985), რომელიც მთელ ყურადღებას ინტეგრირებას უთმობდა, დორნიეი (Dörnyei, 1990) მიიჩნევდა, რომ ინსტრუმენტალურ ორიენტაციას შეეძლო მეტი გავლენის მოხდენა ენის შემსწავლელებზე. დორნიეი (Dörnyei, 1990), დორნიეი და უშიოდა (Dörnyei & Ushioda, 2011) გამოთქვამენ აზრს უფრო მეტად პრაგმატული შეხედულებების არსებობის საჭიროებაზე, იკვლევენ საკლასო რეალობას და გაკვეთილზე არსებულ სპეციფიკურ მოტივებს.

ქორთაზმა და ჯინმა (Cortazzi & Jin, 1999) მეორე მხრივ აღმოაჩინეს, რომ კულტურა და პიროვნება ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მეორე/უცხო ენის სწავლების პროცესში არსებული მოტივაციისათვის. ამ შეხედულების მიხედვით ენის შემსწავლელი თვითონ ივითარებს თვითმზაობას და ახდენს თვით-მოტივირებას სამიზნე ენის შესასწავლად.

რაც შეეხება გარეგან და შინაგან მოტივაციას, ნოელსი, ქლემენთი და ფელეთიერი (Noels, Clement & Pelletier, 2001) თვლიან, რომ გარეგანი მოტივაცია განპირობებულია გარეგანი ფაქტორებით ანუ სოციალური გარემოთი, რომელსაც უცხო ენის შესწავლა მოითხოვს. გარეგანი მოტივაციის მქონე ენის შემსწავლელები ცდილობენ შეისწავლონ უცხო ენა, რომ

- მათ გაუჩნდეთ კარიერული წინსვლის შესაძლებლობა;
- შეაქონ პედაგოგებმა;
- დაამტკიცონ, რომ სწავლა შეუძლიათ.

რიანი და დეცი (Deci & Ryan, 2000) შინაგან მოტივაციას თვითმიზანთან აიგივებენ და მიიჩნევენ, რომ მასზე შინაგანი ფაქტორები ახდენენ ზეგავლენას. ეს ფაქტორებია გართობის და თავის დაკმაყოფილების სურვილი. ისინი თვლიან, რომ შინაგანი მოტივაციის არსებობის შემთხვევაში შემსწავლელები ამჟღავნებენ ახალ იდეებს, იღრმავებენ ცოდნას, ცდილობენ, რაც შეიძლება კარგად ისწავლონ და მიაღწიონ მიზანს.

ამრიგად, განხილული მოტივაციის თეორიები მეორე/უცხო ენის სწავლებისას არსებულ მოტივაციის ფაქტორს სხვადასხვა ჭრილში განიხილავენ, მაგრამ თანხმდებიან, რომ მას გადამწყვეტი როლი აკისრია სწავლება/სწავლის პროცესში და შემსწავლელის წარმატებას ან წარუმატებლობას განაპირობებს.

შემსწავლელის მოტივაციის გენერირება

ყველა პედაგოგს სურს ჰყავდეს მოტივირებული მოსწავლე, რომელსაც დიდი სურვილი აქვს ისწავლოს და მიაღწიოს წარმატებას. პედაგოგის დანიშნულებას მოახდინოს მოსწავლის მოტივაციის გენერირება. ამ მიზნის მისაღწევად მას შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგიები. დორნიეის და უშიოდას (Dörnyei & Ushioda, 2011) მიხედვით, მოსწავლეთა მოტივირებისათვის აუცილებელია პედაგოგი იცნობდეს თავისი მოსწავლეების „გემოვნებას“. პედაგოგისათვის მნიშვნელოვანია მათი ღირებულებები, შეიტყოს თუ რა მიზნით სწავლობენ ისინი უცხო ენას. პედაგოგებმა შესასწავლი მასალის შედგენისას უნდა გაითვალისწინონ სტუდენტების საჭიროებები, მათი მოთხოვნები. ენის შემსწავლელებს უნდა გაუჩნდეთ რწმენა, რომ უცხო ენის შესწავლა შესაძლებელია და ისინი შეისწავლიან უცხო ენას თუ ბეჯითად ისწავლიან. შემსწავლელებს უნდა ჰქონდეთ რეალური წარმოდგენა უცხო ენის შესწავლის პროცესზე და ასევე უნდა ელოდნენ სირთულეებს, რაც უცხო ენის შესწავლას შესაძლებელია ახლდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველივე დაბრკოლების შეხვედრა მათი მოტივაციის შესუსტებას გამოიწვევს. პედაგოგის ვალია აუხსნას მოსწავლეებს, რომ არსებობს სხვადასხვა გზები ენის შესწავლის პროცესში წარმატების მისაღწევად და მოუწოდოს მათ გამოძებნონ საკუთარი სწავლის ხერხი.

პედაგოგმა მოსწავლეებს უნდა მისცეს დრო რაიმე საკითხის შესასწავლად და დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ისინი ამ დავალების შესრულებას წარმატებით გაართმევენ თავს. პედაგოგი უნდა დაეხმაროს მათ სწავლის პროცესში წარმოშობილი სირთულეების დამლევაში.

ათქინსონი და რეინორი (Atkinson & Raynor, 1974) თვლიან, რომ პედაგოგმა უნდა წაახალისოს ენის შემსწავლელები და უთხრას, რომ ისინი აუცილებლად მიაღწევენ წარმატებას. სტუდენტები მეტი მონდომებით შეასრულებენ დავალებებს, თუ ეცოდინებათ, რომ შეუძლიათ მათ წარმატებით გაართვან თავი.

ჰადფილდი (Hadfield, 1992) და დორნიეი (Dörnyei, 2001) აღნიშნავენ, რომ მოსწავლეების მოტივირებისათვის ასევე მნიშვნელოვანია პედაგოგი დაეხმაროს მათ დაისახონ მიზნები და ასევე დაეხმაროს ამ დასახული მიზნების განხორციელებაში.

მოსწავლეთა მოტივირებისათვის მნიშვნელოვანია მათ ჰქონდეთ წვდომა შესაბამის სასწავლო მასალასთან. ბროფი (Brophy, 1998) თვლის, რომ სკოლები თავიანთ კურიკულუმს ქმნიან საზოგადოებრივ ნორმებიდან გამომდინარე და ნაკლებად ითვალისწინებენ შემსწავლელთა საჭიროებებს. მოტივაციის დონე განსაკუთრებით ეცემა მაშინ, როდესაც შემსწავლელი ხვდება, რომ რასაც ასწავლიან და სწავლობს, არ შეესაბამება მის საჭიროებებს.

ამრიგად, მართებული იქნება თუ დავასკვნით, რომ:

- მოსწავლეთა მოტივირებისათვის აუცილებელია პედაგოგი იცნობდეს მათ „გემოვნებას“;
- პედაგოგისათვის მნიშვნელოვანია შეისწავლოს მოსწავლის ღირებულებები, შეიტყოს თუ რა მიზნით სწავლობს ის უცხო ენას;
- მოსწავლეების მოტივირებისათვის ასევე მნიშვნელოვანია პედაგოგი დაეხმაროს მათ დაისახონ მიზნები და დაეხმაროს ამ დასახული მიზნების განხორციელებაში;
- მოსწავლეთა მოტივირებისათვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა შესაბამის შესასწავლ მასალასთან;
- პედაგოგებმა სასწავლო მასალის შედგენისას უნდა გაითვალისწინონ მოსწავლეების საჭიროებები და მათი მოთხოვნები. თუ საჭიროა მათ სახელმძღვანელოში არსებული მასალა უნდა შეცვალონ მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო მასალით.

შემსწავლელებს უნდა ჰქონდეთ რეალური წარმოდგენა უცხო ენის შესწავლის პროცესზე და ასევე უნდა ელოდნენ სირთულეებს, რაც უცხო ენის შესწავლას შესაძლებელია ახლდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველივე დაბრკოლების შეხვედრა მათი მოტივაციის შესუსტებას გამოიწვევს.

შემსწავლელის მოტივაციის შენარჩუნება

პედაგოგის მხრიდან მნიშვნელოვანია დააინტერესოს მოსწავლეები, ჩართოს ისინი სასწავლო პროცესში, წარმოშვას და გაზარდოს შემსწავლელის მოტივაცია. ასევე მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს არსებული მოტივაცია.

დორნიეი (Dörnyei, 2001) თვლის, რომ არსებობენ მოტივაციის შესუსტების ფაქტორები და პედაგოგმა მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს. ეს ფაქტორებია:

- პედაგოგი თავისი პიროვნული თვისებებით, ცოდნით და სწავლის მეთოდები;
- არაადეკვატური სასწავლო გარემო - მოსწავლეების დიდი რაოდენობა ჯგუფებში, პედაგოგთა ხშირი ცვლა;
- მოსწავლეთა ნეგატიური დამოკიდებულება შესასწავლი ენისადმი;
- შესასწავლი ენის სირთულე;
- ნასწავლი ენის გავლენა შესასწავლ ენაზე;
- ნეგატიური დამოკიდებულება შესასწავლი ენის მქონე ხალხის მიმართ;
- თანაჯგუფელთა შორის უარყოფითი დამოკიდებულება;
- სტუდენტთა უარყოფითი დამოკიდებულება სახელმძღვანელოსადმი.

დორნიეი და უშიოდა (Dörnyei & Ushioda, 2011) თვლიან, რომ მოტივაციის კარგის წინაპირობად შესაძლებელია მოსწავლეებში სწავლის მიზნის დაკარგვა და სწავლის პროცესში მოსაწყენი აქტივობის შესრულება იქცეს. მათი აზრით, მოსწავლეების მოტივაციის შენარჩუნების ერთ-ერთი საშუალებაა პედაგოგმა აქციოს სასწავლო პროცესი სასიამოვნო, გასართობ და სტიმულის მომცემ პროცესად. ამისათვის ისინი პედაგოგებს სთავაზობენ გამოიყენონ პრეზენტაციები და სხვადასხვა სახალისო მასალა/რესურსები.

დორნიეი და უშიოდა (Dörnyei & Ushioda, 2011) თვლიან, რომ მოსწავლეების თვითშეაფასება და თავდაჯერებულობა მნიშვნელოვანი ფაქტორია მათი მოტივაციის შესანარჩუნებლად. ისინი თვლიან, რომ შემსწავლელები ვერ მიაღწევენ წარმატებას თუ არ ირწმუნებიან თავიანთ შესაძლებლობებს და პედაგოგი ყოველთვის უნდა ცდილობდეს გაზარდოს მოსწავლეების თავდაჯერებულობა. მან ყოველთვის უნდა გაამახვილოს ყურადღება მოსწავლეების მიღწევებზე.

ალისონი და ჰოლიველი (Alison & Halliwell, 2002) ასევე მიიჩნევენ, რომ მოსწავლეებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ პედაგოგის დახმარების იმედი. ისინი თვლიან, რომ შემსწავლელთა მოტივაცია აუცილებლად შენარჩუნდება, თუ მოსწავლეები ჩათვლიან, რომ:

- ისინი დადებითად ართმევენ თავს სასწავლო პროცესს;
- მათ არ აკრიტიკებენ;
- ისინი მუშაობენ ჯგუფთან, რომელთა წევრებიც ამჟღავნებენ ტოლერანტობას ერთმანეთის მიმართ.

დორნიეი და უშიოდას (Dörnyei & Ushioda, 2011) აზრით, მოსწავლეებისათვის ავტონომიის მინიჭება პედაგოგს სხვადასხვანაირად შეუძლია. მაგალითად, მას შეუძლია ჩართოს ისინი ჯგუფში პასუხისმგებლობის განაწილების პროცესში, მათთან ერთად შეარჩიოს შესასწავლი მასალა, მიანიჭოს მათ ავტონომია პროექტზე მუშაობისას.

ამრიგად, შემსწავლელების მოტივაციის გასაზრდელად და შესანარჩუნებლად:

- პედაგოგმა სასწავლო პროცესი უნდა აქციოს სასიამოვნო, გასართობ და სტიმულის მომცემ პროცესად;
- პედაგოგმა მათ უნდა შესთავაზოს მათთვის საინტერესო საკითხები;
- პედაგოგი ყოველთვის უნდა ცდილობდეს გაზარდოს მოსწავლეების თავდაჯერებულობა;
- პედაგოგმა უნდა წახალისოს შემსწავლელები, უნდა მიანიჭოს მათ ავტონომია.

განხილული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ:

- მოტივაციის თეორიები მეორე/უცხო ენის სწავლებისას არსებულ მოტივაციის ფაქტორს სხვადასხვა ჭრილში განიხილავენ, მაგრამ თანხმდებიან, რომ მას გადამწყვეტი როლი აკისრია სწავლება/სწავლის პროცესში;
- პედაგოგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლეების წარმატებაში და მათი მოტივირებისათვის მის ხელთაა უამრავი სტრატეგია;
- უცხო ენის შემსწავლელთა წარმატება პირდაპირ კავშირშია მოტივაციის ფაქტორთან.

დასკვნა

ამრიგად, განხილული მოტივაციის თეორიები მეორე/უცხო ენის სწავლებისას არსებულ მოტივაციის ფაქტორს სხვადასხვა ჭრილში განიხილავენ, მაგრამ თანხმდებიან, რომ მას გადამწყვეტი როლი აკისრია სწავლება/სწავლის პროცესში და შემსწავლელის წარმატებას ან წარუმატებლობას განაპირობებს.

- შემსწავლელების მოტივაციის გასაზრდელად და შესანარჩუნებლად პედაგოგმა სასწავლო პროცესი უნდა აქციოს სასიამოვნო, გასართობ და სტიმულის მომცემ პროცესად;
- პედაგოგმა მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს მათთვის საინტერესო საკითხები;
- პედაგოგი ყოველთვის უნდა ცდილობდეს გაზარდოს მოსწავლეების თავდაჯერებულობა;
- პედაგოგმა უნდა წახალისოს შემსწავლელები, უნდა მიანიჭოს მათ ავტონომია.

ლიტერატურა:

1. Alison, J. & Halliwell, S. (2002). *Challenging Classes: Focus on Pupil Behavior*. Centre for Information on Language Teaching and Research.
2. Atkinson, J. W., & Raynor, J. O. (1974). *Motivation and achievement*. Washington, DC: C.H. Winston.
3. Brophy, J. (1998). *Motivating students to learn*. New York: McGraw-Hill.
4. Clement, R., & Kruidenier, B. G. (1983). Orientations in second language acquisition: *Language Learning*, 33, 273-291.
5. Cortazzi, M., & Jin, L. (1999). Cultural mirrors: materials and methods in the EFL classroom. In E. Hinkel (Ed.), *Culture in second language teaching*. Cambridge: Cambridge University Press, pp. 196-219.
6. Deci, E.L., & Ryan, R.M. (1985). *Intrinsic motivation and self-determination in human behavior*. New York: Plenum Press.
7. Dörnyei, Z. (1990). Conceptualizing motivation in foreign language learning. *Language Learning*, 40, 45- 78.
8. Dörnyei, Z. (1998). Demotivation in foreign language learning. Paper presented at the TESOL 98 Congress, Seattle, WA, p. 117.
9. Dörnyei, Z. (2001). *Motivational strategies in the language classroom*. Cambridge, Cambridge University Press.
10. Dörnyei, Z., & Ushioda, E. (2011). *Teaching and researching motivation* (2nd ed.). Harlow, England: Pearson Longman.
11. Eraut, M. (1994). *Developing professional knowledge and competence*. London: Routledge.
12. Gardner, R. (1985). *Social psychology and second language learning: the role of attitude and motivation*. London: Edward Arnold.
13. Hadfield, J. (1992). *Classroom dynamics*. Oxford: Oxford University Press, p. 134.
14. Noels, K.A., Clément, R., & Pelletier, L. (2001). Intrinsic, extrinsic, and integrative orientations of French Canadian learners of English. *Canadian Modern Language Review*, 57, 424-442.
15. Williams & Burden, (1997). *Psychology for language teachers: a social constructivist approach*. Cambridge: Cambridge University Press.

Nino Davitashvili

Gori State Teaching University

STUDENTS' MOTIVATION IN FOREIGN LANGUAGE TEACHING RESUME

The work deals with the influence of motivation on teaching a foreign language. It presents a role of motivation, its generation and maintenance.

The work also represents some ways of motivating students and reminds us some strategies to succeed in foreign language teaching.

თამილა კეკოშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

კვლევაზე დაფუძნებული სწავლება ბიოლოგიაში

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებას საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. მისი მთავარი ამოცანაა, მოსწავლეებში გაიზარდოს მეცნიერული კვლევისა და სიახლეების მიმართ ინტერესი, ჩამოყალიბდეს მათში კვლევითი პროცესების განხორციელებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს ისეთი მიდგომები, როგორიცაა კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სწავლების პროცესში და ავითარებს მაღალ სააზროვნო უნარებს.

კვლევაზე დაფუძნებული სწავლების ეფექტურად განხორციელებისათვის, შესაბამისად ორგანიზებულ საკლასო გარემოში, მნიშვნელოვანია, მაღალი კომპეტენციების მქონე მასწავლებელი სასწავლო პროცესში იყენებდეს სწავლების სხვადასხვა თეორიებზე დაფუძნებულ და კვლევით აქტივობებზე მორგებულ, მრავალფეროვან სასწავლო მეთოდებსა და მიდგომებს.

კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომა განიხილება ორი მიმართულებით: 1. მოსწავლეებთან მიმართებაში ის აღწერს, თუ რა უნარები უვითარდებათ მოსწავლეებს და რას სწავლობენ ისინი, როდესაც ჩართულნი არიან კვლევის პროცესში. ამ თვალსაზრისით, საქმე გვაქვს მოსწავლეების მიერ კითხვების დასმასთან, დაკვირვებებთან, გაზომვებთან, ექსპერიმენტის დაგეგმვასთან, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ლოგიკურ მსჯელობასთან, მიღებული შედეგების გადმოცემასთან. კვლევაზე დაფუძნებული სწავლების გზით მოსწავლეებს შეუძლიათ აითვისონ როგორც სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევები, ასევე, შეისწავლონ სამეცნიერო ცნებები და თეორიები. დააკავშირონ თეორია პრაქტიკასთან. 2. მასწავლებელთან მიმართებაში კვლევაზე დაფუძნებული სწავლება განიხილავს სტრატეგიებსა და ტექნიკებს, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ სამეცნიერო კვლევებში მოსწავლეების ჩასართავად და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების პროცესის სამართავად. მასწავლებელმა მაქსიმალურად შესაძლებელ დონეზე უნდა ჩართოს მოსწავლეები კვლევის პროცესში, გამოიყენოს ამისათვის ყველა შესაძლებლობა. კვლევაზე დაფუძნებული სწავლების საშუალებას იძლევა სამეცნიერო მეთოდი, რომელიც გულისხმობს საკვლევი შეკითხვის დასმას და მათზე პასუხის გაცემას დაკვირვების, ცდის, ექსპერიმენტის მეშვეობით, რომელიც უნდა იყოს ხელმისაწვდომი, თვალსაჩინო, ადვილად აღქმადი, შემეცნებითი ღირებულებების მქონე. ეს მეთოდი ხსნის ბუნებაში არსებული მიზეზშედეგობრივ ან სხვა ტიპის ურთიერთმიმართებებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი აგებენ ექსპერიმენტს ისე, რომ ცვლილება რაიმე ერთი მიმართულებით იწვევს პროგნოზირებად ცვლილებებს მეორე მიმართულებით. რეალურად, აღნიშნული მეთოდი წარმოადგენს კვლევაზე დაფუძნებული სწავლების საფუძველსა და მთავარ იარაღს. არსებობს სხვა საშუალებებიც, რომლებიც აღნიშნული მიდგომის განსახორციელებლად გამოიყენება, თუმცა მიუხედავად იმისა, თუ რომელ მათგანს შეარჩევს მასწავლებელი, კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას აქვს ხუთი ძირითადი თვისება, რომელიც გამოიყენება ყველა შემთხვევაში. 1. მოსწავლეები იწყებენ პროცესს საკვლევი კითხვის დასმით, რომელზეც პასუხიც გაცემულ უნდა იქნას „მეცნიერული“ გზით. საკვლევი კითხვის უნარის განვითარება სხვადასხვა გზით ხდება. ძირითადად, მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, დასვან კითხვები - აღვივებს მათ ინტერესს და იწვევს კითხვის დასასმელად. მაგალითად, აჩვენებს მოსწავლეებს რაიმე მოვლენას, ან რთავს მათ ობიექტის, ნივთიერების ან პროცესის ღია კვლევაში, რასაც ასევე ახლავს კითხვების დასმა. შესაძლებელია საკვლევი კითხვების გამოკვეთა და შერჩევა დისკუსიის პროცესში, როდესაც განიხილება რაიმე მოვლენა, ცნება, პროცესი. სხვა შემთხვევაში, მასწავლებელი თავად აწვდის კითხვებს მოსწავლეებს, ან სთავაზობს აირჩიონ შემოთავაზებულიდან რომელიმე. თუმცა ყველა შემთხვევაში, სწავლების ნებისმიერ საფეხურზე მოსწავლეს უნდა შეეძლოს გამოიკვლიოს კითხვაზე პასუხი მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზების გზით. შესაძლებელია მასწავლებელმა მოდიფიცირება გაუკეთოს მოსწავლის კითხვას და დაეხმაროს მის ჩამოყალიბებაში იმ ფორმით, რომ მოსწავლემ შეძლოს მასზე პასუხის გაცემა არსებული რესურსების გამოყენებით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საკვლევი კითხვა არსებითად არ გაცდეს სასწავლო პროგრამის შინაარსს. 2. მოსწავლეები პასუხის გაცემისას ეყრდნობიან მტკიცებულებებს. საკვლევი კითხვაზე პასუხს მოსწავლეები სცემენ კონკრეტულ მტკიცებულებებზე დაფუძნებით. მტკიცებულება შეიძლება გამომდინარეობდეს კვლევის შედეგებიდან, დაკვირვების/ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემებიდან; მასწავლებლის მიერ ჩატარებული სადემონსტრაციო ცდებიდან. ასევე, მტკიცებულება შეიძლება გამომდინარეობდეს წიგნებში ან ელექტრონული მასალებში ამოკითხული და გაანალიზებული ინფორმაციიდან. 3. მოსწავლეები აყალიბებენ „მეცნიერულ ახსნას“ საკვლევი კითხვაზე პასუხის გასაცემად, რისთვისაც ეყრდნობიან შეგროვებულ მტკიცებულებებს. მეცნიერული ახსნა წარმოადგენს კვლევის შედეგების ინტერპრეტაციას მიღებული მტკიცებულებებისა და არსებული სამეცნიერო თეორიების გამოყენებით. ის განმარტავს კვლევაში მიღებულ შედეგებს, ხსნის მათ მიზეზებს და ამყარებს კავშირს მათ შორის. მეცნიერული ახსნა ეყრდნობა მტკიცებულებებსა და ლოგიკურ არგუმენტებს. ზოგიერთ შემთხვევაში ის შესაძლოა გაცდეს მოსწავლეების მიმდინარე ცოდნას და წარმოშვას ახალი იდეები/კითხვები, რომლებიც შემდგომი შესწავლის საგანი გახდება. 4. მოსწავლეები აფასებენ საკუთარ ახსნას. ისინი განიხილავენ შემდეგ კითხვებს: შეიძლება თუ არა არსებობდეს სხვა ახსნა გამოკვლეული მოვლენის/ობიექტის შესახებ? საკმარისი და სანდოა არსებული მტკიცებულებები? ხომ არ არის რაიმე ხარვეზი მოცემული მტკიცებულებების საფუძველზე წარმოდგენილ მსჯელობაში? 5. მოსწავლეები გადმოსცემენ და ასაბუთებენ თავიანთ შემოთავაზებულ ახსნას. ისინი უზიარებენ კვლევის შედეგებს აუდიტორიას. მეცნიერული ახსნის გაზიარებამ შეიძლება წარმოშვას გარკვეული კითხვები და გამოიწვიოს დისკუსია

მოსწავლის მიერ შეთავაზებული მსჯელობის მართებულობის შესახებ, ექსპერიმენტიდან მიღებულ მტკიცებულებებსა და შესაბამის ახსნას შორის კავშირის შესახებ. არ არის აუცილებელი, რომ მეცნიერული კვლევის ეს ხუთივე თვისება სწავლების პროცესში ზუსტად მოცემული თანმიმდევრობით იქნას გამოყენებული. შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი განმეორდეს რამდენჯერმე, როდესაც მაგალითად, მოსწავლე სწავლობს განსაზღვრულ საკითხს ან კონცეფციას. უბრალოდ, ეს ელემენტები საშუალებას გვაძლევს წარმართოთ „სამეცნიერო“ საქმიანობა სასწავლო პროცესში და გამოვიყენოთ ისინი ნებისმიერი შესაძლებლობისას.

თუ გაკვეთილში წარმოდგენილია ყველა თვისება, მაშინ ის განიხილება, როგორც სრული კვლევა. მისაღებია ნაწილობრივი კვლევაც, რადგან ამ შემთხვევაშიც მოსწავლეები იღებენ მნიშვნელოვან გამოცდილებას რომელიმე თვისების შესახებ. სწავლების პროცესში შესაძლებელია ასევე, მასწავლებლისა და მოსწავლის როლები ერთმანეთში გაიცვალოს: ზოგი კვლევა მეტად ფოკუსირებულია მოსწავლეზე, ანუ ღია ფორმისაა. ზოგიერთში, პირიქით, მთავარ როლს კვლევის წარმართვაში თამაშობს მასწავლებელი. ყველა ეს ვარიანტი დასაშვებია არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს ცდებს, რომლებშიც მოსწავლეები უშუალოდ მონაწილეობენ. ამ დროს მათ უვითარდებათ უნარები, რომლებიც საბუნებისმეტყველო მეცნიერების შესასწავლად უმნიშვნელოვანესია, კერძოდ:

1. პრობლემის/საკვლევი ობიექტის განსაზღვრა;
2. ვარაუდის/საკვლევი ობიექტის განსაზღვრა;
3. ცდის/ექსპერიმენტის ჩასატარებლად საჭირო მასალებისა და მოწყობილობების მომზადება;
4. სამუშაო პროცედურა და მისი მსვლელობისთვის თვალყურის დევნება;
5. მონაცემთა აღრიცხვა/ჩანაშენა;
6. მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია;
7. ვარაუდის შემოწმება და დასკვნების გამოტანა;
8. პრაქტიკული გამოყენების/შესაძლებლობის, დანიშნულების განსაზღვრა.

ცდის მიმდინარეობასა და შედეგებს რვეულში/ჟურნალში იწერენ. ჩანაწერს შესაძლოა ჰქონდეს, მაგალითად, ცხრილის სახე. ასევე შეიძლება გაკეთდეს ჩანახატი, გადაღებულ იქნეს ფოტო ან ვიდეო, რომელიც ცდის არსს გამოხატავს. ყოველი ცდის, ექსპერიმენტის დაწყებამდე მოსწავლეებს უნდა მიეცეთ რჩევები, რომლებიც მათ მუშაობისას დაეხმარება.

თუ მასწავლებელი სისტემატურად იყენებს კვლევაზე დაფუძნებული სწავლების სწორხაზოვან ვარიანტს, ზოგიერთი მნიშვნელოვანი უნარი შესაძლოა ყურადღების მიღმა დარჩეს. ამ საკითხის გადაჭრის გზაა სასწავლო პროცესში „სამეცნიერო პრაქტიკების“ ჩართვა, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ როგორც სამეცნიერო პროცესის ცალკეული კომპონენტები. ისინი ერთი მხრივ, ემიჯნებიან ერთმანეთს და გააჩნიათ საკუთარი ფოკუსი, მეორე მხრივ, იკვეთებიან ერთმანეთთან, და აქვთ საერთო მიზნები - უზრუნველყონ კვლევითი, პრობლემის გადაჭრის, სოციალური და სააზროვნო უნარების განვითარება მოსწავლეებში. თავისი არსით, სამეცნიერო პრაქტიკები წარმოადგენს იმ უნარებისა და ცოდნის ერთობლიობას, რომელსაც მოსწავლე უნდა დაუფლოს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას. გაკვეთილის მიმდინარეობის დროს ისინი აისახება იმ ქმედებებსა და აქტივობებში, რომელსაც ასრულებს მოსწავლე. სამეცნიერო პრაქტიკები უზრუნველყოფს ახალი გამოცდილების შეძენას აქტიურ რეჟიმში, კეთებით და აღმოჩენებით სწავლების გამოყენებით. ისინი ეხმარება მოსწავლეებს, დაუკავშირონ საგნის სწავლისას მიღებული ცოდნა რეალურ ცხოვრებას, ყოველდღიურ ყოფით სიტუაციებს. სამეცნიერო პრაქტიკები არის ერთგვარი ორიენტირი მასწავლებლისათვის, რომელმაც თითოეული გაკვეთილის შინაარსში უნდა გაითვალისწინოს და შესთავაზოს მოსწავლეებს ერთი ან მეტი სამეცნიერო პრაქტიკა, რაც განხორციელდება სხვადასხვა კვლევით ცენტრებში.

ამრიგად, კვლევა საფუძვლად უდევს ეროვნული სასწავლო გეგმის საბუნებისმეტყველო საგნების საგნობრივ პროგრამას. კვლევაზე დაფუძნებული სწავლება მასწავლებელს საშუალებას მისცემს გაუღვივოს მოსწავლეებს ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა, განუვითაროს აზროვნების უნარი, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოადგებათ.

ლიტერატურა:

1. <http://mastsavlebeli.ge/?p=868>
2. http://old.tpdg.ge/uploads/pdf_documents/biologyactive.pdf
3. <https://mtm1984.wixsite.com/sophie/-2-3>
4. <http://mastsavlebeli.ge/?p=17675>

Tamila Kekoshvili
Gori State Teaching University
RESEARCH BASED TEACHING IN BIOLOGY
RESUME

For the effective implementation of research-based teaching, In a well-organized classroom environment, it is essential for a teacher with high competencies to use a variety of teaching methods and approaches based on different teaching theories and tailored to research activities.

The experiment is one of the challenging and hard-working methods of biology, that provides an active role of the learner in the process of learning and develops various skills. Research results have a positive outcome, when it is conducted with correct methods and pupils can see their work outcomes.

მარიამ მახათაძე

სსიპ - ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის
გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევერის საჯარო სკოლა

**ზეპირმეტყველების სირთულეები ინგლისურ ენაში და მოსწავლეთა სამეტყველო
უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მეთოდები**

უცხოური ენის სრულყოფილად დაუფლება მრავალმხრივი პროცესია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს როგორც ენის შემსწავლელის, ისე მასწავლებლისაგან. უცხო ენების სწავლების მისაღწევ მიზანს სწავლების საშუალო საფეხურზე წარმოადგენს ენის პრაქტიკული გამოყენების სწავლება ანუ, პრაქტიკულად, მოსწავლეებში კომუნიკაციური უნარების გამომუშავება. ფსიქოლოგების (გალპერინი, ა. ნ. ლეონტიევი, ვიგოტსკი) გამოკვლევების თანახმად ენა აღქმულ იქნა, როგორც „მოღვაწეობა“, რომელიც, თავის მხრივ, გარკვეული ოპერაციებისგან შედგება. ენის ასეთი ხედვა მკვეთრად უპირისპირდებოდა ბიჰევიორიზმს (რომელიც ენის შესწავლას განიხილავს, როგორც ქცევას), იმდენად რამდენადაც ინდივიდი აღქმულ იქნა როგორც ენობრივი ქმედების შედეგად სამყაროს „კონსტრუირების“ აქტიური მონაწილე.

სხვადასხვა დროს უცხოური ენის გაკვეთილს სხვადასხვა მიზანი და სხვადასხვა შინაარსი ჰქონდა და, აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაც სხვადასხვანაირად ხდებოდა. თუ დაახლოებით ერთი საუკუნის წინ უცხოური ენის გაკვეთილის მიზანს გრამატიკული წესებისა და კლასიკური ნაწარმოებების დაზუსტება და მათი თარგმნა წარმოადგენდა, დღეს მნიშვნელოვანია შესასწავლ ენაზე კომუნიკაცია და შესასწავლი ქვეყნის კულტურის სწორად აღქმა და დაფასება. ტრადიციული გაკვეთილისგან განსხვავებით დღეს მასწავლებელი გაკვეთილზე დომინანტის როლში კი არ არის, არამედ მოსწავლის დამხმარე პერსონა და საგაკვეთილო პროცესის ფასილიტატორია.

1. თანამედროვე სასწავლო პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს ისეთ შინაარსზე, რომელიც მოსწავლეებისთვის რაიმე ღირებულებას წარმოადგენს, მათ ინტერესს აღვივებს, ეხმარება მათ უცხო სამყაროს შემეცნებასა და გარკვევაში და იმავდროულად ახალი პერსპექტივიდან საკუთარი სამყაროს ახლებულ გააზრებას უწყობს ხელს.

2. საჭიროა ენის შემსწავლელთა აქტივირება. ენის შემსწავლელი უნდა აღქმულ იქნას როგორც თანასწორუფლებიანი და აქტიური პარტნიორი. თავისუფალი მეტყველების უნარ-ჩვევის განვითარება ამზადებს მოსწავლეებს არა მხოლოდ კომუნიკაციისთვის რეალურ სიტუაციაში, არამედ გაკვეთილის ფარგლებში მიმდინარე ინტერაქციისთვის.

3. უცხო სამყარო კლასში „იქმნება“ მხოლოდ გაკვეთილის დროს. ამიტომ აუცილებელია ტექნიკური საშუალებების (მედიების) გამოყენება მეცადინეობის პროცესში.

- ლაპარაკის უნარის განვითარება უნდა მიმდინარეობდეს არა გამეორებისა და იმიტაციის გზით, არამედ გააზრების პროცესზე დაყრდნობით. (ანუ აუცილებელია ენობრივ მოღვაწეობაზე გადასვლა)

4. აუცილებელია ყოველდღიური მეტყველების გათვალისწინება (დიალოგები) მეცადინეობის ფარგლებში, რადგან უკანასკნელ დროს, სულ უფრო მეტი დრო ეთმობა წერითი მეტყველების და კითხვის კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებას.

- სწავლების განსხვავებული სოციალური ფორმები, რომელთა მიზანია ინტერაქციის ხელშეწყობა (მუშაობა წყვილებსა და ჯგუფებში)

5. წინასამეტყველო სავარჯიშოების ტიპების მრავალფეროვნება

6. უცხო ენაზე ლაპარაკის უნარი უნდა აიგოს არა დიალოგიზირების უნარზე, არამედ თემაზე ლაპარაკის - დისკუსიის სახით.

ბანალურია, მაგრამ უცხო ენაზე ლაპარაკის სწავლა შესაძლებელია მხოლოდ უცხო ენაზე ლაპარაკით. თუ მეცადინეობის მიზანი მეტყველების უნარის განვითარებაა, მაშინ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საშუალება, ილაპარაკოს უცხო ენაზე. „ენის როგორც კომუნიკაციური ქმედების სწავლება ბევრად უფრო ეფექტურია „კომუნიკაციური“ ან „ინტერაქტიური“ გაკვეთილის დროს, რომელიც ჯგუფის რეალური სიტუაციიდან გამომდინარე იძლევა ავთენტური მეტყველების საშუალებას და რომელშიც მოსწავლეები საკუთარი თავს როგორც მთელ პიროვნებას აქსოვენ“.

ზეპირმეტყველების განმავითარებელი სტრატეგიები/აქტივობები საშუალო საფეხურზე

საწყის ეტაპზე მოსწავლეები ისრუტავენ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელსაც გადავცემთ, ამიტომ მნიშვნელოვანია გამოვუმუშაოთ მათ სწორი წარმოთქმის უნარი. თანამედროვე სახელმძღვანელოთა უმრავლესობას თან ერთვის კომპაქტ დისკები (CD) აუდიო და ვიდეო მასალით, სახალისო ტექსტებით და გახმოვანებებით. მოსმენის პროცესში მოსწავლეები იმეორებენ სიტყვებს და აკეთებენ გმირების იმიტაციას. მოსწავლეებს უვითარდებათ როგორც მოსმენის, ასევე სწორი წარმოთქმის უნარიც, რაც მნიშვნელოვანია ზეპირმეტყველებისთვის. სურვილის შემთხვევაში ისინი ინაწილებენ როლებს და ახორციელებენ შესაბამის აქტივობას. გასათვალისწინებელია, რომ ამ ეტაპზე მოსწავლეები უფრო ექსტროვერტები არიან და უყვართ თავიანთი ინგლისურით თავის წარმოჩენა.

1. როლური თამაში (role- playing)

როლური თამაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ნაყოფიერი მეთოდია ზეპირმეტყველების განვითარებისთვის. იგი წარმოადგენს რომელიმე სიტუაციის მოდელირებას, სადაც მოსწავლეები ირჩევენ შესაფერის როლებს და მოქმედებენ ამ როლის შესატყვისად საკუთარი ინტერპრეტაციით. როლური თამაში ხელს უწყობს საკითხის ღრმად წვდომას, მასალის ხანგრძლივი დროით დამახსოვრებას და ზრდის მათ ჩართულობასა და მოტივაციას. როლური თამაშისთვის მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს მოამზადებინოს სცენარი ან გეგმის მარტივი მონახაზი და დაეხმაროს როლების გადანაწილებაში. შესაძლებელია კითხვები წინასწარ დაიგეგმოს მოსწავლეების ასაკის და შესაძლებლობების გათვალისწინების მიხედვით.

2. გამოკითხვა წყვილებში (peer-interview)

გამოკითხვა წყვილებში საუკეთესო სტრატეგიაა სწავლების ნებისმიერ ეტაპზე, როცა მოსწავლეებს ათვისებული აქვთ საბაზო ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები. საწყის ეტაპზე სასურველია მოსწავლეებს მიაწოდოთ გამზადებული კითხვები ჰენდაუტების სახით ამა თუ იმ თემის ირგვლივ. მოსწავლეები იყოფიან 2 ჯგუფად, ინტერვიუერი და რესპონდენტი, ისინი აწარმოებენ გამოკითხვას და აკეთებენ რეპორტს მოპოვებული ინფორმაციის წარდგენით. შესაძლებელია როლების გაცვლა. საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს აქვთ საკმარისი გამოცდილება თვითონ შეადგინონ კითხვები, რომლებსაც გამოიყენებენ ინტერვიუსთვის. კითხვები შეიძლება კავშირში იყოს როგორც ლექსიკურ თემატურ ერთეულთან, ასევე გრამატიკულ მასალასთან. აქტივობის ბოლოს მოსწავლეები ავსებენ ურთიერთდაკვირვების და თვითშეფასების რუბრიკას, რომლის საშუალებით მათ შეეძლებათ შეაფასონ საკუთარი ცოდნა, გამოავლინონ ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც დაეხმარება მათ შემდგომი სწავლის დასაგეგმად.

3. მთხრობელობა (story-telling)

მთხრობელობა სალაპარაკო უნარის განვითარებასთან ერთად მოსწავლეებში სოციალური და ემოციური უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს, ზრდის მათ შემოქმედებითობას, ფანტაზიის უნარს, პროდუქტულობას და თავდაჯერებულობას. არსებობს მრავალფეროვანი სხვადასხვა აქტივობები,

რომლებიც ხელს უწყობს მთხრობელობის გაუმჯობესებას. წარმოგიდგენთ ჩემ მიერ სასწავლო პროცესში გამოყენებულ ერთ-ერთ აქტივობას. მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს 4/5 კაციან ჯგუფებად, აწვდის მათ თემებს. მაგ. ჩემი ოცნების ქალაქი (my dream city), ჩემი საუკეთესო გასული არდადეგები (my best past vacation). მოსწავლეები ირჩევენ მათთვის სასურველ თემას და ამზადებენ ერთწუთიან საუბარს რუბრიკის მიხედვით (მოსწავლეებს წინასწარ ურიგდებათ რუბრიკები, რომლებშიც მოცემულია ის კომპონენტები, რაც უნდა გაითვალისწინონ მათ საუბრის მომზადების პროცესში (კომპონენტები: 1. საუბრის ხანგრძლივობა, 2. შინაარსი მრავალფეროვანი ლექსიკური ერთეულების გამოყენება 3. მკაფიო და გასაგები საუბარი 4. ქესტიკულაცია და ა.შ.)

თითოეული ჯგუფი ირჩევს საუკეთესო თემას და თემის ავტორს უწევს კლასის წინაშე საკუთარი თემის მოყოლა. პრეზენტატორი ფასდება რუბრიკის მიხედვით.

4. დისკუსია/დებატები (discussions/debates)

დისკუსია 21-ე საუკუნის ყველაზე გავრცელებული საგანმანათლებლო მეთოდია, რომელიც ზეპირმეტყველების განვითარებასთან ერთად ხელს უწყობს მოსწავლეებში ფიქრის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას. არსებობს თავისუფალი დისკუსია (free discussion), რომელშიც მასწავლებლის აქტიურობა მინიმალურია და დამკვირვებლის როლით შემოიფარგლება და სტრუქტურირებული (structured discussion), რომელშიც მოსწავლეების როლი და ფუნქციები წინასწარ არის განსაზღვრული, შემუშავებულია წესები და მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის ფუნქციას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სადისკუსიო თემის/კითხვების შერჩევა დიდ სიფრთხილეს და დაკვირვებას მოითხოვს, ვინაიდან სასაუბრო თემატიკა უნდა განისაზღვრებოდეს მოსწავლეების ინტერესების და შესაძლებლობების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი აქტივობა საინტერესო და სახალისოცაა, ვინაიდან ეს აქტივობა მოითხოვს ფიზიკურ მოძრაობას, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას თავი დააღწიონ მერხებთან ჯდომის მომაბეზრებელ რუტინას.

დასკვნა

უცხოური ენის სწავლების პროცესში სამეტყველო უნარებს შორის მეტყველების უნარის განვითარება გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მეტყველების უნარის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს უცხოენოვანი გარემოს შექმნა, ინსტრუქციების მიცემა სამიზნე ენაზე ბავშვებისათვის მარტივად გასაგები ლექსიკური ერთეულებით და სხვადასხვა დამხმარე რესურსით; უცხო ენის გაკვეთილზე მშობლიური ენის გამოყენების მინიმუმამდე დაყვანა, რადგან მისი გადაჭარბებული გამოყენება ხელს უშლის უცხო ენაზე კომუნიკაციური უნარის განვითარებას. სამეტყველო უნარის განვითარების დაწყებისას, უცხო ენაზე მოცემული ინსტრუქციის მოთხოვნები თავდაპირველად მოსწავლეებისათვის გაუგებარია, მაგრამ სათანადო ქესტების, მიმიკების, ინტონაციების და მეტყველების სხვა არავერბალური საშუალებების, ილუსტრაციების, ნახატების, პოსტერების, დასურათებული ბარათების გამოყენება მოსწავლეებს უმარტივებს ახალი სიტყვების აღქმას და დამახსოვრებას.

ინგლისური ენის სწავლება/სწავლის პროცესის ეფექტურად წარმართვას ხელს უწყობს პედაგოგის ზრუნვა დადებითი სასწავლო ატმოსფეროსა და უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე. სწორად შერჩეული სასწავლო მეთოდები, მიმზიდველი სასწავლო გარემო მოსწავლეს უღვიძებს ცნობისმოყვარეობას, ცოდნისმოყვარეობას, აზროვნებას, ფიქრისა და ახლის აღმოჩენის უნარს. ენის შესწავლის ხელშემწყობი პირობების შექმნისათვის, შინაგანი მოტივაციის ამაღლებისათვის მასწავლებლები სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ: დავალების მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით შერჩევა, ზოგჯერ არჩევანის უფლების მინიჭება, თამაშის ტიპის სახალისო აქტივობებში ჩართვა სასწავლო პროცესში, წერილობითი ან სიტყვიერი შექება, პიროვნული ურთიერთობები. სწავლება საინტერესო ხდება, როცა გაკვეთილზე ყურადღების კონცენტრაციისა და განტვირთვის ფაზები ერთმანეთს ენაცვლება, მონოტონურობა და ერთფეროვნება მოსაწყენია, იწვევს მოსწავლეთა დემოტივირებას. მეთოდების ცვალებადობას ახალი იმპულსები შემოაქვს სასწავლო პროცესში.

მრავალფეროვანი და მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდები ხელს უწყობს ცოდნის შეძენას, გაგებას, გააზრებას, პრაქტიკაში გამოყენებას, მოსწავლეთა ურთიერთობის, თანამშრომლობის სტიმულირებას. სწავლება საინტერესო ხდება, როცა გაკვეთილზე ყურადღების კონცენტრაციისა და განტვირთვის ფაზები ერთმანეთს ენაცვლება. მეთოდების ცვალებადობას ახალი იმპულსები შემოაქვს სასწავლო პროცესში. ამრიგად, სწორად შერჩეული სასწავლო მეთოდები, მიმზიდველი სასწავლო

გარემო მოსწავლეს უღვიძებს ცნობისმოყვარეობას, ცოდნისმოყვარეობას, აზროვნების, ფიქრის და აღმოჩენებისაკენ უბიძგებს მათ.

ლიტერატურა:

1. www.mastsavlebeli.ge – „ზეპირმეტყველების განმავითარებელი სტრატეგიების გამოყენება საბაზო/საშუალო საფეხურზე“
2. www.mastsavlebeli.ge - ე. შავერდაშვილი, „თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილი“, 2013.
3. ი. მინდაძე, „კომუნიკაციური დიდაქტიკა და დისკუსია, როგორც სწავლების ფორმა“, ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2006.
4. ე. ძამიაშვილი, „მოსასმენი მასალის მიწოდების და განმტკიცების გზები“, თელავი, 2014; ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი - „დისკუსია ნაცნობ თემაზე“

Mariam Makhatadze

LEPL Gori Municipality Village Dzevera Aleksandre Javakhishvili Public School

DIFFICULTIES OF ORAL SPEECH IN THE ENGLISH LANGUAGE AND THE METHODS TO IMPROVE PUPILS' SPEAKING SKILLS RESUME

Developing speaking skills are one of the most important factors in teaching foreign language. It is the main source of communication. The development of this ability is also problematic, because besides the planning suitable activities, it is also necessary to take into account the students social skills like:

- ✓ Self-confidence
- ✓ Self-esteem
- ✓ Motivation

The development of speaking skills are accompanied by lots of obstacles, for example: fear or shyness, which in its own way, may be caused by not knowing lexical or grammatical structures. Therefore, when a teacher chooses activities for developing speaking skills, he/she should take into account students' social and emotional level of development. Besides the interesting activities, creation of calm study environment is one of the most important part. Students should always feel teachers loyalty and support, where he/she will not have fear to make some mistakes.

ნინო ოქროპირიძე

სსიპ ქალაქ გორის N4 საჯარო სკოლა

წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული სირთულეები დაწყებით კლასებში და მათი დაძლევის გზები

განათლების რეფორმა ითვალისწინებს კრიტიკულად მოაზროვნე, ჯანსაღ კონკურენტულ გარემოში, წარმატებულ ცხოვრებაზე ორიენტირებული მოზარდის აღზრდასა და ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლემ შეძლოს, კონკრეტულ სიტუაციაში დამოუკიდებლად გადაამუშაოს ინფორმაცია, იაზროვნოს კრიტიკულად და მიიღოს გადაწყვეტილებები. იმისათვის, რომ მოზარდმა საფუძვლიანი განათლება მიიღოს, საჭიროა ადრეიდანვე ვიზრუნოთ მისი მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. ამ მიზნის მისაღწევად მოსწავლე უნდა დაეუფლოს კომუნიკაციისა და წიგნიერების ფუნდამენტურ უნარებს, რასაც საფუძველი ეყრება დაწყებით კლასებში.

პიროვნების კულტურა, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარები სწორედ მშობლიური ენის საფუძვლიანად სწავლებისას ყალიბდება. ენობრივი უნარ-ჩვევები წარმოადგენს ერთ მთლიან სისტემას,

რამაც ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების პირადი, ცხოვრებისეული, სოციალური თუ პროფესიული სირთულეების დამოუკიდებლად დაძლევის, ვინაიდან ქართული ენა მხოლოდ დამოუკიდებელი საგანი კი არ არის, არამედ სხვა საგნების შესწავლის საშუალებაცაა. მაშასადამე, მშობლიური ენის სწავლების ძირითად პრინციპს წარმოადგენს ადამიანის თვითრეალიზაცია და თითოეულ მოსწავლეში არსებული უნიკალური პოტენციალის გამოვლენა.

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით ძირითადი ყურადღება ეთმობა წიგნიერებას. წიგნიერება ნიშნავს კითხვისა და წერის ცოდნას, მრავალფეროვანი მხატვრული, ინფორმაციული, შემეცნებითი და ყოფითი ტექსტების წაკითხვას, განხილვას, გადამუშავებასა და სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების უნარს. წიგნიერება მოსწავლეს ეხმარება პრობლემების მოგვარებაში, პიროვნულ განვითარებაში, თვითგამოხატვასა და თვითდამკვიდრებაში.

თანამედროვე ცხოვრებაში პრობლემას წარმოადგენს ბავშვის წიგნთან გაუცხოება. მათ წიგნების კითხვას კომპიუტერთან ჯდომა ან ლამაზი დიზაინით აღჭურვილი პლანშეტები თუ სმარტფონები ურჩევნიათ, სადაც ჩატვირთულია მრავალი უშინაარსო გასართობი თამაშები. ამ გასართობ თამაშებს შეჩვეული ბავშვებისათვის წიგნის კითხვა დიდ პრობლემას წარმოადგენს, რის შედეგადაც მათ არ აქვთ საკმარისი ლექსიკური მარაგი და მათში შეიმჩნევა დაბალი მეტყველების კულტურაც. ვფიქრობ, ეს ფაქტორები ერთ-ერთი წინაპირობაა წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებისათვის.

ჩატარებული კვლევებით ცნობილია, რომ თუ ტექსტში სიტყვების მნიშვნელობა ცნობილია, წინადადებებიც გასაგებია. ასევე, დადგენილია, რომ თუ სიტყვების ხუთ პროცენტზე მეტი გაუგებარია, მკითხველს ფლუსტრაცია ეუფლება.

დასაფიქრებელია, თუ რა განსხვავებაა ტექსტის წაკითხვასა და გაგება-გააზრებას შორის. ზოგჯერ სიტყვებს ავტომატურად ვშიფრავთ და თითოეულ მათგანს მყისიერად ვანიჭებთ შესაბამის მნიშვნელობას, გამთლიანებასა და კონკრეტული აზრის ჩამოყალიბებას კი მაინც ვერ ვახერხებთ.

დამერწმუნეთ, ეს მეტად მტანჯველია თითოეული ჩვენგანისათვის და განსაკუთრებით დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის.

გააზრების გარეშე წაკითხვა წაკითხვა არ არის. დაწყებით კლასებში ხშირია შემთხვევა, როცა ბავშვი სწორად კითხულობს სიტყვებს, მაგრამ შინაარსთან დაკავშირებით ვერაფერს ამბობს. ასეთ შემთხვევას შეიძლება რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს:

1. მოსწავლე ხარჯავს დიდ ენერგიას სიტყვების ამოსაცნობად და ბგერების წარმოსათქმელად (ამას გაუწაფავ კითხვას ვეძახით);

2. მოსწავლეს იმდენად არ აინტერესებს ტექსტის თემა და შინაარსი, რომ ვერ ახერხებს ინფორმაციაზე კონცენტრირებას (ეს მოტივაციის არ ქონაა);

3. ზოგჯერ ტექსტი იმდენად რთულია, რომ მოსწავლეს უჭირს აზრის გამოტანა და ერთმანეთზე გადაბმა (ეს არის კითხვის დონესა და ტექსტის კითხვადობას შორის შეუსაბამობა).

კითხვისა და გააზრების პროცესი მჭირდროდაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული და თითქმის ერთდროულად მიმდინარეობს. განათლებული მოზრდილებისათვის კითხვა ერთიანი მარტივი პროცესია, ხოლო პატარა მკითხველებისათვის - მეტად რთული.

პატარების გარკვეული ნაწილისათვის კითხვის ძალისხმევა ძირითადად დეკოდირებაზე, ანუ სიმბოლოების გაშიფვრაზეა ორიენტირებული, ამიტომაც, გაგება-გააზრებისათვის მათ ნაკლები ენერგია რჩებათ.

წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება მარტივი პროცესი სულაც არ არის. ის ნებელობითი, ანუ შეგნებული პროცესია და იწყება წაკითხვამდე, მიმდინარეობს კითხვის დროს და წაკითხვის შემდეგაც გრძელდება.

როცა ბავშვი კითხულობს, მის გონებაში სინქრონულად მუშაობს რამდენიმე პროცესი:

1. ანბანური /ორთოგრაფიული/ პროცესი (ასოების აღქმა);

2. ფონოლოგიური პროცესი (აღქმულ სიტყვებს გონებაში ახმოვანებს);

3. სემანტიკური პროცესი (თითოეულ დეკოდირებულ სიტყვას მნიშვნელობას ანიჭებს);

4. სინტაქსური-გრამატიკული პროცესი (სიტყვებს ალიქვამს და აერთიანებს სხვა სიტყვებთან წინასწარ განსაზღვრული გრამატიკული წესების მიხედვით);

5. კონტექსტური პროცესი (აერთიანებს სიტყვებსა და ფრაზებს, აყალიბებს ვარაუდებს მომდევნო სიტყვისა და აზრის შინაარსის შესახებ).

გაგება-გააზრების უნარების დაუფლებას სემანტიკური და კონტექსტური პროცესის შეთანხმებული მუშაობა განაპირობებს და თუ რომელიმე პროცესი შეფერხდა, სააზროვნო ენერგია ასო-ბგერების დამუშავებაზე იხარჯება, მაშინ შინაარსის წვდომისთვის საჭირო ენერგია ნაკლებია და ვერ ხერხდება გაგება-გააზრებაზე ორიენტირება.

კითხვაზე, თუ როგორ ვითარდება გაგება-გააზრების უნარი, პასუხის გასაცემად საჭიროა ვიცოდეთ იმ ძირითადი სტრატეგიების გამოყენება, რომლებიც ტექსტის გაგება-გააზრებისათვის მეტად მნიშვნელოვანი და უწყვეტი პროცესია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრული ტექსტების გააზრება მნიშვნელოვნად განსხვავდება საბუნებისმეტყველო და სამეცნიერო ტექსტების გააზრებისაგან.

კვლევებით დადგენილია, რომ ის მკითხველები, რომლებიც კითხვისას მრავალ კოგნიტიურ სტრატეგიებს, მათ შორის, წაკითხულის სცენარებით წარმოსახვასა და წარმოდგენას იყენებენ, რაც გულისხმობს მოქმედებების, პერსონაჟების, სიტუაციების ვიზუალიზაციას, ძლიერი უნარებით გამოირჩევიან და ადვილად ართმევენ თავს ტექსტის გააზრებას. მათ, ტექსტის წაკითხვისას უჩნდებათ კითხვები, ცდილობენ გამოასწორონ დაშვებული შეცდომები და თავიდან გასცნენ სწორი პასუხები, კითხვისას აკონტროლებენ, რა გაიგეს და რა ვერა, წაკითხულს კრიტიკულად იაზრებენ, შეუძლიათ წაკითხულის შეჯამება, შეფასება და ვარაუდების გამოთქმა.

ჩნდება კითხვა, რომელი სტრატეგიები უნდა გამოვიყენოთ, რათა ტექსტის გაგება-გააზრება გაუმჯობესდეს. ეს სტრატეგიებია:

- წინარე ცოდნის გააქტიურება (შეკითხვები: - რა ვიცით ამის შესახებ? - სად რა წამიკითხავს, ან რა მინახავს?);
- ვარაუდების გამოთქმა (შეკითხვები: - რა მოხდება შემდეგ? - რას იტყვის ავტორი ამის შესახებ?);
- ტექსტის სტრუქტურის დადგენა (შეკითხვები: - რა ტიპის ტექსტია? - თხრობითია, თუ ინფორმაციული? - რა ნაწილებისგან შედგება?);
- კავშირის დამყარება /პარალელების გავლება/. (შეკითხვები: - რასთან შეიძლება ამ მოვლენის ან იდეის დაკავშირება? - რა პარალელების გავლებაა შესაძლებელი?);
- შეკითხვების დასმა (ვინ? სად? როდის? რატომ? რისთვის? როგორ?);
- წარმოსახვა /ვიზუალიზება/ (შეკითხვები: - რას ვხედავ? როგორ გამოიყურება? რა ფერისაა?);
- შეჯამება და ძირითადი აზრის გამოკვეთა. (შეკითხვები: - რომელი ინფორმაციაა პირველხარისხოვანი? - როგორ შემიძლია ამის თქმა მოკლედ?);
- ჩაწვდომა /მიხედვრა/ დასკვნების გამოტანა. (შეკითხვები: - რამ გამოიწვია...? - რას შეიძლება ნიშნავდეს...? - რას გულისხმობს ავტორი?);
- თვითმონიტორინგი (შეკითხვები: - რომელი ადგილია გაუგებარი? - რა არის გაუგებარი? - რა გავაკეთო ამ ადგილის გასააზრებლად?);
- გაგება-გააზრების სტრატეგიის ეფექტურად სწავლება შეიძლება თანამშრომლობითი სწავლებითაც, რაც გულისხმობს მოსწავლეების წყვილებსა მცირე ჯგუფებში მუშაობას. (კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე. 2015 წ. გვ. 217)

მოსწავლეებს, რომლებსაც დაწყებით კლასებში კარგად არ აქვთ განვითარებული ტექსტის გაგება-გააზრების უნარ-ჩვევები, გაუჭირდებათ სწავლა სწავლების შემდგომ საფეხურზე (საბაზო-საშუალო). ამასთანავე, ამ უნარს მოკლებულ მოსწავლეებს, უჭირთ სწავლა ნებისმიერ საგანში. ვფიქრობ, სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი სწავლის დემოტივაციისა, რაც იწვევს შეფერხებას მოსწავლემ თვითრეალიზაცია მოახდინოს. მოსწავლეს, რომელსაც არ უჭირს ტექსტის გააზრება, ფლობს გააზრების სტრატეგიებს, არის მოტივირებული და მაღალი აკადემიური უნარებითაც გამოირჩევა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აღმოვაჩინე, რომ ჩემს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებთანაც შეიმჩნეოდა მსგავსი პრობლემა. კერძოდ, მოსწავლეთა ნაწილისთვის ჯერაც სიმძნელეს წარმოადგენდა ტექსტის გაგება-გააზრება და მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა. შერჩეული ტესტირებებიდან დასკვნების გამოტანის საფუძველზე მივხვდი, რომ მათ ლიტერატურულ ტექსტებთან შედარებით უფრო გაუჭირდათ საინფორმაციო ტექსტის გააზრება.

იმისათვის რომ პრობლემა გადამეჭრა, გადავწყვიტე, ჩამეტარებინა კვლევა. შევხვდი კოლეგებს და ვთხოვე გამოცდილების გაზიარება. მსჯელობისას გამოიკვეთა ამ პრობლემის სირთულე და დავადგინეთ, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ მოსწავლეები ვერ ფლობდნენ გაწაფულ კითხვას. შეხვედრაზე გამოიკვეთა ისიც, რომ მასწავლებლები ნაკლებად ვიყენებდით სწავლების ეფექტურ მექანიზმებს, რომელიც ხელს შეუწყობდა აღნიშნული პრობლემის მოგვარებას. გადავწყვიტე დამეგეგმა პრობლემის გადაჭრის გზა და გაკვეთილები დამეგეგმა ისე, რომ ხელი შეეწყო აღნიშნული პრობლემის მოგვარებას.

კოლეგებთან შეხვედრის შემდეგ გადავწყვიტე, შემემუშავებინა კრიტერიუმები იმ აქტივობებისთვის, რომლებსაც გამოვიყენებდი გაკვეთილზე ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. გადავწყვიტე დამეგეგმა პრობლემის გადაჭრის გზა და გაკვეთილები ჩამეტარებინა ისე, რომ ხელი შეეწყო აღნიშნული პრობლემის მოგვარებას. საშინაო დავალებად ისეთი სავარჯიშოები მიმეცა, რომლებიც ხელს შეუწყობდა კითხვის ტექნიკის გაუმჯობესებას, ლექსიკური მარაგით გამდიდრებასა და სხვა, რაც, თავის მხრივ, გააუმჯობესებდა გაგება-გააზრების ეფექტურად დაუფლებას.

- გადაწყვეტილება სისრულეში მოვიყვანე და ახლებურმა მიდგომამ სემესტრის ბოლოს გამოავლინა პირველი დასკვნა. მოსწავლეთა იმ ნაწილიდან, რომელთაც უჭირდათ ტექსტის გაგება–გააზრება, რამდენიმემ შეძლო დამოუკიდებლად გაეცათ პასუხი კითხვებზე, მაგრამ საბოლოო მიზანი ჯერ კიდევ მიუღწეველი იყო, ვინაიდან კიდევ იყვნენ მოსწავლეები, რომელთაც ვერ აითვისეს გაგება–გააზრების უნარი სრულყოფილად. სწორედ ამიტომ გადაწყვიტე უფრო ღრმად შემესწავლა ეს საკითხი. რატომღაც საინტერესო და მიმზიდველი გახდა ჩემთვის აღნიშნული თემა და მასთან დაკავშირებული წინააღმდეგობების გამოწვევი მიზეზების გადაჭრის გზის მიგნება.

- იმის შემდეგ, როცა დავინახე პრობლემა, ჩამოვაყალიბე მიზანი, მიზნის მისაღწევად გადასადგმელი ნაბიჯები და ამოცანები. ამისათვის საჭირო გახდა მომეძიებინა, გავცნობოდი და კარგად შემესწავლა შესაბამისი ლიტერატურა, ასევე შემემუშავებინა სამოქმედო გეგმა.

- როგორც უკვე ბევრჯერ აღვნიშნე, კვლევის მიზნად დავისახე IV კლასში ტექსტის გაგება–გააზრებასთან დაკავშირებული მთავარი მიზეზები და პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზები.

- კვლევის ამოცანები კი მდგომარეობს შემდეგში:

1. ინტერვენციების დასახვა და თითოეული შედეგის ანალიზი;
2. რესურსების დადგენა, რომელიც გაამარტივებს ტექსტის აღქმას;
3. კითხვების მომზადება მოსწავლეებისათვის, მათი მშობლებისა და მასწავლებლებისათვის;
4. მონაცემთა შეგროვება და მათი გაანალიზება;
5. შედეგების მიხედვით დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
6. მიღებული შედეგების კოლეგებთან გაზიარება.

პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზად კი მივიჩნეე:

1. მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული მეთოდებით მუშაობა;
2. გაკვეთილებისა და კლასის საათის დაგეგმვა ისეთი მრავალფეროვანი და სახალისო აქტივობებით, რომლებიც ხელს შეუწყობდა ტექსტის უკეთ გაგება–გააზრებას;
3. ინფორმაციული ტექსტების წაკითხვა დისკუსიებისა და საუბრების მოწყობა;
4. საუბრები მშობლებთან და მშობელთა ჩართულობის გაძლიერება მოზარდის კოგნიტური უნარების განვითარებაში.

შემუშავებულ კითხვებზე პასუხების მიღების შედეგად მიღებული შედეგები ასეთია:

მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა პრობლემის გამოწვევი შესაძლო მიზეზები:

1. ზოგიერთი მოსწავლისათვის მოცემული ტექსტები რთულია და აღემატება მის შესაძლებლობებს;
2. ზოგიერთი მოსწავლისათვის მოცემული ტექსტები ძალიან დიდია, რაც მოითხოვს დროსა და ენერგიას;
3. ზოგიერთი მოსწავლისათვის მოცემული ტექსტები უინტერესოა და არ აქვს არჩევანის თავისუფლება;
4. არ არის გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და დიდაქტიკური თამაშები, რომელიც ხელს შეუწყობს ტექსტის გააზრებას.

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტის გაგება–გააზრება მნიშვნელოვანი პრობლემაა, უნდა ითქვას, რომ ის დაძლევადა, თუ ზუსტად განვსაზღვრავთ პრობლემის მიზეზებს და სწორად შევიმუშავებთ მისი დაძლევის გზებს.

ლიტერატურა:

ეროვნული სასწავლო გეგმა (საგნობრივი პროგრამები. ქართული ენისა ლიტერატურის სტანდარტი)

წიგნიერების საერთაშორისო კვლევა (2006–2011 წ.)

კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I–VI კლასები), G-PREID 2015 წ.

Mastsavlebeli.Ge 9 მარტი, 2015 წ. ვერიკო სომხიშვილი. „საინფორმაციო ტექსტების გაგება–გააზრება“

Nino Okropiridze
Gori №4 Public School

**DIFFICULTIES CONNECTED WITH THE TEXT UNDERSTANDING AND ANALYSING IN
PRIMARY CLASSES AND THEIR SOLUTION WAYS
RESUME**

The thesis is about the problem that I have encountered many times during my pedagogical practice and I think this problem still remains even today.

The thesis shows reasons why is that when a child reads words correctly but says nothing about the content. It also lists the processes that facilitate synchronous reading in a child's mind. There are also shown ways how the ability to understand the text develops in adults. Here are some strategies which helps students to improve their understanding skills. The reasons of demotivation learning are identified, which leads to trouble of self-realization. But the student, who does not have difficulty in understanding the meaning of the text and masters strategies of understanding - is motivated and has high academic skills.

Based on the relevant literature review and analysis of the results of my research, specific conclusions and recommendations are given.

პაატა ქურდამე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
თამარ რემიშვილი
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია

**პიროვნების ფორმირებაზე მოქმედ ფაქტორთა ანალიზი
თანამედროვე ქართულ სოციალურ რეალობაში**

მოცემული სტატიის საგანს წარმოადგენს იმ ძირითად ფაქტორთა კვლევა და ანალიზი, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ პიროვნების ფორმირებაში თანამედროვე ქართულ სოციალურ გარემოში. აქედან გამომდინარე ჩვენი მიზანია გამოვავლინოთ პიროვნების ფორმირების პროცესში იმ მიზეზების წარმოშობისა და რაობის საკითხები, რომელნიც იწვევენ გარკვეულ ცვლილებებს პიროვნებაში, მის ფორმირებაში, სოციალური გარემოს ცვლილებებისა და განვითარების ფონზე. ყოველივე ამისათვის აუცილებელია დავადგინოთ ის ფაქტორები, რომელნიც ახდენენ პიროვნებაზე ზემოქმედებას, გამოვიკვლიოთ მათი სოციალური ბუნება, გამოვყოთ მათგან ის ფაქტორები, რომელნიც უფრო მეტი ხარისხით მოქმედებენ პიროვნებაზე და მის განვითარებაზე.

სანამ დავიწყებდეთ საუბარს კონკრეტული კვლევის საგნის შესახებ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავიხსენოთ პიროვნების განმარტების რამდენიმე ვარიანტი. მათგან ჩვენ მოვიყვანთ, მხოლოდ ისეთებს რომელნიც დაკავშირებულია სოციალურ პოზიციებიდან პიროვნების გაგებასთან. პიროვნება - ეს არის ადამიანი, რომელიც ავლენს აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას და აქვს პასუხისმგებლობა თავის არჩევანზე და მოქმედებაზე. პიროვნება - არის სიძნელეების დამლევისა და ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად სოციალურად ჩამოყალიბებული ინდივიდი. პიროვნება - ეს არის ინდივიდის იმ ღირებულებათა ერთობლიობა, რომელიც მას შეძენილი აქვს სოციალური წევრად ჩამოყალიბების პროცესში. ამ განმარტებიდან ჩანს, რომ ადამიანის, ინდივიდის პიროვნებად ფორმირებაში ადამიანის მემკვიდრეობით თანდაყოლილ ფსიქო-ფიზიკურ უნარებთან ერთად უდიდესი როლი ენიჭება **მემკვიდრეობას, გარემოს, და აღზრდას**. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი არ იბადება პიროვნებად. პიროვნებად ის ყალიბდება ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გავლენით. ეს პროცესი მეტად ხანგრძლივი და რთულია. ადამიანზე მოქმედებს უამრავი ფაქტორი, ან უფრო სწორი იქნება ითქვას ფაქტორთა ერთობლიობა, ფაქტორთა მრავალფეროვანი სპექტრი. ეს შეიძლება ითქვას უწყვეტი პროცესია

და იგი გრძელდება ადამიანის სიცოცხლის ბოლომდე. ადამიანი ინდივიდი, როგორც პიროვნება მუდმივ განვითარებაში და ცვალებადობაშია. მისი პიროვნულობის აღმწერი ღირებულების ცვლილებასთან ერთად, ცვლილებას განიცდის თვითონ პიროვნებაც და მისი პიროვნულობის ხარისხი. აი რას წერს ამის შესახებ პიროვნების ფსიქოლოგის მკვლევარი ცნობილი ფსიქოლოგი კარლ იუნგი: „ჩვენ სისტემატურად ვიგებთ ჩვენს შესახებ რაღაც ახალს. წლიდან წლამდე გვებსნება რაღაც ისეთი, რაც ჩვენ ადრე არ ვიცოდით. ჩვენ ყოველთვის გვეჩვენება, რომ აი ახლა უკვე ჩვენი აღმოჩენები დასრულდა, მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება. ჩვენ აღმოვაჩენთ ჩვენში ხან ერთ ხან მეორე ისეთ რაღაცას, რაც იწვევს ჩვენში გაოგნებას. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ყოველთვის რჩება ჩვენს პიროვნულში რაღაც ნაწილი, რომელიც კვლავ შეუცნობადია, რომელიც ჯერ კიდევ იმყოფება ფორმირებაში. ჩვენ დაუსრულებელი ვართ; ჩვენ ვიზრდებით და ვიცვლებით. თუმცა ის მომავალი პიროვნება, რომელიც ჩვენ როდესღაც გავხდებით, უკვე არის ჩვენში. უბრალოდ ის ჯერ კიდევ რჩება ჩრდილში. ეს არის ფილმში მორბენალი კადრის მსგავსი. მომავალი პიროვნება არ მოჩანს, მაგრამ ჩვენ ვაგრძელებთ წინსვლას, სადაღაც უკვე ეს-ეს არის გამოჩნდება მისი კონტურები. ასეთია „ეგ“-ოს ბნელი პოტენციალი. ჩვენ ვიცით როგორები ვიყავით, მაგრამ არ ვიცით როგორები გავხდებით“. (5. გვ. 177)

სწორედ იმისათვის, რაც გვინდა რომ გავხდეთ, ანუ როგორ დაკვეთასაც იძლევა ქვეყნის სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, თუ როგორი მოქალაქე, როგორი პიროვნებისაგან შემდგარი საზოგადოება სჭირდება სახელმწიფოს, ერს. ეს არის განმსაზღვრელი იმისა, თუ როგორ შედეგზე უნდა გავიდეთ. პიროვნულ ფორმირებაში ხსენებულ ცვლილებების ფონზე, მეტად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რა ფაქტორები ახდენენ გავლენას ჩვენი მიზნის მიღწევაზე პიროვნული ზრდის გზაზე.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, პიროვნების სულიერი სამყარო, მისი შეხედულებები, მოთხოვნილებანი და ინტერესები, მისი ნიჭის მიმართულება და რეალიზაცია ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ პირობებში მიმდინარეობს მათი ფორმირება ბავშვობისა და მოზრდილობის პერიოდში. ახლად დაბადებული ბავშვი თანდათანობით ყალიბდება პიროვნებად სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით. აქედან შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი ფაქტორი: **მემკვიდრეობა, გარემო და აღზრდა**. ისინი შეიძლება გავაერთიანოთ ორ ძირითად ჯგუფში. ა) ბიოლოგიური და ბ) სოციალური.

მემკვიდრეობითი არის ის, რაც მშობლებიდან გადაეცემა ადამიანს ის, რაც კოდირებულია გენში. მემკვიდრეობითი პროგრამა მოიცავს მუდმივ და ცვალებად კომპონენტებს. მუდმივი ნაწილი მემკვიდრეობითი პროგრამის განაპირობებს ადამიანების გამრავლებას, ხოლო ამ პროგრამის ცვლადი ნაწილი ეს სწორედ არის ის, რაც იწვევს ადამიანების მსგავსებას თავიანთ მშობლებთან.

ახლად დაბადებული ადამიანი ჯერ არ არის პიროვნება. მისი „მე“ და სახელი, იდეები, რელიგიური შეხედულებანი, მრწამსი და რწმენა, მორალური შეგონებანი, მანერები და ადათი, საქმიანობა, ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა, ესთეტიკური გემოვნება, ცხოვრებისეული გზა ჯერ არ არის გამოკვეთილი. ის შეიძლება შევადაროთ ფონოგრაფს, რომელზეც შეიძლება გავახმოვანოთ ნებისმიერი მუსიკა ჩანაწერი (ეს შეიძლება ჯ. ლოკის „სუფთა დაფასაც“ შევადაროთ). (1. გვ. 88) ამდენად შეიძლება ითქვას, რომ პიროვნებად ფორმირება ორივე ფაქტორზე არის დამოკიდებული, როგორც მემკვიდრეობითზე, ასევე გარემოდან, სოციალიზაციიდან შეძენილზე, აღზრდაზე. იგულისხმება, რომ აღზრდაში მონაწილეობს სოციალისმის ყველა კომპონენტი: ოჯახი, სკოლა, თემი, საზოგადოება, ეროვნული მრწამსი, რწმენა ადათები და ჩვეულებები, ეროვნული მენტალიტეტი. ყოველივე ეს განაპირობებს პიროვნების შემდგომ ცხოვრებისეულ გზას, მის ქმედებებს და მოღვაწეობას. ამ მიმართებით საინტერესოა რიგი ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური თეორიები, რომელთაგან ჩვენ გამოვყოფთ შემდეგს: ბიჰევიორიზმი (ბიჰევიორიზმი ინგლისურიდან behavior - ქმედება), შეისწავლის ადამიანის შემეცნებას და ქმედებას. ყველაფერი ის, რაც გააჩნია ადამიანს, ინდივიდს, პიროვნებას. ბიჰევიორისტული კონცეფციის მიხედვით ადამიანი პირველ რიგში აღიქმება, როგორც რეგულირებადი სწავლისადმი დაქვემდებარადი არსება, რომელიც დაპროგრამებულია ამა თუ იმ რეაქციებზე, ქმედებებზე და ქცევებზე. (5. გვ. 70) აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანი, პიროვნება არის რეზულტატი ადამიანის მიერ ცხოვრების წესების შესწავლისა. მეტად საინტერესოდ იქნა წარმოდგენილი ნეობიჰევიორისტულ კონცეფციაში, რომლის მიხედვითაც პიროვნება არის უბრალო ნაკრები სოციალურად მისაღები პასუხებისა ცხოვრებისეულ გამოწვევებზე და ადამიანის ცხოვრებისეულ მამოძრავებელ სტიმულებზე. (5. გვ. 77) მეტად მნიშვნელოვანია პიროვნების ფორმირებაში ეგრეთწოდებული ინდივიდის სოციალური მოთხოვნილებანი. ცხოვრების წინ სვლას და განვითარებას თან სდევს ახალი, სხვადასხვა სახის მოთხოვნილებების წარმოშობა, რომლის ხარჯზეც გარკვეულწილად მიმდინარეობს პიროვნების განვითარება. ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია რიგი პრობლემების გადაწყვეტასთან. სწორედ ამ პრობლემების გადაწყვეტაში ყალიბდება ადამიანი, როგორც პიროვნება. სოციალური პრობლემების გადაჭრაში თითოეულ ადამიანს, ინდივიდს აკისრია საზოგადოებაში გარკვეული როლი, რომელიც

განპირობებულია კონკრეტული პიროვნების ინდივიდუალური უნარების თავისებურებებით. ყოველივე ამის მიხედვით განისაზღვრება პიროვნების სოციალური ფუნქცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პიროვნების სოციალური როლი გვევლინება ადამიანის სოციალურ ფუნქციად, რომელიც შესაბამისობაშია ადამიანის მდგომარეობასთან მოცემულ სოციალურ გარემოში. საზოგადოებაში ადამიანის როლისა და ფუნქციის შესახებ მნიშვნელოვანი მოსაზრებანი იქნა გამოთქმული მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ამერიკელი მკვლევრის ჯონ მიდის მიერ. (4, გვ. 83) მისი აზრით ადამიანი დაბადებიდანვე სწავლობს მრავალი როლის თამაშს, რომელთა არსებობა საზოგადოებაში შედეგია ამავე საზოგადოების მოთხოვნილებებისა და თავისებურებებისა, ანუ ეგრეთწოდებული „როლური განრიგით“. ნებისმიერ სოციალურ ჯგუფში პიროვნების მიმართ არსებობს გარკვეული როლური მოლოდინები, ანუ უბრალოდ როლები. სოციალური ჯგუფი ამ როლებს ანაწილებს იმის მოლოდინებით, რომ პიროვნება არ მოვა კონფლიქტში მოცემულ როლთან, შეასრულებს აუცილებელ მოთხოვნებს და ამით ხელს შეუწყობს ნორმალურ ცხოვრებას და მოღვაწეობას როგორც თავის პიროვნულში, ისე სოციალურ მიმართებაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიროვნების ფორმირებაზე ძირითადად ზეგავლენას ახდენს შემდეგი სამი სახის ფაქტორი: მემკვიდრეობა, გარემო და აღზრდა. აქედან პირველი ბიოლოგიური ფაქტორია, ხოლო დანარჩენი ორი სოციალური. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე თანამედროვე ქართულ სახელმწიფოებრივ რეალობაში.

მემკვიდრეობითი - ბიოლოგიურად და გენეტიკურად ჩვენი სახელმწიფოს დიდი ნაწილი ვართ ქართული გენის მატარებლები (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ პატივს ვცემთ ყველა ეროვნების წარმომადგენელ საქართველოს მოქალაქეებს, მათ წარმომავლობას და მრწამსს. თან დავძენთ, ძალიან კარგი იქნება, თუ ჩვენ მივბაძავთ მათ ცხოვრებისეულ დადებით უნარებს და ჩვევებს). აქ არ ვისაუბრებთ ქართული გენის დადებით მხარეზე, ამჯერად გვინდა გავაანალიზოთ ჩვენში არსებული ნეგატიური, რაც თავის დროზე ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა და მწერლებმა კარგად წარმოაჩინეს. მათგან გვინდა გამოვყოთ საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი დავით გურამიშვილისა და ილიას აზრი ამ საკითხზე. პიროვნული ფსიქოლოგიური კუთხით ეს საკითხი მეტად ზუსტად და ღრმა ანალიზით წარმოგვიდგინა დიმიტრი უზნაძემ წერილში „რა აკლია ქართველს“. ქართველს აკლია დაჟინებითი **მისწრაფება ერთხელ დასახული მიზნის განხორციელებისაკენ**, რომელსაც ვერავითარი დაბრკოლება და სიძნელე ვერ სპობს; მუდმივი, დაუღალავი შრომის უნარი, თავდავიწყებითი ჭაპანის წევა. პატარა საქმეების ისეთივე სერიოზულობით კეთება, როგორც დიდი საქმეებისა. პატარა საქმეები ჩვენს გულს არ ანათებენ და უამისოდ კი ჩვენი ნება არ იძვრის; დიდი საქმეები კი გვაფეთქებენ, მაგრამ გული მანამდე ცივდება, სანამ საქმე სრულქმნილების დონეს მიაღწევდეს, და გულთან ერთად ნებაც დუნდება და დაწყებული საქმე ანაზღადა წყდება... ამიტომ ჩვენი არსებობის ნიადაგს ჩვენვე ვანიავეთ და ბედნიერ მეტოქესთან ბრძოლაში მუდამ ვმარცხდებით. აქტიური ხასიათი, ძლიერი ნება - აი, რა აკლია ქართველებს და ჩვენი აღზრდის სისტემაც მარტო აქეთ უნდა იყოს მიმართული (6). ამდენად მემკვიდრეობით ფაქტორში ჩვენ გვაქვს პრობლემები, ეს პრობლემები დიქტატორული რეჟიმის დროს ნაკლებად შესამჩნევი იყო. ზემოდან კონტროლის ფონზე, ხოლო ახლა, როდესაც დამოუკიდებლობა მივიღეთ ჩვენი პიროვნული ხასიათი ეტყობა არ იყო ამისთვის მზად. ამ პრობლემამ უფრო მეტი სიმწვავეით იჩინა თავი და გვაქვს სამწუხაროდ ის შედეგები, რაცა გვაქვს..... ამიტომ როგორც ეს გენიალურმა ფსიქოლოგმა დიმიტრი უზნაძემ თითქმის ერთი საუკუნის წინ შენიშნა. სწორედ პირველ რიგში აღზრდის პროცესში ამ მემკვიდრეობითი თანდაყოლილი ნაკლის კორექტირება უნდა მოვახდინოთ. ჩვენ უნდა აღვზარდოთ პიროვნება იმ სულისკვეთებით, რომ მხოლოდ დაუღალავი შრომით მიიღწევა მიზანი. ვასწავლოთ სახელმწიფოებრივი აზროვნება, საკუთრების პატივისცემა, თავისუფალი ცხოვრებისეული არჩევანის განსაზღვრა, კანონის უზენაესობის გააზრება და მორჩილება. ამის მისაღწევად აუცილებელი პირობაა დადებითი ცვლილებები ჩვენს ცნობიერში.

გარემო - გარემოში იგულისხმება არსებული რეალური სინამდვილე, რომლის პირობებშიც მიმდინარეობს პიროვნების ფორმირება. აქ შედის შემდეგი კომპონენტები (გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური, ნაციონალური, სკოლა, ოჯახი, სოციალური გარემო, საზოგადოებრივი წყობა, სახელმწიფო პოლიტიკა, როგორც საშინაო ისე საგარეო, წარმოება და წარმოებითი ურთიერთობის სისტემა, ქვეყნის ეკონომიკა, საშინაო და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობანი, სოციალური მდგომარეობის ცვლილების ხასიათი). დავიწყეთ გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობით. მოგეხსენებათ გეოგრაფიულად მეტად კარგი მდგომარეობა გვაქვს უფლის ნებით ღვთისმშობლის რჩეული ქვეყანა ვართ. გვაქვს გარკვეული ბუნებრივი სიმდიდრეები, რომელსაც სამწუხაროდ სათანადოდ ვერ ვიყენებთ. რაც შეეხება გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, გეოპოლიტიკურად ჩვენი მდგომარეობა მეტად საინტერესოა, რაც, ერთი მხრივ, მეტად დადებითი მოვლენაა ჩვენი ერისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, მეტად სახიფათო, რომელიც მხოლოდ დიდი გონებრივი და დიპლომატიური გამჭრიახობის შედეგად შეიძლება იქნას ჩვენთვის სასარგებლოდ გამოყენებული. წინააღმდეგ

შემთხვევაში, ჩვენს სახელმწიფოებრიობას შეექმნება დიდი პრობლემები. ექმნებოდა კიდეც ჩვენი წარსული ისტორიის მანძილის მეტ არეალში. მაგრამ ვახერხებდით სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას და დღემდე მოვედით. ზოგჯერ მოქნილი საშინაო და საგარეო დიპლომატიის ხარჯზე ვახერხებდით წარმატებული ქვეყანა ვყოფილიყავით. განსაკუთრებით ამ მხრივ მნიშვნელოვანია გიორგი ბრწყინვალეს პერიოდი. დღევანდელ რეალობაში სამწუხაროდ ოკუპირებულია ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ტერიტორიები.

საზოგადოებრივი წყობა, რომელსაც ახლა ჩვენ ვადგავართ, საბაზრო ეკონომიკის, განვითარებული კაპიტალიზმის სახით მეტად მნიშვნელოვანია პიროვნული ფორმირებისა და თვითრეალიზაციისათვის (რომელიც, სამწუხაროდ, უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში, რბილად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ ვერ ავიყვანეთ მსოფლიო სტანდარტების დონემდე).

სახელმწიფო საშინაო და საგარეო პოლიტიკა - ძალიან კარგია ევროპისაკენ ორიენტირი, ევროპული სტანდარტების დამკვიდრება. მაგრამ ეგრეთწოდებული „ევროპიზაცია“ ჩვენი აზრით მოითხოვს დიდ ძალისხმევას იმისათვის, რომ ჩვენი მენტალიტეტი შეუსაბამოდ და მიუახლოვოთ ევროპულს. ეს მომენტი შეიცავს გლობალიზაციის ელემენტს, რაც უდავოდ გარდაუვალი და დადებითი მომენტია, მაგრამ ამ პროცესში ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი დადებითი ეროვნული.

ეკონომიკა და ეკონომიური ურთიერთობანი - რეალობაში ჩვენ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს აღარ გვაქვს იმ დონის ეკონომიკა, როგორიც გვქონდა. არც მასშტაბების და არც ინოვაციური ტექნოლოგიების კუთხით. ჩვენ, როგორც ცნობილია, ვართ მიწათმოქმედი ერი. სამწუხაროდ ჩვენი სოფლის მეურნეობაც იგივე მდგომარეობაშია, როგორშიც ინდუსტრია. ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია ეკონომიური ურთიერთობანი. ჩვენ დავკარგეთ პროდუქციის რეალიზაციის ბაზარი საბჭოთა სივრცის სახით და სამწუხაროდ ახალი ძალიან ნაკლებად ავითვისეთ. მნიშვნელოვანი პრობლემები და გამოწვევები გვაქვს სოციალური მდგომარეობის ხასიათში. მიუხედავად არსებული დადებითი მკვლელობისა სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირებასა და ფუნქციონირებაში, ყველაზე მწვავე ამ მიმართებით არის უმუშევრობის პრობლემა და სოციალური დაცვის მექანიზმები.

აღზრდა - აღზრდა და განათლება არის ყველაფრის განმსაზღვრელი სახელმწიფოს, ერის, განვითარებასა და გაძლიერებაში. ეს არის ჩვენი მომავალი. რა მდგომარეობა გვაქვს ამ მიმართებით. სამწუხაროდ, აქაც დიდი პრობლემები გვაქვს. ნომერ პირველი პრობლემა პედაგოგების მომზადებაა. ჩვენ ალბათ ამ მიმართებით უნიკალური ერი ვართ მსოფლიოში. ბოლო ჩვიდმეტი წლის განმავლობაში უმაღლეს სკოლაში არ ვამზადებთ მასწავლებლებს, პედაგოგებს, გარდა ერთი მცირე გამონაკლისისა, დაწყებითი სკოლის პედაგოგებისა. მართლაც ეს ფაქტი საკმარისია ჩვენი განათლებისა და საღმრდელო მუშაობის დახასიათებისა და ანალიზისათვის. რას ვაკეთებთ ამის სანაცვლოდ? ამის სანაცვლოდ ჩვენ მოკლე ვადიანი ტრენინგების ფონზე ვატარებთ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო გამოცდებს, რის შემდეგაც გავცემთ მასწავლებლის სერტიფიკატს. ასეთმა სერტიფიცირებულმა მასწავლებლებმა შეიძლება კარგად იცნან კონკრეტული საგანი, მაგრამ მათ არ აქვთ გავლილი პედაგოგიური მომზადება და ცოდნა. არ გაუვლიათ ისეთი კურსები, როგორებიცაა პედაგოგიკა და პედაგოგიკის თეორია, პედაგოგიური აზრის განვითარების ისტორია, პედაგოგიური ფსიქოლოგია, ბავშვის ანატომია და ფიზიოლოგია, კლასის მართვა, პედაგოგიური კვლევის მეთოდები, ინკლუზიური სწავლება და, რაც მთავარია, ხშირ შემთხვევებში პედაგოგიური პრაქტიკა. რა თქმა უნდა ასეთი სერტიფიცირებული მასწავლებელი ვერ იქნება ვერც საშინაო და მით უმეტეს საერთაშორისო მასწავლებლის სტანდარტების დონეზე. თუმცა ამ მხრივ მუშავდება ეგრეთწოდებული სამას კრედიტის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო კომბინირებული პროგრამები, მაგრამ უნდა ითქვას მათი განხორციელება საგრძნობლად გაიწელა. ჯერ კიდევ არ არის ცნობილი მათი რეალიზაციის თარიღები და შინაარსი. ამჯერად კიდევ კარგი მოესწრო, მხოლოდ დაწყებითი საფეხურის პედაგოგის პროგრამა. ჩვენ აგერ უკვე წლების მანძილზე ვატარებთ განათლების სისტემის რეფორმას, რომელიც ჯერჯერობით ვერ დავასრულეთ კვლავ ცვლილებების სტადიაში ვართ, ჩვენ უარვყავით ოქტომბრელთა, პიონერთა და კომკავშირელთა აღზრდის სისტემა და რაც ყველაზე საგანგაშოა, ახალი სრულყოფილი ჯერ კიდევ ვერ შევიმუშავეთ - ის ძველი ვერ ჩავანაცვლეთ ახალი ეროვნული სახელმწიფოებრივით. აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ ჩვენს სკოლაში აღმზრდელობით მუშაობას გაცილებით ნაკლები ყურადღება ეთმობა, ვიდრე სასწავლო პროცესს. არადა, როგორც ცნობილია აღზრდა და სწავლება ერთმანეთისაგან განუყოფელი ნაწილია. რა თქმა უნდა აღზრდაში მართლაც სკოლა არ მონაწილეობს. აქ დიდ როლს თამაშობს ოჯახი და საზოგადოება, მაგრამ არსებული ეკონომიკური და სოციალური პირობების გამო ოჯახების ერთი ნაწილი და არც თუ ისე მცირე, სათანადო ყურადღებას ვერ უთმობს შვილების აღზრდას, რადგან მშობლები სამუშაოდ გასული არიან ქვეყნიდან, რამაც განსაკუთრებული დადი დაასვა ჩვენი ახალგაზრდობის პიროვნებად ფორმირებაში ისეთ მნიშვნელოვან მომენტს, როგორიცაა ზნეობრიობა, შრომის მოყვარეობა და სახელმწიფოებრივი აზროვნება.

ყოველივე ეს ფაქტორები, რომელნიც არის დღევანდელ ქართულ რეალობაში იწვევს იმას, რომ ჩვენ გვაქვს სერიოზული პრობლემები ახალგაზრდა თაობის პიროვნებად და სრულყოფილ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში. ამ ფაქტორებმა განაპირობა ის, რომ ზრდასრულობის ასაკმა ჩვენთან 22-24 წლის ასაკიდან გადაინაცვლა 28-30 წლის ასაკამდე, რაც აისახება ახალგაზრდა ოჯახების შექმნაზე და ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. როგორც ცნობილია მოქალაქედ და პიროვნებად ფორმირებაში, მისი ცხოვრებისეული პიროვნული როლის მიებაში და სოციალურ შემსახამის ადგილის დაკავებაში, საკუთარი ინდივიდუალური უნარებისა და ნიჭის რეალიზებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ცხოვრებისეულ არჩევანს.

როგორც ცნობილია დემოკრატიული თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში პირველადი აუცილებელია თავისუფლების ფაქტორი, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია ადამიანის თავისუფალ არჩევანზე. ამის შესახებაც წერდნენ ისეთი დიდი პედაგოგი კლასიკოსები, როგორებიც არიან ჯონ ლოკი, ჟან-ჟაკ რუსო და იოჰან ჰერბარტი. (1, გვ. 88, 92, 132. 2, გვ. 267, 282) ის, თუ რა პროფესიის სპეციალისტად უნდა ჩამოყალიბდეს ადამიანი, როგორც პიროვნება, ასევე მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ეს ფაქტორები თითქმის იგივეა, რაც ზოგადად პიროვნებად ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები იმ განსხვავებით, რომ აქ წინა პლანზე გამოდის პიროვნული ნიჭი, უნარები და მისწრაფებები, რომელნიც საბოლოოდ ფორმირდება ეკონომიკური ფაქტორით, ანაზღაურებით. ამ მიმართებით ჩვენ შევისწავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე სტუდენტთა ჩარიცხვისა ბოლო ექვსი წლის მდგომარეობა და მოვახდინეთ მისი ანალიზი. ჩვენი დაინტერესება ამ უნივერსიტეტით განპირობებულია იმით, რომ მას აქვს როგორც ტექნიკური, ასევე ეკონომიკური და რიგი ჰუმანიტარული სპეციალობები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების მიხედვით (გვ. 5) დღეისათვის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობს დაახლოებით 22516 სტუდენტი, 5669 სტუდენტს სტატუსი აქვს შეჩერებული. მათ შორის:

- საამშენებლო ფაკულტეტზე სტუდენტების რაოდენობაა: 2811 აქტიური, 283 შეჩერებული, 43 უცხოელი, ფაკულტეტზე პროგრამების დასრულების მაჩვენებელია 37,6%.
- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე სტუდენტების რაოდენობაა: 2755 აქტიური, 811 შეჩერებული, 12 უცხოელი, ფაკულტეტზე პროგრამების დასრულების მაჩვენებელია 60,2%.
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტზე სტუდენტების რაოდენობაა: 804 აქტიური, 80 შეჩერებული, 56 უცხოელი, სტატუსი შეჩერებული 80, ფაკულტეტზე პროგრამების დასრულების მაჩვენებელია 84,3%.
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე სტუდენტების რაოდენობაა: 1969 აქტიური, 1323 შეჩერებული, 5 უცხოელი 5, ფაკულტეტზე პროგრამების დასრულების მაჩვენებელია 49,4%.
- არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე სტუდენტების რაოდენობაა: 940 აქტიური, 300 შეჩერებული, უცხოელი არ არის, ფაკულტეტზე პროგრამების დასრულების მაჩვენებელია 12,5%.
- ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე სტუდენტების რაოდენობაა: 2337 აქტიური, 591 შეჩერებული, 99 უცხოელი, ფაკულტეტზე პროგრამების დასრულების მაჩვენებელია 54,3%.
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე სტუდენტების რაოდენობაა: 1709 აქტიური, 382 შეჩერებული, 6 უცხოელი, ფაკულტეტზე პროგრამების დასრულების მაჩვენებელია 56,9%.
- დიზაინის საერთაშორისო სკოლის სტუდენტების რაოდენობაა: 82 აქტიური, 22 შეჩერებული, 15 უცხოელი, ჯერ ფაკულტეტზე პროგრამების დასრულების მაჩვენებელი არ არის.
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე სტუდენტების რაოდენობაა: 1079 აქტიური, 186 შეჩერებული, 0 უცხოელი, ფაკულტეტზე პროგრამების დასრულების მაჩვენებელია 84,14%.
- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე სტუდენტების რაოდენობაა: 2254 აქტიური, 425 შეჩერებული, 81 უცხოელი, ფაკულტეტზე პროგრამების დასრულების მაჩვენებელია 57,2%.
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე სტუდენტების რაოდენობაა: 3619 აქტიური, 91 შეჩერებული, 1153 უცხოელი, ფაკულტეტზე პროგრამების დასრულების მაჩვენებელია 78,1%.
- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე სტუდენტების რაოდენობაა: 1925 აქტიური, 113 შეჩერებული, უცხოელი არ არის, ფაკულტეტზე პროგრამების დასრულების მაჩვენებელია 71,8%.

გამოიკვეთა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ყველაზე მოთხოვნადი ფაკულტეტები:

- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - 4772 აქტიური სტუდენტი, მათგან 1925 უცხოელია.

- სამშენებლო ფაკულტეტი - 2854 აქტიური სტუდენტი;
- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი - 2766 აქტიური სტუდენტი;
- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 2335 აქტიური სტუდენტი და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი - 2337 აქტიური სტუდენტი.

შედარებით ნაკლებად მოთხოვნილი ფაკულტეტებია:

- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი - 1974 აქტიური სტუდენტი;
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - 1079 აქტიური სტუდენტი;
- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 1925 აქტიური სტუდენტი;
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი - 804 აქტიური სტუდენტი;

მონაცემების სტატისტიკური სურათიდან ჩანს, რომ ყველაზე მოთხოვნილი ფაკულტეტებია ინფორმატიკისა და მართვის სისტემები, სამშენებლო, ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაციები, ბიზნესტექნოლოგიები. ეს ის დარგებია, რომელიც მუშაობს და კურსდამთავრებულნი სავარაუდოდ უნდა დასაქმებულიყვნენ ეკონომიკის წარმოების შესაბამის სფეროებში. საგანგაშოა სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რიცხვი - 5669, რომელიც იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში დიდია ღარიბ მოსახლეთა რაოდენობა და მათ არ აქვთ საშუალება გადაიხადონ სწავლის გადასახადი. სტუდენტთა ერთი ნაწილი, რომელთაც გაუმართლა და სამუშაო იშოვეს სწავლის პარალელურად, როგორც ახერხებენ სწავლის გადასახადის გადახდას. ჯერ კიდევ შევინარჩუნეთ ჩვენი ნიჭისა და უნარის მეშვეობით მათემატიკური ცოდნის ადრინდელი მაღალი დონის რაღაც ნაწილი, რაც აისახა იმ ფაქტში, რომ ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, რომლის ძირითადი საფუძველი მათემატიკაა, თურმე საერთაშორისო ასპარეზზე ვიღაცისათვის მაინც ვართ საინტერესო, რაზეც მეტყველებს უცხოელ სტუდენტთა რიცხვი ამ პროგრამებზე. შედარებით ნაკლებად მოთხოვნილია ისეთი სპეციალობები, რომელნიც ნაკლებად ქმედით უნარიანია დასაქმების კუთხით. ეს ფაკულტეტებია: სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის, აგრარული და სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი. ეს გასაგებია, ჩვენ მანქანათმშენებლობა და ინდუსტრია თითქმის აღარა გვაქვს, ხოლო საერთაშორისო სტანდარტებს, ძნელი არ არის იმის მიხედვრა, კოლოსალურად ჩამოვრჩით. ასე მაგალითად, თუ სამხრეთ კორეა ბოლო 30 წლის განმავლობაში სწრაფი ტემპებით განვითარდა, ჩვენ ერთ ადგილზე კი არ გავჩერდით, არამედ უკან წავედით. არქიტექტურა, ქვეყანაში მშენებლობის ასეთი მასშტაბების ფონზე, ალბათ უნდა ყოფილიყო მეტად მოთხოვნილი ეს სპეციალობები და დასაქმებადი, მაგრამ აქაც არ გვაქვს კარგად საქმე. რაც შეეხება აგრარული დარგის სპეციალობებს, აქ მაინც უფრო შეიძლებოდა გვექონოდა მეტი წარმატება, ჩვენ ხომ აგრარული ქვეყანა ვართ ისტორიულად. სამწუხაროდ აქაც არ გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა და გეოლოგიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

რაც ყველაზე საგანგაშოა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა დასაქმების საშუალო მაჩვენებელია 14,46% (3, გვ. 33).

ზემოთ მოყვანილი ფაქტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დღევანდელ ქართულ რეალობაში პიროვნების ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები, რომელმაც უნდა განაპირობონ პიროვნების სოციალიზაცია და მისი ეფექტური ქმედითუნიანი როლური საქმიანობა და მოღვაწეობა დემოკრატიულ, საბაზრო ეკონომიკის განვითარებად ქვეყანაში, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელოა. პიროვნების სოციალიზაციის სამივე ძირითადი ფაქტორის: მემკვიდრეობითი, გარემოს, აღზრდის მიხედვით, ეს პრობლემა აგერ უკვე თითქმის 30 წლის განმავლობაში ისევ პრობლემად რჩება და უფრო მეტიც, რაც დრო გადის, ის უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებს. რა უნდა გაკეთდეს ამ პრობლემის გადასაჭრელად? ჩვენი აზრით პირველ რიგში მთავარია შევიარაღდეთ ნებით და ძლიერი ნებისყოფით და ნებით გარდავექმნათ ჩვენი სოციალური უკეთესისაკენ. ბოლოს და ბოლოს როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ უნდა შევიმუშაოთ ჩვენი ქვეყნის არსებობისა და განვითარების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელშიც განსაზღვრული იქნება ჩვენი განვითარებისა და აღმშენებლობის მიზანი და ის შედეგი, რაზეც უნდა გავიდეთ, სადაც კონკრეტულად იქნება გაწერილი მომავლის განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანაში როგორი მოქალაქე გვჭირდება, როგორი პიროვნება უნდა აღვზარდოთ. ამის გარეშე, ასევე შეუძლებელია აღზრდის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ძალისხმევა დაემსგავსება ჩინური გამონათქვამის მიხედვით იმ საქმიანობას, რომ ჩვენ ვეძებთ შავ კატას ბნელ ოთახში. ამას ართულებს ის ფაქტი, რომ კატა ამ ოთახში არ არის. ჩვენ მყარად გვწამს, რომ ჩვენ შევძლებთ ვიპოვოთ გამოსავალი არსებული რთული მდგომარეობიდან. ამის საფუძველს გვაძლევს ჩვენი ეროვნული გონი და ეროვნული ენერგია, რომლის ხარჯზეც ჩვენი განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ გამოვსულვართ პრობლემური სიტუაციებიდან.

ლიტერატურა:

1. პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი ნ. ვასაძე, თბილისი, 1998.
2. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, ილიაუნის გამომც. თბილისი, 2009.
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება 2018.
4. ჯორჯ რიცტერი, სოციალური თეორიების ისტორიული მიმოხილვა, მე-5 გამოცემა, 2002.
5. Юнг Карл Густав, Психологические типы, редактор Д. Соломонович, М., 2019.
6. <https://www.ambebi.ge/article/151634-ra-aklia-qarthvels-dimitri-uznadze/>

Paata Kurdadze

Gori State Teaching University

Tamar Remishvili

David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

ANALYSIS OF FACTORS INFLUENCING ON FORMATION OF PERSONALITY IN MODERN GEORGIAN SOCIAL ENVIRONMENT RESUME

Number of theories of personality formation are discussed in the article. The emphasis is on the factors of human socialization. A group of three main factors that influence personal development: hereditary, environmental and educational factors. Characteristics of the factors of today's Georgian reality are given separately. The work focuses on identifying the appropriate role in the sociology of the individual in society. To achieve it is one of the point. The choice of a person of personal choice according to future profession. In this regard, a statistical analysis of student's mobility and employment is given on the example of the Georgian Technical University. Based on this analysis in the article you can see real evaluation of the influencing factors on a person socialization and also the opinion about the possibility of solving the problem.

პაატა ქურდაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნებისყოფისა და თავისუფალი ნების როლი პიროვნების ფორმირებაში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით

რა არის ნება? რას ნიშნავს ნებისყოფა? გავიხსენოთ მათი განმარტება.

როგორც ცნობილია ნება სხვადასხვა მეცნიერებაში განსხვავებულად განიმარტება. ფსიქოლოგიაში ნება განიმარტება, როგორც ადამიანის უნარი შეგნებულად მართოს თავისი ემოციები და ქმედებანი. ნეირომეცნიერებაში - ნება არის მრავალმნიშვნელოვანი ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ამა თუ იმ უმაღლეს კოგნიტურ პროცესებს ან ფუნქციებს, რომელნიც დაკავშირებულია ქმედებათა კონტროლთან. ფილოსოფიაში ნება ეს არის სუბიექტის დამახასიათებელი ფენომენი გამოავლინოს, გამოხატოს სურვილები, რომელთაც მოჰყვება შესაბამისი ქმედებანი. მასზეა დამოკიდებული მიზნის ჩამოყალიბება (ფორმირება) და შინაგანი ძალების კონცენტრაცია მიზნის მისაღწევად.

ტერმინი „ნება“ პირველად ლუკრეციუსთან გვხვდება. მან ამ ტერმინით ახსნა ატომების თანდაყოლილი ჰიპოტეტური უნარი, რომელთა მეშვეობითაც ისინი წრფივი პირდაპირი მოძრაობიდან ერთგვარ „გადახვევას“ ახერხებდნენ. მან ეს ტერმინი ადამიანთა მოძრაობის და ქმედებათა აღსაწერად გამოიყენა. ლუკრეციუსი ნებას თავიდან ადამიანის თვითმოძრაობასთან აკავშირებდა, ხოლო მოგვიანებით ის ამავე დროს გონებასთან დააკავშირა. (3, 4) ანტიკურ ფილოსოფიაში ნების ირგვლივ მსჯელობა, აქტიურად წინა პლანზე გადმოდის მას შემდეგ, რაც დაიწყო სოკრატეს ეთიკის კრიტიკა.

სოკრატეს მიხედვით ადამიანმა, რომ კეთილი საქმე აკეთოს, ამისათვის აუცილებელი პირობა მან იცოდეს რა არის სიკეთე. ბოროტებას ადამიანი ჩადის არა თავისი ნებით, არამედ შეუცნობლად, გაუცნობიერად. ბოროტების გზას, როდის ადგას ადამიანი და ჩადის ბოროტებას. ამ საკითხს ჩვენ ნაწილობრივ შევხებით წინა პუბლიკაციებში, როდესაც განვიხილეთ „ოქროს შუაღედის“ ფენომენი და მისი როლი პიროვნების ფორმირებაში. ამჯერად განვიხილოთ თუ როგორ აქვს ეს პრობლემა გააზრებული შოთა რუსთაველს.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა ეფუძნება ნეოპლატონურ ფილოსოფიას, კერძოდ ფსევდო დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობას. დიონისე არეოპაგელის მიხედვით, ბოროტება არ არის ადამიანისათვის თანდაყოლილი, ის შეძენილია. დიონისე არეოპაგელი ბოროტებას სიკეთის ნაკლებობას უწოდებს (7, 177). დიონისე არეოპაგელის მიხედვით ბოროტება არ არის ღვთისგან მოვლენილი, მას არ გაჩნია ქმნადობისეული ღვთიური საწყისი, იგი ღმერთს არ შეუქმნია. ბოროტება არ არის სუბსტანცია. ის ადამიანის მიერ სიკეთის კლებით, სიკეთისგან გაქცევით და არასწორი ცხოვრებისეული წესით ცხოვრების გამო შეძენილი უარყოფითი ნეგატიური ფენომენია. (აქ შეიძლება ითქვას, რომ სოკრატესეული აზრი სიკეთესა და ზნეობის შესახებ არეოპაგელულ მოძღვრებაშიც მნიშვნელოვანი მომენტი, რაც შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანში“ მრავალად არის წარმოდგენილი და, შეიძლება ითქვას, იგი ლეიტმოტივად გასდევს მთელ პოემას. მას პიროვნების ფორმირებაში შოთა რუსთაველი უდიდეს როლს ანიჭებს).

ამრიგად, რუსთაველის აზრი ადამიანის ბოროტების ჩადენასთან დაკავშირებით მკვეთრად განსხვავდება სოკრატესეული წარმოდგენისაგან. მაგრამ ერთ მომენტში მაინც ეთანხმება მას, რომ ადამიანმა უნდა იცოდეს რა არის სიკეთე და როგორ უნდა აკეთოს იგი. მას უნდა სჯეროდეს, რომ სიკეთე ღვთისეულია, ხოლო ღმერთი ბოროტსა და ავს უარყოფს:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:

ღმერთი კარგსა მოავლინებს, არ, ბოროტსა არ დაბადებს,

ავსა წამ ერთ შეამოკლებს, კარგსა ხანგრძლივად გააკვლავდებს,

და თავისა მისასა უკეთესსა უზადოჰყოფს, არ აზადებს“.

ამ სტროფიდან პირდაპირ ჩანს, რომ ბოროტების წარმოშობის საკითხში შოთა რუსთაველი მთლიანად არეოპაგელულ მოძღვრებს ეთანხმება.

სოკრატესთან კეთილის ფენომენი მჭიდრო კავშირშია ზნეობრიობასთან. ნება განიხილება, როგორც შემეცნების მექანიზმი. შემეცნებაში აქ სოკრატე ძირითადად გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეცნობას. აქედან გამომდინარე მისი მოძღვრების ძირითადი მიზანია ზნეობრივი სრულყოფა თვითშემეცნების გზით. სოკრატეს მოსაზრებას არ იზიარებდნენ არც პლატონი და არც არისტოტელე, მაგრამ მათ თავიანთ მოძღვრებაში, მაინც ბოლომდე გვერდი ვერ აუარეს სოკრატესეულ ზნეობისა და ნების ინტელექტუალურ გაგებას, რაც შემდგომში ნეოპლატონურ ფილოსოფიაშიც გადავიდა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მოსაზრებას რუსთაველიც ეთანხმება. პლატონი ნებას აკავშირებს, ერთი მხრივ, წარმოდგენებთან და რჩევასთან, ანუ გადაწყვეტილებასთან, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის პრაქტიკულ ქმედებასთან სურვილების ასრულებისა ან სურვილების არ ასრულებაზე. ამდენად ის ნებას უქვემდებარეს გონებას. რაც შეეხება სურვილებს, პლატონი მას ჰყოფს სხეულებრივად და სულიერად (ღვთიურად). აქედან ღვთიური ცალსახად სულის მოაზროვნე ნაწილს ეკუთვნის. სხეულებრივ სურვილებს პლატონი ჰყოფს ბუნებრივ და არაცვლადად. ბუნებრივი სურვილებისადმი ნება აუცილებლად იცავს ნორმებს, ხოლო რაც შეეხება უცვლელ, არაცვლად სურვილებს ისინი ან უარყოფილი იქნენ, ან სული უნებლიედ ემორჩილება მათ, რის შედეგადაც ადამიანი ხდება სურვილების ტყვე. ამ უკანასკნელს, პლატონის აზრით, შეიძლება წინ აღუდგეს მხოლოდ სწორი აღზრდა და სიკეთის კეთებაში ვარჯიში ადრეული ასაკიდან. (2, 27)

მეტად საინტერესოა არისტოტელეს აზრი ნების შესახებ. ტრაქტატში „სულის“ შესახებ ეთიკურისა და პოლიტიკურის გაანალიზებისას არისტოტელე ღრმად აანალიზებს ნების შესახებ ძირითად პრობლემებს გონებასთან კავშირში. საინტერესოა არისტოტელეს მიერ სულის კლასიფიკაცია. ის სულს ჰყოფს სამ ნაწილად: 1) შეგრძნებები, წარმოდგენები, მისწრაფებები, ნება და გონი. 2) მცენარეული, ცხოველური და გონიერი. 3) გონიერი და არაგონიერი. არისტოტელეს სწავლების მიხედვით უნარების მიხედვით ნება დაკავშირებულია, როგორც გონებასთან, ასევე მისწრაფებებთან და სურვილებთან. ნება „აღმოცენდება“ ადამიანის სულის გონიერ ნაწილში, ამასთანავე სულის სხვა სფეროში გვაქვს მისწრაფებები და სურვილები, რომელნიც ხშირად, იწვევს ქმედებას გაუაზრებლად გონების საწინააღმდეგოდ. (2, 374) შემდგომში საინტერესოა ანტიკური რომაელი მოაზროვნეების, ელინისტურ ფილოსოფოსთა მოსაზრება ნების შესახებ. ციცერონი ნებას წინასწარ გააზრებულ სურვილს უწოდებს. მართლაც თუ დაუფიქრებთ ნება ეს ფაქტიურად ადამიანის სურვილებთან არის დაკავშირებული, ანუ შეიძლება ითქვას, რომ ნება ადამიანის სურვილების გამოხატულების და განხორციელების უნარია. საბოლოო ჯამში ნება ხშირად ასოცირდება სურვილთან და მის სინონიმად აღიქმება. ნების რაობის

ახსნაში ამ მიმართებით სენეკა უფრო წინ წავიდა. მან ნების კონცეფციის ადამიანის ფსიქიკის აღწერაში გაცილებით სიღრმისეული ფუნქცია შესძინა. იგი ამბობდა, ნება შეიძლება ლიბრიდული გახდეს, ანუ დაექვემდებაროს ქვენა ძალებს, ამ შემთხვევაში ადამიანი ვნებების ტყვეობაში იმყოფება. (3, 5) ეს ფაქტიურად იგივეა, რომ ადამიანი თავის ყველანაირ სურვილს აჰყვეს გაუაზრებლად. ამიტომ ადამიანმა უნდა შეძლოს სურვილების კონტროლი. ამის შესახებ ჩვენ საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ წინა პუბლიკაციებში, როდესაც განვიხილეთ აფორიზმი „რაც არა გასურდეს იგი ქმენ, ნუ სდევ სურვილთა ნებასა“.

ადამიანის თავისუფალი ნების ცნებას დიდი ყურადღება ეთმობა ქრისტიანულ მოძღვრებაში, სადაც მან განსაკუთრებული და დიდი მნიშვნელობა შეიძინა. (მაცხოვარი ადამიანებს განკურნების წინ ეკითხება სურთ თუ არა განკურნება. ამით იგი ადამიანებს თავისუფალი არჩევანის საშუალებას აძლევს). ეს უკანასკნელი განპირობებული იყო იმით, რომ ამ დროისათვის მეტაფიზიკურ ახსნას საჭიროებდა ის საკითხი, თუ საიდან გაჩნდა ბოროტება კეთილის გვერდით კაცთმოყვარე, ყოვლისშემძლე ღმერთის შექმნილ სამყაროში. ქრისტიანულ მოძღვრებაში ბოროტების საწყისად მიჩნეულია არასწორად და ცუდად გამოყენებული ავტონომიური ადამიანური ნება. ადამიანის ნების ავტონომიურობის ფენომენმა ბუნებრივად წინა პლანზე წამოსწია საკითხი ღვთის ნებისა და ადამიანის თავისუფალი ნების ურთიერთთავსებადობისა და ურთიერთმიმართებას შესახებ. ქრისტიანულ მოძღვრებაში ამ საკითხის მიმართ საინტერესო მოსაზრებები შუა საუკუნეებში იქნა გამოთქმული თომა აკვინელის მიერ. მისი სწავლების მიხედვით ღმერთმა წინასწარ იცის ჩვენი მოქმედებები, რადგან მისთვის დრო არ არსებობს და სამყაროს მთელ ისტორიას ერთდროულად ხედავს, ანუ ხედავს ჩვენს წარსულს, აწმყოს და მომავალს ღმერთი წინასწარ ხედავს. ეს მოსაზრება გაკრიტიკებული იქნა მისივე თანამედროვეობაშივე, რადგან მან სამყაროს განვითარება წინასწარ განსაზღვრულ პრინციპებს დაუქვემდებარა. ამის საფუძველზე ადამიანის ნებაც ამ პრინციპებით იყო განპირობებული, რის გამოც ადამიანის ნება არ გამოდიოდა თავისუფალი. არადა ქრისტიანული რელიგია, როგორც კაცთმოყვარე, ჰუმანისტური პრინციპების მატარებელი, ერთ-ერთ თავის ძირითად დებულებად სწორედ პიროვნების თავისუფლებას ქადაგებს, რაც გამოიხატება მის თავისუფალ ნებაში, რომელიც განპირობებულია თავისუფალი არჩევანით. (3, 4) ნების შესახებ უფრო სრული და საფუძვლიანი ანალიზი ქრისტიანულ მოძღვრებაში შეიძლება მოვიძიოთ ქრისტიან თეოლოგსა და ფილოსოფოს წმინდა მაქსიმე აღმსარებელთან. მისი სწავლების თანახმად, ღმერთმა ადამიანი და მთლიანად მთელი სამყარო მისი შემდგომი გაღმერთების მიზნით შექმნა. აქედან გამომდინარე, მისი კოსმოლოგია შემდეგი ტრიადით აღიწერება: genesis, kinesis, da statis. (3,5) ამ ტრიადიდან, პირველი შესაქმნის ნიშნავს, მეორე - გაღმერთებისაკენ მოძრაობას, მესამე კი - სტატიკურ მდგომარეობას გაღმერთების შემდეგ. ამ მიზნის შესაბამისად, ღმერთმა ყველაფერი მის გონებაში არსებული ლოგოსის მიხედვით შექმნა. მაგალითად, ადამიანის ლოგოსი მისი ცხოვრების უმაღლესი აზრის - შემოქმედისაკენ მისწრაფებას, გაღმერთებას გულისხმობს. ამ ადამიანური ლოგოსის აქტუალიზაციისათვის ღმერთმა ადამიანში ნება ჩადო. ამასთან, რაკი ადამიანი გონიერი არსებაა, მას დამოუკიდებლად შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, საკუთარი მიზნების დასახვა და არჩევანის გაკეთება. ამავე დროს, ცოდვით დაცემით იგი ღმერთისაგან განეშორა და შემოქმედის მაგივრად ქმნილისაკენ მიიღრია. ამის გამო ადამიანში ბუნებრივი ნებისაგან განსხვავებული პიროვნული, არჩევითი ნება გაჩნდა. წმინდა მაქსიმე მას telima gnomi უწოდებს (3, 6). ამ გნომურ ენაზე მიღვენება კონკრეტული ადამიანის კერძო ცხოვრების ფორმას, ასე ვთქვათ, ცხოვრებისეულ გზას წარმოშობს, რომლის აღსანიშნავად წმინდანი სიტყვა ტროპს - იყენებს. წმინდა მაქსიმეს მიხედვით, ადამიანში ბუნებრივი ნებისაგან განსხვავებული გნომური ნების არსებობა სულიერი თავისუფლების დაკარგვის, ანუ ვნებებისადმი მორჩილების, ცოდვისადმი დამონების გამოხატულებაა. თუ გავანალიზებთ ამ უკანასკნელს, შეიძლება ითქვას, რომ ცოდვით დაცემა ღმერთის ნების საწინააღმდეგო არასწორი არჩევანის გაკეთების, ანუ ადამიანური თავისუფალი ნების არასწორად წარმართვის შედეგი იყო, რაზეც მიუთითებს ბიბლიური თხრობანი. აქედან გამომდინარე თუ ადამიანი ვნებების ტყვეობაშია, იგი დაცილებულია უფალს და ამდენად ვეღარ ასრულებს ცხოვრების მთავარ უმაღლეს მიზანს.

იმისათვის, რომ ადამიანმა თავისუფალი არჩევანით შერჩეული ადამიანური, პიროვნული ნება მიმართოს ღვთიური ნებისაკენ, აუცილებელია მას კარგად ჰქონდეს გააზრებული ამ ქვეყანაზე მისი მოსვლისა და არსებობის მთავარი მიზანი. ეს არ არის იოლი საქმე, იმდენად, რამდენადაც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია ადამიანი არის ყოფიერების ყველაზე დიდი საიდუმლო და ამოუცნობი ფენომენი. შეიძლება ითქვას, რომ ამ საიდუმლოს ამოხსნა არის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეულ საიდუმლოთა შორის. მასთან შედარებით ყველა დანარჩენი ადამიანური საქმიანობა და ქმედება მეორე ხარისხოვან პლანზე გადადის. მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების რთულ და გრძელ გზაზე მრავალი მოაზროვნე ფიქრობდა ამ პრობლემის შინაარსის გახსნაზე. „შეიცან თავი შენი“. ეს ფორმულა მომდინარეობს ძველი ანტიკური ფილოსოფიიდან, ამას ქადაგებს რელიგიური მოძღვრებანი.

„შეიცან თავი შენი და შეიცნობ ღმერთებსა და სამყაროს“ გვასწავლის ჰილონი. ასევე თაღეს მილეთელის მიხედვით თუ რა არის მძიმე? - საკუთარი თავის შეცნობა, პასუხობს იგი. (8, 58, 42) საინტერესოა გამოჩენილი ფრანგი ნატურალფილოსოფოსის რენე დეკარტის აზრი. დეკარტის მიხედვით ვინც შესძლებს მოგვითხროს თავისი თავის შესახებ, ის შესძლებს მთელი სამყაროს აღწერას. (9, 397).

რაც უფრო მეტად ვითარდება საზოგადოება და ცივილიზაცია, ეს საკითხი უფრო და უფრო მეტი აქტუალობით შემოდის ადამიანის აზროვნების არეალში. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მზარდ ფონზე ადამიანისათვის ადამიანის შინაგანი ბუნების ამ საიდუმლოს უფრო და უფრო მეტად ბინდი ეფარება. ადამიანი ყოველთვის იყო ამ პრობლემის გადაწყვეტით დაინტერესებული და კვლავაც გააგრძელებს საკუთარი თავის შეცნობას და შემეცნებას. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად პიროვნებისა და საზოგადოების შესწავლის დარგში, ისეთი თანამედროვე მეცნიერება, როგორც არის „სოციალური სინერგეტიკა“, ადამიანის ცხოვრების ძირითადი მიზნის, ცხოვრების არსის გარკვევას და გაანალიზებისას, ადამიანის ფსიქიკისა და ქცევის ამოსავალ საწყის ათვლის წერტილად მიიჩნევა. სოციალ-სინერგეტიკოსების აზრით ადამიანის ამ ქვეყანაზე მოსვლის და არსებობის მთავარ მიზანს წარმოადგენს გადარჩენა, გადარჩენა სულიერ და ფიზიკურ პლანში (10, 79). განვიხილოთ ისინი დაწერილებით. ფიზიკურ პლანში გადარჩენა გულისხმობს: ადამიანის ჯანსაღი წესით ცხოვრების წესის დაცვას, ჯანმრთელობას, შრომის ენერგიანობას და უნარიანობას, გამრავლებას და მომავალ თაობაზე ზრუნვას, მათ გაზრდას, აღზრდას, განათლებას. პიროვნებად ჩამოყალიბებას და მომზადებას შემდგომი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. ამასთანავე მეტად მნიშვნელოვანია ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობა. დიმიტრი უზნაძის მიხედვით ადამიანის ცხოვრების არსი მის შემოქმედებით ქმედებაში და გარდაქმნაშია. ამისათვის საჭიროა გააზრებული მოქმედება. „მოქმედების პრინციპი კი, როგორც ყველამ ვიცით, ნებისყოფაა. ნება, მაშასადამე, ის ბერკეტი, რომელიც ამოძრავებდა და მალეა სწევდა პასიურ არსებობას; ამიტომ ნების ისტორია მთელი ცხოვრების ისტორიაა.“ (4, 104). ეს ვერ მიიღწევა თუ ადამიანი სულიერად არ გადარჩა. სულიერი გადარჩენა კი, როგორც ცნობილია, გულისხმობს მორალურ-ზნეობრივი ნორმების დაცვას. აქვე შედის ცალკეულ ერებისა და ხალხების კულტურა და ეთნოსი, მათი დაცვა და სრულყოფა. ამ უკანასკნელს ემსახურება რელიგია და ტრადიციების პატივისცემა და დაცვა. ამისათვის ადამიანს სჭირდება საკუთარი თავის შეცნობა აღზრდისა და თვითაღზრდის გზით, რომლისათვისაც აუცილებელი პირობაა თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა, ინტერესი, ცხოვრებისეული მოტივაცია და მათ ფონზე წარმოშობილი ნებისყოფა, იმისათვის, რომ ადამიანმა დასძლიოს ამ გზაზე წინააღმდეგობანი. ეს წინააღმდეგობანი კი, როგორც ცნობილია, შეიძლება ორ ძირითად კატეგორიად დაგვით: შინაგანი ჩვენს „მე“-ში არსებული და გარეგანი სოციალურ წარმოშობილი. შინაგანი პიროვნული სირთულეების დაძლევა მიიღწევა საკუთარი თავის შეცნობით და ჩვენს თავზე თვითაღმზრდელობითი მუშაობით, ხოლო თუ ჩვენ ჩვენი თავი შევიცანით, მაშინ ეს ჩვენი შეცნობილი პიროვნული უკვე ახერხებს ცხოვრებისეული მიზნის დასახვას და ჩვენ გვაქვს ჩვენივე „მე“-ში შეცნობილი ჩვენი თავი, რაც გვეხმარება გარეგანი წინააღმდეგობების გადასალახად. (ამ ორივე წინააღმდეგობის დაძლევა, მხოლოდ ძლიერი ნებისყოფით არის შესაძლებელი). ამის შესახებ კარგად და ხატოვნად გვასწავლის შოთა რუსთაველი სტროფში:

„თუ თავი შენი, შენ გახლავს ღარიბად არ იწოდები“

ე.ი. გვასწავლის რუსთაველი, რომ თუ შენ შეიცანი შენი თავი, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ, პიროვნება აღარ ხარ ტყვე შენივე შინაგანი ნეგატიურისა და ამდენად პრობლემების წინაშე მარტო აღარა დგახარ. შინაგანი ნეგატიურობის დაძლევაზე ბევრი რამ მოიპოვება მსოფლიო ცივილიზაციის კულტურის ისტორიაში და რელიგიებში, ასევე მითოსებში და ხალხურ თქმებში. ასე მაგალითად, ბერძნულ მითოლოგიაში ჰერაკლეს იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს სრულყოფილი მითიური გმირად, თორმეტი გამოცდის ჩაბარება, ანუ თორმეტი გმირობის ჩადენა უწევს. ამ თორმეტიდან პირველი ოთხი სწორედ შინაგანი პიროვნული, ეგრეთწოდებული ქვენა ძალების, შინაგანი ნეგატიურის დაძლევას ეძღვნება. ეს ფაქტიურად არის ადამიანის მიერ ნებისყოფის ძალით მავნე სურვილებზე უარი.

ახლა ვისაუბროთ ღვთის ნების შესახებ. რაში მდგომარეობს ღვთიური ნების არსი? ღვთის ნებაში იგულისხმება ღვთის ჩანაფიქრი ადამიანის შესახებ, ასევე ის ზნეობრივი და სულიერი ნორმები, რაც ღმერთმა მისცა მოსეს მეშვეობით ხალხს და რომელის შინაარსობრივი დატვირთვა უფრო მეტი სიღრმისეულობით წარმოაჩინა მაცხოვარმა. ღვთის ნების შესახებ საუბრობს მეფე დავითი ფსალმუნებში „შენი სურვილის შესრულება მინდოდა, ღმერთო, და რჯული ჩემი ჩემს გულშია“ (1, ფსალმუნი 39, 9). ასევე „მასწავლე შესრულება შენი ნებისა, რადგან შენ ჩემი ღმერთი ხარ“ (1, ფსალმუნი 142, 10). ღვთის ნება ეს არის ღვთის ჩანაფიქრი, იხსნას ადამიანი ბოროტისაგან და დააყენოს სიკეთის გზაზე. ამისათვის აუცილებელია ადამიანმა დაიცვას ზნეობრივი და სულიერი ნორმები, რასაც დიდი ნებისყოფა სჭირდება. ესე იგი ადამიანისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავის ცხოვრებაში ღვთის ნების შესრულებაა. ამისათვის აუცილებელია ჯერ თვითონ გააჩნდეს მას ნება, თავისუფალი ნება. ეს თავისუფალი ნება მან

შემდეგ უნდა მიმართოს ღვთის ნებისაკენ, მასთან შესარწყმელად. პოემა „ვეფხისტყაოსანის“ ძირითადი არსი სწორედ ღვთისკენ სწრაფვას და მასთან შერწყმას წარმოადგენს გავიხსენოთ თუნდაც ერთი მაგალითი პოემიდან, კერძოდ ავთანდილის ანდერძიდან:

„არა ვიქ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობასა!

მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესმთა მწყობრთა წყობასა“.

ამით რუსთაველი გვეუბნება, რომ ჩვენი სწავლისა, აღზრდის და ცხოვრების მთავარი არსი მდგომარეობს უფლისაკენ სწრაფვაში.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ რუსთაველი, როგორც უაღრესად განსწავლული პოეტი მოაზროვნე კარგად იცნობდა ანტიკურ და საერთოდ მის დრომდე არსებულ კაცობრიობის მიერ დაგროვილ სიბრძნისეულ საგანძურებს და მათ შორის თავისუფალი ნების პრობლემის საკითხს. ეს მოკლედ ნების შესახებ, ხოლო რაც შეეხება ადამიანის თავისუფალ ნების როლს პიროვნების აღზრდაში, მოგვხსენებათ მსოფლიო აზროვნების ცივილიზაციის ისტორიაში უამრავი მაგალითები შეიძლება მოიძებნოს. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მიმართებით პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში, თუ რა როლს ანიჭებდნენ მოაზროვნენი ადამიანის აღზრდაში შინაგან თავისუფლებას და ნების თავისუფლებას. ჩვენი აზრით ეს ყველაზე ნათლად წარმოგვიდგინა დიდმა გერმანელმა პედაგოგიკის კლასიკოსმა იოჰან ფრიდრიხ ჰერბარტმა. მისი პედაგოგიური კრედოს ძირითად ნაწილს წარმოადგენს „შინაგანი თავისუფლების იდეა - როცა ნებისყოფა შეთანხმებულია მთლიანად გონებასთან და მათ შორის არ არის არც წინააღმდეგობა, არც შინაგანი ბრძოლა, მასში არ არის მერყეობა, სულიერი უთანხმოება, მაშინაც კი, როდესაც შინაგანი თავისუფლება უპირისპირდება სხვა ზნეობრივ იდეებს. ჩვენ ვაფასებთ ხასიათის ასეთ მთლიანობას. თუ რწმენასა და ადამიანის ქცევას შორის თანხმობა არ არის, იგი არ შეიძლება ზნეობრივად თავისუფალ ადამიანად ჩაითვალოს - ის მონაა.“ (6, 137) ამრიგად შინაგანი თავისუფლება პიროვნების ფორმირების აუცილებელი პირობაა. თუ ადამიანი შინაგანად თავისუფალია, მას აუცილებლად უნდა გააჩნდეს თავისუფალი ნება და ძლიერი ნებისყოფა. ასეთი ადამიანი ცხოვრებაში ბევრს მიაღწევს, მას გააჩნია მაღალი ზნეობა, მიზანდასახულობა, ამ მიზნისკენ სწრაფვა. აქვს, ან მზად არის შეიძინოს მიზნის მისაღწევად საჭირო უნარები და ჩვევები. ასეთი ადამიანი უკვე პიროვნულად სრულყოფილია, ან მას პიროვნული ფორმირების გზის გარკვეული ნაწილი უკვე გავლილი აქვს და მასზე ცხოვრებისეული პრობლემები ნაკლებად იმოქმედებს. მას უკვე აქვს მათი დამლევის მექანიზმი. ეს ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური და პედაგოგიური სიბრძნე ღრმად ჰქონდა წარმოდგენილი შოთა რუსთაველს და ამ საკითხს პოემაში ის მრავალჯერ შეეხო. განსაკუთრებით გამოკვეთილია იგი ავთანდილის ანდერძში. გავიხსენოთ ტექსტი პოემიდან, სადაც შოთა რუსთაველი პირდაპირ მიუთითებს ნების ყოფის როლზე პიროვნების ფორმირებაში:

„რაზომცა სწყრები, შემინდევე შეცვლა თქვენისა მცნებისა.

ძალი არ მქონდა ტყვექმნილსა მე მაგისა თნებისა;

აწ წასვლა იყო წამალი ჩემთა სამხილთა გზნებასა,

და სად გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფაცა მქონდეს ნებისა“!

როგორც მიჩნეულია, პოემა „ვეფხისტყაოსანში“ შეიძლება ითქვას ფილოსოფიურად ერთ-ერთი ღრმააზროვანი მონაკვეთი, სწორედ ავთანდილის ანდერძი პოემაში საერთოდ და კონკრეტულად ამ მონაკვეთში. რუსთაველი ადამიანის, პიროვნების თვისებებიდან მეტად მნიშვნელოვანად ნებისყოფას გამოყოფს. ამ სტროფში რუსთაველი გვასწავლის, რომ თუ ადამიანს აქვს თავისუფალი ნება და აქედან გამომდინარე ძლიერი ნებისყოფა, ის უკვე არის გარკვეული დოზით პიროვნულად სრულყოფილი. მას ძალუმს გადალახოს ცხოვრებისეული წინააღმდეგობანი და მიაღწიოს დასახულ მიზანს. ამ სტროფში სიტყვა „მგამა“ ძველქართულზე ნიშნავს რა მენადვლება, ან შეიძლება ითქვას არ მენადვლება. ეს განმარტება მოხსენიებული აქვს ბატონ ნოდარ ნათაძეს „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემაში განმარტებითურთ. (6, 350)

როგორც ადრე აღვნიშნეთ, აკადემიკოს შალვა ნუცუბიძეს იმიტომ დაავალეს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა რუსულად, რომ მას ზედმიწევნით ზუსტად გადმოეცა ის ფილოსოფიურ, ეზოთერული სიბრძნე, რასაც შეიცავს ეს პოემა. ბევრ ადგილს პოემიდან და მათ შორის ამ სტროფსაც ბატონი შალვა გარკვეულად და ნათლად თარგმნის, სადაც ის პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ სტროფში სწორედ ადამიანის თავისუფალი ნების შესახებაა საუბარი:

„Но прости, как ты ни гневн, что я дерзко непослушен.

Я не мог снести страданий, мир мне, пленнику стал душен

Чтоб пагас огоин горенья, мне отиезд, как лекарь , нужен.

Кто обрел свободу воли, тот к несчастьям равнодушен“

აქ რუსულ თარგმანში ნათლად ჩანს შოთა რუსთველისეური გაგება თავისუფალი ნებისა, მისი აზრით, თუ ადამიანს გააჩნია თავისუფალი ნება, იგი პიროვნულად თავისუფალია და მის წინაშე ცხოვრებისეული უკან იხევენ, ისინი მისთვის დაბრკოლებას აღარ წარმოადგენენ და მათ მიმართ ადამიანი გულგრილია. ამდენად შოთა რუსთაველმა, როგორც წარსულის უდიდესმა მოაზროვნემ, კარგად იცოდა პიროვნების ფორმირებაში თავისუფალი ნების როლი. ასევე შოთა რუსთაველმა, როგორც სწავლულმა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა და შემდგომში მღვდელთმსახურმა, ბერმა, კარგად უწყოდა, რომ სრულყოფილი პიროვნება, პირველ რიგში უნდა იყოს ადამიანი, ვისაც აქვს თავისუფალი არჩევანის საშუალება, თავისუფალი ნება. ის არ უნდა იყოს არც ვინმე სხვა ადამიანის და არც საკუთარი „მავნე“ სურვილების ტყვე. მისი აზრით, მხოლოდ პიროვნულად და შინაგანად თავისუფალ ადამიანს შეუძლია შეასრულოს ამ ქვეყანაზე ადამიანთა მოსვლის, ცხოვრების მთავარი არსი და აზრი. ამრიგად შოთა რუსთველის მიხედვით ადამიანისათვის თავისუფალი ნების მოპოვება ან მისი აღზრდა ეს არის გზის დასაწყისი პიროვნული სრულყოფისაკენ.

ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, გადამუშავებული გამოშვება, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 1991,
2. ანტიკური ფილოსოფია, ს. წერეთელი, თბილისი, 1968.
3. ბუაძე თემურ, ფილოსოფიური შეხედულებანი თავისუფალი ნების შესახებ, [http:// www.orthodoxtheology.ge/freewill/](http://www.orthodoxtheology.ge/freewill/)
4. დიმიტრი უზნაძე, ფილოსოფიური შრომები, თბილისი, 1984.
5. ნ. ვასაძე, პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 1998.
6. ნ. ნათაძე, „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა, თბილისი, 1966.
7. წმინდა დიონისე არეოპაგელი და მისი თხზულებანი. http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=683%3A2016-12-06-10-40-33&catid=54%3A2016-03-23-07-24-06&Itemid=73&lang=ka
8. ფილოსოფიური აფორისტიკა „გიყვარდეს გონიერება“, მ. კიზირია, თბილისი, 2000.
9. Рене Декарт, Человек, М., 2012.
10. Социальная синергетика, Оганиан К. М. Бранский В. А. Астаев А. К. Изд. Петрополис, 2010.
11. Ш. Руставели „ვთიავს ვ თიგროვთ სკურე“ перевод с грузинского Ш. Н усуйдзе. ТБИЛИСИ 1961.

Paata Kurdadze

Gori State Teaching University

THE ROLE OF WILLPOWER AND FREE WILL IN THE FORMATION OF PERSONALITY ACCORDING TO SHOTA RUSTAVELI'S "KNIGHT IN THE PANTHER SKIN" RESUME

The article discusses essence of willpower in the historical context. The explanations and analysis are in the origins of human free will: in Antique, Hellenistic, Neo-Platonic philosophy and Christian doctrine. The parallels are drawn between the basic principles of social synergy. Based on this, in the article we can see its role in the formation of personality, which is analyzed to the regard of Shota Rustaveli's perspectives on the matter.

ისტორიის სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვა და შეფასების ანალიზი

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის შეფასების ჯგუფები ორი ტიპის გაკვეთილს აფასებენ. ეს არის, ეგრეთ წოდებული, სტანდარტული გაკვეთილი და სამოდელო გაკვეთილი. პირველი სავალდებულოა პრაქტიკოსისათვის ახალ სტატუსზე გადასასვლელად და უფროსისთვის სტატუსის შესანარჩუნებლად, ხოლო მეორე – უფროსი და წამყვანი მასწავლებლისთვის, როცა ის წინსვლაზე ზრუნავს. შეიძლება აღვნიშნოთ, მასწავლებლები თვლიან, რომ შესაფასებელი გაკვეთილი შეიძლება განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი რიგითი გაკვეთილისგან. სხვადასხვა მიზნის მქონე განსხვავებული გაკვეთილები ერთიანდება სამოდელოს სახელწოდების ქვეშ; ეს არის გამორჩეული, სხვებისთვის გასაზიარებელი პრაქტიკა. სქემამ სამოდელო გაკვეთილების ჩატარების ვალდებულება დაუწესა უფროს მასწავლებელს, რომელიც წამყვანის სტატუსის მოპოვებაზე ზრუნავს და წამყვან მასწავლებელს, რომელიც ზრუნავს მენტორობაზე; როგორც ვიცით, სამოდელო გაკვეთილი შეიძლება იყოს ოთხი ტიპის: ინტეგრირებული, პრობლემაზე ორიენტირებული, გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული და ინოვაციური.

ზოგადად, რაც უფრო მაღალ საფეხურზე ადის მასწავლებელი კარიერული წინსვლის სქემაში, მისი პასუხისმგებლობის არეალი იზრდება. თუ თავდაპირველად მასწავლებელი პასუხისმგებელია საკუთარ გაკვეთილზე, საკუთარ კლასში წარმართულ აქტივობებზე, წინსვლასთან ერთად ეს არეალი ფართოვდება და ვრცელდება კათედრაზე, სკოლაზე. სტანდარტით, წამყვანი მასწავლებლისთვის პროფესიული ცოდნისა და უნარების კოლეგებისთვის გაზიარება არის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი. სამოდელო გაკვეთილიც სწორედ ამ სტატუსთან მიმართებაში გახდა სავალდებულო. სამოდელო გაკვეთილის 4 ტიპი გამოვყავით იმის გათვალისწინებით, რა მიმართულების შეიძლება იყოს გამორჩეული, გასაზიარებელი გაკვეთილი: ინტეგრირებული, რაც ძალზე მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში ცოდნის „ტრანსფერის“ უნარის განვითარებისთვის. ეს მიდგომა სისტემურ აზროვნებას, ჰოლისტურ აზროვნებას ავითარებს; პრობლემაზე ორიენტირებული, რაც ასევე მნიშვნელოვანია; გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული, რაც ყველა გაკვეთილზე უნდა ხდებოდეს, მაგრამ გვინდოდა ამ ვალდებულების კიდევ უფრო გააქტიურება და ბოლოს, ინოვაციური გაკვეთილი – მიმართული შინაარსობრივად მეთოდურ სიახლეზე (გონაშვილი რ., 2019).

ინტეგრირებული გაკვეთილი წარმოადგენს ერთი ან იმავე, მონათესავე ან გამჭოლი თემატიკის ირგვლივ გაერთიანებული ორი ან რამდენიმე სასწავლო საგნის მიხედვით დაგეგმილ და ჩატარებულ გაკვეთილს. ვინაიდან თანამედროვე მასწავლებელს მოეთხოვება მოსწავლეებს ასწავლოს არა მხოლოდ კონკრეტული საგანი, არამედ შეძლოს საგანთშორისი კავშირების დადგენაც. ეს განსაკუთრებით ისტორიის საგანს შეეხება, რომლის ინტეგრაცია შეიძლება მოვახდინოთ თითქმის ყველა სასწავლო საგანთან. ეს ხელს უწყობს ცოდნის გამთლიანებას, ანალიზის უნარის განვითარებას და შეძენილი ცოდნისა და უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანას, ანუ ტრანსფერს. დიმიტრი უზნაძის აზრით, ადამიანის აზროვნებას შესწევს გადატანის უნარი, ანუ თუ მოსწავლე ერთხელ წარმატებით გადაჭრის ამოცანას/პრობლემას, მას აღარ გაუჭირდება მსგავსი ამოცანის/პრობლემის გადაჭრა სხვა სიტუაციაში. ინტეგრირებული გაკვეთილის იდეა უნდა შეირჩეს შესასწავლი თემის მიხედვით, უნდა იკვეთებოდეს მისი მჭიდრო კავშირი სხვა დისციპლინებთან, რომელთანაც მასწავლებელი თემის დაკავშირებას გადაწყვეტს. ისტორიის სამოდელო ინტეგრირებული გაკვეთილის კარგი პრაქტიკაა საზოგადოებრივი მეცნიერებების სხვა ბლოკის საგნებთან ინტეგრირება, ასევე უცხოურ ენებთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან.

პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი ეფუძნება ჯონ დიუის პრინციპს - სწავლა კეთებით და გამოცდილების მიღებით. მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ საგნობრივ ცოდნასთან და უნარ-ჩვევებთან ერთად მოსწავლეებს გამოუმუშაოს პრობლემის გადაჭრის უნარი. იგი მოსწავლეებს არა მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრებისეული მოთხოვნების მოგვარებაში გამოადგებათ, არამედ ფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში სწავლის გასაგრძელებლად და პროფესიულ კარიერაში წარმატების მისაღწევად. მსგავსი ტიპის გაკვეთილი მოსწავლეს ასწავლის პრობლემის იდენტიფიცირების გზებს, ცოდნის სისტემატიზაციის საფუძველზე ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას და მიღებული გამოცდილების რეალურ ცხოვრებაში გამოყენებას. პრობლემური სიტუაციები შეიძლება იყოს სამი

ტიპის: ა. ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღებასთან, ბ. ამოცანები, რომლებიც მოითხოვს სისტემის ანალიზს და მოდელირებას, გ. ამოცანები, რომლებიც უკავშირდება რთული ვითარებიდან გამოსავლის ძიებას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, შედარებით რთული გაკვეთილი გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარებაა. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ის გამჭოლი კომპეტენციების ჩამონათვალი, რომელსაც ეროვნული სასწავლო გეგმა გვთავაზობს. თემატური დაგეგმვის დროს მასწავლებელი ითვალისწინებს, თუ რომელი თემა რომელი გამჭოლი კომპეტენციის განვითარებას შეუწყობს ხელს. ან რა მეთოდებითა და გზებით შეიძლება ამ მიზნის მიღწევა. შეიძლება კომპეტენციები წარმოვადგინოთ სქემატურად, ცხრილის სახით, რაც მასწავლებელს საშუალებას მისცემს სწორად დაგეგმოს თავისი საქმიანობა ამ მიმართულებით.

ინოვაციური გაკვეთილის ჩატარება ისტორიაში მასწავლებლისგან მოითხოვს ახალი ტექნოლოგიების, მიდგომების, მეთოდებისა და სტრატეგიების ცოდნას. მასწავლებელი განუწყვეტელი სწავლების პროცესში უნდა იყოს. იგი თვალყურს უნდა ადევნებდეს ყველა სიახლეს, რაც კი მის საგანთან იკვეთება. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი გადაწყვეტს დაგეგმოს და ჩაატაროს მსგავსი გაკვეთილი, იწყებს გაკვეთილის დაგეგმვას. ქართულ ენაზე ყველაზე ეფექტური რესურსები შეუძლია მოძებნოს ჟურნალში „National Geographic - საქართველო“. ეს ჟურნალი ყოველთვის სთავაზობს განსაკუთრებულ სიახლეებს ისტორიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის და სხვა მასწავლებლებს. ასევე ხელმისაწვდომია სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები, რომლებიც თანამედროვე მიღწევებს/იდეებს/მოსაზრებებს და ანალიზს გვთავაზობს.

სამოდელო გაკვეთილი მასწავლებლის მიერ ისე უნდა დაიგეგმოს, რომ იყოს მაქსიმალურად ეფექტური. ასეთი გაკვეთილის დაგეგმვა კი მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. მასწავლებელმა უნდა იცოდეს „...სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების შესაბამისად.“ კონსტრუქტივისტული გაკვეთილი გამოირჩევა მოქნილობით. იგი ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეებს, თავად ააგონ არსებულ ცოდნაზე ახალი ცოდნა, იპოვონ მნიშვნელობები, დაამყარონ საგნებს შორის კავშირი, შეძლონ ანალიზი, ცალკეული ელემენტების გაერთიანება ახალი სტრუქტურის სახით და სათანადო დასკვნების გამოტანა. ეს ზრდის მოსწავლეთა აქტივობას და ინტერესს. მასწავლებელი კონსტრუქტივისტული სწავლებისას არის პროცესის დამგეგმავი, წარმმართველი, შემფასებელი და ხელის შემწყობი.

ეფექტური გაკვეთილი რამდენიმე კომპონენტს უნდა აკმაყოფილებდეს:

- გარკვეული უნდა იყოს დაგეგმვის მიზანი;
- განსაზღვრული უნდა იყოს სასწავლო გეგმის ტიპები;
- მკაფიოდ უნდა დაიგეგმოს გაკვეთილის ეტაპები;
- წინასწარ შეირჩეს საგაკვეთილო კომპონენტები;
- განისაზღვროს შეფასების ტიპები;
- ჩამოყალიბდეს ეფექტური უკუკავშირის მექანიზმი.

რისთვის არის საჭირო გაკვეთილის დაგეგმვა? სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი მოქნილობის საშუალებას იძლევა, სასწავლო პროცესის ეფექტურობასა და მასწავლებლის პროფესიულ ზრდას უწყობს ხელს. მასწავლებლები რამდენიმე დონეზე ახდენენ დაგეგმვას: ესაა წლიური (საგნის გეგმა – სილაბუსი), თემატური, კვირისა და გაკვეთილის გეგმები. ყველა ეს დონე ერთმანეთთან უნდა იყოს კოორდინირებული. წლიური გეგმის შესრულება მოითხოვს მის განაწილებას თემებზე, თემატურისა - დროის ცალკეულ დანაყოფებზე, თავის მხრივ, ამ გეგმების განაწილებას კვირებსა და დღეებზე. პედაგოგთა ნაწილში ჩნდება შინაგანი პროტესტი სასწავლო პროცესის დაგეგმვისადმი, მათ მიაჩნიათ, რომ დაგეგმვა ზღუდავს მათ შემოქმედებითობას, თავისუფლებას. მათგან ხშირად ისმის შემდეგი ფრაზა: „კლასი ცოცხალი ორგანიზმია. კარგი მასწავლებელი გაკვეთილს და, ზოგადად, სასწავლო პროცესს უნდა აგებდეს სიტუაციიდან გამომდინარე. ეს უფრო საინტერესო იქნება როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლისთვისაც“ (ს. ლოზჟანიძე).

ეფექტური გაკვეთილის ჩასატარებლად სწორად უნდა გავთვალთ და ჩამოვაყალიბოთ გაკვეთილის გეგმა. გაკვეთილის გეგმვა - აღწერს კონკრეტულ გაკვეთილს დაწყების წუთიდან დასასრულამდე. გაკვეთილი უნდა შედგებოდეს სამი ეტაპისაგან:

➤ გამოწვევა (შესავალი), რომელიც გულისხმობს მოცემულ საკითხზე, საგანზე ან მოვლენაზე არსებული ცოდნის, განცდების, შთაბეჭდილებების გააქტიურებას. მოსწავლეები იხსენებენ იმას, რაც იციან შესასწავლი საკითხის ირგვლივ. იწყებენ ახალ თემაზე ფიქრს. ხდება მოსწავლეთა გააქტიურება, ინტერესის გაზრდა, რაც საკითხის კვლევის პროვოცირებას უწყობს ხელს;

➤ სიღრმისეული წვდომა (მასალის მიწოდება) - იგი შესასწავლი საკითხის შინაარსის გაგებასა და აღქმას უწყობს ხელს. მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას ტექსტის წაკითხვის, აუდიო და ვიდეო მასალის გაცნობის, ცდების ჩატარების საშუალებით. ამ ეტაპზე ხდება არსებული ცოდნისა და ახალი ინფორმაციის შეჯერება. სიღრმისეული წვდომის უპირველესი ამოცანაა „გამოწვევის ფაზაზე“ გაღვიძებული ინტერესის შენარჩუნება და განმტკიცება;

➤ გააზრების, რეფლექსიის ეტაპზე მოსწავლეები ამთლიანებენ არსებულ და ახლად მიღებულ ცოდნას, ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მსჯელობა.

წარმატებული სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვისა და განხორციელების ერთ-ერთი წინაპირობა კოლეგებთან თანამშრომლობაა. მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და პროფესიული ეთიკის კოდექსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ კოლეგიალობაა. პედაგოგების კოლეგიალობა ეს არის მუდმივი მზადყოფნა თანამშრომლობისათვის, პედაგოგიური გამოცდილების, ხელმისაწვდომი ინფორმაციისა და ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების უანგარო გაზიარებისათვის (8). სწორედ ამით არის ნაკარნახევი ევროპის განვითარებულ ქვეყნებში კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო პროცესში მასწავლებლების მიერ განხორციელებულ ურთიერთდაკვირვებას საგაკვეთილო პროცესში. ძირითადად გამოყოფენ დაკვირვების ხუთ მეთოდს (ა. აღწერითი დაკვირვება, ბ. ფოკუსირებული დაკვირვება, გ. გუნდური მუშაობა, დ. მართული დაკვირვება, ე. თვითდაკვირვება), რომელიც თავის მხრივ იყოფა სამ ეტაპად:

1. დაკვირვების წინა/წინასაგაკვეთილო შეხვედრა, როდესაც მასწავლებელი, რომლის გაკვეთილსაც ესწრებიან, აცნობს კოლეგებს გაკვეთილის გეგმას, უხსნის, რა სახის დახმარებას ელის მისგან და კოლეგები ერთად შეიმუშავენ შეფასების კრიტერიუმებს;

2. გაკვეთილზე დახმარება - როდესაც კოლეგები აკვირდებიან გაკვეთილის პროცესს ან მის ცალკეულ მონაკვეთებს და აღნუსხავენ შედეგებს დეტალურად;

3. გაკვეთილის შემდგომი შეხვედრა, როდესაც კოლეგები ახორციელებენ ჩატარებული გაკვეთილის დეტალურ ანალიზს, აკეთებენ უკუკავშირს და აძლევენ პედაგოგს რეკომენდაციებს/რჩევებს.

სამოდელო გაკვეთილის ჩატარება ისტორიაში არ მოითხოვს განსაკუთრებულ დაგეგმვას და რესურსების მოძიებას. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის გაკვეთილის ისეთი ტიპი, რომელიც მასწავლებელმა უნდა აჩვენოს კოლეგებს, რათა შემდეგ გაითვალისწინოს მათი რეკომენდაციები შემდგომი პროფესიული ზრდისა და სრულყოფისათვის. ისტორიის გაკვეთილი იძლევა მრავალფეროვან შესაძლებლობებს გაცხადოთ გაკვეთილი საინტერესო, ინფორმაციული, ეფექტური როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე კოლეგებისთვის. მასწავლებლები ხშირად მიმართავენ სხვადასხვა აქტივობებს, რომელთა გამოყენება ისტორიის სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით უფრო შედეგიანია. მაგალითად აქტივობები, რომლებიც ქრონოლოგიის შესწავლას ემსახურება (დროის ხაზი, ქრონოლოგიური კიბე, კალენდრის სხვადასხვა ტიპები....), ისტორიული ფაქტების ამსახველი დოკუმენტების განხილვა (არტეფაქტები, ფოტო, აუდიო და ვიდეო მასალა...), ისტორიული მოვლენების აღწერა და ანალიზი, რუკების, დიაგრამების და სქემების შედგენა და ანალიზი. ისტორიის საგაკვეთილო პროცესში მთავარ ყურადღებას ვამახვილებთ ძირითად ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე, მოსწავლეების მიერ აღმოჩენით სწავლების სტრატეგიასა და მოსწავლეებში ანალიზის უნარის განმავითარებელ აქტივობებზე.

სამოდელო გაკვეთილის ჩასატარებლად მასწავლებლის მიერ წინასწარ შერჩეული თემა სასურველია იყოს ადვილად განსახორციელებელი, მისთვის რესურსები იყოს ხელმისაწვდომი, ვინაიდან მოსწავლეებისათვის გაკვეთილის პროცესში მიწოდებული ვიზუალური მასალა და დამოუკიდებელი სამუშაო (მაგ. წყაროზე მუშაობა მისი ანალიზისა და ინტერპრეტირების თვალსაზრისით) შეიძლება იყოს დამატებითი მოტივაცია საგაკვეთილო პროცესში ჩასართავად. დაკვირვებამ აჩვენა, რომ ასევე კარგად მუშაობს კოლაბორაციული მიდგომა ამა თუ იმ საკითხისადმი. როდესაც მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში, მათი მონდომება გაცილებით მეტია, ვინაიდან ისინი ინაწილებენ პასუხისმგებლობას საერთო პროდუქტზე - ჯგუფის მიერ წარდგენილ პრეზენტაციაზე. სამოდელო გაკვეთილის განსახორციელებლად მასწავლებლები ხშირად ირჩევენ სხვადასხვა ტიპის კლასებს. ზოგიერთი მასწავლებლისთვის უფრო კომფორტულ გარემოს წარმოადგენს კლასი, რომელიც შედარებით მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებით არის დაკომპლექტებული, უფრო ახლოს იცნობენ მოსწავლეებს (სადამრიგებლო კლასი ან უკვე რამდენიმე წლის სწავლების პრაქტიკით), ზოგიერთი მასწავლებელი, პირიქით: ირჩევს ისეთ კლასს, სადაც აკადემიური მოსწრება შედარებით დაბალია, ან არის ე.წ. „პრობლემური კლასი“ და სურს, გამოსცადოს საკუთარი შესაძლებლობები, შემდეგ გაითვალისწინოს კოლეგების რეკომენდაციები არსებული ნაკლოვანებისა თუ კლასის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

ისტორიის სამოდელო გაკვეთილი რომ შევასოთ, რამდენიმე მნიშვნელოვანი რჩევა უნდა გავითვალისწინოთ. უპირველეს ყოვლისა, უნდა შევიქმნათ პოზიტიური განწყობა. უკუკავშირის მისაცემად შეიძლება გამოყენებული იყოს შემდეგი სახის რჩევები: ჯგუფის ყველა წევრს უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ უკუკავშირის აქვს დადებითი ეფექტი, ჯგუფის წევრებს უნდა ჰქონდეთ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, უნდა იყოს მაქსიმალურად მშვიდი სამუშაო გარემო და ხდებოდეს უკუკავშირის როტაცია, ანუ იცვლებოდეს მიმღებისა და გამცემის როლები.

ამასთან დაკავშირებით არსებობს ე.წ. „ოქროს წესები“, რომლებიც დაკვირვების ჯგუფის ნებისმიერმა წევრმა უნდა გაითვალისწინოს:

- თავდაპირველად უნდა მიაწოდო პოზიტიური უკუკავშირი. ეს განაწყობს მასწავლებელს პოზიტიურად და იზრდება ნდობის ხარისხი;

- უკუკავშირი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ფორმულირებული და გასაგები;

- აუცილებელია კონფიდენციალობის დაცვა;

- უნდა გავცეთ რჩევები და არ მოვახვიოთ სხვას თავს ჩვენი მოსაზრებები;

- უკუკავშირი უნდა იყოს გაცემული რაც შეიძლება მალე იმის გათვალისწინებით, როგორია მიმღების ფსიქოლოგიური მზაობა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სამოდელო გაკვეთილის ჩატარების პროცესში არის შეფასების რუბრიკა/რუბრიკები. მთავარი, რასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რამდენად აქვს მასწავლებელს მზაობა მიიღოს ჩვენგან პრაქტიკული რჩევები და რეკომენდაციები. განმავითარებელი შეფასება, რომელიც ამ პროცესის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- იწყება თუ არა კომენტარი პოზიტიურით;

- არის თუ არა კომენტარი კონკრეტული და ფაქტით დადასტურებული;

- არის თუ არა კომენტარში ნაჩვენები გაუმჯობესების გზა;

- არის თუ არა იმის დასაბუთება, რატომ სჯობს კომენტარის გამცემის მიერ შეთავაზებული გზა ავტორისას;

- არის თუ არა კომენტარის ტონი თანამშრომლობითი, კეთილგანწყობისა და პატივისცემის გამომხატველი.

მას შემდეგ, რაც მასწავლებლები ატარებდნენ სამოდელო გაკვეთილებს სკოლაში, მათი კარიერული წინსვლა ითვალისწინებს გარე დაკვირვებას. გარე დაკვირვებისთვის მასწავლებელს ერთი სამოდელო გაკვეთილის ჩატარება მოეთხოვება, თუმცა უნდა დაიგეგმოს ხუთი გაკვეთილი და სპეციალური განრიგის მიხედვით ხდება მასზე დაკვირვება. ბუნებრივია, გარე დაკვირვების პროცესი უფრო დეტალურია და უფრო მაღალ კომპეტენციებს მოითხოვს, ვინაიდან ეს პროცესი უფროსი მასწავლებლის წამყვანის პოზიციაზე გადასვლის მთავარი ინსტრუმენტია. გარე დაკვირვების პროცესში საინტერესო და ეფექტურ გაკვეთილს ისტორიაში მასწავლებლები ძირითადად გეგმავდნენ ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების გათვალისწინებით. ცდილობდნენ, გამოეყენებინათ მრავალფეროვანი რესურსი, როგორც მატერიალური, ასევე ონლაინ (წყაროები, რუკები, ვიდეო და აუდიო მასალები, დამხმარე ლიტერატურა...). გაკვეთილის გეგმები დგებოდა იმ მოთხოვნების შესაბამისად, რასაც ესგ ითვალისწინებს. გეგმის დასაწყისშივე გარკვეული იყო გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ესგ მოთხოვნებთან და სტანდარტით მისაღწევ შედეგებთან. გაკვეთილის გეგმა მოიცავდა შემდეგი სახის ინფორმაციას: აქტივობის მიზანი და აღწერა, გამოყენებული მეთოდი/მეთოდები, კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები, სასწავლო რესურსები (მათი მიზანშეწონილობა სასწავლო მიზანთან მიმართებით) და დრო. ამ კომპონენტების ზუსტად გაწერით მასწავლებლები ქმნიდნენ ძირითად ჩარჩოს/ქარგას, რის მიხედვითაც უნდა წარმართულიყო გაკვეთილი. მასწავლებელი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში წარადგენდა 5 გაკვეთილის გეგმას და სპეციალური გრაფიკის მიხედვით ხდებოდა ერთ-ერთ გაკვეთილზე დაკვირვება. საგაკვეთილო დაკვირვებას წინ უსწრებდა წინასაგაკვეთილო შეხვედრა, რომელიც გაკვეთილის დაწყებამდე 30 წუთით ადრე უნდა განხორციელებულიყო. წინასაგაკვეთილო შეხვედრა ძირითადად ემსახურებოდა მასწავლებლებისათვის ემოციური დამახულობის მოხსნას გასაუბრების, გაკვეთილის გეგმაზე საუბრის, მასში შეტანილი ცვლილებების ან მოსალოდნელი ცვლილებების საშუალებით. ასევე ყურადღება ექცეოდა სსსმ მოსწავლეების (თუ ასეთი ირიცხებოდა კლასში) მიმართ განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალსა და განხორციელების გზებსა და მეთოდებს. წინასაგაკვეთილო შეხვედრაზე დასწრების უფლებამოსილება ჰქონდა მხოლოდ სკოლის შესაბამისი საგნის ფასილიტატორსა და რესურსცენტრის წარმომადგენელს.

გაკვეთილის მსვლელობის დროს ასევე შეზღუდული იყო საგაკვეთილო პროცესზე გარე მაკვირვებელთან ერთად არსებული პირების რაოდენობა. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ფასილიტატორი ან

რესურსცენტრის წარმომადგენელი. გაკვეთილის დაწყების სინქრონულად ხდებოდა გარედამკვირვებლის მიერ შეფასების რუბრიკის მიხედვით საგაკვეთილო პროცესის ასახვა სპეციალურ „გაკვეთილის აღწერის ფორმაში“, სადაც შემდეგი გრაფებია მოცემული: დრო, აქტივობის აღწერა და კომენტარი.

გაკვეთილის აღწერისა და შესაბამისი კომენტარების გაკეთების შემდეგ ხდება თითოეული აქტივობის შესაბამის ქვერუბრიკის კომპონენტთან მისადაგება. სასწავლო გარემოს პირველი ქვეკომპონენტი არის ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ხელშემწყობი გარემო, სადაც უნდა შეფასდეს:

- მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კეთილგანწყობილი და თანასწორობაზე აგებული ურთიერთობა;

- პატივისცემით გამსჭვალული საუბარი, აქტიური მოსმენა;

- მრავალფეროვნების, ეთნიკური და კულტურული განსხვავების, ტოლერანტობა და მასთან დაკავშირებული აქტივობების წახალისება;

- განსხვავებული აზრის პატივისცემა.

მომდევნო ქვერუბრიკა არის კლასის მართვა:

- მოსწავლეებმა იციან ქვევის წესები და იცავენ მათ (წესების დაცვის პასუხისმგებლობის დელეგირება);

- მოსწავლეებმა კარგად იციან დაგეგმილი აქტივობების შესაბამისი წესები და იცავენ მათ;

- მასწავლებელი და მოსწავლეები საგაკვეთილო აქტივობების ცვლილებებისას დროს არ კარგავენ.

მომდევნო პროცედურა ითვალისწინებდა შეფასების შეტანას სპეციალურ შეფასების ცხრილში, სადაც მოცემული იყო გარე დამკვირვებლის სახელი, გვარი, მასწავლებლის სახელი, გვარი, სკოლა, კრიტერიუმები და ქულები. საერთო ჯამის გამოყვანის შემდეგ მოცემული ინფორმაცია დასტურდება გარედამკვირვებლის ხელმოწერითა და შევსების თარიღით. ცალკე ფასდება მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილის მასწავლებლის მიერ გაკეთებული რეფლექსია, რომელსაც შეფასების შემდეგი კრიტერიუმები აქვს:

- მასწავლებელი აანალიზებს და აფასებს მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს, მიღწეულ შედეგებს;

- მასწავლებელს დასაბუთებული აქვს გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობების ეფექტურობა მიზნის მისაღწევად;

- მასწავლებელი აღნიშნავს, მოხდა თუ არა გაკვეთილის გეგმის / განსაზღვრული აქტივობების მოდიფიცირება გაკვეთილის მსვლელობისას, აღწერს და ასაბუთებს ამ ცვლილებების აუცილებლობას;

- მასწავლებელი აანალიზებს გამოვლენილ ხარვეზებს / დაშვებულ შეცდომებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები, სახავს საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესების გზებს.

გარე დაკვირვების ანგარიში წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ დოკუმენტს გარე დაკვირვების პროცესში. მასში მოცემული ინფორმაცია სრულად ასახავს მასწავლებლის შესახებ მონაცემებს: გარე დამკვირვებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მასწავლებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საგანი, კლასი, სკოლა, გაკვეთილის ჩატარების ადგილი და გარე დაკვირვების თარიღი. მოცემული ინფორმაცია, შეფასება და შეფასების კომპონენტები დასტურდება გარე დამკვირვებლის ხელმოწერითა და თარიღით.

სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვის მექანიზმის განხილვისას შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ფაქტორი:

- რუბრიკა ისეა შედგენილი, რომ მასში ასახული კომპონენტების მრავალგვარობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს დაგეგმოს ეფექტური და საინტერესო გაკვეთილი;

- ისტორიის გაკვეთილი იძლევა იმის საშუალებას, რომ მასწავლებელმა დაგეგმოს, გაამრავალფეროვოს სხვადასხვა აქტივობებითა და რესურსებით და ისე მიაღწიოს მიზანს;

- სამოდელო გაკვეთილზე დაკვირვება, როგორც მამოტივირებელი საშუალება მასწავლებლისთვის კარიერული წინსვლის გზაზე წინგადადგმული ნაბიჯია.

ლიტერატურა:

1. ლობჯანიძე ს., როგორ დავგეგმოთ მოქნილი და შემოქმედებითი გაკვეთილი? <http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2015/12/lobjanidze.pdf>

2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა, http://old.tpdg.ge/uploads/pdf_documents/sascavlo%20procesis%20dagegmva.pdf

3. ანიტა ვულფოლკი, განათლების ფსიქოლოგია, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.

4. კუტალაძე ი. (რედ.), ეფექტიანი სწავლება, გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის ლაბორატორია, 2010.
5. სწავლება და შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 28, 2011.
6. განვითარებისა და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2011.
7. ჩაკვეტაძე კ., გაკვეთილის დაგეგმვა ისტორიაში, (Education Science and Psychology 2015 | No.1 (33)
8. სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვა და შეფასება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბ., 2016 <https://en.calameo.com/read/005033132d961e1497313>
9. მამალაძე მ., ერთი სამოდელო გაკვეთილი და მისი გეგმა ისტორიაში, <http://mastsavlebeli.ge/?p=19773>
10. დევდარიანი ნ., როგორი უნდა იყოს სამოდელო გაკვეთილი?, <http://mastsavlebeli.ge/?p=18173>
11. გონაშვილი რ., სამოდელო გაკვეთილი და ხშირად დაშვებული შეცდომები, <http://mastsavlebeli.ge/?p=20210>

Davit Chochishvili

Gori State Teaching University

ANALYSIS OF PLANNING AND EVALUATION OF MODEL LESSON IN HISTORY RESUME

The one of the significant components of the professional development of teachers is an external monitoring. The part of those senior teachers, who had decided to advance their careers before, should pass all the procedures for the external, monitoring after a positive performance of the research component. Teachers should be registered themselves in e-school system and they have to submit all relevant documents subsequently in accordance of an external monitoring rules. A teacher's evolution is carried out based on: a) Assessment of the lessons performed by teachers in accordance of their evaluation scheme; b) Reflection of a teacher. In turn, the assessment scheme encompasses several components. These components contains the follow necessities: the educational environment, ruling of a training class, educational resources, competence of a teacher in a specific subject, communication skills, instruction for all activities, the educational strategies, motivation and involvement, using of assessment during an education process and reflection for already performed lessons.